ოლიმპელები®

საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში

№14(64

1 – 7 აპრილი * ფასი 1,50 ლარი

www.tbiliselebi.ge

გვ. 15
რის გამო მიატოვა სილვიო ბერლუსკონი ანგელა მერკელმა ხელის ჩამორთმევის წინ და რას ნიშნავს ეტიკეტი

გვ. 22
რა სტრესი გამოიარა პირველი ფეხმძიმობისას სოფო ხალვაშმა და როდის არის მის ცხოვრებაში ყველაფერი მოზღვავებული და მოჭარბებული

გვ. 10
რის გამო დაიწყო რუსული ოპოზიციის ლიდერების საქართველოში ჩამოყვანა ბორის ბერეზოვსკიმ და როგორ იხსენებს ქალებისადმი მის განსაკუთრებულ სიყვარულს ვალერი გელბახიანი

გვ. 16
რატომ ვერ ბედავენ თამარ გვერდწითელთან სიმღერას თაყვანისმცემელი მამაკაცები და ვის სთხოვს ის, დახვეწოს რჩევები

გვ. 54
ვისმა სითბომ გადაატანინა რთული პერიოდი რატი დურგლიშვილს და როდის არის ის არანორმალური

გვ. 65
ვინ დაქაბა ნინო მუმლაძემ და რა ნიშნით აიყვანეს ის სერიალში „ჩემი ცოლის დაქალები“

გვ. 78
როგორ შეიცვალა ბუბა კიკაბიძისა და დედამისის დამოკიდებულება ფილმ „არ დაიდარდოს“ შემდეგ

გვ. 18
როგორ მანიპულირებენ ადამიანები ზებუნებრივი, მისტიკური შესაძლებლობების საკუთარ შესაძლებლობებზე მინერით და როგორ ხსნის ამ ყოველივეს ილუზიონისტი როსტომ ყაველაშვილი

გვ. 19
ვინ ასწავლა „ოლიმპის“ სერბ პალათაურთელს ქართული გინება და რა აკავშირებს მას სლობოდან მილოშევიჩთან

ჟურნალ „თბილისელებთან“ ერთად წიგნის ფასი
7.50 + 1.50 = 9 ლარი
(წიგნი + ჟურნალი)
ჟურნალის გარეშე წიგნის ფასი – 14 ლარი

საბავშვო ენციკლოპედია

მთები

გილოცავთ ხარებას!

ს ა რ ჩ ე ვ ი

როგორი სქემითაა შესაძლებელი საქართველოსთვის რუსეთის მიერ აღიარებული ტერიტორიების დაბრუნება და მოითხოვს თუ არა მსხვერპლად აშშ-სთან პარტნიორობაზე უარის თქმას 6

რატომ ღირს საქართველოში ბენზინი უფრო ძვირი, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში და ვინ მფარველობს პირველი ოქტომბრის შემდეგ საწვავის ოლიგოპოლიურ ბაზარს 8

რატომ აღარ სჭირდებათ პარლამენტარ „ნაციონალებს“ მიხეილ სააკაშვილი და ვინ ჩასვეს თვითმფრინავში საკონსტიტუციო ცვლილებების კენჭისყრის დღეს 9

რის გამო დაიწყო რუსული ოპოზიციის ლიდერების საქართველოში ჩამოყვანა ბორის ბერეზოვსკიმ და როგორ იხსენებს ქალებისადმი მის განსაკუთრებულ სიყვარულს ვალერი გელბახიანი 10

ოლიმპიური თამაშების მონაწილე მონარქების ტოპ-ათეული 12

რის გამო მიატოვა სილვიო ბერლუსკონი ანგელა მერკელმა ხელის ჩამორთმევის წინ და რას ნიშნავს ეტიკეტი 15

ადვოკატი გირჩევთ 17

ვინ ასწავლა „ოლიმპის“ სერბ კალათბურთელს ქართული გინება და რა აკავშირებს მას სლობოდან მილოშევიჩთან 19

რა მონაცემებს უნდა აკმაყოფილებდეს კარგი ქმარი და რისი გაგება უჭირს მის ცოლს 20

როგორ გააშვილეს ტყუპისცალი მეჯვრისხევის სამშობიარო სახლიდან და ვინ ეძებს გაშვილებულ ძმას ჟინვალიდან 21

რა სახელით იყო ცნობილი ამჟამინდელი პუშკინის სკვერი და თბილისის რომელ ბაღში მართავდა წარმოდგენებს გერმანელი ილუზიონისტი რობერტ ლენცი მეცხრამეტე საუკუნეში 23

რატომ არის 1 აპრილის ხუმრობა დაკავშირებული მაცხოვრის აღდგომასთან და შეიძლება თუ არა ამ დღეს ერთმანეთის მოტყუება 24

NBA-ს 10 ყველაზე გავლენიანი ადამიანი.....26

ექიმის რჩევები 29

რატომ ბრაზობდა საკუთარ თავზე ნანული ცაგარეიშვილი და ვის უნდოდა მისთვის ედუარდ შევარდნაძის წართმევა 30

რა როლს თამაშობს ჩვენს ბედ-იღბალზე მშობლის სახელის დარქმევა და როგორ დავგეგმოთ სასურველი მომავალი სავსემთვარეობის პერიოდში 32

რა აკავშირებს „ცუდი ბიჭების“ ქუჩასთან ჰოლივუდის ლეგენდას ჯეკ ნიკოლსონს და რომელ ცნობილ ფილმებში მონაწილეობის მიღებაზე აქვს ნათქვამი მას უარი 34

რის შანსს აძლევს გოგა მესხს მუსიკალური პროექტი Georgian Dreamers და რა ოცნებას აისრულებს ის გამარჯვების შემთხვევაში 35

ინტიმური საუბრები 36

როგორ ამზადებდა ფირალი დათიკო შევარდნაძე ყალბ პასპორტებსა და საბუთებს და როგორ ხოცავდნენ გურულ ფირალებს 38

„ფორბსის“ რომელი მილიარდერები იყვნენ ჩართულები ბარაკ ობამასა და მით რომნის საარჩევნო კამპანიების დაფინანსებაში 47

ლეგენდარული მაო ძე-დუნის შთამომავლის ტრაგიკული ისტორია საქართველოში 50

რა საშიშროებას ხედავდა სტალინი უკანონო ქორწინებაში 52

ვისმა სითბომ გადაატანინა რთული პერიოდი რატი დურგლიშვილს და როდის არის ის არანორმალური 54

ვინ შექმნა თბილისში „სადისტების“ ბანდა, რომლებიც თავიანთ მსხვერპლს წამებით კლავდნენ 56

როგორ გაუსწორდა მამაკაცი ცოლის უფროსს 58

რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს.....59

ვეტერინარის რჩევები.....64

მე – დაქირავებული მკვლელი.....66

მკვდარი ვერსია.....74

როგორ უნდა მოაწყოთ საძინებელი მშვიდი ძილისთვის და რა შემოაქვს ბინაში შესაბამისი ზოდიაქოს ნიშნის მცენარეებს 80

რა სასწაულებრივი ძალით გამოირჩევა არქიმანდრიტ სოგრატის ლოცვა, რომლის დახმარებითაც ეშმაკეულ ადამიანებს ბოროტი ძალა ტოვებს და მომაკვდავები იკურნებიან 82

ქმარმა სახლიდან გამოტყუებული ცოლი სადარბაზოშივე დაჭრა და შემდეგ მანქანაში წამებით მოკლა 83

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა აბობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

რედაქციის მისამართია:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47



დაბეჭდილია „ასავალ-დასავალის“ სტამბაში
ელ-ფოსტა: PRINT@ASAVALI.GE

გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ებ ებ ი

პოლიტიკა: **ნინო ხაჩიძე, თამუნა სამადაშვილი**
საზოგადოება და კულტურა: **გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა აბობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე**
რელიგია: **ნათია უტიაშვილი, თამუნა აბობაძე**
კრიმინალი და სამართალი: **ნიკა ღაბაური, ეკა ბარაბაძე**
დიაჯესტი: **ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი**
მედიცინა: **ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე**
სპორტი: **ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე**
სტილისტ-რედაქტორი: **თამრიკო ზამთარაძე**
სტილისტი: **ნანა წერეთელი**
კორექტორი: **ხატია ჟღენტი**
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: **თამუნა აბობაძე**
ოპერატორი: **მაია კარანაძე**
ფოტოკორესპონდენტები: **ქეთი კვინიხიძე, თამუნა ჩალაძე**
მხატვრები: **ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე**
ვებ-გვერდის მთავარი მოდერატორი: **გუგა აბობაძე**
ოფისმენეჯერი: **ინგა კერვალიშვილი**
იურისტი: **ქეთი უტიაშვილი**
მთავარი ეკონომისტი: **ნანა ბირჩაძე**
კომერციული მენეჯერი: **მარინა მჭავანაძე**
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი
სარეკლამო დარგში: **სოფი ლორია**
სარეკლამო სამსახური: **სოფი ლორია, მაია ფირცხალავა**
მარკეტინგის მენეჯერი: **ლევან მენთეშაშვილი**

ტელ: **239-25-52;** 599 10-15-20, 239-23-52
სარეკლამო სამსახური: **593 38-75-61;** 239-23-53
დამფუძნებელი: **შპს „თბილისელები პლუსი“** იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“
ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com; tbiliselebi2001@yahoo.com

თანაცხოვრების დიადი აქტი

კოაბიტაცია თუ კოჰაბიტაცია – საკითხავი აი, ეს არის!

მართალია, **საბოლოოდ კვლავაც ვერ გაგვირკვევია, კოაბიტაციაა მართებული ფორმა თუ კოჰაბიტაცია** (სახელდობრ, **ფრანგულად განათლებულები კოაბიტაციის ვერსიაზე არიან**, კოჰაბიტაციას კი **ლათინურის მოყვარულნი ანიჭებენ უპირატესობას**), მაგრამ, **რაც მთავარია, თავად პროცესი აქტიურ ფაზაშია.**

სულ პირველი დიდი აქტი თანაცხოვრებისა (მე, როგორც ქართულად განათლებული უპირატესობას მშობლიურ ფორმებს ვანიჭებ) **საკონსტიტუციო ცვლილებების მიღებისას შედგა.** ზედაც, **ისე ჰარმონიულად გამოუვიდათ, რომ დასავლეთი პირდაღებული დატოვა**, იმას გარდა, რომ **ორივე მხარეც კმაყოფილი დარჩა** (ჰარმონიულად, ვინაიდან 100 კი არა მთელი 135 ხმა მოუგროვდათ არც ერთის წინააღმდეგ).

სავარაუდოდ, იმ მარტივი მიზეზით, რომ **მადა ჭამაში მოდის, უმცირესობა ისე გამამაცდა** (ეჭვი მაქვს, თითო „ნაციონალის“ ხმაში, მაგალითად, რიჩარდი არათუ ნახევარს, მთელ სამეფოსაც შეაძლევდა), **რომ თავისი კომპეტენტური აზრის გათვალისწინებას საერთო სასამართლოების შესახებ კანონშიც ითხოვს** (მართლაც: **თუ კოაბიტაციაა კოჰაბიტაცია იყოს?!).**

მეორე მხრივ, **ამ რანგის კანონს უმრავლესობის ხმებიც ჰყოფნის**, მაგრამ, **რაკი თანაცხოვრებაა, უმრავლესობა უმცირესობასთან კონსულტაციებს მართავს** (საკონსტიტუციოზე დაწყებული აქტის მთლად ღირსეულად თუ ვერა, კოა-კოჰაბიტირებულად დასაგვირგვინებლად).

ამის პარალელურად, **ჩვენი სულზე უტკბესი პარტნიორი აშშ-ის ელჩი** ბ-ნი ნორლანდი **იმედოვნებს, რომ „საპარლამენტო უმრავლესობა და უმცირესობა საერთო სასამართლოების შესახებ კანონთან დაკავშირებით კომპრომისულ გადაწყვეტილებას მიიღებენ“.**

იმის გათვალისწინებით, რომ **ამ ჩვენს საქართველოში აშშ-ის ელჩების იმედები,** როგორც წესი, **სრულდება ხოლმე,** უნდა ვივარაუდოთ, **ამ კონკრეტულ ელჩსაც გაუმართლებს იმედებში**. ამის შემხედვარეს კი **სხვა არაფერი დაგვრჩენია, ვინატროთ**, რომ **ელჩის იმედების წყალი ჩვენს იმედებსაც გადასხმოდეს** და **გაზაფხული არა მხოლოდ კალენდარზე, ჩვენს ქუჩაზეც მოსულიყოს!**

კაეშნიანი კანონმორჩილება

ანუ დრონი მეფობენ და არა ნაგუბერნატორლები

რაკი **„დრონი მეფობენ“, მით უფრო არა – ნაგუბერნატორლები**, პროკურატურა **ცეზარ ჩოჩელისთვის 300 000-ლარიანი გირაოს შეფარდებას ითხოვს** (შეგახსენებთ, **პროკურატურა ყოფილ გუბერნატორს დიდი ოდენობით ქონების გადამალვის წაქეზებასა და ყალბი საგადასახადო ანგარიშფაქტურის გამოყენებას ედავება**. აქვე დავამატებ, რომ ეს დანაშაული, დამტკიცების შემთხვევაში, **9-წლიან სასჯელს ითვალისწინებს**).

300 000-იანი გირაო ბ-ნი ჩოჩელის ადვოკატმა სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა, შესაბამისად, **მოსამართლე** შალვა **მჭედლიშვილმა კი ის** ნაწილობრივ დააკმაყოფილა და **გაანახევრა**, ანუ **გირაოს თანხა 150 000 ლარამდე შეამცირა.**

ამის მიუხედავადაც, ადვოკატი ბ-ნი **გაბაიძე საზოგადოებას შესჩივის, რომ ბ-ნი ჩოჩელი გადახდისუუნაროა.** შესჩივის, ვინაიდან **თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება აღარ საჩივრდება** და ბ-ნი **გაბაიძეც, როგორც კანონმორჩილი მოქალაქე და ადვოკატი სევდიანად შენიშნავს, „იძულებულნი ვართ, სასამართლოს გადაწყვეტილებას დავემორჩილოთ.“**

თუმცა **სხვის ჯიბეში ხელის ფათური ერთობ უკადრისი საქციელია**, ვინაიდან **საქმე ნაჩინოვნიკარს ეხება**, არ დავიზარე და ბ-ნი **ჩოჩელის ქონებრივ დეკლარაციებს შევავლე თვალი** (იმის გასარკვევადაც, რამდენად გულწრფელია ადვოკატის კაეშნიანობა).

შევავლე და შთაბეჭდილებებს თქვენც გაგიზიარებთ: ასე, მაგალითად, **2008 წელს** შევსებული დეკლარაციის თანახმად, **მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორ ცეზარ ჩოჩელს ნაღდი ფულის სახით 300 000 აშშ დოლარი ჰქონდა**, მის **მეუღლეს კი – 20 000** აშშ დოლარი, **2009 წელს ბ-ნი ჩოჩელი, ნაღდ ფულად, 200 000 აშშ დოლარის** ამარა იყო დარჩენილი, მისი **მეუღლე, სულ რაღაც, 10 000-ისა**. 2010 წელს **ხელში 220 000 აშშ დოლარი ეჭირა**, მის **მეუღლეს – 7 000**. 2011-ში **გუბერნატორს 205 000 ლარი ჰქონდა**, მის **მეორე ნახევარს შეუდარებლად ცოტა – 8 000 ლარი**.



2012 წლის დეკლარაციის თანახმად კი, **გუბერნატორი ნაღდ ფულად 170 000 ლარსა და 50 000 აშშ დოლარს ფლობდა**, მისი **მეუღლე – 30 000 აშშ დოლარს** (აღარ დავწვრილმანდები ჩოჩელების კუთვნილი უძრავ-მოძრავი ქონების ჩამონათვალით, რომელიც არანაკლებ შთამბეჭდავია).

ამ ჯიუტი ციფრების გათვალისწინებით კი, ჩნდება ეჭვი, რომ ბ-ნი **გაბაიძე აინშტაინის თავგადაკლული გულშემატკივარია** და **მტკიცედ სწამს, რომ ყველაფერი შეფარდებითია** (მაშინაც კი, როცა საქმე 150-ლარიანი საარსებო მინიმუმის მქონე ქვეყნის გუბერნატორს ეხება)!

გამოჰუმანურებულები

„ერთ ბედს ქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ“

სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, **მაინცდამაინც, დიდი ჰუმანურობით ვერ გამოვირჩევით** და იმ ინფორმაციის გათვალისწინებით, **რაც საპატიმროებში ხდებოდა,** სავსებით **ბუნებრივია, რომ დიდად გულს ვერც ამ ამბით გაგიხეთქავთ**. თუმცა, როგორც უნდა იყოს, **აღმოჩნდა, რომ არანაკლებ უბედურია ამ ქვეყნის ოთხფეხათა ცხოვრება.**

რაკი ამ ჩვენი კანონმდებლობით (სხვათა შორის, იმიტომ რომ დასავლელმა პარტნიორებმა დაგვაძალეს), **მაწანწალა ძაღლები და კატები დაცულები არიან, მათ** აღარ ხოცავენ და **აცრებსაც უტარებენ** (ყოველ შემთხვევაში, უნდა უტარებდნენ) **და სტერილიზაციასაც** (რომ მათნაირი უბედური და მშიერი ოთხფეხების ამქვეყნად მოვლინება აღიკვეთოს).

მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, **საქმე მთლად ასე უღრუბლოდაც ვერ ყოფილა**: „ცხოველთა გადარჩენის სახალხო ფრონტი“ „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე ავრცელებს ინფორმაციას, რომ **მერიის მუნიციპალურ თავშესაფარში არაერთ მაწანწალა ძაღლს სტერილიზაცია გაუტკივარების გარეშე გაუკეთეს** და ასე **იარაგახსნილები ისევ იქ დააბრუნეს, საიდანაც წაიყვანეს.**

ჩვენ არ ვიცით, რამ **გაასადისტა თვით ვეტერინარებიც კი**, თუმცა, **თუ ციხის ისტორიებს გავიხსენებთ,** შესაძლოა, **მოვლენები, სწორედაც რომ, ლოგიკურად ვითარდება** (თუმცაღა მეცხრამეტე საუკუნის ქართული რეალობის ლოგიკით): **„შენ პირუტყვი ხარ და მე, მეტყველი, ეგ, ჩემო ლაბავ, ნუ შეგშურდება“,** ოღონდ ისიცაა, რომ ეს დიდი ვერაფერი შეღავათია ვერც საქართველოს ორფეხა და ვერც ოთხფეხა ბინადრებისთვის!

სიუჟეტშეძრულები

„გლოვის საათია“

იმ მარტივი მიზეზით, რომ **ლამის ერთადერთ ოპოზიციადაა დარჩენილი,** ერთადერთად, **ვინაიდან მხოლოდ მას აქვს პოლიტიკურ პროცესებზე ზემოქმედების საშუალება** (როგორც მმართველი კოალიცია განმარტავს, საპარლამენტო ხმები აქვთ და იმიტომ), სავსებით **ბუნებრივია, რომ ყველაზე აქტიურად აქარაში ერთი წლის გოგიტა აბაშიძის დალუპვას ყველაზე აღშფოთებით სწორედ „ნაცმოძრაობა“ გამოეხმაურა.**

იმდენად **გულთან ახლოს მიიტანა მომხდარი, რომ საქართველოს პრეზიდენტმა თავის ფერადგუმბათიან სასახლეზე დროშაც კი დაუშვა** გლოვის ნიშნად (იმის დასტურადაც, რომ გმობს ამჟამინდელი ხელისუფლების გულგრილობას).

გასაკვირი ამ ჟესტში არაფერი იქნებოდა, რომ არა ერთი მაგრამ, რაზეც ერთ დროს სკოლაში გვასწავლიდნენ: **„ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო“.** სახელდობრ, ჯერ კიდევ **2012 წლის ივლისში გამოაქვეყნა „იუნისეფმა“ კვლევის შედეგები,** რის მიხედვითაც, ირკვევა, რომ **საქართველოში 77 ათასი ბავშვი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს** (დღეში, დაახლოებით, 2 ლარამდე მოიხმარს). **ფარდობითი სიღარიბით კი 205 ათასი ბავშვის ცხოვრებაა დამძიმებული.**

საერთო ჯამში, **ჩვენი 18 წლამდე ასაკის მოსახლეობის 35 პროცენტი ღარიბ-ღატაკია** (ესე იგი, **მშიერიც და ჯანმრთელობაშერყეულიც**).

უფრო მეტიც, იმავე კვლევით, დადგენილია, რომ **საქართველოში ყოველწლიურად 5 წლამდე ასაკის 800 ბავშვი იღუპება** (მათგან **სამასის დალუპვის მიზეზი კი კვების დეფიციტია).** ამიტომაც სავსებით ბუნებრივია, რომ, **ამ მაჩვენებლით, საქართველო ევროპის 44 ქვეყანას შორის 42-ე ადგილზეა.**

როგორც მოგახსენეთ, ხსენებული **მონაცემები 2012 წლის ივლისში გამოქვეყნდა,** თუმცა **ქართულ საერთო მაუწყებლებს კამერაც არ შეუბერტყავთ** (ან კი **როგორ შეიბერტყავდნენ, როდესაც 2012 წლის პირველ ოქტომბრამდე ქვეყანაში გაჩაღებული აღმშენებლობის პროცესის გაშუქებით ოფლი მიკროფონებიდან შადრევნებად ასხამდათ**) და, მაინცდამაინც, არც დაშვებული დროშები მოგვხვედრია თვალში. ხოლო, რაკი **ვითარება შეცვლილია** (ანუ **დროშაც დაშვებული** და **საერთო მაუწყებლებიც ერთი წლის ბავშვის დალუპვის გამო სიუჟეტშეძრულნი ბრძანდებიან**), სულ მცირე, უნდა ვივარაუდოთ, რომ, **თუ ერთ მხარეს „ბოლო აკვირვებს“,** ისინიც არანაკლებ ხალხურად **იგულიანებენ თავს: „ჩემი შენ გითხარიო, გული მოგიკალიო“.**

„ონ ტრონუტ“

ია ტოჟე!

2008 წლის 27 ნოემბერს საქართველოს კულტურის მინისტრ გრიგოლ ვაშაძის **წერილი თავისი რუსი კოლეგისადმი შემდეგი სიტყვებით იწყებოდა** (რუსულიდან თარგმანი ჩემია): **„პატივცემულო ალექსანდრ ალექსეევიჩ, ნება მიბოძეთ, მადლობა გითხრათ მოლოცვისა და თბილი სიტყვებისთვის, გამოგიტყდებით, შეძრული ვარ** („ია ტრონუტო).“

ამის შემდეგ **მაშინ ჯერ კიდევ რფ-ის მოქალაქე** გრიგოლ **ვაშაძე პატივცემულ ალექსანდრ ალექსეევიჩს რუსეთში ქართული კოლექტივების კონცერტების ჩატარებას სთავაზობდა** (კვლავ წერილიდან მოვიხმობ ციტატას: **„აუცილებელია კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა რუსეთსა და საქართველოს შორის „კულტურული ხიდის“ აღდგენისა**). რაც მთავარია, **ქართული მხარე ხარჯების გაღებასაც სრულად კისრულობდა** (იმის გათვალისწინებით, რომ ამ წერილის მიწერამდე სამიოდე თვით ადრე, 2008 წლის აგვისტოში რფ-ის შეიარაღებულ ძალებს გულუხვად დაუტოვეს სამხედრო საწყობები, ამის ფონზე რამდენიმე კონცერტის დაფინანსება რაღა მოსატანია?!).

თავის მხრივ, ბ-ნ **ვაშაძეს არ უარუყვია მიწერ-მოწერის ფაქტი,** თუმცა **პირამიდებივით სდუმან, აქეთ – ბ-ნი ვაშაკიძე** (რომელმაც „ერისიონის“ გასტროლები აგვისტოს ომში დაღუპული ქართველი ჯარისკაცების საფლავზე ცეკვა-თამაშად შეაფასა), **იქით – „პატრიოტი“ მაზმანიანი** (აქციით რომ დაგმო „ერისიონის“ კონცერტები).

სამაგიეროდ, ბ-ნი **ვაშაძე იმითაა შეფიქრიანებული, თუ რა მანქანებით ჩაუვარდა ხელში ზემომოყვანილი წერილი** ბ-ნ **ხუხაშვილს** (სწორედ მან ამცნო ფართო საზოგადოებას წერილის შინაარსი). კერძოდ, ორგზის („ტოესტ, **დვაჟდი“) ნამინისტრალი ბრძანებს,** რომ, **რადგან მიმოწერა კონფიდენციალურია** (არადა, ეს გრიფი წერილს არ აზის), **ის არც ახლა და არც ოცი წლის შემდეგ** (თუნდაც, **ცხრა ლახვარი რომ დაარტყან ცხრაჯერ გულში**) არ მისცემს საკუთარ თავს აღნიშნულ თემაზე საჯაროდ საუბრის უფლებას. იქვე კი **სვამს რიტორიკულ კითხვას: „მე მაინტერესებს, კულტურის სამინისტროს რომელმა კლინიკურმა იდიოტმა გადასცა ეს წერილი** არასამთავრობო ორგანიზაციას (ვითომ **არაკლინიკური იდიოტიც არსებობს**)?!“ უფრო მეტიც, **გამოძიების დაწყებასაც ითხოვს თემაზე:** „რადგან მე ვიცი, რომ ამხანაგი ხუხაშვილი არც ერთ უწყებაში არ მუშაობს. **რა უფლებით გადასცეს მას სახელმწიფო მოხელის მიმოწერა.“**

ჩვენ არ ვიცით, **დაიწყებს თუ არა** ბ-ნი (გნებავთ, **ამხანაგი) ვაშაძის შეძახილზე გამოძიებას შესაბამისი ორგანო,** სხვათა შორის, **არც ის, რატომ არის ეს ამ წერილის შინაარსზე უფრო მნიშვნელოვანი,** ამდენად, ჩემი შთაბეჭდილების გამოსახატავად ნამინისტრალს დავესესხები (სადაც ის ამბობს, „ია ტრონუტ“-ო), **„ია ტოჟე ტრონუტა“** (ანუ გადავდექი ჭკუიდან – თარგმანი კვლავ ჩემია) **ყოფილი მმართველების ორმაგი სტანდარტებით!**

რჩევანაჭყორცნები

და ასპირანტობას დაჯერებულები

თუმცა **ამთავითვე აშკარაა, რომ ვილნიუსის სამიტზე კრამიტებს არათუ ევროკავშირულად, ჩვენებურადაც ვერ ავუტეხავთ რაკარუკს,** მაგრამ **ეს ხელს ვერ უშლის** (ან კი როგორ შეუშლის) **ქვეყნის ამაგდარ პირველ პირს, რჩევა-რჩევაზე მისცეს ახალ** და **ჯერ კვლავაც ნორჩ ამ ჩვენს მთავრობას** (სინორჩეში, ბუნებრივია, დანიშვნიდან ხუთთვიანობას ვგულისხმობ).



ერთ-ერთი **ბოლო რჩევა პოლიტიკურ ოპონენტებს** ბ-ნმა **სააკაშვილმა თავისუფალი მასმედიის მიმართულებით სტყორცნა.** კერძოდ, **ბრძანა: „მთავრობა რაც ნაკლებად ჩაერევა ტელევიზიების მუშაობაში, მით უკეთესი“.**

მეტიც, **პირველი პირი საზოგადოებრივი მაუწყებლის მუშაობითაც ფრიად კმაყოფილია** (რატომ არ იქნება, როდესაც **ამ არხის საინფორმაციო საბჭოთა „მოამბის“ პათოსს ვერა და ვერ გასცდა**) და მთავრობის წარმომადგენლებს მოუწოდებს: **„მთავრობა, თუ ახლოს არ გაეკარება რომელიმე ტელევიზიის მუშაობას, ეს არის კარგი** (მარტო მე უნდა გავეკარო?!). ჩვენ ასეთ თემებთან უნდა ვიყოთ ძალიან ფრთხილად, იმიტომ რომ **საქართველოს უდგება საკითხი, მივიღებთ თუ არა ასოცირებულ შეთანხმებას ვილნიუსის სამიტზე“.**

შესაბამისად, კვლავაც **პირველი პირი ასკვნის, რომ, „თუ ამ მატარებელმაც გაგვასწრო, შემდეგ მატარებელზე ლოდინი მოგვინევს ძალიან დიდხანს** (არადა, **ხომ ზუსტად იცის, რომ ვილნიუსის სამიტზე არავინაც არაფერს არ მოგვცემს?!).“**

იცის თუ ვერ ხვდება, მთელ **ამ საპრეზიდენტო შეგონებაში მთავარი მაინც ლაიტმოტივია** (ხელები შორს მედიისგან!), ხოლო, თუ გავიხსენებთ, რომ **ბოლო 9 წლის განმავლობაში ქართული საერთო მაუწყებლებისა და ქართული ხელისუფლების კავშირი ერთობ ცოდვიანი იყო** (საერთო მაუწყებლების ჟურნალისტები გულში დამეთანხმებიან, ვინაიდან არაერთი სიუჟეტი მოუმზადებიათ, მხოლოდ დირექტივებს ვინ ჩივის, მინისტრებთან დუეტში), ბ-ნ სააკაშვილს თავად რომ **ესარგებლა ამ შეგონებით,** თუ მთლად ევროკავშირში ვერა, **„ნატოს“ ასპირანტობას ხომ უკვე გაცდენილი ვიქნებოდით?!**

გვერდები მოამზადა
ნინო ხაჩიძემ

ევროკავშირში შესვლა მხოლოდ სიტყვიერად გამოდის, სინამდვილეში ყველაზე მდიდარი ქართველი ბიზნესმენები ცხოვრობენ და მუშაობენ რუსეთში. ფულის ძირითადი მასა საქართველოში მიდის რუსეთიდან

გასულ კვირას რუსეთისა და საქართველოს წარმომადგენლები სოჭში ალექსანდრე ანქვაბს შეხვდნენ. თითქოს ამას არანაირი კავშირი არ აქვს რუსეთ-საქართველოს შორის ერთმანეთის მიმართულებით გადადგმულ ნელ ნაბიჯებთან, თუმცა აშკარაა, რომ ურთიერთობის აღდგენისთვის რფ-ც ემზადება. მეორე მხრივ, უცნობია მისი პირობები: ჯერჯერობით საუბარი მხოლოდ რუსული ბაზრის გახსნაზეა (პროცესი საკმაოდ ნელა მიმდინარეობს). რუსი პოლიტელიტის წარმომადგენლები არ მალავენ, რომ რუსეთი არ ჩქარობს, რადგან საქართველოში ორხელისუფლებიანობის დასრულებას ელოდება. როგორ წარმოუდგენია მეორე მხარეს საქართველოსთან ურთიერთობის აღდგენა? – ამჯერად ამ თემაზე მაქსიმ შევჩენკო გაგვიზიარებს თავის მოსაზრებას.

როგორი სქემითაა შესაძლებელი საქართველოსთვის რუსეთის მიერ აღიარებული ტერიტორიების დაბრუნება და მოითხოვს თუ არა მსხვერპლად აშშ-სთან პარტნიორობაზე უარის თქმას

– თქვენც ორხელისუფლებიანობის დასრულებას ელოდებით?

– მე ამ კითხვას სხვანაირად ვუპასუხებ: ეს არის არა ორხელისუფლებიანობა, არამედ, სანამ სააკაშვილი მართავს ქვეყანას და არის პრეზიდენტი, ცვლილებები საქართველოსადმი დამოკიდებულებაში არ იქნება.

– მაგრამ მას თითქმის არ აქვს უფლებამოსილებები?

– ის ძველებურად არის პრეზიდენტი, მას შეუძლია ძალოვანი მინისტრების დანიშვნა, ისინი მას ექვემდებარებიან. სააკაშვილი არის რუსეთის ფედერაციისთვის მიღებელი ფიგურა.

– თქვენ იცით, რომ უკვე მიღებულია საკონსტიტუციო ცვლილებები?

– სანამ ეს ადამიანი ფორმალურად მაინც არის საქართველოს სათავეში, ცვლილებები ურთიერთობაში არ იგეგმება.

– ამის მიუხედავადაც, რაღაც ნაბიჯები იდგმება, ანუ ეს ილუზიაა? მაშინ დალოდებოდით ოქტომბერს, როდესაც ყველაფერი ფორმალურადაც გაიკრვევა და არაფორმალურადაც?

– არა, ეს არ არის ილუზიური. რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობა საკმაოდ რთულია სამი რამის გამო. რუსეთს არ შეუძლია, უარი თქვას აფხაზეთისა და „იუჟნაია ოსეტიას“ სუვერენიტეტზე, ეს მისი სახის დაკარგვა იქნება; მეორე მხრივ, საქართველოს სახელმწიფოსთვის ძალიან მტკივნეულია რუსეთის მიერ აფხაზეთისა და „იუჟნაია ოსეტიას“ დამოუკიდებლობის აღიარება. მესამე შემადგენელი კი არის ის, რომ რუსეთსა და საქართველოს ძალიან სჭირდებათ ერთმანეთი. საქართველოსთვის რუსეთი არის ტრადიციული და მუდმივი ბაზარი პროდუქციისთვის, ინვესტიციისთვის. ევროკავშირში შესვლა მხოლოდ სიტყვიერად გამოდის, სინამდვილეში ყველაზე მდიდარი ქართველი ბიზნესმენები ცხოვრობენ და მუშაობენ რუსეთში. ფულის ძირითადი მასა საქართველოში მიდის რუსეთიდან, სადაც მას გამოიმუშავებენ ქართველები. ქართული კულტურა, რა თქმა უნდა, თვითკმარია, საკმაოდ ძველია, ორიგინალურია, მაგრამ ის მაინც რუსეთთან კავშირში გაიფურჩქნა. ქართული კულტურის მთავარი მყიდველი, ძირითადად, იყო მოსკოვი, პეტერბურგი, რუსეთის სხვა ქალაქები.

– დამეთანხმეთ, ქართულ კულტურას არსად აკლია მაყურებელი.

– მგონია, რომ მაყურებელი აკლია, დღეს ქართული კულტურა დაცემულ მდგომარეობაშია. ქართული კულტურის მთავარი მომხმარებელი ტრადიციულად იყო რუსული ბაზარი. ჩვენ მიჩვეულები ვიყავით ქართულ ენას, აქცენტს, ქცევის მანერას, ქართულ ფსიქოტიპს. ეს არ არის უცხო ჩვენთვის. გვიყვარს კიკაბიძე და ნანი ბრეგვაძე. რაც მთავარია, ისინი უყვარდა მასობრივ მაყურებელს. ამასთან, საქართველო არის მართლმადიდებელი ქვეყანა. საქართველოსთან კავშირის გარეშე რუსეთს არ შეუძლია კავკასიაში მშვიდობის უზრუნველყოფა, რუსეთის გარეშე კი, ჩემი აზრით, საქართველოს არ შეუძლია თავისი ნაციონალური კულტურის განვითარება. საქართველოს ის ტერიტორია, რომელიც თურქეთის შემადგენლობაშია, უბრალოდ გათურქდა. ერდოღანი წარმოშობით ლაზია, მაგრამ ის თურქია. თქვენ იცით ერთი ქართველი მაინც, რომელიც ცხოვრობს რუსეთში, მაგრამ გახდა რუსი?! მე ასეთი მაგალითები არ ვიცი. ალბათ, იყო რაღაც ადმინისტრაციული ნიუანსები მეცხრამეტე საუკუნეში, ვგულისხმობ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებას, სიწმიდეების გატანის შემთხვევებს საქართველოდან, გასული საუკუნის 20-30-იან წლებში ქართველი ინტელიგენციის დახვრეტას, მაგრამ, ამის მიუხედავადაც, ეს კავშირები დიდია.

ამ უხერხულობების პოლიტიკურ დონეზე გადაწყვეტა შეუძლებელია. რაც მეტად მიდის სააკაშვილი, მით მეტად იხსნება საქართველოსთვის რუსული ბაზარი. ჩვენ ველით ქართულ პროდუქციას. პირადად მე არ შემიძლია „ბორჯომის“ გარეშე. ჩუმად შემოჰქონდათ ჩემს მეგობრებს მინსკიდან. ბევრისთვისაა ასე.

– ბაზრის გახსნასაც ოქტომბრის შემდეგ უნდა ველოდოთ?

– როგორც ვიცი, რაღაც დისკუსიები იმართება, მაგრამ სააკაშვილს ხომ უნდოდა ამის ჩაშლა?! სანამ ეს გაუწონასწორებელი ადამიანი თავის პოსტზეა, როგორ შეიძლება, მივაღწიოთ რაღაც შედეგს?! კიდევ რაღაც რომ მოიმოქმედოს?! ომი რომ არ ყოფილიყო, „იუჟნაია ოსეტიასთან“ ვითარება თითქმის გარკვეული იქნებოდა. თბილისში ივლიდნენ სასწავლებლად ცხინვალიდან და მოლაპარაკებები იქნებოდა ერთიანობის დეტალებზე.

– ჩვენ ხომ დავკარგეთ და დავკარგეთ, მაგრამ ოსებმაც დაკარგეს ცხინვალის რეგიონი, იქ უფრო მეტი რუსი სამხედრო მოსამსახურეა, ვიდრე სამხრეთელი ოსი.

– მაგრამ სამხრეთელმა ოსებმა შეიძინეს ჩრდილოეთ ოსეთი.

– ჩრდილოეთ ოსეთი სხვაა, ცხინვალის რეგიონი – სხვა.

– ყველანი ჩრდილოეთ ოსეთში გადაბარგდნენ. იქ კი არ არის მარტივი შიდა სიტუაცია. ჩრდილო ოსები სრულიად სხვანაირები არიან. ასეა თუ ისე, ქართული სოფლები ხომ ლიკვიდირებულია?! ეს უდიდესი ტრაგედიაა. სანამ სააკაშვილი იქავ, დალაპარაკების პროცესი გართულდება, თუმცა დარწმუნებული ვარ, ის ცვლილებები, რაც საქართველოში ხდება, დადებითად აისახება პრობლემების კომპლექსზე, მათ შორის, ტერიტორიების საკითხზეც. ჩემი პოზიცია ასეთი იყო და არის: თბილისმა ურთიერთობები უნდა დაალაგოს ცხინვალთან და სოხუმთან პირდაპირი წესით. ამას არ აქვს ალტერნატივა.

– მაგრამ ცნობილია, რომ სწორედ რუსეთი ეწინააღმდეგებოდა ამ პირდაპირ დიალოგს?

– დასავლეთიც ეწინააღმდეგებოდა ყოველთვის რუსეთისა და საქართველოს პირდაპირ დიალოგს. ითვლებოდა, რომ ბრიუსელისა და ვაშინგტონის გარეშე არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია, არადა, თურმე შეგვიძლია, თუკი იცვლება ხელისუფლება. ხელისუფლება შეიცვალა როგორც მოსკოვში, ისე თბილისში.

– ფიქრობთ, რომ მოსკოვში შეიცვალა ხელისუფლება?

– მედვედევი წავიდა და პუტინი მოვიდა, ესე იგი, შეიცვალა! ხომ გახსოვთ, რომ მედვედევმა აღიარა აფხაზეთი და „იუჟნაია ოსეტია“?

– მახსოვს და ჩვენი პოლიტოლოგების ნაწილი ამ დეტალზე ამახვილებდა ყურადღებას.

– საჭიროა ბევრი პრაგმატიზმი და ნაკლები დაყრდნობა იმაზე, რას იტყვიან ოკეანის გაღმა. ბოლო წლებში თბილისი და მოსკოვი შუამავლების საშუალებით ურთიერთობდნენ. რაში გვჭირდება შუამავლები?! ჩვენ, რა, ერთმანეთს არ ვიცნობთ?! მგონია, პირდაპირ შეგვიძლია მოლაპარაკება, ისევე, როგორც ქართველები პირდაპირ უნდა მოელაპარაკონ აფხაზებს. მე ვიცი, რომ აფხაზები დასასვენებლად მიდიან თბილისსა და ბათუმში. თუ ომი არ იქნება 10 წელი მაინც, ადამიანური ურთიერთობები აღდგება. თუ ხელისუფლებაში არ იქნებიან ფსიქოპათები, კავკასიის სისხლის მიმოქცევა ბუნებრივად აღდგება, გაივლის იმ გზებს, რომლებსაც ყოველთვის გადიოდა.

– დაობენ საქართველოს ახალი ხელისუფლების ორიენტაციაზე. თქვენ როგორი შთაბეჭდილება გრჩებათ?

– ბიძინა ძლიერად იყო დაკავშირებული რუსეთთან, ის იყო მსხვილი მეტალურგიული

და სამთომომპოვებელი საწარმოების მფლობელი, მან ბევრი რამ ააშენა მოსკოვში. მათ შორის, მისი საკუთრება იყო „ინტერკონტინენტალი“ მოსკოვის ცენტრში, რომელიც შემდეგ გაყიდა. რუსეთში მას ძალიან კარგად იცნობენ, ამიტომ ის არ არის უცხო ადამიანი ჩვენთვის და ზუსტად ვიცით, რომ არ არის ჩვენი მტერი. მეორე საქმეა, რომ ვაშინგტონი იმდენად მყარად დაფუძნდა საქართველოსა და კავკასიაში, რომ ივანიშვილს პოზიციების მათთან შეთანხმება მოუწევს; მადლობა ღმერთს არა გონებადაბინდულ „რესპუბლიკელებთან“, არამედ უფრო გონიერ და შერაცხად „დემოკრატებთან“. მე ვერ ვხედავ პრორუსული მიმართულებას, პირიქით, მაგალითად, ალასანია მკაფიოდ პრამერიკელი კანდიდატია, რომელიც თავიდან ბოლომდე დამოკიდებულია აშშ-ის „დემოკრატიულ“ მთავრობაზე. მას შემდეგ, რაც ალასანიამ დაამთავრა „კა გე ბეს“ სკოლა, სწავლობდა იმავე პროფილის სკოლაში ამერიკის შეერთებულ შტატებში. მთავრობაში ივანიშვილი და ალასანია საკვანძო ფიგურებია, დანარჩენები მათზე თამაშობენ. ასე რომ, სწორედ მათ შორის კონკურენცია იქნება არსებითი.

– ფიქრობთ, რომ ივანიშვილის გარეშე ალასანიას აქვს პოლიტიკური წონა?

– ალასანიას სერიოზული წონა აქვს, მის უკან დგას დღევანდელი ვაშინგტონი. ალასანიას მთავარი რესურსია ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედი „დემოკრატიული“ მთავრობა.

– ვინ დგას ბიძინა ივანიშვილის უკან, თქვენი აზრით?

– ბიძინა ივანიშვილი ძალიან საინტერესო პოლიტიკოსია. როგორც ვხედავ, მას შეუძლია რამდენიმე სვლის წინასწარ გათვლა.

– შეგიძლიათ, მაგალითები დაასახელოთ?

– სააკაშვილის გუნდის თანდათანობითი გამოძევება ეფექტური და ეფექტიანი ტაქტიკური სვლებით. თითქოს ის არავის ემუქრებოდა არჩევნების დროს, მაგრამ გამარჯვების შემდეგ ჩვენ ვხედავთ, როგორ იღებს და იმაგრებს პოზიციებს, ბიზნესსქემით მოქმედებს და ნებელობითი ნაბიჯებით თანდათანობით იპატრონებს აქციების საკონტროლო პაკეტს. ის ყოველთვის ასე მოქმედებდა ბიზნესში, ეს მისი ბიზნესმანერა იყო: თითქოსდა თავის მოწინააღმდეგეებს არ უტოვებს არც ჰაერს, არც სივრცეს მანევრისთვის. მით უმეტეს, რომ სააკაშვილის ყველა წარმატება დამოკიდებული იყო მის პატრონებზე აშშ-დან. მას მეურვეობდნენ მაკეინი, ბუში, „რესპუბლიკელები“, ის არ იყო პოლიტიკოსი, ის თითქოს იყო ამერიკის ელჩი საქართველოში. ბიძინა კი სერიოზული კაცია, მდიდარი, მას ფული აქვს ჩადებული ამერიკაში, იქ ჰყავს სერიოზული პარტნიორები, მას შეუძლია მოლაპარაკებების წარმოება არა როგორც ბიჭს, რომელიც გამოზარდეს და შემდეგ გამოუშვეს საქართველოში, არამედ, როგორც დამოუკიდებელ ფიგურას. ის დამოუკიდებელი მოთამაშეა. მისი კონტაქტი ამერიკელებთან დაფუძნებულია მის პირად ბიოგრაფიასა და პირად ეკონომიკურ და პოლიტიკურ პოზიციას.

– თქვით, რომ ივანიშვილი მოქმედებს ბიზნესსქემით, ამ სქემის მექანიკურად პოლიტიკაში გადმოტანა ისევე ეფექტიანი იქნება თუ რაღაც კრეატიულობა მაინც საჭიროა?

– საჭიროა ქართველი ხალხის მენტალიტეტის ცოდნა. მგონია, რომ ბიძინას ესმის ქართული მენტალიტეტი, ის მშრომელი ადამიანია, მას შეუძლია საერთო ენის მონახვა ნებისმიერ ადამიანთან. მხოლოდ ბიზნესსქემით ფონს ვერ გავა; მესმის, რომ მთელი ქართული პოლიტიკა კონცენტრირებულია თბილისში და მთავარია იქ გაითამაშო პა-სეანსი, მაგრამ, მგონია, რომ ბიძინას შეუძლია სოფლის მოსახლეობის გაგებაც.

– ჩვენ ვიცით, რა მოიტანა შევარდნაძის დაბალანსების პოლიტიკამ, შემდეგ ვხედავთ, სად მივედით სააკაშვილის მკვეთრი პრო-ამერიკული პოზიციით, თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს ქართული პოლიტიკა, რომ მინიმალური ზიანი მიაყენოს ჩვენს ქვეყანას?

– ქართველი პოლიტიკოსი უნდა მოქმედებდეს ქართველი ხალხის ინტერესით.

ჩვენ ველით ქართულ პროდუქციას. პირადად მე არ შემიძლია „ბორჯომის“ გარეშე. ჩუქად შემოჰქონდათ ჩემს მეგობრებს მინსკიდან. ბევრისთვისაა ასე

– თქვენ როგორ გესმით ეს ინტერესები?

– მართლმადიდებლობა, ენა, ქართული ცნობიერება.

– და ეს საკმარისია, როდესაც ისეთ ადგილას ცხოვრობ, სადაც უამრავი ქვეყნის ინტერესი იკვეთება?

– ეს პირველი და მნიშვნელოვანია. სააკაშვილის პრობლემა ის არის, რომ ამას ეჭვით უყურებდა. პირველი პირობაა, რომ უყვარდეს საქართველო, როგორიც ის იყო და როგორიც მოვიდა უძველესი დროიდან და სააკაშვილივით არ ეცადოს მის გადაკეთებას. მეორე პირობაა, მას უნდა შეეძლოს ლაპარაკი კავკასიელებთან: აფხაზებთან, ჩრდილო კავკასიელებთან, რუსებთან. სააკაშვილმა, სამწუხაროდ, ეს არ იცოდა. ის არც იყო კავკასიელი. მე ვაკვირდებოდი მას: როგორ მეტყველებდა, როგორ მოძრაობდა და ეს არ იყო კავკასიელის მოქმედება. მესამე პირობაა ორიენტაციის საკითხი. ჩემი აზრით, რუსეთთან მჭიდრო კავშირის გარეშე შეუძლებელია იმ ძირითადი პრობლემების გადაჭრა, რაც ინტერვიუს დასაწყისში ჩამოვთვალე. მე არ ვიტყოდი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, არამედ ქართველი ხალხის მიერ იმ სივრცის დაუფლებას, რომელსაც ის შეეჩვია. ეს ხომ არ არის აუცილებელი მაინცდამაინც ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში?! შესაძლებელია კონფედერაციის, კავკასიური კავშირის შექმნა.

– და რუსეთი როგორლა შეინარჩუნებს ამ კონფედერაციაში სახეს?

– თუ თბილისი დაიწყებს ლაპარაკს სოხუმთან და ცხინვალთან და თვითონ განიხილავს იმ პრობლემებს და მოილაპარაკებს, რუსეთისთვის ეს ნორმალური ვითარება იქნება.

– ანუ ამას დაერქმევა აფხაზებისა და ოსების თვითგამორკვევა?

– თქვენ შეგიძლიათ, მოილაპარაკოთ კონფედერაციაზე, როგორ შეუძლიათ ქართველებს ჩასვლა ცხინვალსა და სოხუმში. იქ დასვენება და მუშაობა. რუსეთს შეუძლია, იყოს შუამავალი. ადამიანური ურთიერთობით უნდა დავიწყოთ. ანუ მესამეა ორიენტაცია რუსეთზე. დღეს საქართველოში ყველაზე მსხვილი ინვესტორი არის თურქეთი. საქართველო თანდათან იქცევა რუსეთსა და თურქეთს შორის კონკურენციის ასპარეზად. არადა, რუსეთსა და თურქეთს შორის არ არის მარტივი ურთიერთობა. ჩვენ არ ვაპირებთ, ჩავაბაროთ მართლმადიდებელი სირია ახალი ოსმალეთის ხალიფატს. მით უმეტეს, არ ვაპირებთ, ჩავაბაროთ მართლმადიდებელი საქართველო ოსმალეთის ახალ ხალიფატს. თურქეთის გავლენის გაძლიერება არ არის საქართველოს ინტერესებში.

– ჩვენ გამოვტოვეთ დასავლეთი, როგორც ფაქტორი და როგორც ამ პროცესების აქტიური მონაწილე.

– რაც მალე დაკავდებიან კავკასიით ის ქვეყნები, რომლებიც წარმოადგენენ კავკასიას: საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი, თურქეთი, ირანი, მით უკეთესი. ამერიკელები უნდა წავიდნენ კავკასიიდან და რაც მალე გავყრით მათ, მით სწრაფად გამოვნახავთ საერთო ენას. სანამ ამერიკის ელჩი იქნება დღის წესრიგის მთავარი შემდგენელი, კავკასიაში არ იქნება მშვიდობა.

– ამერიკა როდესაც არის, უფრო დალანასებულია რუსეთი და თურქეთიც ყველა მოთმაშეებსთან ურიერთობაში.

– ჩვენ მოთამაშეები კი არა, კავკასიის სახელმწიფოები ვართ.

– როდესაც რუკას შეხედავ, აშკარაა, რომ საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი უმცირესობაში ვართ.

– უნდა მოვილაპარაკოთ. აფხაზეთიც პატარაა და საქართველო დიდია, მაგრამ ამ პატარა აფხაზეთმა ხომ უნდა მოილაპარაკოს დიდ საქართველოსთან?!

– რა უცნაურია, პატარა აფხაზეთმა დამარცხა დიდი საქართველო. თუმცა ეს სხვა თემაა.

– კავკასიის ბედი კავკასიურმა სახელმწიფოებმა უნდა გადაწყვიტონ, რომლებსაც ტრადიციულად აქვთ ინტერესი კავკასიაში. ესენია: რუსეთი, ირანი, თურქეთი. შეიძლება, დამკვირვებლად მოვიწვიოთ ევროპა. ამერიკა კი უნდა წავიდეს კავკასიიდან!

ნინო ხაჩიძე

„ოქსფორდის აკადემია“

აცხადებს მიღებას სხვადასხვა სერტიფიცირებულ პროგრამებზე:

ზოგადი ინგლისური – გრამატიკა, საუბარი, მოსმენა, წერისა და კითხვის უნარების გაუმჯობესება;

სასაუბრო ინგლისური – ერთთვიანი პროგრამა უცხოელ სპეციალისტთან ერთად;

გუღალტერია – თეორია და პრაქტიკა; ORIS & SuperFin.

ორგანიზაციული მენეჯმენტი – სრული კურსი, სადაც ისწავლება: ზოგადი მენეჯმენტი; HR მენეჯმენტი და PR მენეჯმენტი, პროექტების მართვა, სტრატეგიული დაგეგმვა, პრეზენტაციის უნარები და სხვა.

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: ტელ. 2 30-59-30 ან გვეწვიეთ: მის. კოსტავას №20 (ფილარმონიასთან).
www.oxfordacademy.ge
Facebook.com/OxfordAcademy.ge

თუკი საქართველოში ბენზინის ფასის მდგენელები მხოლოდ ყურმოკვრით ვიცით, ევროკავშირის ქვეყნებში ეს ინფორმაცია გამჭვირვალეა და თითოეული ქვეყანა საჯაროდ აქვეყნებს, თუ რა წილი უჭირავს საწვავის ღირებულებაში ბენზინის შესასყიდ ფასს, ადგილობრივ გადასახადებსა თუ მოგებას. ადვილი მისახვედრია, რომ სქემა საქართველოს შემთხვევაშიც იგივეა. შესაბამისად, ჩვენებური ნავთობიმპორტიორები გვაყვედრიან, რომ ევროპულ ბენზინს ევროპულ ფასზე იაფად გვაწვდიან, თუმცა დადგენილია, რომ საქართველოში იმპორტირებული ბენზინი ვერ აკმაყოფილებს ევროპულ სტანდარტებს და ის, საუკეთესო შემთხვევაში, მხოლოდ ნამყოფია ევროპაში (სავარაუდოდ, საქართველოში შემოტანილი ბენზინი დამუშავების სრულ ციკლს არ გადის, რაც, ბუნებრივია, ნიშნავს, რომ ევროპულ ხარისხთან საერთო არაფერი აქვს, შესაბამისად, ევროპულ ფასებთან შედარებით სიიაფის გამოც ტყუილად გვამუნათებენ).

ამის პარალელურად, იმის ეჭვიც არსებობს, რომ ქართულ ბაზარზე კონტრაბანდული ბენზინი შემოდის (ყოველ შემთხვევაში, შემოდიოდა) და ამ მოსაზრებას ამყარებს, ერთი მხრივ, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ ნავთობის ბაზრის კვლევის შედეგები, მეორე მხრივ კი, ოფიციალური სტატისტიკა: 1997 წლიდან დღემდე საქართველოს ავტოპარკი 2,5-ჯერ გაიზარდა, ბენზინის იმპორტის მაჩვენებელი იგივე დარჩა.

ამ უხერხულობების მიუხედავადაც, ბენზინის ფასმა პირველი ოქტომბრის შემდეგ, დაახლოებით, 15-17-თეთრით დაიკლო. რამდენად ადეკვატურია ასეთი კლება და რატომ ვერ ხერხდება საქართველოში ბენზინის ხარისხისა და ჯანსაღი საბაზრო ურთიერთობებისთვის შესაფერისი ფასის დადგენა. თემაზე ᲓᲔᲛᲣᲠ ᲒᲘᲝᲠᲮᲔᲚᲘᲫᲔ გვესაუბრება.

რატომ ღირს საქართველოში ბენზინი უფრო ძვირი, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში და ვინ მფარველობს პირველი ოქტომბრის შემდეგ საწვავის ოლიგოპოლიურ ბაზარს

– მოდი, პირდაპირ ვთქვათ, ეს არის ყველაზე დიდი შავი ხვრელი, რომელიც წლების განმავლობაში ფუნქციონირებდა ხელისუფლების ხელდასმით; წლების განმავლობაში ხელისუფლებასთან ასოცირებულმა ხალხმა ჩამოაყალიბა ეს მონოპოლიები და მეორეხარისხოვანია, მათ რა სახელები ჰქვიათ. საწვავის ბაზარი კლასიკური ოლიგოპოლიური ბაზარია, როდესაც რამდენიმე სუბიექტი განაგებს ამ ბაზარს და გამორიცხული იყო, რომ სხვა შესულიყო. თუ შევიდოდა, ეს დამთავრდებოდა დაჭერით და ბიზნესისა და ქონების წართმევით. ამდენად, ეს ოლიგოპოლიური ბაზარი დღესაც ფუნქციონირებს, ახალი ხელისუფლების პირობებში. რა თქმა უნდა, გაჩნდნენ ახალი შემომტანები, მაგრამ იმდენად მყარადაა ჩამოყალიბებული ეს ოლიგოპოლიური ბაზარი, გამორიცხულია, ამ დიდი მონსტრების ჩანაცვლება მოახდინო, რომლებსაც დიდი კაპიტალი დააგროვეს, აქვთ თავიანთი ინფრასტრუქტურა. თანაც, მახინჯი საბანკო სისტემა არ დაუშვებს ინიციატივიანი ჯგუფებისთვის კრედიტების გამოყოფას ამ ბიზნესისთვის.

– მახინჯი რატომ?

– იმიტომ რომ საკუთარ შვილობილ კომპანიებსა და ხელისუფლებასთან ასოცირებულ კომპანიებს აფინანსებდა მხოლოდ, დანარჩენებს, თვენახევრიანი წვალების შემდეგ, ტელევიზორისა და ტელეფონის ფულს თუ მისცემდა. თქვენ აბსოლუტურად სწორად მიანიშნეთ. წლებია, საქართველოს საბაჟოზე, ამ ბანდიტურ ორგანიზაციაზე, რაც ნელ-ნელა სწორდება, ეს დიდი ბიზნესჯგუფები განუკითხავად მოქმედებდნენ, ბევრი რამ განუბაჟებელი იყო, საერთო სკანერს აცილებული იყო დიდი ტვირთები, ეს შეგნებულად კეთდებოდა. ფრაზეოლოგიის დონეზე ეს იყო ლიბერალური ეკონომიკა, სინამდვილეში კი, ლიბერალური საქართველოში არაფერი ყოფილა. ეს იყო საუკეთესო პირობებით ყაჩაღობის უფლების მიცემა იმ ბიზნესჯგუფებისთვის, რომელთა ნოლში იჯდა ხელისუფლება და ხელისუფლების წარმომადგენლის გარეშე დღესაც ეს ბიზნესი ვერ იქნება. რაც შეეხება ხარისხს...

რა მნიშვნელობა აქვს, „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები იქნებიან საწვავის ბიზნესში თუ დღეს ახალი ხელისუფლების სახელით მოლაპარაკე თაღლითური ჯგუფები?! ფასი ხომ არ შეიცვალა?! მომხმარებლის ძარცვა ხომ ისევ გრძელდება?!

– აქვე ვიტყვი, საქართველოში იმპორტირებული საწვავის ხარისხი შეესაბამება საქართველოს მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილ სტანდარტს, თუმცა არ შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს, არადა, გვეუბნებიან, ევროპული საწვავი შემოგვაქვსო.

– ვთავაზობ ნებისმიერ მოქალაქეს, გადავიდეთ აზერბაიჯანში, აქვეა, დიდი-დიდი საათ-ნახევარი დაგვჭირდეს, ბენზინგასამართ სადგურზე შევიძინოთ სხვადასხვა სახეობის საწვავი. განვბაჟოთ, გადმოვიტანოთ და ვეცადოთ გაყიდვა, ლარსა და 60 თეთრზე მეტი არ იქნება ფასი, თუ გონივრულ მოგებას ჩადებ. მაშ, საიდან 2 ლარი და 17 თეთრი?! რასაც ვამბობ, იმაზე პასუხს ვაგებ. ანუ აზერბაიჯანში ბენზინგასამართ სადგურზე ნაყიდი ბენზინის, რომელსაც დარიცხული აქვს იქაური გადასახადები, პლუს ჩვენი გადასახადები და მოგება, გამოდის ლარი და 60 თეთრი.

– ოპონენტმა შეიძლება, გითხრათ, რომ აზერბაიჯანის მაგალითი არ გამოდგება, რადგან აზერბაიჯანი თავის ქვეყანაში ბენზინს ჰყიდის სოციალურ ფასად.

– მაშინ წავიდეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში, დოლარზე მეტი არ ღირს იქ ლიტრი ბენზინი. ჩემი ქალიშვილი ამერიკის მოქალაქეა და ვიცი, როდესაც ჩავდივართ, რას და რა ფასად ვასხამთ მანქანაში. რა მნიშვნელობა აქვს, „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები იქნებიან ამ ბიზნესში თუ დღეს ახალი ხელისუფლების სახელით მოლაპარაკე თაღლითური ჯგუფები?! ფასი ხომ არ შეიცვალა?! მომხმარებლის ძარცვა ხომ ისევ გრძელდება?! ესე იგი, ისეთი სიტუაციაა, რომ არავინ გააძლიერებს დამოუკიდებელ ჯგუფებს. ცოტ-ცოტა ოდენობის შემოტანა თავისთავად დაშვებული იქნება, მაგრამ ასე ოლიგოპოლიური ბაზარი ვერ დაინგრევა. ვისაც დიდი ფული აქვს და შეეცდება ამ ბიზნესში შესვლას, მას უბრალოდ ეტყვიან, რომ სხვის ჯგამში კოვზი არ ჩაყოს. ეს არის საერთო ჯგამი, ამ ჯგამს ჰყავს პატრონები და რა მნიშვნელობა აქვს, შეიცვლება თუ არა ამ პატრონების სახელები და გვარები, თუ ბაზარი აბსოლუტურად ჩაკეტილი, ძლიერი ჯგუფების გაჩენის შანსი კი ნაკლები იქნება?!

9 წელია, სააკაშვილის ხელისუფლების მიერ საქართველოს გაღარიბება გამოყენებულია, როგორც ტექნოლოგია. ადამიანები უნდა გააღარიბო, რომ ზუსტად ისე მოიქცნენ, როგორც ეს ჩინგიზ აიტმატოვს აქვს ნათქვამი: მამალს რომ პუტკავ, წესით, უნდა გარბოდეს შენგან, არადა: გაპუტული მამალი ფეხებში გეხვევა, არ გცილდება. ასეა ადამიანიც, თუ მას გააღარიბებ, თუ მის ლუმპენიზაციას მოახდენ, თუ მას დაუკარგავ თავისუფლების შეგრძნებას, ის ხდება მონა და თავისი ბელადის მორჩილი. ასეთ გარემოში რაღაც თავისუფლებასა და ბიზნესზე ლაპარაკი ზედმეტია. ამიტომ ეს ბაზარი ისევ მძარცველურია.

– ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა შეარყევს ოლიგოპოლიურ ბაზრებს?

– ყველაფერი დამოკიდებულია პოლიტიკურ ნებაზე. თუ ანტიმონოპოლიური სამსახურის საქმიანობა იქნება პოლიტიკურად ნებადართული, მნიშვნელობა არ აქვს, ის დამოუკიდებელი სამსახური იქნება თუ არა. განყოფილება ერქვას, რა მნიშვნელობა აქვს?! მთავარია, ფუნქცია ჰქონდეს. ვიცი, რომ პარლამენტში უკვე დევს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის პროექტი, აბსოლუტურად უვარგისი, არაფერს რომ არ შეცვლის.

– რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ შეიცვალოს?

– მთავარი რა არის? ანტიმონოპოლიურ სამსახურს ჰქონდეს უფლება, ირიბი მტკიცებულებების საფუძველზე სასამართლო წესით დაამტკიცოს კარტელური გარიგებების არსებობა, დაშალოს მონოპოლიები და ბაზრის სეგმენტაცია მოახდინოს, სავსებით საკმარისი იქნება 13-15-პროცენტის ფარგლებში. ამას ითხოვს დღევანდელი მდგომარეობა, ეკონომიკა, საზოგადოებრივი ინტერესი. პატარა ქვეყანას ანგრევს ოლიგოპოლიური ბაზრების ჩამოყალიბება, უსპობს განვითარების პერსპექტივას. სააკაშვილი 1 000 კაცზე აშენებდა კორპორაციულ სახელმწიფოს და ის ამბობდა, რომ სინგაპურიზაცია უნდოდა. სპეციალურად იყო 70 პროცენტი უმუშევარი, იმიტომ რომ შენ უნდა წახვიდე ამ ქვეყნიდან, სხვა ადამიანები უნდა ჩამოვიდნენ, რადგან იმ ადამიანებს პოლიტიკური ამბიცია არ ექნებათ, სამაგიეროდ, ექნებათ ნება, რომ ხელისუფლებაში მყოფი ძალა იყოს იქ, სადაც არის. ჩვენ კი სხვა რამ გვინდა განვითარებისთვის. ამ თვალთახედვიდან, ამ ბაზრის დანგრევა არის პრინციპული. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ შევხედავთ მთავრობას, მართლა მიდის ის საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიული საზოგადოებისკენ თუ ეს მხოლოდ დეკლარაციის დონეზეა გაცხადებული.

– და საწვავის ფასის შემცირების 17-თეთრიან დონეზე დავრჩებით?

– ძალიან სუსტი პოზიცია აქვს დღეს მთავრობას იმ თვალსაზრისით, რომ ამ ბაზარზე ჯერჯერობით ვერ შეძლო კონკურენციის გაჩენა და ხელშემწყობი პირობების შექმნა ცალკეული ადამიანებისთვის. მე და თქვენ რომ მოვინდომოთ ამ ბაზარზე შესვლა, უნდა შევიდეთ, კონტრაქტის გამო მთელი მსოფლიო კრედიტს იძლევა, ეს ბანკები კი რის კრედიტს მოგცემენ კონტრაქტებზე?!

(გაგრძელება მე-11 გვერდზე)

ᲢᲠᲐᲜᲡᲤᲝᲠᲛᲘ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ CAUCASUS TOUR, ᲐᲕᲘᲐᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ AIR CAUCASUS-ᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ

AIR CAUCASUS

გთავაზობთ ფრენებს მსოფლიოს ყველა მიმართულებით.

ᲠᲔᲘᲡᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-ᲡᲐᲚᲝᲜᲘᲙᲘ – 99 ᲔᲕᲠᲝᲓᲐᲜ.

გისურვებთ მშვიდობიან ფრენას!

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
2-202-202, 2-202-203;
ცხელი ხაზი – 595-33-22-22;
მობილური: 598-18-04-09, 598-306-155, 571-79-77-88.
ვეკუას №3, V სართული.

CAUCASUS TOUR

– სად გაქრა „ნაციონალური მოძრაობის“ მონოლითურობა?

– უპირველეს ყოვლისა, უნდა გითხრათ, რომ წლების განმავლობაში „ნაციონალური მოძრაობა“ არანაირი სოლიდური პარტია არ ყოფილა. მას ჩამოშორდა მისი მთავარი გენერალური მდივნები, დამფუძნებლები, ანუ მიხეილ სააკაშვილის ფიარის შედეგია, რომ საზოგადოებაში ვიღაცას შეექმნას შთაბეჭდილება, თითქოს „ნაციონალური მოძრაობა“ იყო ერთიანი ამ წლების განმავლობაში. სინამდვილეში „ნაციონალურ მოძრაობას“ სწორედ ამ მიმართულებით ჰქონდა სერიოზული პრობლემები. იმის თქმა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ მონოლითია, ტყუილია, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა მოახვია თავს საზოგადოებას, თუმცა, ვინც რჩებოდა, ისინი ერთად იყვნენ, მაგრამ ეს უცნაური ერთობაა. სამი დამფუძნებლიდან პარტიაში დარჩა მხოლოდ ერთი – მიხეილ სააკაშვილი.

– მონოლითურობა მითია თუ რეალობა, პარტია „ნაციონალური მოძრაობა“ ყოველთვის რჩებოდა ხელისუფლების სათავეში, თან საკონსტიტუციო უმრავლესობით.

– ეს სხვა საკითხია. ის რჩებოდა ხელისუფლების სათავეში, მაგრამ მონოლითური არასდროს ყოფილა. პირიქით, „ნაციონალურ მოძრაობას“ რომ დენადობა ახასიათებდა, ასეთი არ ახასიათებს არც ერთ პარტიას. ეს იყო სახელმწიფო პარტიული წარმონაქმნი და მიხეილ სააკაშვილს ამ წარმონაქმნის შექმნა მოუხერხდა. მაგრამ, თუ ადრე მას, ვინც არ ემორჩილებოდა დისციპლინას, მაშინვე ან აგდებდნენ, ან თვითონ მიდიოდა, ეს შეიცვალა. ახალ დროებაში მოხდა ის, რომ ერთ-ერთი ლიდერი, დათო ბაქრაძე, გამოვიდა და თქვა: თუ მიხეილ სააკაშვილი მიიღებს ასეთი და ასეთი გადაწყვეტილებას, მაშინ ჩემი ადგილი მის გვერდით არ იქნება. მეორე მხრივ, პარტიის ერთ-ერთმა აქტიურმა წევრმა კაკო ბობოხიძემ განაცხადა, კარგი იქნება, თუ არ შემიშლის ხელს მიხეილ სააკაშვილი და იქვე საპირწონედ მიაყოლა ბიძინა ივანიშვილი. ანუ ნუ გვიშლის ხელს მუშაობაში პარლამენტის წევრებსო. ასეთი განცხადებების გამო ერთი წლის წინათ ორივეს დაატოვებინებდნენ „ნაციონალურ მოძრაობას“, დღეს კი ორივე იქაა. არც თვითონ აქვთ წამოსვლის სურვილი და არც მიხეილ სააკაშვილს – მათი გაშვების. ანუ „ნაციონალურ მოძრაობაში“ 9 წლის შემდეგ გაჩნდა ის, რაც ასე დამახასიათებელია პარტიული მუშაობისთვის. ამას მე მივესალმები, მაგრამ არ ვიცი, უშველის თუ არა პარტიას სიცოცხლისუნარიანობაში.

– არც მათ აქვთ პარტიის დატოვების სურვილი და არც მიხეილ სააკაშვილს მათი გაშვებისო. რა მოტივით გაუქრა ეს სურვილები როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს?

– იმიტომ რომ ეს პარტია ოპოზიციაშია და ოპოზიციაში მყოფი პარტიის პარლამენტის წევრები გახდნენ ძალიან მნიშვნელოვნები, ვინაიდან აქვთ ხმა და ეს მათი ხმა პარლამენტს ძალიან სჭირდება. მიხეილ სააკაშვილს აქვს ძალიან მაღალი თანამდებობა, მაგრამ, როგორც თვითონ აღიარებს, მისი თანამდებობა ბევრს აღარაფერს ნიშნავს. ანუ „ნაციონალური მოძრაობის“ პარლამენტის წევრების მნიშვნელობა გაიზარდა და მიხეილ სააკაშვილმა პარტიიდან რომ გარიცხოს ისინი, „ნაციონალური მოძრაობა“ პარლამენტში უმცირესობაშიც ვერ დარჩება. პარლამენტს გარეთ კი პირველსავე დღეს განულდება. ამიტომ პარლამენტარებმა ნელ-ნელა მოითქვეს სული, განსაკუთრებით, მას შემდეგ, რაც კონსტიტუციაში ჩაინერა, რომ პრეზიდენტი ვერასდროს ვეღარ დაითხოვს პარლამენტს. ასე რომ, როდესაც მათ გაიგეს, რომ ისინი პარლამენტარები იქნებიან მომდევნო სამ-ნახევარი წლის განმავლობაში, ხმა ამოიღეს, რასაც პირადად მე, მივესალმები, არა იმიტომ, რომ მიხეილ სააკაშვილის ჯიბრი მაქვს, არამედ იმის გამო, რომ პარტიის ჩამოყალიბებას მივესალმები. პრინციპი ასეთია: პურს აცხობს ხაბაზი, ხოლო პარლამენტს სჭირდება პოლიტიკური პარტიები.

– საპარლამენტო ცხოვრებისთვის აუცილებელია საპარლამენტო ოპოზიციაო და სულ არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, როგორი წარსული აქვს ამ საპარლამენტო ოპოზიციას?

იმას გარდა, რომ 9 წლის განმავლობაში შეუცვლელად იყო ხელისუფლების სათავეში, „ნაციონალური მოძრაობა“ ერთგვარი მონოლითურობითაც ხასიათდებოდა: მისი მთლიანობა ვერ შეარყია ვერც მოსახლეობის ნებამ და ვერც 2008 წლის აგვისტოს ომმა. ამასთან, ეს მონოლითურობა ერთსულოვნებითაც გამოირჩეოდა (ხშირად იქამდეც კი, რომ შავის თეთრობაშიც გვარწმუნებდნენ). თუმცა ხანი გამოხდა და ბზარი მათაც შეეპარათ. რამდენად საფუძვლიანია ის და ვინ რა მოტივით ტოვებს თუ დატოვებს ერთ დროს უძლეველ „ნაციონალურ მოძრაობას“ – თემას „რესპუბლიკელ“ ლევან ბერძენიშვილთან ერთად განვიხილავთ.

რაზომ აღარ სჭირდებათ პარლამენტარ „ნაციონალებს“ მიხეილ სააკაშვილი და ვინ ჩასვეს თვითმფრინავში საკონსტიტუციო ცვლილებების კენჭისყრის დღეს

„ოცნება“ სუფთა ფურცლიდან იწყებს „ნაციონალურ მოძრაობასთან“ თანამშრომლობას? თქვენ ხელს უწყობთ „ნაციონალური მოძრაობის“ სრულფასოვან პარტიად ჩამოყალიბებას?

– მმართველმა პარტიამ არაფერს არ უნდა შეუწყოს ხელი.

– მაშინ რატომ კოჰაბიტირებს, თუ ხელს არ უწყობს?

– მე უბრალოდ მოგახსენეთ ჩემი, კერძო პირის აზრი, თუ რა არის კარგი პოლიტიკისთვის. არ არსებობს კარგი და ცუდი პარტიები. არის პარტიები, რომლებიც იღებენ ხმებს და არის პარტიები, რომლებიც ვერ იღებენ ხმებს. „ნაციონალური მოძრაობის“ წარსული არის ცუდი, მაგრამ ამ წარსულში არის კარგი წერტილები.

პრინციპი ასეთია: პურს აცხობს ხაბაზი, ხოლო პარლამენტს სჭირდება პოლიტიკური პარტიები

– კერძოდ?

– ვარდების რევოლუცია, 1 000 წელი რომ მიმტკიცონ, შევარდნაძის ხელისუფლება კარგი იყოო, ვერ დამიმტკიცებენ.

– გარდა ვარდების რევოლუციისა, რა იყო კიდევ კარგი?

– ნუ ჩამომათვლევინებთ. ამდენად, იმის თქმა, რომ შენ წარსული ცუდი გქონდა და მომავალშიც არ გამოდგები, არასწორია. მომავალში გადარჩება ის, ვისაც ქართველი ხალხი მისცემს ხმას. მე გეუბნებით, თუ პარლამენტში არ გვეყოლება ოპოზიცია, ეს იქნება ცუდი, რადგან მაშინ ოპოზიცია გაჩნდება ჩვენს რიგებში. ჩვენ კი გვინდა, შევინარჩუნოთ ის ერთიანი გუნდი, რომლითაც მოვედით ხელისუფლებაში და ის საქმეები ვაკეთოთ, რასაც ხალხს დავპირდით. „ნაციონალური მოძრაობა“, როგორც ოპონენტი, ყალიბდება, როგორც კვალიფიციური ოპონენტი. წარსული ჩემი საქმე არ არის, თუ ვინმემ რამე დააშავა, პროკურატურა მუშაობს და თავის საქმეს მიხედავს.

– კმაყოფილი ხართ პროკურატურის მუშაობით?

– რაც შეეხება კოჰაბიტაციას: ეს ჩემი არჩევანი არ არის, ეს არის ქართველი ხალხის არჩევნის პატივისცემა. ვიღაცამ ჩვენ მოგვცა ხმა, ვიღაცამ – „ნაციონალურ მოძრაობას“, მაგრამ ის ვიღაცაც, ვინც ხმა მათ მისცა, ჩვენი მოქალაქეა. ამდენად, კოჰაბიტაცია არის სასჯელი, გინდა თუ არა, იქნება, იმიტომ რომ ისინიც აირჩიეს.

– და არ აქვს მნიშვნელობა, გაყალბებით მიიღეს ხმები თუ დამსახურებულად?

– თუ ვინმეს ეჭვი ეპარებოდა არჩევნების შედეგებში, მაშინ არ უნდა გვეცნო პარლამენტის უფლებამოსილება, რადგან ვცანით, ესე იგი, ვაღიარებთ. მართალია, ეს არ იყო ყველაზე სამართლიანი არჩევნები, მაგრამ იმდენად სამართლიანი კი იყო, რომ ხალხის ნება გამოვლინდა. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ გულზე არავის ახატია, გვიწევს მათთან თანამშრომლობა. არასწორი იქნებოდა, პარლამენტში რომ ცემა-ტყეპა და გაწევ-გამოწევა იყოს და ხომ იცით, ვინ ვის მოერევა, ვის მეტი მოჭიდავე ჰყავს?!

– მგონია, ამიტომაცაა ერთობ დამცხრალია აკაკი ბობოხიძე.

– კაკო ბობოხიძე, როდესაც დამცხრალია და პოლიტიკურად ლაპარაკობს, მგონი, უფრო კარგი სანახავია, ვიდრე კაკო ბობოხიძე, რომელიც ჟურნალისტებთან საქმეებს არჩევს.

– მე რომ მკითხოთ, უკეთესი სანახავი იქნებოდა ჩვენი სახელმწიფო, ისეთი დეპუტატები რომ დაისაჯონ, რომლებიც უპრაგონოდ ათამაშებდნენ კუნთებს და კოლეგებს სცემდნენ კამერების წინ სხდომის მიმდინარეობისას.

– ეგ არ არის პარლამენტის საქმე, მე დაგისახელეთ ორგანიზაცია, რომელსაც უნდა მიმართონ, თუ ვინმეს ვინმესადმი რამე პრეტენზია აქვს. თუ პარლამენტში შემოვა საკითხი, დამნაშავეა ესა თუ ის დეპუტატი და გადაწყვიტეთ მისი უფლებამოსილების საკითხიო, განვიხილავთ. იცით, რის თქმა მინდა? წარსულში შეცდომის გარეშე ჯერ ადამიანი არ დაბადებულა, არათუ პარტია.

– შეცდომას არ გააჩნია?

– მე ვერ ვიტყვი, რომ ერთი და იგივეა დათო ბაქრაძე და გიორგი კანდელაკი: ერთი უფრო მესიმპათიურება, ვიდრე მეორე. თქვენ თვითონ იფიქრეთ, რომელი რომელია, მაგრამ ორივე პარლამენტის წევრია, ხმა აქვს და უნდა მივცეთ საშუალება, რომ გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები.

– კოჰაბიტაცია არის ამომრჩევლის დაკვეთაო. სხვა დაკვეთაც აქვს ამომრჩეველს: IRI-ს კვლევით, გამოკითხულთა 3 პროცენტი „ნაციონალური მოძრაობის“ წევრების დაპატიმრებას მოითხოვს, 50 პროცენტი – ბობოლების დაჭერითაც კმაყოფილი დარჩება. ეს გამოკვლევა ადასტურებს, რომ ამომრჩეველს კოჰაბიტაცია უნდა?

(გაგრძელება მე-11 გვერდზე)

ნდობის ტელეფონი
0 9 0 2 2 0 0 2 0 0
SMS – 93094

დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან
ზარი ფასიანია

ბორის ბერეზოვსკის სიკვდილი გასული კვირის მთავარი მოვლენა იყო, მოვლენა რომელმაც ბევრი რამ შეცვალა მსოფლიო პოლიტიკასა და ეკონომიკაში. მის თვითმკვლელობაში ეჭვი ეპარება თითქმის ყველას, ვინც ბიზნესმენს პირადად იცნობდა, მათ შორის პოლიტიკოსი ვალერი გელბახიანი. ***ბატონი ვალერი კარგად იცნობდა ბორის ბერეზოვსკის, მის სახლშიც ცხოვრობდა და უამრავი მოგონება აძლევს იმის საფუძველს, რომ თქვას: ოლიგარქი არ იყო ის ადამიანი, ვინც თავს მოიკლავდა.***

რის გამო დაიწყო რუსული ოპოზიციის ლიდერების საქართველოში ჩამოყვანა ბორის ბერეზოვსკიმ და როგორ იხსენებს ქალებისადმი მის განსაკუთრებულ სიყვარულს ვალერი გელბახიანი

ვალერი გელბახიანი: ბორის ბერეზოვსკი 2006 წლის ზაფხულში გავიცანი, ლონდონში. ბადრი პატარკაციშვილთან ვიყავი და მასთან სახლში მოვიდა. იმავე წელს არაერთხელ მომიწია ლონდონში ჩასვლა და ქალაქის ცენტრში, ბერეზოვსკის ოფისში ერთმანეთს ხშირად ვხვდებოდით. ძალიან გახსნილი და თავისუფალი ადამიანი იყო, კომპლექსების გარეშე. ვერ გეტყვით, მაღალი იყო თუ არა ნდობის ხარისხი ბერეზოვსკისა და იმ ადამიანებს შორის, ვისთანაც კონტაქტები ჰქონდა, მაგრამ პირადი ურთიერთობების პრობლემა არასდროს ჰქონია.

– ვისაც ამდენი ფული აქვს, სხვა ადამიანების ნდობა ძალიან უჭირს და გარშემო მყოფებს ხშირად ერთგვარ სატესტო რეჟიმში ამყოფებს...

– მასთან კონტაქტზე გასვლა და ოფისში მოხვედრა, ძალიან რთული იყო. თუმცა, მის ოფისში ვისაც არ უნდა დაერეკა, პასუხს ყოველთვის მიიღებდა. თუ ჟურნალისტი იყო, რა თქმა უნდა, ხვდებოდა და ყველა კითხვას პასუხობდა. პირადი კონტაქტი კი, რასაკვირველია, რთული იყო. თუ მიაღწევდი მასთან შეხვედრას, მერე უკვე უპრობლემოდ ხდებოდა ყველაფერი. არ უყვარდა მიკიბ-მოკიბვა, პირდაპირ ლაპარაკობდა საქმეზე. ბორია მოწოდებით პოლიტიკოსი იყო, რაც ბადრის არ ჰქონდა. ბადრი უფრო ბიზნესპროექტებში იყო ჩართული და ამ ორი ადამიანის ერთობლივი ბიზნესების მართვა, ბადრის ჰქონდა დავალებული. იშვიათად თუ მომისმენია მათი საუბარი ბიზნესზე. ბერეზოვსკის სხვა ამოცანები და მოწოდებები ჰქონდა. ის სულ პოლიტიკაზე იყო ორიენტირებული და ჩემთანაც ყოველთვის ამ თემებზე ლაპარაკობდა.

როდესაც გადაწყდა, ბადრის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა, საარჩევნო კამპანიის, საშტაბო ორგანიზაციის მთელი სქემა მან ჩანახატის სახით წარმოადგინა. ყველაფერი თავისი ხელით დამიხაზა და ეს ჩანახატი ახლაც შენახული მაქვს.

– ჟურნალ „ფორბსისთვის“ მიცემულ ბოლო ინტერვიუში ბერეზოვსკი ამბობს, რომ ნანობს ბადრი პატარკაციშვილს ასე ბრმად რომ ენდობოდა და ეყრდნობოდა. ამბობს – საქმიანი პარტნიორობა და მეგობრობა უნდა გამემიჯნაო.

– ალბათ, იმიტომ რომ ეს ორი სრულიად განსხვავებული ხასიათის ადამიანი იყო. ბადრის ღირებულებათა საკუთარი სისტემა გაჩნდა, სადაც ადამიანური ფაქტორები ნინ იყო ნამონეული, რაც უფრო თბილისური მენტალობიდან მომდინარეობდა. ბერეზოვსკის ამ ღირებულებებთან საერთო არაფერი ჰქონდა. ის სხვანაირი რეგულაციებით მოქმედებდა და ნაბიჯებს, არა ადამიანური ფასეულობების მიხედვით, არამედ დასახული ამოცანის მიხედვით დგამდა. ეს ორი სხვადასხვა ტიპაჟი იყო და მიკვირდა კიდეც მათი ასეთი მეგობრობა.

– ეს ძალიან უცნაურია, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ფინანსებს მხოლოდ პატარკაციშვილი განაგებდა.

– გაყოფის ისტორიაც საინტერესოა. არჩევანიც სწორედ ფასეულობების აღრევიდან გამომდინარე მოხდა. კურსკის ჩაძირვას ძალიან დიდი სკანდალი მოჰყვა. რამდენიმე დღე ისე გავიდა, რუსეთის პირველ პირს ამის შესახებ ოფიციალური განცხადება არ გაუკეთებია და სახელმწიფო პოზიცია არ დაფიქსირებულა. პუტინი მაშინ მოსკოვში არ იმყოფებოდა. სამი დღე სრული სიჩუმე იყო... ბადრიმ და ბორიამ მოძებნეს მისი ადგილსამყოფელი, ის ერთ-ერთ კურორტზე იმყოფებოდა და პირველ პირთან ამ საკითხზე კონფლიქტი მოუვიდათ. მათ მიაჩნდათ, რომ პუტინისთვის ამის თქმის უფლება ჰქონდათ. ყველასთვის ცნობილია, რომ მათ მის გაპრეზიდენტებაში დიდი წვლილი მიუძღოდათ. პიროვნული ინტერესის გამო, მათ შორის კონფლიქტი არ მომხდარა, მოხდა სწორედ სახელმწიფო ინტერესების გამო. როდესაც პუტინი მოსკოვში დაბრუნდა, დაიბარა ბადრი და ულტიმატუმი წაუყენა: არჩევანი უნდა გააკეთო, ან ჩვენთან იყო, ან ამ ქვეყნიდან წახვიდეო. ბადრი ამაყობდა იმით, რომ ღირსეული ნაბიჯი გადადგა – ხელისუფლებასთან ურთიერთობას, მეგობრობა არჩია და რუსეთიდან წამოვიდა. მას პირდაპირ უთხრეს, უნდა „განქორწინდე“ შენს ბიზნესპარტნიორთანო.

– ბერეზოვსკი ამ „განქორწინებაზეც“ ყვება და ამბობს, რომ ის ფიქტიური იყო.

– მოდი, ზუსტად ვთქვათ, ეს როდის მოხდა. იმ დროს არაფერი გაყოფილა. მათი ბიზნესების გაყოფა მოგვიანებით დაიწყო და ეს საკმაოდ რთული პროცესი იყო. ეს ხომ არ არის ქეში ფული, ორად გაეყოთ. ბადრი ფიქრობდა, რომ აუცილებელი იყო ნაბიჯების გადადგმა რუსეთის ხელისუფლებისკენ, რომ მომხდარიყო ვითარების დარეგულირება. რუსეთის ხელისუფლებამ შეუთვალა, რომ თუ ჩვენსკენ დგამ ნაბიჯს მაშინ ბერეზოვსკის გაემიჯნეო. დაიწყო მეორე ეტაპი, ფორმალური გამიჯვნის, რა თქმა უნდა, ბერეზოვსკისთან შეთანხმებით და ეს იყო ფიქტიური „განქორწინება“. აქციები, უძრავი ქონება და აქედან წარმომობილი დივიდენდები ასეთი ადვილი გასაყოფი არ იყო. ამიტომ, ყველაფერი ხელახლა დააფუძნეს ოფშორულ ზონებში და დაიწყო უძრავი ქონების გაყიდვის პროცესი. ამით, ბადრი პატარკაციშვილმა რუსეთის ხელისუფლებას უთხრა, რომ ჩემი მხრიდან თქვენკენ ნაბიჯები გადმოდგმულიაო. შედგა კიდეც ხელისუფლების წარმომადგენლებთან რამდენიმე შეხვედრა, რომელიც, ძირითადად, ისრაელში ხდებოდა. მაგრამ, საბოლოო ჯამში, რუსეთის პირველ პირთან შეხვედრა ვერ მოხდა. თუმცა, გარდაცვალებამდე ის ამ შეხვედრას ელოდა, რადგან ორმხრივი მოლაპარაკებები გრძელდებოდა ბოლო წუთამდე. ამის

გამო ბერეზოვსკის ფაქტორმა უკან გადაინია, რამაც ის გაანაწყენა. მასა და ბადრის შორის ბზარი გაჩნდა. ბერეზოვსკის მიაჩნდა, რომ თუ ბადრი რუსეთის ხელისუფლებასთან საერთო ენას გამონახავდა, პოლიტიკიდან მთლიანად ამოვარდებოდა. ის ფიზიკურად, მორალურად მონობა

ეს ორი სრულიად განსხვავებული ხასიათის ადამიანი იყო. ბადრის ღირებულებათა საკუთარი სისტემა გაჩნდა, ბერეზოვსკი ნაბიჯებს, არა ადამიანური ფასეულობების მიხედვით, არამედ დასახული ამოცანის მიხედვით დგამდა

ებული იყო რუსეთის ხელისუფლებასთან საბრძოველად და არანაირ შერიგებას არ აღიარებდა.

– ბერეზოვსკის სახელს მიაწერენ ელცინისა და პუტინის პრეზიდენტად გახდომას...

– არა მარტო. უკრაინის და კიდევ არაერთი სხვა ქვეყნის პირველი პირების სკამების დაკავებაში მიუძღვის საკმაოდ დიდი წვლილი. ბევრ არჩევნებში მიუღია მონაწილეობა. ეს მათთვის იყო ამოცანა ნომერი პირველი. სადაც ისინი ბიზნესების გაფართოებას გეგმავდნენ, იმ ქვეყნებში სანდო და საიმედო დასაყრდენი სჭირდებოდათ და დებდნენ პოლიტიკურ ფსონებს. ეს იყო მათი თამაშის წესები. უკრაინის მხარემ, მაპატიეთ ამ გამოთქმისთვის და „გადააგდო“. ამ თამაშში ნაგებაც ხშირი იყო და მოგებაც, მაგრამ ნამდვილად არ ნანობდნენ პოლიტიკურ პროცესებში მოთამაშე მხარეებად გამოსვლას.

– ამხელა მოჭადრაკე, რომელიც ერთგვარად მანიპულირებდა პირველი პირებით, როგორ აღმოჩნდა თამაშგარე მდგომარეობაში?

– ის არ გრძნობდა თავს თამაშგარე მდგომარეობაში, ბოლო წუთამდე ჰქონდა ცვლილებების იმედი და ამის შესახებ, ჩვენც გვისაუბრია. რა თქმა უნდა, ყველაფერს ვერ მოვყევი, მაგრამ, გარკვეულწილად, ისიც და ბადრიც ნანობდნენ რუსეთის ხელისუფლებასთან დაპირისპირებას და მიაჩნდათ, რომ ეს შეცდომა იყო. მათი მხრიდან სიტუაცია არასწორად შეფასდა. მიაჩნდათ, რომ მათი გავლენა რუსულ პოლიტიკურ და ბიზნესსწრეებზე იმდენად დიდი იყო, ერთი ადამიანი, ამ შემთხვევაში პრეზიდენტი, ვერ გაბედავდა მათთან კრიმინალური მეთოდებით დაპირისპირებას. აღმოჩნდა, რომ მათი თავდაჯერებულობა მოჩვენებითი იყო და აღიარებდნენ, რომ არასწორად შეაფასეს როგორც პუტინი, ისე რუსული სინამდვილე. ბერეზოვსკიმ ბრძოლის პირდაპირი გზა აირჩია, მან გადაწყვიტა, ოპოზიციური ძალები გაეერთიანებინა და დაემარცხებინა მაშინდელი და დღევანდელი ხელისუფალი. ის დარწმუნებული იყო, რომ პუტინი მესამედ ვერ მოვიდოდა ქვეყნის სათავეში. რადგან ამ გათვლაში შეცდა, ის საშინლად გულგატეხილი იყო და ეს ყველაფერი მის ხასიათზეც აისახა.

– მაინც, საბოლოო ჯამში, ის იმედგაცრუებული იყო როგორც საკუთარი თამაშის წესების, ისე ბადრი პატარკაციშვილის გამოც.

– მთლად გულნრფელი ამ განცხადებაში არ უნდა იყოს, რადგან გარკვეული წვლილი მაინც მიუძღვის ბადრის საბოლოოდ დამარცხებაში. ამ პროცესის მომსწრე ვარ და ამიტომაც ვამბობ. ბადრიმ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა მხოლოდ იმიტომ გადაწყვიტა, ამ გზით პოლიტიკური დევნა თავიდან აეცილებინა. ჩვენ შევთანხმდით, რომ, თუ მის საქმეს ასე სჭირდებოდა, მხოლოდ განაცხადი გაგვეკეთებინა და რეალურ ბრძოლაში არ ჩავრთულიყავით, რადგან სხვა შემთხვევაში ბრძოლა წაგებული გვქონდა. აქცენტი საპარლამენტო არჩევნებზე უნდა გაგვეკეთებინა, რომელიც ექვს თვეში იმართებოდა. ჩამოვიდა თბილისში, გამოვიდა დიდ მიტინგზე და განაცხადა, რომ ბოლო კაპიკს დახარჯავდა, სანამ ამ ხელისუფლებას სახლში არ გაგზავნიდა. ამ გამოსვლის გამო იმავე დღეს სისხლის სამართლის საქმე აღიძრა სახელმწიფო გადატრიალების ბრალდებით მის წინააღმდეგ და ამ დღიდან ის საქართველოში ცოცხალი აღარავის უნახავს. მას უნდოდა რომ რეალურ ბრძოლაში უკვე საპარლამენტო არჩევნების დროს ჩაბმულიყო. ეს იმიტომ მოვყევი, რომ ამ გეგმის კატეგორიული წინააღმდეგი იყო ბერეზოვსკი. მან თქვა, რომ ბრძოლა უნდა იყოს ბრძოლა, რომ მას სჭირდება საქართველო როგორც სტრატეგიული საყრდენი და რუსეთის წინააღმდეგ უნდა ვიბრძოლოთ ბოლომდეო. ჩათვალეთ, ამ ბრძოლიდან გათიშული ვარ, რადგან მარცხისთვის ვართ განწირულები, ფიზიკურად არ ვართ მომზადებული-მეთქი. ამ საკითხთან დაკავშირებით, ჩემ თვალწინ ბერეზოვსკისა და პატარკაციშვილს სერიოზული კამათი მოუვიდათ. დავინახე, რომ მასთან ბადრი უფრო იძაღლებდა ხმას, უფრო მეტის უფლება მისცა თავს, ვიდრე ბერეზოვსკიმ. მანამდე შეეგონა, ბერეზოვსკი იყო ხელმძღვანელი და ასე არ ყოფილა. სხვა წონა დავინახე ამ დღეს ბადრიში, რომელიც ბერეზოვსკიმ „გადაყლაპა“, უხემად რომ ვთქვათ. ამის შესახებ დაიწყო შეხვედრები ისრაელში. დაიწყო საარჩევნო კამპანია, შტაბებთან დადგა მხარდამჭერთა რიგები. გაისმა ზარი და ჩავედი მათთან შესახვედრად. ბადრი ჩუმად იჯდა და ბერეზოვსკი ამბობდა, ჩვენ ხალხს

(გაგრძელება მე-39 გვერდზე)

რატომ ღირს საქართველოში ბენზინი უფრო ძვირი, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში და ვინ მფარველობს პირველი ოქტომბრის შემდეგ სანვავის ოლიგოპოლიურ ბაზარს

(მე-8 გვერდიდან)

– ბიზნესის დასაწყებად არც ერთი ჩვენებური ბანკი არ იძლევა სესხს.

– აბა, როგორ უნდა შევიდეს ამ ბიზნესში ახალი ჯგუფები, როდესაც ბანკები მტაცებლურ პირობებს ითხოვენ და გეუბნებიან, რომ კრედიტს არ მოგვცემენ?! არაერთხელ მითქვამს ეს მაგალითი და გავიმეორებ: ერთი ფეხზე მდგომი ქართველი ბიზნესმენი 30 000 დოლარის სესხის ასაღებად მივიდა ბანკში. თავის 200 000-იან ქონებას დებდა ფირმის სახელით, უარი უთხრეს, შენი პირადი ქონება, მილიონი დოლარი, უნდა ჩადო და თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე 5-პროცენტიანი ჯარიმა, ანუ 5 000-დოლარიანი ჯარიმა უნდა იხადოო. მითხარით, ეს გონიერების საზღვრებში ჯდება?! ეს არის სუფთა წყლის საბოტაჟი და დანაშაული. აი, ასეთ გარემოში კონკურენციებზე საუბარი შეუძლებელია.

საბაზრო ეკონომიკა საინტერესოა იმით, რომ წლის განმავლობაში უამრავი ფირმა კოტრდება და უფრო მეტი ახალი ფირმა შემოდის. ამ განახლებადობაში არის ის, რომ არაეფექტიანი მფლობელები ნაცვლდება ეფექტიანი მფლობელებით. კონკურენცია ავტომატურად ცხრილავს სუსტებს და სამართლებრივ სივრცეში შესაძლებელი ხდება საკუთრების უფლებების სამოქალაქო ბრუნვა. გამოქვეყნდა დავოსის ფორუმის რეიტინგი და საკუთრების უფლებების დაცვის მიხედვით ჩვენ ვართ 128-ე ადგილზე 140 ქვეყანას შორის. ამ ძალიან კვალიფიციურმა ფორუმმა, ფაქტობრივად, ყველა ის რეიტინგი, რომლითაც თავი მოჰქონდა მიხეილ სააკაშვილს, გაანულა, არად აქცია მთელი ის რეფორმა, რომელიც საქართველოში თითქოს ჩატარდა, იმიტომ რომ საბაზრო ეკონომიკასა და დემოკრატიაზე საუბარი, როდესაც განუკითხაობა გაქვს საკუთრების უფლებებში, შეუძლებელია. ესე იგი, ძენ ჩაგიტარებია რეფორმა მტაცებლობისთვის, რეფორმა შენი მოქალაქეებისთვის იძულებით ქონების წართმევისთვის. არანაირ საბაზრო ეკონომიკაზე, არანაირ სერიოზულ რეფორმაზე არ შეიძლება იყოს ლაპარაკი, როდესაც ხელისუფლებას შეუძლია, განუკითხავად დაიჭიროს ადამიანი და წაართვას ქონება. სადაც ეს ხდება, იქ საბაზრო ეკონომიკა არ არსებობს. თუ საბაზრო ეკონომიკა არ არსებობს, უძლიერეს ბაზრებზე, როგორიცაა ფარმაცევტული თუ ნავთობპროდუქტების ბაზარი, როგორ უნდა იყოს წესრიგი?!

– ახალი მთავრობა თითქმის 5 თვეა, მუშაობს, ეს საკმარისი დრო იყო, რომ ამ ოლიგოპოლიური ბაზრების დანგრევა დაწყებულიყო? ისევ ვიტყვი, 17 თეთრი ადეკვატური კლებაა სანვავის ფასზე?

რას ერჩი ნავთობიმპორტიორებს? მათ უნდათ მაქსიმალური მოგება. ხელისუფლება აძლევდა მათ ამის ნებას და ეს ხალხი ძარცვავდა მომხმარებელს

– არ არის ადეკვატური კლება, გაცილებით მეტი შეთამაშება უნდა ყოფილიყო ფასში. კიდევ გეუბნებით, მთავრობის ძალიან ობიექტური და არგუმენტირებული შეფასება შეგვეძლება წლის ბოლოსთვის. თუ წლის ბოლოსთვისაც ასეთი სიტუაცია იქნა, მთავრობას სერიოზული პრობლემები ექნება.

– ძალიან დიდი როლს ასრულებს ბენზინის ფასის ფორმირებაში საწყისი, ანუ პლაცის ფასი, ტონა, დაახლოებით, 1 000 დოლარამდე ღირს. როდესაც ბენზინის ხარისხი არ არის დამაკმაყოფილებელი, მისი საწყისი ფასი იგივეა მაინც?

– ქვეყანაში, სადაც არ არსებობს კონტროლის მექანიზმები, საბაჟოზე არ მოწმდება ხარისხი და ასე შემდეგ, ყოველთვის მივიღებთ იმას, რაც გვაქვს. ბლეფია, არანაირი ევროპული ბენზინი არ არის. ყველამ იცის, რომ ისინი გვატყუებენ, რომ ცნობილი ნავთობიმპორტიორები, ნებისმიერი დაასახელეთ, არიან ჩვეულებრივი მატყუარები: გვატყუებენ ხარისხში, გვატყუებენ ფასში. გვატყუებდნენ სახელმწიფოს ნებართვით და ახლა დიდი ფულის საშუალება აქვთ და კვლავ ტყუილში გვამყოფებენ. რას ერჩი ამ ხალხს? მათ უნდათ მაქსიმალური მოგება. ხელისუფლება აძლევდა მათ ამის ნებას და ეს ხალხი ძარცვავდა მომხმარებელს. თუ ჩვენ ნორმალურ სახელმწიფოს დავალაგებთ, ამ ხალხს სასტარტო პირობები სხვასთან შედარებით ძალიან კარგი აქვთ. ყოველგვარი წართმევის წინააღმდეგი ვარ, მაგრამ ვარ იმის მომხრე, რომ თანაბარი უფლებრივი მდგომარეობა იყოს.

თუ ვინმე ფიქრობს, რომ ხელისუფლებასთან მიტმასნილი ხალხი არ ზის დღესაც ამ ბიზნესების წილებში, ძალიან მაგრად ცდება. ვისაც უნდა, რომ ბრიყვის როლში იყოს, ნება მისია, მოდი, ჩვენ სხვა მიმართულებით წავიდეთ, ცივილიზებული საზოგადოებისკენ წავიდეთ, საბაზრო ეკონომიკისკენ, კონკურენციისკენ, წესიერი საბანკო სისტემისკენ წავიდეთ, სადაც უფლებრივად ვიქნებით თანაბარნი. 1910 წლისთვის შეერთებულ შტატებში არსებული ქონებების 10 პროცენტიც აღარ იყო ძველი მფლობელების ხელში 50-60 წლის შემდეგ. იმიტომ რომ ეს შემთხვევითი ქონებები კონკურენციის პირობებში ვერ ნარჩუნდება. საქართველო არის ერთადერთი ქვეყანა ცივილიზებულ სამყაროში, რომელიც საკუთარ მოქალაქეს არანაირ შანსს არ აძლევს თავისი ნიჭისა და უნარის განვითარებისთვის. ჰოდა, მაშინ, ბენზინზე რომ მოგვატყუებენ, ბუნებრივია.

ნინო ხაჩიძე

(მე-9 გვერდიდან)

– იმ გამოკვლევაში სხვა პასუხებიც არის, მაგრამ ეს გამოკვლევა არ ამბობს, რომ უდანაშაულო ხალხი დავაპატიმროთ.

– რა თქმა უნდა, მაგრამ ცალსახად ამბობს, რომ სუფთა ფურცლიდან ურთიერთობის დაწყებას არ მიესალმება.

– ეს არ არის პარლამენტის საქმე, პარლამენტი არავის არ აპატიმრებს. ის კანონებს იღებს. რაც შეეხება რეიტინგებს: ვინაიდან არჩევნების შედეგები ვცანით, პარლამენტის წევრები გვყავს და ახლა ნულიც რომ იყოს მათი რეიტინგი, ისინი მაინც იქნებიან პარლამენტის წევრები 4 წლის განმავლობაში. ასეთია პოლიტიკური სისტემა. დღეს მათი რეიტინგი, ალბათ, ერთნიშნა რიცხვით გამოიხატება, ხვალ ან გაიზრდება, ან შემცირდება, მაგრამ დღეს მათ ჰყავთ წარმომადგენლობა პარლამენტში, რომელთა რაოდენობა მცირდება სულ სხვა პროცესების გამო. როდესაც ჩვენ მივიღეთ საკონსტიტუციო ცვლილება, ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო, იმიტომ რომ მიხეილ სააკაშვილს ხელიდან გამოვგლიჯეთ ის უფლება, რომელსაც ის აუცილებლად გამოიყენებდა. ამ საფრთხეში დავარწმუნეთ ერთმანეთი და 135 ხმით რომ ვუყარეთ კენჭი, ეს იყო წარმატება.

– მაშინვე დასთანხმებოდით სარეიტინგო კენჭისყრას, რა საჭირო იყო ეს დროის გაწელვა? უფრო მომგებიანად არ გამოჩნდებოდა „ოცნება“?

– სარეიტინგოზე ალაპარაკდა ის ხალხი, ვინც ეს სიტყვა პირველად გაიგონა.

– ამას რა მნიშვნელობა აქვს, რომ გაიგონა, ხომ მიხვდა, რაც იგულისხმებოდა და თავისი აზრი გამოთქვა?

– მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მივიღეთ შედეგი. რას ჰქვია გაიწელა? ვინმეს ერთი დღის მოთმენა არ შეუძლია?! სარეიტინგოზე ჩვენ რომ არ ვიყავით თანახმანი, ისინი გვეუბნებოდნენ, იმდენ ხმას მიიღებთ, რამდენიც დააკლდებაო, მაგრამ ორივე მხარემ უკან დაიხია. პოლიტიკაში კომპრომისი აუცილებელია. სარეიტინგო კენჭისყრაზე

რატომ აღარ სჭირდებათ პარლამენტარ „ნაციონალებს“ მიხეილ სააკაშვილი და ვინ ჩასვეს თვითმფრინავში საკონსტიტუციო ცვლილებების კენჭისყრის დღეს

დათანხმება-არდათანხმება ერთი თვის შემდეგ აღარავის ემახსოვრება, ხოლო ის, რომ მიხეილ სააკაშვილს არ აქვს ერთპიროვნულად მთავრობის დანიშვნის უფლება, დაგვამახსოვრდება.

– ეს ნიშნავს, რომ „ოცნებას“ არ აქვს საკონსტატუციო 100 ხმა?

– გააჩნია საკითხებს.

– ამ კონკრეტულზე ნიშნავდა?

– „ნაციონალურ მოძრაობაში“ ჩატარებული იქნა რიგი ოპერაციებისა, რომ ასე ყოფილიყო. მათ იზრუნეს ამაზე, ჩვენ რომ გვეზრუნა, სხვანაირად იქნებოდა, მაგრამ არ გვინდოდა, გვერჩინა, ყველას მიეღო მონაწილეობა კენჭისყრაში. 101 ხმით გასულ კანონს გვირჩევნია 135 ხმით გასული კანონი; მიხეილ სააკაშვილის წარმომადგენლობამ საქართველოს პარლამენტში ამ კენჭისყრით განაცხადა, რომ 9 წლის განმავლობაში მათ ხელმძღვანელს ჰქონდა დიქტატორული თვისებები და გაანნა სილა სწორედ იმის გამო, რაც ყველაზე ცუდი იყო მიხეილ სააკაშვილში – ზედმეტი ძალაუფლების გამო და ეს ათასჯერ მიღირს იმ საყვედურებად, დილას რატომ თქვი და საღამოს გადათქვი?!

– ფიქრობთ, რომ გოკა გაბაშვილმაც გააწნა სილა და გიორგი კანდელაკმაც?

– კანდელაკი არ ესწრებოდა.

– დიახ, როგორც ჩიორა თაქთაქიშვილი.

– არდასწრებაც ნიშნავდა, რომ ხმის მიცემა არ უნდოდათ, სხვათა შორის, მეორე დღეს გამოჩნდა ბატონი კანდელაკი პარლამენტში. იქ არის ხალხი, რომლებსაც ამ გადაწყვეტილებისთვის ხმა არ მიუციათ და ჩვენ პატივს ვცემთ მათ. ვინც ხმა მისცა, მათ გაიგეს, რომ არიან პარლამენტში და არა მიხეილ სააკაშვილის ციხესიმაგრეში. ყველანი ვხვდებით, რომ კაცი, რომელიც აეროპორტში ლურჯი მანქანით დადის, ადეკვატურად არ მოიქცევა.

– არის იმის პერსპექტივა, რომ „ოცნებას“ ჰყავდეს საკონსტიტუციო უმრავლესობა?

– თუ ეს არის შეკითხვა იმ თვალსაზრისით, მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შედეგად შეიძლება თუ არა, რომ ეს მოხდეს, ჩემი პასუხია – დიახ. თუ შეკითხვაა, გადმოიბირებთ და გადაუგრეხთ თუ არა ხელებს, გეტყვით – არა. იქიდან თვითონაც მოდის ხალხი, მაგალითად, ის კაცი, რომელიც თვითმფრინავში ჩასვეს და გააფრინეს, რომ კონსტიტუციისთვის ხმა არ მიეცა, განანაწყენებულია.

– ვის გულისხმობთ?

– თუ შეიძლება, არ დავასახელებ კონკრეტულ პიროვნებას. რამენაირად 100-ზე მეტ ხმას ვაჩვენებდით სარეიტინგოზე, მაგრამ არ გვინდოდა ძალადობა. უცხოეთმა რომ დაინახა 135-მა კაცმა მისცა ხმა საკონსტატუციო ცვლილებებს, დამთავრდა საუბრები, რომ ეს იყო ხელების გადაგრეხვა.

– ნორლანდი მართლაც შემთხვევით იყო, მიუხედავად ბულგაკოვის ლოგიკისა, რომ აგური შემთხვევით არავის ეცემა თავში?

– შემთხვევით, ნორლანდის პარლამენტში ვიზიტი ერთი თვით ადრე დაიგეგმა, კენჭისყრის დღე კი წინა დღეს დაინიშნა. დათო ბაქრაძეს და უმრავლესობას რომ არ სდომებოდა, ნორლანდი ვერაფერს გადაწყვეტდა.

– სკამი ტკბილია, თან, გარანტირებულად სამ-ნახევარი წლით და ბატონი ბაქრაძისაც გასაგებია.

– პოლიტიკაში სკამი ტკბილზე უფრო მნიშვნელოვანია, რომ უმცირესობის ლიდერს აქვს პასუხისმგებლობა. ეს ერთი და იგივე წინადადებაა, მაგრამ სხვადასხვანაირად ნათქვამი. უნდა იყოს კიდეც ტკბილი ის სკამი. ვინც ვერ დაარწმუნეს, ისინი დარბაზში უბრალოდ არ შემოვიდნენ.

ნინო ხაჩიძე

ოლიმპიური თამაშების მონაწილე მონარქების ტოპ-ათეული

სამეფო ოჯახის წარმომადგენლების ნახვა სპორტულ შეჯიბრებებზე მეტწილად საპატიო სტუმრებისთვის განკუთვნილ ვიპ-ლოჟებშია შესაძლებელი. მაგალითად, უკანასკნელ ორ დიდ სპორტულ ფორუმს – ევროპის 2012 წლის ჩემპიონატს ფეხბურთში და ლონდონის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებს, არაერთი მონარქიული ოჯახი დაესწრო. თუმცა, სპორტის ისტორიას ახსოვს ფაქტები, როდესაც მონარქები თავად იღებდნენ მონაწილეობას სპორტულ შეჯიბრებებში, რაც ძირითადად, ოლიმპიურ თამაშებზე ხდებოდა. პირველი ოლიმპიადა, რომელზეც მონარქიული ოჯახის წევრი სპორტსმენის ამპლუაში წარდგა, 1912 წლის ოლიმპიადა იყო და მას შემდეგ მონარქები ყოველგვარი პრივილეგიების გარეშე იღებდნენ მონაწილეობას ოლიმპიურ თამაშებში. ჟურნალმა „ფორბსმა" ათი ყველაზე ცნობილი ოლიმპიელი მონარქისგან შემდგარი რეიტინგი გამოაქვეყნა, რომელსაც „თბილისელების" ამ ნომერში გთავაზობთ.

დიდი მთავარი დიმიტრი პავლეს ძე – ოლიმპიადა 1912

ერთ-ერთი პირველი მონარქი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ოლიმპიურ თამაშებში, იყო დიდი თავადი დიმიტრი რომანოვი – ალექსანდრე მეორის შვილიშვილი და ნიკოლოზ მეორის ბიძაშვილი. ბავშვობაში სუსტი და ხშირად ავადმყოფი დიმიტრი პავლეს ძე, რომელიც სამხედრო სამსახურში მსახურობდა, 1912 წელს სტოკჰოლმის ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილის რანგში ჩავიდა. თავადი ცხენოსნობაში იღებდა მონაწილეობას ჯერ ინდივიდუალურ კონკურსში, შემდგომ კი – გუნდურ შეჯიბრში და კნიაზმა საერთო ჩათვლაში მეცხრე ადგილი დაიკავა – მას კიდევ ერთი მონარქიული ოჯახის წარმომადგენელმა, პრუსიის პრინცმა ფრიდრიჰ კარლმა გაუსწრო, რომელმაც ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. სტოკჰოლმის ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღების შემდეგ თავადი დიმიტრი პავლეს ძე მეფის რუსეთში ოლიმპიური მოძრაობის სულისჩამდგმელი გახდა.

ნორვეგიის მეფე ოლაფ მეხუთე – ოლიმპიადა 1928

დიდ სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება მეოცე საუკუნეში ნორვეგიელი მონარქების ერთგვარ ტრადიციად იქცა. მეფე ოლაფ მეხუთემ, ჯერ კიდევ კრონ-პრინცობის პერიოდში, მონაწილეობა მიიღო 1928 წლის ზაფხულის ოლიმპიადაში ამსტერდამში. აფროსნობაში მან საკუთარი იახტით („ნორმა") მიიღო შეჯიბრებაში მონაწილეობა და ყველა კონკურენტს გაუსწრო, რისთვისაც ოქროს მედალი მოიპოვა. სპორტის სიყვარული ოლაფმა თავის შვილს, ნორვეგიის ამჟამინდელ მეფე ჰერალდ მეხუთესაც ჩაუნერგა, რომელიც, მამის მსგავსად, იახტსმენი გახდა და მონაწილეობა სამ ოლიმპიადაში მიიღო. 1964 წელს ის ნორვეგიის მედროშეც კი იყო, თუმცა, მერვე ადგილზე უკეთესი შედეგი არ უჩვენებია.

საბერძნეთის მეფე კონსტანტინე მეორე – ოლიმპიადა 1960

1960 წლის რომის ოლიმპიურ თამაშებზე საბერძნეთის მომავალმა მეფემ, კრონ-პრინცმა კონსტანტინემ, აფროსნობაში მიიღო მონაწილეობა და „დრაკონის" კლასში ოქროს მედლის მოპოვება მოახერხა. 20 წლის მომავალი მონარქი ოლიმპიადაზე ყველაზე ახალგაზრდა გამარჯვებული გახდა. საინტერესოა, რომ კონსტანტინე მეორის ეკიპაჟის წევრი გახლდათ ესპანეთის ამჟამინდელი დედოფალი სოფია – კონსტანტინეს უმცროსი და. კონსტანტინე საბერძნეთის უკანასკნელი მეფე გახლდათ, რადგან, 1974 წელს ქვეყანაში რესპუბლიკური მმართველობა დამყარდა.

ესპანეთის მეფე ხუან კარლოს პირველი – ოლიმპიადა 1972

2012 წელს გემთმშენებელმა ვერფმა, „ვარადორ 2000-მა", რესტავრირებული იახტა „ფორტუნა" წარუდგინა მსოფლიო საზოგადოებას. ამ იახტით მიუნჰენის 1972 წლის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას იღებდა ესპანელი მონარქი ხუან კარლოსი. მეფემ მაშინ ვერ აჩვენა კარგი შედეგი და ოლიმპიადიდან უმედლოდ დაბრუნდა სახლში. საინტერესოა, რომ ოლიმპიურ თამაშებში ესპანური მონარქიული ოჯახის არაერთმა წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა: 1988 წლის სეულის ოლიმპიურ თამაშებში ხუან კარლოსის ქალიშვილი, პრინცესა კრისტინა იღებდა მონაწილეობას და აფროსნობაში გუნდურ ჩათვლაში მე-20 ადგილი დაიკავა; გაცილებით წარმატებული გამოდგა პრინცი ფილიპის გამოსვლა მშობლიურ, 1992 წლის ბარსელონის ოლიმპიადაზე, სადაც მან მე-6 ადგილი დაიკავა. ესპანური სამეფო ოჯახის ერთადერთი მედალოსანი წარმომადგენელი ხუან კარლოსის სიძე, ხელბურთელი ინიაკი ურდანგარინია.

ინგლისის პრინცესა ანა – ოლიმპიადა 1976

საბერძნეთიდან დიდ ბრიტანეთში ოლიმპიური ცეცხლის ჩატანის საპატიო მისია დედოფალ ელიზაბეთ მეორის ქალიშვილს, პრინცესა ანას ხვდა წილად, რადგან იგი იმ დროისთვის სამეფო ოჯახის ერთადერთი წარმომადგენელი გამოდგა, რომელსაც მონაწილეობა ჰქონდა მიღებული ოლიმპიურ თამაშებში – მონრეალის 1976 წლის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში პრინცესა ანა ცხენოსნობაში მონაწილეობდა, სადაც 24-ე ადგილი დაიკავა. 1994 წლამდე ანა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი იყო. ოლიმპიური ტრადიცია სამეფო ოჯახში ანას ქალიშვილმა, ზარა ფილიპსმა განაგრძო, რომელმაც დედაზე გაცილებით წარმატებულად იასპარეზა ლონდონის ოლიმპიურ თამაშებში და საცხენოსნო სპორტში ვერცხლის მედალოსანი გახდა.

მონაკოს მთავარი ალბერ მეორე – 1988, 1992, 1994, 1998 და 2002 წლების ოლიმპიადები

მონაკოს დიდი მთავარი ალბერ მეორე რეკორდსმენია მონარქებს შორის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის თვალსაზრისით. რენიე მესამისა და გრეის კელის ერთადერთი ვაჟი ბავშვობიდან იყო ჩართული სპორტში. შავი ქამარი ძიუდოში, ჩრდილოეთ პოლუსის დაპყრობა და რალი „პარიზი-დაკარში" მონაწილეობის მიღება – ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია. ალბერ მეორემ ხუთ ზამთრის ოლიმპიადაში მიიღო მონაწილეობა, კალგარიში, ალბერვილში, ლილეჰამერში, ნაგანოსა და სოლთ-ლეიკ-სიტიში. დიდი მთავარი ბობსლეის შეჯიბრებაში იღებდა მონაწილეობას და მისი უმაღლესი შედეგი 24-ე პოზიციის დაკავება იყო. ცნობისთვის, ალბერ მეორის მეუღლე, სამხრეთაფრიკელი მოცურავე შარლინ უიტსტოკი, სიდნეის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე მეხუთე ადგილს დასჯერდა.

ბრუნეის პრინცი ჯეფრი ბოლკიაჰი – 1996 და 2000 წლების ოლიმპიადები

პირველად ოფიციალური მონაწილის სტატუსით, ბრუნეის სასულთნომ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა ატლანტის 1996 წლის ზაფხულის ოლიმპიადაზე მიიღო. ქვეყანას მისი მოქმედი ფინანსთა მინისტრი პრინცი ჯეფრი ბოლკიაჰი წარადგენდა სასტენდო სროლაში, რომელსაც საკვალიფიკაციო რაუნდის გავლა გაუჭირდა და შეჯიბრება 49-ე ადგილის დაკავებით დასრულა. მომდევნო ოლიმპიადაზე ჯეფრიმ კვლავ სასტენდო ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა და საკუთარი შედეგი ოდნავ გაავუმჯობესა – 45-ე პოზიცია დაიკავა.

იორდანიის პრინცესა ჰაია – ოლიმპიადა 2000

სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე იორდანიის მედროშე პრინცესა ჰაია გახლდათ, რომელმაც ცხენოსნობის შეჯიბრებაში მიიღო მონაწილეობა, თუმცა, საპრიზო ადგილს ვერ შესწვდა. ცხენოსნობით ჰაია 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიადის ტელევიზორში ყურების დროს დაინტერესებულა და მამისთვის, იორდანიის მეფე ჰუსეინ პირველისთვის, უთქვამს, რომ ერთხელ თავადაც მიიღებდა მონაწილეობას ოლიმპიადაში როგორც სპორტსმენი. სწორედ სიდნეიში გაიცნო პრინცესა ჰაიამ თავისი მომავალი მეუღლე – დუბაის შეიხი მუჰამედ ბენ რაშიდ ალ მაქტუში. გათხოვების გამო, ჰაიას 2004 წლის ათენის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის მიღებაზე უარის თქმა მოუხდა.

დანიის პრინცესა ნატალი – ოლიმპიადა 2008

დანიის პრინცესა ნატალიმ მონარქებისთვის საყვარელ სპორტულ სეგმენტში – ცხენოსნობაში მიიღო მონაწილეობა 2008 წლის პეკინის ოლიმპიადაზე. ნატალის ბავშვობიდან ჰქონდა სურვილი, რომ დანიის ნაკრების რიგებში ოლიმპიადაზე წასულიყო და იქ საკუთარი სამშობლო ესახელებინა, რაც პრინცესას და დედოფალ მარგრეტ მეორის ძმისშვილს მშვენივრად გამოუვიდა. ნატალიმ პეკინის ოლიმპიადაზე საცხენოსნო სახეობაში ბრინჯაოს მედლის მოპოვება მოახერხა.

საუდის არაბეთის პრინცი აბდულა ალ-საუდი – 2008 და 2012 წლების ოლიმპიადები

საუდის არაბეთის მეფის შვილიშვილი, პრინცი აბდულა ალ-საუდიც ცხენოსნობით არის გატაცებული და მას მონაწილეობა აქვს მიღებული პეკინისა და ლონდონის ოლიმპიურ თამაშებში. 28 წლის პრინცმა კონკურის შეჯიბრში ნაკრებთან ერთად ბრინჯაოს მედლის მოგება მოახერხა, რაც ნამდვილად დიდი მიღწევაა საუდის არაბეთის ნაკრებისთვის. ცნობისთვის, ზარა ფილიპსი და აბდულა ალ-საუდი მონარქიული ოჯახების ჯერჯერობით უკანასკნელი წარმომადგენლები არიან ოლიმპიურ თამაშებში და, იმედია, რომ რიო-დე-ჟანეიროს 2016 წლის ზაფხულის ოლიმპიადაზე ან სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე ტრადიცია გაგრძელდება.

უშანგი რუხაძე

გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები" შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში

„მაცნე" – 214-39-06;
„პლანეტა" – 251-75-21;
„ელვასერვისი" – 238-80-02;
„ინფოსერვისი" – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია" – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია" – 294-32-32

27 მარტს, სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში,“ კომპანია „ნატახტრისა“ და ასოციაცია „ჩვენი სახლი – საქართველოს“ ერთობლივი კონფერენცია გაიმართა, რომელიც, „ფონდი ნატახტრის“ საქველმოქმედო პროექტის – „იზრუნე მომავალზე“ ფარგლებში, მზრუნველობამოკლებული მოზარდების დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადების ხელშეწყობისთვის განხორციელებული ერთი წლის საქმიანობასა და ფინანსური ანგარიშის ჩაბარებას მოიცავდა. პროექტი ხორციელდება საქართველოს პატრიარქის თანადგომითა და ლოცვა-კურთხევით.

ფონდი „ნატახტარის“ 1 წლის საქმიანობის ანგარიში

243 000 ათასი ლარი ორი წლის განმავლობაში მზრუნველობამოკლებული ბავშვების უკეთესი მომავლისთვის

თორნიკე ნიკოლაიშვილი *(კომპანია „ნატახტრის“ მარკეტინგის დირექტორი):* დასრულდა თანხის შეგროვების მეორე ეტაპი. მინდა ისიც გითხრათ, რომ ორი ეტაპის განმავლობაში უკვე შეგროვებულია დაახლოებით 243 000 ლარი.

თუ გასულ წელს ჩვენი ფოკუსი იყო 16-18 წლის მოზარდები, წელს ეს სეგმენტი გაიზრდება. ეს პროექტი სხვა პროექტებისგან იმითაც განსხვავდება, რომ აქ ინდივიდუალური მიდგომაა, ანუ, თითოეული მოზარდი არის თითო ქეისი. როგორც იცით, როცა მოზარდი 18 წლის ხდება, სახელმწიფო მასზე ზრუნვას ოფიციალურად წყვეტს. ჩვენ კი ჯერ კიდევ 2011 წელს მოვახდინეთ ამ პრობლემის იდენტიფიცირება. ჩვენს შემთხვევაში, მოზარდი 18 წლის რომ შესრულდება, მისი ქეისი არ იხურება. ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, როცა გადაწყდება, რომ ის მზად არის დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის.

მანანა ომარაშვილი *(ასოციაცია „ჩვენი სახლის“ წარმომადგენელი):* ჩვენი მთავარი მიზანია, როცა მოზარდი მცირე საოჯახო სახლს დატოვებს, უკვე უნდა შეეძლოს დამოუკიდებლად ცხოვრება, ამისთვის კი მას არა მხოლოდ პროფესია უნდა ჰქონდეს, არამედ, ისეთი უნარებიც უნდა გააჩნდეს, რომელიც დაეხმარება, თავი ძლიერ პიროვნებად იგრძნოს, რისთვისაც მათ ყველანაირ პირობას ვუქმნით. 2012 წლის განმავლობაში ვიმუშავეთ 72 მოზარდთან, აქედან 10 შემთხვევა უკვე დახურულია, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ ჩვენი მომსახურება აღარ ესაჭიროებათ. 5 ბენეფიციარი უკვე მუშაობს, 4 გოგონა გაგვითხოვდა და გვითხრეს, რომ ჩვენი დახმარება აღარ სჭირდებათ. რაც შეეხება დანარჩენ ბენეფიციარებს, 4 ვაჟი დასაქმებულია, რომლებიც ძირითადად დასავლეთ საქართველოში ცხოვრობენ, ხოლო 10 მოზარდი უკვე მზად არის მუშაობის დასაწყებად, მაგრამ, ამისთვის მათ 2-3 თვე მაინც სჭირდებათ, რადგან, ხელობის შესწავლას ამთავრებენ. 6 ბენეფიციარი კი ემზადება ეროვნული გამოცდების ჩასაბარებლად. ორი ისეთი შემთხვევაც გვქონდა, როცა შეზღუდული შესაძლებლობის მოზარდი დასაქმდა. ეს ყველაზე დიდი წარმატებაა, რადგან, მოგეხსენებათ, როგორი რთულია დღეს დასაქმება, მით უმეტეს – შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანებისთვის. ორივე დასავლეთ საქართველოს ბენეფიციარია, ერთი სტილისტია, ხოლო მეორე ავეჯის დამზადების ხელობას სწავლობს.

ლელა მერაბიშვილი *(ასოციაცია „ჩვენი სახლის“ წარმომადგენელი):* ალბათ, ბევრს დაინტერესებს, თუ როგორ ვახორციელებთ ამ ყველაფრის ორგანიზებას და რა სახის მომსახურებები არსებობს: ფსიქოლოგების სამსახურში – 44 პროცენტი, ადმინისტრაციულ ხარჯში 10 პროცენტი, ხოლო მოზარდების მომსახურებაში – 46 პროცენტი. ჩვენი დახმარებით მოზარდი სრულ სერვისს იღებს ცხოვრებაში დამოუკიდებელი ნაბიჯების გადასადგმელად და საზოგადოებაში თავის დასამკვიდრებლად. რაც შეეხება პროფესიებს, რომლებსაც მათ ვთავაზობთ, არის: ინტერნეტ-ტექნოლოგი, მზარეული, მასაჟისტი, დურგალი, კოსმეტოლოგი, ტყავის დამუშავება-დიზაინი, ავტოშემკეთებელი. 36 მოზარდი მოვამზადეთ სხვადასხვა საგანში. ამას მხოლოდ იმისთვის კი არ ვაკეთებთ, რომ ეროვნული გამოცდებისთვის იყვნენ მზად, არამედ, მათი საერთო დონის ასამაღლებლად. თუ მოზარდი მე-9 კლასში უნდა იყოს, მაგრამ, რეალურად, მე-6 კლასშია, და მისი ასაკი არ შეესაბამება კლასს, მას დასჭირდება ექსტერნად ჩაბარება და, შესაბამისად, სხვადასხვა საგნების სწავლების გაძლიერება. ფონდი ამას უზრუნველყოფს, რაც ძალიან მნიშვნელოვანი დასაყრდენია ასეთი მოზარდებისთვის.

მარიკა ხიდურელი

თორნიკე ნიკოლაიშვილი: „მოზარდი 18 წლის რომ შესრულდება, მისი ქეისი არ იხურება. ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, როცა გადაწყდება, რომ ის მზად არის დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის“

ექსდეპუტატი, დღეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ქუთაისის ოფისის ხელმძღვანელი ნაზი არონია პოლიტიკურ ავანსცენას, მართალია, ჩამოშორდა, მაგრამ, უმცროსი შვილის, მარიამ საჯაიას წყალობით მაინც პოლიტიკაში „დარჩა". ყველაზე ახალგაზრდა დეპუტატის დედა, ვისმა შვილმაც სულ ახლახან გადალახა ყბადაღებული 21 წელი, დებიუტანტი შვილისთვის ყველაზე ერთგული და სანდო მრჩეველია, თუმცა, როგორც ნაზი არონია ამბობს, მისთვის მარიამ საჯაიას პოლიტიკაში ჩართვა ძალიან მტკივნეული აღმოჩნდა. რაში „ჩაითრია" ნაზი არონიამ შვილი წლების წინ და რა არ აპატია მას, ამას თავად ჩვენი რესპონდენტისგან შეიტყობთ.

რა გადაატანინა ნაზი არონიას შვილმა და როგორ ზრუნავს მარიამ საჯაიაზე მისთვის ყველაზე ერთგული მამაკაცი

– ქალბატონო ნაზი, როგორ ცხოვრობთ მას შემდეგ, რაც დიდ პოლიტიკას ჩამოშორდით?

– დიდ პოლიტიკაში არყოფნის კომპენსაციას მიკეთებს ჩემი ქალიშვილი მარიამი, რომლის წყალობითაც, გამოდის, რომ მეც ისევ ჩართული ვარ იმ ყველაფერში, რაც ჩვენ ირგვლივ ხდება და არ მაქვს შეგრძნება, რომ მე სადღაც შორს ვარ ამ პროცესებისგან. რომ არა მარიამი, ასე აქტიურად, ალბათ, არ ვადევნებდი თვალყურს ამ ყველაფერს, თუმცა, როგორც საქართველოს მოქალაქეს, ბუნებრივია, მაქვს ჩემი მოქალაქეობრივი ინტერესი.

– როგორ გაიმეტეთ შვილი პოლიტიკისთვის, თქვენ ხომ კარგად იცოდით ამ პოლიტიკის მძიმე კულისები?

– ხანდახან მაქვს მომენტები, როდესაც მაწუხებს ეს და ვფიქრობ – ეგებ, ჯობდა, მარიამისთვის ამ გადაწყვეტილების მიღებაში ხელი შემეშალა-მეთქი, მაგრამ, ალბათ, ყველა ადამიანს თავისი გზა აქვს ცხოვრებაში, რომელიც მან თავად უნდა გაიაროს, ახლობელმა ადამიანმა კი მას ამ გზაზე ხელი უნდა შეაშველოს, მეც არ მქონდა უფლება, სხვანაირად მოვქცეულიყავი. მარიამი არაა პატარა, მორცხვი და განაზებული გოგო, ხასიათით ძალიან აქტიურია, მაგრამ, ხანდახან მეჩვენება, რომ მისი თაობა ზომაზე მეტად თავდაჯერებულიც არის. ჩემი გავლენა, ალბათ, ის იყო, რომ ჩემმა შვილებმა, მარიამმა და ნიკამ, ჩემი პროფესია აირჩიეს – ორივე იურისტი გახდა. ეს ბუნებრივია – ბავშვი რა გარემოშიც იზრდება და რაც ესმის, ამ მხრივ უჩნდება ინტერესი. ამაში, ალბათ, მე ჩავითრიე ჩემი შვილები, თუმცა, ყველაფერი მაინც განგების ბრალია. რაც არ უნდა მოინდომო, არის ცხოვრებაში გარემოებები, რომლებიც ხშირად ჩვენს არჩევანს განაპირობებს.

საკუთარ თავზე არ მტკენია იმდენი, რაც ჩემს შვილზე მეტკინა

– მარიამის პოლიტიკაში ჩართვას ძალიან ბევრი ხმაური, მითქმა-მოთქმა მოჰყვა.

– მარიამზე გავრცელებული ხმები, ჩემთვის როგორც დედისთვის, ძალიან მტკივნეული იყო. საკუთარ თავზე არ მტკენია იმდენი, რაც ჩემს შვილზე მეტკინა. ბევრჯერ მიფიქრია, რატომ არ დავუშალე მარიამს პოლიტიკაში ჩართვა-მეთქი, მაგრამ როგორც უკვე გითხარით, ვერ ავუკრძალავდი იმ გზის გავლას, რომელიც მისი გასავლელი იყო. მე არ მეგულება ადამიანი, რომელსაც წარმატებისთვის წინააღმდეგობების გარეშე მიეღწიოს. პოლიტიკა ბრძოლის დიდი ასპარეზია, მით უმეტეს – ქართული პოლიტიკა. მარიამი თვითონაც განიცდის ხოლმე ამ ყველაფერს, თუმცა, ცდილობს, არ შეიმჩნიოს – ამ მხრივ მარჯვე გოგოა. როგორც იქნა, გადალახა ეს ყბადაღებული 21 წელი – ახლახან გახდა 22 წლის *(იცინის)*.

– შვილი თქვენს რჩევებს იზიარებს?

– დიახ, იზიარებს. ვურჩევ, რომ არ იყოს აგრესიულად მწვავე. რაც, ალბათ, მეგრული ხასიათისა და მისი ასაკის ბრალია. მარიამი ძალიან ჰგავს მამას. ჩემი მეუღლე უკომპრომისო და პირდაპირი იყო – ეს მართალი ადამიანების ჩვევაა. მიუკიბავ-მოუკიბავად უყვარდა თქმა, რაც კაცს უხდება, ქალს კი მეტი დელიკატურობა შეჰფერის, მით უმეტეს, როცა საზოგადოება გყავს ჩასაფრებული და გაიძახის: ამ ლაწირაკმა თვითონ რა იცის და ვის ასწავლის ჭკუასო. არადა, მარიამი ყველაფერს გულწრფელად აკეთებს, გულით სწამს და სჯერა. ახალგაზრდულ ასაკში ჩვენ ხომ ყველას გვიცხოვრია დიდი იდეებით, როცა გვგონია, რომ ყველაფრის გაკეთება და შეცვლა შეგვიძლია. მარიამი თვითონაც გრძნობს, რას ვერ აკეთებს კარგად, რა შეცდომებს უშვებს. მისი ეს თვისება მომწონს. ხშირად ერთადაც ვაანალიზებთ ხოლმე მის შეცდომებს, მის გამოსვლებს. მახსოვს მისი პირველი გამოსვლა, რომელიც მე და მისმა ძმამ, ნიკამ არ ვაპატიეთ. ისე გავკიცხეთ, იტირა კიდეც, მერე შეგვეცოდა, ასეთი რისხვა რომ დავატეხეთ თავს, ცუდად მოვიქეცით-მეთქი, ვამბობდი *(იცინის)*. ერთხელ ხათუნა გოგორიშვილმა მითხრა: სახლში მშობლებისგან კრიტიკა და საყვედური არ მიმიღია; პირიქით, ვფიქრობდი, ამდენ რამეს ამბობენ ჩემზე და, ნეტავ, არ გაუგიათო? სახლში მივდიოდი და ისე იქცეოდნენ, თითქოს არაფერი იცოდნენო. მივხვდი, რომ ესაა სწორი, ალბათ, ეს ჯობია სასტიკ კრიტიკას, როცა ადამიანი თავის შეცდომას თვითონ გრძნობს. ჩვენი სახით მარიამს ძალიან მკაცრი შემფასებლები ჰყავს ოჯახში. ხანდახან ვფიქრობ კიდეც, რომ, ჯობია, დავზოგოთ. მისი კარიერის დასაწყისი ძალიან რთულ პერიოდს დაემთხვა. სწორედ იმ პერიოდში გამოგვეცალა ხელიდან ჩემი მეუღლე – ოჯახის დიდი საყრდენი და ზურგი. ის მარიამის მიმართ ძალიან მომთხოვნი იყო და ასეთი იყო ყველასთან. როცა რამეს გავაკეთებდი, სულ მაინტერესებდა ჩემი მეუღლის აზრი. არასდროს შემაქებდა, მისგან არ გამიგია „ყოჩაღ", მაგრამ საყვედურს რომ არ მეტყოდა, ეს უკვე ნიშნავდა, რომ არ მაკრიტიკებდა და ჩემი ქმედება მოსწონდა. ძალიან მწყდება გული, რომ ის ვერ მოესწრო შვილების წარმატებებს, ნიკას წინსვლას. ნიკა ძალიან კარგად გაუძღვა მის საქმეებს. ამ მდგომარეობამ, როცა ოჯახის პასუხისმგებლობა მთლიანად მას დააწვა, უცებ გაზარდა. ნიკა მარიამისთვისაც გახდა დიდი საყრდენი – ის მარიამის ზურგს უკან ჩასაფრებული ადამიანია, ვისი იმედიც ყოველთვის აქვს. ეს არის როგორც ფინანსური, ასევე, მორალური მხარდაჭერა. ნიკა არის მისთვის ყველაფერი, ზრუნავს იმ ყველაფერზე, რაში მხარდაჭერაც ამ ასაკში გოგონას მამაკაცისგან სჭირდება.

რაც მე და ჩემმა მეუღლემ თბილისსა და ზუგდიდს შორის ვიარეთ, ეკვატორს შემოვუვლიდით

– თქვენ როგორ უდგახართ მას გვერდში?

– თითქმის ყველა საზრუნავი მოვუხსენი, ვცდილობ, რომ მისი ყველა ტვირთი გავინაწილო, მარიამი სტუდენტია და ამ მხრივაც ბევრი პასუხისმგებლობა აქვს აღებული. განიცდის იმასაც, რომ ბევრ დროს ვერ უთმობს შვილს, ბავშვის გაზრდა მთლიანად მე ავიღე. ბუკა ახლა გახდა 3 წლის, მას, ისევე როგორც მე და მარიამს, რთული გეოგრაფია აქვს: თბილისი-ქუთაისი-ზუგდიდი-განმუხური. მარიამს უამრავ საქმეს ვაშორებ, ტანსაცმელსაც კი მე ვუწესრიგებ. ახლა მიკვირს, მე როგორ ვახერხებდი ამდენს. პარლამენტის წევრობასთან ერთად, მე ოჯახის ქალი ვიყავი – ქმარი, შვილები მებარა, სახლკარი, ქორწილი და მეგრული ვაი-ვიში *(იცინის)*. ახლაც ბევრი საქმე მაქვს ერთად: ჩემი სამსახური, დიდი ოჯახი, ბავშვები, ვცხოვრობ დიდი გეოგრაფიით: ქუთაისი-თბილისი-ზუგდიდი. მძღოლი არ მყავს, თვითონ დავდივარ ამ რეისებში. სულ ვამბობდი: რაც მე და ჩემმა მეუღლემ თბილისსა და ზუგდიდს შორის ვიარეთ, ეკვატორს შემოვუვლიდით. მეუღლე ძალიან დამაკლდა. მან არ იცოდა მოვარაყებული საუბარი, მაგრამ, შემეძლო, ყველაფერში დავყრდნობოდი. ბევრი ვერ დაიტრაბახებს, ისეთი ქმარი მყავდა. მისი სიკვდილის შემდეგ გული სულ განმუხურისკენ მიმიწევს, სადაც ის დავკრძალეთ. ჩემს მეუღლეს ძალიან უყვარდა განმუხურის სახლი. თუ მინდოდა, მისთვის მესიამოვნებინა, განმუხურში მივდივარ-მეთქი, ვეტყოდი ხოლმე. როგორც ძველისძველ მეგრულ ოჯახს, იქ ლიმონის, მანდარინის დიდი მეურნეობა გვაქვს, რომლის გაძღოლაში მეც ვარ ჩართული.

– მარიამის პირად ცხოვრებაში ერევით?

– რა თქმა უნდა, ვერევი. რომელი დედა არ ურჩევს შვილს, მით უფრო, თუ შვილი გაძლევს ამის საშუალებას?! მარიამი გადაწყვეტილებაში „ჯიუტა" გოგოა, მაგრამ, მე მაინც ვცდილობ, ყველაფრის საქმის კურსში ვიყო. გათხოვების თემა მისი დღის წესრიგიდან ამოღებულია, ჯერ ბევრი სხვა საქმე აქვს გასაკეთებელი – ვცდილობ, ყველაფერში გვერდში ვედგე. გული იმაზე მწყდება, აღტაცება აღარ მაქვს ისეთი, როგორიც მქონდა. შარშან ისეთი ახალი წელი მოვაწყვე – ზეიმით, გასართობი ნომრებით დიდებისთვის ცალკე, ბავშვებისთვის – ცაკლე, მეზობლები და მეგობრები მყავდა ჩართული. ახლა ეს აღტაცება აღარ მაქვს. გუშინ მარიამი ქუთაისში მიდიოდა და სიმღერ-სიმღერით ალაგებდა წიგნებსა და ტანსაცმელს. საკუთარ თავს ვკითხე, მე რატომ არ გამოვხატავ სიხარულს-მეთქი და, მივხვდი, რომ აღფრთოვანების უნარი დავკარგე. მე არ მიყვარს, როცა ადამიანები წუწუნებენ და ტირიან, ამიტომაც, სულ ვცდილობ, განვეწყო იმისთვის, რომ ცხოვრება გრძელდება და მას ფეხდაფეხ უნდა მივყვე.

თამუნა ნიჟარაძე

პროტოკოლის ცნებაცა და მნიშვნელობაც უძველესი დროიდანაა ცნობილი, უფრო მეტად კი, ევროპაში. პროტოკოლურ წესებს, ცერემონიებსა და მათი გამართვის უმცირეს დეტალებსაც კი, ყველა სახელმწიფოს ყველა ეპოქაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სამეფო კარზე. პროტოკოლური წესების კომპლექსურობით, საფრანგეთს, უდავოდ, ყველაზე გამორჩეული ისტორია აქვს. შეიძლება ითქვას, რომ პროტოკოლური წესების დიდი უმრავლესობა სწორედ საფრანგეთის სამეფო კარზე ჩამოყალიბდა. ამიტომაც მივმართეთ ინტერვიუს ჩასაწერად გოჩა ჯავახიშვილს, რომელიც საქართველოს დესპანი იყო საფრანგეთში.

რის გამო მიატოვა სილვიო ბერლუსკონი ანგელა მერკელმა ხელის ჩამორთმევის წინ და რას ნიშნავს ეტიკეტი

გოჩა ჯავახიშვილი: პროტოკოლი ოდითგანვე მოდის. ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში ითვალისწინებდნენ რიგ გარემოებებსა და თავაზიანობის ფორმებს სტუმრის მასპინძლობის ან სხდომის ჩატარებისას. ბიზანტიის იმპერიისა და შუა საუკუნეების პროტოკოლი, თანამედროვე პროტოკოლისგან იმითაც განსხვავდება, რომ მაშინ პროტოკოლი პრინციპებისა და მეფეების მიმართ არათანასწორ დამოკიდებულებას უშვებდა. ანუ, ყველა სუვერენი თანასწორი არ იყო და მათ მიმართ არაერთგვაროვან პროტოკოლს ითვალისწინებდნენ. თანამედროვე პროტოკოლი ამ მხრივ მსგავს დიფერენციაციას აღარ უშვებს და შეიძლება ითქვას, პროტოკოლი თანასწორობის პრინციპს ეფუძნება. დიპლომატიური პროტოკოლი ერთსა და იმავე კრიტერიუმებს იყენებს სახელმწიფო ვიზიტების მოსამზადებლად, იმის მიუხედავად, სახელმწიფოს მეთაური პატარა ქვეყანას წარმოადგენს თუ დიდს.

საზეიმო მიღებისას საპატიო სტუმართა და წარჩინებულ პირთა ღონისძიების, წვეულებისა და განთავსების პირველი სქემა ნაპოლეონს ეკუთვნის

– რას ნიშნავს თვითონ სიტყვა პროტოკოლი?

– პროტოკოლსა და ეტიკეტს, ორივე სიტყვას, პრინციპში, ერთი და იგივე სემიტოლოგიური წარმოშობა აქვს. შუა საუკუნეებში პროტოკოლს უწოდებდნენ მნიშვნელოვანი საქმის პირველ გვერდს, ან ყდას, „წინ დაკრულს“, გვერდს, რომელიც დოკუმენტის რაობას იუწყებოდა. პროტოკოლის გამოყენება დადგენილი წესების თვალსაზრისით, გვიან, მეთვრამეტე საუკუნეში დაიწყო. მანამდე კი, ჯერ კიდევ მეთექვსმეტე საუკუნეში, უფრო ტერმინ „ეტიკეტს“ იყენებდნენ. ეტიკეტით განისაზღვრებოდა არა მხოლოდ ცერემონიალის უმცირესი დეტალები, არამედ იმ დიდგვაროვანთა სიაც, რომლებიც ცერემონიალს უნდა დასწრებოდნენ, იმის გათვალისწინებით თუ მათი მეფის ირგვლივ როგორ განლაგდებოდნენ. მათი ადგილი იერარქიის, ღირსებებისა და ფუნქციების მიხედვით ენიჭებოდათ. სიტყვა ცერემონიალიც ეტიკეტისა და პროტოკოლის თანამედროვე ტერმინია და ლათინური ძირით – „ღვთიური კულტის თაყვანისცემას“ ნიშნავს.

– საფრანგეთში, სხვა ქვეყნებთან შედარებით, პროტოკოლმა მასშტაბური ფორმები მიიღო.

– უკვე 1649 წელს საფრანგეთში ცერემონიალების ერთგვარი კოდექსიც კი დაიწერა, რომელიც 2000 გვერდს მოიცავდა. ყველა ტიპის ცერემონიალი უმცირეს დეტალებში იყო გაწერილი. პროტოკოლის ნაპოლეონისეული ხედვა უცვლელად მოქმედებდა 1907 წლის 16 ივნისამდე, მანამდე, სანამ საფრანგეთის მესამე რესპუბლიკის მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ჟორჟ კლემანსომ სპეციალური განკარგულებით პროტოკოლური წესების უფრო ინსტიტუციონალიზაცია მოახდინა. მას შემდეგ ოფიციალურად მხოლოდ 1995 წელს შევიდა ცვლილებები და დამატებები პროტოკოლურ წესთა კოდექსში.

– რამდენად ზუსტად ხდება პროტოკოლის წესების დაცვა?

– პროტოკოლის ზედმიწევნით დაცვა, არა მხოლოდ ღონისძიების ჰარმონიულად და მოწესრიგებულად წარმართვას ნიშნავს, არამედ მოქალაქეთა თვალში უზრუნველყოფილია სახელმწიფოს ფუნქციონირების ერთგვარი ფორმა. მაგალითად, ფრანგებისთვის ხშირად ფორმა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც შინაარსი. პროტოკოლური წესების დაცვა საუბრისას, ურთიერთმიმართვებისას ეტიკეტის ნორმების დაცვა, არა მარტო ურთერთპატივისცემას გამოხატავს, არამედ მათ დამოკიდებულებასაც უსვამს ხაზს სახელმწიფოსა და მისი ინსტიტუტებისადმი.

ფრანგულ პროტოკოლში, რაც არ უნდა პატივსაცემი იყოს პიროვნულად ადამიანი, მას თავისი ადგილი უნდა ეკავოს პროტოკოლური განლაგებისას. შარლ დე გოლი პროტოკოლური მოთხოვნების ზუსტად შესრულებას სახელმწიფო წესრიგის დაცვის გამოხატულებად მიიჩნევდა. მაგალითად, საქართველოში გამართულ ოფიციალურ ღონისძიებაზე უცხო სახელმწიფოს ელჩი თუ სათანადოდ არ იქნა განთავსებული მისი ღირსების, ხანდაზმულობის (როდის გადასცა პრეზიდენტს რწმუნებათა სიგელი) მიხედვით, შესაძლოა, ამ, ერთი შეხედვით, უწყინარ ინციდენტს, დიპლომატიური სკანდალიც კი მოჰყვეს. ამ შემთხვევაში, საქმე ეხება არა ელჩის, არამედ მის მიერ წარმოდგენილი ქვეყნის პრესტიჟსა და ღირსებას. თუმცა, იგივე არაა თუ საქმე რიგით ვაზშამს ეხება. ამ დროს ელჩის, როგორც ქვეყნის წარმომადგენლის ფუნქცია არაა ხაზგასმული.

– ოფიციალურ ვიზიტებსაც თავისი წესები აქვს?

– რა თქმა უნდა. ვიზიტების კლასიფიკაცია პროტოკოლის მიხედვით ძალზე საინტერესოა. სახელმწიფო ვიზიტის პროგრამა სამდღიანია და პოლიტიკური შეხვედრების გარდა, მაღალი დონის კულტურულ პროგრამასაც მოიცავს. სახელმწიფო ვიზიტის ფარგლებში დაბალი დონის მომღერლის, ან მოუმზადებელი სპექტაკლის ჩვენებამაც კი, შესაძლოა, ქვეყნებს შორის ურთიერთობისა და პატივისცემის ხარისხზე იმოქმედოს. მასპინძელი სახელმწიფო თავად განსაზღვრავს მაღალი დონის სტუმრისთვის უსაფრთხოების ღონისძიებათა მასშტაბსა და ხარისხს. ამის მიხედვით, გამოყოფს ჯავშნიან მანქანასა და პირად მცველთა შემადგენლობას. ზოგიერთი სახელმწიფო ზედმეტად ამახვილებს ამ დეტალებზე ყურადღებას. მაგალითად, ისრაელისა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო პროტოკოლის წარმომადგენლები უთუოდ მოითხოვენ, რომ მათი მაღალი დონის პოლიტიკოსების სტუმრობისას, ნებისმიერ ქვეყანაში საკუთარი უსაფრთხოების დაცვა თავადვე უზრუნველყონ. მოითხოვენ სნაიპერების განლაგებას სახურავებზე, რაც უსაფრთხოების მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ხდება.

სახელმწიფო ვიზიტის ფარგლებში დაბალი დონის მომღერლის, ან მოუმზადებელი სპექტაკლის ჩვენებამაც კი, შესაძლოა, ქვეყნებს შორის ურთიერთობისა და პატივისცემის ხარისხზე იმოქმედოს

– კულტურულად განსხვავებული ქვეყნების შემთხვევაში რა ხდება, როდესაც პროტოკოლი სულ სხვადასხვაგვარ მოქცევას ითვალისწინებს?

– ვიზიტების მომზადებისას, პროტოკოლის მესვეურები, ასევე მხედველობაში იღებენ რელიგიურ და კულტურულ თავისებურებებს. კერძოდ კი, სადილისა და ვახშმის მენიუს მომზადებისას. 1999 წელს, საფრანგეთმა არ დათმო და ირანელების კატეგორიულ მოთხოვნაზე, მაგიდის გაწყობისას ამოეღო ღვინის ჭიქები, უარი თქვა. ირანელების მოთხოვნით, მაგიდაზე მხოლოდ ფორთოხლის წვენი უნდა ყოფილიყო. ღვინის დიდი ტრადიციების ქვეყნისთვის ამ აკრძალვის თავსმოხვევა მიუღებელი აღმოჩდა. ამის გამო რამდენჯერმე გადაიდო კიდეც აღნიშნული ვიზიტი და პრეზიდენტი მუჰამედ ხათამი, საბოლოოდ, ისეთ დროს შეხვდა ფრანგ კოლეგას, როცა სუფრაზე მხოლოდ უალკოჰოლო სასმელებს მიირთმევენ. ამას წინათ, საფრანგეთში ერაყის პრემიერ-მინისტრის ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილი სადილი იმის გამო გადაიდო, რომ მასპინძლებმა სუფრაზე ღვინის ჭიქები გაითვალისწინეს. ერაყის პროტოკოლმა როგორც კი შეიტყო, რომ ვინმეს შეიძლებოდა იმ სადილის დროს ღვინო დაეგემოვნებინა (თუნდაც მასპინძელთა მხრიდან), კატეგორიულად მოითხოვეს ღვინის საერთოდ ამოღება. ამაზე ფრანგების ჯიუტი უარი მიიღეს იმ მოტივით, რომ სტუმრის პატივისცემა საკუთარ ტრადიციაზე უარის თქმის ხარჯზე, ვერ მოხდებოდა. ვინაიდან კომპრომისი ვერ მოინახა, სადილი საერთოდ გაუქმდა. ხშირად ხდება, როცა პროტოკოლური წესების დაცვის ხარისხი გამოხატავს პოლიტიკოსთა დამოკიდებულებას. მაგალითად, ჩინეთის პრეზიდენტის, ძიანგ ზემინის საფრანგეთში ვიზიტის ფარგლებში, ეროვნული ასამბლეის შესასვლელ კიბესთან მას პარლამენტის თავმჯდომარე კი არა, მისი კაბინეტის დირექტორი შეხვდა. მაშინდელმა პარლამენტის თავმჯდომარემ, ლორან ფაბიუსმა ამ ჟესტით მაღალი რანგის სტუმარს აგრძნობინა, რომ მიუხედავად მისი სტატუსისა, ის უპირატესობას ადამიანის უფლებათა დაცვას ანიჭებდა. იგივე თავმჯდომარე ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის მისაღებად არათუ კიბეებთან, არამედ ქუჩაში გავიდა და იქ დახვდა საპატიო სტუმარს. დიდი ბრიტანეთის პროტოკოლი თავისი დახვეწილობითაა ცნობილი. დედოფალი ელიზაბეთ მეორე, რაფინირებული და დარბაისელი ქალბატონი სილვიო ბერლუსკონის ხმამაღალმა საუბარმა ისე გამოიყვანა წყობიდან, რომ მიკროფონში გასაგონად ჩაილაპარაკა: ეს კაცი რატომ ღრიალებსო. პროტოკოლის დარღვევის ცნობილ ინციდენტთა შორის ისტორიაში დარჩება ის მომენტი, როცა მიშელ ობამა დედოფალს კარგა ხანს ზურგზე ხელით ეფერებოდა. პროტოკოლით ყველას ევალება განსაკუთრებული მოწინება დედოფლის მიმართ, არავის აქვს მასთან შეხების უფლება. ელიზაბეთ მეორეს რამდენიმე უხერხულობა უნდა ახსოვდეს ამერიკული ვიზიტებისას პროტოკოლის სისუსტის. ჯერ იყო და მამა ბუშის მიღებაზე საჯარო გამოსვლისას, პროტოკოლს ტრიბუნა ამერიკელი პრეზიდენტის ზომაზე ჰქონდა დაყენებული და დედოფლის გამოსვლისას არავინ იზრუნა იმაზე, რომ ტრიბუნაზე დედოფალი ჯეროვნად წარმოჩენილიყო. ამიტომ, მოჩანდა მხოლოდ დედოფლის ქუდი და ისმოდა მისი ხმა. აქედან წარმოიშვა მისი ზედმეტი სახელი: „მოლაპარაკე ქუდი“. „ნატოს“ დაარსებიდან 60 წლისთავთან დაკავშირებით, გერმანიის ქალაქ კელში ჩასულმა იტალიის პრემიერმა, სილვიო ბერლუსკონიმ მანქანიდან გადმოსვლის შემდეგაც განაგრძო ტელეფონზე საუბარი და იქვე, მის დასახვედრად მისულ კანცლერს, ანგელა მერკელს რამდენიმე წუთი ალოდინა. ანგელა მერკელი კოლეგის ამგვარმა საქციელმა აღაშფოთა და სტუმარი მიატოვა.

სალომე გველესიანი

ქართველ პრიმადონას – თამარ გვერდწითელს, რომლის სიმღერა და შემოქმედებაც ქართველებს ასე ძალიან უყვართ, 15 მარტს, მისთვის ძალიან საყვარელი და მშობლიური ფილარმონიის წინ ვარსკვლავი გაუხსნეს – ვარსკვლავის გახსნას წინ უძღოდა მისი კონცერტი, სადაც მისი განვლილი გზის შესახებ 15-წუთიანი დოკუმენტური ფილმიც იყო წარმოდგენილი. ქალბატონ თამარს „თბილისი მერიოტში“ შევხვდით და ვესაუბრეთ.

რაზომ ვერ ბედავენ თამარ გვერდწითელთან სიმღერას თაყვანისმცემელი მამაკაცები და ვის სთხოვს ის დახვეწოს რჩევები

– ქალბატონო თამარ, მოდი, მთავარი მოვლენის შესახებ ვისაუბროთ. როგორ დაიგეგმა ეს ყველაფერი – კონცერტი, ვარსკვლავის გახსნა... რა განცდა იყო თქვენთვის თქვენი ვარსკვლავის ხილვა იმ ფილარმონიის წინ, რომლის სცენაზეც, როგორც თქვენ ხშირად ამბობთ, ათი წლიდან დგახართ.

– იცით, ეს ერთ-ერთი ყველაზე ბედნიერი მომენტია ჩემს ცხოვრებაში, დაჯერებაც მიჭირს. ვერც წარმოვიდგენდი, რომ იმ ფილარმონიასთან, რომლის სცენაზეც ბავშვობიდან გამოვდიოდი, ჩემი ვარსკვლავი გაიხსნებოდა. კიდევ უფრო ბედნიერი ვარ იმით, რომ ამ კონცერტზე უწმიდესი მობრძანდა. დარბაზი სავსე იყო ხალხით, ვისაც ჩემი შემოქმედება უყვარს, ბავშვობიდან ერთად მოვდივართ და ეს თან მდევს სულ. ნამდვილი ერთსულოვნება იყო დარბაზში. ყველამ კარგად იცის, რა ძნელი და საპასუხისმგებლოა მშობლიურ ქალაქში თუნდაც რიგითი კონცერტის ჩატარება. თუმცა, რიგითი კონცერტი არ არსებობს. ასეთი საოცარი პუბლიკა არსად მეგულება. ვარსკვლავი გაიხსნა უწმიდესის ლოცვა-კურთხევით. გახსნა ადრეც იგეგმებოდა, მაგრამ ბოლომდე მაინც არ მჯეროდა. ასეთ მოვლენას ყოველთვის ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს და მე მესმის ეს. ორი წლის წინ იგეგმებოდა, მაგრამ ჩაიშალა მაშინ, არ მოხერხდა გარკვეული მიზეზების გამო. იანვარში დამირეკეს და შემომთავაზეს, ძალიან გამიხარდა. რა უნდა მეთქვა, – მაინც მგონია, ასეთ წარმატებას არ უნდა გაუთამამდე, კმაყოფილების განცდა წინასწარ არ უნდა დაგეუფლოს. მოკლედ, ზედმეტი კომენტარები არ სჭირდება ამ საკითხს *(იცინის).*

– ღელავდით, ქალბატონო თამარ?

– ძალიან ვღელავდი, საშინლად! აღსადგენი გვქონდა ძველი სიმღერები, ერთ ნაწილში გამოვდიოდი დიმიტრი დიუჟევთან ერთად. ალბათ, ყველაფერს თავისი დრო აქვს... ვნერვიულობდი, როგორ მიიღებდა მაყურებელი ჩემი და დიმიტრის დუეტს. საბედნიეროდ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა. გაგიჟდა დიმიტრი დიუჟევი საქართველოზე, თავი სიზმარში ეგონა *(იცინის).* ნამდვილი ზეიმი იყო ეს ჩემთვის. ვიგრძენი, ქართველ მსმენელს როგორ მოვნატრებივარ. სატელეფონო ზარები დღემდე არ წყდება, მირეკავენ, სიყვარულს გამოხატავენ, მადლობას მიხდიან *(იცინის).* ხომ იცით, წარმატებას და სიხარულსაც გაზიარება უნდა. მხოლოდ ისინი კი არ არიან მეგობრები, ვინც გაჭირვებაში დაგიდგება გვერდში, შენი სიხარულიც უნდა უხარიოდეს მეგობარს. დედაჩემი, მამაჩემი, ჩემი შვილი, ძმა, ძმისშვილი... ყველა დარბაზში იჯდა.

– თქვენი ვაჟიც თბილისშია? ის როგორ არის თქვენი შემოქმედების მიმართ განწყობილი, მოსწონს?

– კი. სანდრო საგანგებოდ ამ დღისთვის ჩამოვიდა ლონდონიდან. ძალიან უყვარს ჩემი სიმღერები, ზოგადად, ქართული მუსიკა. ალბათ, ლონდონში რომ ცხოვრობს, გაათკეცებული აქვს მონატრების გრძნობა. ჩემი შვილი ნამდვილად კულისებში გაიზარდა, მე „მზიურში“ გავიზარდე და სანდრო – კულისებში. წლინახევრის იყო, პირველად გასტროლებზე რომ წავიყვანე. ამიერკავკასიაში გვქონდა კონცერტები, მერე – ციმბირში. წლინახევრის ბავშვი რამდენიმე თვით მყავდა წაყვანილი და მშვენივრად გრძნობდა თავს. ვცდილობდი, სანდროს დედის დეფიციტი არასდროს ჰქონოდა – მშობლები რომ უცხოეთში არიან და შვილები სახლში ელოდებიან. ვეუბნით ვიყავი გასტროლებზე და ბავშვიც ჩემთან ერთად იყო. მშვენივრად ერეოობოდა, არც წუწუნებდა, არც ტიროდა, მოკლედ, გაიზარდა კულისებში. სხვათა შორის, მუსიკის ნიჭი აქვს – მშვენიერი ხმა და სმენა, მაგრამ ამ გზით არ უნდოდა წასვლა. ჩვენ გვქონია ამ თემაზე საუბარი, გამოაცხადა: მორჩა, ისტორიკოსობა მინდაო. ის ჭიდილი და ტვირთი, რომელიც დიდ სცენას ახლავს, არ უნდოდა. ზოგადად, ხელოვნებასთან ახლოს არის – ჯერ კინოსარეჟისორო დაამთავრა, შემდეგ ისტორიული ჟურნალისტიკა. ალბათ იმიტომ, რომ ყველაფერს ხედავდა ბავშვობიდან: ხედავდა, რა რთულია და არ ისურვა... ჩვენს პროფესიაში ყველას უნდა მოსწონდე, ყურადღების ცენტრში იყო, შენ უნდა აგირჩიონ, გაგიხსნან ვარსკვლავი... სხვა საქმეში შეიძლება იყო საშუალო, საშუალო მუსიკოსი დაღუპული და ჩაძირულია... ცხოვრებაშიც ბევრი ჭიდილი მქონია, ძალიან განვიცდიდი ამ ყველაფერს. წარმატებასაც ახლავს ხოლმე უკანა, ბნელი მხარე. მაგრამ, ვინც არაფერს აკეთებს, ის არც არავის აინტერესებს, შემოქმედება კი ყოველთვის გრძნობებს იწვევს. რა დროც უნდა ყოფილიყო რუსეთში ჩემი კონცერტი ყოველთვის ქართული სიმღერით იწყებოდა და ეს იყო პასუხი

პოსტსაბჭოთა სივრცეში ერთადერთი არარუსი მომღერალი ვარ, ვისაც რუსეთის სახალხო არტისტის წოდება მიენიჭა

ჩემ მიმართ თვით ყველაზე აგრესიულად განწყობილი ადამიანების ყველა კითხვაზე. ჩემს საქმეს ყოველთვის სინდისიერად ვაკეთებ – დარწმუნებული ვარ, ბევრი უცხოელი მსმენელი თვითმფრინავში ჩაჯდება და ჩამოვა საქართველოში იმის სანახავად, რა ხალხი ქმნის ასეთ შესანიშნავ სიმღერას *(იცინის).*

– თქვით, დიმიტრი დიუჟევი გაგიჟდა საქართველოზეო.

– კი. ძალიან მოიხიბლა, აღარ უნდოდა წასვლა *(იცინის).* მეოთხე დღეს ჩვენს პატრიარქს შევხვდით, უწმიდესს ბევრი შეკითხვა დაუსვა დიმიტრიმ. გაოგნებული გამოვიდა შეხვედრიდან და თქვა: თქვენ გყავთ ცოცხალი წმიდანი, თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, ის რა ადამიანია. მე ბევრ კითხვაზე მივიღე პასუხი, რაზეც მანამდე პასუხი არავის გაუციაო. საოცარი რუსულით ესაუბრა

ჩემთვის უძვირეს დროს ძალიან დამხმარეგზია პატრიარქი... ხშირად, რთულ მომენტებში, მარტოობისას პატრიარქის მუსიკას ვუსმენ და ვმშვიდდები

უწმიდესი, დაგვლოცა, მობრძანდა კონცერტზე. რომ მითხრეს, დარბაზში შემობრძანდაო, საოცარი განცდა დამეუფლა. თითქოს მთელმა ცხოვრებამ გამიელვა თვალწინ. ისედაც ემოციური ვარ სცენაზე, განცდებში ჩავვარდი. მე პატრიარქის „ავე მარია“ და „ალილუია“ შევასრულე მისი ლოცვა-კურთხევით. ეს იყო ჩემი ცხოვრებისა და შემოქმედების კულმინაციური მომენტი. ჩემთვის უმძიმეს მომენტებში ძალიან დამხმარებია პატრიარქი... ხშირად, რთულ მომენტებში, მარტოობისას პატრიარქის მუსიკას ვუსმენ და ვმშვიდდები.

– ბატონმა დიმიტრიმ ჩოხა როგორ მოირგო?

– დათო ოქიტაშვილმა და მისმა კომპანიამ აჩუქეს დიმიტრის თეთრი ჩოხა. კონცერტამდე დამირეკა დათომ და მკითხა, ასეთ სიურპრიზს ვუმზადებ და ხომ კარგი აზრიაო. ნამდვილად არ ყოფილა თავსმოხვეული, ძალიან დელიკატური და ორგანული გამოვიდა. დადიოდა ეს რუსი კაცი ქართული ჩოხით. ვუთხარი, ნამდვილ თავადს ჰგავხართ-მეთქი, თავადივით გამოიყურებოდა.

– თქვენი ევროპული ტურნეს შესახებ გვიამბეთ?

– გერმანია, ბალტიისპირეთი, რუსეთის მთელი სამხრეთი მხარე... ძალიან დაძაბული გასტროლები იყო, მაგრამ ბავშვობიდან მიჩვეული ვარ ასეთ რეჟიმს. ბევრი ქართველი ემიგრანტი იყო მოსული, მათ შორის, ახალგაზრდები, იქ დაბადებულები... ვესაუბრე და უდიდესი სურვილი აქვთ საქართველოში დაბრუნების. მაინც განსაკუთრებულად ესპანეთი და იტალია მიყვარს ევროპაში – ცეცხლოვანი ხალხია, ტემპერამენტით ძალიან გვგვანან, საოცრად გამოხატავენ ემოციებს. იტალიელებთან – ალესანდრო საფინასთან და ჯოვანი რუბიკეზოსთან ერთად ვიდექი სცენაზე. ერთ მათგანთან „კარმენი“ ვიმღერე – ხმაურიანი მაყურებელია იქ. ესპანეთში კონცერტისას ფეხზე დგებოდნენ, დამიჩოქეს მამაკაცებმა, ხმამაღალი შეძახილები ისმოდა...

– სანდროზე გვიამბეთ?

– სანდრო სწავლობს ლონდონში, სამეფო უნივერსიტეტში – „ქინგს იუნივერსიითი“, ასე ჰქვია. ამერიკიდან ჩამოვიდა და 2 წელი მოსკოვში იყო, შემდეგ ლონდონში წავიდა სასწავლებლად, 19 წლის ასაკიდან დამოუკიდებლად ცხოვრობს. თბილი ადამიანია, ქართულად ფიცხი, მალე ბრაზდება და მალე მშვიდდება. რა თქმა უნდა, სასიამოვნო არაა, როცა შვილი ასე შორსაა, მაგრამ ძალიან გადაფოფრილი დედა არ ვყოფილვარ, ბიჭს დამოუკიდებლობა უნდა მისცე, თან დედამ. სანდრო ბებიის გაზრდილია და დედაჩემმა ისე გაზარდა, როგორც მე – ზომიერად მკაცრად. დედაჩემი იდეალური დედაა. სანდრო მე მგავს ხასიათით – ემოციურია, ტრადიციების დამცველი... თან რჩევებსაც ხშირად მაძლევს. ვეუბნები, ცოტა დახვეწე-მეთქი რჩევები. ყოველდღე ვურეკავთ ერთმანეთს, „სკაიპს“ ვერ ვეწყობი მაინცდამაინც *(იცინის)...*

– დედა გეხმარებათ გადაწყვეტილებების მიღებაში?

– დედა ხშირად მირჩევდა, რაიმე შეცდომა არ დამეშვა, მაგრამ მაინც ვუშვებდი. აღმოჩნდებოდა, რომ ყოველთვის მართალი იყო, მაგრამ სხვისი გამოცდილებით მაინც ვერ იცხოვრებ. ის ჩემი დიდი მესაიდუმლე და მეგობარია. მანებივრებს ძალიან, მისთვის ხომ ყოველთვის ბავშვი ვარ *(იც-*

ადვოკატი გირჩევთ

რუბრიკას უძღვება ადვოკატი ირაკლი გაბრიჭიძე

უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.

ანატოლ ფრანსი

კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, რას ნიშნავს სასამართლოში საქმის განხილვა მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების საფუძველზე?

პასუხი: განგიმარტავთ, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე. რაც გულისხმობს, რომ, როგორც მტკიცებულებათა მოპოვებისას, ასევე, მათი სასამართლოში გამოკვლევის დროს, მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით, მხარეებს ეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი მტკიცების ტვირთი. სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ და მხოლოდ მხარეების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე.

კითხვა: მაინტერესებს, სასამართლოში

მტკიცებულებად შემოიძლია თუ არა, გამოვიყენო უცხო ენაზე შედგენილი დოკუმენტი, თუ მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქმისთვის?

პასუხი: გაცნობებთ, რომ საქართველოში მართლმსაჯულება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე, ანუ, ქართულად. შესაბამისად, ნებისმიერი დოკუმენტი სასამართლოში წარდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე. რაც შეეხება უცხო ენაზე შედგენილ დოკუმენტს, მტკიცებულებას, ნებისმიერ სხვა ენაზე შედგენილ დოკუმენტს თან უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო მას ვერ მიიღებს და, შესაბამისად, არ განიხილავს.

კითხვა: სასამართლოში მისვლისას პირველი შეხვედრა ყოველთვის მაქვს მანდატურთან. მაინტერესებს, კონკრეტულად რა ფუნქცია აკისრია მანდატურს სასამართლოში?

პასუხი: მანდატური უწევს მეგზურობას სასამართლოს შენობაში შემსვლელ პირს. ის ამოწმებს სასამართლო პროცესის დაწყებისთვის სასამართლო სხდომის დარბაზის მზადყოფნას; ასევე, მოსამართლეების, სასამართლო პროცესის მონაწილეებისა და მოწმეების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, მანდატური უფლებამოსილია, აღკვეთოს სასამართლოს ტერიტორიაზე, მათ შორის, სხდომის დარბაზში ჩადენილი სამართალდარღვევა.

კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, სისხლის სამართლის საქმეების განხილვისთვის რა ვადებია დადგენილი პირველი ინსტანციის სასამართლოში?

პასუხი: გაცნობებთ, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეების განხილვის კონკრეტული ვადა დადგენილი არ არის. განხილვის ვადა განისაზღვრება საქმის სირთულის მიხედვით, თუმცა, პირველი ინსტანციის სასამართლო შეზღუდულია ბრალდებულის საპატიმრო ვადით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს პირის დაკავებიდან პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე. ამასთან, პირველი ინსტანციის სასამართლომ პრიორიტეტულად უნდა განიხილოს სისხლის სამართლის საქმე, რომელშიც ბრალდებულს, აღკვეთის ღონისძიების სახით, შეფარდებული აქვს პატიმრობა.

კითხვა: მაინტერესებს, საქართველოში სააპელაციო და უზენაესი სასამართლოები რა ვადებში განიხილავენ სისხლის სამართლის საქმეებს და რა მნიშვნელობა აქვს საქმის განხილვის ვადის დადგენას?

პასუხი: განგიმარტავთ, რომ სააპელაციო სასამართლო საქმეს იხილავს სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 2 თვის ვადაში, ხოლო საჩივრის დასაშვებობის საკითხს წყვეტს საჩივრისა და საქმის მიღებიდან 10 დღის ვადაში. საქართველოს უზენაესი სასამართლო კი საქმეებს განიხილავს სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში შესვლიდან 6 თვის ვადაში. რაც შეეხება საქმის განხილვის ვადის მნიშვნელობას, ის პირდაპირ არის დაკავშირებული საქმეთა განხილვის სისწრაფესთან, ხოლო საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტის სისწრაფე, როგორც სასამართლოში, ასევე, წინასწარ გამოძიებაში, პირდაპირ აისახება მართლმსაჯულების განხორციელების ეფექტურობაზე.

კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, როგორ შეიძლება გაგრძელდეს და რა შედეგი მოჰყვება სისხლის სამართლის საქმის განხილვისას ადვოკატის სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობას?

პასუხი: განგიმარტავთ, რომ, თუ ადვოკატი არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე, სასამართლო ბრალდებულის დაცვას უზრუნველყოფს სახელმწიფოს ხარჯზე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით და გადადებს საქმის განხილვას გონივრული ვადით, მაგრამ, არაუმეტეს 10 დღისა. სასამართლო უფლებამოსილია, მომდევნო სხდომაზე კიდევ ერთხელ გადადოს საქმის განხილვა არაუმეტეს 5 დღით, თუ დაცვის მხარე წარმოადგენს მოტივირებულ შუამდგომლობას, რომელშიც დასაბუთებულია ადვოკატის გამოუცხადებლობის ობიექტური მიზეზი. შუამდგომლობის წარმოუდგენლობის, წარმოდგენილი შუამდგომლობის დაუკმაყოფილებლობის ან დაკმაყოფილების შემდეგ ადვოკატის კვლავ გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სხდომა გრძელდება იურიდიული დახმარების შესაბამისი სამსახურის ადვოკატის მონაწილეობით. იმ შემთხვევაში, თუ საქმე იხილება ორი ან მეტი ბრალდებულის მიმართ და სასამართლო სხდომაზე რომელიმე მათგანის ადვოკატი არ გამოცხადდა, სასამართლოს შეუძლია, საქმის განხილვა განაგრძოს სხვა ბრალდებულთა მიმართ, თუ ეს არ შელახავს ბრალდებულის ინტერესებს და გავლენას არ მოახდენს მტკიცებულებათა გამოკვლევის სისრულესა და ობიექტურობაზე. ამასთანავე, სასამართლომ უნდა უზრუნველყოს ადვოკატისთვის მისი მონაწილეობის გარეშე წარმოებული სასამართლო სხდომის ოქმის გაცნობა.

კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, როგორ მოქმედებს სასამართლო პროკურორის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობისას და რა შედეგები მოჰყვება მას?

პასუხი: გაცნობებთ, რომ პროკურორის გამოუცხადებლობისას სასამართლო გადადებს საქმის განხილვას გონივრული ვადით, მაგრამ, არაუმეტეს 10 დღისა და ამას აცნობებს საქართველოს მთავარ პროკურატურასა და ზემდგომ პროკურორს, რომელიც ვალდებულია, მომდევნო სხდომაზე უზრუნველყოს პროკურორის მონაწილეობა და სასამართლოს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი.

ინის). შეიძლება, მოგეფეროს, დაგტუქსოს, გაგანებივროს... ყველაფერს ჩემზე მეტად განიცდის. ცდილობდა, თავმდაბალი და ტაქტიანი გავეზარდე... დედაშვილური სიყვარულიც კი, შეძლებისდაგვარად, ზომიერი უნდა იყოს...

– მოშურნეები ბევრი გყოლიათ?

– ყოფილან, ალბათ...

– პოლიტიკის გამო რუსეთში მოღვაწე ქართველ მომღერლებს ხშირად აკრიტიკებენ ხოლმე.

– ისე გამოვიდა, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში ერთადერთი არარუსი მომღერალი ვარ, ვისაც რუსეთის სახალხო არტისტის წოდება მიენიჭა. როცა ადამიანებს ეს წოდება აქვთ რუსეთში, მათ არ ეხებიან. მე პოლიტიკისგან შორს ვარ. ჩემი მუსიკა საზღვრებს გარეშეა, ვერავითარ დაბრკოლებას ვერ ვხედავ. უბრალოდ, განვიცდიდი ამ განსაცდელს. ჩემი მეგობრებისგან ამის გამო კრიტიკა არასოდეს მსმენია... განსაკუთრებით ომის დროს გამიჭირდა. 2009 წელს კონცერტზე თითქმის ვიტირე, ცრემლს ვერ ვიკავებდი. მანვებოდა და ვეღარ ვუძლებდი... ზოგი გამირბოდა და მერიდებოდა, მაგრამ მათიც მესმის. პოლიტიკური განცხადებები არასოდეს გამიკეთებია. ჩემს კონცერტზეც იყვნენ მოსულები ქართველი პოლიტიკოსები.

– რუსი მამაკაცები სერენადებს არ გიმღერიან?

– სერენადებს მხოლოდ იტალიელები მღერიან! თან, ალბათ, რცხვენიათ ჩემთან სიმღერის *(ცინინ).* უფრო ლექსებითა და ყვავილებით...

– ბოლო დროს თქვენი რომანის შესახებ ბევრი მითქმა-მოთქმა იყო და მეც მინდა ამაზე გკითხოთ.

– ამის შესახებ დღესაც მეკითხებიან და მინდა ვთქვა, რომ ეს ამბავი იყო ჟურნალისტის მიერ შეთხზული და ბულვარული პრესის მიერ ტირაჟირებული, რასაც საერთო არაფერი აქვს სინამდვილესთან! საერთოდ არ ვიცი, ვინ არის და მით უმეტეს, ოჯახის დანგრევაზე ხომ საუბარიც სასაცილოა. რუსულ პრესაში გავრცელებული პასკვილის გამო ორმა ადამიანმა სამსახურიც კი დაკარგა.

– მარტოობა ძლიერი ქალისთვის ძნელია.

– ძნელია, ალბათ... ყველას ვუსურვებ სიხარულისა და წარმატების გამზიარებელი ჰყოლოდეს გვერდით.

ქეთი დიდებულიძე

ROსტომ ყაველაშვილი ბავშვობიდან გაიტაცა ილუზიონისტობამ. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში კი სერიოზულად მუშაობს ამ ჟანრში. იგი ახლახან ჩამოვიდა თურქეთიდან ძალიან მნიშვნელოვანი და ფასეული გადაწყვეტილებით.

როგორ მანიპულირებენ ადამიანები ზებუნებრივი, მისტიკური შესაძლებლობების საკუთარ შესაძლებლობებზე მიწერით და როგორ ხსნის ამ ყოველივეს ილუზიონისტი როსტომ ყაველაშვილი

ROსტომ ყაველაშვილი: კონტრაქტის თანახმად, უკანასკნელი ხუთი თვის განმავლობაში ვმუშაობდი სტამბულში ილუზიონისტად და ახლახან დავბრუნდი. თავდაჯერებით მაქვს გადაწყვეტილი, რომ მომდევნო პერიოდი საქართველოში განვაგრძო მოღვაწეობა, როგორც ილუზიონისტმა და მთელი ჩემი ენერგია ქართველ ხალხს მივუძღვნა.

– ბატონო როსტომ, რატომღაც, მგონია, რომ საქართველოში ეს პროფესია მაინცდამაინც პოპულარული არ არის. თქვენ როგორ ფიქრობთ?

– დიახ, სამწუხაროდ, ამ ჟანრში მოღვაწე ადამიანებს მეტწილად არაადგილობრივი მაყურებლების წინაშე გვიწევს გამოსვლა. პირადად მე, უკანასკნელი შვიდი წლის განმავლობაში, ძალიან იშვიათად, წელიწადში დაახლოებით 3-4 თვე თუ მიწევდა საქართველოში მუშაობა. ბოლოს თბილისის ცირკში 2012 წლის საახალწლო პროგრამაში ვიყავი მიწვეული. გული მწყდება, საინტერესო და ხარისხიანი სანახაობა ქართველ მაყურებელსაც არ აწყენდა.

ყველა ტრიუკს აქვს თავისი ტექნიკური ახსნა, რომელიც ფიზიკის, ქიმიის, ან, უბრალოდ, ბუნების კანონზომიერებებს ექვემდებარება

– მოდი, ყველაფერი თავიდან მიამბეთ – როგორ მოხდა თქვენი დაინტერესება ამ ჟანრით?

– ილუზიონისტობა ბავშვობიდან იყო ჩემი ინტერესი და ჰობი. პროფესიის არჩევის დრო როცა დადგა, სამხატვრო კოლეჯში ჩავაბარე და, რადგანაც ბავშვობიდან ვიყავი დაინტერესებული ხელოვნების სხვადასხვა დარგით, ჩემი შესაძლებლობები ამ სფეროში უფრო მკვეთრად სწორედ ამ პერიოდში წარმოჩინდა.

– პირველად როდის აღმოჩნდით მაყურებლის პირისპირ ილუზიონისტის რანგში?

– პირველი გამოცდილება მივიღე ბავშვთა ანიმაციაში, ჩვენს დედაქალაქში. ბავშვთა ცენტრებიდან დავიწყე და მოკლე ხანში აქტიური დაინტერესება და შემოთავაზებები მივიღე უცხოეთიდან. პირველად თურქეთში მიმიწვიეს, შემდეგ – კვიპროსზე. უკანასკნელი 7 წელია, ასე ვარ დაკავებული მოწვევიდან მოწვევამდე.

კოპერფილდმა, რა თქმა უნდა, იხუმრა, ან, შესაძლებლობებს გადააჭარბა. ალბათ, უფრო პირველი

– ილუზიონისტობა საკმაოდ ძველი პროფესიაა.

– უძველესი. თუნდაც ძველი ეგვიპტის, ან ძველი საბერძნეთის ისტორიაში ძალიან ბევრი ისტორიაა ამ ჟანრის ელემენტებით შეჯერებული. მაგალითად, ქურუმები ხშირად აკეთებდნენ ზედმეტი თვალის მიღმა ისე, რომ, ვთქვათ, ხელებდაწეული კერპი, ქვის ღვთაება, თითქოსდა მომლოცველების მიმართ, წყალობის ნიშნად, ხელების აწევით „რეაგირებდა“, რაც, სინამდვილეში, კლასიკური, სტანდარტული ტრიუკია ამ დარგში. მაშინ ეს აღიქმებოდა ნამდვილ სასწაულად, ან თუნდაც, როდესაც კვერთხი ქურუმის ხელში თითქოსდა გველად გადაიქცეოდა, ესეც კლასიკური ტრიუკია. მსგავსი ტრიუკი იყო საბერძნეთშიც, მაგალითად, როცა ნაყოფიერების ქალღმერთის თაყვანისცემის დროს ღვთაების მკერდიდან რძე იღვრებოდა, რადგანაც, შეწირული ცეცხლის ფონზე, როდესაც ტემპერატურა მიაღწევდა საჭირო ზღვარს, წინასწარ ჩამონტაჟებული მექანიზმიდან რძის ადუღება და ქანდაკების მკერდიდან გადმოღვრა იწყებოდა. ასე რომ, ჟანრი მხოლოდ ერთეულების მიერ იყო ფართოდ გამოყენებული ძველ დროში, დღეს კი ერთერთ ულამაზეს ჟანრად – ილუზიონიზმად არის ჩამოყალიბებული, მეოცე საუკუნის ბოლოს კი ცნობილმა ილუზიონისტმა დევიდ კოპერფილდმა ყველა არსებული ტრიუკის თავმოყრა და გათანამედროვება მოახდინა და ამ საქმიანობით გახადა ეს ჟანრი პოპულარული.

მაქვს სპეციალური საილუზიო აპარატურა, რომელიც გეომეტრიული ფოკუსების კატეგორიას განეკუთვნება და მათი ჩვენების დროს მაყურებელი ცალსახად აღიქვამს ადამიანის სხეულის ცალკეული ნაწილების დეფორმაციას ან დაჭრას, თუმცა, ეს ილუზორულია

საქართველოში ანალოგიური ღვაწლი აქვს გაწეული ჩემს უფროს კოლეგას ზურაბ ვადაჭკორიას, რომელიც მსოფლიოში წამყვან ილუზიონისტთა სიაში საპატიო ადგილს იკავებს.

– ყველა ილუზიონისტს აქვს თავისი მიმართულება თუ ხელწერა. თქვენ როგორ მუშაობთ?

– ილუზიონიზმში ბევრი ქვეჟანრია – მუშაობენ ბანქოს ქაღალდით, მასშტაბური საილუზიო რეკვიზიტებით და ასე შემდეგ. მე პირადად მტრედებით მანიპულაციის შემსრულებელი ვარ. ეს ულამაზესი მიმდინარეობაა, სადაც თითქმის რეკვიზიტის გამოყენების გარეშე, ცარიელ ხელებში ხდება მტრედების გაჩენა და გაუჩინარება. ეს ძალიან სანახაობრივი და, ამავე დროს, განმაცვიფრებელი ეფექტია. ამ ქვეჟანრის შემსრულებელი საქართველოში ბევრი არ არის.

– თავმდაბლობთ. როგორც მე ვიცი, საქართველოში ამ ჟანრში მხოლოდ თქვენ მუშაობთ...

– დიახ, ამ ეტაპზე კი... საქმე ისაა, რომ მტრედებით მანიპულაციისთვის გამოიყენება სპეციალური ჯიშის პატარა მტრედები. ძველ წიგნებში მათ „ეგვიპტურ მტრედებად“ იხსენიებენ. ისინი ძალიან თვინიერები და იშვიათი თვისებების არიან.

– მხოლოდ მტრედებით მანიპულირებას ახდენთ?

– ყველა ილუზიონისტს აქვს მრავალწახნაგოვანი არსენალი და შესაძლებლობები, მათ შორის – მეც. ბოლო კონტრაქტის ფარგლებში დიდი მასშტაბური რეკვიზიტების გამოყენებით დაკომპლექტებულ შოუში ვიმუშავე ასისტენტ გოგონებთან ერთად.

– არ მითხრათ, ახლა, ერთ გოგონას რვა ნაჭრად ვჭრი და შემდეგ ვაწყობო...

– მთლად ასეც არაა, მაგრამ, მაქვს სპეციალური საილუზიო აპარატურა, რომელიც გეომეტრიული ფოკუსების კატეგორიას განეკუთვნება და მათი ჩვენების დროს მაყურებელი ცალსახად აღიქვამს ადამიანის სხეულის ცალკეული ნაწილების დეფორმაციას ან დაჭრას, თუმცა, ეს ილუზიური შეგრძნებაა თვალისთვის და შემსრულებლის წარმატება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ მან მარჯვედ შეასრულოს ეს ტრიუკი.

– ადრე გავრცელებული იყო ასეთი ჭორი, თითქოს დევიდ კოპერფილდი კოპერფილდი კლაუდია შიფერს დაემუქრა, თუ ცოლად არ გამომყვები გომბეშოდ გადაგაქცევო. მართლა ასე უთხრა?

– კოპერფილდმა, რა თქმა უნდა, იხუმრა, ან შესაძლებლობებს გადააჭარბა. თუმცა, ალბათ, პირველი უფროა. სინამდვილეში, ყველა ტრიუკს აქვს თავისი ტექნიკური ახსნა, რომელიც, ჩვეულებრივ, ფიზიკის, ქიმიის ან, უბრალოდ, ბუნების კანონზომიერებებს ექვემდებარება, ხოლო, როგორ წარმოადგენს და როგორ მოახდენს ამ „სასწაულის“ სიმულაციას ილუზიონისტი, ეს უკვე მის პროფესიონალიზმსა და შესაძლებლობებზეა დამოკიდებული. ტექნიკური ახსნა აქვს ყველაფერს. არ მივეკუთვნები იმ ადამინთა კატეგორიას, რომლებიც რამე ზებუნებრივ ან მისტიკურ შესაძლებლობების უნარს მიიწერენ ხოლმე და ამით მანიპულირებენ, თუმცა, ამის გარეშეც ძალიან სანახაობრივი და მიმზიდველია ილუზიონიზმის ჟანრები.

ეკა სალაღაია

საკალათბურთო გუნდ „ოლიმპის“ ლეგიონერი – გიგანტი სტეევენ მილოშევიჩი (რომლის სიმაღლე 2 მეტრი და 14 სანტიმეტრია), წარმოშობით ბალკანეთიდან, მონტენეგროდან არის. მას კალათბურთელობის ოჯახური ტრადიცია აქვს და საკმაოდ ცნობილი კალათბურთელის ვაჟია. ის თანაგუნდელ ნოდარ თენეიშვილთან ერთად გვეწვია რედაქციაში.

ვინ ასწავლა „ოლიმპის“ სერბ კალათბურთელს ქართული გინება და რა აკავშირებს მას სლობოდან მილოშევიჩთან

სტეევენ მილოშევიჩი: ჩემი ცხოვრება კალათბურთის გარეშე ვერ წარმომიდგენია, კალათბურთელობა ჩვენი ოჯახური ტრადიციაა. მამაჩემი ცნობილი კალათბურთელი იყო და მისი თამაშების საყურებლად სულ დავდიოდი. თვითონაც ცხრა წლიდან ვთამაშობ. ეს ჩემი ცხოვრება და ჩემი პირველი სიყვარულია *(იცინის)*. მამამ რამდენიმე კლუბი გამოიცვალა. ის ჯერ მონტენეგროში თამაშობდა, შემდეგ საბერძნეთში წავიდა, სადაც მართლა კარგი კარიერა ჰქონდა. ჩემს არჩევანზე მამამ მართლაც მოახდინა გავლენა – ძმაც კალათბურთელი მყავს და რაც თავი მახსოვს, სულ NBA-ის თამაშებს ვუყურებ. დედას დავყავდით სულ თამაშებზე და შემიყვარდა. მონტენეგროში, ისევე, როგორც საერთოდ ევროპის ქვეყნებში, ყველაზე პოპულარული სპორტი, ნომერ პირველი ფეხბურთია... ფეხბურთი იქ გიჟურად უყვართ, მაგრამ კალათბურთი მეორეა. იუგოსლავიაში ხშირად აჩვენებენ კალათბურთის ჩემპიონატებს. ჩემი უმცროსი ძმებიც კალათბურთელები არიან... მამაჩემი სულ ესწრებოდა ჩვენს თამაშებს. თუ სხვა ქვეყანაში ვიყავით წასულები, ინტერნეტით გვადევნებდა თვალყურს და მერე შენიშვნებს გვაძლევდა, რაღაცეები არ მოსწონდა ხოლმე. ჩვენ მიმართ საკმაოდ კრიტიკულია. სულ შეცდომებზე ამახვილებს ხოლმე ყურადღებას, თან, საკმაოდ უხეშად იცის თქმა *(იცინის)*.

სუფრის ტრადიციებიც კარგად გავიგე – 50 წუთი ერთ ისტორიას რომ ყვებიან და ბოლოს ამბობენ – „გაუმარჯოს“

– როგორი იყო შენი ბავშვობა მონტენეგროში?

– რა ვიცი *(იცინის)*. რაც თავი მახსოვს, სულ კალათბურთს ვთამაშობ. ჩემს ქვეყანაში სკოლაში, ჩვეულებრივ, 6-7 წლის ასაკში შედიან. მე 5-ის ვიყავი, რომ წავედი ბოსნიაში. ბებიაჩემი იყო იმ სკოლაში პედაგოგი და ბევრ რამეს მპატიობდნენ *(იცინის)*. მერე ომი დაიწყო ჩემს ქვეყანაში და იძულებული გავხდი, უკან დავბრუნებულიყავი. სიმართლე გითხრათ, ომი საკუთარი თვალით არ მინახავს. იქ, სადაც ვცხოვრობდი, არ მიმდინარეობდა ბალკანეთის კონფლიქტის საომარი მოქმედებები. 90-იანების ომმა ძალიან დაზარალა ჩემი ქვეყანა. ეკონომიკური კრიზისი იყო, გვიჭირდა, ხალხი ერთმანეთს დაუპირისპირდა. დიდი იმედი მაქვს, ასეთი რამ აღარ განმეორდება.

– ქართული ტრადიციები და სერბული რამდენად ჰგავს ერთმანეთს?

– სხვათა შორის, ძალიან. ანუ, ვერ ვიტყვი, რომ მაინცდამაინც განსხვავდება. ორივე მართლმადიდებლური ქვეყანაა, თან აღმოსავლეთ ევროპა და ალბათ, იმიტომ. მონტენეგრო და იქაური საზოგადოება საკმაოდ პატრიარქალურია. პატარა ქვეყანა ვართ და ჩვენს ტრადიციებს პატივს ვცემთ, ეროვნული ღირსების გრძნობა გამძაფრებული გვაქვს, ისევე, როგორც თქვენ.

– სლობოდან მილოშევიჩის თემა...

– მივხვდი, რაც უნდა მკითხო *(იცინის)*. გაინტერესებს, ნათესავები ვართ თუ არა? არ ვართ ახლობლები, ისიც მონტენეგროდანაა, თუმცა სხვა მხრიდან არ ვიცნობ და ვერ შევაფასებ. კარგი გადწყვეტილებაც ბევრი მიუღია და ცუდიც ალბათ. რაც უნდა იყოს, მაინც პრეზიდენტი იყო.

– არ ამაყობ იმით, რომ მისი მოგვარე ხარ?

– რატომ უნდა ვიამაყო? *(იცინის)* იმან იამაყოს, თუ კარგია. ჩემზე უკეთესი რითაა?!

– ბავშვობაშიც ასეთი გიგანტი იყავი?

– კი. ყველაზე დიდი ვიყავი კლასში, უბრალოდ, ყოველთვის გაკვირვებით მიყურებდნენ და კიდევ ერთი – ძალიან მიჭირდა ჩემი ზომა ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შოვნა, აქაც და საერთოდაც. კიდევ კარგი, რომ ინტერნეტით გამოწერა შეიძლება. ჩემი ძმები იწერენ, ან ჩამოაქვთ ამერიკიდან. უფრო ფეხსაცმელი. იქაური ჯინსები არ მომწონს, რაღაცნაირია. ამიტომ, აქ ვიძენ ხოლმე.

– ჩოხა არ გცმია?

– რა ვიცი, არსად მინახავს ჩოხა და ალბათ, ჩემი ზომა არც იქნება *(იცინის)*.

– კალათბურთის თამაში რომელ კლუბში დაიწყე და საქართველოში როგორ მოხვედი?

– ჯერ მონტენეგროში ვთამაშობდი, ჩემს მშობლიურ ქალაქში, სადაც მამაჩემიც თამაშობდა. მერე ბელგრადის „პარტიზანში“ ვიყავი, საბერძნეთში, თურქეთში, ვენესუელაში, კვიპროსში, გერმანიაში, ავსტრიაში, საფრანგეთში, რუსეთში... მოკლედ, მოვიარე მთელი მსოფლიო. საქართველოში ჯერ სოხუმის უნივერსიტეტის გუნდში ვთამაშობდი, მერე „ოლიმპში“ გადავედი. წინა წელს სეზონი თურქეთში დავიწყე, მაგრამ ძალიან გამიჭირდა რატომღაც, მერე ვენესუელაში წავედი... იქიდან უკვე თბილისში აღმოვჩნდი. ადაპტაციას მარტივად გავდივარ ყველგან. თბილისი დიდი ქალაქია, აქ ყველაფრის ყიდვა შეიძლება. ასე რომ, არ არის არანაირი პრობლემა.

– რამე იცოდი საქართველოზე?

– რაღაცეები მქონდა გაგონილი, მაგრამ ბევრი არაფერი. ვიცოდი, რომ ყოფილი საბჭოთა ქვეყანაა, გაყოფილი, სადაც არის ომი და სეპარატისტები... სასიამოვნოდ გაოცებული დავრჩი, რომ ჩამოვედი და სულ სხვა რამ დამხვდა, ვიდრე ველოდი. მოკლედ, იქიდან გამომდინარე, რომ რუსეთში ძალიან ცივა და ეს ქვეყანა ჩემთვის რაღაცნაირად ნაცრისფერია, მეგონა, საქართველოც დაახლოებით იგივენაირი იქნებოდა – ცივი და ნაცრისფერი *(იცინის)*. რუსეთი არ მომწონს, არც კლიმატი, არც შენობები, ხალხიც ცივია. თბილისი ძალიან მომწონს.

– ქუჩაში, ალბათ, ყველას ყურადღებას იქცევ სიმაღლის გამო.

– რა ვიცი, გააჩნია, სად. ჩემს ქვეყანაში საერთოდ მაღალი ხალხია. ბევრია ტანმაღალი ადამიანი და არ უკვირთ. თბილისში მაინც მიყურებენ და მეუხერხულება. კიდევ კარგი, მყავს ჩემზე მაღალი მეგობარი – 2 მეტრი და 30 სანტიმეტრია – ჩემი თანამემამულე. მის გვერდით რომ ვდგავარ, თავს კომფორტულად ვგრძნობ და აღარ ვკომპლექსდები *(იცინის)*. განსაკუთრებით იტალიასა და საფრანგეთში მიყურებდნენ გაგიჟებულები. დგებოდნენ და სურათებს იღებდნენ ჩემთან ერთად.

– ძალიან კომუნიკაბელური ჩანხარ. ერთი-ორი ქართული სიტყვა თუ იცი?

– როგორ არა. ვისწავლე რაღაც სიტყვები, რასაც ხშირად იმეორებენ. მაგალითად, „შეჩემა“, „დავაი, ბიჭო“, „გაუმარჯოს“ *(იცინის)*. სუფრის ტრადიციებიც კარგად გავიგე – 50 წუთი ერთ ისტორიას რომ ყვებიან და ბოლოს ამბობენ – „გაუმარჯოს“ *(იცინის)*. ყველაზე ცუდი სიტყვა, რაც ვიცი, „შეჩემაა“. ჭამას ვერ ვასწრებ ხოლმე, სულ სადღეგრძელოებია.

– ნოდარ, შენ მისი თანაგუნდელი ხარ და აბა, ცოტა წავიჭორაოთ, აქაურობას როგორ შეეჩვია სტეევენი?

ნოდარ თენეიშვილი: ვიცოდით, სანამ ჩამოვიდოდა, რომ ძალიან კარგი მოთამაშე იყო. ამასთან, მეგობრული და უკონფლიქტო. მაინცდამაინც ვერ სვამს, ეს ქართული სუფრაც ეუცნაურება. არ მახსოვს, დარბაზში ვინმესთან კონფლიქტი მოსვლოდეს. ქალაქგარეთ გვყავდა რესტორანში წაყვანილი, „სენატში“ დაგვყავს ხოლმე.

– ნოდარ, შენ მინდა გკითხო: რამდენი ხანია, რაც კალათბურთს თამაშობ?

– კალათბურთს 6 წლიდან ვთამაშობ, უკვე 14 წელი გავიდა და შემიძლია, თამამად ვთქვა, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში სპორტიდან წასვლა არც ერთხელ არ მიფიქრია. მინდა უცხოეთში ვითამაშო.

– ქართულად არ სვამ, სტეევენ?

სტეევენი: კარგია, ქართული ღვინო, ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ მონტენეგროში რომ ღვინოა *(იცინის)*... ჩვენ უკეთესი ღვინო გვაქვს. სმით ბევრს ვერ ვსვამ, სად შემიძლია! სპორტსმენი ვარ.

– შენ არ ასწავლე ქართველ კალათბურთელებს სერბული ლანძღვა-გინება?

– არ მისწავლებია, რაში სჭირდებათ, ჩემამდეც კარგად იცოდნენ. ზოგადად, ჩემს ქვეყანაში ხალხი ძალიან ბევრს იგინება და ამიტომ, ასეთი სიტყვების სწავლა სერბულად არ არის ძნელი. ნამდვილად არ ვამაყობ ამით, მაგრამ რა ვქნა, ასეა.

– ქართველ გოგონებზე რა აზრის ხარ?

– რა ვიცი, არ მოვწონვარ ქართველ გოგოებს მაინცდამაინც. მე კი მომწონს, მაგრამ... სად ვხვდები ქართველ გოგოებს! ვეხვეწები, სადმე წამიყვანეთ-მეთქი და ვზივარ ასე, არ დავყავარ არსად *(იცინის)*.

– რა ენებზე ლაპარაკობ, გარდა მშობლიურისა?

– ვიცი სერბული, ბოსნიური, ინგლისური, მესმის რუსული, გერმანული, ფრანგული. კარგად ვიცი იტალიური და ესპანური. ვიცი ბერძნულიც.

– ქართულ საჭმელს მიირთმევ ხოლმე?

– ვაიმე, ძალიან მომწონს ქართული საჭმელი, მაგრამ ისეთი ცხიმიანია, ყველაფერს ნამდვილად ვერ შევჭამ! მაინცდამაინც არ მომწონს მწვადი და ხინკალი, უფრო აჭარული ხაჭაპური და ბლინები. მე თვითონაც მშვენიერი მზარეული ვარ და კარგ რაღაცეებს ვამზადებ. ყველაფერი ვისწავლე, რაც დამჭირდა – ყველაზე მეტად იტალიური სამზარეულო მომწონს. დედაჩემის გაკეთებული ეროვნული კერძები მაინც ყველას მირჩევნია. დედაჩემი გიჟი დედაა, როგორც საერთოდ უმრავლესობა. სულ მირეკავს, მეკითხება: როგორ ვარ, სად ვარ, ძალიან ნერვიულობს. რატომ სეირნობ, სად მიდიხარ, მაკონტროლებს *(იცინის)*. თან, რაც გაიგო, რომ კოჭის ტრავმა მივიღე, სულ გაგიჟდა. არასპორტული ტრავმა მივიღე. ბათუმში ვიყავით და ზუსტად ავტობუსის წინ დავეცი. რა ვიცი, იქნებ ხელიც მკრა ვინმემ *(იცინის)*.

ქეთი დიდეგულიძე

რა მონაცემებს უნდა აკმაყოფილებდეს კარგი ქმარი და რისი გაგება უჭირს მის ცოლს

იდეალური ადამიანები არ არსებობენ. ურთიერთობაში შეცდომას ყველა უშვებს, განურჩევლად სქესისა და, ხშირად – ასაკისა. შეყვარებული თუ უმზერ, ადვილად დახუჭავ თვალს ნაკლზე; დაუფიქრებლად შეამკობ ღირსებებით, რომლებიც, რეალურად, არ გააჩნია. სიყვარული კარგია, მაგრამ, საღი აზრის შენარჩუნება – აუცილებელი. ფსიქოლოგები გვირჩევენ: ნუ მივაწერთ პარტნიორს ისეთ თვისებებს, რომლებიც მას არ აქვს და, სავარაუდოდ, არც ექნება. აჯობებს, დავინახოთ მისი ნაკლოვანებები და კარგად დავფიქრდეთ, შეგვიძლია თუ არა მასთან ერთად ცხოვრება.

თეიკო *(37 წლის):* გული მწყდება, რომ ჩემს პრობლემაზე საჯაროდ მიწევს საუბარი. ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ პირადი ცხოვრება ასე ამერეოდა. ალბათ, ბევრი ამბობს ამას. ასეა ადამიანი – არ უნდა, დაიჯეროს, რომ ცუდი მასაც დაემართება; მით უმეტეს, როცა ბედნიერია, ადვილად რწმუნდება იმაში, რომ მის ცხოვრებაში ყოველთვის ასე იქნება. რატომღაც, ქალებს უფრო გვიყვარს ოცნებებში ფრენა. მამაკაცები ჩვენზე გაცილებით პრაგმატულები არიან.

– თუ – პესიმისტურად განწყობილები?

– ეს თითქმის ერთი და იგივეა. ეს ჩემი მოსაზრებაა და ამ აზრს თავს არავის ვახვევ, მაგრამ, ვფიქრობ, რომ კაცებისთვის უფრო ადვილია ცხოვრება.

– რატომ გგონიათ ასე? კაცებსაც ღალატობენ და კაცებსაც ტოვებენ. სიყვარულიც არ არჩევს ქალსა და კაცს.

– მაგაში გეთანხმებით, მაგრამ, პროცენტულად, ქალები გაცილებით ხშირად ვზარალდებით; თანაც, მამაკაცისთვის საზოგადოებრივ აზრს ნაკლებად აქვს მნიშვნელობა. უფრო ხშირად, საზოგადოებრივი აზრი გაცილებით ჰუმანურია მათ მიმართ. ქალს თუ უღალატებენ – არა უშავს, კაცი ვიღაცასთან წავიდა – რა მოხდა მერე?! მაგრამ, ქალი თუ უღალატებს ქმარს, აუცილებლად ბოზია.

– ანუ, ქალსაც აქვს გამართლება, როცა ღალატობს?

– არა, ამას არ ვამბობ. ღალატი ნებისმიერ შემთხვევაში გაუმართლებელია. თუმცა, თუ ვინმესთვის პატიებას მოვინდომებთ, გამამართლებელ მიზეზს აუცილებლად ვიპოვით – ამისი თქმა მინდოდა. სამწუხაროდ, ძალიან დიდხანს ვინდომებდი და ვპოულობდი კიდეც იმას, რისი პოვნაც მინდოდა. ქალები ამბობენ, ჩვენ თვითონ ვიბრძავებთ თვალებსო, – ამას ვერ დავეთანხმები. არც სიყვარული გაბრძავებს. უბრალოდ, ზოგიერთ მამაკაცს აქვს უნარი, თავი იდეალურად მოგაჩვენოს, მერე კი „რელსებიდან გადავიდეს“. ხვდებით, ხომ, რასაც ვგულისხმობ. კაცი მეტ-ნაკლებად იდეალური მანამდეა, სანამ მიზანი აქვს – შენი ხელში ჩაგდება. გარანტირებულად მისი გახდები თუ არა – აზარტს კარგავს. იცით, როგორი მოხიბლული ვიყავი ჩემი ქმრით? ყველაფერი მომწონდა მისი – გარეგნობაც, ხასიათიც. გარეგნობა ახლაც კარგი აქვს, ვერაფერს დაუწუნებ, მაგრამ, ხასიათს რაც შეეხება... კეთილი იყო და ხელგაშლილი, ღიმილიანი, თბილი, ყურადღებიანი, მზრუნველი... როგორ ვთქვა, თვალები შეგნებულად დავიბრმავე-მეთქი, ეს ყველაფერი რეალურად იყო. მარტო მე კი არა, ჩემი მშობლებიც აღფრთოვანებულები იყვნენ მომავალი სიძით – პირველივე შეხვედრაზე შეაყვარა თავი ორივეს.

– ანუ, არტისტია? კარგად ითამაშა როლი?

– ასე გამოდის. ძალიან ცდილობს, დამიმტკიცოს, რომ მე ვერ აღვიქვამ მოვლენებს რეალურად. შეიძლება, მე დავბრმავდი, დავყრუვდი და გამოვშტერდი, მაგრამ, სულელი ნამდვილად არ ვარ. არადა, ისე კარგად დაიწყო ყველაფერი... თუმცა, მხოლოდ დაიწყო – გაგრძელება აბსოლუტურად სხვანაირი ჰქონდა. ჩემი ქმარი უმტკივნეულოდ „ჩაჯდა“ ჩვენს რეალობაში. მთელმა ჩემმა გარემოცვამ ბუნებრივად და უპრობლემოდ მიიღო. შაბათი და კვირა ნამდვილ ზეიმად მიქცია. სულ სადღაც დავყავდი, ან – სახლში მანებივრებდა სიურპრიზებით. ბუნებაში მწვადებს წვავდა და ჩემს მეგობრებს პიკნიკს უწყობდა.

– რამდენ ხანს გრძელდებოდა ეს იდილია?

– ერთი წელიც არა. ყველაზე მეტად გამაოგნებელი ისაა, რომ წყნარი, უპრეტენზიო და ზრდილობიანი კაცი, უცებ უხეშ, უტიფარ ქმრად იქცა. სულ ყვირილით ლაპარაკობს.

– თქვენ ვერ ხვდებით, რა არის ამის მიზეზი?

– ახლა უკვე ვხვდები. სამწუხაროდ, ძალიან ბევრი დრო დავკარგე მიზეზის ძიებაში – მას საკუთარ თავში ვეძებდი. მეგობრებს ვეუბნებოდი ეს იდეალური კაცი გადავრიე, რაღაც ძალიან შემეშალა-მეთქი. რამდენი ხანიც უნდა იცნობდე მამაკაცს, მაინც ვერ გაიგებ, რა უდევს მას თავში.

– ქალისას გაიგებ?

– თუ მართლა შეყვარებულია – აუცილებლად. ვიცი, მეტყვით, შეყვარებული მამაკაციც ხომ გახსნილიაო, მაგრამ, ტყუილია – კაცი უფრო ეგოისტია სიყვარულში, ვიდრე ქალი.

– ბევრი არ დაგეთანხმებათ.

– შეიძლება. სულაც არ ვცდილობ, ვინმე ძალით დავითანხმო, ყველას საკუთარი აზრი აქვს ცხოვრებაზეც და კაცთან ურთიერთობაზეც. სამწუხაროდ, „სიყვარულის ნავი“ ძალიან მყიფეა და სწრაფად იმსხვრევა ოჯახურ რიფზე. თანაც, ზოგჯერ პირველზევე.

– მით უმეტეს, თუ ქარიშხლებიც ხშირად არის.

– თქვენ წარმოიდგინეთ, ქარიშხლები როცა არის, ხშირ შემთხვევაში ნავი უძლებს ამას. დააკვირდით: არსებობენ წყვილები, რომლებიც სულ ჩხუბობენ და მაინც ერთად არიან. არ ვიცი, ეს რა ფენომენია, მაგრამ, ფაქტია, რომ ისინი რაღაცნაირად აგვარებენ ურთიერთობას. ჩემი ქმარი ძალიან სწრაფად მოეშვა და მოდუნდა ოჯახურ თავშესაფარში – ინერტული და უინტერესო გახდა. ისე იქცეოდა, თითქოს ოცი წლის ცოლქმარი ვიყავით. ტელევიზორთან რომ დაჯდებოდა, მის წინ სულ შიშველსაც რომ მევლო, რეაქცია არ ჰქონდა, არადა, არ გამოვიყურები ცუდად. სახლშიც სულ ფორმაში ვარ და მამაკაცების ყურადღების ნაკლებობასაც არ ვუჩივი. ვიფიქრე, ეს უინიციატივობა და ინერტულობა მისთვის ბუნებრივი მდგომარეობა იყო, მაგრამ, მოვტყუვდი. უბრალოდ, ორ ფრონტზე ბრძოლის უნარი არ აღმოაჩნდა.

– რას გულისხმობთ?

– ანუ, სახლში ვეღარ მოჰქონდა საჭირო ენერგია, იმიტომ რომ სხვასთან ხარჯავდა. მე სულელი კი ვფიქრობდი, სანყალი, როგორ იღლება სამსახურში; ეტყობა, ოჯახმა მეტი პასუხისმგებლობა გაუჩინა და მეტს მუშაობს-მეთქი, მაგრამ, თურმე, სადა ხარ – სამსახურში ფლირტი და არშიყი არომევდა ძალას.

– დარწმუნებული ხართ, რომ არ ცდებით? ფაქტები გაქვთ?

– ფაქტები რომ არ მქონდეს, ასე საჯაროდ ხომ არ ვილაპარაკებდი ჩემს პრობლემაზე. ერთხელ დედამისთან წავიწუწუნე, ველარ ველაპარაკები, სულ ჩუმად არის, არსად დავდივართ, ფეხბურთის ყურებაც კი არ აინტერესებს-მეთქი და მიპასუხა: რა ტყუილად იშლი ნერვებს, სანთლით საძებარი ქმარი გყავს. იცხოვრე მშვიდად და პრობლემას ნუ იქმნიო. მეც დავუჯერე და, მანამდე ვცდილობდი, საკუთარი თავი დამერწმუნებინა, რომ მართლა ძალით ვიქმნიდი პრობლემას, სანამ ფაქტის წინაშე არ დავდექი. არადა, გარედან ისე ჩანს, რომ იდეალური კაცი მყავს გვერდით: მშვიდი, წყნარი, არ სვამს, არ ეწევა, ფულის ხარჯვა არ უყვარს... თურმე, საერთოდ არ ყოფილა ეს შესაშური. ახლა ისეთ მდგომარეობაში ვარ, მისმა ამ მოჩვენებითმა სინყნარემ და სიმშვიდემ ლამის კედლებზე ამიყვანოს. ჩემი სიყვარული მისადმი თოვლივით დნება და მალე სულ გაქრება – ამას ცხადად ვგრძნობ. იმასაც ვფიქრობ, ღირს კი წვალება ჩვენი ურთიერთობის გადასარჩენად? ჩემი ქმარი ხომ არ შეიცვლება? ის ისეთია და, თუმცა ახლა ყველაფერს აკეთებს, რომ საპირისპიროში დამარწმუნოს, ვგრძნობ, როგორც კი დავუჯერებ, ძველებურად „გაუბერავს“. როცა ჩემამდე მისი „ცელქობების“ ამბავი მოვიდა, გავოგნდი, მაგრამ, მაინც, ყველაფერი ბოროტ ენებს დავაბრალე – შურთ, ასეთი ქმარი რომ მყავს და ცდილობენ, წყალი აგვიმღვრიონ-მეთქი.

– იქნებ მართლაც ასე იყო?

– სამწუხაროდ, სიმართლის მარცვალი ყოველთვის არსებობს. სულ უცეცხლოდ კვამლი ნამდვილად არ ჩნდება. ერთხელ „ჩამაწვეთეს“, მეორედ, მესამედ და მეც ცოტა გამოვფხიზლდი. დავუწყე ჩემს ქმარს თვალყურის დევნება, რისი გაკეთებაც ძალიან არ მინდოდა – მძულს ასეთი ჯაშუშობა ურთიერთობაში. მეცოდებოდნენ ის ქალები, რომლებიც ასეთ რეჟიმში ცხოვრობდნენ. მეც მათ მდგომარეობაში რომ აღმოვჩნდი, ეს ჩემთვის სერიოზული სტრესი იყო. ხომ წარმოგიდგენიათ, რაღაცის გაკეთება რომ არ გინდათ და იძულებით აკეთებთ – რამხელა დისკომფორტია.

– რომ დაგეტოვებინათ ყველაფერი ისე, როგორც იყო?

– დამეტოვებინა და ჩემი ქმრისთვის ჩემი გასულელების საშუალება მიმეცა?! რა ვქნა, არ მივეკუთვნები იმ ქალების კატეგორიას, რომლებსაც შეუძლიათ, სირაქლემის პოზაში იცხოვრონ და თავი ისე უჭირავთ, თითქოს არაფერი ხდება. პირველივე ფაქტზე (ეს იყო რომანტიკული ესემესი). ჩემი ქმარი, კედელთან მივაყენე და მანაც მაშინვე ყველაფერი აღიარა, თანაც, ერთთან კი არა, ორთან ურთიერთობა: მერე რა მოხდა, ვერთობიო. შენ რა გაკლდება ამით, არც ოჯახის

რამდენი ხანიც უნდა იცნობდე მამაკაცს, მაინც ვერ გაიგებ, რა უდევს მას თავში

როგორ გააშვილეს ტყუპისცალი მეჯვრისხევის სამშობიარო სახლიდან და ვინ ეძებს გაშვილებულ ძმას ქინვალიდან

68 წლის თამარ მიხეილის ასული ჩხიკვაძე ეძებს 50 წლის ძმას (სახელი და გვარი უცნობია).

ისტორია: ვეძებ ჩემს ძმას. სამწუხაროდ, მისი არც სახელი ვიცი და არც გვარი. 1962 წლის 24 აპრილს დედაჩემმა იმშობიარა გორის რაიონის სოფელ მეჯვრისხევში და გააჩინა ტყუპი ქალ-ვაჟი, მაგრამ, სამშობიარო სახლში მას უთხრეს, რომ ბიჭი გარდაიცვალა. ამ ამბის გასვლიდან 30 წლის შემდეგ, დედამ შემთხვევით გაიგო, რომ მისი შვილი გააშვილეს. ძალიან გთხოვთ, დაგვეხმარეთ დაკარგული ძმის პოვნაში. სამწუხაროდ, დედა ცოცხალი აღარაა, მაგრამ მეც და ჩემს დანარჩენ დედმამიშვილებსაც ძალიან გვინდა ძმის პოვნა. ჩემი ძმა ამჟამად 50 წლის უნდა იყოს, იმედი მაქვს, მან გაიგო, რომ ნაშვილებია და ამ სტატიის წაკითხვის შემთხვევაში დაგვიკავშირდება.

– ქალბატონო თამარ, გვიამბეთ თქვენი ისტორია, რა მოხდა 1962 წელს და რატომ ფიქრობთ, რომ თქვენი ძმა გაშვილებულია?

– დედაჩემი, ნინა გიორგის ასული პაპიტაშვილი, კირბალში ცხოვრობდა. 1962 წლის 24 აპრილს მან იმშობიარა გორის რაიონის სოფელ მეჯვრისხევში. დედაჩემი იმ დროს 40 წლის იყო. მას გაუჩნდა ტყუპი ქალ-ვაჟი. ბიჭი უფრო დიდი და ჯანმრთელი ყოფილა. მშობიარობის მეორე დღეს დედას მოუყვანეს გოგონა, ბიჭზე კი უთხრეს, რომ ის გარდაიცვალა. დედა ძალიან ცუდად იყო და მას შვილის ცხედარიც არ უნახავს. ტყუპების გარდა, დედას 4 შვილი უკვე ჰყავდა, სავარაუდოდ, სამშობიაროში იფიქრეს, რომ მეტი შვილი მას აღარ სჭირდებოდა და ამიტომაც დაუმალეს ვაჟი. ოჯახში, ასე თუ ისე, ყველა შეგუებულები ვიყავით იმ ამბავს, რომ ჩვენი ძმა გარდაიცვალა. ალბათ, არაფრის ეჭვიც არ გაგვიჩნდებოდა, რომ არა ერთი შემთხვევა: ამ ამბიდან უკვე 30 წელი იყო გასული, როდესაც დედაჩემს შეხვდა იმ სამშობიარო სახლის ერთი სანიტარი ქალი, რომელმაც უთხრა, რომ ჩემი ძმა, სინამდვილეში, გააშვილეს. ის სანიტარი ქალი სოფელ ზერტში ცხოვრობდა. მან ისიც თქვა, რომ ჩემი ძმა მეორე სანიტარმა თავის უშვილო მამიდას მიაშვილა. ამ ამბის შემდეგ დედამ მოსვენება დაკარგა და სპეციალურადაც კი ჩავიდა ზერტში იმ სანიტრის სანახავად, ვინც სიმართლე გაუმხილა, მაგრამ, რაცა იმ ქალმა ნახა, თუ როგორი ინტერესით კითხულობდა დედა თავისი შვილის ამბავს და ყველაფრის გარკვევა უნდოდა, შეშინდა და უთხრა, მოგატყუეო. სამწუხაროდ, ის სანიტარი ქალიც ამჟამად ცოცხალი აღარაა. ბუნებრივია, ჩვენ ყველანი ავფორიაქდით, ამას თან ერთვოდა ჩემი დის, ანუ, დაკარგული ვაჟის ტყუპისცალის შეგრძნებებიც. მოგეხსენებათ, ტყუპებს განსაკუთრებული ინტუიცია აქვთ და ისინი ერთმანეთს დისტანციაზეც გრძნობენ. როდესაც ჩემმა დამ ეს ამბავი გაიგო, ძალიან გაბრაზდა. სამწუხაროდ, დედაჩემი ცოცხალი აღარაა, მაგრამ, ყველა დედმამიშვილს ძალიან გვინდა ძმის პოვნა.



– აქამდე თუ ეძებდით ძმას და რა ხერხებით?

– მე დავრეკე გადაცემა „პროფილში“ და მოვყევი ჩემი ისტორია, მაგრამ, პასუხიც არ მიმიღია. არ ვიცი, სხვანაირად როგორ შეიძლება ჩემი ძმის პოვნა – მე ხომ მისი სახელი და გვარიც კი არ ვიცი. ამიტომ, თქვენ მოგმართეთ. ერთხელ ჩემს ძმასაც ვუთხარი, მოდი, მოვძებნოთ ჩვენი დედმამიშვილი-მეთქი, მაგრამ არ ვიცით, ეს როგორ გავაკეთოთ. მე მაინც ვფიქრობ, რომ, სავარაუდოდ, ჩემი ძმა გაშვილებული იქნება გორის რაიონთან ახლომახლო რომელიმე სოფელში და იქ უნდა ვეძებოთ. დიდი იმედი მაქვს, რომ ჩემმა ძმამ გაიგო თავისი ისტორია, ანუ, იცის, რომ ის ნაშვილებია და, თუ ის მიხვდება, რომ საუბარი სწორედ მასზეა, იქნებ, დაგვიკავშირდეს. მინდა, მან იცოდეს, რომ ჰყავს ტყუპისცალი და, რომელიც ამჟამად გერგეთში ცხოვრობს და მასაც ძალიან უნდა ძმის პოვნა. გამორიცხული არ არის, რომ ჩემს ძმასაც, ისევე, როგორც მის ტყუპისცალ დას, გარკვეული შეგრძნებები ჰქონდეს და იქნებ ინტუიციამ უკარნახოს, რომ საუბარი სწორედ მასზეა, ან, იქნებ, მან გაიგო, რომ ნაშვილებია გორის რაიონის სოფელ მეჯვრისხევიდან. მე დიდი იმედი მაქვს, რომ ამ ისტორიით ის მიხვდება ყველაფერს და დაგვიკავშირდება. დედაჩემს ძალიან უნდოდა მისი პოვნა. ამჟამად ის ცოცხალი აღარაა, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, რომ მის სულს გაუხარდება, თუკი დედმამიშვილები ერთმანეთს ვიპოვით.

თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია ამ ისტორიის შესახებ, ან თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 233-42-24; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.

ნატალია მახარაშვილი

ისე იქცეოდა, თითქოს ოცი წლის ცოლ-ქმარი ვიყავით. ტელევიზორთან რომ დაჯდებოდა, მის წინ შიშველსაც რომ მევლო, რეაქცია არ ჰქონდა

დანგრევას ვაპირებ, არც რომელიმეს ცოლად მოყვანასო. მოგწონთ ასეთი ლოგიკა? მეტყვის ვინმე, რომ ნორმალური პასუხია? თურმე, არაფერი მაკლდება იმით, რომ ჩემი ქმარი სხვა ქალებს ეკურკურება და ეტრფიალება, სახლში კი მუთაქასავით დევს და მისი ინერტულობის გამო ლამის არასრულფასოვნების კომპლექსი გამიჩნდა. ხან ფიტნეს-ცენტრში ვიყავი, ხან სალონში, ტუჩებიც კი გავიდიდე...

– ამ ყველაფერს ქმრის ყურადღების მოსაპოვებლად აკეთებდით?

– რა თქმა უნდა. მაგრამ, რეალურად, სხვა კაცების ყურადღებას ვიპყრობდი, ჩემი ქმარი კი მაინც ვერ მამჩნევდა. ძალიან დამთრგუნველია ეს ქალისთვის. ჩემი გამოცდილებიდან ვიცი, რომ ინგრევი ადამიანი.

– თქვენს ქმარს რომ ისევე გაეგრძელებინა ურთიერთობა თქვენთან, როგორც ქორწინებამდე, ხომ ვერაფერს მიხვდებოდით?

– ვერა, რა თქმა უნდა, მაგრამ, როგორც გითხარით, ჩემი ქმარი „რელსებიდან გადავიდა“. საზიზღარი სტერეოტიპის ტყვეობაშია. არ ვიცი, რამდენი კაცია მისი „მიმდევარი“, მაგრამ, მარტო რომ არ იქნება, ამ თავის იდიოტურ შეხედულებებში, ფაქტია. ამტკიცებს, რომ ცოლი უკვე აღარ არის საინტერესო ქალი. დაპყრობილ მწვერვალზე არც ერთი თავმოყვარე ალპინისტი მეორედ აღარ ავაო, – ასე მითხრა. გეკითხებით, რისი ღირსია? რომ ვუღალატო და იმას „დავაპყრობინო ჩემი მწვერვალი“, ვინც ინტერესსა და აზარტს გამოიჩენს, ვიქნები დასაძრახი?

– თქვენ ეს არ უთხარით ქმარს?

– ვუთხარი. ჯერ გაიცინა, მერე კი სერიოზულად მითხრა: გარყვნილი რომ არ იყო, ეგ აზრი თავში საერთოდ არ მოგივიდოდაო. ახლა ვფიქრობ, რა ვქნა – გავეყარო? ჩემი ქმარი მეუბნება, რომ იმ ქალებთან სექსი არ ჰქონია და ამას არც აპირებდა, მაგრამ, მე არ მჯერა მისი. იმასაც ვიტყვი, რომ ჩემთვის არანაკლებ მტკივნეული იყო ის „პრელუდიები“ ვიღაცეებთან. თუმცა, თვითონ მიაჩნია, რომ ეს სალაპარაკოდაც არ ღირს. რომელ ქალს მოეწონება, მისი ქმარი სხვა ქალს სწერდეს: შენი ერთი გამოხედვით მუხლებში ძალა მერთმევა და მთელი სხეული მიბუჟდებაო? იმდენი ვიტირე, ეს რომ წავიკითხე... რატომ არ ესმით კაცებს, რას აშავებენ, როცა ცოლი ქალად არ მიაჩნიათ და სხვა ქალებს უმტკიცებენ, შეუდარებელი, მომაჯადოებელი და განუმეორებელი ხარო, თან ისეთს, საერთოდ რომ არ არიან ლამაზები? პრინციპში, მათი გარეგნობაც არ არის მნიშვნელოვანი და მე მათთან საერთოდ არ მაქვს საქმე. პრეტენზია მხოლოდ საკუთარი ქმრის მიმართ გამიჩნდა და მას ეს ძალიან არ მოსწონს. რა თქმა უნდა, ერჩივნა, არშიყით დაღლილს, სახლში მშვიდი გარემო ჰქონოდა. მე კი თურმე, მყუდროება დავურღვიე ბიჭს; აქეთ ვყოფილვარ დამნაშავე, რომ ხელს ვერ ვუწყობ უსინდისობაში ისე, როგორც ეკადრება. ზოგჯერ ძალიან აგრესიული ვარ. როგორ არ ვიქნები?! დავანგრიო ოჯახი და ამით დავუსვა წერტილი ამ მარაზმს? შვილს რა ვუყო, როგორ გავაგებინო, რას ვერჩი მამამისს? მეტყვის, შენი ეგოისტობით მამა დამაკარგვინეო. იქნებ, გაუაროს და აზრიც შეიცვალოს თავის საქციელზე? მაგრამ, წყალწაღებულივით ხავსს ვებღაუჭები, მგონი...

დალი მიქელაძე

რედაქციაში წერილი მოვიდა

ყოველთვის მოწესრიგებული ადამიანი ვიყავი, ყოველ შემთხვევაში, ასეთად მიმაჩნდა თავი. ვიცოდი, რისთვის ვცხოვრობდი. ახლა კი ძალიან დავიბენი. ერთ კაცს ვხვდებოდი და ვფიქრობდი, რომ მომწონდა. მაგრამ, რამდენიმე თვეა, ჩემი ერთი ძველი ნაცნობი გააქტიურდა. ადრე მასზე ფარულად ვიყავი შეყვარებული და, ბუნებრივია, უფრო ამისკენ ვიხრები, მაგრამ, თუ მხოლოდ მოწყენილობის გამო ერთობა და ჩემ მიმართ გრძნობა არ აქვს, ძალიან ცუდ მდგომარეობაში აღმოვჩნდები. პირველმა უკვე ცოლობა მთხოვა. მინდა ოჯახის შექმნა. როგორ მოვიქცე?

გამოხმაურება: რთული სათქმელია, რა სურს თქვენს ნაცნობს. თუ ისე კარგად არ იცნობთ, რომ მიუხვდეთ ჩანაფიქრს, გირჩევთ, არ აჰყვეთ ფლირტში და აგრძნობინოთ, რომ სერიოზული ურთიერთობები გჭირდებათ. მერე უკვე შეატყობთ, რისთვის არის მზად.

ფსიქოლოგი
მაგდა რობაქიძე

სოფო ხალვაშის ცხოვრებაში ძალიან კარგი სიახლეა. ის მეორე შვილს ელოდება. უკვე სქესიც იცის და სახელიც შერჩეული აქვს. ფეხმძიმობის მიუხედავად, სოფო აქტიურად ცხოვრობს. შემოქმედებითად საკმაოდ დატვირთულია, საკუთარ ბენდთან ერთად მუშაობს ალბომზე და კონცერტის ჩატარებასაც აპირებს.

რა სტრესი გამოიარა პირველ ფეხმძიმობაზე სოფო ხალვაშმა და როდის არის მის ცხოვრებაში ყველაფერი მოზღვავებული და მოჭარბებული

– პირველ ყოვლისა, შემოქმედებაზე გკითხავ: რა სიახლეები გაქვს?

– დაახლოებით ორი წელია, შევკრიბე ბენდი. არაჩვეულებრივი ბიჭები არიან, ძალიან ნიჭიერები, ერთად ვმუშაობთ. ყველაზე მთავარი ის არის, რომ მათ თვითონაც ძალიან სიამოვნებთ მუშაობა და უყვართ ის, რასაც აკეთებენ. ძალიან მონდომებულები არიან. ჩავწერეთ ახალი სიმღერები. ვაპირებთ ალბომის გაკეთებას და არ გვინდა, გვქონდეს მხოლოდ და მხოლოდ „ქავერები“, რაც დახურულ საღამოებზე ძალიან მოსწონთ და უყვართ. ეს იქნება ჩვენი პირველი საერთო ალბომი. აქ შევა როგორც ჩემი სიმღერები, ასევე, სხვადასხვა მუსიკოსის ნაწარმოებები. ჯერჯერობით ახლა ვიწყებთ ჩაწერას, არ ვკარგავ იმ დროს, რაც შეიძლება, რომ გამოვიყენო. ვნახოთ, რა გამოვა, წინასწარ რამის თქმა ძალიან რთულია.

– მსმენელს სად შეუძლია სოფო ხალვაშის მოსმენა?

– თბილისში ეწყობა ძალიან ბევრი დახურული საღამო, სადაც ითხოვენ ბენდებს და სურთ ცოცხალი შესრულება – აღარ უნდათ ფონოგრამები და ასე შემდეგ. მომღერლისთვის ცოცხალი შესრულება ბევრად უფრო სასიამოვნოა, ვიდრე ფონოგრამა, რადგან, ფონოგრამის დროს უფრო შებოჭილი ხარ და ჩარჩოებში ზიხარ. როდესაც ცოცხლად უკრავენ, შეიძლება, ერთი ტაქტის მაგივრად ოთხი ტაქტი იმღერო, ან – პირიქით *(იცინის)*. ეს ყველაფერი ძალიან ორგანულად ხდება, ბუნებრივია და ბევრად უფრო საინტერესო და სასიამოვნო მოსასმენია. ჩვენც ხშირად გვიწვევენ ხოლმე დახურულ საღამოებზე და სიამოვნებით ვთანხმდებით.

ქეთოზე ფეხმძიმობის დროს ძალიან მინდებოდა ყავის ნალექი. მიშლიდნენ – არ შეიძლებაო. მე სპეციალურად ვაკეთებდი ბევრ ყავას, დიდ ხანს ვდგამდი და, კარგად რომ დაილექებოდა, მერე ვჭამდი

– ბენდის ჩამოყალიბება რატომ გადაწყვიტე. მსმენელი მანამდე გიცნობდა როგორც სოლო მომღერალს.

– ბენდის ჩამოყალიბება იმიტომ გადავწყვიტე, რომ მოვშორებოდი ჩარჩოებს. ყველა მუსიკოსსა და მომღერალს აქვს იმის მოთხოვნილება, რომ საკუთარი ბენდი ჰყავდეს, მაგრამ, ყველას არ აქვს ამის საშუალება, შეიძლება ასეც ითქვას – ეს არის ერთგვარი ფუფუნება. ამ დროს ბევრად უფრო იზრდები, ბევრ ახალს პოულობ. როდესაც ჩვენი ჯგუფი შეიკრიბა, მას შემდეგ დავიწყე სიმღერების წერა. ბავშვობაში, რა თქმა უნდა, ვწერდი ხოლმე, მაგრამ, როცა დავინახე, რომ სხვებსაც მოეწონათ, უფრო გავთამამდი. ბევრად უფრო ახლოს არის ჩემთან ის სიმღერები, რომლებსაც მე ვწერ, ან, როცა ის კომპოზიტორი წერს, ვინც კარგად მიცნობს, რადგან, ის ხვდება, რა შემიძლია, ვიმღერო.

– დიდ, მასშტაბურ კონცერტს ხომ არ გეგმავთ?

– ალბომს, ალბათ, მოჰყვება კონცერტი. ლოგიკურია, რომ, როდესაც ჩაწერ სიმღერებს და გამოუშვებ ალბომს, გამართო კონცერტი და ფართო აუდიტორიის წინაშე გამოიტანო ის, რაც შექმენი. ჯერ ძალიან ადრეა ამაზე ლაპარაკი, გარკვეული დრო სჭირდება ალბომის ჩაწერას.

– პირად ცხოვრებაში ძალიან კარგი სიახლე გაქვს. როგორი შეგრძნებაა, როცა მეორე შვილის დედა ხდები?

– ამ შეგრძნების გადმოცემა რთულია. ძალიან დიდი სიხარულია შვილი. ახლა უკვე მეორე სიხარულის მოლოდინში ვართ. ვიცი რა უდიდესი ბედნიერება მელოდება წინ და, აქედან გამომდინარე, მოუთმენლად ველოდებით. ქეთო ყველაზე მეტად ელოდება. უკვე ვიცით, რომ გოგოა და სახელიც შერჩეული გვაქვს. ერთადერთი, ვნერვიულობ რომ, შეიძლება ქეთომ იეჭვიანოს, თუმცა ეს ნორმალური ამბავია, ხშირად ხდება ხოლმე ასე, და იმედია, ამ პრობლემას ადვილად გადავლახავთ. ვნახოთ, ჯერჯერობით ძალიან დიდ მოლოდინშია. სახელი თავად შეურჩია – მარიამს არქმევს. მე ბარბარეს დარქმევა მინდოდა, მაგრამ, ქეთომ შეთანხმება დამიდო, რომ ის დაარქმევს ბარბარეს თავის შვილს და ასე გაგვაჩუმა ყველა *(იცინის)*.

– როგორი ფეხმძიმობა გაქვს, ხასიათი ხომ არ შეგცვლია?

– ხასიათი დიდად არ შემცვლია. განსაკუთრებულიც არაფერი მინდება ხოლმე. მაგალითად, ქეთოზე ფეხმძიმობის დროს ძალიან მინდებოდა ყავის ნალექი და მიშლიდნენ, იმიტომ, რომ არ შეიძლება. მე სპეციალურად ვაკეთებდი ბევრ ყავას, დიდხანს ვდგამდი და, კარგად რომ დაილექებოდა, მერე ვჭამდი *(იცინის)*. ახლა განსხვავებული არაფერი მინდება, არც უჩვეულო ცვლილებები შემენიშნება ხასიათში. რთული ფეხმძიმობა არც პირველ შვილზე მქონია და არც ახლა. პირადად მე ვერაფერს ვატყობ ჩემს თავს.

– წონის შენარჩუნებას როგორ ახერხებ, ხომ არ დიეტობ?

– არა, დიეტა არასდროს დამიცავს. ზოგჯერ მჭირდებოდა ხოლმე, მაგრამ არ შემიძლია, ვერ ვიცავ. ტკბილეულის მოყვარული არ ვარ, მაგრამ, ძალიან მიყვარს ყველანაირი ხორცი, ცხვრის გარდა. საერთოდ, ძალიან მიყვარს საღამოობით ჭამა. ვიცი, ეს ძალიან ცუდია, მაგრამ, ვერ ვიკლებ ამ სიამოვნებას და ყოველთვის საღამოობით ვჭამ. ჯერჯერობით არ აისახება ეს ჩემს წონაზე *(იცინის)*, მაგრამ, ცოტა ხანში თუ მნახეთ ძალიან მსუქანი, მიხვდებით, რისი ბრალიცაა *(იცინის)*.

– ფეხმძიმობის მიუხედავად, აქტიურად ცხოვრობ?

– ფეხმძიმობის გამო არანაირი დისკომფორტი არ შემქმნია, პირიქით, ძალიან აქტიურად ვარ. მახსოვს, პირველი ორსულობის დროს სულ დავფრინავდი. „ევროვიზიაზე“ რომ წავედი, ფეხმძიმედ ვიყავი, მახსოვს, ძალიან დიდი სტრესი გამოვიარე. იმ პერიოდში სულ რაღაცას ვაკეთებდი, აქტიურ რეჟიმში ვმუშაობდი. ახლაც ასე ვარ – სულ მინდა, საქმეები ვაკეთო. ხშირად მეუბნებიან ხოლმე, ცოტა დაისვენეო. ხანდახან პასიური მომენტებიც მაქვს. ორივე კატეგორიას მივეკუთვნები.

– მეუღლე, ალბათ, ყველაფერში ხელს გიწყობს და განებივრებს.

– რა თქმა უნდა, ხელს მიწყობს და ძალიან ბედნიერია. შეიძლება, მას ბიჭი უნდოდა, მაგრამ, არ ამბობს *(იცინის)*. თუ ბიჭი გვეყოლებოდა, აუცილებლად რეზო ძოძუაშვილი იქნებოდა, მაგრამ, იმდენად საყვარელია მამისთვის გოგო, რომ უბედნიერესია ამ ფაქტის გამო და სიხარულით ელოდება ქალბატონს ოჯახში, ქალბატონ მარიამს.

– ოჯახისა და კარიერის ერთმანეთთან შეთავსებას ადვილად ახერხებ? მით უმეტეს, უკვე მეორე შვილის დედა ხდები.

– ყველაზე დიდი სიმდიდრე ამ ცხოვრებაში არის შვილები, ოჯახი. მიმაჩნია, რომ ყველაზე კარგი რამ, რაც ქალს შეუძლია გააკეთოს ამ ცხოვრებაში, არის შვილების გაჩენა – ქალი ამით ყოველთვის მდიდარია. მე, შეიძლება, ბევრი ვერ გავაჩინო, ან – გავაჩინო, წინასწარ ვერაფერს ვერ ვიტყვი, მაგრამ, ეს მართლაც ყველაზე დიდი ბედნიერებაა. საქართველოში ისეთი სიტუაცია არ არის, რომ შემოქმედებითად ხელი შეგეშალოს რაღაცაში. ასეც რომ იყოს, მე პირადად ძალიან ბევრი ადამიანი მიდგას გვერდში და ყველაფერში დამეხმარებიან. აქ არის თვეები, როცა საერთოდ არაფერი ხდება. ამ დროს ყველაფერს ისე ვარეგულირებ, როგორც მე მინდა. ზოგჯერ ყველა საქმე

მე ბარბარეს დარქმევა მინდოდა, მაგრამ, შეთანხმება დამიდო, რომ ის დაარქმევს ბარბარეს თავის შვილს – ასე გაგვაჩუმა ყველა

ერთმანეთზეა მიწყობილი, ყოველდღიურ რეჟიმში მიწევს მუშაობა და არაფრის დრო აღარ მრჩება. იმდენი საქმე მაქვს ხოლმე, არ ვიცი, რით დავიწყო. დალაგებულად არასდროს არ არის. ან ძალიან მოზღვავებული და მოჭარბებულია ხოლმე, ან საერთოდ არაფერი არ ხდება *(იცინის)*. ვამბობ ხოლმე, ხომ შეიძლება, ყველაფერი ნორმალურად და გადანაწილებულად იყოს, მაგრამ, არ უნდა იწუწუნო არაფერზე. თუ ის საქმე, რასაც აკეთებ, გიყვარს, ყველაფერს ეგუები, ნებისმიერ რეჟიმს.

– ადრე ტელეეთერში ხშირად გხედავდით, ამ ბოლო პერიოდში აღარ გამოჩენილხარ. თუ იგეგმება გადაცემა ან პროექტი, რომელშიც მიიღებ მონაწილეობას?

– საქმე ისაა, რომ ამას მე არ ვწყვეტ. როდესაც რამე შემოთავაზება მაქვს, შემდეგ ვიღებ გადაწყვეტილებას. ჯერჯერობით არავის მხრიდან არ ყოფილა მსგავსი წინადადება. ამჟამად მხოლოდ ჩემს ბენდსა და ალბომზე ვმუშაობ.

ხატია კარანაძე

რა სახელით იყო ცნობილი ამჟამინდელი პუშკინის სკვერი და თბილისის რომელ ბაღში მართავდა წარმოდგენებს გერმანელი ილუზიონისტი რობერტ ლენცი მეცხრამეტე საუკუნეში

თავისუფლების, ყოფილ ერევნელის მოედანზე მდებარე პუშკინის სახელობის სკვერი თბილისის ერთ-ერთი უძველესი ბაღია. ეს ადგილი ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის 80-იან წლებში შედგენილ თბილისის გეგმებზე ჩანს და ის მაშინაც ბაღებით იყო გარშემორტყმული. ძველი ფოტოების დახმარებით შევეცდებით, გავაცოცხლოთ იმ დროის კოლორიტი.

პუშკინის სკვერი

1913 წლის თბილისის გზამკვლევში დაიწერა: „ერევნელის მოედანზე, თამამშევის ქარვასლა-თეატრის სიახლოვეს, მდებარეობს მცირე ზომის სკვერი, სადაც პუშკინის ბიუსტი დგას. მიუხედავად იმისა, რომ სკვერი ახალი გაშენებულია, ხეები და მცენარეები საკმაოდ გაზრდილია. სკვერში იყიდება მინერალური წყალი, კეფირი და რძე...". „ახალი ბაღი", როგორც სკვერს მანამდე უწოდებდნენ, 1885 წელს გაიხსნა ერევნელის მოედანზე, მოგვიანებით სკვერში პუშკინის ბიუსტი დაიდგა და სახელწოდება „პუშკინის სკვერი" სწორედ აქედან წარმოიშვა. აღსანიშნავია, რომ 1829 წელს, როდესაც დიდი პოეტი თბილისს ესტუმრა, სკვერის მახლობლად მდებარე სახლში გაჩერდა. პუშკინის ბიუსტის დადგმის ინიციატივა თბილისელ პოეტ-მოდელად პროფესორ ვიტალის მიერ პოეტის სიცოცხლეშივე გაკეთებული ნიმუში გამოიყენა. ხოლო კვარცხლბეკი დამზადდა ტფილისში, ალგეთის ქვისგან ვინჩენცო პილაჯოს ქვის საამქროში. ხოდოროვიჩი გეგმავდა, რომ ბიუსტზე პოეტის სახელი და გვარი, ასევე, მისი ნაწარმოებიდან რამდენიმე სტროფი დაეწერა, მაგრამ, ბიუსტის ზომის სიმცირის გამო, მხოლოდ ლაკონური წარწერის გაკეთება მოხერხდა: „ა. პუშკინი." საერთო ჯამში ძეგლის დადგმა 2 236 რუბლი დაჯდა. საზეიმო გახსნის ცერემონიალი კი ბაღში 1892 წლის 25 მაისს შედგა. პუშკინის ბიუსტი მეორე ძეგლი იყო თბილისში მიხეილ ვორონცოვის ძეგლის შემდეგ, რომელიც ამჟამინდელ ზაარბრიუკენის მოედანზე, მაშინ კი ვორონცოვის მოედანზე იდგა. ბიუსტის გახსნაზე გარდაცვლილი პოეტის პატივსაცემად პანაშვიდი გადაიხადეს, რასაც რამდენიმე მუსიკალური კომპოზიციის შესრულება მოჰყვა ვაჟთა გაერთიანებული ორკესტრის მიერ. პუშკინის ბიუსტის მსგავსი ძეგლები იმ პერიოდში ბევრი გაიხსნა რუსეთის იმპერიაში, მაგალითად, თბილისურის ანალოგიური ბიუსტი დგას სანკტ-პეტერბურგში. თავდაპირველად ბიუსტი ამჟამინდელ პუშკინის ქუჩას უყურებდა, გავრცელებული ვერსიის თანახმად, იმ დუქანს, სადაც თავად პოეტი დაბინავდა. მოგვიანებით ბიუსტისთვის კიდევ რამდენჯერმე შეუცვლიათ ადგილი და საბოლოოდ მაშინდელი სასულიერო სემინარიის მოპირდაპირე მხარეს დადგეს (ამჟამად ხელოვნების მუზეუმი). პუშკინის ბიუსტის ავტორმა ხოდოროვიჩმა, თბილისის მთავრობის დაკვეთით, კიდევ ერთი შეკვეთა განახორციელა – მისი ავტორობით, – 1903 წელს, ალექსანდროვის ბაღში დაიდგა ნიკოლოზ გოგოლის ძეგლი, რომელიც, ასევე, ბრინჯაოსგან იყო ჩამოსხმული და ქვის პოსტამენტი ჰქონდა. სამწუხაროდ, გოგოლის ბიუსტი 1990 წელს გაურკვეველ ვითარებაში დაიკარგა და მის ადგილას ამჟამად პეტერბურგის ექსმერის, ანატოლი სობჩაკის ძეგლი დგას. ფელიქს

(გაგრძელება 31-ე გვერდზე)



შესასვლელი პუშკინის ბაღში (1890-იანი წლები)

პუშკინის ბიუსტის გახსნის ცერემონიალი (1892 წლის 25 მაისი)

პუშკინის ბიუსტი (მეცხრამეტე საუკუნე)



პუშკინის ბიუსტი (თანამედროვე ხედი)



გოგოლის ბიუსტი ალექსანდრეს ბაღში (1900-იანი წლები)

გადოების სკოლაში ასწავლიდა. იგი კერძო და სახელმწიფო პროექტებზე მუშაობდა და მცირე ზომის სკულპტურებისა და პორტრეტების ერთ-ერთი საუკეთესო ავტორი იყო. ბიუსტის პროექტი 1891 წლის 14 მარტს პეტერბურგში დამტკიცდა. თბილისის საქალაქო სათათბიროსთან შეთანხმებით, ძეგლის ჩამოსხმა 1891 წლის 19 ოქტომბრამდე უნდა დასრულებულიყო. ბრინჯაოსგან ბიუსტი და დაფნის გვირგვინი პეტერბურგში, ვერფელის ქარხანაში ჩამოასხეს. მოქანდაკელიცმეისტერს – როსინსკის ეკუთვნოდა, რომელმაც ქალაქის სათათბიროს წარუდგინა ბიუსტის დადგმის ხელმომწერთა მიერ შეგროვილი 2 ათასი რუბლი. სათათბირომ განიხილა ინიციატივა და 1890 წლის 30 აპრილს პროექტი დაამტკიცა, რომლის თანახმად, სკვერში ბიუსტი უნდა დადგმულიყო. ბიუსტის შექმნა ტფილისში მოღვაწე პოლონელ არქიტექტორს, მოქანდაკესა და მხატვარს ფელიქს ხოდოროვიჩს დაევალა. იმპერიის არმიაში მსახურობის შემდეგ, 1863-1864 წლებში, ხოდოროვიჩი თბილისში დასახლებულა და კავკასიის სამხატვრო საზო-

ყურადღებით უნდა ვადევნოთ თვალყური იმას, რასაც ვამბობთ, რადგან, ჩვენი სამყარო საოცრად მჭევრმეტყველია; სიტყვებმა დაკარგა თავისი მნიშვნელობა და, აქედან გამომდინარე – ძალაც

დიდი მარხვის მესამე კვირას ეკლესიაში ჯვრის თაყვანისცემის კვირიაკე ეწოდება და ამ დღეს ტაძრის შუაგულში ხდება ჯვრის საზეიმო გამობრძანება. ამ კვირიდან, ასევე, იწყება მარხვის გაშუალედება და, შეიძლება ითქვას, რომ აღდგომის მარხვა უკვე სხვა ფაზაში გადადის. ჩვენში გავრცელებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტრადიცია 1 აპრილის ხუმრობაა, რომელსაც სინამდვილეში მაცხოვრის აღდგომასთან აქვს კავშირი. როგორია ამ საკითხების მიმართ ეკლესიის დამოკიდებულება, ამის შესახებ გვესაუბრება ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი მამა გიორგი (თევდორაშვილი):

რატომ არის 1 აპრილის ხუმრობა დაკავშირებული მაცხოვრის აღდგომასთან და შეიძლება თუ არა ამ დღეს ერთმანეთის მოტყუება

– დიდი მარხვის მესამე კვირას ჯვრის თაყვანისცემის კვირიაკე ეწოდება. ამ დღეს ტაძრის შუაგულში საზეიმოდ გამოასვენებენ ჯვარს და მთელი კვირის განმავლობაში ტოვებენ. ყოველი ღვთისმსახურების შემდეგ სრულდება განსაკუთრებული თაყვანისცემა. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ ჩვენ მარხვის შუაგულს უკვე მივაღწიეთ. ამ დროს, ერთი მხრივ, თავს იჩენს და იგრძნობა დაღლილობა, ჩვენ შემწეობა და გამხნევება გვჭირდება; მეორე მხრივ, როცა ამ დაღლილობას დავითმენთ და მთის ნახევარზე ავალთ, იქიდან უკვე მოჩანს მოგზაურობის დასასრული და სააღდგომო ნათლის ბრწყინვალება უფრო ხილული ხდება. დიდმარხვა ჩვენი დიდჯვარცმის დროა, ჩვენი თუნდაც შეზღუდული გამოცდილება ქრისტეს მოწოდებისა, რომელიც ამ დღის საკითხავში ჟღერს: „რომელმან აღიღო ჯვარი თვისი და შემომიდგნენ მე“, მაგრამ, ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენი ჯვრის აღება და ქრისტეს მიდევნა, თუ თვით ქრისტეს ჯვარს არ ავიღებთ, რომელიც მან ჩვენს საცხოვნებლად იტვირთა. მხოლოდ ქრისტეს ჯვარი გვაცხოვნებს და არა ჩვენი, მისი ჯვარი ჩვენს ჯვარს საზრისსა და დიდ ძალას ანიჭებს. გამხნევებული შევდივართ დიდი მარხვის მეორე ნახევარში და სამარხვო ღვთისმსახურების ტონიც იცვლება. თუ პირველ ნახევარში ჩვენი ძალისხმევა საკუთარი თავის გაწმენდაზე იყო მიმართული, მეორე ნახევარში ვიგებთ, რომ მარხვამ უნდა შეგვიყვანოს ჯვრისა და მკვდრეთით აღდგომის საიდუმლო ჭვრეტაში, წვდომასა და ათვისებაში. დიდი მარხვა შესანიშნავი დროა იმისთვის, რომ განვიხილოთ და ავწონ-დავწონოთ ჩვენი წარმოუდგენლად ზედაპირული დამოკიდებულება ადამიანების, საგნების, სამსახურის მიმართ. დიდი მარხვა საზრისის ძიების პროცესია, აუცილებლად უნდა გავაღრმაოთ ყველა ჩვენი ადამიანური ურთიერთობა, რადგან, ჩვენც თავისუფალი ადამიანები ვართ, რომლებიც ხშირად შეუგნებლად იმ რაღაც სისტემათა მონებად ვიქცევით, რომლებიც ნელ-ნელა ანადგურებენ ამქვეყნად ყოველივე ადამიანურს. დიდი მარხვა ის დროა, როდესაც ყურადღებით უნდა ვადევნოთ თვალყური იმას, რასაც ვამბობთ, რადგან, ჩვენი სამყარო საოცრად მჭევრმეტყველია, სიტყვებმა დაკარგა თავისი მნიშვნელობა და, აქედან გამომდინარე – ძალაც. დიდი მარხვა ის დროა, როცა ადამიანი თითქოს კვლავ პოულობს სარწმუნოებას და თვით სიცოცხლესაც მისი საღმრთო მნიშვნელობით: თავს ვიკავებთ საჭმლისგან და კვლავ აღმოვაჩენთ მის გემოს; ვსწავლობთ ღმრთისგან მის მიღებას სიხარულითა და მადლიერებით; ვამცირებთ გართობას, მუსიკის სმენას, უაზრო საუბარსა და ზედაპირულ ფიქრებს; ვიღებთ ადამიანებს და, ყოველივე ამას იმიტომ ვაკეთებთ, რომ კვლავ ვიპოვოთ თვით ღმერთი და დავუბრუნდეთ მას...

– ბევრი ადამიანი მარხვის შუა პერიოდში მიდის ეკლესიაში და ითხოვს მარხვის დანყებას. ეს მიზანშეწონილია?

– დიახ, საკმაოდ ბევრი ადამიანი მოდის მარხვის შუაში ან ბოლოს და გვეკითხება, რომ

მარხვის მეორე ნახევარში ღვთისმსახურების ტონიც იცვლება. თუ პირველ ნახევარში ჩვენი ძალისხმევა საკუთარი თავის განწმენდაზე იყო მიმართული, მეორე ნახევარში ვიგებთ, რომ მარხვამ უნდა შეგვიყვანოს ჯვრისა და მკვდრეთით აღდგომის საიდუმლოს ჭვრეტაში, წვდომასა და ათვისებაში

პურზე და წყალზე შეინახავს მარხვას და, თუ ჩაეთვლება ეს მარხვად, თუ იქნება ის უფლისთვის სათნო. რა თქმა უნდა – არა. ჩვენ არ უნდა ვიყოთ მაგიური ქრისტიანები. დღესდღეობით არსებობს ხალხური მითოლოგიური მართლმადიდებლობა. ეს არის მართლმადიდებლობის საფარში შენილბული ხალხური, ლეგენდური შეხედულებები, რომლებიც ძალიან ფესვგადგმულია ადამიანების გონებაში. მათზე შეიძლება, ითქვას – ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო. დღეს ადამიანები ყოველგვარი აღსარების, ზიარების გარეშე, პურსა და წყალზე იტანჯავენ თავს, ბოლოს კი არც ეკლესიაში მოდიან, და თუ მოდიან – მხოლოდ აღდგომას, ლიტურგიაზე, მხოლოდ ხატის გამობრძანებას თუ დაესწრებიან და შემდეგ ისევ უბრუნდებიან ცხოვრების წარმართულ წესს. ნუ გავხდებით თვითრჯულები, თვითმართლმადიდებლები, ხალხურ მართლმადიდებლობაში ნუ ვიქნებით, ნუ მოვიგონებთ ახალ ეკლესიას, ახალ სწავლებას, მოდერნისტულს, გაუბრალოებულს.

– მამაო, მინდა გკითხოთ 1 აპრილის ხუმრობის შესახებ, რომელიც დღეს ძალიან გავრცელებულია. როგორც ჩემთვის არის ცნობილი, ეს თარიღი მაცხოვრის აღდგომას უკავშირდება.

– ეს დღე ხშირად აღდგომის მარხვის პერიოდს ემთხვევა და, მეც მინდა, რომ ამ საკითხზე გავამახვილო ყურადღება. ამ დღეს ყველანი, მათ შორის მასმედიის წარმომადგენლებიც, ერთმანეთს ეუბნებიან, დღეს 1 აპრილია, მოტყუება ადვილიაო. ეს სიტყვები ჩვენში საკმაოდ ფეხგადგმულია და, შეიძლება ითქვას, ტრადიციადაც იქცა. ბევრმა ჩვენგანმა არ იცის, რომ 1 აპრილს, როგორც საეკლესიო გარდამოცემა გვაუწყებს, მომხდარა ქრისტეს პირველი აღდგომა. ხალხის გარკვეულ ნაწილს, ვისაც ეს ამბავი არ გაუხარდა, როდესაც ეუბნებოდნენ: ქრისტე აღდგაო, პასუხობდნენ: დღეს პირველი აპრილია, მოტყუება ადვილიაო. ასე რომ, დღეს 1 აპრილი სიცრუის დღეა და შესაბამისად, როდესაც ვიტყუებით, თავს ცოდვაში ვიგდებთ. დიდი მამა იოანე კრონშტადტელი წერდა: „უდიდესია სიტყვა, ძეს ღვთისას სიტყვა ეწოდა“. ჩვენ მიერ წარმოთქმული არც ერთი სიტყვა კი არ იკარგება, არამედ, რჩება. ჯოჯოხეთი არსებობს არა მხოლოდ იმქვეყნად, სადაც ცოდვილები იტანჯებიან, არამედ, ამქვეყნადაც, ხოლო ჯოჯოხეთი სოფელში არის ბოროტების საშინელი, უხილავი საუფლო. არც ერთი ტყუილი, პირმოთნედ ნათქვამი, რომელსაც ადამიანის ენა წარმოთქვამს, უკვალოდ არ იკარგება და ბოროტების უხილავ საუფლოში ინახება. სწორედ იქ გროვდება ჩვენი ცოდვები, სიცრუე და საბოლოოდ გადაიქცევა დამანგრეველ სატანურ ძალად და ენერგიად, რომელიც შემდეგში თავს დაგვატყდება სხვადასხვა ტრფობისა და გამოცდის სახით. მერე კი გვიკვირს, საიდან მოდის უამრავი განსაცდელი, რომელიც თავს უხვად დაგვატყდა. ამიტომ, ჯობია, ასეთი ხუმრობისგან თავი შევიკავოთ, რათა უფლის ჯვარმცმელებსა და მგმობელებს არ ვეზიაროთ. წმიდა მამები ხშირად ადამიანს სიტყვიერ არსებად მოიხსენიებდნენ. სიტყვით ის მიმართავს ღმერთს და ეს სიტყვა არის მისი ღირსება და უპირატესობა. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ პირუტყვმა აჯობა ადამიანს – ჩვენ ვცრუობთ და ვპირფერობთ. იაკობ მოციქულმა ისიც თქვა: „ვინც სიტყვით არ ცდება, სრულყოფილი ადამიანია“ (იაკობ. 3,2). იმისთვის, რომ ადამიანი ჭეშმარიტი ღვთისმოსავი, მორწმუნე გახდეს, საკუთარ თავზე სიმართლის თქმა და მოსმენა უნდა ისწავლოს. წმიდა მამები გვასწავლიან, რომ, როგორც დამბლადაცემული ავადმყოფი, დიდი ძალისხმევით, ტკივილით აკეთებს თითოეულ მოძრაობას, დგამს თითოეულ ნაბიჯს, ასევე ჩვენც – სულიერად დადამბლავებულებმა, ძალდატანებით უნდა ვისწავლოთ საკუთარ თავზე სიმართლის ლაპარაკი. თანამედროვე ადამიანები ხშირად სხვებს აღიქვამენ, როგორც უბრალო ნივთს და ასე ამიტომაც გაუცხოვდნენ თვით უახლოესი ნათესავები ერთმანეთისთვის. გაუცხოება, სიცივე ადამიანებს შორის, ჩვენი დროის უბედურება და სენია. ტყუილი კი, როგორც მამები გვასწავლიან, აშრობს ადამიანის გულს და საბოლოოდ ქვად აქცევს მას.

ნათია უტიაშვილი

სწავლანი მამათა ცხოვრებიდან

მოწყალეებისათვის

ერთხელ, როცა ნეტარი გრიგოლი (ჩვენი წელთაღრიცხვით 604 წელი) სენაკში იჯდა და წერდა, მოვიდა მასთან გლახაკი და შეევედრა:

– შემიწყალე მე, მონაო ღვთისაო, რამეთუ ნავი ჩემი წყალმა შთანთქა და ჩემი ქონებაც დავკარგე და სხვებისაც, რომელიც ნავით გადამქონდა. აწ რა ვიღონო, არ ვიცი.

მამა გრიგოლმა მოიხმო იკონომოსი და უთხრა:

– მიეცი ამ კაცს ექვსი დრაჰკანი.

მცირე ხნის შემდგომ კვლავ მოვიდა ის გლახაკი ნეტარ გრიგოლთან და სთხოვა:

– შემიწყნარე, მონაო ღვთისაო მაღლისაო, რამეთუ ბევრი ფული დამეხარჯა და მიწყალობე ცოტა რამ, – ხოლო ნეტარმა გრიგოლმა კვლავ მოუწოდა ძმასა მას იკონომოსსა და უთხრა:

– წადი და მიეცი ამ გაჭირვებულ კაცს კიდევ ექვსი დრაჰკანი.

მიიღო წყალობა გლახაკმა და წავიდა. ცოტა ხანში, იმავ დღესვე, მობრუნდა გლახაკი და მესამედ ითხოვა მამა გრიგოლისგან წყალობა. მაშინ წმიდა მამამ მესამედაც უხმო იკონომოსს, რომ კვლავაც მიეცა გლახაკისათვის ექვსი დრაჰკანი. ძმამ უპასუხა, რომ არც ერთი დრაჰკანი აღარ დარჩენოდათ. წმიდა გრიგოლმა უთხრა: მაშინ, სხვა რამ მიეცი გლახაკს – ან ვერცხლის ჭურჭელი, ან სამოსელი, რათა ცარიელი არ წავიდეს იგი.

იკონომოსმა კვლავ მიუგო, რომ არაფერი გააჩნდათ, გარდა ერთი ვერცხლის პატარა ჯამისა, რომლითაც დედამისმა დამბალი ოსპი მოიტანა. „ჰოდა, ის ჯამი მიეცი!“ – უთხრა მამა გრიგოლმა. წაიღო ის ვერცხლის ჯამი გლახაკმა და აკურთხებდა ნეტარ გრიგოლს.

ერთხელ, ნეტარმა გრიგოლმა თორმეტ გლახაკს მოუწოდა ტრაპეზზე, ხოლო ტაბლასთან იხილა ცამეტი გლახაკი. მაშინ მოიხმო იკონომოსი და ჰკითხა:

– ჩემის სიტყვის საწინააღმდეგოდ, რისთვის შემოიყვანეთ ტრაპეზზე ცამეტი გლახაკი?

განკვირდა იკონომოსი და უპასუხა:

– მერწმუნეთ, წმიდაო მეუფეო, თორმეტნი სხედან აქ.

მეცამეტე გლახაკს სხვა ვერავინ ამჩნევდა, ნეტარი გრიგოლის გარდა, რომელიც ხედავდა, თუ როგორ იცვლებოდა სახე მეცამეტე გლახაკისა: ხან მხცოვნად გამოჩნდებოდა იგი, ხანაც – ჭაბუკად. ტრაპეზობის შემდგომ გრიგოლმა სენაკში შეიყვანა ის მეცამეტე გლახაკი და ჰკითხა: „გაფიცებ ძალსა ღვთისასა, მითხარი, ვინ ხარ შენ, ანუ რა გქვია?“ გლახაკმა უპასუხა: „რად გინდა ჩემი სახელი. მე ის გლახაკი ვარ, სენაკში რომ მოვედი შენთან და მომეცი თორმეტი დრაჰკანი და დედაშენის მოტანილი ვერცხლის ჯამი. უწყოდე ამიერიდან, რადგან შენ სულგრძელობითა და მარტივი გულით მომეპყარ, უფალმა ბრძანა შენი დადგინება მღვდელმთავრად თვისის ეკლესიისა, რომლისათვის პატიოსანი სისხლი თვისი დასთხია; და ბრძანა შენი დაჯდომა საყდარსა პეტრესსა, რომლის სათნოებასაც მიემსგავსე, რამეთუ ეგრეთ განუყოფდა იგი მონაგებთა მათ, რომელთა მოარომევდნენ მას მორწმუნეები. ნეტარმა გრიგოლმა უთხრა: „საიდან იცი შენ, რომ უფალმა ბრძანა ჩემი მღვდელთმოძღვრად დადგინება?“ გლახაკმა უპასუხა: „მე ანგელოზი ვარ ყოვლისა მპყრობელისა ღვთისა და იქიდან ვიცი ყოველი, რომ მაშინაც უფალმა მომავლინა შენის გონების გამოსაცდელად, რათა გამოჩნდეს, რომ კაცთმოყვარეობით და არა მავნებლობით იქმ მოწყალებასა“. გაიგო რა გრიგოლმა, რომ ანგელოზი ელაპარაკებოდა, შეშინდა, რადგან, არ ეხილა ანგელოზი. ხოლო ანგელოზმა უთხრა: „ნუ გეშინინ, აჰა ესერა მომავლინა უფალმან, რათა შენთანა ვიყო მარადის, ვიდრე ხარ სოფელსა ამას შინა ან უკვე რაიცა გქონდეს სათხოვნელი ღვთისაგან, ჩემ მიერ აუწყე უფალსა“.

ამ სიტყვაზე ნეტარი გრიგოლი დავარდა მიწაზე და თაყვანი სცა უფალსა და თქვა: „თუკი ესოდენ მცირედი და არარა გულსმოდგინებისათვის ესოდენი წყალობა გამოაჩინა ჩემზე სახიერმა ღმერთმა, რომ ანგელოზი თავისი მოავლინა ყოფად ჩემდა, რაგვარ დიდებას არიან მიმთხვეულნი მაშინ ის პირნი, რომლებიც მის მცნებებს სრულებენ და იქმნან სიმართლეს და მრავალსა მოწყალებასა, რომელთათვისაცა ბრძანა უფალმა დადგომად მარჯვენით მისა და სმენად ხმასა მას სანატრელსა: „მოვედით კურთხეულნო მამისა ჩემისანო და დაიმკვიდრეთ განმზადებული თქვენთვის სასუფეველი“.

და ამ დღიდან მარადის იყო ანგელოზი ნეტარ გრიგოლთან.

„ცხოვრება გრიგოლ პრომთა პაპისაი“

მამათა შეგონებანი

გრიგოლ ნოსელი: ყველა სიავე გონებისგანაა, თუ გონება მხოლოდ მეცნიერებაშია, მაშინ მეცნიერები ვერ პოულობენ შინაგან სამყაროს და წონასწორობას. მაგრამ თუ გონება ღმერთშია, მაშინ სწავლულნი მეცნიერებას საკუთარი შინაგანი მოღვაწეობისა და ქვეყნიერების სასიკეთოდ წარმართავენ, ვინაიდან მათი გონება ნათელია.

პაისი მთაწმინდელი: წესისამებრ დღეასასწაულის წინა დღეს მწუხრამდე ან კვირა დღეებში ყოველგვარი მუშაობა წყდება. კარგია, თუ შესაძლებელია, რომ წინა დღეებში მუშაობა გავახანგრძლივოთ, რომ დღესასწაულის წინა და შემდგომ საღამოს არ ვიმუშაოთ. თუ ვინმე, აუცილებლობიდან გამომდინარე, კვირის ან დღესასწაულის დღეს ან წინა საღამოს რაიმე უმნიშვნელო საქმეს გააკეთებს, ეს კიდევ შეიძლება, მაგრამ ასეთი მსუბუქი სამუშაოც კი დიდი გონიერებით უნდა შეავასრულოთ. ძველ დროში, თვით ველზე მომუშავე გლეხებიც კი, როდესაც სამწუხარო ზარის რეკა მოესმოდათ, პირჯვარს იწერდნენ და მუშაობას წყვეტდნენ. ამასვე აკეთებდნენ ქალები, რომლებიც სამეზობლოში ხელსაქმისთვის იყვნენ შეკრებილნი. ისინი წამოდგებოდნენ, პირჯვარს იწერდნენ და გვერდზე გადადებდნენ საქსოვს თუ სხვა ხელსაქმეს და ღმერთიც აკურთხებდა მათ. ისინი ჯანმრთელნი იყვნენ და სიცოცხლე უხაროდათ. დღეს კი ადამიანებმა დღესასწაულები დაივიწყეს, ღვთისა და ეკლესიისთვის უცხონი გახდნენ, მაგრამ საბოლოო ჯამში გამომუშავებულ ფულს ექიმებსა და საავადმყოფოებში ხარჯავენ.

ნიკოლოზ სერბი: „ხოლო მე გეტყვი თქუენ, რამეთუ: ყოველნი სიტყუაი უქმი, რომელსაც იტყოდიან კაცნი, მისცენ სიტყუაი მისთვის დღესა მას სასჯელისასა“. განა არ ლაპარაკობს ეს იმის შესახებ, რომ ყოველგვარი ღვარძლიანი და ცრუ სიტყვა არღვევს სამყაროს წესრიგს და შეურაცხყოფს მაცხოვარს? კეთილ თუ ბოროტ სიტყვას, რომელსაც ჩვენ აშკარად და ფარულად, ფიქრში წარმოვთქვამთ, მთელი სამყარო გრძნობს, გრძნობს გრძნობათა შემოქმედიც. როგორ შეიძლება, სიტყვა დაფარულ იქნას იმისგან, ვისთვისაც ყველა ფიქრი ცნობილია?

არქიმანდრიტი რაფაელი: ეშმაკს უნდა, რომ ადამიანს სიკვდილის ხსოვნა წაართვას, ამისთვის მას მრავალ სატყუარას სთავაზობს. ეშმაკს სიკვდილის ხსოვნა რომ არ მოეპარა, როგორც გასაღები სულისა, სხვის სახლში შესვლას ვერ შეძლებდა ქურდივით და ვერ გაძარცვავდა მას. სულით ავადმყოფებს, ისტერიით დაავადებულებს და მანიაკებს შეხედეთ, მათ, ვინც დემონის განსაკუთრებული ზეგავლენის ქვეშ არიან, როგორ ეშინიათ სიკვდილზე ფიქრის, როგორ უჭირთ შესვლა ოთახში, სადაც კუბოა ან დაკრძალვაზე დასწრება, თუნდაც უახლოესი ადამიანებისა! მათ საკუთარი შვილის გვამზე მიკარებისაც ეშინიათ. რამდენ საშუალებასა და ხერხს არ მიმართავენ, რომ სიკვდილის სურათი არ იხილონ.

იოანე ოქროპირი: მარხვა ხორცისა – საზრდოა სულისა.

მოძღვარი გვირჩევს

კითხვა: **თუ შეიძლება, მიპასუხეთ: რა მიზეზით უჩნდება ადამიანს უკეთური აზრები უფლის, ღვთისმშობლისა და წმიდანების მიმართ?**

პასუხი: ეცადეთ, ამგვარ აზრებს ყურადღება არ მიაქციოთ. ნუ იფიქრებთ, რომ თავად ხართ ამ აზრების გაჩენაში დამნაშავე, თუ, რა თქმა უნდა, მათ შეგნებულად არ ეთანხმებით. ასეთ დროს, ამგვარ უკეთურ აზრებს ბოროტი ძალა გვაწვდის, რათა ჩაგვაგდოს ცოდვაში, უიმედობაში და ხელი აგვაღებინოს ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე.

კითხვა: **ცოდვა ხომ არ არის ქრისტიანისთვის თავისი სიცოცხლისა და ქონების დაზღვევა?**

პასუხი: წმიდა წიგნებში ამის შესახებ არაფერი წერია, რადგან, როდესაც ეს წიგნები შეიქმნა, მაშინ დაზღვევა არ არსებობდა. თუმცა, უნდა ვიცოდეთ, რომ დაზღვევის დროს მჟღავნდება უნდობლობა უფლის განგებულობის მიმართ. ეკლესია არ კრძალავს დაზღვევას, მაგრამ, ადამიანი ყველაზე უკეთ დაზღვეულია უფლის რწმენით.

კითხვა: **არის თუ არა ცოდვა მოყვასისთვის საყვედურის თქმა?**

პასუხი: თუ საყვედურის თქმისას მრისხანებაში იმყოფებით, ამით საკუთარ ვნებას იცხრობთ და სხვისი გადარჩენის საბაბით, ამგვარად, შესაძლოა, თავიც დაიღუპოთ. იყავით ზომიერი და, თავშეკავებით, ყოველგვარი ბრაზისა და მრისხანების გარეშე მიუთითეთ მოყვასს, რისი თქმაც გსურთ.

კითხვა: **ზოგჯერ უგულისყუროდ ვლოცულობ, მეტანიასაც მექანიკურად ვასრულებ. შეიწირავს თუ არა უფალი ასეთ ლოცვას?**

პასუხი: მთავარი მეტანია და ლოცვა კი არ არის, არამედ, უფლის წინაშე გონებისა და გულის ამაღლება. შესაძლოა, ყველა ლოცვა დაიზუთხო და მეტანიებიც შეასრულო, მაგრამ, უფალი არ გახსოვდეს; შესაბამისად, ეს გამოვა ლოცვის კანონის ულოცველად შესრულება, ანუ, ლოცვა, რომელსაც უფალი არ შეისმენს.

NBA-ს 10 ყველაზე გავლენიანი ადამიანი

„ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში," ისევე, როგორც სხვა სპორტულ ასოციაციებსა და ფედერაციებში, არიან ადამიანები, რომლებიც განსაკუთრებული გავლენით სარგებლობენ და მათ სიტყვას დიდი წონა აქვს. გთავაზობთ მსოფლიოს ყველაზე პოპულარული და ცნობილი საკალათბურთო ლიგის – NBA-ს 10 ყველაზე გავლენიან პერსონას.

ჩარლზ ბარკლი

ერთ დროს NBA-ს ვარსკვლავი ჩარლზ ბარკლი ამჟამად ლიგის ყველაზე პროვოკაციულ ექსპერტად არის ცნობილი. პროფესიული კალათბურთის ძირითადი ღირებულებების დამამცირებელი მანერით გარჩევა, ასოციაციის პლუსებსა და მინუსებზე ღიად საუბარი და ვარსკვლავების გაკრიტიკება ბარკლის ყველაზე კარგად გამოსდის. მისი გულწრფელობა მართლა დასაფასებელია და, თუკი ჩარლზ ბარკლი ოდესმე დაანებებს თავს ექსპერტობას, ამით ლიგა უფრო დაზარალდება, ვიდრე მოიგებს.



ჯონ სკიპერი

კომპანია ESPN-ის პრეზიდენტი ჯონ სკიპერი NBA-ს მატჩების ტრანსლირების პასუხისმგებელია დევიდ ლევისთან ერთად – ადამიანთან, რომელსაც კორპორაცია „ტერნერში" მაღალი თანამდებობა უკავია და სპორტული მაუწყებლობის პრეზიდენტია. ორივე ეს კომპანია ზრუნავს რეპორტაჟებზე, მიკროფონების დაყენებაზე მოთამაშეებსა და მწვრთნელებზე, სიუჟეტების მომზადებასა და სხვა ნიუანსებზე. ამ ორი ადამიანის არყოფნის შემთხვევაში მატჩების სატელევიზიო სურათი თითქმის წარმოუდგენელია.

დოკ რივერსი

„ბოსტონ სელტიქსის" მთავარი მწვრთნელი NBA-ს ყოფილი ვარსკვლავებისთვის მაგალითის მიმცემი სპეციალისტია, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ უნდა იმუშაოს ექსვარსკვლავმა მწვრთნელად. რივერსი ცნობილია როგორც მწვრთნელი-დემოკრატი და სწორედ ის განიხილება მთავარ კანდიდატად ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრების მწვრთნელის შერჩევისას. რივერსის მთავარ ღირსებად ითვლება ის, რომ მან მოახერხა, გამარჯვებულის სტატუსი დაებრუნებინა ბოსტონური კლუბისთვის და აეღორძინებინა ის ტრადიციები, რომლებიც ამ ლეგენდარულ კოლექტივს ჰქონდა წარსულში.

კრის პოლი

NBA-ს არც ერთ მოქმედ ვარსკვლავს არ აქვს კრის პოლზე მეტი გავლენა, რომელსაც მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს მოთამაშეების უმრავლესობასთან და, ამავე დროს, ეს არ მოქმედებს მის ბრწყინვალე თამაშზე. პლეიმეკერობის ნიჭმა კრის პოლის კლუბი – „ლოს-ანჯელეს კლიპერსი," ლიგის აუტსაიდერიდან ერთ-ერთ ყველაზე შედეგიან გუნდად აქცია. პოლის ავტორიტეტის წყალობით, გუნდში არაერთი ვეტერანი ვარსკვლავი ჩაირიცხა და, შესაძლოა, წლევანდელ სეზონში „კლიპერსმა" მიზანს მიაღწიოს – ჩემპიონი გახდეს.

კევინ დიურანტი

„ოკლაჰომის" ფორვარდი კევინ დიურანტი ახალი თაობის ტიმ დანკანად მიიჩნევა, ოღონდ, არა სათამაშო სტილის, არამედ, ცხოვრებისეული ღირებულებების გათვალისწინებით. როდესაც ჯეიმს ჰარდენი „ჰიუსტონში" გადაცვალეს, რათა ფინანსების აკუმულირება მოეხერხებინათ, დიურანტმა ფინანსურ შეზღუდვებზე თვალი დახუჭა, ხელფასის შემცირებას თავის კარიერაში ალბათ საუკეთესო სეზონით უპასუხა და ლიდერული თვისებები გამოავლინა. დიურანტი ახალგაზრდა კალათბურთელებისთვის სამაგალითო სპორტსმენად ითვლება, ხოლო მისი დაპირისპირება ლებრონ ჯეიმსთან თანამედროვე ტიტანების ბრძოლად არის დასახელებული.

ჯერი კოლანჯელო

კოლანჯელო შეერთებული შტატების კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტია. მან გაყიდა „ფინიქს სანზის" აქციათა პაკეტი და დიდი ხანია, არ აქვს კავშირი NBA-სთან, თუმცა, ლიგაში ის მაინც დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, რადგან, არცთუ ბევრი ადამიანი აკონტროლებს დიდების დარბაზსა და ნაციონალურ ნაკრებს. კოლანჯელოს კომპეტენციაში შედის ნაკრებისთვის მთავარი მწვრთნელის შერჩევა და სწორედ მის სახელს უკავშირდება „დრიმ თიმისთვის" ძველი დიდების დაბრუნება.

გრეგ პოპოვიჩი

„სან-ანტონიო სპურზთან" ერთად მოპოვებული ოთხი საჩემპიონო ტიტულის შემდეგ, პოპოვიჩი ლიგის მოქმედ მწვრთნელებს შორის ყველაზე ტიტულოვანი და „დრიმ თიმის" მთავარი მწვრთნელობის ძირითადი კანდიდატია. პოპოვიჩის გავლენა დიდი ხანია, გასცდა სან-ანტონიოს საზღვრებს და მისი მოსწავლეები ნაციონალური ასოციაციის ყველაზე წარმატებული მწვრთნელები არიან, მათ შორის: ეარი ჯონსონი, დოკ რივერსი, მაიკ ბრაუნი, ჟაკ ვონი. კიდევ ერთი ფაქტორი, რის გამოც პოპოვიჩის გავლენა არ მცირდება: ზედიზედ მეთექვსმეტე სეზონია, „სან-ანტონიო სპურზი" ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლას განაგრძობს.

ადამ სილვერი

ახალი კოლექტიური ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, ადამ სილვერი – NBA-ს კომისრის მოადგილე შეეცდება საკუთარი ავტორიტეტის კიდევ უფრო გაზრდას. სილვერის მთავარი ფუნქცია იქნება ლიგის კიდევ უფრო განვითარება ბიზნესის კუთხით, როდესაც დადგება ის დრო, როცა სილვერი ლიგის პირველკაცობაზე გააკეთებს პრეტენზიას, არავის არ უნდა გაუჩნდეს ეჭვი მის კომპეტენციაში.

ლებრონ ჯეიმსი

ჯეიმსი მსოფლიოს კალათბურთელებს შორის ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს და ის თანამედროვეობის ნომერ პირველ ვარსკვლავად ითვლება. მისი ლიდერობით „მაიამი" ლიგის ჩემპიონი გახდა – ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებმა ოლიმპიადაზე იპირველა. მან შექმნა ახალი სათამაშო სტილი, რაშიც ათლეტიზმი, მრავალმხრივობა და ნიჭი მას ძლიერ ოპონენტებთან ბრძოლაში ეხმარება. მიმდინარე სეზონში „მაიამი ჰითი" ჩემპიონობის უპირველეს ფავორიტად ითვლება. 2014 წელს ჯეიმსი თავისუფალი აგენტი ხდება და, ცნობილია, რომ „ლოს-ანჯელეს ლეიკერსი" და „კლივლენდ კავალიერსი" სერიოზულ ბრძოლას იწყებენ მის ხელში ჩასაგდებად.

დევიდ სტერნი

2014 წლის თებერვალში დევიდ სტერნი პენსიაზე გასვლას აპირებს და, სავარაუდოდ, მის ადგილს ადამ სილვერი დაიკავებს. სტერნის ღვაწლი NBA-ს წარმატებულ ბიზნესპროექტად ქცევაში შეუფასებელია და, ძნელად სავარაუდოა, რომ მან გადადგომის შემდეგ გავლენა დაკარგოს ასოციაციაში, რომელიც პრაქტიკულად მისი აშენებულია. თავისი მოღვაწეობის ბოლო წელსაც კი, დევიდ სტერნი ყველაზე გავლენიან ადამიანად ითვლება NBA-ში.

ვუდსის ახალი ჩოგანი

მსოფლიოს ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა და სკანდალურმა სპორტსმენმა, მილიონერმა მეგოლფემ, ტაიგერ ვუდსმა და ცნობილმა მოთხილამურემ, ლინდსი ვონმა, ოფიციალურად განაცხადეს, რომ ბოლო რამდენიმე თვეა, რომანტიკული ურთიერთობები აქვთ. ორივე სპორტსმენმა აღიარება სოციალური ქსელ „ფეისბუქის" მეშვეობით გაახმოვანა. 37 წლის ვუდსი ერთხელ უკვე იყო დაქორწინებული შვედ მოდელზე, ელინ ნორდეგრენზე, რომელსაც 2010 წელს სკანდალურად დაშორდა. შესაძლო ქორწინება პირველი არ იქნება ლინდსი ვონისთვისაც – ამ წლის იანვარში ოთხწლიანი თანაცხოვრება ასევე მოთხილამურე თომას ვონთან მან ოფიციალური განქორწინებით დაასრულა. ლინდსი ვონი 2010 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონია, ხოლო ტაიგერ ვუდსის სპორტული მიღწევების ჩამოსათვლელად ისიც კმარა, რომ ის ყველა დროის მსოფლიოს საუკეთესო მეგოლფედ ითვლება.

შარაპოვას ტკბილეულის პრეზენტაცია

რუსმა ჩოგბურთელმა მარია შარაპოვამ თავისი სავაჭრო მარკის მიერ წარმოებული კანფეტების პრეზენტაცია მოაწყო მაიამიში. „სონი ოუფენ" ტურნირის დაწყებამდე შარაპოვამ საზოგადოებას წარუდგინა „შუგარპორვას" ფირმის კანფეტები, რომელთა შექმნაში ვარსკვლავმა თავად მიიღო მონაწილეობა. კანფეტების პრეზენტაციას თან ახლდა იმპროვიზებული ავტოგრაფ-სერია, რომლის დროსაც შარაპოვამ თავის ერთგულ თაყვანისმცემლებს ავტოგრაფები დაურიგა და მათთან ერთად ფოტოებიც გადაიღო. „მოხარული ვარ, რომ ჩემი კანფეტების პრეზენტაციას ჩემი გულშემატკივრები დაესწრნენ. მადლობას ვუხდი მათ და ვპირდები, რომ წლის ბოლომდე მსოფლიოს სხვა ქალაქებშიც მოვაწყობ მსგავს ღონისძიებას", – დაწერა შარაპოვამ „ფეისბუქის" საკუთარ გვერდზე.

ლამპარდის მორიგი რეკორდი

რამდენიმე დღეც არ გასულა მას შემდეგ, რაც „ჩელსის" ვეტერანმა შუახაზელმა ფრენკ ლამპარდმა კლუბში გატანილი გოლების რაოდენობა 200-მდე აიყვანა, რითაც საკლუბო რეკორდის მფლობელი გახდა, რომ მან სანაკრებო დონეზეც მოახერხა თავის გამოჩენა. სან მარინოს კარში გატანილი გოლი ლამპარდისთვის 28-ე აღმოჩნდა, რითაც მან გაუმჯობესა დევიდ პლატის რეკორდი და გახდა ყველაზე შედეგიანი ნახევარმცველი ინგლისის ნაკრების არსებობის ისტორიაში. 34 წლის ლამპარდი სანაკრებო კარიერის დასრულებას ჯერჯერობით არ გეგმავს და, სავსებით რეალურია, რომ მან თავის მიერვე დამყარებული რეკორდის გაუმჯობესებაზე იფიქროს.

ყოფილი პირველი ჩოგანი – სასამართლოში

მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს ქალებს შორის, ამერიკელ ჯენიფერ კაპრიატის, სასამართლოში წარდგენა მოუწევს. კაპრიატის ყოფილი „ბოიფრენდი", ივან ბრენანი, მას ძალადობასა და შანტაჟში ადანაშაულებს. ბრენანის თქმით, მას შემდეგ, რაც წყვილი დაშორდა, კაპრიატი ყოფილ შეყვარებულს აშანტაჟებს, ხოლო 14 თებერვალს, ვალენტინობაზე, ხელითაც კი შეეხო. ჯერჯერობით კაპრიატის დაპატიმრების სანქცია სასამართლოს არ გაუცია, თუმცა, გამორიცხული არ არის, რომ მსოფლიოს ერთ დროს საუკეთესო ჩოგბურთელი და 1992 წლის ზაფხულის ოლიმპიადის გამარჯვებული ციხეში აღმოჩნდეს.

„ინტერის" ძანეტის მაშვება არ სურს

მსოფლიო ფეხბურთის კიდევ ერთი ვეტერანი, 39 წლის არგენტინელი ხავიერ ძანეტი, მზად არის მილანის „ინტერთან" ახალი კონტრაქტის ხელმოსაწერად. მილანური კლუბი გუნდის კაპიტნისთვის და სიმბოლოსთვის ახალი შეთავაზების გაკეთებას აპირებს, რაც იმის მანიშნებელია, რომ კლუბს არ სურს ძანეტის გაშვება, რომლის კონტრაქტიც ამ ზაფხულს იწურება. ძანეტი 1995 წლიდან ირიცხება „ინტერში" და მას შემდეგ კლუბის უცვლელი წევრია. იგი უზარმაზარი ავტორიტეტით სარგებლობს ფეხბურთელებსა და კლუბის ხელმძღვანელობას შორის. ძანეტის თქმით, რომელსაც აგვისტოში 40 წელი შეუსრულდება, ის კვლავ იღებს სიამოვნებას ფეხბურთის თამაშით და, როგორც ჩანს, ლეგენდარული ფეხბურთელი ყაბულსაა, ხელი მოაწეროს ახალ კონტრაქტს.

შაქილ ონილის „ჰარლემ შაკი"

ლეგენდარულმა კალათბურთელმა და ახლა უკვე შოუ-ბიზნესის წარმომადგენელმა შაკილ ონილმა გადაწყვიტა, მოდას აჰყოლოდა და პოპულარული ინტერნეტ-მემის „ჰარლემ შეიკის" თავისებური ვერსია წარუდგინა, რომელსაც „ჰარლემ შაკი" უწოდა. ვიდეორგოლში ონილი სხვადასხვა კოსტიუმში გამოწყობილი ცეკვავს, მათ შორის, ჩვილი ბავშვის, რომაელი ჯარისკაცის, ელვის პრესლისა და ეგვიპტელი ქურუმის ფორმებში. კალათბურთიდან წასვლის შემდეგ ონილი ტელევიზიაში დასაქმდა, გარდა ამისა, ის კინოსა და მუსიკაშიც საქმიანობს და ერთ-ერთ ამერიკულ ტელეარხზე იუმორისტული გადაცემა – „კომედი შაკი" მიჰყავს.

ყოფილი პირველი ჩოგნების სარეკლამო აქტიურობა

მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელი ქალი, ბელარუსი ვიქტორია აზარენკო, ენერგეტიკული სასმლის – „რედ ბულის" სარეკლამო ფოტოსესიაში გადაიღეს. მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანის ფოტოსესია ნიუ-იორკის ერთ-ერთი ფეშენებელური სასტუმროს ვიპ-აპარტამენტებში ჩატარდა. აზარენკოს მსგავსად, სარეკლამო ფოტოსესიაზე გამოვიდა კიდევ ერთი ყოფილი პირველი ჩოგანი – კაროლინ ვოზნიაცკი, რომელიც დანიური კომპანია JBS-ის მიერ წარმოებული ქალის თეთრეულის სარეკლამო სახე გახდა და შესაბამის ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა, სადაც გულახდილი ფოტოებით და ვიდეორგოლით თავისი თაყვანისმცემლების არმია მამაკაცებს შორის კიდევ უფრო გაზარდა.

„სკაი სპორტის" ტელეწამყვანის „ცხელი" ფოტოსესია

სპორტული ტელეარხის – „სკაი სპორტის" სექსუალურმა სახემ, ჩარლი ვებსტერმა, მორიგ „ცხელ" ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა, რითაც სპორტულ სამყაროში მოღვაწე რეპორტიორები კვლავ აალაპარაკა – ჟურნალ FHM-ის მიერ ორგანიზებულ ფოტოსეტში ვებსტერმა ქალის ქვედა თეთრეულში იპოზირა. ამბობენ, რომ ამით სპორტული ჟურნალისტი ქალები გააღიზიანა, რომელთაც სურთ, რომ მათ არა როგორც სექსუალურ ობიექტებს, არამედ, როგორც თავისი საქმის პროფესიონალებს, ისე უყურებდნენ.

გვერდები მოამზადა შშანგი რუხაძემ

სად ვიპოვოთ ვიტამინები

ზამთრის პერიოდში დახარჯული ვიტამინების გამო გაზაფხულს ორგანიზმი მოდუნებული ხვდება, რაც გარეგნობაზეც აისახება და განწყობაზეც. ვიტამინების შესავსებად, ძვირად ღირებული პრეპარატების ნაცვლად, რამდენიმე ხალხურ რეცეპტს შემოგთავაზებთ. თანაც, ჩვენში ხილ-ბოსტნეული არ არის ძნელად ხელმისაწვდომი, ამიტომ ამ პრობლემას ადვილად მოაგვარებთ.

ერთი საშუალო ზომის ლიმონი 1-2 წუთით ადუღებულ წყალში ჩაუშვით, შემდეგ ან ხორცსაკეპ მანქანაში გაატარეთ, ან სახეხზე გახეხეთ, ორივე შემთხვევაში, კანიანად. დაამატეთ უმარილო ნაღების კარაქი, 1-2 სუფრის კოვზი თაფლი და კარგად აურიეთ. მიღებული მასა წაისვით პურზე და ჩაისთან ერთად გემრიელად მიირთვით.

150 გრამ გახეხილ ვაშლს შეურიეთ ნახევარი ფორთოხლის წვენი, დაამატეთ 10 ცალი გარჩეული ნიგოზი. ნიგვზის ნაცვლად შეგიძლიათ ათქვეფილი ნაღები გამოიყენოთ, ფორთოხლის ნაცვლად კი – 2 ჩაის კოვზი ლიმონის წვენი ან ამდენივე თაფლი. ეს გახლავთ დღიური ულუფა, ერთი ადამიანისთვის.

ათეროსკლეროზის განვითარებისგან ანანასი დაგიცავთ

ხშირად, მოდური დიეტების დაცვა ნივთიერებათა ცვლის დარღვევითა და ენდოკრინული სისტემის დაზიანებით სრულდება. თუ თქვენმა დიეტებმა სასურველი შედეგი არ გამოიღო, ეს იმის მიმანიშნებელია, რომ ჭარბი წონის მიზეზი უზომოდ კვება კი არა, ნივთიერებათა ცვლის დარღვევაა. ამის შედეგად კი საკვები მხოლოდ ცხიმებად გარდაიქმნება. ანანასი მდიდარია A პროვიტამინით, B_1 და B_{12} ვიტამინებით, მინერალური ნივთიერებებით, რკინით, სპილენძით, თუთიით, კალციუმით, მაგნიუმითა და იოდით. ამ ბიოლოგიურად მდიდარი ნივთიერებების წყალობით, ანანასი სამკურნალო, უნიკალური თვისებებითაც გამოირჩევა. კერძოდ, ის არეგულირებს საჭმლის მონელებას, ასუფთავებს ნაწლავებს და ამცირებს სისხლის წნევას, რაც ათეროსკლეროზის განვითარებისგან იცავს ადამიანებს.

ბრომელაინი არის ფერმენტების ნარევი, რომელიც ცხიმს წვავს. როგორც ცნობილია, ერთ გრამ ბრომელაინს, დაახლოებით, 800-900 გრამი ცხიმის დაწვა შეუძლია.

ცხიმების დაშლა მისი მიღებიდან 24 საათის შემდეგ იწყება. შემდეგ კი ცხიმი ფენებად აღარ გროვდება და ადამიანი დროთა განმავლობაში თანდათან კარგავს ზედმეტ კილოგრამებს.

ასე რომ, თუ გსურთ, თავი აარიდოთ ათეროსკლეროზს და სიმსუქნისგან გამოწვეულ ბევრ დაავადებას, ხშირად მიირთვით ანანასი.

რომელი დაავადების დროს რომელი ხილი და ბოსტნეული იკრძალება

ხილ-ბოსტნეული შეიცავს დიდი რაოდენობით უჯრედისს და ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს, რომლებიც აღიზიანებენ კუჭის ლორწოვანს, რაც საჭმლის მონელებასთან დაკავშირებული პრობლემების არსებობის შემთხვევაში, შეიძლება არც ისე სასარგებლო აღმოჩნდეს. კერძოდ:

ანანასი – მავნეა ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებების დროს;

ყურძენი – უკუნაჩვენებია შაქრიანი დიაბეტის დროს, ქრონიკული ფარინგიტების, კუჭის წყლულის, სიმსუქნისა და კოლიტების დროს;

მსხალი – არ მიირთვათ მშიერ კუჭზე, კუჭის წყლულისა და გასტრიტების დროს;

კომბოსტო – მავნეა კუჭის წყლულის დროს, ასევე ნაწლავური კოლიკებისა და სანაღვლე გზების სპაზმისადმი მიდრეკილების არსებობის დროს;

კიტრი – უკუნაჩვენებია კუჭის წყლულის დროს, მწვავე გასტრიტებისა და ენტეროკოლიტის დროს;

პომიდორი – ნაღველკენჭოვანი დაავადებების დროს, ასევე ნაწლავებთან დაკავშირებული პრობლემების შემთხვევაში;

ჭარხალი – მავნეა ნივთიერებათა ცვლის დარღვევისა და განსაკუთრებით შარდკენჭოვანი დაავადების დროს.

მარილი მიკრობებს ანადგურებს და დაავადებებს ებრძვის

მარილი ადამიანის რაციონის უმთავრესი კომპონენტია, რომელიც ორგანიზმს ნატრიუმისა და ქლორის იონებით ამარაგებს. ამ იონების გარეშე წარმოუდგენელია კუჭის წვენის მთავარი შემადგენლის – ტუტეებისა და მარილმჟავას წარმოქმნა. ის აუცილებელია, უჯრედების ნორმალური მუშაობისა და ქსოვილებში წყლის განაწილებისთვის. ოფლში, ნერწყვში, ცრემლში მარილის არსებობა თვალსაჩინო მაგალითია იმისა, რომ ორგანიზმის ცხოველქმედებაში აქტიურ მონაწილეობას იღებს.

ადამიანისთვის მარილის დღიური ნორმა 4-6 გრამია. ჰიპერტონიის, თირკმლების დაავადებების, შეშუპებისა და ორსულობის ბოლო თვეებში ექიმები მარილის მოხმარების შემცირებას გვირჩევენ.

ხალხური მედიცინა საკმაოდ ხშირად იყენებდა მარილს სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ.

გთავაზობთ ზოგიერთ ძველ სამკურნალო რეკომენდაციას:

*გაციების დროს რეკომენდებულია მარილისა და თაფლის ნარევით ტანის დაზელა და ცხელი აბაზანის მიღება.

*კარგი ამოსახველებელი საშუალებაა 0,5 ჩაის ჭიქა წყალში გახსნილი 0,5 ჩაის კოვზი საჭმლის სოდა და მწიკვი მარილი.

* კუჭის შეკრულობის დროს, სასაქმებლად, 4 ჩაის ჭიქა კიტრის მარინადის მარილიანი წვენი დალიეთ. აშლილობისას კი ტაფაზე 1-1,5 კილოგრამი მარილი გაახურეთ, ჩაყარეთ ქსოვილის პატარა პარკში და მუცელზე დაიდეთ.

*დაჟეჟილი ადგილების მოსაშუშებლად მარილიანი ძმრის კომპრესი გაიკეთეთ.

*თუ ფუტკარმა ან კრაზანამ გიკბინათ, მწიკვი მარილი დანამეთ და ნაკბენზე დაიდეთ. ტკივილს გაგიჩერებთ და შესიებას დააცხრობს.

*გაციების დროს კარგია ცხვირისა და ყელის მარილწყლით გამორეცხვა (0,5 ჩაის კოვზი მარილი 1 ჩაის ჭიქა წყალზე). პროცედურა დაავადების ხანგრძლივობას ამცირებს და ხელს უშლის სასუნთქ გზებში ინფექციის გავრცელებას.

მარილის ხსნარი აქტიური აბსორბენტია. ურთიერთქმედებს ორგანიზმის ქსოვილებში შემავალ სითხესთან და შეიწოვს დაავადების წარმომშობ მიკრობებს, ვირუსებს, შხამებსა და არაორგანულ ნივთიერებებს, მაგრამ ხელუხლებელს ტოვებს ერითროციტებს, ლეიკოციტებსა და ცოცხალ უჯრედებს. ამგვარად, დაავადებული ორგანოს ქსოვილების სითხის განახლება და დეზინფექცია ხდება, პათოლოგიური პროცესი კი წყდება.

მიუხედავად მარილოთერაპიის მაღალეფექტურობისა, გასათვალისწინებელია, რომ გარკვეული უკუჩვენებაც აქვს. დიდი რაოდენობით გამოყენებამ შეიძლება შაკიკის პროვოცირება მოახდინოს, ასთმის დროს კი მდგომარეობა დამძიმდეს. რაოდენობის კონტროლი აუცილებელია ბუასილის დროსაც, რადგან ზედმეტი მარილი ორგანიზმსა და სისხლძარღვებში წყლის შეკავებას იწვევს, რაც ანუსის ვენების შესიების მიზეზი ხდება.

როგორ გავიწმინდოთ ორგანიზმი

ცნობილია, რომ ტოქსიკური ნივთიერებები ქსოვილიდან შედიან და ორგანიზმიდან გამოდიან თირკმელების, ნაწლავების, კანის ფორების საშუალებით, ან ამოსუნთქვის დროს. საოცარია, მაგრამ არის ნივთიერებები, რომლებიც ორგანიზმიდან გამოდის ან იშლება ძილის დროს. ამიტომ, სრულყოფილი ძილი ორგანიზმის გაწმენდის პირველი წესია.

არსებობს გაწმენდის უბრალო, მაგრამ ეფექტური, საშუალებები:

* მხოლოდ 1 სუფრის კოვზი სუფთა ზეითუნის ზეთიც საკმარისია ყოველი ჭამის წინ, ნახევარი საათით ადრე და თქვენი კანი გახდება გლუვი და ჯანსაღი. შეიძლება ავიღოთ სელის ზეთიც, რომელიც აფთიაქებში იყიდება. მაგრამ მას ცოტა არასასიამოვნო გემო აქვს. სასურველია, ერთი თვის განმავლობაში ზეთი, შემდეგი ერთი თვე კი დაისვენოთ, მერე კვლავ ზეთი და ასე შემდეგ. თუ არ არის იმის საშუალება, რომ ზეთი დღეში რამდენჯერმე დალიოთ, შეგიძლიათ, მიიღოთ მხოლოდ დილით, საუზმემდე. ეს თქვენს ღვიძლს მუშაობას შეუმსუბუქებს.

* ადამიანის ორგანიზმის ყველაზე მთავარი „ფილტრი" თირკმელებია. ისინი წლების განმავლობაში ბინძურდება და ისევე, როგორც ყველა ფილტრი, გამორეცხვას საჭიროებს. არც ეს არის რთული: არსებობს რამდენიმე შარდმდენი ჩაი, რომლებიც აფთიაქებში იყიდება. ამას გარდა, დილაობით დალიეთ 1 ჭიქა ახალგამოწურული წვენი, რომელიც ასტიმულირებს თირკმელებს. ანუ, ხელს უწყობს ორგანიზმიდან ზედმეტი წყლისა და ტოქსინების გამოდევნას. ყველაზე ძლიერ შარდმდენი საშუალება ცოცხალი ხილისა და ბოსტნეულის წვენებია. არ დაგავიწყდეთ, რომ ერთ-ერთი საუკეთესო შარდმდენი საზამთროა.

*არის კიდევ ერთი კარგი საშუალება, რომლის გამოყენებასაც ნებისყოფა სჭირდება – ეს არის სამკურნალო შიმშილობა. ამ დროს, გარდა იმისა, რომ პრაქტიკულად, ყველა დაავადებებისას უმჯობესდება მდგომარეობა, აქტიურდება ადამიანის გონებრივი შესაძლებლობებიც.

* ასევე, არსებობს გამაახალგაზრდავებელი ნაზავი: 200 გრამი სელის ზეთი, 4 ცალი ლიმონი, 3 საშუალო ზომის ნიორი, 1 კილოგრამი თაფლი. ხორცსაკეპ მანქანაში გაატარეთ გასუფთავებული ნიორი, 2 კანგაცლილი ლიმონი; 2 ლიმონი კანიანად. ამ გატარებულ პროდუქტებს დავუმატეთ სელის ზეთი და თაფლი. კარგად აურიეთ და გადაიტანეთ შუშის ქილაში. თავი კარგად დაახურეთ და შედგით მაცივარში. მიღებული წამალი სვით სუფრის კოვზით ყოველი ჭამის წინ ნახევარი საათით ადრე. სასურველია, დღეში 3-ჯერ, მაგრამ ერთხელაც შეიძლება.

ეფექტი არის საოცარი: მხედველობა უმჯობესდება, მთელი სხეულის კანი ხდება საოცრად გლუვი და რაც ყველაზე დაუჯერებელია, აჩერებს გაჭაღარავების პროცესს. მისი ხმარების შემდეგ თმები უფრო ხშირდება.

კეფაში სიმძიმის შეგრძნების დროს ჭამეთ ვაშლი და დალიეთ მანონი

თავის ტვინი ადამიანის ერთადერთი ორგანოა, რომელშიც ტკივილის რეცეპტორები არ არის, თუმცა, რამდენიმე მტკივნეული წერტილი მასზე მაინც არსებობს.

ტკივილის მიმართ უკიდურესად მგრძნობიარეა ტვინის გარსი და სისხლძარღვები, რადგან მათში ბევრი ნერვული დაბოლოებაა. გაითვალისწინეთ, რომ ტკივილგამაყუჩებელი წამლები მხოლოდ ტკივილის აღქმას ახშობს და ტკივილის აღმოცენების მთავარ მიზეზს, კერძოდ, სისხლძარღვების სპაზმებს ან შიდა ქალის წნევის მომატებას არ აღმოფხვრის.

თუ კეფაში სიმძიმეს გრძნობთ, ქვემოთ მოცემული რჩევები გაითვალისწინეთ.

საფეთქლები და ცხვირის ფუძე ენერგიულად დაიზილეთ, რომ თავის სისხლძარღვები რეფლექტორულად გაფართოვდეს.

დალიეთ ერთი ჭიქა მაწონი. მიირთვით ვაშლი ან დალიეთ ჩაი. ეს ტვინის გარსიდან ზედმეტი სითხის გამოდევნას ეხმარება და ტკივილს აყუჩებს.

ექიმის რჩევები

კითხვა: ხშირად მაქვს თავის ტკივილები. ძლიერი ტკივილი არ არის, მაგრამ მაინც მიშლის ხელს. ადრე თავბრუ მეხვეოდა, ახლა ოდნავ მტკივა. რისი ბრალი შეიძლება, იყოს?

პასუხი: ეს შესაძლოა, უკავშირდებოდეს გადაღლას, გადატანილ ფიზიკურ და ნერვულ სტრესს. აღნიშნული სიმპტომი დამახასიათებელია თავის ტვინში სისხლძარღვების სპაზმისას. დიაგნოზის დასაზუსტებლად, გირჩევთ მიმართოთ ნევროპათოლოგს.

კითხვა: ერთხელ პირის გასაპარსად გამოვიყენე C-ჰეპატიტიანი ადამიანის საპარსი. ერთი წლის შემდეგ გავიკეთე ანალიზი, პასუხი უარყოფითი იყო. კიდევ 2 წელი გავიდა. შეიძლება თუ არა ახლა აღმოჩნდეს მაშინ გადადებული დაავადება?

პასუხი: შეგიძლიათ დამშვიდდეთ, თუ C-ჰეპატიტიანის სისხლის შემცველ ნივთთან კონტაქტის შემდეგ ერთი წელი გავიდა და ანალიზი ინფიცირებაზე უარყოფითი იყო, ეს ნიშნავს, რომ იმ კონტაქტისას ინფიცირება არ მომხდარა. არც შემდგომაა მოსალოდნელი ვირუსის აღმოჩენა. სავსებით მოსალოდნელია, რომ საპარსზე არც ყოფილიყო დარჩენილი იმ რაოდენობის ვირუსის შემცველი სისხლი, რომ მეორე ადამიანის დაინფიცირება მომხდარიყო.

კითხვა: ჩემმა 6 წლის შვილმა პირველი კბილი უკვე მოიცვალა. რა ასაკში ხდება სარძევე კბილების სრულად მოცვლა და რომელი კბილებია მოსაცვლელი, ყველა (20 კბილი აქვს გოგონას)?

პასუხი: ბავშვს სულ 20 დროებითი (სარძევე) კბილი ამოსდის და ოცივეს იცვლის. კბილების მოცვლა 6-8 წლის ასაკიდან იწყება და ამოჭრის შესატყვისი თანმიმდევრობით მიმდინარეობს, რაც 14 წლამდე გრძელდება. სიბრძნის კბილები კიდევ უფრო გვიან - 17-20 წლის ასაკში ამოიჭრება.

კითხვა: რა პროდუქტები შეიცავს ნახშირწყლებს?

პასუხი: ნახშირწყლებით მდიდარია ხილი, ჩირი, თაფლი, კარტოფილი, მარცვლოვნები, პურ-ფუნთუშეული.

კითხვა: როგორ ხდება ძვლის ზრდის სტიმულაცია ან პირიქით შეფერხება? ზეწოლა აფერხებს ზრდას, თუ პირიქით?

პასუხი: ძვლის ზრდაზე დადებითად მოქმედებს რაციონალური, ვიტამინებითა და მიკროელემენტებით სრულფასოვანი კვება. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კალციუმი და D ვიტამინის შემცველი პროდუქტები. მექანიკური ზეწოლა, სიმძიმეები, ხერხემალზე დატვირთვა და სხვა ამგვარი ფაქტორები აფერხებს ზრდას.

კითხვა: ვარ 40 წლის, ხშირად მაქვს სახსრების დაბუჟება და ძვლების ტკივილი. რისი ბრალი შეიძლება იყოს?

პასუხი: უფრო ხშირად ასეთი ჩივილები დაკავშირებულია ხერხემლის ოსტეოქონდროზთან და სახსრებში აღმოცენებულ ართროზულ ცვლილებებთან.

კითხვა: ისეთი ხალების მოცილება, რომლებზეც თმაა ამოსული, პრობლემური ხომ არ არის?

პასუხი: ხალი კეთილთვისებიანი სიმსივნეა, რომლის მექანიკურმა გაღიზიანებამ შეიძლება, ხელი შეუწყოს მის გაავთვისებიანებას. ამიტომ, ნებისმიერი ხალის მოცილებისას დიდი სიფრთხილეა საჭირო. არ შეიძლება, ხალის მოცილება დერმატოლოგთან კონსულტაციის გარეშე, მიუხედავად იმისა, არის მასზე თმა ამოსული, თუ არა.

რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი
მაია ნუცუბიძე

გვერდები მოამზადა ნონა დათეშიძემ

რატომ ბრაზობდა საკუთარ თავზე ნანული ცაგარეიშვილი და ვის უნდოდა მისთვის ედუარდ შევარდნაძის წართმევა

ნანული შევარდნაძე – ეს სახელი და გვარი არა მხოლოდ საქართველოში, დღემდე ახსოვთ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკურ წრეებში. ქალბატონი ნანული, თავის მეუღლესთან ერთად, თანდათან ხდებოდა პოპულარული, რადგან, ისიც მუდმივად იყო ჩართული ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების ეპიცენტრში, საზოგადოებრივ საქმიანობაში; პრეზიდენტ მეუღლესთან ერთად ისმენდა ქვეყნის საშინაო თუ საგარეო პრობლემებს და ზოგჯერ გარკვეულწილად თავის აზრსა და რჩევებს უზიარებდა მეუღლეს. ყოველთვის დიდი იყო შევარდნაძეების ოჯახის მიმართ საზოგადოების ინტერესი, მაგრამ, ცოტა რამ თუ იციან მათ შესახებ. სამი წლის წინ ჩვენ ბატონი ედუარდის ცხოვრების დღიურები გადაგიშალეთ. ამჯერად კი ქალბატონი ნანულის ცხოვრების ორ მნიშვნელოვან ეპიზოდს გაგაცნობთ. თავის დროზე მან ამ ჩანაწერების მიხედვით დაწერა ძალიან საინტერესო ავტობიოგრაფიული ნოველა – „მიმოზებს მოგიტან, დედა". მაშ ასე, ნანული ცაგარეიშვილი-შევარდნაძე.

შევარდნაძეების ოჯახი

„როგორ მინდა, გესაუბრო, დედა!.. უკვე ნახევარი საუკუნეა, უშენოდ ვცხოვრობ. იცი? გამოვიანგარიშე და ახლა შენზე 17 წლით უფროსი ვარ. როგორ მეშინია, არავის გაელიმოს – რა დროს მაგის დედააო. ალბათ, მართალიც იქნება, მაგრამ, რა ვქნა, თუკი ჩემი შენთან ყოფნის დრო მაშინ დამთავრდა, როცა მე ცხრამეტისა ვიყავი, შენ კი – ორმოცდახუთის... უმამონი ღია ცის ქვეშ აღმოვჩნდით. უშვილო ბიძა-მამიდებმა დაგვინაწილეს. შენ ისევ ტროდი, ოღონდ, სიხარულისგან არა. ვერ გავძელით, შენკენ გამოვიწიეთ... ბიძამ შეგვიკედლა. ფილოსოფოსი კაცი იყო, როგორც ახლა იტყვიან – „თავისუფლად მოაზროვნე". გახსოვს? მანამდე აგინა სტალინს, ვიდრე არ გააციმბირეს და დავრჩით ორი ოჯახი უპატრონოდ. მერე იყო ომი, შიმშილი, სიცივე, სიღატაკე... შენ ორ ადგილას მუშაობდი ავადმყოფი, სუსტი, მიმქრალი. მე და ჩემი დაიკო, ექვსი საათი რომ მოანევდა, ფანჯრის რაფაზე ჩამოვსხდებოდით ბელურებივით... გადიოდა წლები. ბიძა შინ დაბრუნდა გასაცოდავებული, ორი კავერნით... ასე თქვეს – ეს გავუშვათ, მაინც მოკვდება და ბარემ სახლში მოკვდესო, – ილიმებოდა მწარედ. რა ექნა, ბინის დაცლა მოგვთხოვა – იმ ოთახს, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობდით, თუ გააქირავებდა, ხუთას მანეთს მისცემდნენ. მაშინ მეცხრე კლასში ვიყავი. ვხედავდი, როგორ აწყდებოდი კედლებს – „სად წავიდე, სად!" ერთი, ღმერთმა იცის როგორ ეცოდები. სამსახურიდან დაბრუნებულს ყველაფერი წესრიგში გხვდებოდა: „ჩვენი" რვამეტრიანი ოთახი – დაწკრიალებული, ღარიბული კერძი – დამზადებული. მეტისმეტად აუტანელი რომ ხდებოდა ცხოვრება, ლუკმას რომ ვეღარ შოულობდი, გეტყოდი ხოლმე: „იცი რა, დედა, კახეთი მომენატრა, მოდი, წავალ მამიდასთან საგარეჯოში"... მესამე, მეშვიდე და მეთერთმეტე კლასებში იქ ვსწავლობდი, საბოლოო ჯამში არაფერი დამიკარგავს. მართლაც რომ შემიყვარდა და დღემდე მიყვარს კახეთი. კახეთში ისეთი მეგობრობა და ხელის გაწვდომა იციან... საქართველოს სხვა კუთხეებს არ ეწყინებათ, ყველგან ასეა, მაგრამ, მე ჩემს ობლობაზე ვყვები და მჯერა, მიმიხვდებიან...

...მოკლედ, სადმე უნდა გვეშოვა ბინა. რა ძნელი იქნებოდა ცხოვრება, ქვეყნად კეთილი ადამიანები რომ არ არსებობდნენ. შენმა მინისტრმა, გორდეზიანი იყო გვარად, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროში მუშაობდა არქივარიუსად, სვანეთის უბანში, ბოჭორიშვილის ქუჩაზე, თვრამეტმეტრიანი ოთახი გიშოვნა, თავისი შუშაბანდით. ოთახი უფანჯრო იყო, ნესტიანი. გოგოები კინაღამ გავგიჟდით სიხარულით – ჩვენი ბინა გვექნებოდა, არავინ გვეტყოდა – გადითო. შენ კი უგუნებოდ ჩანდი – ეჰ, შვილებო, მე აქ დიდხანს ვერ ვიცოცხლებო... იმ წელს ომი დამთავრდა, ვაჟი საღ-სალამათი დაგიბრუნდა, გახარებული იყავი, მაგრამ, ჯანმრთელობა უკვე იმდენად შეგერყა, რომ სამსახურში შემცირებაში მოგაყოლეს. მთელი დღე ეზოში იჯექი და ჟაკეტებს ქსოვდი – რაღაცით ხომ უნდა გერჩინა თავი. მერე ვიღაც ქალი მოდიოდა, გასაყიდად მიჰქონდა...

ცოლ-ქმარი ბილ კლინტონთან ერთად

ერთ დღეს დაგახვეელა, ჯიბიდან ბამბა ამოიღე, პირთან მიიტანე და ბამბა სისხლით შეიღება... აი, რატომ ახველებს დოდოსაც. „არა, არა, რაღაც უნდა ვიღონო!" – ტვინი მოტორჩადგმულივით მიმუშავებდა. ვაიმე, დედას დიდი დღე არ აქვს, დოდოც დაიღუპება... სკივრში შემთხვევით გადარჩენილი დიდი, უხმარი სუფრა აღმოვაჩინე, 24 ხელსაწმენდით. „უნდა გავყიდო და დედა სანატორიუმში გავგზავნო"... გახურებული ლოყები მეწვოდა, ყურები მიდუგდუგებდა. ჰო, მაგრამ, როგორ უნდა გავაკეთო ეს? 1946 წელი იდგა. ფულის რეფორმაზე ლაპარაკობდნენ და მდიდრები განურჩევლად ყველაფერს ყიდულობდნენ. ვიდექი 17 წლის, სანთელივით გოგო და ხელში გაზეთში გახვეული სუფრა მეჭირა; ვიდექი და არავის არაფერს ვთავაზობდი... ვიღაც ხნიერი ქალი მომიახლოვდა. რა გაქვს, შვილო, გახვეული? სუფრა!.. იცით, დეიდა, 24 ხელსაწმენდით, ზედ ქრისტეს საიდუმლო სერობაა გამოსახული, ძალიან ლამაზია. რამდენი გინდა, შვილო? – აშკარად შევეცოდე ამკარად მდიდარ მანდილოსანს. რამდენიც საგზურს ეყოფა! რა?! – ვერ გაიგო ქალმა. ძალიან შემრცხვა ჩემი მიუხვედრელობის გამო. იცით, ავადმყოფი დედა უნდა გავგზავნო სამკურნალოდ სანატორიუმში, – ჩავაბარე ანგარიში... სწრაფი მოძრაობით გახსნა საფულე, უცბად ჩამითვალა 180 მანეთი და ასევე უცბად გამშორდა. როგორი ბედნიერი და როგორი შეურაცხყოფილი ვიდექი. ვიგრძენი, მიწა მეცლებოდა, თითქოს ფეხები ცარიელ ყალიბებად მექცა... ვტიროდი შეურაცხყოფის გამო, დედის მოახლოებული სიკვდილის გამო, დოდოს გამო, რომელსაც, არ ვიცოდი, რა ბედი ელოდა... „რა გატირებს გენაცვალე, ხომ ვერაფერს გიშველი?" – გამეღრიჭა ვიღაც კაცუნა. „გაეთრიე!" – ვიყვირე უცბად არაადამიანური ხმით... კაცუნა აშკარად შეშინდა, უკან დაიხია – „ჩვენ ბოდიში, არ მინდოდა, წყენინება"... სამი წლის შემდეგ დამშორდი, დეიკო! ხვალ აუცილებლად მოვალ შენს საფლავზე და მიმოზებს მოგიტან.

ედუარდ და ნანული შევარდნაძეები შულცთან და მის მეუღლესთან – ისრაელი 1998 წელი

რა მეშველება, რომ ვერ ვიშოვო?..

...კიტა მცხეთაში მუშაობს. რამდენიმე დღე არ ჩამოსულა. ჩვენც ფული აღარ გვაქვს და სამი დღეა, პური არ გვიყიდია... დოდო პურს ზედ არ უყურებს. მერე, ძალიან მერე მივხვდი, რატომ არ ჭამა, რატომ თქვა უარი: სამი დღის უჭმელ ადამიანს, უბრალოდ, აღარ შია. დედა, ორი თვეა, რაც დოდოს ნატანჯი სული შენკენ გამოფრინდა... რამდენადაც შემეძლო, ბოლომდე ვუპატრო-

ნე, ღმერთია მოწმე, არაფერი დამიკლია...

1950 წლის გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს უდედმამო ოჯახის წევრები ზაფხულის დასვენების პრობლემას ვიხილავდით... მოკლედ, ზავი დადებულია: დოდო ჩვენს მეზობელს, დეიდა საშას მიჰყვება ცემში, კიტა მცხეთაში „მოილხენს", მე კი... უეცრად მაგონდება, გუშინ ინსტიტუტის პროფკავშირის ოთახში შევიარე და ყური მოვკარი ლაპარაკს – უფროსკურსელებიდან, ვისაც სურვილი აქვს, შეიძლება, პიონერხელმძღვანელად გაგზავნონ წაღვერშიო... მორჩა! ნაზის, მაშინდელ და შემდგომშიც განუყრელ მეგობარს, ვეტყვი. მისი და-ძმა იქ ცხოვრობს, ძალიან გაუხარდება. ასეც მოვიქეცით. ორ კვირაში წაღვერში ამოვყავით თავი. წაღვერის პაწია რკინიგზის ბაქანზე ვდგავართ... მატარებელი, როგორც იქნა, საბოლოოდ ჩამოდგა. უეცრად კიბეზე ვიღაც საკმაოდ ლამაზმა ახალგაზრდამ ჩამოდგა ფეხი. ბედი არ უნდა? – პირდაპირ ჩემ გასწვრივ დადგა. უნებლიეთ ერთმანეთს შევხედეთ. ორივეს ერთდროულად გაგვეღიმა... ბანაკის ეზოში ვსხედვართ. ზოგი ანეკდოტს ყვება, ზოგი გამოცანას გვთავაზობს, მღერის, ზოგი თავისთვის უაზროდ გიჟობს... ზოგჯერ მარტონი ვრჩებით (მეჩვენება, სულაც განგებ გვტოვებენ მარტო) წყნარად ვსაუბრობთ – რომ იტყვიან, ერთმანეთს კბილს ვუსინჯავთ. გამუდმებით ვეკითხები: ესა და ეს ოპერა თუ გიყვართ, რომელი კომპოზიტორი, რომელი მწერალი, რომელი პოეტი გირჩევნიათ-მეთქი. ერთხელ მომეჩვენა, დამცინავად მკითხა: ბოდიში, გამოცდას ხომ არ მიწყობთო.

მშობლები

ოჰ, როგორ შემრცხვა, – ნუთუ მართლა ასე ფიქრობთ-მეთქი. გულწრფელად გამოვუტყდი: თქვენ გამუდმებით მიყურებთ და გაჩუმებული ხართ, რამეზე ხომ უნდა ვილაპარაკოთ? მერე, ძალიან გვიან გამახსენდა რუსული ანდაზა – მამაკაცს თვალებით უყვარს, ქალს კი – ლაპარაკითო. აი, მაშინ რომ მცოდნოდა ეს, ისე არ ვიდარდებდი – ვინ იცის, ერთი ბაქია ვინმე ვგონივარ-მეთქი. ერთხელაც, ციცო (ჩვენი მეგობარი) ავად გახდა. აღარ მახსოვს, ვინ იყო, მოვიდა და გამოგვიცხადა: ციცომ შემოგითვალათ, ედუარდი რომ მნახავდეს, მაშინვე მოვრჩებიო. ღმერთო! აი, საიდან დაიწყო ჩემი წამება. ოჰ, როგორ მომივიდა მაშინ გული საკუთარ თავზე – ნეტა, რა რომანტიკულ „ბარიშნას" ვთამაშობ-მეთქი, მაგრამ, აი, ამდენი წლის შემდეგ, ხატზე შემიძლია, დავიფიცო, ნამდვილად გულწრფელი ვიყავი. ასეთ გოგოებს „ქაჯებს" ეძახიან. ნეტავ ეთქვა მაშინ ვინმეს, ნამდვილი ქაჯი ხარო, ღირსი ვიყავი. მოკლედ, შეცდომას შეცდომაზე ვუშვებდი... მერე გამომიტყდა, რაზე იდარდე, მე სწორედ ისეთი მომეწონეო... დასთან და დისშვილთან ერთად ჩვენი ბანაკის მოპირდაპირე მხარეს ჰქონდა ოთახი ნაქირავები... შენ ხომ იცი, რომ მე ობოლი ვარ-მეთქი. ვიციო. შენ რომ იცი მე ისეთი ობოლი არ ვარ... მხრებს იჩეჩავს – ობოლი, ობოლია, მერე რა მოხდა, რომ ობოლი ხარ. ეს რა, გგონია, ნაკლია ადამიანისთვის? – არა, სულაც არ მგონია. მოდი, კარგად გავერკვეთ სიტუაციაში. ჩემი მამა, ჩემი მამა... – რა, შენი მამა? იცი რას გეტყვი? – ვიფეთქე უცებ და ხმას ვუწევ, – ჩემი მამა ძალიან პატიოსანი, სამშობლოს და ოჯახის ერთგული ვაჟკაცი იყო. ჰოდა, ეს კეთილშობილი, ჭკვიანი, ამაყი კაცი ერთ ღამეს ცხოველივით წაიყვანეს და დახვრიტეს! რომ შევუღლდეთ, შენ პარტიულ კარიერას უნდა გამოეთხოვო. არ მინდა, ამის მიზეზი გავხდე და დაგღუპო, ამის უფლება არ მაქვს... – არ იფიქრო, შენგან რამე მეწყინოს, ჩემი ბრალია ყველაფერი, დროზე უნდა მეთქვა. რატომღაც, მეგონა, ისტორიულზე სწავლობდი... ღირსი ვარ, დავისაჯო... იცი, რას გეტყვი? ღმერთმა დალახვროს ყველა კარიერა! რა არის კარიერა სიყვარულთან შედარებით?!. ვიგრძენი, როგორ შვებით ამოისუნთქა. თავი რატომ უნდა მოვიტყუო? მშვენივრად მივხვდი, იმ ულამაზეს, მთვარიან ღამეს, როგორი სინატიფით ჩატარდა მსხვერპლშეწირვის რიტუალი. ამის არდანახვა უმადურობაა, აბა რა! რას გაიხარებს მამაჩემი! თბილისში თოთხმეტი წლისა იმიტომ გამომგზავნა, რომ კარგად მესწავლა, მედალი ამეღო და სამედიცინო ფაკულტეტზე შევსულიყავი. ჰოდა, ა, ბატონო, ეყოლება ექიმი შვილი! – უეცრად ფართოდ ეღიმება და მწყობრ, ქათქათა კბილებს აელვარებს... უკან ხელჩაკიდებულნი და ბედნიერები ვბრუნდებით... მერე, მერე იყო 1953 წელი... მერე, მერე დაიწყო შევარდნაძის ხანგრძლივი, მაგრამ ტრიუმფალური სვლა ოლიმპისკენ და, რაც მთავარია, ობოლი გოგო იყო ბედნიერი, ვეღარავინ წამოაძახებდა – მტრის შვილი ხარო."

ეკა პატარაია

(23-ე გვერდიდან)

ხოდოროვიჩია, ასევე დიმიტრი ყიფიანისა და დავით ერისთავის ბიუსტების ავტორი (ორივე ბიუსტი ამ გამოჩენილი მოღვაწეების საფლავებზე დგას მთაწმინდის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში).

კამოს ძეგლი პუშკინის ბაღში (1920-იანი წლები)

რა სახელით იყო ცნობილი ამჟამინდელი პუშკინის სკვერი და თბილისის რომელ ბაღში მართავდა წარმოდგენებს გერმანელი ილუზიონისტი რობერტ ლენცი მეცხრამეტე საუკუნეში

პუშკინის სკვერში 1896 წლის მაისში წარმოდგენებს მართავდა ცნობილი გერმანელი ილუზიონისტი რობერტ ლენცი, რომლის სტუმრობა თბილისში დოკუმენტურად არის დადასტურებული. ის ცნობილი იყო მთელ რუსეთის იმპერიაში და ბევრს გასტროლირებდა, მათ შორის ამერკავკასიაში. ლენცის საფირმო ფოკუსი მხედრის ცხენთან ერთად გაქრობა იყო, რის ჩვენებასაც, სავარაუდოდ, იგი არც თბილისში მოერიდებოდა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ პუშკინის სკვერი არაერთი ცნობილი ფაქტის „მოწმე" გახდა: აქ დაკრძალეს რევოლუციონერ-ტერორისტი სიმონ ტერ-პეტროსიანი, პარტიული მეტსახელით – კამო. კამოს საფლავთან ახლოს, 1925 წელს, დაიდგა იაკობ ნიკოლაძის ავტორობით შექმნილი ძეგლი, რომელიც, გავრცელებული ვერსიის თანახმად, შემდგომში პირადად იოსებ სტალინის ბრძანების საფუძველზე აიღეს, თუმცა, საფლავი დატოვეს. ზვიად გამსახურდიას მთავრობის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კამოს საფლავის ქვა ააფეთქეს, რევოლუციონერის ნეშტი კი ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, ვაკის ძველ სასაფლაოზე გადაასვენეს და კამოს დის, ჯავაირ პეტროსიანის მახლობლად დაკრძალეს, თუმცა, არსებობს მეორე ვერსიაც, რომ კამოს საფლავი დღემდე სკვერშია და ის მხოლოდ ფილებით არის დაფარული.

პუშკინის სკვერის თანამედროვე ხედი


პუშკინის სკვერი საბჭოთა კავშირის დროს

უშანგი რუხაძე

ამქვეყნად უამრავი რამ არსებობს, რაც ადამიანის კეთილდღეობაზე, ჯანმრთელობაზე, ბედზე, იღბალსა თუ უიღბლობაზე აგებს პასუხს. ეს ყველაფერი უხსოვარი დროიდან იღებს სათავეს და მას ადამიანები ყოველთვის ითვალისწინებდნენ. ალბათ, ბევრისთვის გასაკვირი იქნება, თუ ვიტყვით, რომ სახელი დიდ გავლენას ახდენს ჩვენს ბედისწერაზე, ხოლო ჩვეულებრივი მარილი ადამიანის ბედის სწორი მართვისთვისაც გამოიყენება. თუ ეზოთერიკოს, ქალბატონ დარიკოს დავუჯერებთ, უბედური ადამიანი არ არსებობს; არც მძიმე მდგომარეობიდან გამოსავლის პოვნა გაგიჭირდებათ და არც პრობლემებისგან თავის დაღწევა, თუ საკუთარ ცხოვრებას სწორად მართავთ.

რა როლს თამაშობს ჩვენს ბედ-იღბალზე მშობლის სახელის დარქმევა და როგორ დავგეგმოთ სასურველი მომავალი სავსემთვარეობის პერიოდში

დარიკო: არ მსიამოვნებს, როცა ადამიანები საკუთარ ბედზე დაიწყებენ მოთქმას, ყველას თავს აბეზრებენ წუწუნით, თუ როგორ იტანჯებიან უიღბლობის გამო. ასეთ ადამიანებთან კონტაქტს ყველა ერიდება, რადგან, მათგან უარყოფითი ემოცია მოდის. გარკვეული დროის განმავლობაში, ეს უარყოფითად აისახება ნებისმიერ ჩვენგანზე. არადა, არ დაიჯერებთ, რომ, ჩვეულებრივ სუფრის მარილს ადამიანის ბედის უკეთესობისკენ შეცვლა შეუძლია, რადგან მას გარკვეული მაგიური თვისებები აქვს. მოკლედ, სავსემთვარეობისას, როცა ის შაბათ დღეს ემთხვევა, ღამის პირველ საათზე, უნდა აიღოთ მუჭით მარილი, ისე გახვიდეთ სახლიდან გზაჯვარედინზე, რომ ხმა არავის გასცეთ, დადგეთ, მარილის ნახევარი თავს უკან გადაყაროთ, ნახევარი კი უკან წამოიღოთ სახლში. ეს მარილი გაყავით ორ ნაწილად, ერთი ნაწილი ერთ პატარა ტომსიკაში ჩაყარეთ, მეორე – მეორეში (ტომსიკები თვითონ უნდა შეკეროთ, ხავერდის წითელი ქსოვილისგან). ერთი ბალიშის ქვეშ დაიდეთ, მეორე კი ჩანთით ატარეთ. თან, ეს სიყვარულშიც მოგიმართავთ ხელს, ფინანსურ კეთილდღეობაშიც დაგეხმარებათ, უფრო მეტად კი რომანტიკულ ურთიერთობაში მოგიგვარებთ პრობლემებს. დამიჯერეთ, ეს უძველესი დროიდან გამოცდილი მეთოდია. მაგალითად, თუ საყვარელ ადამიანს დაშორდით და კვლავ გინდათ მასთან შერიგება, ამ საქმეშიც მარილი დაგეხმარებათ, კერძოდ, წელიწადის ნებისმიერი სეზონის ბოლო კვირა დღეს, ღამის 12 საათზე, დადექით გზაჯვარედინზე თქვენი სახლისკენ ზურგით, სამჯერ დაიყვირეთ იმ ადამიანის სახელი, ვისთან შერიგებაც გსურთ და მარილი თავს უკან გადაყარეთ. დიდი ალბათობაა იმისა, რომ ის თქვენთან უახლოეს მომავალში დაბრუნდეს. მარილი მლაშეა და ის ორ ადამიანს ერთმანეთს აწყურებს, თუ გარკვეული გრძნობა არსებობს მათ შორის. ყველა ადამიანი იმსახურებს ბედნიერებასა და რჩეულის გვერდით ყოფნას, ამიტომ, ამ რიტუალის ჩატარება და ბედის ცდა ნამდვილად ღირს.

– ყოველთვის მესმოდა, რომ სახელს ადამიანის ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა აქვს. იმასაც ამბობენ, ადამიანი თავის სახელს ემსგავსებაო. ეს ასეა?

– რასაკვირველია, სახელი დიდ როლს თამაშობს ჩვენს ბედ-იღბალში. მაგალითად, ძველი ინდოელები, სანამ ბავშვი არ წამოიზრდებოდა, სახელს არ არქმევდნენ. ესპანელები კი რამდენიმე სახელს არქმევენ ახალშობილს, რომ ბოროტი ძალებისთვის აებნიათ თავ-გზა და ამით დაეცვათ მემკვიდრე. მათ მიაჩნიათ, რომ ბოროტ ძალებს ამ ადამიანის ნამდვილი სახელის ამოცნობა გაუჭირდება და უბრალოდ, ვეღარ ავნებს მას. ებრაელები მამის სახელს არ არქმევენ შვილს, რადგან, მათი აზრით, ეს უბედურების მომტანია.

– ქართველებში კი პირიქით, თუ მამის სახელი ჰქვია შვილს, ეს დიდი პატივია.

– დიახ, ასეა. მაგალითად, ჩემი სახელი არ მომწონს. საბედნიეროდ, ისეთი აღნაგობა და ისეთი სტილი მაქვს, ასაკი არ მეტყობა და შედარებით ახალგაზრდად გამოვიყურები. 46 წლის ვარ და, რომ ვიტყვი, დარიკო მქვია-მეთქი, ყველას ეცინება. თანაც, დედის სახელი მქვია. თურმე, რომ დავიბადე, დედა ცუდად ყოფილა, ექიმებს გადარჩენის იმედი არ ჰქონიათ და მისი სახელი ამიტომ დამარქვეს. საბედნიეროდ, დედა გადარჩა და ახლა ის უკვე 72 წლისაა. დედა მთელი ცხოვრება უიღბლო იყო და მისი უიღბლობა მეც დამყვა. დარწმუნებული ვარ, მისი სახელის დარქმევამაც დიდი როლი ითამაშა ჩემს უიღბლობაზე. ასევე, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, მშობელმა შვილს გარდაცვლილი წინაპრის ან უიღბლო ადამიანის სახელი დაარქვას. ახლობლის სახელის დარქმევით, ახალშობილს მის გარკვეულ ბედისწერასაც უზიარებ. ხოლო, როცა მშობელი შვილს თავის სახელს არქმევს, ფაქტობრივად, ბავშვს მშობლის ენერგეტიკა აქვს გაზიარებული. ყველა სახელს თავისი ენერგეტიკა აქვს, კერძოდ, ყოველი სახელი, თავისთავად, ცუდ ან კარგ ენერგეტიკას ატარებს, აქვს საკუთარი კოდი და, ამიტომ, ერთმანეთის მოსახელე ადამიანები რაღაცით ყოველთვის ჰგვანან ერთმანეთს. სეხნიები, ასევე, თავისებურად, ერთმანეთის ბედ-იღბალს იზიარებენ, ერთნაირი შეხედულებები და მისწრაფებები გააჩნიათ. ასე რომ, უმჯობესია, მეტსახელიც შეირჩიო, თუ გრძნობ, რომ წინაპრის სახელის გამო არ გიმართლებს. ასე შესაძლო უიღბლობას მეტად დააღწევ თავს. თავად, ბავშვობიდან ყველა დარიკოს მეძახის და, რატომღაც, ვერ შევაჩვიე ახლობლები, რომ ზედმეტი სახელი დამიძახონ. მეუბნებიან, ასე ვართ შეჩვეული და გაგვიჭირდება სხვა სახელის დაძახებაო. არადა, დარწმუნებული ვარ, თუ სახელს შეიცვლი, გავთავისუფლდები უარყოფითი კარმისგან, მეტადაც გამიღიმებს იღბალი და მგონი, გათხოვებასაც მოვასწრებ *(იცინის)*.

> **ეგოდური ადამიანი არ არსებობს; არც მძიმე მდგომარეობიდან გამოსავლის პოვნა გაგიჭირდებათ და არც პრობლემებისგან თავის დაღწევა, თუ საკუთარ ცხოვრებას სწორად მართავთ**

– მართალია, რომ გარდაცვლილი ადამიანის სახელის დარქმევით ადამიანზე მისი ბედისწერა გადადის?

– რასაკვირველია. ყველას თავისი მისია და ვალი აქვს დედამიწაზე, მაგრამ, თუ გარდაცვლილის სახელს დაარქმევთ შვილს, მაშინ, დიდი შანსია, ხასიათების დამთხვევა მოხდეს. ეს მსგავსება გენეტიკური კარმისა და ერთნაირი სახელის ენერგეტიკის შედეგია. კერძოდ, გარდაცვალების დროს, ზოგჯერ ბებია-ბაბუის ან სხვა ახლობლის სული ღია ასტრალში ვერ გადის, ოჯახის რომელიმე წევრის აურას ეწებება და სული ამ ადამიანის ენერგეტიკით იწყებს საზრდოობას და ისინიც ემსგავსებიან გარდაცვლილებს. ალბათ, ბევრ ახლობელში თქვენც აღმოაჩენდით ასეთ მსგავსებას. დედას დარიკო მისი გარდაცვლილი დეიდის პატივსაცემად ჰქვია, მერე ეს სახელი მე დამარქვეს და ასე ვიზიარებთ ერთმანეთის ბედს. კერძოდ, დედა მამაჩემმა მაშინ მიატოვა, როცა ჩემზე იყო ფეხმძიმედ, დეიდამისი მშობიარობას გადაჰყვა, მე კი საერთოდ ვერ ვეღირსე ბედს. თითქოს არაფერი, მაგრამ, აბა, პარალელი გაავლეთ და დაფიქრდით, რამხელა დამთხვევაა. ფაქტია, რომ ეს ერთსა და იმავე სახელს, უკავშირდება.

ნონა დათეშიძე

დაინახე მარცვალი

ყველა ქალს არ აქვს უნარი, დაინახოს საკუთარ თავში პოტენციალი, რომელიც მას სხვებისგან გამოარჩევს. ინდივიდუალური ხიბლი ყველას აქვს, მთავარია, იცოდე, როგორ წარმოაჩინო ის. როგორც ფსიქოლოგები ამტკიცებენ, საჭიროა, ჯერ თავად დაიჯერო, რომ ყველაზე მაგარი ხარ, ეფექტური და განუმეორებელი. აუცილებელი არ არის, რეალობა წარმოსახვას დაემთხვას, მთავარია, შინაგანად იყოთ მზად. იდეალური პროპორციები და ლამაზი სახე ერთეულებს აქვთ, თუმცა, ლამაზმანი გაცილებით მეტია. მაშ, რაშია საქმე?

ამ შემთხვევაში პლასტიკური ქირურგია არაფერ შუაშია. თუ იმ ლამაზმანებს კარგად დააკვირდებით, ნახავთ, რომ იდეალურობისგან ძალიან შორს არიან. უბრალოდ, მათ ირწმუნეს საკუთარი მომხიბვლელობა და თავიანთი „ძლიერი მხარეები“ წარმოაჩინეს. შეიძლება, ამის სწავლა? რა თქმა უნდა! ამის „შპარგალკაც“ კი არსებობს. მივყვეთ პუნქტობრივად:

* როცა დილით სარკის წინ დადგებით, ნუ გაამახვილებთ ყურადღებას შესიებულ თვალებზე, ლაქებზე უპეებში, არცთუ მომხიბვლელ მზერაზე. დილით საწოლიდან წამომდგარი მზეთუნახავივით არავინ გამოიყურება. ნუ იჩქარებთ, მაშინვე შეინიღბოთ „მძიმე“ მაკიაჟით, დაიბანეთ პირი გრილი წყლით, მიირთვით ყავა ან ჩაი, უყურეთ რამე სასიამოვნო გადაცემას ან მოუსმინეთ მუსიკას, დაივარცხნეთ თმა, შეაფასეთ ამინდი და ამ ყველაფრის შემდეგ დაბრუნდით სარკესთან.

* თუ ქუჩაში თქვენზე ლამაზ ქალს დაინახავთ, ამის გამო გუნებას ნუ გაიფუჭებთ – ყოველთვის მოიძებნება მამაკაცი, რომლისთვისაც თქვენ იქნებით ლამაზი და არა ის.

* რაც შეეხება მოდას, ნუ აჰყვებით მას ბრმად და ძალიან თამამად. მთავარია, ტანსაცმელში კომფორტულად იგრძნოთ თავი, გიხდებოდეთ და ინდივიდუალურობას განიჭებდეთ.

ნუ დაიბოღვები

მედიკოსებიც დაგიდასტურებენ ფაქტს, რომ, თუ ადამიანი დიდი ხნის განმავლობაში (საუბარია რამდენიმე წელზე) ვერ ივიწყებს წყენას, ვერ აპატიებს ადამიანებს შეცდომებს, ამ ყველაფერს გულში ინახავს და მუდმივად ფიქრობს ამაზე, ის სერიოზული ავადმყოფობის რისკის ჯგუფშია. ორივე სქესის წარმომადგენლებს ბოღმა ერთნაირად უნგრევს ჯანმრთელობას, თუმცა, ოდნავ განსხვავებულად – მამაკაცებში ეს სიმსივნეს აჩენს და მათი სექსუალური პოტენცია რამდენადმე ქვეითდება.

რაც შეეხება ქალებს, თუ ისინი წყენას არ ივიწყებენ, ამით საკუთარ თავს ქალური დაავადებების საფრთხეს უქმნიან. განსაკუთრებით მძიმეა სიტუაცია, როცა ბოღმა და წყენა ოჯახის წევრების ან უახლოესი ადამიანების მიმართ გვაქვს. ჰორმონული დარღვევების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ბოღმაა. შეიძლება, არც დაიჯეროთ, მაგრამ, კვლევები ამტკიცებს, რომ გახსნილი, უბოროტო ადამიანები, კარგი იუმორის გრძნობით, დიდხანს ცოცხლობენ, გვიან ბერდებიან და სიხარულის, ბედნიერების განცდაც იშვიათად ტოვებთ. სერიოზული ოჯახური კონფლიქტები მოზარდებში ფსიქიკურ აშლილობას, სტრესებს, კომპლექსების წარმოქმნას უწყობს ხელს; ქალებში – სისხლნაკლებობას... ახლა თავად გადაწყვიტეთ, რა გირჩევნიათ – აპატიოთ თუ იცხოვროთ ბოღმით და, თანც იავადმყოფოთ?!

ის და ქიდევ ის...

იმისთვის, რომ შენი პარტნიორი კარგად გაიცნო, სულ ცოტა მეტი უნდა შეიტყო საკუთარი თავის შესახებაც. გაეცანით ქვემოთ მოცემულ ციფრებსა და ფაქტებს. ეს დასკვნების გაკეთებაში დაგეხმარებათ.

* თქვენი რჩეული საათობით უყურებს საინფორმაციო გამოშვებებს და ფეხბურთს. უთხარით, რომ ეს მავნე ჩვევაა, რომელიც უარყოფითად აისახება მის პოტენციაზე! ეს სიმართლეა – ტელევიზორის წინ გატარებული 20 საათი მამაკაცის სექსუალურ შესაძლებლობებს 40 პროცენტით ამცირებს. ასეთი ინფორმაცია ნამდვილად არ გაახარებს.

* მამაკაცები ძალიან ჰგვანან ბავშვებს, უფრო სწორად, მათგან თითქმის არ განსხვავდებიან. ამიტომ, შეეცადეთ, მათთვის ისეთი სათამაშო იყოთ, რომელიც არ მოსწყინდება – ანუ, საინტერესო და ზოგჯერ მიუწვდომელი. სამწუხარო სტატისტიკით, ქალების 84 პროცენტს წარმოდგენა არ აქვთ ამაზე და მამაკაცთან ურთიერთობაში უამრავ შეცდომას უშვებენ.

* ეს ინფორმაცია კი უკვე მამაკაცებისთვის არის განკუთვნილი. გამოირკვა, რომ ქალბატონების 82 პროცენტი უპირატესობას ცოტათი მსუქან, ბრგე მამაკაცებს ანიჭებს. პრინციპში, ლოგიკურია – ზორბა, მხარბეჭიანი, მძიმეწონიანი მამაკაცის გვერდით თავს გაცილებით დაცულად გრძნობ, ქალებს კი ბუნებრივად აქვთ ამის მოთხოვნილება.

უპირველეს ყოვლისა

უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავი უნდა შეიყვარო, თუ გინდა, რომ სამყარო შენ მიმართ პოზიტიურად განეწყოს. ხოლო, როცა ამას მიაღწევ, ყველა საქმე გამოვა. მოახერხეთ და იფიქრეთ მხოლოდ პოზიტიურსა და სასიამოვნოზე. მაგალითად, კიდევ ერთხელ დაფიქრდით და გააანალიზეთ, რა გაქვთ ცხოვრებაში კარგი. თავადვე გაგიკვირდებათ, იმდენ პოზიტიურს აღმოაჩენთ – თურმე, რამდენისთვის მიგიღწევიათ!

როცა საკუთარ „მესთან“ კონფლიქტში ხარ, შეუძლებელია, სხვა ადამიანებს შენზე დადებითი წარმოდგენა შეუქმნა. არავის უყვარს წუწუნა, მუდმივად წარბშეკრული და მტირალა ადამიანები. უთხარით კომპლიმენტები სრულიად უცხოს ან ახალგაცნობილს – ეს თქვენც შეგიქმნით პოზიტიურ, ხალისიან განწყობას და მეგობრებსაც მოგიმრავლებთ.

თავდაჯერებულობა გმატებთ რწმენას და, უმნიშვნელოვანესია, ისწავლოთ „არას“ თქმა. დააფასეთ საკუთარი დრო და ნუ მისცემთ საშუალებას ვიღაცეებს, მოგპარონ ძვირფასი წუთები. თქვენზე გარშემო მყოფებს ისეთი შთაბეჭდილება უნდა შეექმნათ, როგორც ძლიერ, მტკიცე ნებისყოფის პიროვნებაზე. ისწავლეთ, როდის თქვათ „არა“ და ამით არავის გაანაწყენებთ, უფრო პირიქით – თქვენ მიმართ ყველას პატივისცემით განაწყობთ.

ნაკლი ყველას აქვს, ეს ტრაგედია არ არის. მთავარია, დაინახოთ საკუთარი ნაკლი და იმუშაოთ თქვენი ძლიერი მხარეების გამოკვეთაზე, ეს გარეგნობასაც ეხება. ისეთი სტილი შეარჩიეთ, რომელიც თქვენს ინდივიდუალურობას გამოაჩენს – ამას დიდი მნიშვნელობა აქვს.



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

რა აკავშირებს „ცუდი ბიჭების" ქუჩასთან ჰოლივუდის ლეგენდას ჯეკ ნიკოლსონს და რომელ ცნობილ ფილმებში მონაწილეობის მიღებაზე აქვს ნათქვამი მას უარი

მისი სრული სახელი და გვარია ჯონ ჯოზეფ ნიკოლსონი. ჰოლივუდის ცოცხალი ლეგენდა – ნიკოლსონი, მსოფლიო კინოს ისტორიაში ყველა დროის ერთ-ერთ სასურველ და ქალებისთვის სათაყვანებელ მამაკაც მსახიობად ითვლებოდა და ითვლება დღემდე. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს ის არცთუ ხშირად ჩნდება დიდ ეკრანზე, მის მიმართ ინტერესი მუდამ არსებობს, რის დაკმაყოფილებასაც ლეგენდარული მსახიობის ცხოვრებიდან ამოჭრილი საინტერესო ფაქტების საშუალებით გაგაცნობთ.

* თავისი დაბადების რეალური ისტორია თავად ნიკოლსონმა საკმაოდ გვიან შეიტყო. ჯეკმა იცოდა, რომ მას დედა და უფროსი და ზრდიდნენ. მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ შეიტყო, რომ სინამდვილეში „და" – მისი ბიოლოგიური დედა იყო, „დედა" შესაბამისად – ბებია. საქმე ისაა, რომ ჯეკის დედა ძალიან ახალგაზრდა დაფეხმძიმდა და ქმრის გარეშე მოუწია შვილის გაჩენა. სიმართლის დადგენაში ჯეკს 1974 წელს ჟურნალ „თაიმის" ჟურნალისტები დაეხმარნენ.

* ჯეკ ნიკოლსონის წინაპრები ჰოლანდიელები, ირლანდიელები და იტალიელები იყვნენ.

* სკოლის დამამთავრებელ ბანკეტზე ჯეკ ნიკოლსონი თანაკლასელებმა „კლასის კლოუნად" დაასახელეს.

* ნიკოლსონი საკალათბურთო კლუბ „ლოს-ანჯელეს ლეიკერსის" დიდი ქომაგია და მის კონტრაქტებში მუდამ აღნიშნულია პუნქტი, რომლის თანახმად, ის არ მონაწილეობს გადაღებებში იმ დღეს, როცა „ლეიკერსი" თამაშობს.

* ჯეკი პირადად იცნობს კუბელ რევოლუციონერ ფიდელ კასტროს, რომელსაც თანამედროვე მსოფლიოს გენიოსად მიიჩნევს. ნიკოლსონი 1998 წელს იყო კუბაში და კასტრომ მას პირადად ჩაუტარა ექსკურსია ჰავანაში, რომლის დროსაც ჯეკი სიგარების ცნობილ ქარხანას ესტუმრა.

* როგორც ჩანს, ჯეკ ნიკოლსონის მექალთანეობა წარსულს ჩაბარდა, რადგან, ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში მსახიობმა აღიარა, რომ ვიაგრას მოიხმარს და უჭირს მთელი ღამის ერთ ქალთან გატარებაც კი, მაშინ როცა ახალგაზრდობაში ერთ ღამეში რამდენიმე სექსუალურ პარტნიორს იცვლიდა.

* ნიკოლსონი მეოცე საუკუნის ფერწერის დიდი მოყვარულია და საკუთარ არტ-კოლექციას ფლობს, მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პაბლო პიკასოს რამდენიმე ტილოს.

* ჯეკ ნიკოლსონი მარლონ ბრანდოს ახლო მეგობარი იყო. მისი ამჟამინდელი სამეგობრო წრიდან შონ პენის აღნიშვნა შეიძლება.

* კალათბურთის გარდა, ნიკოლსონს გოლფიც უყვარს და ხშირად თამაშობს მოყვარულთა ტურნირებზე; ასევე, ის რესტლინგით არის გატაცებული, თუმცა, მხოლოდ მაყურებლის რანგში.

* თავის დროზე ჯეკ ნიკოლსონმა უარი განაცხადა ეშმაკის – ლუი ცაიფერის როლის შესრულებაზე ალან პარკერის ფილმში „ენჯელის გული". მოგვიანებით ეს როლი რობერტ დე ნირომ განასახიერა.

* ჯეკ ნიკოლსონს მეექვსე ადგილი უჭირავს მსოფლიოს ყველა დროის 100 საუკეთესო კინოვარსკვლავს შორის. სია ბრიტანულმა ჟურნალმა „ემფაირმა" შეადგინა.

* ჯეკ ნიკოლსონს ხუთი შვილი ჰყავს: ჯენიფერ ნიკოლსონი (1963) – ყოფილი მეუღლის, სანდრა ნაითისგან; კალებ გოდარდი (1970) – სიუზენ ანსპაჩისგან; ჰანი ჰოლმანი (1981) – ვინი ჰოლმანისგან, ლორეინ ნიკოლსონი (1990) და რეიმონდ ნიკოლსონი (1992) რებეკა ბრუსარდისგან.

* ჯეკ ნიკოლსონი ბევერლი-ჰილზში ეგრეთ წოდებულ „ცუდი ბიჭების" ქუჩაზე ცხოვრობს, კერძოდ, მალჰოლანდ დრაივზე, კალიფორნიაში. ეს სახელი ქუჩას მას შემდეგ ეწოდა, რაც აქ დასახლდნენ მარლონ ბრანდო და უორენ ბიტი – ნიკოლსონის ახლო მეგობრები.

* ჯეკ ნიკოლსონი ფრენსის ფორდ კოპოლას ბლოკბასტერში „ნათლიმამა" მაიკლ კორლეონეს როლზე განიხილებოდა; მის გარდა როლის შესრულებაზე პრეტენზიას აცხადებდნენ დასტინ ჰოფმანი და უორენ ბიტი, თუმცა, საბოლოოდ, მაიკლის როლი ალ პაჩინომ შეასრულა.



* ჯეკ ნიკოლსონს არ უყვარს ინტერვიუების მიცემა და მხოლოდ პრესკონფერენციებით შემოიფარგლება. მისი უკანასკნელი ტელეინტერვიუ 1971 წლით თარიღდება.

* დენი დე ვიტო ჯეკ ნიკოლსონის ბავშვობის მეგობარია, მათი ნათესავები საერთო საპარიკმახეროს ფლობდნენ.

* ჯეკ ნიკოლსონი „ოსკარების" ცერემონიალის ერთგვარი რეკორდსმენია – მას შვიდჯერ (1972, 1977, 1978, 1990, 1993, 2006 და 2007 წლები) აქვს გადაცემული „ოსკარი" ნომინაციაში „საუკეთესო ფილმი".

* ბეტმენზე შექმნილი კომიქსების ავტორმა, ბობ კეინმა, პირადად მოიწონა ჯეკ ნიკოლსონის კანდიდატურა ჯოკერის როლში, 1989 წელს ეკრანებზე გამოსულ ფილმში „ბეტმენი".

* ჯეკ ნიკოლსონმა უარი თქვა ისეთ ფილმებში მონაწილეობაზე, როგორიცაა „აფერა" (სადაც მისთვის დაწერილი როლი რობერტ რედფორდმა შეასრულა) და 1977 წელს ეკრანებზე გამოსულ სტივენ სპილბერგის ჰიტზე – „მესამე ხარისხის ახლო კონტაქტები" (როლი რიჩარდ დრეიფუსს ხვდა წილად).

* ჯეკ ნიკოლსონი ხუთ სხვადასხვა ათწლეულში იყო ნომინირებული „ოსკარზე", რაც, ასევე, ლეგენდარულ მიღწევად ითვლება (1960-იან, 1970-იან, 1980-იან, 1990-იან და 2000-იან წლებში). მსგავსი მიღწევა აქვს ბრიტანელ მსახიობს, მაიკლ კეინს.

* 2004 წელს ჯეკ ნიკოლსონი სკოლის დამთავრების 50-ე წლისადმი მიძღვნილ ბანკეტზე მივიდა, რითაც შოკში ჩაყარა თავისი თანაკლასელები.

* თავის საყვარელ ფილმებად ჯეკ ნიკოლსონი მიიჩნევს ფილმებს: „ვილაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა" და „ბეტმენი".

* ჯეკ ტორენსის როლის შესრულებისთვის სტენლი კუბრიკის გახმაურებულ ფილმში – „ნათება," ჯეკ ნიკოლსონი 82-ე ადგილზე გავიდა ჟურნალ „პრემიერის" მიერ შედგენილ „საუკეთესო კინოპერსონაჟების ასეულში".

* ჯეკ ნიკოლსონმა უარით გაისტუმრა ბობ გუჩიონე და ტინტო ბრასი, რომლებიც მას მთავარი როლის შესრულებას სთავაზობდნენ სკანდალურ ფილმში „კალიგულა". მოგვიანებით როლი მალკოლმ მაკდაუელმა შეასრულა.

* ჯეკ ნიკოლსონს უნდა შეესრულებინა მთავარი როლები გახმაურებულ ფილმებში „ეგზორცისტი" და „კრავთა დუმილი", თუმცა, გადატვირთული გადასაღები გრაფიკის გამო, მას უარის თქმა მოუწია.

* ჯეკ ნიკოლსონი სერბი კალათბურთელის, „ენბიაის" ვარსკვლავის ვლადე დივაცის ახლო მეგობარია.

* ჯეკ ნიკოლსონი ბობ დილანისა და ლუი არმსტრონგის შემოქმედების დიდი თაყვანისმცემელია.

* ჯეკ ნიკოლსონი ახლომხედველია და მის საფირმო მზის სათვალეებში სპეციალური ოპტიკური ლინზებია ჩადგმული.

* ჯეკ ნიკოლსონი ყველაზე დაბალია იმ მსახიობებს შორის, რომლებმაც „ჯოკერი" განასახიერეს: ნიკოლსონის სიმაღლე 177 სანტიმეტრია, ცეზარ რომეროსი – 188 სანტიმეტრი, ხოლო ჰიტ ლეჯერის სიმაღლე 185 იყო.

* ჯეკ ნიკოლსონს არ აქვს მობილური ტელეფონი.

* ჯეკ ნიკოლსონის თქმით, თავისი ცხოვრების განმავლობაში, მას 3 ათას ქალთან ჰქონდა სექსუალური კავშირი.

* არასრულწლოვნის გაუპატიურება – ბრალდება, რომლის გამოც რომან პოლანსკი გაურბის ამერიკულ მართლმსაჯულებას, გამოძიების ვერსიით, ჯეკ ნიკოლსონის სახლში მოხდა წვეულების დროს (პოლანსკი ნიკოლსონის ახლო მეგობარია).

* ჯეკ ნიკოლსონის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ კათოლიკურ ოჯახში იზრდებოდა, მას ღმერთის არ სჯერა.

უშანგი რუხაძე

ბოლო დროს GDS TV-ის ეთერში არაერთი ნაცნობი თუ უცნობი შემსრულებელი გამოჩნდა, რომლებსაც მუსიკალური პროექტი Georgian Dreamers აერთიანებს. პროექტი, რომელმაც სტარტი საკმაოდ წარმატებულად აიღო, GDS TV-ის ეთერში სამი თვის განმავლობაში გავა. წარმოდგენილი იქნება 8 გუნდი, თითოეული 5 სოლო შემსრულებლით ან ჯგუფით დაკომპლექტებული. მაყურებლის წინაშე ყოველ ორშაბათს ახალი ხუთეული წარდგება, რომლებიც ეთერში სტუდიური კლიპების პრეზენტაციას გამართავენ. ორმოცივე კონკურსანტის ბედი მხოლოდ მაყურებელზეა დამოკიდებული, რადგან ის საკუთარ ფავორიტს ესემესის საშუალებით ირჩევს. რაც შეეხება პროექტის ფინალსა და კულმინაციას, ეს იქნება, 10 ახალგაზრდა შემსრულებლის მზა და სრულფასოვანი მუსიკალური ვიდეორგოლი, რაც უდიდესი სტიმული და პერსპექტივაა მუსიკოსი შემსრულებლისთვის. ასე რომ, თუ გსურთ, მათ შორის თქვენთვის სასურველი ადამიანი იხილოთ, უყურეთ და დაუმესიჯეთ თქვენს ფავორიტს.

ჩვენი რესპონდენტი, Georgian Dreamers-ის ერთ-ერთი კონკურსანტი, კერძოდ, მეორე ხუთეულის წარმომადგენელი, მომღერალი გოგა მესხი გახლავთ, რომლის ესემეს ნომერია: 939 10.

რის შანსს აძლევს გოგა მესხს მუსიკალური პროექტი Georgian Dreamers და რა ოცნებას აისრულებს ის გამარჯვების შემთხვევაში

– გოგა, დავიწყოთ იმით, თუ როგორ მოხვდი მუსიკალურ პროექტში Georgian Dreamers.

– როგორც კი ამ პროექტის შესახებ შეიტყვე, მაშინვე მონაწილეობის მიღება გადავწყვიტე. რატომაც არა! სიმართლე გითხრათ, ძალიან გამიხარდა, რადგან, დამწყები მომღერალი ხარ თუ ცნობილი, კარგი ფიარი არც ერთს არ აწყენს. ჩემი აზრით კი, GDS-ის საშუალებით ეს პროექტი ძალიან კარგი ფიარია, მიუხედავად იმისა, გახვალ ფინალურ ეტაპზე თუ არა. ფავორიტ შემსრულებელს მაყურებელი და მსმენელი ესემესის საშუალებით ირჩევს. მსმენელი იმიტომ ვახსენე, რომ ეს პროექტი რადიო „ფორტუნა პლუსის" ეთერშიც ფიარდება, რადგან, პროექტის ექსკლუზიური პარტნიორია რადიო „ფორტუნა პლუსი." – ეთერში Georgian Dreamers ყოველ ორშაბათს, 23:00 საათზე გადის, სამშაბათს 13:00 საათზე გადაცემის გამეორებაა, ხოლო მთელი კვირის განმავლობაში ვიდეოები ტრიალებს GDS TV-ის ეთერში, თავისი ესემეს-ნომრებით.

– როგორ ფიქრობ, რას მოგცემს ამ პროექტში მონაწილეობა?

– პირველ ყოვლისა, მომცემს ძალიან კარგი ხარისხის ახალ ვიდეორგოლს, რაც ძალიან მახარებს. თუ შემდეგ ეტაპზე გავედი, პროექტი იძლევა იმის საშუალებას, რომ მქონდეს ევროპის დონის ძალიან სერიოზული ვიდეორგოლი. იმედი მაქვს, ათეულში ერთ-ერთი მე ვიქნები.

თუ მოგეწონათ ჩემი ნამღერი, დამიმესიჯეთ. ჩემი ესემეს ნომერია: 939 10

– კონკურსანტები საკუთარი რეპერტუარით წარდგებით მაყურებლის წინაშე თუ ვინმე გირჩევთ?

– რეპერტუარს თავად ვირჩევთ, უფრო ზუსტად რომ გითხრათ, აუცილებლად უნდა იყოს შენი დაწერილი ან შენთვის დაწერილი სიმღერა. ანუ, ამ პროექტში „ქავერები" არ არის. სიმღერა „არ მოხდება!" ლილიკო ნემსაძემ დამიწერა, ხოლო ტექსტი – ნანა ცინცაძემ.

– მსმენელი გოგა მესხს კარგად იცნობს და, აქედან გამომდინარე, ალბათ, მათი მხარდაჭერის იმედიც გაქვს. როგორია შენი პროგნოზი?

– ჩემი მსმენელი ნამდვილად მყავს. შანსები არის, მაგრამ, რომ გითხრა, ორმოცდაათი-ორმოცდაათზე-მეთქი – არა, ვფიქრობ, ცოტა მეტი უპირატესობა მაქვს, თუმცა არაფერს გამოვრიცხავ. ყველა კონკურსანტის სიმღერა არ მომისმენია, მაგრამ, რაც მოვისმინე, მივხვდი, რომ ძალიან ნიჭიერი თაობა მოდის, რაც გულწრფელად მიხარია. იქნებ, ეშველოს რამე ქართულ შოუ-ბიზნესს.

– ესემესები ყველა ქსელის აბონენტისთვის არის ხელმისაწვდომი?

– დიახ. ესემესების გამოგზავნა, რომლის ღირებულებაც 20 თეთრს შეადგენს, ყველა ქსელის აბონენტს შეუძლია. ასე რომ, გვიყურეთ და დაგვიმესიჯეთ.

– როგორ ფიქრობ, პროექტში მონაწილეობის დროს თუ აქვს მნიშვნელობა კონკურსანტის გამოცდილებას?

– გამოცდილებას მნიშვნელობა ნამდვილად აქვს, თუმცა, მთავარი მაინც ის არის, იმ მომენტში როგორ იმღერებ. ვფიქრობ, დამწყები შემსრულებლებისთვის ძალიან კარგია ამ პროექტში მონაწილეობა, რადგან, მათთვის ეს ერთგვარი ტრამპლინიც იქნება. ოდესღაც მეც ვიყავი დამწყები მომღერალი და გამოცდილი მაქვს ეს ყველაფერი.

– მთავარი პრიზი რა არის?

– ძალიან ძვირად ღირებული, მაღალი ხარისხის ვიდეორგოლი, რომლის გადაღებაც დაახლოებით რამდენიმე ათეული ათასი ჯდება. ძალიან მინდა, დასკვნით ეტაპზე ერთ-ერთი კონკურსანტი მე ვიყო. ხუთიოდე წლის წინ მქონდა საშუალება, რომ ჩემი ვიდეორგოლი ევროპულ MTV-ზე დატრიალებულიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, უსახსრობის გამო ეს არ მოხერხდა. ერთეულია, ალბათ, მომღერალი, ვისი ოჯახიც ისეთი ძლიერია, რომ შვილს ორმოცი-ორმოცდაათი ათასი დოლარის ღირებულების კლიპს გადაუღებს. ამიტომაც ვერ დავატრიალე მაშინ ჩემი კლიპი ევროპაში. იმედი მაქვს ამ პროექტის საშუალებით ეს ოცნება ამიხდება. რატომაც არა.

– ახლა, ინტერვიუს დასასრულს, შეგიძლია, მიმართო იმ მაყურებელსა და მსმენელს, ვისგანაც მხარდაჭერას ელი.

– თუ მოგეწონათ ჩემი ნამღერი, დამიმესიჯეთ. ჩემი ესემეს ნომერია: 939 10.

– წარმატებას გისურვებ!

– დიდი მადლობა!

მარიკა ხიდურელი

ინტიმური საუბრები

ჩემი ოჯახის ტრაგიკული საიდუმლო

დედაჩემს ჰყავდა ტყუპისცალი და, რომელიც ძალიან მიყვარდა, მაგრამ, რაც თავი მახსოვს, ერთმანეთს არ ელაპარაკებოდნენ. დეიდაჩემსაც ვუყვარდი და, რადგან იცოდა, რომ დედაჩემი ამის უფლებას არ მისცემდა, მის ჩუმად მნახულობდა ხოლმე – სანამ პატარა ვიყავი, საბავშვო ბაღში მაკითხავდა, რომ წამოვიზარდე – სკოლაში, თან, სულ საჩუქრებით მოდიოდა. ყოველთვის ვერა, მაგრამ, ზოგჯერ დედა მაინც იგებდა ხოლმე ამ ვიზიტების შესახებ და საშინლად ბრაზდებოდა – თავის დას ლანძღავდა, მის მოტანილ სათამაშოებს კი მიყრიდა. მე ძალიან განვიცდიდი მათ ასეთ ურთიერთობას, მაგრამ, შიშით ვერაფერს ვეკითხებოდი, რა იყო ამ ყველაფრის მიზეზი. რაც შეეხება მამაჩემს, საერთოდ არ ერეოდა დების საქმეში. მხოლოდ ერთიორჯერ მახსოვს, როცა მამამ დედას უთხრა (თავის დას რომ ლანძღავდა) – აღარ დაიღალე ამ სისულელის გამო ნერვებს რომ იშლიო? ამ სიტყვებზე დედა ისე გადაირია, სულ ცოფები ჰყარა, მამაჩემიც გალანძღა და რაც ხელში მოხვდა, ყველაფერი დალეწა. ვერაფრით რომ ვერ დააწყნარა, მამამ მომკიდა ხელი და იქაურობას გამარიდა.

ზოგადად, დედაჩემი ძალიან წყნარი და მშვიდი ქალი იყო, მაგრამ, როგორც კი საქმე დეიდაჩემს შეეხებოდა, გიჟს ემსგავსებოდა.

რომ გავიზარდე, ძალიან ჩამაფიქრა ამ ამბავმა. გარდა იმისა, რომ თავად ფაქტი მაწუხებდა, ინტერესით ვკვდებოდი, რა უნდა ყოფილიყო ტყუპი დების ასეთი ურთიერთობის მიზეზი. ერთხელ (მაშინ უკვე სკოლას ვამთავრებდი) დედას ბოდიშის მოხდით ვკითხე, გამაგებინე, ასეთი რა დაგიშავა დეიდაჩემმა, რომ შენი ცხოვრებიდან ამოშალე და მისი სახელის ხსენებაც კი ჭკუიდან გშლის-მეთქი. დედაჩემს მაშინვე შეეცვალა სახე, შევატყვე, რომ ძალიან აეშალა ნერვები, მაგრამ, როგორლაც მოთოკა თავი და მითხრა: ეს შენი საქმე არ არის, არც სხვისი, მარტო ჩვენ ორს გვეხება. არის შეცდომები, რომელთა პატიებაც შეუძლებელია, თუნდაც ასი წელი იცოცხლოს ადამიანმა. მეტს არაფერს გეტყვი და, ძალიან გთხოვ, ამ თემაზე აღარ დამელაპარაკოო. მაინც გავბედე და ვუთხარი: მას ხომ ჩვენ მეტი არავინ ჰყავს-მეთქი (დეიდა გაუთხოვარი იყო). არ მაინტერესებს, მე ამ თემაზე ლაპარაკი დავამთავრეო. პასუხმა არ დამაკმაყოფილა და შესაფერისი დრო რომ შევურჩიე (დედაჩემი მაღაზიაში იყო წასული), მამაჩემი დავიმარტოხელე და იმას ჩავაცივდი – გამაგებინე, რა ხდება-მეთქი, მაგრამ, იმანაც, რომ იტყვიან, თავიდან მომიშორა. ერთადერთი, ვინც ამ კითხვაზე პასუხს გამცემდა, დეიდა იყო, თუმცა, მას ასეთ რამეს ვერ ვკითხავდი.

ერთ დღეს (მაშინ უკვე სტუდენტი ვიყავი) ვიღაც ქალმა დამირეკა და მითხრა: დეიდაშენის მეზობელი ვარ და მისი დავალებით ვრეკავ. ძალიან ცუდად არის და, გთხოვა, მასთან მოხვიდეო.

დეიდასთან რამდენჯერმე ვიყავი ნამყოფი (დედაჩემის ჩუმად) და ვიცოდი, სადაც ცხოვრობდა. მივხვდი, რომ, რადგან მეზობელს დაარეკვინა, მართლა ძალიან ცუდად იყო და იმ საღამოსვე წავედი მასთან, დედას კი ვუთხარი, გოგოებთან მივდივარ-მეთქი. სადარბაზოსთან სასწრაფო დახმარების მანქანა იდგა. კიბეები ავირბინე და ოთახში რომ შევვარდი, იქაურობა ექიმებითა და მეზობლებით იყო სავსე. დეიდაჩემი თვალებდახუჭული იწვა საწოლში, ექთანი კი რაღაც ნემსს უკეთებდა. მეზობლებმა ცნობისმოყვარე თვალები დამიწყეს თვალიერება და ერთმანეთს რაღაცა გადაუჩურჩულეს. მე დაბნეული ვიდექი და არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. მერე მათ ერთი ქალი გამოეყო, ხელი ჩამკიდა, მეორე ოთახში გამიყვანა და მითხრა: დღეს მე დაგირეკე. უკვე დიდი გოგო ხარ, თანაც, შენ მეტი არავინ ჰყავს. ჩვენ ძალიან ახლო მეგობრები ვიყავით და, ამიტომ, მე მთხოვა, შენთვის ყველაფერი მომეყოლა. ერთი თვის წინ, სრულიად მოულოდნელად, ქუჩაში ცუდად გახდა და გულწასული წაიქცა. სასწრაფომ საავადმყოფოში რომ მიიყვანა, ექიმებმა ფილტვის კიბო დაუდგინეს, მეოთხე სტადია. მაშინვე მითხრეს, რომ დიდი დღე აღარ ეწერა. ახლა უკვე წუთები აქვს დათვლილი. დილით მითხრა, არ მინდა, ისე მოვკვდე, რომ ჩემს დასთან არ მოვინანიო ჩემი დანაშაული, მაგრამ, ის არც მოვა და არც მომისმენს, ამიტომ, მაიკოს დაურეკე და უთხარი, თუ მე ვერ შევძელი ლაპარაკი, შენ უნდა უთხრა სიმართლეო. როგორც ხედავ, ლაპარაკის თავი აღარ აქვს, ამიტომ, მე მომინდევს მისი უკანასკნელი სურვილის შესრულებაო.

სიმართლე გითხრათ, ყველანაირ ისტორიას ველოდი, გარდა იმისა, რაც მოვისმინე. თურმე, დედაჩემი მამაჩემს რომ გაჰყვა ცოლად, რამდენიმე თვე დედას მშობლებთან ცხოვრობდნენ, რადგან, მამას ბინა არ ჰქონდა, ბებია, ბაბუა და დეიდაჩემი კი ორსართულიან სახლში ცხოვრობდნენ. თავიდან ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ, ერთ დღეს, როცა დედა მეგობრებთან ყოფილა წასული, მამა სახლში ნასვამი მოსულა და სამზარეულოში დეიდაჩემთან დაუწყია არშიყობა. თუმცა, „არშიყობა“ კიდევ მსუბუქი ნათქვამია. საწყალი გოგო ატირებულა და სამზარეულოდან გაქცევა უცდია (იმ დროს, ეტყობა, არც ბებია და ბაბუა იყვნენ სახლში, თორემ, მამაჩემი, სიმთვრალის მიუხედავად, ამდენს ვერ გაბედავდა), მაგრამ, ამ ნაძირალა კაცს კუთხეში მიუმწყვდევია, კოცნა დაუწყო და თან ეხვეწებოდა – ჩემი საყვარელი თუ გახდები, დედოფლად გაქცევ, ჩიტის რძეს არ მოგაკლებ და ხელისგულზე გატარებო. საწყალ დეიდაჩემს ხმამაღლა დაუწყია ტირილი, თან ემუდარებოდა, გამიშვიო და თავიდან იშორებდა, ის კი მაინც არ ეშვებოდა და ხელებს უფათურებდა. სწორედ ამ ბღლარძუნში ყოფილან, დედა რომ წამოსდგომია თავს. შეშინებულ მამაჩემს დეიდაჩემისთვის ხელი გაუშვია და ისიც გაქცეულა თავის ოთახში, გაოგნებულ დედაჩემს კი, იმის ნაცვლად, რომ მამაჩემს ბოდიში მოეხადა და მოენანიებინა, უნამუსო ტყუილები დაუხვავა: ჩემთვის ვიჯექი და ჩაის ვსვამდი, შენი და რომ შემოვიდა, სიყვარულში გამომიტყდა და მეხვეწებოდა, მომეფერეო. მე თავიდან ვიშორებდი, ის კი ძალით მეკვროდა მთელი სხეულით და ერთად დაწოლას მთავაზობდაო.

ეს რომ გავიგე, ისე შემძულდა მამაჩემი, იქ რომ ყოფილიყო, ალბათ, მკვლელობას ჩავიდენდი. მაგრამ, გაოგნებული დავრჩი დედას პოზიციით: როცა თავის დას შეუვარდა ოთახში და ახსნა-განმარტება მოსთხოვა, საწყალმა გოგომ ყველაფერი ისე უამბო, როგორც მოხდა, მაგრამ, დედაჩემმა მისი კი არა, თავისი ნაძირალა ქმრის ტყუილები დაიჯერა და, რა თქმა უნდა, მშობლების სახლიდან სკანდალით წავიდა მამაჩემთან ერთად, ტყუპისცალი და კი სამუდამოდ ამოშალა თავისი ცხოვრებიდან.

იმ საღამოს დეიდაჩემი გარდაიცვალა. მეორე დღეს იმ მეზობელმა ანდერძი და საბუთები გადმომცა, რომელშიც ეწერა, რომ დეიდაჩემი მთელ თავის ქონებას მე მიტოვებდა.

დედამ დის სიკვდილი რომ გაიგო, ძალიან განიცადა, მაგრამ, პანაშვიდებზე მაინც არ წავიდა. გასვენების წინა საღამოს კი საშინელი სისასტიკე გამოვიჩინე: ჩემი მშობლები დავსვი და ყველაფერი, რაც მეზობლისგან გავიგე, ორივეს ერთად მოვუყევი. მამაჩემი პირდაპირ დავადანაშაულე მომხდარში, არაკაცი და ნაძირალა ვუწოდე, თან, გამოვუცხადე, რომ მის შვილობაზე ვამბობდი უარს და დედის გვარზე ვაპირებდი გადასვლას. დედაჩემს კი ვუთხარი – თუ მაინც ამ ლაჩარ კაცუნასთან აპირებ ცხოვრების გაგრძელებას, თვალით ვეღარ მნახავ-მეთქი. მერე კი კატეგორიულად მოვთხოვე – ხვალ გასვენებაში მარტო წამოხვალ, უამისოდ, შენი დის სულს ბოდიშს მოუხდი და ყველაფრისთვის პატიებას სთხოვ-მეთქი. მერე ავდექი და დეიდას სახლში წავედი, რომ მისთვის უკანასკნელი ღამე გამეთია და მეც მეთხოვა პატიება ჩემი და ყველა ჩემიანის ნაცვლად.

დედა მართლაც მოვიდა გასვენებაში. შავები ეცვა და თვალები ტირილისგან ჰქონდა დასიებული. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან გაუჭირდა, მაინც დასძლია თავს, ჩაეხუტა თავის დას და ტირილით, ხმამაღლა სთხოვა მის სულს პატიება. ისე გულით ტიროდა და მოთქვამდა, დარწმუნებული ვარ, მიუტევა დეიდაჩემმა.

იმ დღიდან მე და დედა დეიდას ბინაში გადმოვედით და ჩვენი ნივთები წამოვიღეთ. მე შევასრულე ჩემი მუქარა – დედის გვარი მივიღე და მამის სახელად ბაბუაჩემის სახელი ჩავაწერინე. ყოფილმა მამაჩემმა ვეღარ გაბედა ჩემთან მოსვლა „ახსნა-განმარტებებისა“ და ახალი ტყუილების სათქმელად. ამიტომ, როცა შევუთვალე, ეგ ბინა უნდა გავყიდო და ყველას ჩვენ-ჩვენი წილი გვერგება-მეთქი, უსიტყვოდ დამეთანხმა. როგორც მერე გავიგე, თავისი წილი ფულით სადღაც გარეუბანში უყიდია ერთოთახიანი ბინა, მას შემდეგ კი აღარაფერი შემიტყვია მამაზე, რომელიც ოდესღაც სიგიჟემდე მიყვარდა და კაცობის ეტალონად მიმაჩნდა.

რაც შეეხება დედას, დეიდაჩემის სიკვდილის შემდეგ ეკლესიაში ათენებს და აღამებს და უფალს შენდობას ევედრება, დის საფლავზე კი ყოველდღე დადის და საათობით ელაპარაკება თავის ტყუპისცალს, რომლისთვისაც 25 წელი ხმა არ გაუცია.

მაიკო, 29 წლის.

რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ SMS-ები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 595 40-76-78. ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@yahoo.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.

მსოფლიოს 25 ყველაზე სექსუალური მოდელი

გამოქვეყნდა ახალი პროფესიონალური რეიტინგი – „მსოფლიოს 25 ყველაზე სექსუალური მოდელი“. შეფასების კრიტერიუმი იყო არა მხოლოდ გარეგნობა, არამედ, ისეთი მონაცემები, როგორებიცაა: მსოფლიო მოდის მოთხოვნა; წარმატება მათი მონაწილეობით გადაღებულ რეკლამებში – ძირითადად, ქვედა საცვლების (თეთრეულის); ასევე, პოპულარული ჟურნალების პრიალა ყდებზე მათი გამოჩენის სიხშირე და კულტურული გავლენაც კი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს რეიტინგი იმის მაჩვენებელია, თუ როგორ გარდაიქმნება სექსუალური გარეგნობა დიდ შეკვეთებში, რასაც შედეგად დიდი ფული მოაქვს.

ამ საქმეში, როგორც ჩანს, ბრაზილიელები დაწინაურდნენ. სწორედ ისინი იკავებენ რეიტინგის პირველ და მეორე ადგილებს – ადრიანა ლიმა და ჟიზელ ბუნდჰენი. სულ სიაში ამ სამხრეთამერიკული ქვეყნის 8 წარმომადგენელია.

ყველაზე მაცდუნებელი ლამაზმანების „მომწოდებელი“ მეორე ქვეყანა ამერიკის შეერთებული შტატებია. ამერიკელი კეტი აპტონი მესამე ადგილზეა. სიაში შევიდა კიდევ ოთხი მისი თანამემამულე. მათ გარდა, რეიტინგში 3 ნიდერლანდელი და 2 რუსი გოგონაა: ანა ვიალიცინა და ირინა შეიკი. ვიალიცინამ, რომელიც უცხოეთში ცნობილია, როგორც Anne V, პატარა როლი შეასრულა ფილმში „კერკეტი კაკალი: კარგი დღე სიკვდილისთვის“. ირინა შეიკის ნამდვილი გვარი შაიხლისლამოვაა, მისი მამა თათარი იყო. ირინას მჭიდრო კავშირი აქვს ცნობილ პორტუგალიელ ფეხბურთელთან კრიშტიანუ რონალდუსთან. ტოპ-25-ში შედიან, ასევე, მოდელები დიდი ბრიტანეთიდან, ავსტრალიიდან, ლიტვიდან, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან, ნამიბიიდან და ისრაელიდან. სექსუალურ რეიტინგში მოხვედრილი ყველა გოგონა თანამშრომლობდა ან ახლა თანამშრომლობს მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ, ქალის თეთრეულის ამერიკულ კომპანია Victoria Secret-თან. ბევრი მათგანი, ასევე, გადაღებულია ცნობილ ეროტიკულ კალენდარ Pitelli-სთვის.

სექსუალური მოდელების ტოპ-25 კი ასე გამოიყურება: 1. ადრიანა ლიმა (ბრაზილია, 31 წლის), 2. ჟიზელ ბუნდჰენი (ბრაზილია, 32 წლის), 3. კეიტ აპტონი (ამერიკის შეერთებული შტატები, 20 წლის), 4. კენდის სვეინპოლი (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, 24 წლის), 5. როზი ჰანტინგტონ-უაიტლი (დიდი ბრიტანეთი, 25 წლის), 6. მირანდა კეპი (ავსტრალია, 29 წლის), 7. ალექსანდრა ამბროსიო (ბრაზილია, 31 წელი), 8. დაუთზენ კრუსი (ნიდერლანდები, 28 წლის), 9. ლარა სთოუნი (ნიდერლანდები, 29 წლის), 10. იზაბელ ფონტანა (ბრაზილია, 29 წლის), 11. ანა ვიალიცინა (რუსეთი, 26 წლის), 12. იზაბელ გიულარი (ბრაზილია, 28 წლის), 13. ირინა შეიკი (რუსეთი, 27 წლის), 14. ბეატი პრინსლუ (ნამიბია, 23 წლის), 15. ერინ ჰეზერტონი (ამერიკის შეერთებული შტატები, 24 წლის), 16. ალისა მილერი (ამერიკის შეერთებული შტატები, 23 წლის), 17. ბარ რაფაელი (ისრაელი, 27 წლის), 18. ლილი ოლდრიჯი (ამერიკის შეერთებული შტატები, 27 წლის), 19. ედიტა ვილკევიჩუტე (ლიტვა, 24 წლის), 20. ლინდსი ელინგსონი (ამერიკის შეერთებული შტატები, 28 წლის), 21. ანა ბეატრის ბაროსი (ბრაზილია, 30 წლის), 22. ემანუელა დე პაულა (ბრაზილია, 23 წლის). 23. სინტია დიკერი (ბრაზილია, 26 წლის), 24. მარლო ჰორსტი (ნიდერლანდები, 24 წლის), 25. ლეის რიბეირო (ბრაზილია, 20 წლის).

კოსმოსური ზონდი მზის სისტემის საზღვრებს მასცდა

კოსმოსურ სივრცეში 1977 წელს „ნასას“ მიერ გაშვებულმა საპლანეტთაშორისო ზონდის – „ვოიაჯერ 1-ის“ გადაადგილებების გამო, მეცნიერებმა ურთიერთსაწინააღმდეგო დასკვნები გააკეთეს. გამოჩნდა განცხადებები, რომ აპარატმა გადაკვეთა ჰელიოსფეროს საზღვარი და გახდა ისტორიაში პირველი ხელოვნური ობიექტი, რომელმაც დატოვა მზის სისტემა. თუმცა, ამერიკის კოსმოსურ სააგენტოში ეჭვი შეეპარათ ამ ინფორმაციის სინამდვილეში. როგორც „ნასას“ პრესრელიზში პროექტის მონაწილე ედუარდ სტოუნი წერს: „ვოიაჯერ 1-ს“ ჯერ არ დაუტოვებია მზის



სისტემა. ზონდმა მხოლოდ მიაღწია „მაგნიტურ ტრასას“, ანუ, ჩვენი პლანეტათა სისტემის საზღვარს და მას უახლოეს თვეებში დატოვებს.

ნიუ-მექსიკოს შტატის უნივერსიტეტის თანამშრომელმა ბილ ვებერმა ეს მოვლენა შემდეგნაირად ახსნა: „როგორც ჩანს, „ვოიაჯერ 1-მა“ დატოვა რეგიონი, რომელიც მზის ზემოქმედებაზეა დამოკიდებული. მისი მონაცემები აჩვენებს წყალბადისა და ჰელიუმის ისეთ მახასიათებლებს, რომლებიც, როგორც მოელოდნენ, ვარსკვლავთშორის არეში დაიკვირვებიან“. მზის სისტემის საზღვრად ითვლება ჰელიოსფერო, მის საზღვარს იქით კი იწყება ვარსკვლავთშორისი სივრცე, რომლის თვისებები უკვე აღარ არის დამოკიდებული არც მაგნიტურ ველზე, არც დამუხტული ნაწილაკების ნაკადზე, რომლებიც მზისგან გამოდიან.

მეცნიერთა მონაცემებით, 2012 წლის 25 აგვისტოს, ზონდმა, რომელიც იმ მომენტისთვის იმყოფებოდა 127,7 ასტრონომიული ერთეულის (დედამიწის ორბიტის საშუალო რადიუსი) მანძილზე მზიდან, გადმოსცა ცნობები სხვადასხვა წარმოშობის კოსმოსური სხივების ნაკადში მკვეთრი ცვლილებების შესახებ – რამდენიმე დღის განმავლობაში პროტონებისა და ალფა ნაწილაკების ნაკადი დაახლოებით 300-500-ჯერ შემცირდა. ამ დროს გალაქტიკური კოსმოსური სხივების ინტენსივობა ორჯერ გაიზარდა, რაც უნდა მომხდარიყო ვარსკვლავთშორისი სივრცის უახლოეს არეში. მართალია, მიღებული მახასიათებლები არ იძლევა საშუალებას, დარწმუნებით ვილაპარაკოთ იმაზე, რომ აპარატი ვარსკვლავთშორის სივრცეში გავიდა, მაგრამ, „ვოიაჯერ 1“ პირველი კოსმოსური აპარატია, რომელიც დედამიწიდან ყველაზე შორს გაფრინდა და პირველმა გადაიღო იუპიტერისა და სატურნის თანამგზავრების დეტალური სურათები.

აღსანიშნავია, რომ „ვოიაჯერ 1-ის“ კორპუსზე დამაგრებულია მოოქრული ფირფიტა, რომელზეც მითითებულია დედამიწის ადგილმდებარეობა, ჩაწერილია ბგერითი და ვიდეოსიგნალები.

ᲙᲐᲑᲐ 17,6 ᲛᲘᲚᲘᲝᲜ ᲓᲝᲚᲐᲠᲘᲐᲓ ᲨᲔᲤᲐᲡᲓᲐ

ქალის ყველაზე ძვირფასი აბაი – მუსლიმანური კაბა-მოსასხამი – დუბაიში შეიქმნა. მისი ღირებულება 17,6 მილიონი დოლარია.

„ეს ნამდვილად უნიკალური კაბაა. მხოლოდ უიშვიათესი წითელი ალმასის ფასმა, რომელიც ნაქარგშია გამოყენებული, 8 მილიონი დოლარი შეადგინა“, – განაცხადა ძვირფასი კაბის ავტორმა, ბრიტანელმა დიზაინერმა დები ვინგჰემმა.

„იშვიათი“ წითელი ბრილიანტების გარდა, კაბაზე პლატინაში ჩასმული 2 000 ძვირფასი ქვაა. მათ შორის, 50 გამჭვირვალე, როგორც ცრემლი და 50 შავი ბრილიანტი, თითო 2 კარატის. პლუს 1 899 წვრილი ბრილიანტი. შავ-წითელი აბაის შესაკერად, 200 ათასი გვირისტი ოქროს ძაფით გაკეთდა.

ყველაზე ძვირფას კაბას დუბაიში ერთ-ერთ სასტუმროში, დახურულ ჩვენებაზე გამოიტანენ. ამბობენ, რომ მისი ნახვის საშუალება მხოლოდ ყველაზე შეძლებულ პუბლიკას ექნება.

გასულ წელს დებიმ უკვე მოახდინა დიდი შთაბეჭდილება მოდის სამყაროზე, როდესაც წარმოადგინა ნუარის სტილში შეკერილი, 2-კარატიანი 50 შავი ალმასით ინკრუსტირებული, 5,6 მილიონ დოლარად ღირებული კაბა. მისი წონა 13 კილოგრამი იყო. ჩვენება კიევის მოდის კვირეულზე გაიმართა. ინგლისელი დიზაინერი აღიარებს, რომ აღფრთოვანებულია დუბაის კულტურით, მაგრამ, ამჯერად მას სურვილი გაუჩნდა, ტრადიციულთან ერთად, თანამედროვე ელემენტებისა და კერვის მაღალი კლასის მეთოდები გამოეყენებინა. დების კლიენტებს შორისაა კეიტ უინსლეტი, ჰილარი სუონკი, ემი სმარტი, კეტრინ ჯენკინსი, რებეკა ფერგიუსონი და დიტა ფონ ტიზი.

აბაი – მუსლიმანი ქალის ტრადიციული ზედა სამოსია. ამჟამად ის განსაკუთრებით სპარსეთის ყურის ქვეყნებშია გავრცელებული. ეს კაბა მთლიანად ფარავს ქალის სხეულს – მხრებიდან ტერფებამდე. ამავე დროს, იმდენად თავისუფლადაა გამოჭრილი, რომ გამორიცხოს სხეულზე „დაფენა“. აბაის, ტრადიციულად, აბრეშუმის ან თხელი შალის მუქი ფერის ქსოვილისგან კერავენ და მდიდრულად აფორმებენ ნაქარგებით.

გვერდი მოამზადა
ᲚᲐᲨᲐ ᲒᲐᲑᲔᲚᲘᲐᲛ



გურიაში ამბობენ, ფირალების არც ერთი გამცემი, მკვლელი თუ მოღალატე თავისი სიკვდილით არ მომკვდარა და არც მის ოჯახს გაუხარიაო

მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, გურიაში, ფირალობის სახელით ცნობილმა მოძრაობამ იჩინა თავი, რაც სოციალურ-პოლიტიკურმა კატაკლიზმებმა განაპირობა. „ფირალი“ არაბული სიტყვაა და ნიშნავს „გაქცეულს“. გურული ფირალები, იგივე „თოფიანი კაცები,” რომლებიც ტყეში იყვნენ გავარდნილნი, თურმე, ძალზედ განსხვავდებოდნენ ჩვეულებრივი ყაჩაღებისგან – მდიდარს ართმევდნენ და ღარიბს აძლევდნენ. ამასთან დაკავშირებით კინოდოკუმენტალისტმა ირაკლი მახარაძემ ძალიან საინტერესო მასალები მოიძია არქივებიდან თუ ბიბლიოთეკიდან და ფილმიც გადაიღო. ვფიქრობ, ამერიკაში გაქცეულ გურულებთან, ფირალებსა და მოჯირითეებთან დაკავშირებული თემები სასკოლო სახელმძღვანელოებშიც უნდა იქნეს შეტანილი, ვინაიდან, ეს ჩვენი ქვეყნის ისტორიაა, რაც მომავალმა თაობამ აუცილებლად უნდა იცოდეს და არ დასვას კითხვა: რა არის ფირალი?!

როგორ ამზადებდა ფირალი დათიკო შევარდნაძე ყალბ პასპორტებსა და საბუთებს და როგორ ხოცავდნენ გურულ ფირალებს

– ბატონო ირაკლი, დავიწყოთ იმით, თუ როდის და რატომ დაინტერესდით გურული ფირალების თემით.

– მამაჩემი ხშირად მღეროდა ამ სიმღერას – „ძმაბიჭებში დაჩაგრული მე ვარ სიმონა დოლიძე...” ამასთან, ერთი ამბის მოყოლაც უყვარდა: კომუნისტების დროს ერთი ფირალი მაღალ თანამდებობაზე დაუნიშნავთ, ცოტა ხანში კი მოხსნა გადაუწყვეტიათ, მაგრამ, არაფერი გამოუვიდათ. ხალხი ერთმანეთში ლაპარაკობდა: „მაი კაძახი ტყეში რომ იყო ფირალად გავარდნილი, იქიდან ვერ გამუაგდეს და ახლა კაბინეტიდან გამუაგდებენ?!” მაშინ პირველად გავიგე სიტყვა „ფირალი”. 10-12 წლისა რობინ ჰუდის პიროვნებით ვიყავი გატაცებული, მასზე შექმნილ ყველანაირ ლიტერატურას ვკითხულობდი. გურიასთან და გურულებთან დაკავშირებულ თემაზე კვლევა-ძიების შემდეგ მივედი დასკვნამდე, რომ ჩვენი ქვეყნის ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე გურულები ხშირად პირველი ვიოლინოს პარტიას ასრულებდნენ: ისინი ან ჯანყდებოდნენ, ან მთავრობაში ისხდნენ, ან ამერიკაში ჯირითობდნენ, ან კიდევ, ტყეში იყვნენ გავარდნილები. „ივერია” ყაჩაღობის ფენომენის შესახებ წერდა: „არ არის არც ერთი განათლებული ერი, რომ თავის განვითარებაში ყაჩაღობის ხანა არ გაევლოს. ყაჩაღობა ბარომეტრია, რომელიც ნათლად გვიჩვენებს ორ ერთიმეორის მოწინააღმდეგე ძალათა შორის ბრძოლის სიმწვავეს...”

– თქვენ არქივებში ბევრი მასალა მოიძიეთ და კარგად ხართ ჩახედული ფირალების ცხოვრებაში. როგორ გაჩნდნენ ისინი გურიაში, რა პერიოდში გამოიკვეთა ფირალობა, როგორი იყო მთავრობისა და ხალხის დამოკიდებულება მათდამი, ნდობას უცხადებდნენ მათ თუ რაღაც მეთოდებით ებრძოდნენ?

– ფირალობის სახელით ცნობილმა მოძრაობამ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ბოლოს გურიაში ვულკანივით ამოხეთქა. ასპარეზზე ფირალობის გამოჩენა უმეტესწილად განაპირობა სოციალურ-პოლიტიკურმა კატაკლიზმებმა – რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიამ და მისმა შედეგებმა, სახალხო აჯანყებებმა, საგლეხო რეფორმამ, რუსეთ-თურქეთის ომმა ბევრ ადამიანს ააღებინა ხელში თოფი. ფირალები იარაღითა და ძალადობით წყვეტდნენ საკუთარ პრობლემებს და თვითონაც ძალადობის მსხვერპლნი ხდებოდნენ. დროთა განმავლობაში ისინი ლამის მითიურ პიროვნებებად იქცნენ, მათზე შექმნილი ლეგენდები, ლექსები და სიმღერები კი ფოლკლორისა და ჩვენი ისტორიის განუყოფელი ნაწილი გახდა. ეს „თოფიანი კაცები” იარაღითა და ძალადობით წყვეტდნენ საკუთარ პრობლემებს და თვითონაც ძალადობრივი სიკვდილით ამთავრებდნენ სიცოცხლეს.

– ფართო საზოგადოებისთვის რომ კარგად გასაგები იყოს, ავხსნათ, რით განსხვავდებოდნენ ისინი ჩვეულებრივი ყაჩაღებისგან?

– ჯერ ვთქვათ ის, რომ „ფირალი” არაბული სიტყვაა და ნიშნავს „გაქცეულს“. გურული ფირალები ძალზე განსხვავდებოდნენ ჩვეულებრივი ყაჩაღებისგან – ისინი ართმევდნენ მდიდრებს და აძლევდნენ ღარიბებს. ვერც ერთი ყაჩაღი იმ სოფელს ვერ გაეკარებოდა, სადაც ფირალები ცხოვრობდნენ გაქცევამდე. ამიტომაც, ხალხს ძალიან უყვარდა ისინი და მხარს უჭერდა მათ, თუმცა ყველას არ შეეძლო ტყეში ფირალად გაქცევა, ვინაიდან, ეს მოითხოვდა უდიდეს ფიზიკურ ძალასა და გამძლეობას. ამიტომაც, ნამდვილი ფირალი გამოირჩეოდა სიძლიერით, სიმამაცით, სიმარჯვით და, ამასთანავე, იყვნენ არაჩვეულებრივი მსროლელები. გლეხობასა და ადგილობრივ მთავრობას შორის დავას ისინი აგვარებდნენ და გლეხს შეეძლოთ, მშვიდად გაეგრძელებინათ ცხოვრება თავიანთ სახლებში.

– როგორც ვიცი, ფირალები ორ ჯგუფად იყვნენ გაყოფილი – პირველი და მეორე ტალღის. ეს რას ნიშნავს?

– მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს მარქსის იდეოლოგიამ მოიცვა საქართველო. სამწუხაროდ, გურულებმა, რომელთა ხასიათი ყველაფერში პირველობისკენ სწრაფვაა, უმალ აიტაცეს ეს იდეოლოგია. მარქსისტებმა შექმნეს კომიტეტი და წითელი არმია. ისინი სჯიდნენ იმათ, ვინც არ იზიარებდა მათ იდეებს, ჩვეულებრივი გლეხი იყო ის თუ სახელმწიფო მოხელე. მათი სლოგანი იყო – „მე მოვკლავ დედას, მე მოვკლავ მამას, თუ რევოლუცია მოითხოვს ამას.” თუ ეს კომიტეტი სიკვდილით დასჯის განაჩენს გამოუტანდა ვინმეს, ის აუცილებლად უნდა აღსრულებულიყო. ერთადერთი ადამიანი, რომელსაც სამჯერ გამოუტანეს ეს განაჩენი და სამჯერვე გადაურჩა სიკვდილს, იყო ფირალი დათიკო შევარდნაძე, რადგან, ის ბრწყინვალე მსროლელი იყო. ტელეფონის ბოძიდან ასი ნაბიჯის სიშორიდან მაუზერის ტყვიას ახვედრებდა ტელეგრაფის მავთულს. როგორც იტყვიან, ტყვიას ტყვიაში აჯენდა. მეორე ტალღის ფირალები რადიკალურად განსხვავდებოდნენ წინა პერიოდის თანამოძმეებისგან. ისინი, როგორც გურულები იტყოდნენ „გამცემი ფირალები” არ ყოფილან. მთავრობისგან დევნილები, ტყეში იყვნენ გავარდნილი. ისინი ბომბებით, მაუზერებითა და მარქსისტული იდეებით შეიარაღებული მეამბოხეები, ყოველ წუთას მზადყოფნაში იყვნენ, რათა არსებული ხელისუფლება დაემხოთ და თვითონ გაბატონებულიყვნენ, რაც რამდენიმე წლის შემდეგ მშვენივრად განახორციელეს კიდეც.

სიმონა დოლიძეს რევოლუციის დამარცხების შემდეგ პოლიცია დასდევდა. მაშინ გავარდა ტყეში ფირალად და პარტიზანებს შეუერთდა. ის მონანილეობდა რკინიგზის ლიანდაგების აყრაში, ძარცვავდა ბანკებს, ფოსტებსა და მატარებლებს. სიცოცხლეს გამოასალმა მრავალი ჯაშუში და ბერხუცესი, არა მხოლოდ გურიაში, არამედ, რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ადგილებში. დოლიძემ გასცა ფირალები. თურმე, უსამართლობას რომ ნახავდა, პასუხის გაუცემლად არ დატოვებდა. არავინ იცის, ამ ლმობიერი სახის პატრონმა რამდენი ადამიანი გაისტუმრა საიქიოს.

– ახლა კი დათიკო შევარდნაძეზე მოგვიყევით.

– გადმოცემით, შევარდნაძე ლომი იყო. ვისაც არ ჰყავდა ნანახი და უცბად ნახავდა, იფიქრებდა – აგი იქნება შევარდნაძეო. სკოლის დამთავრების შემდეგ ოზურგეთის პროგიმნაზია დაამთავრა, ამის მერე სამი წელი მუშაობდა ნოვოროსიისკში პორტის მუშების უფროსად. მან ბრწყინვალედ იცოდა რუსული. სხვადასხვა დროს ბასილეთის, ლიხაურის, ასკანის, ჩოხატაურის საზოგადოების მწერლად მსახურობდა. პოეტური ნიჭითაც ყოფილა დაჯილდოებული. საკუთარ ცოდნას ის კომიტეტს ახმარდა – ხან ყალბ პასპორტებს აკეთებდა, ხან – სხვადასხვა საჭირო საბუთებს. ამბობენ, შესანიშნავი ჩუბინი იყო – ტყვიას აბრეშუმის ძაფს არტყამდაო. მას მაუზერით შეეძლო ტელეგრაფის მავთულის გაწყვეტა. არსებობს ასეთი გახსენება: ბავშვები, თურმე, ტელეგრაფის მავთულს ესროდნენ და ვერ ახვედრებდნენ. ეს დათიკოს დაუნახავს და უთქვამს: თუ გინდათ, რომ მოარტყათ, ქვედა მავთულს უნდა დაუმიზნოთო. ეს თქვა, დააძრო მაუზერი და ერთი გასროლით გაწყვიტა (მაუზერი რუსეთის იმპერიაში მეოცე საუკუნის დასაწყისში გაჩნდა და მაშინვე იქცა გურული ფირალების საყვარელ იარაღად). საგანს ერთხელ შეხედავდა და ხელუკუღმა მიზანში არტყამდა. მისი ცოლი იხსენებდა: „ერჯელ, დამთვრალიყო და დამაჩემდა: დადექი ეზოში კვერცხს დაგადოფ თავზე და ტყვია თუ მუახვედრო კვერცხსო... ვარი არ გამივიდა. დაზომა სამოცი ნაბიჯი, დამადვა თავზე კვერცხი, ესროლა ტყვია და კვერცხი თავიდან გადაადგო.” ხალხში მის შესახებ ლეგენდები დადიოდა: შევარდნაძე მონუსხულია, მას ტყვია ვერაფერს დააკლებსო. ერთხელ, გაიგეს, რომ ბახმაროში იმალებოდა და მის ასაყვანად პრისტავი სტრაჟნიკებთან ერთად წავიდა. გზაში მათ შევარდნაძე დახვდათ და შესძახა: გაგწყვიტავთ ყველასო. შემინებული „სტრაჟა“ კუდამოძუებული გაბრუნდა უკან. ოზურგეთში მისვლისას კი თავის მართლება დაიწყეს: „თავს ხომ არ მუაკლიებდით იმ გადარეულსო... გაგწყვეტთო, პირში ზარბაზანი ქონდავო”. ხალხში ამის შესახებ ხმა დაირხა და ყველა დათიკოს ეხუმრებოდა: „ბიჭო, პირში ზარბაზანი რუმ გქონდა, რა უყავიო?” დათიკომ ამაზე ბევრი იცინა. მის შესახებ ჭაბუა ამირეჯიბი წერდა: გამიგონია, გურიის ერთ-ერთ სოფელში გლეხკაცს სახლში ყაჩაღი შეეჭრა, გაძარცვა და თვალწინ ცოლიც გაუუპატიურა. დათიკო შევარდნაძემ – ედუარდ შევარდნაძის პაპის ძმამ – ის ყაჩაღი შეურაცხყოფილ გლეხკაცს ხელებგაკოჭილი მიუყვანა, რევოლვერი გაუწოდა და უთხრა: ესროლე ამ ძაღლიშვილს, მკვლელობას ჩემს თავზე ავიღებო. გლეხკაცმა უპასუხა: კაცის მოკვლის ცოდვას ვერ დავიდებ, ღმერთმა მიუზღოსო.

– ჩვენი საუბრის დასაწყისში თქვით, შევარდნაძეს სამჯერ გამოუტანეს სასიკვდილო განაჩენი და სამჯერვე გადაურჩა სიკვდილსო. ეს როგორ?

– დიახ, გურიის რევოლუციურმა კომიტეტმა სამჯერ მოაწყო ტერაქტი, მაგრამ, ის სამჯერვე გადაურჩა სიკვდილს. ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, რადგან, როგორც წესი, კომიტეტის მიერ მიზანში ამოღებულ მსხვერპლს ვერაფერი შველოდა – ის უნდა განადგურებულიყო. მასზე ნადირობა მუდმივად გრძელდებოდა. აი, რას გადმოს-

ცემს ასკანის მამასახლისი ივანე მეგრელიძე: „ასკანაში ეგზეკუცია იყო ჩამოყენებული. მთავრობის მამასახლისი იყო ჭვანელი თათარი, გვარად ქათამაძე რეშიდა. იმას ახლდა ოთხი სტრაჟნიკი. მაგენს ჯამაგირს აძლევდა საზოგადოება. ამით დაშტრაფული იყო. ესენი ცხოვრობდნენ კანცელარიაში. ეძებდნენ შევარდნაძეს. გვაბრათს დუქნები იყო. ხალხი იყო დუქნის წინ. სტრაჟნიკი ერთადერთი იყო. სხვები სადღაც-სადღაც ნასული. დათიკო მოდის თურმე ზეიდან, ეს ფირალი ფეხით. სტრაჟნიკი ვერ იცნობს დათიკოს. ვიღაცამ დაიძახა „დათიკო შევარდნაძე მუაო". კლასს აქეთ დუქანია, დათიკომ მიაღწია კლასს. გაუპირისპირა. თათარმა დაინახა, პლაში ჰქონდა მოხვეული. დუქნის წინ ჭა იყო. ამ თათარმა თოფს მოკიდა ხელი და უნდა ჭის თავთან ჩაუსაფრდეს დათიკოს. დათიკომ მოასწრო, ესროლა და მოკლა იქვე. მე ფიცი მიმაღებინეს (როცა მამასახლისად აირჩიეს) ოზურგეთში, მაგ თათარი ვნახე მაშინ. მე იმ დროს შინ ვიყავი. სტრაჟნიკი მოკლა დათიკომ. საზოგადოება დაიძრა. ხალხმა თავი მოიყარა. მთავრობის მამასახლისმა „ლაპორტი" მისცა პრისტავს, პრისტავმა „უეზდნი ნაჩალნიკს" აცნობა. ასკანას მოვიდა პრისტავი, მერე უეზდნი ნაჩალნიკი მის ჯართან, ხალხი დაშტრაფეს 3 000 მანეთით. კუბო გაგვაკეთებინეს, ხალხი გამოაწყეს ნასასვენებლად. 3 000 მანეთი 24 საათში მოიკრიფა. სულ ოქროებით მოვიდა. მე ჯაჭვი მომივიდა (მამასახლისად არჩევის დროს), მაშინ უეზდნი ნაჩალნიკმა მომიტანა. თათარი მამასახლისობიდან გაათავისუფლა. (სტრაჟნიკი) გაასვენეს, მიასვენეს გომში. გომს იქით პრისტავმა არ გაატარა ხალხი – სისხლი არ აიღონ მისიანებმაო. ჯარი ჩამოდგა. კანცელარიაზე დგას. იყო 2-3 დღეს და წავიდნენ. იქნებოდა 40-50 კაცი, მისი ცხენებით. ხარჯი ხალხის იყო. შემდეგ მოვიდა სხვა პრისტავი 6 სტრაჟნიკით..."ამის გამო სოფელში ეგზეკუცია ჩააყენეს და მოსახლეობას უზარმაზარი გადასახდი შეაწერეს. შევარდნაძე მოთმინებიდან გამოვიდა და პრისტავს წერილი მისწერა: „... აგი წერილი მიიღოთ თვარა, მაშინათვე დატიეთ ასკანა, თვარა სულყველას ამოგხოცავთ. თუ ჩემი შეხვედრა გინდებიან, პარასკევს ჩამუალ ჩოხატაურში და დამხთიო..."

– მართალია, დათიკო შევარდნაძის დასაჭერად მთავრობამ დიდძალი თანხა დააწესაო?

– შევარდნაძის დაჭერისთვის ან მოკვლისთვის მთავრობას 800 მანეთი ჰქონდა დაწესებული. ჯილდოს მიღების ბევრი მსურველი გამოჩნდა, მაგრამ, ვერავინ მოიხელთა განთქმული ფირალი. ერთხელ ის მონამლეს კიდეც, მაგრამ, გადარჩა. სახლში რომ მისულა, როგორც ლეღვი გაგიფცქვნია, ისე სძვრებოდა თურმე კანი, – იხსენებდა მისი მეუღლე გულიჩქა. მთავრობამ ბოლოს მაინც მოინადირა დათიკო შევარდნაძე. ორი ოჯახი – ჭელიძე და სიამაშვილი ცდილობდა შევარდნაძის დაჭერას. შევარდნაძე გრძნობდა საშიშროებას და ბინას ბინაზე იცვლიდა. ერთხელაც, ღამის გასათევად მოსე ჭელიძესთან მივიდა. იქ სუფრა გაიშალა და დათიკოს მოწამლული არაყი დაალევინეს. ამის შესახებ საკუთარ მემუარებში ედუარდ შევარდნაძე წერს: „... მახსენდება მამაჩემის ბიძაშვილი დათიკო შევარდნაძე, რომელიც გურიის ერთ-ერთ სოფელში, ნასაკირალში, 1905 წელს აჯანყებულთა რაზმს მეთაურობდა. ისიც ჭუმარიტი გმირი იყო, მაგრამ, დამარცხდა და თანამებრძოლებთან ერთად ტყეს შეაფარა თავი, სადაც ერთ-ერთმა თანამებრძოლმა, მაშინდელი ხელისუფლების მიერ მოსყიდულმა პირმა მოწამლა. შევარდნაძე შეუძლოდ შეიენა. დილით კი, ნასვლა რომ დააპირა, ნახა, რომ ვინტოვკაში ხუთივე პატრონა უკუღმა იყო ჩადებული. „აგი ვინ ქნა?" – იკითხა დათიკომ. „აგი მე ვქენი, ვიმასხრე", – უთხრა თურმე მოსეს მეორე ძმამ, ფენიელ ჭელიძემ. მისი სახლში გაჩერება უნდოდათ, იცოდნენ, რომ პრისტავი სტრაჟნიკებთან ერთად უკვე ჭელიძის სახლისკენ მიიჩქაროდა. დათიკომ თავისი არ დაიშალა და გავიდა, ჭიშკართან კი ყვითლად აღენინა. მაშინ წარმოთქვა: ნამდვილად მოწამლული ვარო. ის იმდენად იყო დასუსტებული, რომ თოფი თავის თანმხლებ ბიჭს გადასცა, თვითონ კი მოლზე დაწოლას აპირებდა, რომ სული მოეთქვა. ამ დროს შეხვდა ბოქაულსა და სტრაჟნიკებს. შევარდნაძემ თოფი მოიმარჯვა და უთხრა: „მე არაფერს გერჩით, ჩაიარეთ, თავს ტყუილა უბრალოდ ნუ შემომკლავთ". „არც ჩვენ არ გერჩით," – უპასუხეს სტრაჟნიკებმა და გვერდით ჩაუარეს. როცა შევარდნაძე გორაკს მოეფარა, მათ ფირალს ზურგიდან დააყარეს ტყვია. სასიკვდილოდ დაჭრილ შევარდნაძეს მაინც მოუსწრია რამდენჯერმე გასროლა – ერთი ცხენი მოუკლავს და სტრაჟნიკი დაუჭრია..."

ᲔᲙᲐ ᲞᲐᲢᲐᲠᲐᲘᲐ

ᲒᲐᲒᲝᲜᲘᲚᲘ ᲛᲐᲥᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲒᲣᲠᲣᲚᲘ ᲤᲘᲠᲐᲚᲔᲑᲘ, ᲠᲝᲒᲘᲜ ᲯᲣᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲡᲔᲜᲐ ᲝᲥᲛᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲐᲓ, ᲙᲔᲗᲘᲚᲨᲝᲒᲘᲚᲘ ᲕᲐᲩᲐᲦᲔᲑᲘ ᲥᲝᲤᲘᲚᲐᲜ – ᲛᲔᲓᲘᲓᲐᲠᲡ ᲐᲠᲗᲛᲔᲕᲓᲜᲔᲛ, ᲦᲐᲠᲘᲑᲡ ᲐᲚᲔᲕᲓᲜᲔᲛ

(მე-10 გვერდიდან)

ვერ მოვატყუებთ, ხომ ხედავ, რამხელა აქტივობაა, ხალხს ზურგი არ უნდა შევაქციოთ და სერიოზულად დამმუხტეს ამ იდეებით. უბრალოდ, რეგისტრაცია გვინდოდა და უცებ რეალურ ბრძოლაში აღმოვჩნდით. და, თუ ბრძოლა გვინდოდა, მაშინ ოპოზიციას გაერთიანებული ძალებით და ერთიანი კანდიდატით უნდა შეეტია. ბერეზოვსკიმ საკუთარ თავზე აიღო ეს საქმე და თქვა, რომ შეძლებდა ქართველი ლიდერების ისრაელში ჩამოყვანას, დაელაპარაკებოდა ყველას და მიაღწევდნენ ერთიანი კანდიდატის, ანუ ბადრი პატარკაციშვილის გარშემო გაერთიანებას. ეს შეხვედრები შედგა, ბევრი კონსულტაცია გავიარეთ, შევხვდით დიპლომატიურ წარმომადგენლებს... სამწუხაროდ, მიუხედავად ამდენი შეხვედრისა, ეს გადაწყვეტილება ვერ იქნა მიღებული და ვერც სხვა წარმომადგენლის გარშემო გაერთიანდით, რადგან მას მიაჩნდა, რომ ხალხი მხარს მას უჭერდა. მაგრამ, ასეც არ იყო. ბადრის რეიტინგმა აინია და გაჩერილაძის რეიტინგმა დაიწია ანუ აღმოჩნდა, რომ ერთმანეთს ვუყოფდით ხმებს. ეს კი დაუშვებელი იყო. ბერეზოვსკი ამ საკითხში კატეგორიული გახლდათ, მას მიაჩნდა, რომ ნებისმიერი ხერხით უნდა მოგვეპოვებინა ხელისუფლება. ამის შემდეგ ჩვენ სადილად წავედით და მოულოდნელად მან პოზიცია შეცვალა. როგორც ჩანს, იფიქრა – ის სულ აზროვნებაში, ფიქრსა და მოძრაობაში იყო, დროს არ ხარჯავდა ტყუილად. მოულოდნელად ეუბნება ბადრის, რომ კარგი, დასთანხმდი ამათ კანდიდატურას, მაგრამ გარანტიები მოვთხოვოთო. მათ წარმომადგენელს ეუბნება – ბოლომდე მხარს დაგიჭერთ, ოღონდ ხელისუფლება უნდა მოიპოვოთო. დავინახე ერთი რამ, რომ მისთვის სულერთი იქნებოდა, ვინ მოიგებდა. მას უნდოდა, ამ ხელისუფლების კონტროლის საშუალება ჰქონოდა. ბადრისთვის კი პოლიტიკა ნამდვილად არ იყო მოწოდება და მას არ უნდოდა საქართველოს ხელისუფლება იმისთვის, რომ რუსეთთან ომი დაეწყო და კონფრონტაციაში შესულიყო. მას თავისი გეგმები ჰქონდა, თუ როგორ დაელაგებინა რუსეთთან ურთიერთობები.

– ანუ, მას საქართველო ბრძოლის იარაღად სჭირდებოდა?

– დიახ. მის სახლში ვცხოვრობდი ლონდონში და ხშირად ვსაუბრობდით. დავინახე, რომ ბადრიზე გულგატეხილი იყო და პირდაპირ მითხრა: მან ჩემი პოლიტიკური იმედები ჩაფერფლაო. ეს მისთვის კატასტროფა აღმოჩნდა, რადგან საქართველო იყო ბოლო დასაყრდენი, რომელიც რუსეთთან ბრძოლაში სჭირდებოდა. ბადრის გარდაცვალების შემდეგ, ჩემთან კონტაქტები გაწყვიტა, მაგრამ სასწრაფოდ დაიწყო ახალი კავშირების ძიება სააკაშვილის ხელისუფლებასთან საერთო ენის გამოსანახავად. მას უნდოდა, აქ ჩამოსვლა და აქედან ღია ბრძოლის დაწყება რუსეთის ხელისუფლებასთან. ნაწილობრივ ეს მან შეძლო. ამ მოვლენებს ემიგრაციიდან ვაკვირდებოდი. ის ხშირად ჩამოდიოდა საქართველოში. ეს ვიზიტები, რა თქმა უნდა, გასაიდუმლოებული იყო. მას გაუჩნდა მედიაკონტროლის საშუალებაც. საქართველოში დაიწყო რუსული ოპოზიციის ლიდერების ჩამოყვანა, რაც ძალების კონცენტრაციას ახდენდა. თუმცა, გეგმების განხორციელება ვერ შეძლო.

– როგორ გგონიათ, რეალურია მისი თვითმკვლელობა?

– ეჭვი მეპარება კი არა, თითქმის გამოვრიცხავ იმ ვერსიას, რომ მან თავი მოიკლა. სიკვდილის წინ რუსეთის ხელისუფლებას ბოდიშებს უხდიდა, რომ ის დეპრესიული და განადგურებული იყო... ყველა დამეთანხმება, რომ ის ჰიპერენერგიული ადამიანი იყო, მის სხეულში თითქოს ათასი ადამიანის ენერგია იყო ჩაბუდებული, რომელიც თავიდან ბოლომდე პოლიტიკურად მოტივირებული გახლდათ. ხუმრობით ტროიკის ვადარებდი, ბევრ რამეში ჰგავდნენ ერთმანეთს.

– ასეთი ინფორმაციაც გავრცელდა: ის თავს არ მოიკლავდა მარტო იმიტომ, რომ რელიგიური იყოო.

– არც ეს ინფორმაცია მგონია სწორი. მის რელიგიურობაში ეჭვი მეპარება. მის პრივატულ ცხოვრებას იმ დონეზე კი ვიცნობ, რომ ვთქვა, რელიგიური ადამიანები ასე არ ცხოვრობენ. კარგად ვიცნობ იმ ადგილს, სადაც გარდაცვლილი იპოვეს. ბოლოს და ბოლოს იმ ვილაში ვცხოვრობდი. ამ ვილიდან ათ-თხუთმეტ მეტრში დახურული შენობაა, საცურაო აუზი, საუნა, ჯაკუზი, საკარჯიშოებია განთავსებული და ვერ დავიჯერებ, რომ იქ მარტო შევიდა და თავი მოიკლა. საერთოდ, იქ მარტო არასდროს შედიოდა. მარტო მხოლოდ თავის კაბინეტში წერდა ნაშრომებს. ბერეზოვსკი არ იყო ის ადამიანი, ვინც დროს ტყუილად კარგავდა. ჩაკეტილიყო და დეპრესიას მისცემოდა, ასეთი რამ გამორიცხულია. საერთოდ, მასთან არ მოიწყენდი, მასთან ერთი საათიც რომ გაგეტარებინა, ის ერთი საათი სულ გემახსოვრებოდა. ორიგინალური კაცი იყო. შეეძლო, დაცვა უცებ მოეხსნა და ფეხით გაესეირნა. ერთხელ ერთად მოვდიოდით ლონდონში. ფეხით გავიაროთო მითხრა. დაცვა მოხსნა და სუში-ბარში შევიდეთ, აქ კარგი რუსი გოგოები მუშაობენო *(იცინის)*. ამით დამანახვა, თითქოს ასეთი თავისუფალი ტიპია და გამახალისა.

– მისი მექალთანეობაც ცნობილია.

– კი, ეს ყველამ იცოდა. ბერეზოვსკის ვილაში რომ ვცხოვრობდი, თვითონ ლონდონიდან წასული იყო, როცა ერთი ლიტველი მოდელი ენვია სტუმრად. უკეთესს თვალი ვერაფერს ინატრებდა. თვითონ იმ დილით თელ-ავივში გადაფრინდა. მითხრა, საღამოს აქ ვიქნებიო. მეც სტუმარს ვუთხარი, საღამოს დაბრუნდება-მეთქი. იმანაც მაშინ დავრჩებიო. დარჩა, ვუმასპინძლე. მოურავს ვუთხარი, ვახშამი მიერთმიათ, იცურავა, გაერთო. ჩვეულებრივად ვუმასპინძლე. ბერეზოვსკი არ ჩამოვიდა იმ საღამოს და დილით ეს გოგო წავიდა. მოურავმა ტელეფონი მომიტანა და ბერეზოვსკიმ რომ გაიგო, ეს გოგო ჩამოსული იყო, მკითხა, რატომ არ მიაქციე ყურადღებაო. როგორ არ მივაქციე-მეთქი და არა მე სხვა რამეს გეუბნებიო *(იცინის)*. როგორ, შენთან იყო სტუმრად-მეთქი. ჩემთან რა, ვალი კი არ მაქვს მისიო. როგორ შეგირცხვენივარ, რას იფიქრებს ქართველ კაცებზე, ლეგენდები დადისო. აქეთ დამტუქსა, არადა მეგონა, სწორად მოვიქეცი *(იცინის)*. მოკლედ, ასეთი კაცი იყო და თავად გამოიტანეთ დასკვნა, მოიკლავდა თუ არა თავს.

ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲒᲕᲔᲚᲔᲡᲘᲐᲜᲘ

ᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲧᲕᲐᲜᲐ ᲑᲝᲠᲘᲡ ᲑᲔᲠᲔᲖᲝᲕᲡᲙᲘᲛ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲘᲮᲡᲔᲜᲔᲑᲡ ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲡ ᲕᲐᲚᲔᲠᲘ ᲒᲔᲚᲑᲐᲮᲘᲐᲜᲘ

თეატრები

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
რუსთაველის გამზირი №17. ტელ.: 272-68-68

2-3 აპრილი, **სამშაბათი-ოთხშაბათი** 19.00 - **„პირველი სიყვარული“.** (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), რეჟისორი ნიკოლოზ ჰაინე-შველიძე. მონაწილეობენ: ლევან ბერიკაშვილი, ზვიად პაპუაშვილი, ქეთი ხიტირი; პრემიერა. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

4-5 აპრილი, **ხუთშაბათი-პარასკევი** 19.45 - **„ფსიქოზი 4:48“.** (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი კიტა როყვა. მონაწილეობს: ბესო ზანგურა; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

6 აპრილი, **შაბათი** 19.45 - **„ვთამაშობთ სტრინდბერგს“** - (ბილეთის ფასი - 8 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორები: რობერტ სტურუა და ანდრო ენუქიძე. მონაწილეობენ: თათული დოლიძე, ზუკა პაპუაშვილი, ლევან ხურცია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წთ.;***

7 აპრილი, **კვირა** 19.45 - **„მაგრიტის შემდეგ“.** (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), რეჟისორი გიორგი თავაძე. მონაწილეობენ: გოგა ბარბაქაძე, გელა თავბერიძე, ნინო კასრაძე, ირაკლი სანაია, ბექა სონღულაშვილი, ნანა ფაჩუაშვილი, ლევან ხურცია; კომიკური დეტექტივი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
მარჯანიშვილის ქუჩა №8, ტელ.: 295-59-66.

2 აპრილი, **სამშაბათი** 20.00 - **„ბახტრიონი“.** (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში); ლეო ანთაძის საავტორო სპექტაკლი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

3 აპრილი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„მემუარები“** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი ირაკლი გოგია. მონაწილეობენ: გურანდა გაბუნია, ოთარ მეღვინეთუხუცესი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

3 აპრილი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„სევილიელი დალაქი“.** (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 6 ლარი), რეჟისორი ბესო კუპრეიშვილი. მონაწილეობენ: მალხაზ გაბუნია, ზაალ კაკაბაძე, თეონა მაღალაშვილი, ელენე ფირცხალავა, გიორგი მებაღიშვილი, მარიამ ავალიშვილი; თოჯინების საოპერო თეატრი „აწკალა“. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

4 აპრილი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„მე, ბებია, გაგუა და ჭინკები“.** (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში). რეჟისორი გიორგი თავაძე. მონაწილეობენ: ნუგზარ ჩიქოვანი, ნინო შავგულიძე, მერაბ ბრეკაშვილი, მარინა სოლომონია, ნუგზარ წერედიანი; სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 10წთ.***

5 აპრილი, **პარასკევი** 20.00 - **„პეიზაჟს აკლია სითბო“** (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), დამდგმელი რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: ეკა ჩხეიძე, ვალერი კორშია, ლილე ფილფანი, დიმიტრი ტატიშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

6 აპრილი, **შაბათი** 20.00 - **„კრეპის უკანასკნელი ფირი“** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში). რეჟისორი ნიკოლოზ ლუარსაბიშვილი. მონაწილეობს: მარლენ ეგუტია; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20წთ.;***

6 აპრილი, **შაბათი** 20.00 - **„არტ-ხელოვნება“** - (დიდი სცენა), (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), დამდგმელი რეჟისორი თემურ ჩხეიძე. მონაწილეობენ: ზურა ყიფშიძე, მიხეილ გომიაშვილი, ალეკო მახარობლიშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

7 აპრილი, **კვირა** 20.00 - **„ქაქუცა ჩოლოყაშვილი“** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნიკა თავაძე, ნიკა კუჭავა, ლელა მებურიშვილი, იოსებ გოგიჩაიშვილი, გია ბურჯანაძე, ზურა ბერიკაშვილი, დიმიტრი ტატიშვილი, ზაზა იაქაშვილი, როლანდ ოქროპირიძე, ბექა გოდერძიშვილი, ონისე ონიანი, ლეო ანთაძე. ***ხანგრძლივობა: 3 სთ.;***

7 აპრილი, **კვირა** 20.00 - **„ჩემი ჰამლეტი“** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში). რეჟისორი ბესო კუპრეიშვილი. მონაწილეობენ: ქეთევან ცხაკაია, ელენე ფირცხალავა, ზაალ კაკაბაძე, ვახტანგ ქორიძე, გიორგი მებაღიშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი.***

თავისუფალი თეატრი
რუსთაველის გამზირი №2, ტელ.: 298-58-21.

2 აპრილი, **სამშაბათი** 19.00 - **„ჯინსების თაობა“** - (ბილეთის ფასი - 6, 12, 14 ლარი), რეჟისორი დათო დოიაშვილი. მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, ნანა დარჩიაშვილი, გოგა ჩხეიძე, დიმა მერაბიშვილი, მერაბ ყოლბაია, აპოლონ კუბლაშვილი, ლელა მეტრეველი, ჯაბა კილაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;***

3 აპრილი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„მერე რა რომ სველია სველი იასამანი“** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 11 ლარი), რეჟისორი გოგი თოდაძე. მონაწილეობენ: გიორგი ბახუტაშვილი, ოთარ ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ ფაიქრიძე, მედეა ჯიბლაძე, თამარ თავხელიძე, თამარ აზნარაშვილი, მარიამ ქარქაშაძე, დავით კოლელიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

4 აპრილი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„წვიმის გამყიდველი“** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი ნუგზარ ლორთქიფანიძე. მონაწილეობენ: ქეთა ლორთქიფანიძე, სანდრო მარგალიტაშვილი, მამუკა მუმლაძე, გიორგი ჯიქია, ლაშა გურგენიძე, შაკო მირიანაშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

5 აპრილი, **პარასკევი** 19.00 - **„მექანიკური ფორთოხალი“** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: სლავა ნათენაძე, აპოლონ კუბლაშვილი, ჯაბა კილაძე, სანდრო მარგალიტაშვილი, მიშა არჯევანიძე, ანი ალადაშვილი, მაშო მელქაძე, ლაშა გურგენიძე. 16 წლამდე ასაკის ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;***

6 აპრილი, **შაბათი** 19.00 - **„მიყვარხარ! მიყვარხარ! მიყვარხარ!“** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), პიესის ავტორი და რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: მარიამ ჯოლოგუა, აპოლონ კუბლაშვილი, ანი ალადაშვილი, გიორგი ჯიქია, კახა მიქიაშვილი, მამუკა მუმლაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;***

7 აპრილი, **კვირა** 19.00 - **„ვალსი ძილის წინ“** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: ქეთა ლორთქიფანიძე, მაია დობორჯგინიძე, მარიამ ჯოლოგუა, თამუნა ნიკოლაძე, თიკო კორძაძე, სალომე ჭულუხაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

ახმეტელის თეატრი
ვეკუას ქუჩა №8. ტელ.: 262-59-73, 262-61-97.

4 აპრილი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„ჭურში“** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), სცენური ვერსიის ავტორი და რეჟისორი - ოთარ ბაღათურია. მონაწილეობენ: შალვა ბახტაძე, ვაკო მანძულაშვილი, ანა მატუაშვილი, კოტე მჟავია, ვალერი ტორონჯაძე, ლექსო ტურიაშვილი, ვასო შიხაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

5 აპრილი, **პარასკევი** 19.00 - **„გასროლა“** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი გიორგი ქანთარია. მონაწილეობენ: თამარ ბეჟუაშვილი, მამუკა მაზავრიშვილი, გვანცა კანდელაკი, კახა ჯოხაძე, ჯაბა ჯაფარიძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;***

6 აპრილი, **შაბათი** 19.00 - **„ღია შუშაბანდი“** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: ნუგზარ ყურაშვილი, თამარ ბეჟუაშვილი, ამირან ქაჩიბაია, გვანცა კანდელაკი, მზია ტალიაშვილი, მამუკა მაზავრიშვილი, ზურაბ წიკლაური. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

7 აპრილი, **კვირა** 19.00 - **„წარღვნა“** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი ნუგზარ გაჩავა. მონაწილეობენ: ნუგზარ ყურაშვილი, ალეკო ალავიძე, ვასილ შიხაშვილი, ანდრო სარიშვილი, ანა მატუაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი.***

3. აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი
აღმაშენებლის გამზირი №182. ტელ.: 234-80-90.

6-7 აპრილი, **შაბათი-კვირა** 20.00 - **„ანტიგონე“** - (ბილეთის ფასი - 5, 10 ლარი), რეჟისორი პაატა ციკოლია. მონაწილეობენ: ალეკო ბეგალიშვილი, გიორგი ვარდოსანიძე, ანა ზამბახიძე, ეკა დემეტრაძე, ანდრო ბარათაშვილი; ***ხანგრძლივობა: 3სთ.***

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრი
ჭავჭავაძის გამზირი №32. ტელ.: 229-47-15.

5 აპრილი, **პარასკევი** 20.00 - **„ბლეზი“ ვოდევილი სამ მოქმედებად** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი სანდრო ელოშვილი. მონაწილეობენ: ქეთი ძოწენიძე, მეგი ჯამასპიშვილი, გიორგი ჭუმბურიძე, ნიკუშა გიორგაძე, სალომე მიქაძე, ნუცა ხვედელიძე, მაგდა ხურციძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;***

6 აპრილი, **შაბათი** 20.00 - **„ევრიდიკე“** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი - ოთარ ეგაძე, მილენა ეგიაზაროვა. მონაწილეობენ: ანდრია ვაჭრიძე, მერაბ ჩხეიძე, ლევან მამნიაშვილი, დავით გიგოლაშვილი, თათია გაბედავა, ანი თალაკვაძე, სალომე მიქაძე, ზურა გაბუნია. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;***

7 აპრილი, **კვირა** 20.00 - **„ჭკუისა მჭირს“** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი ოთარ ეგაძე. მონაწილეობენ: ნიკა გიორგაძე, მაკა ძაგანია, კახა გოგიძე, ვასიკო ოდიშვილი, დათო გიგოლაშვილი, სოსო მჭედლიშვილი, ლევან მამნიაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი.***

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com.
ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.

ორშაბათი 1 აპრილი

06.30 დ/ფ "მცენარეთა საიდუმლოებანი" **07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.35** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" **15.00** დ/ფ "ოთხგანზომილებიანი ატლასი" **17.00** დ/ფ "უხილავი სამყარო" **18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ"**ხმა წარსულიდან**" **21.00** ტ/სერ "**როსელა**" **22.00** "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" **23.00** "კომენტატორი" **00.00** "საფარი" **00.30** მხ/ფ "**ინტერვიუ ვამპირთან**" (ტიტ.) (ბ.პიტი).

07.30 იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. "**ღიღლიანი მოახლე**" **11.20** სერ. "**მაფიის ქვრივი**" **13.00** სერ. "**24 – 6**" **14.40** კონცერტი: "ერისიონი" **16.00** სერ. "**დამალული სიმართლე**" **17.50** სერ. "**თილისმა**" **18.50** სერ. "**სახიფათო ვნება**" **21.00** სერ. "**მარტოსული**" **22.00** მხ/ფ "**გაქცეული პატარძალი**" (რ.გირი) **00.35** მხ/ფ "**შავი ხვრელი**" (დ.სელბი) (ტიტ.) **02.05** მუსიკა

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**სიყვარული მშვენიერია**" **11.00** სერ. "**იდუმალი ქალი**" **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** შერეკილები **17.00** სერ. "**ვნების უფსკრული**" **18.45** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **20.05** სერ "**ერთგულების ძალა**" **22.00** "საქართველოს ვარსკვლავი" **00.00** შიშის ფაქტორი **01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი.

7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) **7.30, 11.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 5.55, 6.35** უცხოეთის ამბები **7.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55** უკომენტაროდ+ამინდი **8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 0.00** ახალი ამბები **8.10, 9.10, 10.15** მაღვიძარა(დილის პროგრამა) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **13.15, 14.15, 4.00** თავისუფალი დრო (შუადღის პროგრამა) **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.10** მაესტროს პრესკლუბი **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **19.00** ახალი ამბები ინგლისურ ენაზე **19.05, 0.30**თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **20.00** ამბები მოკლედ **20.05, 1.40** თოქ-შოუ - "არგუმენტები" **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 1.20** "ყოველდღიური აბები" **22.20, 2.30** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" **5.35, 6.00** ახალი ამბების კოლაჟი (გამ).

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.45** მხ/ფ "**ლომა**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.30** ისტორიის დღიური **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.30** უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა **10.35** ლექსით ქებათა ქება **10.40** კვირიაკე **12.10** კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი **12.15** მხ/ფ "**მოცურავე**" **13.30** კონცერტი-ანს."თბილისი" **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმრები **15.30** სპექტაკლი "**აპაკი**" **17.30** საწინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება (გ. გვასალია) **18.10** დიდ ხარ შენ,უფალო **18.30** ქრისტიანული სწავლება **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**მაგდანას ლურჯა**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** საღვთისმეტყველო საუბრები **21.55** უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა **22.25** დოკ/ფ "ეპიზოდი,როგორც მთავარი" **22.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **22.55** კალმის წვერი,ბულბულის ნისკარტი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საღვთისმსახურო წელინადი **23.40** კვირიაკეს სიუჟეტი "საქართველოს ეკლესიის ისტორია" მეუფე ანანია **00.35** განთიადის სტუმრები **01.00** დოკ/ფ "რუსთაველის ნაკვალევზე" **01.45** ირაო.

სამშაბათი 2 აპრილი

06.30 "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.30** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" **15.00** ტ/სერ "**როსელა**" **17.00** დ/ფ "თანამედროვე იარაღი" **18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ "**ხმა წარსულიდან**" **21.00** ტ/სერ "**როსელა**" **22.00** დ/ფ "ფეხბურთის მეამბოხენი" **22.40 ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი: (პ/რ) შესვენებისას: "ვიქტორინა" **00.30** მხ/ფ "**დაუპატიჟებელი სტუმრები**" (ტიტ.)

07.30 იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. "**ღიღლიანი მოახლე**" **11.20** სერ. "**მაფიის ქვრივი**" **13.00** სერ. "**24 – 6**" **14.40** დოკ/ფ "მოდის ფანტიკოსები" **16.00** სერ."**დამალული სიმართლე**" **17.50** სერ. "**თილისმა**" **18.50** სერ. "**სახიფათო ვნება**" **21.00** სერ. "**მარტოსული**" **22.00** ახალი საბავშვო ხმა **00.15** მხ/ფ "**სულების სახლი**" (მ.სტრიპი) **02.55** მუსიკა.

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**სიყვარული მშვენიერია**" **11.00** სერ. "**იდუმალი ქალი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** ვანოს შოუ (გ/ჩ) **17.00** სერ. "**ვნების უფსკრული**" **18.45** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **20.05** სერ "**ერთგულების ძალა**" **20.50** ეროვნული ლატარია **22.00** პოზიცია **22.40** ჩემპიონთა ლიგა. **00.50** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი.

7.00, 5.35, 6.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) **7.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 5.55, 6.35** უცხოეთის ამბები **7.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55** უკომენტაროდ+ამინდი **8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 0.00** ახალი ამბები **8.10, 9.10, 10.15** მაღვიძარა(დილის პროგრამა) **11.30, 22.00, 0.55** ყოველდღიური აბები (გამ) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **13.15, 14.15, 4.00** თავისუფალი დრო (შუადღის პროგრამა) **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.10** მაესტროს პრესკლუბი **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **19.00** ახალი ამბები ინგლისურ ენაზე **19.05, 0.30** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.30, 1.20** თოქ-შოუ - "არგუმენტები" **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.20, 2.30** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი".

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **06.15** სპექტაკლი "**აპაკი**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30** უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა **10.35, 21.25** ლექსით ქებათა ქება **10.40** ქრისტიანული სწავლება **10.50** დოკ/ფ "ეპიზოდი,როგორც მთავარი" **10.20** საღვთისმეტყველო საუბრები **12.05** ამინდი **12.10** კალმის წვერი,ბულბულის ნისკარტი **12.15** მხ/ფ "**მაგდანას ლურჯა**" **13.20** კონცერტი - სამი ტენორი **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **15.55** კონცერტი-ანა-სოფია მუთერი **16.55** საღვთისმსახურო წელინადი **17.15** დოკ/ფ "ჩუჰჩიკა" **18.10** დიდ ხარ შენ,უფალო **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** დოკ/ფ "პოდმანიე" **19.30** დროის ჩანაწერები **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** ჩვენი ფონდი **21.55** უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **22.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **22.55** კალმის წვერი,ბულბულის ნისკარტი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა **23.20** დოკ/ფ "საქართველოს ისტორია" **23.50** ფოტოგალერეა **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** ერთსულოვნების სალონი **01.40** კარაბადინი.

გაგრძელება 48-ე გვერდზე

კინოთეატრები

კინოთეატრი „რუსთაველი"
რუსთაველის გამზირი №5. ტელ.: 293-22-53, 255-50-00.

1 – 7 აპრილი

დარბაზი 1

12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.30 - **„კომა"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

დარბაზი 2

12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.15 - **„ანუ გაიღიმეთ"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

დარბაზი 3

12.00, 14.30, 17.30, 20.00, 22.30 - **„ოზი: დიდებული და ძლევამოსილი"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;*

დარბაზი 4

12.15, 14.55, 17.30, 20.00 - **„პის ცხოვრება"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;*

22.30 - **„მე და შენ"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

დარბაზი 5

12.00, 14.30, 17.10, 19.45, 22.15 - **„ჯეკი გიგანტების გამანადგურებელი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 55 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 11,50 ლარი).

კინოთეატრი „ამირანი"
კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.

დიდი დარბაზი

12.15, 14.15, 16.15, 18.15, 20.15, 22.15 - **„კომა"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

მცირე დარბაზი

12.00, 14.30 - **„ოზი: დიდებული და ძლევამოსილი"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;*

17.30, 20.00, 22.30 - **„მე და შენ"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 11,50 ლარი).

კინოთეატრი „საქართველო"
გურამიშვილის გამზ. 2/9, ტელ: 230-80-80; 269-66-47.

12.00, 14.00 - **„დედამიწიდან გაქცევა"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

16.00 - **„ჯეკი გიგანტების გამანადგურებელი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 55 წუთი;*

18.00 - **„ანუ გაიღიმეთ"** , *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

20.00, 22.00 - **„კომა"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 5 - 8 ლარი).

ეკო ფანგანი: რაც „ცეკვავენ ვარსკვლავებში" მივიღე მონაწილეობა, მივხვდი, რომ უფრო ცნობილი გავხდი და ხალხი მეტ სითბოსა და სიყვარულს მჩუქნის. თან, ცეკვაც ვისწავლე და თან, შრი-ლანკაზე დასვენებაც მოვიგე.

– მერე, ვისთან ერთად დაისვენე იქ?

– დედაჩემი ძალიან მგულშემატკივრობდა, ნერვიულობდა. მინდოდა მისთვის საჩუქარი გამეკეთებინა. ამიტომ, ბევრი არ მიფიქრია და მე და დედა გავემგზავრეთ შრი-ლანკაზე დასასვენებლად. დაუვიწყარი დრო გავატარეთ და კარგად დავისვენეთ. ძალიან მიყვარს მოგზაურობა. ცოტა ხნით იტალიაში ვსწავლობდი და ვცხოვრობდი. კარგი შემოთავაზებაც მქონდა ერთ-ერთი კომპანიიდან, რომ დავრჩენილიყავი, მაგრამ მაინც აქ ვარჩიე დაბრუნება.

– ეკო, ვიცი, რომ შენ და რუსი შოუ-ბიზნესის ვარსკვლავი ზემფირა, საკმაოდ ახლო მეგობრები ხართ და ხშირად, ერთად ატარებთ დროს. სად გაიცანით ერთმანეთი?

– ერთმანეთი, წლების წინ, ბათუმში გავიცანით „სუპტროპიკის ფესტივალზე". კონცერტი ჰქონდა და ორი დღით იყო ჩამოსული. დავსხედით ვისაუბრეთ და, არ დამავიწყდება, მითხრა, რომ გესაუბრები, ასე მგონია, ორმოცი წლის მეგობრები ვართო *(იცინის)*. ტელეფონის ნომრები გავცვალეთ და იქიდან დაიწყო ჩვენი მეგობრობა. რამდენჯერმე მე გახლდით მოსკოვში, რამდენჯერმე ისიც ჩამოვიდა თბილისში და კარგი დროც ვატარეთ. ერთხელ, მისი ჩამოსვლა ჩემი ერთ-ერთი მეგობრის დაბადების დღეს დაემთხვა. არ იცოდა, ისე დავაყენე სიურპრიზად სახლში ზემფირა და გადაირია. საერთოდ, რთული ბუნების ადამიანია, არ უყვარს ბევრ ხალხთან ურთიერთობა, მაგრამ მცხეთაზე გიჟდება ისე მოსწონს. ბოლოს რომ იყო ჩამოსული, იქ წავედით და გავერთეთ. უკვე 12 წელია, ვმეგობრობთ.

– ესე იგი, შენს ქორწილშიც ვნახავთ.

– *(იცინის)*. ჯერ არ ვაპირებ ქორწილს, მაგრამ, როცა გადავიხდი, აუცილებლად იქნება.

– შენი და ბექა ჩხაიძის სიყვარული უკვე წლებია, გრძელდება. ურთიერთობის დაკანონებას ჯერ არ აპირებთ?

– მართალია, მე და ბექას, უკვე ორი წელია, ერთმანეთი გვიყვარს, მაგრამ დაქორწინება, ისეთი ნაბიჯია, უფრო მეტი პასუხისმგებლობა სჭირდება. ჯერ არ ვჩქარობთ. ბექას კი უნდა დაოჯახება, მაგრამ მე არ მინდა

ა ქ ც ი ა
www.erudit.ge -ზე
www.erudit.ge-ზე განათლების მიღება ინტერნეტის საშუალებით, სახლიდან გაუსვლელად, დაწყებითი კლასის ყველა საგანი. მე-5, მე-6, მე-7, მე-8 და მე-10 კლასის მოსწავლეებს მათემატიკას შევასწავლი კვალიფიციური პედაგოგი იაფად (თვეში 10 ლარად), საინტერესოდ და ხარისხიანად.

საქმიანი, მომხიბვლელი, ლიბერალური და ამავდროულად, პრინციპული ეკო ფანგანი საკმაოდ დამოუკიდებელი ადამიანია და მიუხედავად დეპრესიული პერიოდებისა, ცდილობს, ცხოვრებას ოპტიმისტური თვალით შეხედოს. ის, უკვე ორი წელია, რაც მომღერალ ბექა ჩხაიძეზეა შეყვარებული, თუმცა გათხოვებას არ ჩქარობს. თუ ვისთან ერთად ისვენებდა ის შრი-ლანკაზე პროექტ „ცეკვავენ ვარსკვლავებში" მიღებული პრიზით, როდის ხდება შეურაცხადი და რატომ არ ითვალისწინებს სხვების რჩევებს, ამაზე თავად მოგვიყვება.

რატომ არ ჩქარობს სიყვარულის დაკანონებას ეკო ფანგანი და ვისთან ერთად გაატარა მან დაუვიწყარი დრო შრი-ლანკაზე

ჯერ გათხოვება. ისე, ბევრ ჩვენებაზე მცმია თეთრი საქორწილო კაბა და უკვე ვიცი, როგორ მოვირგებ *(იცინის)*.

დაუვიწყარი დრო გავატარე შრი-ლანკაზე „ცეკვავენ ვარსკვლავებში" მოგებული პრიზით

– შენი რჩეული არ ეჭვიანობს ასეთი საქმიანი, მომხიბლავი და აქტიური შეყვარებული რომ ჰყავს?

– კაცმა თუ არ იეჭვიანა, ისე არაფერი გამოვა. სულ ვამბობ, ტყუილად არ უნდა ინერვიულო და იღელვო – თუ მიზეზებს მიჰყევი, რა გამოლევს?

– ბოლო დროს, საკმაოდ ემტერებიან შენს მანქანას. ჯერ იყო და ნომერი მოგიტეხეს, ახლა მინის საწმენდები მოგლიჯეს და დილით ძირს დაყრილი დაგხვდა. რა ხდება, მტრები გყავს?

– მტრობისა რა გითხრათ, მაგრამ მე უფრო ხულიგნები ან ლოთები მგონია. უბრალოდ, ნერვები მომეშალა, რატომ უნდა ჩაიდინო ასეთი საქციელი? ან, ამით რას აღწევ?

– ისე, როგორი მძღოლი ხარ?

– მანქანის მართვა ადრეულ ასაკში თავად ვისწავლე და დღეს კაცური მძღოლი ვარ *(იცინის)*. დიდი ხანია, საჭესთან ვზივარ. საჭესთან მამაკაცურიც კი ვხდები, მაგრამ სხვა ქალი მძღოლებისგან განსხვავებით, გინება არ მჩვევია.

– საკუთარ თავზე ექსპერიმენტების ჩატარება თუ გიყვარს?

– ადრე, სულ ექსპერიმენტებში ვიყავი – ხან წითლად მქონდა თმა შეღებილი და ხან შავად. დიდი ხანია, იმიჯი არ შემიცვლია, ისეთი ეკო მაკმაყოფილებს, როგორიც ვარ.

– შენი მეგობრები ამბობენ, ეკო საკმაოდ ნაზი ბუნებისაა, მაგრამ მასში მაინც სვანური გენი დევსო. როდის იღვიძებს შენში ეს სვანური ხასიათი?

– ვეთანხმები ჩემს მეგობრებს. ჩემში ასი პროცენტით სვანური ხასიათი „ზის". მაქსიმალურად ლიბერალური ვარ, მაგრამ უსამართლობას და ტყუილს არასოდეს არავის ვაპატიებ. ამ დროს ეს სვანური ხასიათი ზენიტშია. ასე რომ, სვანური სიფიცხე, ნამდვილად მახასიათებს და თუ უსამართლობას ვხედავ, სვანური „რქებით" შევასკდები *(იცინის)*. თუ ადამიანს ტყუილში ან ღალატში დავიჭერ, საშიშად უკონტროლო ვხდები. შიგნიდან თვალები მითეთრდება და დრაკონი ვარ, რომელიც პირიდან ცეცხლს აფრქვევს. ეს ბევრისთვის წარმოუდგენელია, მაგრამ იშვიათად, მაინც ხდება *(იცინის)*. მოსმენა ვიცი, ყველას ვუსმენ, რჩევებსაც ვეკითხები მეგობრებს, მაგრამ გადაწყვეტილებას ჩემით ვიღებ. ვფიქრობ, ნებისმიერმა ადამიანმა თავად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. თუ შენს თავს კარგად იცნობ, საკუთარ თავთან მართალი ხარ, რეალურად აღიქვამ პირად ცხოვრებას და თავს ენდობი, აქედან გამომდინარე, სწორ გადაწყვეტილებას იღებ. ბევრი იმიტომ ეკითხება სხვას აზრს, საკუთარი გადაწყვეტილების ეშინია. ასეთი შემთხვევები მეც მქონია, მაგრამ, საბოლოო ჯამში, მაინც ისე მიმოქმედია, როგორც თავად მიმაჩნდა სწორად. ჩემი საქმე, ჩემზე კარგად არავინ იცის და ვერც გადაწყვეტილებას მიიღებს ჩემს სასარგებლოდ. ვინც კარგად არ მიცნობს, შეიძლება იფიქროს, ეს გოგო უდარდელიაო, მაგრამ ეს ასე არ არის. უფრო სწორად, ასე შორიდან ჩანს, თორემ დეპრესიაშიც ვყოფილვარ და რთული პერიოდებიც ხშირად მაქვს ცხოვრებაში. მადლობა ღმერთს, ოპტიმისტი ვარ და იმავდროულად, რომანტიკულიც. სხვათა შორის, ლექსებს ვწერ და ვხუმრობ ხოლმე: „დუშა პოეტა, ვსეგდა რომანტიჩნა-მეთქი" *(იცინის)*. ზოდიაქოთი „ტყუპები" ვარ, ჩემში ორი ადამიანი „ზის" და ეს არა მარტო ხასიათში, გარეგნობაშიც შესამჩნევია.

ჩემს მეგობარს დაბადების დღეზე სიურპრიზად სახლში ზემფირა ავუყვანე და კინაღამ გადაირია

– გარეგნობაში რას გულისხმობ?

– თუ კარგად დამაკვირდებით, მარცხენა და მარჯვენა პროფილი აბსოლუტურად სხვადასხვა მაქვს და თვალის ფერშიც აშკარა განსხვავებაა.

ნონა დათეშიძე

გამომცხვარი ყაბაყი

საჭირო ინგრედიენტები: 1 კილოგრამი კარტოფილი, 1 კილოგრამი ყაბაყი, 2 თავი საშუალო ზომის ხახვი, 0,5 ჭიქა ზეთი, 2 სადილის კოვზი მარილი (გემოვნებით), 1 ჩაის კოვზი შავი პილპილი, 2 სადილის კოვზი ორცხობილა, 3 სადილის კოვზი მაიონეზი, 1 კონა კამა, 2 კბილი ნიორი.

მომზადების წესი: გათლილმა კარტოფილმა 1 კილოგრამი უნდა შეადგინოს. ჩაასხით ქვაბში წყალი და აადუღეთ. მდუღარე წყალში ჩაყარეთ კარტოფილი და მოხარშეთ. უყავით მარილი გემოვნებით. ხახვი დაჭერით ძალიან წვრილად. ტაფაზე დაასხით 2 სადილის კოვზი ზეთი და მოხრაკეთ მასში ხახვი ძალიან დაბალ ცეცხლზე.

ყაბაყი გაწმინდეთ და გადაჭერით ჯერ შუაში, შემდეგ დაჭერით ფირფიტებად, დაახლოებით 1 სანტიმეტრის სისქის. მოაყარეთ მარილი. ტაფაზე დაასხით ზეთი და შეწვით მასზე ყაბაყი ორივე მხრიდან. მოხარშული კარტოფილი გადაწურეთ. ცოტა გააცივეთ. მოაყარეთ მოშუშული ხახვი და კარგად ამოზილეთ. გამოსაცხობ ტაფას წაუსვით ზეთი. მოაყარეთ ორცხობილა და კარტოფილის მთლიანი რაოდენობის ნახევარი კარგად გაშალეთ. ზემოდან დააწყვეთ ყაბაყის ნაჭრები. მოაყარეთ ცოტა მარილი, პილპილი და წვრილკბილა სახეხზე გახეხილი ნიორი, ბოლოს წვრილად დაჭრილი კამა. მესამე ფენა იქნება ისევ კარტოფილი. მერე ისევ ყაბაყის ნაჭრები მარილი, პილპილი, ნიორი, ცოტა ზეთი. მოათავსეთ აირღუმელში 200 გრადუსზე 30 წუთით. გამოიღეთ, მორთეთ მაიონეზითა და პომიდვრის ნაჭრებით და მიირთვით.

ყველის „კროკეტები“

საჭირო ინგრედიენტები: 4 ცალი კანიანად მოხარშული კარტოფილი, 50 გრამი მაგარი ყველი, 1 ცალი კვერცხი, მარილი, შავი პილპილი, სულ ცოტა მუსკატის კაკალი (დანის წვერით), საფანელი ან დაფხვნილი ორცხობილა, 0,5 ჭიქა ზეთი.

მომზადების წესი: მომზადება ძალიან იოლია. მოხარშეთ კარტოფილი. რომ გაცივდება, მოაცალეთ კანი. ჩანგლით მოამზადეთ მისგან პიურე. დაუმატეთ სახეხზე გახეხილი ყველი, კვერცხი, ცოტა მარილი, პილპილი, მუსკატის კაკალი და აზილეთ კარგად, ცომივით. რბილი და ნაზი უნდა გამოვიდეს. ამ ცომისგან „გამოძერწეთ“ თანაბარი ზომის, პატარა ჯოხები, ამოგანგლეთ საფანელში და შებრაწეთ ტაფაზე ცხელ ზეთში როგორც კროკეტები. მიირთვით ცხელივე.

კარტოფილი ნივრით

საჭირო ინგრედიენტები: 1 კილოგრამი კარტოფილი (ძალიან კარგია ახალი კარტოფილი), 1 თავი ნიორი, მშრალი პიტნა (ცოტა), მარილი გემოვნებით, შავი პილპილი, 2/3 ჭიქა ზეთი (სასურველია – ზეითუნის).

მომზადების წესი: კარტოფილი ძალიან კარგად გარეცხეთ. კანი არ გააცალოთ, ისე დაჭერით შუა-შუა, მოაყარეთ მარილი, პილპილი და მშრალი პიტნა.

გააცხელეთ აირღუმელი 200 გრადუს ტემპერატურაზე. დააწყვეთ კარტოფილი გამოსაცხობ ტაფაზე და მოათავსეთ აირღუმელში 1 საათის განმავლობაში. სანამ კარტოფილი იწვება, მოამზადეთ სოუსი. ნიორი გაარჩიეთ და დანაყეთ. დაასხით ზეთი და კარგად აურიეთ.

კარტოფილი რომ შეწითლდება, გამოიღეთ, მოათავსეთ ღრმა, ცეცხლგამძლე ჭურჭელში, მოასხით სოუსი და გააჩერეთ 5 წუთით. გაიჟღინთება და უგემრიელესია.

ხორცის მაფინები

საჭირო ინგრედიენტები: 500 გრამი საქონლის ხორცი, 1 თავი ხახვი, 1 კბილი ნიორი, 1 პატარა ზომის სტაფილო, 1 ცალი კვერცხი, ცოტა კარაქი. 2 ნაჭერი პური, რძე – პურის დასალბობად, 2 სადილის კოვზი არაჟანი, მარილი, პილპილი და ძირა გემოვნებით, საფანელი – ფორმებში მოსაყრელად.

მომზადების წესი: ფორმებს წაუსვით კარაქი და მოაყარეთ საფანელი. პური დაალბეთ რძეში და გაწურეთ. ხორცი ორჯერ გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში ხახვთან, ნიორთან, სტაფილოსთან და პურთან ერთად. ფარშს დაუმატეთ კვერცხი, წვრილად დაჭრილი მწვანილი, სანელებლები და კარგად მოზილეთ. ფარშის გუნდები ჩადეთ ფორმებში, გულში ჩაუდეთ კარაქის პატარა ნაჭრები, ზემოდან წაუსვით არაჟანი და გამოაცხვეთ ღუმელში. ხორცის მაფინებს ძალიან უხდება მჟავე კიტრის გარნირი.

ქათამი მაიონეზითა და ნივრით



საჭირო ინგრედიენტები: 1 ცალი ქათმი, 200 მილილიტრი მაიონეზი, 1-1,5 ჭიქა რძე, ცოტა კარაქი, 1 ჩაის კოვზი ყვითელი ყვავილი, 1 ჩაის კოვზი დანაყილი ნიორი, 1 ჩაის კოვზი ხმელი ქინძი, 2 ჩაის კოვზი უცხო სუნელი, მარილი და წიწაკა – გემოვნებით.

მომზადების წესი: ქათამს წაუსვით წიწაკა და მარილი და კარაქწასმულ ფორმაში მოათავსეთ, შედგით ღუმელში და მაღალ ცეცხლზე შეწვით. ხანდახან გამოიღეთ და მოასხით თავისივე წვენი, რომ კარგად დაიბრაწოს. მაიონეზი და რძე ერთად გათქვიფეთ, შეურიეთ სანელებლები, ნიორი და მოასხით დაჭრილ შემწვარ ქათამს.

ტკბილი წიწაკა ბადრიჯნის სატენით

საჭირო ინგრედიენტები: 1 კილოგრამი წითელი წიწაკა, 1 კილოგრამი ბადრიჯანი, 1 დიდი თავი გახეხილი ნიორი, ზეთი – შესაწვავად, მარილი – გემოვნებით, 1 ჭიქა პომიდვრის წვენი, 1 ღვინის ჭიქა შაქარი, ნახევარი ჩაის ჭიქა ძმარი.

მომზადების წესი: წიწაკებს მოაჭერით ყუნწები, ამოაცალეთ თესლი და 5 წუთით ჩაყარეთ მდუღარე წყალში. ბადრიჯანი გაფცქვენით, დაჭერით პატარა ნაჭრებად, მოაყარეთ მარილი და ზეთში მსუბუქად მობრაწეთ. ბადრიჯანში შეურიეთ გახეხილი ნიორი და მოათავსეთ წიწაკებში. წიწაკები ჩააწყვეთ ქვაბში, დაასხით პომიდვრის წვენით, შაქრით, ძმრითა და ზეთით მომზადებული მარინადი და ხარშეთ რამდენიმე წუთი, რომ ბოსტნეული არ ჩაიხარშოს.

„ფორბსის" რომელი მილიარდერები იყვნენ ჩართულები ბარაკ ობამასა და მით რომნის საარჩევნო კამპანიების დაფინანსებაში

ამერიკის შეერთებული შტატების საპრეზიდენტო არჩევნები მილიარდერებისთვის ერთგვარ პაექრობად ითვლება. ისინი ერთმანეთს ეჯიბრებიან კანდიდატების მხარდაჭერაში, ფინანსურ დახმარებაში, არჩევნების დასრულების შემდეგ კი შედეგებს ითვლიან. ამერიკის პრეზიდენტის 2012 წლის არჩევნებში ბარაკ ობამას და მით რომნის არაერთმა ცნობილმა და გავლენიანმა მილიარდერმა გამოუცხადა მხარდაჭერა და ჟურნალმა „ფორბსმა" მათ შორის ყველაზე უიღბლოები და იღბლიანები გამოარჩია.

შელდონ ადელსონი – 21,8 მილიარდი დოლარი

„სათამაშო ბიზნესის მეფედ" წოდებული შელდონ ადელსონი რესპუბლიკელი მით რომნის მხარდამჭერი და საარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი უმსხვილესი შემომწირველი იყო. 6 ნოემბერს, მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ გამარჯვება ბარაკ ობამამ იზეიმა, ადელსონი მეუღლესთან ერთად ბოსტონში გამართულ მით რომნის შესაძლო გაპრეზიდენტებისთვის დანიშნული წვეულებიდან ნაადრევად წავიდა სახლში. ოფიციალური ვერსიით, ადელსონმა, რომელიც „ფორბსის" რეიტინგში ოცდამეოთხე ადგილს იკავებს, ხოლო უმდიდრესი ამერიკელების რეიტინგში მეთორმეტეა, რომნის კამპანიას 53 მილიონი დოლარი გადაურიცხა. ეს თანხა, რა თქმა უნდა, მას უკან აღარ დაუბრუნდება. ამბობენ, რომ სამორინე „ლასვეგას სენდსის" მფლობელი მომავალში აღარ აპირებს საარჩევნო კამპანიების დაფინანსებას.



ჰაროლდ სიმონსი – 7,1 მილიარდი დოლარი

მილიარდერი ჰაროლდ სიმონსი, ჰოლდინგ „ვალი ინკის" მფლობელი და ამერიკელი მილიარდერების ტოპ-400-ში 49-ე ნომერი, მით რომნის გუნდის დამფინანსებელი იყო. „უოლ სტრიტ ჯურნალისთვის" მიცემულ ინტერვიუში სიმონსმა აღიარა, რომ ობამას დასამარცხებლად დიდძალი თანხა შესწირა რესპუბლიკელების შტაბს. საბოლოოდ, ცნობილი გახდა, რომ რომნის წაგება სიმონსს 23,8 მილიონი ამერიკული დოლარი დაუჯდა.

დონალდ ტრამპი – 3,1 მილიარდი დოლარი

საქართველოში კარგად ცნობილი ამერიკელი მედიამაგნატი დონალდ ტრამპი ერთხანს თავად აპირებდა მონაწილეობის მიღებას საპრეზიდენტო არჩევნებში, თუმცა გადაიფიქრა და მხოლოდ რესპუბლიკელი მით რომნის კამპანიის დაფინანსებით შემოიფარგლა. ტრამპმა არცთუ დიდი შემოწირულობა განახორციელა – სულ რაღაც 200 ათასი დოლარი, თუმცა, სხვა მილიარდერებისგან განსხვავებით, აქტიურად იყო ჩართული საარჩევნო კამპანიაში: ეწეოდა აგიტაციას, არიგებდა მაისურებს, რომლებზეც თავისი გამოსახულება იყო დაბეჭდილი და ყველას მოუწოდებდა, რომნისთვის მიეცათ ხმა. ცნობისთვის, დონალდ ტრამპი საქართველოში ითვლება ძალიან მდიდარ და გავლენიან ადამიანად, ამერიკაში კი იგი „რიგითი" მილიარდერია, რომელსაც 400 ამერიკელი მილიარდერის რეიტინგში „მოკრძალებული" 128-ე ადგილი უკავია.

ჩარლზ და დევიდ კოხები – 31 მილიარდი დოლარი

მით რომნის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ მხარდამჭერებად ცნობილი მილიარდერი ძმები – ჩარლზ და დევიდ კოხები ოფიციალურად არ იღებდნენ მონაწილეობას რესპუბლიკელების სასარგებლოდ, თუმცა, არსებობს მოსაზრება, რომელსაც ბარაკ ობამას გუნდი ავრცელებს, რომ კოხებმა დემოკრატი კანდიდატის ანტირეკლამაში 33,5 მილიონი დოლარის ინვესტიცია განახორციელეს. ამ ცნობის დადასტურება ან უარყოფა შეუძლებელია, რადგან, მილიარდერი ძმების საკუთრებაში არსებული არაკომერციული კომპანია AFP ერთადერთი კომპანიაა (რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იყო კამპანიის დაფინანსება), რომელიც კანონით ფლობს უფლებას, რომ არ გაავრცელოს ინფორმაცია თავის დონორულ შემოსავლებზე. ცნობისთვის, ჩარლზ და დევიდ კოხები ამერიკაში ერთ-ერთ ყველაზე შეძლებულ ბიზნესმენებად ითვლებიან – ძმებს მეოთხე პოზიცია უკავიათ უმდიდრესი ამერიკელების ტოპ-400-ში და მათი საერთო კაპიტალი 31 მილიარდ დოლარს აღემატება.

ირვინ ჯეიკობსი – 1,5 მილიარდი დოლარი

კომპანია „ქუალკომის" დამფუძნებელი, 79 წლის ამერიკელი მილიარდერი ირვინ ჯეიკობსი ბარაკ ობამას კამპანიის ერთ-ერთი უმსხვილესი დონორია. ჯეიკობსმა, რომლის პირადი კაპიტალი 1,5 მილიარდ ამერიკულ დოლარს შეადგენს და ამერიკელი მილიარდერების რეიტინგში 311-ე პოზიციაზეა, დემოკრატების საარჩევნო შტაბს 2 მილიონი დოლარი ჩაურიცხა ანგარიშზე. ირვინ ჯეიკობსი ამერიკაში საკმაოდ ცნობილი ფილანტროპია. ის კალიფორნიაში ცხოვრობს, მეუღლესთან და ოთხ შვილთან ერთად. პოლიტიკური პარტიების დაფინანსების გარდა, ჯეიკობსი საგანმანათლებლო სისტემის მსხვილ დამფინანსებლად ითვლება და რამდენიმე ცნობილ ამერიკულ უნივერსიტეტს, მათ შორის მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურ ინსტიტუტს, სან-დიეგოს უნივერსიტეტს უწევს ფინანსურ დახმარებას და სხვადასხვა პროგრამას აფინანსებს.

ჯეიმს საიმონსი – 11 მილიარდი დოლარი

„რენეისენს ტექნოლოჯი კორპორეიშენის" დამფუძნებელმა, მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ჭკვიან მილიარდერად ცნობილმა ჯეიმს საიმონსმა, ბარაკ ობამას გაპრეზიდენტებაში 3,5 მილიონი დოლარის ინვესტიცია განახორციელა. 2005 წელს გავლენიანმა გაზეთმა „ფაინენშალ თაიმსმა" სიამონსი პლანეტის ყველაზე ჭკვიან მილიარდერად დაასახელა. როგორც ჩანს, საიმონსმა სწორად გათვალა, რომ პრეზიდენტობის კანდიდატთა შორის არჩევანი დემოკრატიულ პარტიაზე შეაჩერა. აკადემიკოს ჯეიმს საიმონსს „ფორბსის" ამერიკელი მილიარდერების ტოპ-400-ში 28-ე ადგილი უკავია.

უორენ ბაფეტი – 46 მილიარდი დოლარი

საფინანსო ბაზრის ლეგენდა, „ომაჰელი ორაკული" უორენ ბაფეტი, ბარაკ ობამას მხარდამჭერი და კამპანიის დამფინანსებელია, თუმცა, თანხა სიმბოლურია – 38,5 ათასი დოლარი. ბაფეტი ობამას პოლიტიკით კმაყოფილია და პირადად უჭერს მხარს პრეზიდენტის ახალ ინიციატივას, რომ მდიდრებს სპეციალური გადასახადები დაუწესონ. მსოფლიო მილიარდერებს შორის ბაფეტი უსაზღვრო ავტორიტეტით სარგებლობს, მას მესამე ადგილი უკავია „ფორბსის" მილიარდერების რეიტინგში – მის წინ მხოლოდ მექსიკელი სატელეკომუნიკაციო მაგნატი კარლოს სლიმ ელუ და „მაიკროსოფტის მამა" – ბილ გეითსი არიან.

უშანგი რუხაძე

41-ე გვერდიდან

ოთხშაბათი 3 აპრილი

06.30 "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.20** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" **15.00** ტ/სერ **"როსელა"** **17.00** დ/ფ "სახელგანთქმული თვითმფრინავები" **18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ **"ხმა წარსულიდან"** **21.00** ტ/სერ **"როსელა"** **22.00** "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" **22.40 ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი: (პ/რ) შესვენებისას: "ვიქტორინა" **00.30** მხ/ფ **"ბზარი"** (ე.ჰოპკინსი) **02.40** დ/ფ "გონებაში".

07.30 იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. **"დაუვიწყარი" 1** სერ. **11.20** სერ. **"მაფიის ქვრივი" 13.00** სერ. **"24 – 6" 14.40** ღამის შოუ (გ/ჩ) **16.00** სერ. **"დამალული სიმართლე" 17.50** სერ. **"თილისმა" 18.50** სერ. **"სახიფათო ვნება" 21.00** სერ. **"მარტოსული" 22.00** ფულთან თამაში **23.00** მხ/ფ **"რეალური სიყვარული"** (ლ.ნისონი) **01.25** მხ/ფ **"სისხლიანი შოუ"** (კ.მილერი) (ტიტ.) **02.50** მუსიკა.

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"სიყვარული მშვენიერია" 11.00** სერ. **"იდუმალი ქალი" 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** იღბლიანი ბორბალი (გ/ჩ) **17.00** სერ. **"ვნების უფსკრული" 18.45** სერ. **"ცრემლების გვირგვინი" 20.05** სერ **"ერთგულების ძალა" 22.00** ნანუკას შოუ. **22.40** ჩემპიონთა ლიგა. **00.50** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი დაიჯესტი.

7.00, 5.35, 6.00 ახალი ამბების კოლაჟი **7.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 5.55, 6.35** უცხოეთის ამბები **7.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55** უკომენტაროდ+ამინდი **8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 0.00** ახალი ამბები **8.10, 9.10, 10.15** მაღვიძარა(დილის პროგრამა) **11.30, 22.00, 1.20** ყოველდღიური აბები (გამ) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **13.15, 14.15, 4.00** თავისუფალი დრო (შუადღის პროგრამა) **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.10** მაესტროს პრესკლუბი **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **19.00** ახალი ამბები ინგლისურ ენაზე **19.05, 0.30** თოქ- შოუ "სუბიექტური აზრი" **20.00** ამბები მოკლედ **20.05, 1.40** თოქ-შოუ - "არგუმენტები" **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.20, 2.30** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი".

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** მხ/ფ **"მაია წყნეთელი" 08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 21.20** ერთსულოვ-ნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30** უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა **10.35, 21.25** ლექსით ქებათა ქება **10.40** ჩვენი ფონდი **11.00** დოკ/ფ "საქართველოს ისტორია" **11.30** მგზავრები წუთისოფლისა **12.05** ამინდი **12.10** კალამის წვერი,ბულბულის ნისკარ-ტი **12.15** დროის ჩანაწერები **13.25** ქრისტიანული სწავლება **13.40** კონცერტი - მანანა დოიჯაშვილი **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **15.55** დოკ/ფ "გადადექი ფაშა" **16.55** კვირიაკე **18.05** დიდ ხარ შენ,უფალო **18.30** დეკორატიული ფლორა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ **"ბანაჩენი" 20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** ეპოქის სახელები **21.55** უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა **22.25** ქართული ალბომი **22.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **22.55** კალმის წვერი,ბულბულის ნისკარტი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** პირველშეწირული წირვის განმარტება მამა ბიძინა გუნია **23.30** დოკ/ფ "სიჩუმის მცველნი" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"ანა და მეფე"** I ნაწ.

ხუთშაბათი 4 აპრილი

06.30 "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 20.00, 01.50** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" **15.00** ტ/სერ **"როსელა" 17.00** დ/ფ "ანტიკური მსოფლიო" **18.00** "პეპე და მეგობრები" **18.30 წყალბურთი.** ევროპის **2014** წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის I ეტაპი: საქართველო – დიდი ბრიტანეთი (პ/რ "ოლიმპიკიდან")შესვენებაზე: "მოამბე" **21.00** ტ/სერ **"როსელა" 22.00** "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" **23.00** სპორტული თოქ-შოუ: "არენა" **00.00** მხ/ფ **"თოვლის ანგელოზები"** (კ.ბეკინსეილი) **02.10** დ/ფ "გონებაში".

07.30 იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. **"დაუვიწ-ყარი" 2** სერ. **11.20** სერ. **"მაფიის ქვრივი" 13.00** სერ. **"24 – 6" 14.40** კაცების შოუ (გ/ჩ) **15.35** რომ გადახვალ, გააჩერე **16.00** სერ. **"დამალული სიმართლე" 17.50** სერ. **"თილისმა" 18.50** სერ. **"სახიფათო ვნება" 21.00** სერ. **"მარტოსული" 22.00** მხ/ფ **"ფართო ნაბიჯით"** (ე.სკოტი) **00.15** მხ/ფ **"თაფლობის თვე"** (ჯ.ფრანკო) (ტიტ.) **01.45** მუსიკა.

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"სიყვარული მშვენიერია" 11.00** სერ. **"იდუმალი ქალი" 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** კომედი შოუ (გ/ჩ) **17.00** სერ. **"ვნების უფსკრული" 18.45** სერ. **"ცრემლების გვირგვინი" 20.05** სერ **"ერთგულების ძალა" 22.00** პროფილი **23.30** ტოპ გოგო **01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი.

7.00, 5.35, 6.00 ახალი ამბების კოლაჟი **7.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 5.55, 6.35** უცხოეთის ამბები **7.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55** უკომენტაროდ+ამინდი **8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 0.00** ახალი ამბები **8.10, 9.10, 10.15** მაღვიძარა(დილის პროგრამა) **11.30, 22.00, 1.20** ყოველდღიური აბები (გამ) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **13.15, 14.15, 4.00** თავისუფალი დრო (შუადღის პროგრამა) **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.10** მაესტროს პრესკლუბი **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **19.00** ახალი ამბები ინგლისურ ენაზე **19.05, 0.30** თოქ- შოუ "სუბიექტური აზრი" **20.00** ამბები მოკლედ **20.05, 1.40** თოქ – შოუ - "არგუმენტები" **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.20, 2.30** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი".

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** მხ/ფ **"ანა და მეფე"** I ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30** უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა **10.35, 21.05** ლექსით ქებათა ქება **10.40** დოკ/ფ "სიჩუმის მცველნი" **11.00** დოკ/ფ "ლახტი" **11.30** ეპოქის სახელები **12.05** ამინდი **12.10** კალმის წვერი,ბულბულის ნისკარტი **12.15** მხ/ფ **"ბანაჩენი" 13.35** კონცერტი - დები გოგოჭურები **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **15.55** მხ/ფ **"წინამორბედი" 18.10** დიდ ხარ შენ,უფალო **18.30** ქრისტიანული სწავლება **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ **"ბრავო, ალბერ ლოლიშ" 20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.10** ერთსულოვნების სალონი **21.55** უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა **22.20** შაბათის სახარების განმარტება **22.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **22.55** კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "კვართიდან ქართველთა გოლგოთამდე" I ნაწ. **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"ანა და მეფე"** II ნაწ.

პარასკევი 5 აპრილი

06.30 "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.30** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" **15.00** ტ/სერ **"როსელა" 17.00** დ/ფ "მუზეუმის საიდუმლოებანი" **18.00** "პეპე და მეგობრები" **18.30 წყალბურთი.** ევროპის **2014** წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის I ეტაპი: საქართველო – სლოვაკეთი (პ/რ "ოლიმპიკიდან") შესვენებაზე: "მოამბე" **21.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **22.00** "აქცენტები" **23.30** "წითელი ზონა" **00.30** მხ/ფ **"შეხვედრა ვენერასთან".**

07.30 იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. **"დაუვიწ-ყარი" 3** სერ. **11.20** სერ. **"მაფიის ქვრივი" 13.00** სერ. **"24 – 6" 14.40** ახალი საბავშვო ხმა (გ/ჩ) **16.00** სერ. **"დამალული სიმართლე" 17.50** სერ. **"თილისმა" 18.50** სერ. **"სახიფათო ვნება" 21.00** სერ. **"მარტოსული" 22.00** თოქ შოუ – ღია ეთერი **00.15** მხ/ფ **"შემზარავი წინათგრძნობა"** (ს.ბულოკი) **01.50** მუსიკა.

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"სიყვარული მშვენიერია" 11.00** სერ. **"იდუმალი ქალი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** ეკი ვოკი (გ/ჩ) **17.00** სერ. **"ვნების უფსკრული" 18.45** სერ. **"ცრემლების გვირგვინი" 20.05** სერ **"ერთგულების ძალა" 20.50** ეროვნული ლატარია **22.00** პოზიცია **23.00** ვანოს შოუ **01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი.

7.00, 5.35, 6.00 ახალი ამბების კოლაჟი **7.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 5.55, 6.35** უცხოეთის ამბები **7.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55,**

15.55, **16.55**, **18.55**, **6.55** უკომენტაროდ+ამინდი **8.00**, **9.00**, **10.00**, **11.00**, **13.00**, **14.00**, **16.00**, **17.00**, **0.00** ახალი ამბები **8.10**, **9.10**, **10.15** მაღვიძარა(დილის პროგრამა) **11.30**, **22.00**, **0.55** ყოველდღიური აბები (გამ) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **13.15**, **14.15**, **4.00** თავისუფალი დრო (შუადღის პროგრამა) **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.10** მაესტროს პრესკლუბი **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **19.00** ახალი ამბები ინგლისურ ენაზე **19.05**, **0.30** თოქ- შოუ "სუბიექტური აზრი" **19.30**, **1.20** თოქ – შოუ - "არგუმენტები" **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.20**, **2.30** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი".

06.00, **11.55**, **14.55**, **17.55**, **20.55**, **23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05**, **12.00**, **15.00**, **18.00**, **21.00**, **00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** მხ/ფ "**ანა და მეფე**" II ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00**, **18.05**, **21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05**, **12.10**, **18.55**, **21.55**, **00.25** ისტორიის დღიური **10.10**, **19.00**, **22.00**, **00.05**, **02.30** სიახლენი **10.35** უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა **10.40**, **21.25** ლექსით ქებათა ქება **10.45** მოკ/ფ "**უსახელო უფლისცისელი**" **11.10** დოკ/ფ "კვარ-თიდან ქართველთა გოლგოთამდე" I ნაწ. **11.40** ქრისტიანული სწავლება **12.05** ამინდი **12.10** კალმის წვერი,ბულბულის ნისკარტი **12.15** მხ/ფ "**ბრაპო,ალბერ ლოლიშ**" **13.40** კონცერტი - ნიკა რაჭველი **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **15.55** დეკორატიული ფლორა **16.05** დიდი მარხვის სამოციქულო სახარების განმარტება - გ. სარია **16.20** მხ/ფ "**ვალსი პეჩორაზე**" **18.10** დიდ ხარ შენ,უფალო **18.35**, **23.15** ფოტოგალერეა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**როგორ ვიცხოვრო უშენოდ**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **21.55** უწიგნოდ თვალთა-ხედვის ისარი მოკლეა **22.25** ქრისტიანული ხელოვნება **22.50** მართლ-მადიდებლური კატეხიზმო **22.55** კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი **23.00** საღამოს ლოცვა **22.20** დიდი მარხვა **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** კვირიაკე **02.00** ირაო.

შაბათი 6 აპრილი

08.00 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **08.30** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) **09.30** საბავშვო ან/ფილმი: "პატარა პრინცესა" **11.00** "ეთნოგრაფიული ნარკვევები" **11.30** საბ. ტ/სერ "პირველყოფილი" **12.00**, **16.00**, **20.00**, **02.15** "მოამბე" **12.30** "AGVA-GEORGIA" **13.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **14.00** მხ/ფ "**მეფერიკი**" (მ.გიბსონი) **16.30** "ჩემპიონთა ლიგის დღიური" **17.00** დ/ფ "ექსტრაორდინარული ქალები" **18.00** "ეტალონი" **19.00** "გურმანია" **21.00** "ევროვიზიის დღიური" **21.30** დ/ფ "ფოტო" **22.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" – ოკუპაცია: **23.00** "ახალი ქართული კინო" **23.20** დ/ფ "გალობის რაინდები" (რეჟ: ნ. ჯანელიძე) **00.10** მხ/ფ "**პრესტი ჟი**" (ჰ.ჯეკმანი) **02.25** დ/ფ "გონებაში".

07.35 ან/ფ "სალადინი" **08.35** მხ/ფ "**საჰარა**" **11.00**, **14.00**, **17.00**, **19.00**, **20.00** ქრონიკა **11.15** ან.ფ. "ავატარი" **12.00** ქ.სერ. "**შუა ქალაქში**" **13.00** იუმორინა **14.20** მხ/ფ "**ტყუპების ეფექტი**" **16.00** სერ. "**ტრიფიდების დღე**" **1** სერ. **17.50** სერ. "**თილისმა**" **18.50** სერ. "**სახიფათო ვნება**" **21.00** სერ. "**მარტოსული**" **22.00** ქ.სერ. "**შუა ქალაქში**" **23.00** კაცების შოუ **00.00** მხ/ფ "**ლამაზმანი და მაწანწალა**" (რ.ლ.ბრაუნი) **02.10** მხ/ფ "**საშობაო ამბავი**" (პ.კრუსი) (ტიტ.) **03.45** მუსიკა.

08.00 კურიერი დაიჯესტი **08.30** MTV ROOM RAIDERS **09.00** ანიმაცია "პატარა პრინცი" **09.30** სერ. "**კლუბი**" (ს2) **10.30** შერეკილები **12.00**, **15.00**, **18.00**, **21.00**, **04.00** კურიერი **12.30** ბიზნეს კურიერი **15.30** სერ. "**სიყვარული და საიდუმლო**" **16.30** "ნანუკას შოუ" - (გ/ჩ) **18.45** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **20.05** სერ."**ერთგულების ძალა**" **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **23.00** რა? სად? როდის? **00.00** პოკერის ტურნირი **00.30** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **02.00**, **04.30** მხ/ფ.

7.00, **0.00**, **1.00**, **3.00**, **5.00**, **5.55** ახალი ამბების კოლაჟი **7.30**, **13.25**, **14.25**, **15.30**, **16.25**, **16.35**, **17.25**, **18.45**, **19.10**, **21.40**, **0.30**, **4.30**, **5.25**, **6.20** უცხოეთის ამბები **8.30** კვირის არგუმენტები (გამ) **10.00** მაღვიძარა (კოლაჟი) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **12.30**, **13.05**, **14.05**, **16.05**, **17.05** ყოველდღიური აბები (გამ) **12.55**, **13.55**, **14.55**, **15.55**, **16.55**, **17.55**, **20.55**, **6.55** უკომენტაროდ+ამინდი **13.00**, **14.00**, **16.00**, **17.00**, **19.00**, **20.00** ამბები მოკლედ **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **20.10**, **1.30** სტუდია მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00**, **2.00** "პრეს-პრესი" **23.00**, **3.30** "ჩვენ" - თამარ ჩიქოვანთან ერთად.

06.00, **08.55**, **11.55**, **14.55**, **17.55**, **20.55**, **23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05**, **09.00**, **12.00**, **15.00**, **18.00**, **21.00**, **00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** დოკ/ფ "პლანეტა დედამიწა" **07.35** მოგზაურობა სამშობლოში **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ჩვენი ფონდი **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.05**, **18.05**, **21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10**, **12.10**, **18.55**, **21.55**, **00.25** ისტორიის დღიური **10.15**, **19.00**, **22.00**, **00.05**, **02.30** სიახლენი **10.40** უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა **10.45**, **18.10** ფოტოგალერეა **10.50** კვირიაკე **12.05** ამინდი **12.10** კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი **12.15** მხ/ფ "**როგორ ვიცხოვრო უშენოდ**" **13.25** ქრისტიანული სწავლება **13.35** დოკ/ფ "ქართული მხედრობა პოლონეთში" **14.30** საღვთისმსახურო წელიწადი **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.10** ოპერა-"**ლუჩია დე ლამერმური**" **17.40** თბილისის ტაძრები **18.15** ქრისტიანული ხელოვნება **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** გამოყენებითი ხელოვნება **19.35** ქართული ალბომი **20.00** ერთსულოვნების სალონი **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ლექსით ქებათა ქება **21.30** "კარაბადინი" **21.55** უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა **22.25** პორტრეტი "ერთსულოვნების" გალერეიდან **22.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **22.55** კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** სიმღერის კვალდაკვალ **00.30** მხ/ფ "**ვატერლოო**".

კვირა 7 აპრილი

08.00 ანიმაციური/ფილმი: "ორი ლოთხენი" **09.30** საბ/ფ "**ფიქრები თავისუფლებაზე**" **11.00** "ჩვენი ექსპრესი" **11.30** საბ. ტ/სერ "**პირველყოფილი**" **12.00**, **16.00** "მოამბე" **12.30** **წყალგაჩენი**. ევროპის **2014** წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის I ეტაპი: საქართველო – ჩეხეთი (პ/რ "ოლიმპიკიდან") **14.00** "სპექტაკლის დრო" – შ. რუსთაველის თეატრის სპექტაკლი: "**ვალი**" **16.30** "ჩვენი ეზო" **17.30** "ვაშინგტონი დღეს" **18.00** "დონ კიხოტი" – ირმა ნიორაძე **20.00** მხ/ფ "**ოსტინ პაუერსი გოლდმემბერი**" (მ.მაიერსი) **22.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" – ოკუპაცია: **23.00** "აღმოაჩინე საქართველო" **23.30** "უცნობი მუსიკა" **00.30** კონცერტი **01.30** მხ/ფ "**ჯარზე ვინ მიკაკუნებს**" (ჰ.კეიტელი).

08.00 ან/ფ "სალადინი" **09.00** მხ/ფ"**ბენიოსი ბავშვები 2**" **11.00**, **14.00**, **17.00**, **19.00**, **20.00** ქრონიკა **11.15** ბასტი ბუბუ **12.00** ქ.სერ. "**შუა ქალაქში**" **13.00** იუმორინა (გ/ჩ) **14.20** ქ.მხ/ფ "**მზე შეიოდ-გომისა**" **16.00** სერ. "**ტრიფიდების დღე**" **2** სერ. **17.40** იმედის გმირები **18.00** კონცერტი: "ნატო გელაშვილი" **21.15** ღამის შოუ **22.00** ქ.სერ. "**შუა ქალაქში**" **23.00** რომ გადახვალ, გააჩერე **23.25** მხ/ფ "**ორფეერის სანაპირო ტ 36**" (დ.ოტეი) **01.15** მხ/ფ "**მოგზა-ური**" (დ.არკეტი) (ტიტ.) **02.50** მუსიკა.

08.00 კურიერი დაიჯესტი **08.30** MTV ROOM RAIDERS **09.00** ანიმაცია "პატარა პრინცი" **09.30** სერ. "**კლუბი**" **10.30** შიშის ფაქტორი **12.00**, **15.00**, **18.00**, **04.00** კურიერი **12.30** დოკ/ფ (ფრაგმენტი) **15.30** სერ. "**სიყვარული და საიდუმლო**" **16.30** პროფილი (გ/ჩ) **19.00** ეკი ვოკი **20.00** იღბლიანი ბორბალი **21.00** P.S. **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **23.00** კომედი შოუ **00.00** კარდაშიანების ოჯახი (ს2) **01.00** ტოპ გოგო (გ/ჩ) **02.00**, **04.30** მხ/ფ.

7.00, **23.00**, **0.00**, **1.00**, **3.00**, **4.00**, **5.00**, **6.00** ახალი ამბების კოლაჟი **7.30**, **12.30**, **14.05**, **15.30**, **17.35**, **20.45**, **22.00**, **0.25**, **2.30**, **3.30**, **4.30**, **5.30**, **6.30** უცხოეთის ამბები **10.00** მაღვიძარა (კოლაჟი) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **12.55**, **14.55**, **15.55**, **16.55**, **17.55**, **20.55**, **6.55** უკომენტაროდ+ამინდი **13.00** პრეს-პრესი (გამ.) **14.00**, **16.00**, **17.00**, **20.00** ამბები მოკლედ **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.05** "ჩვენ" თამარ ჩიქოვანთან ერთად (გამ.) **17.05** მონიტორის ჟურნ. გამოძიება (გამ) **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **19.00**, **1.30** დისკუსია - სტუდია "რე" **20.10**, **23.25** ღია კარის დღე **21.00** ახალი ამბები **9** საათზე.

06.00, **08.55**, **11.55**, **14.55**, **17.55**, **20.55**, **23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05**, **09.00**, **12.00**, **15.00**, **18.00**, **21.00**, **00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** მულტფილმი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ქრისტიანული სწავლება **08.45** დეკორატიული ფლორა **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.05**, **21.25** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10**, **12.10**, **22.55**, **00.05** ისტორიის დღიური **10.15** სიახლენი **10.40** უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა **10.45**, **21.35** ლექსით ქებათა ქება **10.50** სიმღერის კვალდაკვალ **11.30** ქართული ალბომი **12.05** ამინდი **12.10** კალმის წვერი,ბულბულის ნისკარტი **12.15** მხ/ფ "**ლომა – დაკიწყებული მეგობარი**" **13.30** ქართული მულტფილმები **13.55** დიდი მარხვა **14.30** კარაბადინი **15.05** პატრიარქის ქადაგება **15.25** მგზავრები წუთისოფლისა **15.50** ერთსუ-ლოვნების სალონი **16.35** ეპოქის სახელები **17.00** საღვთისმეტყველო საუბრები **17.40** დოკ/ფ "საპოვნელა" **18.05** პატრიარქის ქადაგება **18.30** დროის ჩანაწერები **19.40** დოკ/ფ "გიხაროდენ მომადლებულო" **20.00** დოკ/ფ "წინაპართა ნაკვალევზე" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა **21.40** "ხარება" **21.55** "კვირიაკე" **22.55** კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "გიხაროდენ ქალწულო და დედაო" **00.10** პატრიარქის ქადაგება **00.35** მხ/ფ "**გვირაბი**".

ლეგენდარული მაო ძე-დუნის შთამომავლის ტრაგიკული ისტორია საქართველოში

ქონებრივ დავასთან დაკავშირებით, სასამართლო განხილვას ზაურ გონაშვილი ვერ დაესწრო. ვერ დაესწრო ვერც თავისი ქონების აუქციონზე გაყიდვას, რადგან, ამ პროცესების პარალელურად, 2000 წლის 13 ნოემბერს ის პანკისის ხეობაში გაიტაცეს. ცნობილია, რომ იმ დროს მძიმე კრიმინალური ვითარება იყო. ორი თვის განმავლობაში მას პანკისის ხეობაში, სოფელ ხალახანაში, გაუსაძლის მდგომარეობაში მოუწია ყოფნა. მას და რუსეთის მოქალაქე მაკიევს კბილებამდე შეიარაღებული ათი გამტაცებელი იცავდა, თუმცა, უკანონოდ თავისუფლებააღკვეთილებმა, აუტანელი ტანჯვის მიუხედავად, ჩაიფიქრეს, დაგეგმეს და, 58-დღიანი ტყვეობის შემდეგ, შეძლეს მცველის განიარაღება და გაკოჭვაც კი, მაგრამ, ხმაურზე დანარჩენი ცხრა ბოროტმოქმედი გამოცვივდა, რასაც სროლა მოყვა. გაქცეულებმა მოახერხეს სხვენზე ასვლა და შეძახილებით ითხოვდნენ შველას. ეს ამბავი მთელმა სოფელმა გაიგო, მოვიდა ოპერატიული ჯგუფი, ქისტი უხუცესებიც კი ჩაერთნენ საქმეში და დამნაშავეების შარიათის წესით გასამართლებასაც ითხოვდნენ, მაგრამ... სროლების შედეგად გონაშვილი ფეხში დაიჭრა, მაკიევი თავში, თუმცა, სიცოცხლის რისკის ფასად, მათ თავისუფლების მოპოვება მაინც შეძლეს. როგორც ამ მოვლენების განვითარებიდან ჩანს, ოჯახის ტრაგედიის მიზეზი ქონებრივი დავა გახდა. სამართლიანობის აღდგენას დაზარალებული მხარე წლების განმავლობაში ცდილობდა, მაგრამ, წინა ორი ხელისუფლების დროს ეს ვერ მოხერხდა. ბუნებრივია, რომ ამ ტიპის თემები ახლა აქტუალურია და მრავალ მოქალაქეს მიეცა უკანონოდ ჩამორთმეული ქონების კვლავ დაბრუნების იმედი. ბატონი ზაურის მეუღლე, ქალბატონი ლუსია მაო-ჩან-ლი, რომელიც, სხვათა შორის, ჩინეთის ლეგენდარული ლიდერის, მაო ძე-დუნის ოჯახის ნათესავია, იმედს არ კარგავს და ახლაც აპირებს, მიმართოს სამართალდამცველებს, კერძოდ, პროკურატურას. ასევე, ფიქრობს მისი შვილიშვილი, ლევან გონაშვილიც, რომელმაც გამოიარა როგორც პატიმრობა, ისე ამ ენით აუწერელ უსამართლობას შეწირული მამის ნაადრევი გარდაცვალება, მაგრამ, დანებებას არ აპირებს...

ეს ამბავი მთელმა სოფელმა გაიგო. მოვიდა ოპერატიული ჯგუფი, ქისტი უხუცესებიც კი ჩაერთნენ საქმეში, დამნაშავეების შარიათის წესით გასამართლებასაც ითხოვდნენ, მაგრამ... სროლების შედეგად, გონაშვილი ფეხში დაიჭრა, მაკიევი თავში, თუმცა, სიცოცხლის რისკის ფასად, მათ თავისუფლების მოპოვება მაინც შეძლეს

1976 წლიდან ზაურ შალვას ძე გონაშვილი მუშაობდა მტკვრის მარჯვენა სანაპიროს №5-ში მდებარე ბენზინგასამართ სადგურში, დირექტორის თანამდებობაზე. 1995 წელს, პრივატიზაციის შედეგად, ზაურ გონაშვილი გახდა აღნიშნული ქონების 100 პროცენტის მფლობელი. ამავე წელს მან დააფუძნა შპს „სუპერსერვისი-95", შემდგომში – შპს „სუპერსერვისი-ლი", სადაც ის აირჩიეს დირექტორის თანამდებობაზე. სწორედ კერძო მესაკუთრედ გახდომის შემდეგ დაიწყო მისი ოჯახის მიმართ საშინელი ზეწოლა. ამჟამად, ქონების უკანონო ჩამორთმევისა და სხვა დანაშაულებრივ ქმედებებზე არსებობს პარლამენტის 2005 წლის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის დასკვნა ლევან ბეჟაშვილის ხელმოწერით, რომელიც გადაეგზავნა მაშინდელ იუსტიციის მინისტრს, ზურაბ ადეიშვილს და სახალხო დამცველს – სოზარ სუბარს, რის შემდეგაც უნდა დაწყებულიყო სამართლიანობის აღდგენა, მაგრამ, ამის ნაცვლად, საქმე გადაეგზავნა ახმეტის რაიონულ სასამართლოს, სადაც მოსამართლე ლაბაზა დუიმვილმა გამოიტანა სრულიად გაუგებარი და უსამართლო განაჩენი, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

საქმეში არსებობს, ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება, რომელიც ეყრდნობა პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ მოწოდებულ სტატისტიკური ბარათების კომპიუტერული ბაზიდან მიღებულ მონაცემებს: 2006-2007-2008 წლებში, სსკ 144-ე მუხლით (მძევლად ხელში ჩაგდება), შედგა საპროცესო შეთანხმება პარტნიორ მერაბ ტაბაღუასთან, სადაც ის აღიარებულია ზაურ გონაშვილის გატაცების ერთ-ერთ თანამონაწილედ ქონების ხელში ჩაგდების მიზნით და, საპროცესო შეთანხმების შესაბამისად, 30 000 ლარის სანაცვლოდ, გათავისუფლებულია სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან.

უკანონოდ ჩამორთმეული კუთვნილი ქონების დაბრუნებას შეეწირა ოჯახის ორი წევრი: უფროსი შვილი – შალვა გონაშვილი, რომელმაც ვერ გადაიტანა ქონების დაკარგვა (რომლის კუთვნილი 480 კვადრატული მეტრი მიწის ფართობი ასევე უკანონოდ მიისაკუთრეს შპს „გეტას" მფლობელებმა და რომელიც წარმოადგენს ცალკე დავის საფუძველს) და ზაურ გონაშვილი.

ამ თემასთან დაკავშირებით ჩატარდა ჟურნალისტური გამოძიება, რა დროსაც ბატონმა ლევანმა, დუმილი დაარღვია და ინტერვიუს დასთანხმდა. ჩვენც ვცადეთ მასთან გასაუბრება.

– ბატონო ლევან, როგორ ფიქრობთ, თქვენი პატიმრობა არის თუ არა პირდაპირ კავშირში პანკისის ხეობაში მომხდარ გატაცებასთან ან ვინმეს ქონებრივ ინტერესებთან?

– ჩემი დაპატიმრება პანკისის ხეობაში ბაბუაჩემის გატაცებასთან კავშირში ვერ იქნება, რადგან მე მაშინ სულ რაღაც 12 წლის ვიყავი, თუმცა, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ჩემი ყოფნის დროს იყო პირდაპირი ზეწოლა ბაბუაზე და ოჯახის სხვა წევრებზე. როცა ამის დრო მოვა, ამ ფაქტს აუცილებლად ყველა დაადასტურებს.

– რა სახის ზეწოლას განიცდიდნენ თქვენი ოჯახის წევრები? კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა ზეწოლა?

– ეს იყო როგორც ფსიქოლოგიური, ასევე, ფიზიკური ზეწოლა. დაკითხვის ოქმიდან ჩანს ფაქტები გატაცების შემკვეთებისგან, რამაც იმდენად იმოქმედა მამაზე, რომ სერიოზული სტრესი მიიღო. ის ძალიან მალე გარდაიცვალა.

– ამ ხნის განმავლობაში მიგიმართავთ თუ არა პროკურატურისთვის?

– პირადად მე ჯერჯერობით არავისთვის არ მიმიმართავს. კარგად მესმის, რომ პროკურატურის საქმიანობა დღეს ძალიან რთულია. გამომძიებლებთან ათასობით საქმეა შესული და ყველას აქვს იმედი, ახალი ხელისუფლების პირობებში სამართლიანობა აღდგება, მაგრამ, ჩემი და ჩემი ოჯახის საქმე წლებია, გრძელდება, თითქმის ყველა ინსტანცია აქვს მოვლილი, თუმცა, უშედეგოდ. საქმეში გასარკვევი არაფერი აღარ არის, ყველაფერი დღესავით ნათელია, საჭიროა მხოლოდ სასამართლოს საბოლოო განაჩენი, რომელიც აღადგენს სამართლიანობას. ბაბუა სიცოცხლის ბოლო წუთამდე ცდილობდა, ეპოვა სიმართლე, ყველა ინსტანციაში ჰქონდა შეტანილი საქმე, რომელსაც შესაბამისი უწყებები კარგად იცნობენ. საკითხი შეისწავლა საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა, სახალხო დამცველმა, აღარაფერს ვამბობ არასამთავრობო სექტორში შეტანილ განცხადებებზე და მათ მიერ მიღებულ შესაბამის დასკვნებზე, ჟურნალისტურ გამოძიებებზე. ერთ ფაქტზე მინდა გავამახვილო ყურადღება: 2008 წელს საქმეზე ჟურნალისტური გამოძიება ჩაატარა „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა", რაც საეჭვოდ ემთხვევა ბაბუას გარდაცვალების პერიოდს. როგორც კადრებიდან ჩანს, ეს გაზაფხულის პერიოდია. სწორედ მაისში მოხვდა ბაბუა კლინიკაში ჩვეულებრივი პროფილაქტიკური მკურნალობის მიზნით, სადაც სრულიად მოულოდნელად გარდაიცვალა. ქონების ამჟამინდელი მფლობელები, რომლებიც სასამართლოს მიერ გასამართლებულნი იყვნენ როგორც გატაცების შემკვეთები, მიხვდნენ, რომ ბაბუა არ აპირებდა გაჩერებას, რაც მათ სერიოზულ დისკომფორტს უქმნიდა, ამიტომ, ერთადერთი გამოსავალი, მისი სამუდამოდ გაჩუმება იქნებოდა, თუმცა ეს ვარაუდია და ამით შესაბამისი უწყებები უნდა დაინტერესდნენ.

– თქვენი აზრით, რა შემთხვევაში აღდგება სამართლიანობა და რა შემთხვევაში ჩათვლით თავს დაცულად, რა ღონისძიებების ჩატარებაა საჭირო?

– მიმაჩნია, რომ საჭიროა ფართო აუდიტორიის, საზოგადოების უფრო მეტი ინფორმირებულობა. პრესისა და მასმედიის წვლილი ყველაზე დიდ შედეგს იძლევა ასეთ დროს, როცა საქმე ეხება ტიპური მაფიოზურ-კლანური დაჯგუფების მიერ ქონების მიტაცებას.

ხატია კარანაძე

გოჩა ღუტიძის მონატრება

რა უცებ გავიდა ორმოცი დღე! უშენოდ შემოდის 38-ე გაზაფხული. ატმის ყვავილებში შენს სათნო და უბოროტო სახეს ვხედავთ. ცის სილაჟვარდეში ვეძებთ შენს ცისფერ თვალებს. ძნელია უშენოდ ყოფნა და, რაც დრო გადის, უფრო გვიმძიმს იმის გაცნობიერება, რომ ჩვენ გვერდით აღარ ხარ. გვენატრება შენი დინჯი საუბარი და მშვიდი ღიმილი. ვერ ვიჯერებთ, რომ ჩვენ შორის აღარ ხარ ამ ცოდვილ ქვეყანაზე. ძალიან დიდი ტკივილი დაგვიტოვე. ყველანი ვლოცულობთ შენი სულის გადარჩენისთვის. გვჯერა, უფალი დაინახავს შენს კეთილ გულს და მიგიყვანს მონატრებულ დედიკოსთან, რომელიც შენ ყველაზე მეტად დაგაკლდა. ყველაზე დიდი დარდი იყავი დედისთვის. გვჯერა, რომ დედიკო მოგძებნის და სასუფეველში მიგიჩენს საუკუნო განსასვენებელს.

ოჯახი: მამა, და, ძმა, ბიძაშვილები

– ქალბატონო მარინა, შემოსვლისთანავე უამრავი ცნობილი სახე შევნიშნე...

– დიახ, „კრწანისი“ მასპინძლობს ყველას. ვინც ოდესმე ერთხელ მაინც მოსულა, ყველა დამეთანხმება, რომ ჩვენი მუდმივი კლიენტი ხდება. ჩვენ გვყავს კლიენტების უზარმაზარი „არმია“, რომელიც აქ ხშირად ატარებს დროს, დაწყებული პარლამენტარებიდან და ბიზნესმენებიდან მსახიობებითა და მომღერლებით დამთავრებული. უკვე 9 წელია, რაც ამ ბიზნესში ვარ და მყავს მუდმივი კოლექტივი: მზარეულები, მიმტანები, 44-კაციანი შეკრული გუნდი, რომელიც ერთგულად და პროფესიონალურად ემსახურება რესტორანს. 4 წელია, რაც უშუალოდ რესტორან „კრწანისს“ ვხელმძღვანელობ. იმისთვის, რომ რესტორნის ხელწერა არ შეიცვალოს, მე მიმაჩნია, რომ კარგი მეგობრული, დროში გამოცდილი კოლექტივი ამის მყარი საფუძველია.

– მარხვა დაიწყო, როგორია სამარხვო მენიუ?

– მარხვისთვის რესტორანი ყოველთვის განსაკუთრებულად ემზადება, ვინაიდან ბევრი ქართველი მარხულობს და ამას მივესალმები, სამარხვო კერძებზე ძალიან დიდი მოთხოვნაა. ამიტომ გვაქვს სპეციალური მენიუ სამარხვო კერძებისა, რომელშიც შედის ბოსტნეული, სალათები... ფასებიც შესაბამისად ნაკლებია, ვიდრე არასამარხვო მენიუსი, თუმცა, ჩვეულებრივი, ტრადიციული მენიუთიც ვხელმძღვანელობთ. ძალიან ბევრი საფირმო კერძი გვაქვს. კლიენტს აგრეთვე ვთავაზობთ მხოლოდ საფირმო კერძების მენიუსაც, მასში შესული კერძების უმეტესობა ცხელია. გვაქვს მწვადის მრავალნაირი სახეობა: ღორის ხორცის, ხბოს ხორცის, თევზის, ქათმის ხორცის, აგრეთვე – შამფურზე შემწვარი კვერცხი და უამრავი სხვა. ჩვენ გვაქვს კონტრაქტები რამდენიმე ტურისტულ სააგენტოსთან, ამის გამო „კრწანისს“ იცნობენ საქართველოსა და კავკასიის გარდა ევროპაშიც. ტურისტული კომპანიები გვიგზავნიან თავიანთ უცხოელ კლიენტებს: უკრაინელებს, რუსებს, ებრაელებს, ფინელებს, ჩინელებს. აქ ბევრ უცხოელს გადაუხდია

სულ ცოტა ხნის წინ მე და ჩემმა მეუღლემ გადავწყვიტეთ პატარა ქორწილის გადახდა. მოგეხსენებათ, რა ჯდება თბილისში რესტორნების მომსახურება. გარდა საქორწინო რიტუალთან დაკავშირებული წვრილმანებისა, სასწრაფოდ დავიწყეთ ინტერნეტში სასურველი რესტორნის ძებნა. მოგეხსენებათ ქართული ხასიათი – გვიყვარს ყველაფერი საუკეთესო, ოღონდ, იაფად. შესაბამისად, ვეძებდით რესტორანს, რომელიც იქნებოდა ქალაქის ცენტრში, ადვილად მისადგომ ტერიტორიაზე, კარგი მენიუთი, მისაღები ფასებით. თამამად შემიძლია, ვთქვა, რომ გაგვიმართლა, რადგან, მივაგენით ერთ-ერთ უძველეს რესტორან „კრწანისს“, რომელსაც მომავალ წელს აქვს 50 წლის იუბილე, მდებარეობს სანაპიროზე, ორთაჭალაში, პეტრე ბაგრატიონის ძეგლის გვერდით. რესტორანს აქვს საერთო დარბაზი, ორი შიდა აივნით, რაც დამატებით კომფორტს ქმნის, ხოლო მტკვრის მხარეს კი ერტყმის კიდევ ერთი დიდი აივანი ხედით მტკვრისკენ. „კრწანისი“ განსაკუთრებით ლამაზია ღამით – აციმციმებული ლამპიონების შუქზე. რესტორანი ბევრი ქართველი კოლორიტის შეკრების ადგილია.

ქალბატონი მარინა ლეთოდიანი გახლავთ რესტორან „კრწანისის“ დირექტორი, წარმოშობით სოხუმიდანაა. თავისი მომხიბლავი ღიმილით და სტუმართმოყვარეობით რესტორნის ყველა კლიენტს აჯადოებს. გარდა იმისა, რომ საერთოდ თბილი და მოსიყვარულე ქალბატონია, ის ჩემთვისაც საინტერესო მოსაუბრე რესპონდენტი აღმოჩნდა.

მრავალფეროვანი მენიუ, უგემრიელესი კერძები, გასართობი შოუ-პროგრამა და უამრავი სიურპრიზი რესტორან „კრწანისში“

რესტორანი „კრწანისი“ – თქვენი ბედნიერი შეხვედრების ადგილი

ქორწილი – ვინ არ გვყოლია სიძე: ფრანგი, იტალიელი, პოლონელი, ბულგარელი, ნიგერიელი, ინგლისელი, გერმანელი... *(იცინის).*

– ქალბატონო მარინა, მაინც, როგორ ახერხებთ ამდენი რამის ორგანიზებას ერთდროულად, საკუთარი თვალით რომ არ მენახა, არ დავიჯერებდი. 10 მარტს აქ ჩვენი ქორწილის გარდა, კიდევ სამი ქორწილი იყო...

– ფაქტობრივად, ეს იყო ოთხი ქორწილი ერთად *(იცინის).* ჩვენ გვქონია შემთხვევა – 7 ნათლობა ერთად გაგვიკეთებია და 15 დაბადების დღე. ჩვენი საქმეც ეს არის – თითოეულ სტუმარზე მაქსიმალური ყურადღებ-

„კრწანისის“ დირექტორი მარინა ლეთოდიანი

ის მიქცევით ვიღებთ შედეგს.

რესტორნის პერსონალმა მართლაც არაჩვეულებრივი მომსახურება გაუწია ქორწილში დაპატიჟებულ თითოეულ სტუმარს. აღსანიშნავია, რომ რესტორანს ჰყავს პროფესიონალი მოცეკვავეები, მუსიკოსების ბენდი, გაფორმება, შოუ-პროგრამა – მღერის ანსამბლი „ქორალი“ საქსოფონისა და ვიოლინოს თანხლებით. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქორწილის დღეს 4 ქორწილი იყო რესტორანში, ქალბატონმა მარინამ ოთხივე ნეფე-დედოფალს მაქსიმალურად კომფორტული პირობები შეგვიქმნა და, თან, სიურპრიზებიც მოგვიწყო, რა თქმა უნდა, წინასწარ არც ერთმა არაფერი ვიცოდით: თაიგული სათითაოდ ყველა პატარძალმა მუსიკის თანხლებით გადავაგდეთ თავს უკან, ტორტის გაჭრაც საზეიმოდ მოხდა მენდელსონის მარშის ფონზე, ოღონდ მონიტორზე ნეფე-პატარძლის სახელების გამოცხადების შემდეგ. გვიან ღამით, ქალბატონმა მარინამ საზეიმოდ მოგვილოცა ყველას გაბედნიერება და კიდევ ერთ სიურპრიზად ვალსით დაასრულა ეს დაუვიწყარი საღამო.

***P. S.** გაგონილს ხომ ნანახი სჯობია? ამიტომ ეწვიეთ „კრწანისს“, გადაიხადეთ ქორწილები, დაბადების დღეები, ნათლობები და მერწმუნეთ, ნამდვილად ნასიამოვნები და კმაყოფილი დარჩებით.*

ᲮᲐᲢᲘᲐ ᲭᲚᲔᲜᲢᲘ

მომავალ წელს „კრწანისი“ 50 წლის იუბილეს აღნიშნავს

ᲠᲔᲡᲢᲝᲠᲐᲜᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ 11 ᲡᲐᲐᲗᲘᲓᲐᲜ ᲑᲝᲚᲝ ᲡᲢᲣᲛᲠᲘᲡ ᲬᲐᲡᲕᲚᲐᲛᲓᲔ.
ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲑᲝᲠᲑᲐᲡᲚᲘᲡ №2. ᲢᲔᲚ. 272-47-88; 593-61-82-85.

რა საშიშროებას ხედავდა სტალინი უკანონო ქორწინებაში

ბოლშევიკი ლიდერები მოითხოვდნენ „დედოვშჩინის" სასტიკად აკრძალვას, თუნდაც რეპრესიების გზით. სტალინი მოთმინებით უსმენდა თავგახურებული ბოლშევიკების მსჯელობას და ბოლოს ერთ-ერთ თათბირზე განაცხადა: „დედოვშჩინას" ვერ ავკრძალავთ, რადგან არმია ყოველთვის ემყარება ძველ ტრადიციებს"

კომუნისტ ლიდერთა საძრახის საქმეთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია ბრძოლას ტრადიციულ, ეროვნულ და სოციალურ ღირებულებათა წინააღმდეგ. ამ ბრძოლას, თავის დროზე, წინ აღუდგა იოსებ სტალინი. ეს იყო მეტად დაძაბული და ხანგრძლივი ბრძოლა, რომელიც საბოლოოდ, სტალინის გამარჯვებით დასრულდა. ამ საკითხებზე ვისაუბრებთ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორის, ვახტანგ გურულის ნაშრომებზე დაყრდნობით.

რუსული კომუნიზმის (ბოლშევიზმის) ლიდერებმა (ვლადიმირ ლენინმა, ლევ ტროცკიმ, გრიგოლ ზინოვიევმა და სხვებმა) ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ, დაიწყეს ბევრი ისეთი ჩანაფიქრის განხორციელება, რომელიც ძირს უთხრიდა, არღვევდა ეროვნულ ცნობიერებას და ტრადიციულ, სოციალურ ურთიერთობებს, ებრძოდა ეკლესიურ აზროვნებას. სხვადასხვა მიზეზის გამო, დამკვიდრდა შეხედულება, თითქოს ბოლშევიკი ლიდერები სამართლიანი და უმწიკვლონი იყვნენ. სინამდვილეში კი მათი უმრავლესობა აღვირახსნილი, გარყვნილი, ამორალური ადამიანი იყო, რომელთაც არ სწამდათ ტრადიციული ღირებულებები, ხოლო ეკლესიურ აზროვნებას საზოგადოებისთვის საშიშად მიიჩნევდნენ. ბოლშევიკი ლიდერებისგან განსხვავებული პოზიცია ეკავა იოსებ ჯუღაშვილს. სტალინი წინ აღუდგა ტრადიციულ სოციალურ ურთიერთობათა ხელაღებით და განურჩევლად რღვევას და ახლის გაუაზრებლად დამკვიდრებას. ნებსით თუ უნებლიეთ, ამ ვითარებაში სტალინი მოგვევლინა იმ ტრადიციულ ღირებულებათა და იმ სოციალურ ურთიერთობათა დამცველად, რომელიც ეკლესიურ მორალს ემყარებოდა.

1917 წლის შემდეგ, ბოლშევიკების მოღვაწეობის შედეგად, საზოგადოებაში დამკვიდრდა აზრი, რომ ადამიანთა თავისუფლება და საყოველთაო თანასწორობა სხვა დანარჩენთან ერთად, გულისხმობდა კანონიერი და უკანონო ქორწინების გათანაბრებას, განსხვავების მოსპობას კანონიერ და უკანონო შვილებს შორის. მოქალაქეს შესაძლებლობა უნდა ჰქონოდა იმდენი მეუღლე ჰყოლოდა, რამდენსაც მოისურვებდა. ეს ეხებოდა როგორც მამაკაცს, ისე – დედაკაცს. წინათ რუსეთში კანონიერ ქორწინებად ითვლებოდა ეკლესიაში ჯვრისწერის შედეგად შეუღლებული ადამიანების ქორწინება. საბჭოთა ხელისუფლებამ ეკლესიაში ჯვრისწერა იურიდიული ძალის არმქონედ სცნო და ეკლესიაში გაცემული ჯვრისწერის შესაბამისი დოკუმენტიც უგულებელყო. ასეთ დოკუმენტს სახელმწიფო დაწესებულებები არ სცნობდნენ. ეკლესიაში ჯვრისწერის იურიდიული ძალის არმქონედ გამოცხადებამ თავისთავად გამოიწვია სხვა უარყოფითი პროცესები. მამაკაცს შეეძლო, რამდენჯერმე დაქორწინებულიყო, ქალი კი რამდენჯერმე გათხოვილიყო. ამ პროცესში გაურკვეველი რჩებოდა, თუ როგორ უნდა დადგენილიყო ბავშვის მამა. მამის მიერ ახალშობილის შვილად აღიარება მხოლოდ მამის სურვილზე იყო დამოკიდებული. იმავდროულად, შეუძლებელი გახდა, უძრავი და მოძრავი ქონების მემკვიდრის აღიარების საკითხი. მამის მემკვიდრედ ჩაითვლებოდა ის, ვისაც მამა, პირადი სურვილის მიხედვით აღიარებდა შვილად.

მართალია, ბოლშევიკი ლიდერები რუსეთში საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებულ ღირებულებებს შეეხნენ, მაგრამ გამარჯვების იმედი მაინც ჰქონდათ. ისინი აპირებდნენ თავიანთი იდეები ჯერ ქალაქში განეხორციელებინათ, შემდეგ სოფლებში. რა მოჰყვებოდა ყოველივე ამას ბოლშევიკებს არ აფიქრებდათ. მათ მიზანს წარმოადგენდა ყოველგვარი ტრადიციულის წინააღმდეგ ბრძოლა. ახალი მორალის (სინამდვილეში კი ამორალობის) დამკვიდრება.

იოსებ სტალინს არ შეეძლო ერთბაშად გაელაშქრა ბოლშევიკი ლიდერების ბინძური გეგმის წინააღმდეგ. ბოლშევიკურ ელიტასთან დაპირისპირებული სტალინი მარცხისთვის იქნებოდა განწირული. ამიტომ იყო, რომ სტალინი მოქმედებდა ძალიან ფრთხილად და წინდახედულად. მას წლები დასჭირდა იმისთვის, რომ სხვადასხვა ფორმით აღედგინა და შეენარჩუნებინა ტრადიციული სოციალური ურთიერთობები. ცხადია, სტალინი ეკლესიაში ჯვრისწერას ქორწინების ოფიციალურ რეგისტრაციად ვერ ჩათვლიდა, – ეს ათეისტურ სახელმწიფოში წარმოუდგენელი იყო. სამაგიეროდ, სტალინმა დაკანონა ქორწინების სახელმწიფო ორგანოში რეგისტრაცია, ხოლო მის დარღვევაზე უმკაცრესი კონტროლი დააწესა. ამიერიდან, ქალაქადაც და სოფლადაც კანონიერად ითვლებოდა ის ქორწინება, რომელიც მამაკაცისა და ქალის ნებაყოფლობითი განცხადების საფუძველზე ხდებოდა და დასტურდებოდა ხელისუფლების მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტით. ასე იქმნებოდა ოჯახი. შესაბამისად, კანონიერ შვილად ითვლებოდა, ზემოხსენებული წესით რეგისტრირებული ქორწინების შედეგად დაბადებული ბავშვი. მამაკაცსაც და ქალსაც შეეძლოთ, ქორწინებამდე დაბადებული ბავშვებიც კანონიერ შვილებად ეღიარებინათ. მამაკაცს შეეძლო შეერთო მეორე მეუღლე, ქალსაც შეეძლო მეორედ გათხოვება, მაგრამ იმ პირობით, თუ კანონის ძალით რეგისტრირებული ქორწინება ბათილად იქნებოდა ცნობილი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს მიერ. ამრიგად, პირველი ქორწინების შემდეგ, ყოველი ქორწინება კანონიერი ხდებოდა, რადგან რეგისტრირდებოდა შესაბამის სახელმწიფო ორგანოში. ქორწინების სახელმწიფო ორგანოში რეგისტრაციამ და კანონიერი შვილის დადგენამ თავისთავად მოხსნა საკითხი უძრავი და მოძრავი ქონების კანონიერი და უკანონო მემკვიდრის შესახებ.

ბოლშევიკი ლიდერები შემდეგ დანანებით აღნიშნავდნენ, რომ სტალინმა მათ მოქალაქეთა თავისუფლებისა და თანასწორობის დიდებული გეგმები ჩაუშალა.

რუსეთში ტრადიციულად არსებობდა ოჯახის უფროსის ცნება, რომელსაც რეალური უფლებები ჰქონდა. ოჯახის უფროსად მიიჩნეოდა მამაკაცი. ქალი რუსეთში ამ სტატუსით ვერ სარგებლობდა. სტალინმა ოდნავ სახეშეცვლილი ფორმით ეს ტრადიციაც აღადგინა და დააკანონა. საბჭოთა ოჯახში რეალურად აღდგა ოჯახის უფროსის სტატუსი. სოფელში უძრავი და მოძრავი ქონება გაფორმებული იყო არა ზოგადად ოჯახზე (3-4 ან მეტ სრულწლოვან ადამიანზე), არამედ ოჯახის მამაზე – ოჯახის უფროსზე. ქონების დაცვა-შენახვაზე გადასახადების გასტუმრებასა და სახელმწიფოსგან დაწესებული სხვა ვალდებულებების შესრულებაზე პასუხისმგებელი იყო ოჯახის უფროსი. თუ ოჯახი თავს აარიდებდა დაწესებული გადასახადის გადახდას, კანონი სჯიდა არა ზოგადად ოჯახს, არამედ ოჯახის უფროსს. ყოველივე ამის დაკანონება სტალინისთვის ძალზე სახიფათო იყო, რადგან ამ შემთხვევაში, მისთვის შეიძლება, ბრალდება წაეყენებინათ, რომ კანონის წინაშე მამაკაცისა და ქალის თანასწორობა ირჩეოდა. სტალინი ასეთი შემთხვევისთვის გამოსავალს ყოველთვის იტოვებდა. მაგალითად: თუ გარდაიცვლებოდა მამა და ოჯახში რჩებოდნენ დედა და არასრულწლოვანი შვილები, მათ შორის ვაჟებიც, მამაკაციდან ოჯახის უფროსის უფლება კანონით გადადიოდა ქალზე (დედაზე). ამიერიდან ქალი იყო პასუხისმგებელი როგორც უძრავი და მოძრავი ქონების დაცვაზე, ისე გადასახადების გადახდაზე.

ამდენად, სტალინმა აღადგინა ტრადიციული სოციალური ურთიერთობები, რომელსაც წინათ ეკლესია არეგულირებდა, ხოლო ამიერიდან – სახელმწიფო.

საზოგადოებაში დამკვიდრებული ტრადიციული ღირებულებებისა და წეს-ჩვეულებების დაცვის ნგრევას სტალინი სხვა სფეროებშიც აღუდგა წინ. 1917 წლისათვის რუსეთში დამკვიდრდა შეხედულება, რომ ჯარისკაცზე სამხედრო მეთაურის (ოფიცრის) უფლება ლახავდა ჯარისკაცის ადამიანურ ღირსებას, ხოლო ჯარისკაცის მიერ ოფიცრის ბრძანების უსიტყვოდ შესრულება ბნელი წარსულის გადმონაშთი იყო. ამ შეხედულებამ კარგა ხანს იბატონა და ის გახდა ერთ-ერთი მიზეზი დიდი ჩავარდნებისა წითელი არმიის შექმნის პროცესში. საბოლოოდ, ეს მცდარი შეხედულება სტალინის ძალისხმევით დაიგმო. ოფიცრის უფლება ჯარისკაცზე, ხოლო ჯარისკაცის მოვალეობა – ოფიცრის ბრძანების უსიტყვოდ შესრულებაზე, როგორც მშვიდობიანობის და განსაკუთრებით კი, ომის დროს, არმიის ბრძოლისუნარიანობას განსაზღვრავდა. ზოგიერთი ბოლშევიკი ლიდერი ცეცხლითა და მახვილით ებრძოდა წითელ არმიაში რუსეთის არმიაში დამკვიდრებული ტრადიციების შენარჩუნებას, ერთ-ერთი ასეთი ტრადიცია იყო „დედოვშჩინა", ანუ უკვე ნამსახური ჯარისკაცის უფლება ახალწვეულ ჯარისკაცზე. ახალწვეულ ჯარისკაცს უსიტყვოდ უნდა შეესრულებინა არა მარტო ოფიცრის ბრძანება, არამედ – მასზე დიდხანს ნამსახური ჯარისკაცის ბრძანებაც. ასეთი დამოკიდებულება ოფიცრებს უადვილებდა ჯარისკაცთა მასის მართვას. ბოლშევიკი ლიდერები მოითხოვდნენ „დედოვშჩინის" სასტიკად აკრძალვას, თუნდაც რეპრესიების გზით. სტალინი მოთმინებით უსმენდა თავგახურებული ბოლშევიკების მსჯელობას და ბოლოს ერთ-ერთ თათბირზე განაცხადა: „დედოვშჩინას" ვერ ავკრძალავთ, რადგან არმია ყოველთვის ემყარება ძველ ტრადიციებს"!

მოამზადა
ანრი შავლაძემ

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲨᲕᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲕᲐᲠ-ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘ

ᲡᲙᲐᲛᲙᲝᲩᲐᲨᲕᲘᲚᲘ-ᲡᲙᲐᲛᲙᲝᲩᲘᲨᲕᲘᲚᲘ

გვარის გვარის ფუძეა მეტსახელი **სკამკოჩა**. ეს მეტსახელი წარმოშობილია მეგრული გამოთქმიდან **„სკან კოჩი“**, რაც ნიშნავს „შენს კაცს“.

სკამკოჩიშვილი და **სკამკოჩაშვილი** ერთი და იგივე გვარია.

საქართველოში 65 **სკამკოჩიშვილი** ცხოვრობს: ოზურგეთში – 47, თბილისში – 10, ბათუმში – 8.

69 – **სკამკოჩაშვილი**: ოზურგეთში – 61, თბილისში – 5, ბათუმში – 3.

ᲢᲣᲩᲐᲨᲕᲘᲚᲘ-ᲑᲐᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ

დღევანდელი **ტუჩაშვილები** სოფელ ქურთაში 1781 წლის აღწერით **ტუჩიაშვილებად** არიან ჩაწერილები.

ტუჩაშვილების პირვანდელი გვარი **ბაბეური** ყოფილა, შემდგომში კი **ბაბიაური** გამხდარა. ხოლო ხურთისში მცხოვრები **ტუჩაშვილების** ადრინდელი გვარი **ბაბაშვილი** ყოფილა.

1744 წლის აღწერაში ხურთისში სამი კომლი **ბაბიაურია** დაფიქსირებული.

ბაბეური-ბაბიაურები ანუ **ბაბაშვილები ტუჩაშვილების** გვარზე მეთვრამეტე საუკუნეში გადასულან: 1781 წლის აღწერაში, ისინი, ვინც 1774 წელს **ბაბიაურის** გვარს ატარებდნენ, **ტუჩაშვილებად** არიან ჩაწერილი.

ბაბაშვილები დღესაც ცხოვრობენ ხევში. ეს გვარი, როგორც სიონში, ისე ხერთვისში, თრუსოდან არის გადმოსული.

მეთვრამეტე საუკუნეში სოფელ მნაში **ბაბეურების** რვა ოჯახი ცხოვრობდა. **ტუჩაშვილები** და **ბაბაშვილები** ერთმანეთში ქალს დღესაც არ ათხოვებენ.



საქართველოში 209 **ტუჩაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 73, მცხეთაში – 23, კასპში – 11. არიან სხვაგანაც.

122 **ბაბაშვილი**: თბილისში – 39, მცხეთაში – 37, ყვარელში – 23. არიან სხვაგანაც.

ᲩᲘᲥᲐᲕᲐ

გვარის ფუძეა **ჩიქა**. ამ ფუძით რამდენიმე გვარია წარმოქმნილი, მაგალითად **ჩიქავა: ჩიქვანაია, ჩიქვინიძე, ჩიქობავა, ჩიქოვანი.**

გვქონდა ადრეული ფორმა **ჩიქვანი** – მთავრული გვარი სვანეთში, საიდანაც არის ნაწარმოები გვარები: **ჩიქვანია** და **ჩიქოვანი**.

ალექსანდრე ღლონტს, წიგნში „ქართული საკუთარი სახელები,“ შეტანილი აქვს მამაკაცის საკუთარი სახელი **ჩიქვი**.

საქართველოში 203 **ჩიქავა** ცხოვრობს: ზუგდიდში – 165, თბილისში – 36, ფოთში – 2.

ᲐᲜᲗᲘᲐ

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ანთია**, რომელიც ქართველთა წარმართული ღვთაების – **ანთარის** ბოლოკვეცილი ფორმაა და დროთა განმავლობაში საკუთარ სახელად იქცა.

ანთები იყვნენ ქართველთა მონათესავე ტომები, რომლებსაც ეკავათ შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო და ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ქართველებთან. ამას მოწმობს დღემდე შემორჩენილი ქართული გვარები: **ანთია, ანთიძე, ანთელავა** და სხვა.

ასევე, გვხვდება ტოპონიმები, მაგალითად, **საანთიო** – ზანის თემის მარჯვენა მხარეს.

ზოგი მკვლევარი **ანთიას ანთიმოზის** შემოკლებით ვარიანტად განიხილავს.

საქართველოში 2 033 **ანთია** ცხოვრობს: ზუგდიდში – 916, წალენჯიხაში – 493, თბილისში – 181. არიან სხვაგანაც.

ᲙᲝᲭᲚᲐᲛᲐᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ

კოჭ ძირის შემცველია გვარები: **კოჭაური, კოჭლამაშვილი, კოჭლამაზაშვილი, კოჭლამაზიშვილი** და სხვა. ასევე, გვხვდება გვარი **კოჭიბროლაშვილი.**

გადმოცემით, დღევანდელი გოზალიშვილების ძველი გვარ-სახელი სწორედ კოჭიბროლა ყოფილა. კოჭიბროლა თეთრფეხება ცხენს ეწოდებოდა.

როგორც გოზალიშვილების, ისე **კოჭლამაზაშვილების** გვარში, **კოჭლამაზა** და **კოჭიბროლა** მეტსახელებია.

საქართველოში ყველაზე გავრცელებულ 1 000 გვარს შორის **კოჭლამაზაშვილებს** 678-ე ადგილი უჭირავთ.

საქართველოში 1 463 **კოჭლამაზაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 423, სიღნაღში – 407, რუსთავში – 227. არიან სხვაგანაც.

350 **კოჭლამაზიშვილი**: სიღნაღში – 271, თბილისში – 49, ლაგოდეხში – 9. არიან სხვაგანაც.

ᲮᲝᲠᲐᲕᲐ

მეგრულად **ხორუა** იგივეა, რაც სახლობა. **ხორეთი** სოფელია ლანჩხუთის რაიონში.

გვარის ძირძველი სამკვიდროა ლესიჭინე. ასევე, ეს გვარი გვხვდება სოფლებში: ზანა, კეთილარი, მენჯი, მარტვილი, ჩხოროწყუ, ვედიკარი, კახათი, მარანი, ძველი სენაკი და სხვა.

ხორავა სოციალურად დაწინაურებული საგვარეულოა. ამ გვარის წარმომადგენლები როგორც 1890, ისე 1904 წელს, აზნაურებად არიან დაფიქსირებულები.

საქართველოში ყველაზე გავრცელებულ 1 000 გვარში, რაოდენობის მიხედვით, **ხორავა** 304-ე ადგილზეა.

საქართველოში 2 536 **ხორავა** ცხოვრობს: ჩხოროწყუში – 629, თბილისში – 424, ზუგდიდში – 356. არიან სხვაგანაც.

ᲗᲣᲜᲒᲘᲐ

გვარი **თუნგია** მომდინარეობს მამაკაცის მეტსახელიდან **თუნგა.**

თუნგი სპილენძიის ან თიხის ვიწროყელიანი დოქია.

თუნგიებს გალის რაიონში რაღაც დაუშავებიათ, სოფელი შეშელეთი მიუტოვებიათ, სამეგრელოში ჩამოსახლებულან და აზნაურ მელიებს მინდობიან. მათი ძირი ილორაში გვხვდება.

საქართველოში 228 **თუნგია** ცხოვრობს: ზუგდიდში – 110, თბილისში – 34, აბაშაში – 17. არიან სხვაგანაც.

ᲗᲝᲠᲓᲘᲐ-ᲗᲝᲠᲓᲘᲜᲐᲕᲐ-ᲗᲝᲓᲠᲐᲫᲔ

არსებობს მოსაზრება, რომ **თორდია**, ბგერათა გადასმით, **თოდრაძეთა** გვარიდან არის მიღებული. თითქოს **თოდრაძეები** კახეთიდან კოლხეთში არიან მიგრირებული და იქ **თორდიები** გამხდარან.

მსგავსი მაგალითი უცხო არ არის ქართული ონომატიკისთვის, მაგრამ, ამ მოსაზრების გაზიარება ეჭვქვეშ დგება, რადგან, **თოდრაძეები** გურიაში, კერძოდ, ოზურგეთში, ჩოხატაურსა და კახეთში ცხოვრობენ, კოლხეთში კი მსგავსი გვარი ჯერ არ იკითხება ისტორიულ საბუთებში.

შესაძლოა, კოლხური გვარის წარმომავლობა მესხეთში გაჩენილ ფეოდალურ საგვარეულოს – **თორელს, თორელებს** დაუკავშირდეს. ასეთი მაგალითი უკვე გვაქვს: ჩორჩანელებიდან ხურციასძე-ხურციძეების გვარები წარმოიშვა და ამ უკანასკნელთაგან კოლხეთში გავრცელდა გვარები: ხურცია, ხურცილავა, ხოლო ლეჩხუმში კი – ხუციძე.

თორდია და **თორდინავა** ერთი და იგივე გვარია. ორივეს ფუძეა თორი. პირველში სუფიქსია **ია**, მეორეში კი – **ავა**.

ქართლში გაჩნდა **თორელების** საგვარეულო, ხოლო იქიდან წასულებმა სამეგრელოში შექმნეს გვარები: **თორია, თორდია, თორდინავა.**

სიტყვა **თორს** რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: **თორი** აბჯრის ერთ-ერთი სახეობა იყო ძველ საქართველოში; ასევე, ისტორიული მხარე სამხრეთ საქართველოში, რომელიც მოიცავდა შავწყალას, გუჯარეთისა და მტკვრის ხეობას ტაშისკარიდან დვირამდე. ეს ტერიტორია დღევანდელი ბორჯომის რაიონშია.

სათორდიო არის უბანი ჩხორიოში, ჭკადუაშის საზღვართან.

საქართველოში 1 596 **თორდია** ცხოვრობს. ზუგდიდში – 1 208, თბილისში – 151, წალენჯიხაში – 76. არიან სხვაგანაც.

229 **თორდინავა**: მარტვილში – 131, თბილისში – 57, ქუთაისში – 30. არიან სხვაგანაც.

აკადემიკოს ᲘᲐᲙᲝᲑ ᲐᲮᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ მიერ მოწოდებული მასალების მიხედვით
მოამზადა ᲜᲝᲜᲐ ᲓᲐᲗᲔᲨᲘᲫᲔ

იურმალაში „ახალი ტალღის“ მოგებიდან ორ კვირაში, თბილისი დუეტ „ჯორჯიას“ დაშლაზე ალაპარაკდა. 2008 წლიდან დღემდე რატი დურგლიშვილი და მაკა ზამბახიძე მილიონჯერ აჩხუბეს და შეარიგეს, დააქორწინეს და დააშორეს. ბოლო პერიოდში ხმები მათი დაშლის შესახებ ხელახლა დაირხა, რისი გადამოწმებაც რატი დურგლიშვილთან თავად ვცადეთ. ხმები არც მართალია და არც ტყუილი, ისინი აგრძელებენ დუეტში სიმღერას და იმავდროულად, სოლო კარიერაზეც ფიქრობენ.

ვისმა სითბომ გადაარჩინა რთული პერიოდი რატი დურგლიშვილს და როდის არის ის არანორმალური

რატი დურგლიშვილი: ძალიან მომენატრა თქვენი მკითხველი, მივესალმები და მოვეფერები. დიდი ხანია, ვრცელი ინტერვიუ აღარ მიმიცია. ბოლო ცხრა თვემ ძალიან სერიოზული კარიერული შეფერხებები გამოიწვია, მით უმეტეს, კულტურის სფეროში მოღვაწეებისთვის. ის, რითიც ვცხოვრობთ, ამ კონკრეტულ პერიოდში არავის სჭირდებოდა. ხალხი კლუბში სიარულის ხასიათზე არ იყო. ძალიან რთული პერიოდი გავიარეთ, მაგრამ ასე თუ ისე გადავიტანეთ. ქვეყანა, რასაც მოითხოვს, ასე თუ ისე ჩვენც იმ დინებას მივყვებით. სიმღერა ზედმეტი ფუფუნებაა და პრეტენზიაც ვერ გექნება, რომ ვინმემ ამ ფუფუნებაზე იფიქროს. არავის არაფერს ვთხოვთ არც ერთ ხელისუფლებაში, მთავარია, სტაბილურობა იყოს და ჩვენს საქმეს გავაკეთებთ. სხვანაირად არც შეგერგება, მე, ყოველ შემთხვევაში, არ მერგება. ღმერთმა შეარგოს ყველას, თუ ვინმეს ვინმე სხვანაირად ედგა გვერდში, მე ეს არ შემიძლია.

– წასვლა გინდოდა, ამაზე აქტიურად ფიქრობდი ზაფხულში.

– კი მინდოდა და მინდა, ეს თემა სადღაც სულ აქტუალურია, მაგრამ კონკრეტული ვერაფერი გადავწყვიტე. ნებისმიერი ადამიანი რომ გაჩერო და ჰკითხო, ყველა გეტყვის, რომ სიამოვნებით წავა უცხოეთში. ძალიან ბევრი მაჩერებს და მეკითხება, ქვეყნიდან რატომ გარბიხარო და ეს ძალიან მაწუხებს. არსად გავრბივარ, ხალხო, არც გასაქცევად მაქვს საქმე. ვისაც გასაქცევად აქვთ, ისინი აქ არიან და მე რატომ უნდა გავრბოდე?! არავისთვის სიკეთის გარდა არაფერი გამიკეთებია, არც ქვეყნისთვის და არც თითოეული ადამიანისთვის. უბრალოდ, მინდა ახალი შესაძლებლობები გამოვნახო, ძალები მოვსინჯო. ჩემი სურვილია, რომელიც შეიძლება ხვალ გავაკეთო ან ათ წელიწადში, ან საერთოდ არასდროს. გარკვეული კონტაქტები მაქვს სხვადასხვა ქვეყანაში და მივხვდი, ვერაფერს შეძლებ, თუ იმ ქვეყნის მოქალაქე არ ხარ. ეს კი ჩემთვის სათუთი თემაა, რაზეც უარს ვერ ვიტყვი. თუ რაიმე სერიოზული, ღირებული გამოჩნდება, ვეცდები ორმაგი მოქალაქეობა მივიღო.

– რომელ ქვეყანას გულისხმობ?

– ამერიკას. ძალიან მიყვარს ევროპა, კარიერის გასაკეთებლად კარგია პოსტსაბჭოთა ქვეყნები, მაგრამ თუ წასვლაა, ამერიკაში წავალ. იქაური თავისუფლება, გიჟური ცხოვრების რიტმი ისაა, რაც ძალიან მომწონს. ბევრი კარგი ქართველი ცხოვრობს, შეკრულები არიან. მიყვარს ღამის ცხოვრება, კლუბები, ხალხმრავლობა, ურთიერთობები. ამისთვის იდეალურია ამერიკა. მაგრამ, ეს მაინც ფანტაზიის სფერო მგონია.

– რატომ, რა გიშლის ხელს?

– ამას საკუთარ თავს ხშირად ვეკითხები. ალბათ ის, რომ არ ვიცი, რა იქნება. აქ როცა არ უნდა ჩამოვიდე, მაინც რატი ვიქნები, ყველას ვემახსოვრები. ჩვენ ისეთი რაღაც გავაკეთეთ, ისტორიაში ჩავეწერეთ, რასაც ასე ადვილად ვერ წაშლი. უბრალოდ, არ მინდა, იქ ისე წავიდე, რომ მშენებლობაზე ვიმუშაო, იმიტომ კი არა, რომ მეთაკილება, უბრალოდ, არ მაქვს სამაგისო მდგომარეობა – უტვინო უნდა იყო ადამიანი. სადაც ჩემი საქმის კეთების ან სწავლის საშუალება მექნება, სიამოვნებით წავალ, ცოტა ხნით მაინც.

– გავრცელებული ხმები დუეტის დაშლის შესახებ მართალია?

– ეს რეალობასთან ახლოს არ არის. არ ვამბობ, რომ დავიშალეთ, რადგან გვაქვს საბავშვო სტუდია „ესა-მესა“, სადაც უსაყვარლესი და უნიჭიერესი ბავშვები სწავლობენ. ამ დღეებში გვქონდა კონცერტები და ხშირად ვჩანვართ ერთად. ეს ჭორები გამოიწვია ერთმა მოვლენამ – მაკა „სითი კლუბში“ მღერის მარტო, ჩემ გარეშე. ანუ, გვაქვს ერთობლივი პროექტები და ვმუშაობთ დამოუკიდებლადაც. დუეტი არ ნიშნავს, რომ ჩარჩოებში უნდა მოვექცეთ და დამოუკიდებლად არაფერი ვაკეთოთ. ყველა დუეტი თუ ჯგუფი, ქართული თუ უცხოური, ცნობილია როგორც



ამას ყველაზე თამამ, არანორმალურ სიზმარშიც კი ვერ წარმოვიდგენდით

ჯგუფები. მისი წევრები კი როგორც სოლო შემსრულებლები. ასე იყო „სახეც“, „ქუჩის ბიჭებიც“, „ალილოც“ და ნებისმიერი უცხოური ჯგუფი. რომ მითხრა, რატი, შენ ეს ერთი რაღაც უნდა აკეთო, ის ძალიან დიდ შემოსავალს მოგიტანს, მაგრამ სხვა ალტერნატივა არ გექნებაო, აუცილებლად უარს გეტყვი. არ შემიძლია შტამპები. საშინელი დისკომფორტია, როცა ვიღაც ზღუდავს შენს თავისუფლებას. დუეტში ეს

მივხვდი, ვერსად ვერაფერს შეძლებ, თუ იმ ქვეყნის მოქალაქე არ ხარ. ეს კი ჩემთვის სათუთი თემაა, რაზეც უარს ვერ ვიტყვი

შეზღუდვები არ გვაქვს. მე რომ ხვალ მომინდეს სოლო სიმღერის ჩაწერა, ეს არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს და ამის გამო განცხადება, რომ დუეტი დაიშალა – არასწორი იქნება. ეს იქნება სოლო სიმღერა, ჩემი დაწერილი მუსიკითა და ტექსტით. არ შეიძლება, ყველა სიმღერა დუეტში იმღერო. შეიძლება, სიმღერა დაგწერო და ის მხოლოდ იმიტომ მივცე სხვას, რომ დუეტის არ არის. რატომ უნდა გავაკეთო ეს, როცა ის სიმღერა ჩემთვის ძვირფასია?! ხელოვანი ვარ, ფაბრიკაში ხომ არ ვმუშაობ, რომ სულ ერთნაირი რაღაცეები ვაცხო. შეიძლება ცოტა არანორმალურად ვფიქრობ რაღაცეებზე, მაგრამ რა ვქნა? – არ მომწონს ეს კანონები. დუეტამდე ვიყავი რატი და ისევ რატი ვარ. თან, დუეტი ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა. შეიძლება, ჩემი ხათრით მაკამ გააკეთოს რაღაც, ან პირიქით და ეს არასასიამოვნოა. როცა მარტო ხარ, სხვანაირად ხარ დამოკიდებული საკუთარ თავზე.

– ეს ხომ არ გამხდარა თქვენ შორის უთანხმოების მიზეზი?

– არავითარი უთანხმოება. უბრალოდ, დადგა ისეთი ეტაპი, როცა დუეტშიც შეიძლება, აკეთო რაღაც და მარტოც. ის, რომ მაკა და რატი ერთად უყვართ და ცალ-ცალკე არა – არ არსებობს. ნებისმიერი ადამიანი, ვინც ამას წაიკითხავს, თუ სწორად გაიგებს, რაც ვთქვი ძალიან გამიხარდება. ხელოვანის ცხოვრება სხვანაირია. კომერციისთვის ვერ ვმუშაობ და არ ვცხოვრობ ისე, რომ ვწერო ჰიტები და პური ვჭამო. პურის საჭმელი კი არა, კომერციულად რომ მეაზროვნა, ბევრად მაღალ ფინანსურ საფეხურზე ვიქნებოდი. მირჩევნია, ნაკლები მქონდეს, თავისუფალი ვიყო და ჩემი საყვარელი საქმე ვაკეთო.

– თქვენს პირად ურთიერთობაზე გარემოებები არ მოქმედებს? ისეთი სტარტი გქონდათ, მერე იმედები გაგიცრუვდათ...

– ძალიან უცებ მოხდა ჩვენთან ყველაფერი და რამდენიმე სერიოზული ფსიქოლოგიური სტრესი მივიღეთ. პირველი იყო იურმალას მოგება. ამას ყველაზე თამამ, არანორმალურ სიზმარშიც კი ვერ წარმოვიდგენდით. თან, პატარები ვიყავით. მერე რაღაც საოცარი მასშტაბები გაგვეშალა წინ და ორ კვირაში მეორე დიდი სტრესი გადავიტანეთ მთელ საქართველოსთან ერთად, დაიწყო აგვისტოს ომი. იმ წუთში საკუთარ თავზე საერთოდ არ ვფიქრობდით, მაგრამ მერე დრო რომ გადის, სადღაც ქვეცნობიერში, გრძნობ, რომ ძალიან დიდი შანსი გაუშვი ხელიდან. ამ ეტაპზე იმასაც ვხვდები, რომ უამრავ ადამიანს ბევრი ცუდი აქვს ჩვენთვის გაკეთებული, რასაც იმწუთას ვერ ვხედავდით. ამის გამო ბევრი რამ დავკარგეთ, უბრალოდ, არ იმსახურებდნენ ისინი ასეთ დამოკიდებულებას. დღევანდელი აზროვნებით, ყველაფერი ის თავიდან რომ გამატარო, სულ სხვანაირად მოვიქცეოდი. ბევრ რაღაცაზე თვალი ამეხილა, ყველა ადამიანი ისეთი დავინახე, როგორიც სინამდვილეშია. ახლა უფრო მეტად მიყვარს ადამიანები და ვისაც რამე დაუშავებია მასაც უფრო მეტად ვაფასებ, – რომ არა ისინი, ბევრ რაღაცას ვერ მივხვდებოდი და ვერ ვისწავლიდი. მოკლედ, პრობლემები დაგვატყდა თავს და ერთადერთი, რაც კონკურსის შემდეგ მივიღეთ, ეს ხალხის უდიდესი სიყვარული და თვეში რამდენიმე კონცერტი იყო, რომლითაც თავი გაგვქონდა – ამ უზომოდ დიდ, დაგროვილ ენერგიას და სიყვარულს ადამიანებზე ვანაწილებდით. მთელი ეს რთული პერიოდი იმ ადამიანებმა გადაგვატანინეს, ვინც უდიდეს სიყვარულსა და სითბოს გამოხატავდა ჩვენ მიმართ და მთელი ცხოვრება მათი მადლიერი ვიქნები. ამის გამო ჩემს ხალხთან სულ ვალში ვიქნები, მთელი გულით მიყვარს თითოეული მათგანი.

სალომე გველესიანი

პერის ჰილტონის დიეტა

როდესაც დიეტოლოგები გაეცნენ პერის ჰილტონის დიეტას, დაადგინეს, რომ, გახდომის გარდა, მისი დიეტის დაცვა კარგია ოსტეოპოროზის, ჰიპერტონიისა და ღვიძლის დაავადებების დროს. მაგრამ, იმის გამო, რომ ეს დიეტა საკმაოდ მკაცრია, მისი მაქსიმალური ხანგრძლივობა 7 დღეა, თანაც, ნებადართულია, დაიცვათ მხოლოდ ერთთვიანი (ან მეტიც) შუალედებით.

ამ დიეტით კვირაში 3 კილოგრამს დაიკლებთ.

ორშაბათი

საუზმე (9-10 საათი) – 200 გრამი უცხიმო ხაჭო, შეზავებული წვრილად დაჭრილი მწვანილითა და მწვანე ხახვით.

დღის განმავლობაში (დროის თანაბარი შუალედებით) – 400 მილილიტრი უცხიმო რძე.

სამშაბათი

მთელი დღის განმავლობაში (4-5 ჯერად) გაანაწილეთ 400 მილილიტრი უცხიმო რძე და 200 გრამი უცხიმო ხაჭო.

ოთხშაბათი

საუზმე (9-10 საათი) – 1 ცალი დიდი ზომის მოხარშული კარტოფილი და 1 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი (ან 1 სადილის კოვზი უცხიმო ხაჭო).

დღის განმავლობაში (ოთხჯერად) გაანაწილეთ 400 მილილიტრი რძე.

ხუთშაბათი

დღეში 5-6-ჯერ – წითელი და მწვანე ბოსტნეულისგან მომზადებული სალათა, შეზავებული ნატურალური იოგურტით.

პარასკევი

საუზმე – 450 გრამი მოხარშული ხორცი (საქონლის, ფრინველის) ან თევზი.

დღის განმავლობაში – 400 მილილიტრი უცხიმო რძე.

შაბათი

მთელ დღეზე (5-6 ჯერად) გადაანაწილეთ 800 მილილიტრი უცხიმო რძე.

ძილის წინ – 200 მილილიტრი ტომატის წვენი (უმარილოდ).

კვირა

დღის განმავლობაში (5-6 ჯერზე) – მწვანე ან წითელი ბოსტნეულის სალათები (შეზავეთ 1 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთით ან ნატურალური იოგურტით).

ყოველდღე, შუალედებში, დალიეთ მინიმუმ 2 ლიტრი წყალი.

ნაოჭების გარეშე

დაუბრუნო სახეს ახალგაზრდობა – ეს ნიშნავს, მოაშორო მას ნაოჭები. პლასტიკურ ქირურგთან მისვლას ყველა ვერ ბედავს – ამისთვის ზოგს გამბედაობა არ ჰყოფნის და ზოგს – ფული. რომც გყოფნიდეთ, ალბათ, მაინც ჯობია, ნაკლებად რადიკალური გამოსავალი მოძებნოთ.

გაითვალისწინეთ ჩვენი რჩევები და არანაირი ოპერაცია არ დაგჭირდებათ. მიზნის მისაღწევად სულ რამდენიმე ნაბიჯის გადადგმაა საჭირო.

ნაბიჯი პირველი – გამოიძინეთ

მუდმივი გამოუძინებლობის დროს კანის უჯრედებში გროვდება თავისუფალი რადიკალები, ჯანმრთელი ძილის დროს კი კანი აღდგება და თავისუფლდება ტოქსინებისგან. დასკვნა: დაგეგმეთ დღე ისე, რომ ძილისთვის გამოყოთ მინიმუმ 8 საათი. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ისიც, თუ როგორ პოზაში გძინავთ. მაგალითად, თუ ბალიშში სახეჩარგული იძინებთ, კანი ვერ მიიღებს ჟანგბადის საკმარის რაოდენობას.

ნაბიჯი მეორე – იკვებეთ სწორად

ახალგაზრდობის შესანარჩუნებლად კანს აუცილებლად სჭირდება ამინომჟავები, უჯერი ცხიმები და რთული ნახშირწყლები. ამინომჟავებს შეიცავს ზღვის პროდუქტები, პარკოსნები და, ზოგადად, ცილები. ეს არის კანის უჯრედების აღსადგენი საშენი მასალა. უჯერი ცხიმები (ზეითუნის ზეთი, ნუში, ცხიმიანი თევზი) კანს ხდის ელასტიკურს, ნახშირწყლები კი უნარჩუნებს უჯრედებს ტენიანობას. დიეტები, ხშირ შემთხვევაში, გვაკლებს კილოგრამებს, მაგრამ, ეს პროცესი კანს უმატებს ნაოჭებს. ამიტომ, უმჯობესია, შევამციროთ აუცილებელი პროდუქტების რაოდენობა და არა მთლიანად გამოვრიცხოთ ისინი რაციონიდან.

ნაბიჯი მესამე – ხშირად გაიწმინდეთ კანი

ეს პროცედურა ჩაიტარეთ დილა-საღამოს, რადგან, დილით, სახლიდან გასვლის წინ, მაკიაჟი სუფთა კანზე უნდა წაისვათ, საღამოს კი გაათავისუფლეთ კანი კოსმეტიკის ნარჩენების, კანის ცხიმისა და მტვრისგან, რომლებიც ამოლესავს ფორებს და აჩქარებს დაბერების პროცესს. მაგრამ, ნუ გაგიტაცებთ უხეში სკრაბები და, საერთოდაც, დაკვირვებით შეარჩიეთ თქვენი კანის შესაფერისი მოვლის საშუალებები.

ნაბიჯი მეოთხე – ნუ ინერვიულებთ

შეიძლება, დღევანდელი ცხოვრების პირობებიდან გამომდინარე, ეს რჩევა სასაცილოდ თუ არა, ირონიულად მაინც ჟღერდეს, მაგრამ, ყველანაირად ეცადეთ, „აისხლიტოთ“ უსიამოვნებები, ანუ, გულამდე არ მიიტანოთ. სხვანაირად რომ ვთქვათ, მარტივად შეხედეთ პრობლემებს. ამაში დაგეხმარებათ იოგას ვარჯიშები და აუტოტრენინგი.

გახსოვდეთ, რომ, თუ მცირეოდენი ემოციური „შეჯანჯღარება“ სასარგებლოა ორგანიზმისთვის, რადგან ამ დროს გამოიყოფა ადრენალინის აუცილებელი დოზა, მუდმივი დაძაბულობა, შფოთვა და ნერვიულობა უმოკლესი გზაა ნაოჭების გასაჩენად.

ნაბიჯი მეხუთე – ივარჯიშეთ

თუ სახის კანს შეუნარჩუნებთ ტონუსს, მაშინ უზრუნველყოფილი იქნება მისი ხანგრძლივი ახალგაზრდობა. ინტერნეტში მოიძიეთ სახის ვარჯიშების კომპლექსები (სხვათა შორის, არსებობს იოგა სახისთვის) და დღესვე შეუდექით საქმეს. ამ ვარჯიშების გაკეთება საწოლიდან აუდგომლადაც შეგიძლიათ. მთავარი კი ისაა, რომ ვარჯიშები რეგულარული იყოს.

ნაბიჯი მეექვსე – გამოიყენეთ „ჭკვიანი“ კოსმეტიკა

კვერცხის გულისა და „ჰერკულესისგან“ დამზადებული ნიღბის ან ზეითუნის ზეთით გაკეთებული მასაჟისთვის, ცხადია, თქვენი კანი მადლობას გეტყვით, მაგრამ, სრულყოფილი მოვლისთვის ეს არ არის საკმარისი – საჭიროა „სერიოზული“ კოსმეტიკაც. ამიტომ, მიმართეთ გამოცდილ კოსმეტოლოგს და ყურადღებით შეარჩიეთ ჯანმრთელი და ეკოლოგიურად სუფთა საშუალებები.

ნაბიჯი მეშვიდე – ბევრი ისეირნეთ

თუ გაქვთ ამის საშუალება, სეირნობისთვის გამოყავით ნახევარი საათი დილით, ნახევარი – საღამოთი. არ არის აუცილებელი, ირბინოთ ან ძალიან სწრაფად იაროთ, ნელი ნაბიჯიც საკმარისია იმისთვის, რომ თქვენი ნერვული სისტემა დამშვიდდეს, ფილტვებიც და კანიც ჟანგბადით აივსოს და განწყობაც გამოგიკეთდეთ, ეს ყველაფერი კი კანის მდგომარეობის გაუმჯობესების პირდაპირპროპორციულია.

კოსმეტოლოგის რჩევები

კითხვა: რა არის ლუმინაიზერი?

პასუხი: ლუმინაიზერი არის შუალედური კოსმეტიკური საშუალება კონსილერსა და მბზინავ პუდრს შორის. მას ისვამენ ლაწვებზე (რომ ღაწვები უფრო მაღალი გამოჩნდეს), თვალების გარშემო, წვრილ ნაოჭებზე, ან – შუბლზე. ის ერთგვარად გაფანტულ სხივს აძლევს კანს და მის ხარვეზებს უჩინარს ხდის. მაგრამ, ლუმინაიზერით მთელი სახის „განათება“ არ შეიძლება – ასეთ ეფექტს ის არ მოგცემთ, სამაგიეროდ, გექნებათ შეგრძნება, რომ გაქვთ ძალიან ცხიმიანი კანი და ამიტომ ბზინავს.

კითხვა: რით განსხვავდება მშრალი ზეთი ჩვეულებრივი კოსმეტიკური ზეთებისგან?

პასუხი: მშრალი ზეთი ჩვეულებრივი კოსმეტიკური ზეთებისგან განსხვავდება იმით, რომ მას მომენტალურად შეიწოვს კანი და არ ტოვებს ტანსაცმელზე ცხიმიან ლაქებს. გარდა ამისა, ის კარგად ატენიანებს კანს და მის ზედაპირზე ქმნის ტენიანობის შემაკავებელ უთხელეს აპკს.

კითხვა: რა დანიშნულებით გამოიყენება ფენი იონიზაციის ფუნქციით?

პასუხი: იონიზაციის ფუნქციის მქონე ფენის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ თმიდან ხსნის სტატიკურ ელექტრობას და მას ზედმეტად არ აფუშფუშებს. ასევე, იონების ზემოქმედების წყალობით, ასწორებს თმის ზედა ფენას და სძენს საოცარ ბზინვარებას. გარდა ამისა, ასეთი ფენი იცავს თმას გამაშრობისგან. თმის ღერებზე არსებულ ტენს იონები აქცევს უწვრილეს წვეთებად, რომლებსაც თავის კანი და თავად თმის ღერი უკეთ შეიწოვს.

კითხვა: რატომ ითვლება მიცელარული წყალი მაკიაჟის მოსახსნელად საუკეთესო საშუალებად?

პასუხი: მიცელარული წყალი არის რბილი და ამიტომ, მაკიაჟის მოსახსნელი ეფექტური საშუალება. მის შემადგენლობაში შემავალი წვეთები – მიცელები (ლათინურად mica – ნამცეცი) მომენტალურად შეიწოვს და შთანთქავს ცხიმს და, ამასთან, არ აშრობს კანს.

კითხვა: თუ შეიძლება, დაწვრილებითი ინფორმაცია მომაწოდეთ ჰიალურონის მჟავის შესახებ.

პასუხი: ჰიალურონის მჟავა პასუხს აგებს კანის დატენიანებასა და რეგენერაციაზე. ასაკის მატებასთან ერთად, მცირდება ორგანიზმის მიერ ჰიალურონის მჟავის გამომუშავება და იწყება კანის დაბერების პროცესი: ქვეითდება მისი ელასტიკურობა და ჩნდება ნაოჭები. ამის თავიდან ასაცილებლად გამოიყენება ბუნებრივთან ძალიან ახლოს მდგარი ხელოვნური ჰიალურონის მჟავა, რომელსაც უმატებენ კრემების შემადგენლობაში. არც ისე დიდი ხნის წინ მეცნიერებმა გამოიგონეს ჰიალურონის მჟავა ძალიან პატარა მოლეკულებით, რომელიც კიდევ უფრო დიდი ხნით ატენიანებს კანს.



მოამზადა
თამრიკო ზამთარაძემ

ვინ შექმნა თბილისში „სადისტების“ ბანდა, რომლებიც თავიანთ მსხვერპლს წამებით კლავდნენ

პუბლიკაციის ზოგიერთი მონაწილის ვინაობა შეცვლილია. მათი ვინმესთან მსგავსება შემთხვევითია, რისთვისაც წინასწარ გიხდით ბოდიშს.

მკვლელობა

– კახი, აი, ის „ნოლშესტი“ ჩემია. ეტყობა, ჩემმა ძმამ გამოიყვანა და თავის ძმაკაცებთან ერთად კატაობს. მე აქ ჩამოვალ, შენ კი მიდი, თავზე წამოადექი და შეაშინე, გასაგებია? – უთხრა მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა კოტე გოგიამ თავის ახალ მეწყვილეს, უმცროს ლეიტენანტს, კახი ომიაძეს.

21 წლის კახი ომიაძისთვის პირველი სამუშაო დღე იყო თბილისის მილიციის სამმართველოში. კახი 28 წლის, სისხლის სამართლის სამძებროს ოპერს, კოტე გოგიას შეუწყვილეს და სწორედ მასთან ერთად პატრულირებდა საბურთალოს ერთ-ერთ დასახლებაში. კახი ომიაძე მამის ნაჩუქარ, ახალ „ჟიგულს“ მართავდა.

კოტე გოგია მანქანიდან გადავიდა და აკაციის ხეს ამოეფარა, რომ იქიდან ედევნებინა თვალი თავისი უმცროსი ძმის დიტოს საქციელისთვის, რომელსაც კახი პისტოლეტმომარჯვებული უნდა წამოსდგომოდა თავზე და შეეშინებინა. ომიაძემ მანქანა დაძრა, სამოციოდე მეტრი გაიარა და კოტე გოგიას „ჟიგულს“ მიუყენა გვერდით. შემდეგ პისტოლეტმომარჯვებული გადმოხტა და დაიყვირა:

– არ გაინძრეთ, ხელები მაღლა!

კოტემ იმ დროს ჩაავლო ძმისს მაჯაში ხელი, როცა ის ავადმყოფს ვენაში საწამლავს შეეთმგდა

აკაციის ხეს ამოფარებული კოტე გოგია ხალისით ადევნებდა თვალყურს „შეშინების სცენას“ და გულში უმცროს ძმას დასცინოდა. მაგრამ, კოტეს მანქანიდან გასროლის ხმა გაისმა და პისტოლეტმომარჯვებული კახი ომიაძე ასფალტზე დაეცა. კოტეს მანქანა კი ადგილს მოსწყდა და საბურთალოს ერთ-ერთი პატარა ქუჩის შესახვევიდან გაუჩინარდა. კოტემ ომიაძესთან მირბინა, დახედა და ტყვია მას შიგ შუბლში ჰქონდა მოხვედრილი და უკვე გარდაცვლილი იყო.

მორიგი საქმე

კოტე გოგია საკმაოდ გამოცდილი ოპერი იყო და არ დაიბნა. ის ჯერ დარწმუნდა, რომ მისი მანქანა არავის შეუმჩნევია. შემდეგ იქვე, ტაქსაფონის ყურმილს დასწვდა და სახლში დარეკა.

– გისმენთ, – უპასუხა კოტეს დიტომ.

„მადლობა ღმერთს, რომ სახლშია. ასეც ვიცოდი და არ შევმცდარვარ“, – გაიფიქრა კოტემ და უმცროს ძმას უთხრა:

– ფეხი არსად გაადგა და სანამ არ მოვალ, გარეთ ცხვირიც არ გაყო.

– მოხდა რამე?

– რაც გითხარი, გააკეთე! წავედი, – მიუგო კოტემ დიტოს. შემდეგ მილიციის უფასო ნომერზე დარეკა, მორიგეს უთხრა, ვინც იყო და ყველაფერი უამბო. ათი წუთიც არ იყო გასული, რომ საბურთალოს მყუდრო ქუჩა, მილიციისა და პროკურატურის თანამშრომლებით აივსო.

ჩვენებაში, რომელიც პროკურატურის გამომძიებელს მისცა, კოტე გოგიამ აღნიშნა: „კახი ომიაძის მანქანიდან მოსაშარდავად გადმოვედი და იქვე, დანგრეული სახლის ეზოში მივდექი. ამ დროს გასროლის ხმა გავიგონე. შარვალი შევიკარი და გარეთ გავვარდი. დავინახე, კახი მიწაზე იწვა და ხელში პისტოლეტი ეჭირა. გავიგონე მანქანის ხმაც, თავად მანქანა კი არ დამინახავს. კახისთან რომ მივირბინე, ის უკვე გარდაცვლილი იყო“.

საქმის გამოძიებას გივი ნათაძე ანარმოებდა. მანვე ჩაატარა პირველადი მოკვლევა და მოკლული მილიციელის ტაბელური პისტოლეტი რომ შეამოწმა, ის დამცველიდან მოუხსნელი, არასაბრძოლო მდგომარეობაში აღმოჩნდა. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან, კახი ხომ კოტეს ძმის შეშინებას აპირებდა...

– უცნაურია, – ჩაილაპარაკა ნათაძემ, – თუ ომიაძე ბოროტმოქმედებს წამოადგა თავზე, მაშინ, „პრედახრანიწელიდან“ რატომ არ მოხსნა?

მილიციელის მკვლელობა კბილის ტექნიკოსის, ანზორ შიმშილაშვილის სახლთან მოხდა და მილიცია რომ მის სახლში შევიდა, ის გარდაცვლილი დახვდათ. კბილის ტექნიკოსი რკინის სანოლზე იყო მიბმული. მისი სხეულის შემოწმებამ ნათელყო, რომ ნაწამები იყო. გარდაცვალების მიზეზად კი ინფარქტი დასახელდა, რაც წამებამ გამოიწვია. შიმშილაშვილის ბინა არეულ-დარეული იყო. მისმა ცოლმა კი გამომძიებელს უთხრა:

– კედელში სეიფი იყო. ის ცარიელია. თუმცა, შიგ რა იდო, არ ვიცი.

იმავე საღამოს, მილიციის სამმართველოში ოპერატიული თათბირი გაიმართა და სამძებროს უფროსმა ხელქვეითებს უთხრა:

– ეს, როგორც ეტყობა, სადისტების მორიგი, მეოთხე საქმეა – იგივე ხელწერაა. უკვე მეოთხე გაძარცვული მოკლეს, პლუს ჩვენი კოლეგა. ხუთი „ტრუპი“ – ეს არნახულია. მოკლული კახი ომიაძის მამა პირველის მეგობარია და უნდა ვიმოქმედოთ.

უფროსთან თათბირს კოტე გოგიაც ესწრებოდა და როცა დასრულდა, პოლკოვნიკს სთხოვა:

– ამხანაგო პოლკოვნიკო, თუ შეიძლება, სახლში წავალ. ძალიან ცუდად ვარ და თუ არ დავისვენე, გავგიჟდები.

– წადი, კოტე, წადი...

კოტე გოგიამ ტაქსი გააჩერა, მძღოლს მისამართი უკარნახა, თავად უკანა სავარძელზე გადაწვა და ფიქრობდა: „ძარცვის დროს დიტო სახლში იყო. ესე იგი, მანქანა მან ვიღაცას ათხოვა. იმ ვიღაცის ვინაობას შევიტყობ და მერე, მე ვიცი“.

გამწყდარი ჯაჭვი

კოტე დიღმის მასივში ცხოვრობდა და სახლთან რომ მივიდა, კორპუსის წინ მდგომი, საკუთარი „ჟიგული“ დაინახა. სახლში რომ შევიდა, ზუსტად საღამოს რვა საათი შესრულდა. კართან უმცროსი ძმა, დიტო შემოეგება:

– ხომ მშვიდობაა, კოტე?

– დაჯექეი და რასაც გკითხავ, ყველაფერზე სწორედ მიპასუხე.

– რა მოხდა, არ იტყვი?

– ჩემი „ნოლშესტი“ ვის გაატანე ამ დილით?

– არავის, – მიუგო დიტომ ძმას.

– ხომ გითხარი, არ მომატყუო-მეთქი. ვის გაატანე?

– არავის, – გაუმეორა ძმას დიტომ.

კოტემ სილა გააწნა დიტოს და ხმას აუწია:

– კრეტინო! მიპასუხე, ვის გაატანე. იმ მანქანიდან ამ დილით მილიციელი, ჩემი მეწყვილე მოკლეს.

– შენი მეწყვილე მოკლეს? – ხმა აუკანკალდა დიტოს.

– ჰო, ჩემი მეწყვილე. თქვი, ვის გაატანე.

– სერგო კვახაძეს, – ხმის კანკალითვე მიუგო დიტომ.

– ეგ ვინაა?

– ჩემი ჯგუფელი.

– რატომ გაატანე?

– ხუთასი მანეთი მომიგო სეკაში და მითხრა, თუ ორი საათით შენი ძმის მანქანას მათხოვებ, თავანს გაგირასხოდებო.

– რამდენი ხანი ჰყავდა წაყვანილი?

– დილის ათზე წაიყვანა და თორმეტის ნახევარზე მოიყვანა.

– სად ცხოვრობს?

– ორთაჭალაში, ჰესთან, – უთხრა დიტომ კოტეს და კვახაძის ზუსტი მისამართი უკარნახა.

კოტემ შენიღბულად ჩაიცვა. ქამარში გაუფორმებელი იარაღი გაირჭო და სანამ სახლიდან გავიდოდა, დიტოს უთხრა:

– სახლში ეგდე და კარი არავის გაუღო. სახლში რომ მოვალ, კარს ჩემი გასაღებით გავაღებ.

დიტო გოგია 20 წლის იყო და „გეპეიში“ სწავლობდა. მას და მის ძმას მშობლები ავტოავარიაში დაელუპათ და ერთმანეთის მეტი არავინ ჰყავდათ. ძმები რომ დაობლდნენ, დიტო 12 წლის იყო და ის კოტემ გაზარდა...

კოტე სახლიდან გავიდა და „დინამოს“ ბაზამდე ფეხით იარა. იქ ტაქსი გააჩერა და ორთაჭალაში წავიდა. კვახაძის სახლიდან 200 მეტრის დაშორებით ჩამოქვეითდა, გზა ფეხით გააგრძელა და კვახაძის სახლს რომ მიუახლოვდა, ეზოში შეკრებილი მილიცია, პროკურატურა და უბრალო ცნობისმოყვარეები შენიშნა. კოტემ ერთი იეზიდი მეეზოვე გააჩერა და ჰკითხა:

– რა მოხდა, ძია-ჯან? რამდენი ხალხი და მილიციაა შეკრებილი...

– ჩვენი სერიოჟა მოკლეს, კვახაძე, პადიეზდში თავში ორი ტყვია ესროლეს.

– ვა, საცოდავი, – თქვა კოტემ და სასწრაფოდ გაეცალა იქაურობას, რომ ვინმეს არ ეცნო.

სისხლიანი შეტაკება

კოტე თერთმეტის ნახევარზე დაბრუნდა სახლში და დიტოს დაწვრილებით მოაყოლა სერგო კვახაძესთან ურთიერთობის ამბები. აღმოჩნდა, რომ მასთან ორჯერ იყო ნამყოფი. ერთხელ, მთელ ჯგუფთან ერთად მის დაბადების დღეზე, მეორედ კი – ცალკე.

– მარტო რომ იყავი, რას აკეთებდით? – ჰკითხა კოტემ ძმას.

– არაყი დავლიეთ და პლანი დავაყოლეთ. მე გავითიშე და იქვე მიმეძინა. რომ გამოვფხიზლდი, თვალი არ გამიხელია და მივაყურადე. სერგოს სტუმარი ჰყავდა და ვიღაც „პუზას“ გაწენვაზე ლაპარაკობდნენ. ერთხელ, ვიღაც „მოხუციც“ ახსენეს. შემდეგ სერგოს სტუმარი წავიდა. მე თვალი გავახილე, ხელ-პირი დავიბანე და სახლში წამოვედი. ერთი კვირის მერე კი, სერგომ სეკაში ხუთასი მანეთი მომიგო და მითხრა, მანქანის თხოვებაში გაგირასხოდებო. აი, სულ ეს არის მთელი ამბები.

– ახლა კარგად მომისმინე, შე კრეტინო! – უთხრა დიტოს გამწარებულმა კოტემ, – არყის სასმელად, პლანის მოსაწევად და სეკას სათამაშოდ გამოგზარდე? შენნაირებს ვიჭერ და ციხეში ვსვამ. საფრთხის ქვეშ ხარ. დარწმუნებული ვარ, სერგო კვახაძე იმიტომ მოკლეს, გაიგეს, რომ მილიციელის მანქანით იყვნენ საქმეზე და ამით ჯაჭვი განყვიტეს. გამორიცხული არ არის, შენი მოკვლაც უნდოდეთ. ამიტომ, დროებით უნდა დაიმალო. ამაღამვე სოხუმში გაეგზავრები ჩემს ძმაკაცთან, ასტამურ ჩაჩბასთან და იქ დაიმალები. წავედით. ერევანი-მოსკოვის მატარებელი ღამის 3 საათზე გადის, ოცი წუთით გაჩერდება თბილისში და გაგამგზავრებ. მაგრამ, იცოდე, არავისთან კრინტიც არ დაძრა. ასტამურს მე დავურეკავ და ის არაფერს გკითხავს.

კოტემ დიტო სოხუმში გაამგზავრა, მანამდე კი თავის ჯგუფელს, მილიციის კაპიტანს, ასტამურ ჩაჩბას დაურეკა, რომელიც სოხუმის სამძებროს უფროსის მოადგილე იყო და სთხოვა, დიტო თავისთან ყოლოდა. კოტე რომ სახლში დაბრუნდა, უკვე თენდებოდა, მაგრამ ძილი არ ეკარებოდა, დიტოს მონათხრობს აანალიზებდა. ძმის მიერ ნახსენები პუზა ცნობილი თბილისელი ნარკომოვაჭრე, მიშა კოდალაშვილი იყო. ხოლო „მოხუცი“ ვინ იყო, კოტემ არ იცოდა, თუმცა ეჭვობდა, რომ ის მსხვილი „თევზი“ უნდა ყოფილიყო.

„ესე იგი, „სადისტები“ პუზას გაძარცვას აპირებენ და მათ რომ ჩავავლო, კოდალაშვილის სახლთან მომიწევს სადკაობა. ძალიან კარგი... თუ გამიმართლებს, მსხვილ ბანდას გავშიფრავ და ავყრი, რაც ჩემი კარიერისთვის ურიგო არ იქნება“, – ფიქრობდა კოტე გოგია.

სამსახურში მისულ კოტეს სერგო კვახაძის მკვლელობის ამბავი დახვდა, რომელსაც ასევე გივი ნათაძე იძიებდა. ბალისტიკურმა ექსპერტიზამ დაადგინა, რომ მილიციელი კახი ომიაძე და სერგო კვახაძე ერთი და იმავე პისტოლეტით იყვნენ მოკლულნი, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ კვახაძე „სადისტების“ საქმესთან იყო დაკავშირებული.

სამსახურებრივი საქმიანობის პარალელურად, კოტე გოგია ნარკობარიგა პუზას, იგივე მიშა კოდალაშვილის სახლს უთვალთვალებდა, რომ, თუკი „სადისტები“ მის გაძარცვას დააპირებდნენ, დაეკავებინა ისინი.

შიმშილაშვილის გაძარცვისა და კახი ომიაძის მკვლელობიდან ორი კვირის შემდეგ, კოტე გოგია ვაკეში, პუზას სახლთან იყო ჩასაფრებული და უკვე წასვლას აპირებდა, რომ შორიახლო „მოსკვიჩი“ გაჩერდა. იქიდან სამი ახალგაზრდა გადმოვიდა, ერთი კი მანქანაში დარჩა. „ნამდვილად „სადისტები“ არიან“, – გაიფიქრა კოტემ და მანქანიდან გადმოვიდა. იარაღი საბრძოლო მდგომარეობაში მოიყვანა და ახალგაზრდებისკენ გაემართა, რომლებიც უკვე სადარბაზოში შედიოდნენ. ერთ-ერთმა უკან მოიხედა და კოტე რომ შენიშნა, მიხვდა, ვინც იყო. იარაღი დაუმიზნა, ესროლა და მარცხენა მხარში დაჭრა... კოტემ, საპასუხო ცეცხლი გახსნა და ერთი ახალგაზრდა მოკლა, მეორე მუცელში დაჭრა, მესამემ და „მოსკვიჩის“ მძღოლმა კი გაქცევა მოახერხეს. თავად დაჭრილმა კოტემ, მძიმედ დაჭრილი ახალგაზრდა საკუთარ მანქანაში ჩასვა და საავადმყოფოში წაიყვანა, მანამდე კი, გამვლელ ავტოინსპექტორს უბრძანა:

– მე, „უგროზისკის“ ოპერი ვარ და დაჭრილი საავადმყოფოში მიმყავს, ეგ კი მოკლულია და მილიცია გამოიძახე...

„ეს ბიჭი იყო ის, ვინც ომიაძეს ესროლა“

„ბოხუცი“ და მისი ბანდის წევრი ისე სწრაფად აიყვანა მილიციამ, რომ სიტყვის დაძვრაც ვერ მოასწრეს

„ბოხუცი“

კოტე გოგიამ მის მიერვე დაჭრილი მძარცველი მეცხრე საავადმყოფოში მიიყვანა. მას სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს და რეანიმაციულ განყოფილებაში დაანვინეს. დახმარება აღმოუჩინეს კოტესაც და მარცხენა მხარიდან პისტოლეტის ტყვია ამოუღეს. მოგვიანებით, ბალისტიკურმა ექსპერტიზამ დაადგინა, რომ კოტეს მხრიდან ამოღებული ტყვია იმ პისტოლეტიდან იყო ნასროლი, რომლითაც კახი ომიაძე და სერგო კვახაძე იყვნენ მოკლულები და ეკუთვნოდა ანზორ პაპავას, რომელიც კოტემ პუზას სადარბაზოსთან მოკლა. მუცელში დაჭრილი მძარცველი კი 29 წლის ნოდარ მენაბდე აღმოჩნდა.

კოტე გოგია პროკურატურაში წაიყვანეს. ის გივი ნათაძემ დაკითხა და კოტემაც მას სრული სიმართლე უამბო, დაწყებული კახი ომიაძის მკვლელობიდან, პუზას სახლთან ჩასაფრებით დამთავრებული...

– აი, რატომ ჰქონდა საბრალო კახი ომიაძეს პისტოლეტი არასაბრძოლო მდგომარეობაში, – თქვა ნათაძემ, – ის, თურმე, შენი ძმის შეშინებას აპირებდა შენივე თხოვნით და მკვლელებს გადააწყდა. დამნაშავე ხარ. შენ რომ ეს ყველაფერი იმავე დღეს მოგეყოლა, ახლა ეს საქმე დასრულებული იქნებოდა და ამდენ მსხვერპლს თავიდან ავიცილებდით. იძულებული ვარ, შენი შინაპატიმრობა მოვითხოვო და შენს უფროსობას მივმართო.

– ბატონო გივი, პატიებას არ გთხოვთ და მზად ვარ, პასუხი ვაგო ჩემი საქციელისთვის, მაგრამ გთხოვთ, ჩემი საქმიანობა იქამდე გამაგრძელებინოთ, სანამ „სადისტებს“ და მათ მეთაურ „მოხუცს“ არ დავიჭერთ.

გივი ნათაძემ კოტეს თხოვნა შეუსრულა.

„სადისტებზე“ გასასვლელად ერთადერთი ჯაჭვი, მძიმედ დაჭრილი ნოდარ მენაბდე იყო. მაგრამ, ის კომაში იყო და მისი დაკითხვა შეუძლებელი გახლდათ.

ნოდარ მენაბდის გადასარჩენად, ექიმები ყველა ღონეს ხმარობდნენ. მილიცია კი გაძლიერებულად იცავდა მას და მეცხრე საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებას, ადგილობრივი მედპერსონალის გარდა, ვერავინ ეკარებოდა. ერთ საღამოს, მენაბდის პალატასთან კოტე გოგია იჯდა და გაზეთს კითხულობდა. ამ დროს მას ექთანმა სვეტა კილურაძემ გაუარა, მიესალმა და პალატაში შევიდა. კოტეს დაკვირვებულ თვალს არ გამოჰპარვია, რომ გაოფლიანებული გოგონა გახშირებულად სუნთქავდა და აქედან გამომდინარე, საკმაოდ აღელვებული უნდა ყოფილიყო.

„აქ რაღაცაშია საქმე“, – გაიფიქრა კოტემ, პალატაში შევიდა და იმ დროს ჩაავლო სვეტას მაჯაში ხელი, როცა ის მენაბდისთვის საწამლავის გაკეთებას აპირებდა ვენაში...

ფაქტზე დაჭერილი სვეტა კილურაძე გამოტყდა, რომ სახლში დაურეკეს და უთხრეს: დილით შენი რვა წლის გოგონა გავიტაცეთ, და თუ ნოდარ მენაბდეს არ მოკლავ, გოგონას მოჭრილ თავს გამოგიგზავნითო...

კოტემ მომხდარის შესახებ უფროსებს აცნობა და მილიციამ ოპერაცია შეიმუშავა, რომლის წარმატების იმედი დიდად არავის ჰქონდა, მაგრამ სხვა გზა არ იყო. ამ ოპერაციის მიხედვით, ნოდარ მენაბდე გარდაცვლილად გამოცხადდა და რეანიმაციულ განყოფილებაში დაცვა მოიხსნა. სინამდვილეში კი ის მილიციის დახურულ კლინიკაში გადაიყვანეს. სვეტა კილურაძის ტელეფონი მოსასმენად ჩართეს და გამტაცებლის ზარს დაელოდნენ, რომ მისი ადგილსამყოფელი დაეფიქსირებინათ. მისი დაკავებით კი „სადისტების“ ბანდის დანარჩენ წევრებზე გასულიყვნენ.

– სვეტა, თუ გამტაცებელმა დარეკა, ეცადე, რაც შეიძლება დიდხანს, მინიმუმ, ერთი წუთი მაინც გაწელო საუბარი, რომ მისი ადგილმდებარეობა დავადგინოთ და ავიყვანოთ, – უთხრა სვეტა კილურაძეს მილიციის სამმართველოს ტექნიკური განყოფილების უფროსმა, რომელიც პირადად ესწრებოდა ოპერაციას.

ზუსტად შუაღამით, სვეტას ტელეფონზე ზარი გაისმა და გამტაცებელმა ქალს უთხრა, რომ მისი 8 წლის გოგონა ამჟამად თბილისის ვაგზლის მოსაცდელ დარბაზშია სკამზე და ძინავსო. სვეტამ, ემოციური ლაპარაკი გაუება გამტაცებელს, 72 წამი ესაუბრა და მილიციამ, დამრეკავის ადგილსამყოფელიც დაადგინა. ოპერჯგუფმა ის თბილისის ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზე, ქუჩის ტელეფონ-ავტომატის ჯიხურშივე დააპატიმრა. დაკავებული მანქანაშივე დაკითხეს, დაადგინეს, რომ 25 წლის შალვა კვესიტაძე „სადისტების“ ბანდის წევრი იყო. სწორედ კვესიტაძე მართავდა იმ „მოსკვიჩს“, რომელიც პუზას სახლთან იდგა და კოტეს გაექცა.

– „მოხუცი“ სადაა? – ჰკითხა კვესიტაძეს ოპერჯგუფის უფროსმა.

„მოხუცის“ ხსენებაზე კვესიტაძე გაფითრდა და ენა ჩაუვარდა. თუმცა, მალევე ამოიდგა ენა და მილიციელებს მისი ადგილსამყოფელი უთხრა:

– კუკიაზე ცხოვრობს. აი, ამ მისამართზე...

„მოხუცი“ და ბანდის ის მეორე წევრი, რომელიც კოტეს პუზას სახლთან გაექცა, ისე აიყვანეს, სიტყვის დაძვრაც ვერ მოასწრეს. ამ ოპერაციას, პირადად მილიციის სამმართველოს უფროსი ატარებდა და „მოხუცი“ რომ დაინახა, უთხრა:

– სოხაძე, ეს შენ ხარ „მოხუცი“? „დამპალი“ აღარ მოგწონდა და სახელი შეიცვალე?

– ჰმ, მაინც მომიხელთეთ, მაგრამ გაქცევა ჩემი ხელობაა, – კბილებში გამოსცრა ტარიელ სოხაძემ, რომელიც ოთხჯერ ნასამართლევი რეციდივისტი იყო და მილიცია მას უკვე ექვსი წლის განმავლობაში ეძებდა კოლონიიდან გაქცევისთვის.

– ბასტა! ველარ გაიქცევი. ამის იმედი აღარ გქონდეს, – მოუჭრა „მოხუცს“ პოლკოვნიკმა და დაპატიმრებულები მილიციის სამმართველოში წაიყვანეს.

ტარიელ სოხაძეს და მისი ბანდის წევრებს 15-15-ნლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. სოხაძემ გაქცევა სცადა, მაგრამ ბადრაგმა ავტომატის ჯერით ჩაცხრილა...

ნიკა ლაშაური

რა მოხდა ამ დღეს

1 აპრილი

1778 – ნიუ-იორკელმა ბიზნესმენმა ოლივერ პოლოკმა მოიგონა დოლარის ნიშანი.

1890 – ბელგიელმა შარლ ვან დერ პოლმა მიიღო პატენტი პირველ ტროლეიბუსზე.

1960 – კოსმოსში გაუშვეს პირველი მეტეოთანამგზავრი – TIG S-1.

1967 – ეკრანებზე გამოვიდა ფილმი „კავკასიელი ტყვე ქალი“.

2 აპრილი

1873 – პირველად ინგლისში, სამგზავრო რკინიგზის ვაგონებში, დაამონტაჟეს საპირფარეშოები.

1905 – გაიხსნა სიმპლონის გვირაბი შვეიცარიასა და იტალიას შორის.

1944 – პირველად სამხედრო ოპერაციებისას გამოიყენეს ვერტმფრენები.

1978 – ტელეკომპანია CBS-ზე დაიწყო ჩვენება სერიალისა „დალასი“, რომელიც ცამეტ წელს გაგრძელდა.

3 აპრილი

1922 – იოსებ ბესარიონის ძე სტალინი გახდა კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

1933 – თვითმფრინავმა პირველად გადაიფრინა ჯომოლუნგმას (ევერესტის) თავზე.

1975 – ბობი ფიშერს ჩამოერთვა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული ჭადრაკში.

4 აპრილი

1581 – ყოფილმა მეკობრემ, ფრენსის დრეიკმა, დაასრულა დედამიწის გარშემო მოგზაურობა. ინგლისის დედოფალი ელისაბედ პირველი პირადად ეწვია მის გემს და დრეიკი რაინდად აკურთხა.

1850 – ლოს-ანჯელესმა ოფიციალურად მიიღო ქალაქის სტატუსი.

1919 – იტალიაში გაიხსნა სამგზავრო დირიჟაბლების ავიახაზი – „რომი-ნეაპოლი“.

1960 – „ოსკარებით“ დაჯილდოების ცერემონიალზე ფურორი მოახდინა ფილმმა „ბენ ჰური“ – მან 11 „ოსკარი“ მიიღო.

5 აპრილი

1753 – დაარსდა ბრიტანეთის მუზეუმი.

1859 – გამოქვეყნდა ჩარლზ დარვინის ეპოქალური ნაშრომი – „სახეობათა წარმოშობა“.

1910 – საფრანგეთში აკრძალეს კოცნა... რკინიგზის ვაგზალზე. მიზეზად დასახელდა მატარებელთა შეყოვნება მგზავრთა გამომშვიდობების გამო.

1933 – ჰაგის საერთაშორისო სასამართლომ გრენლანდია ოფიციალურად მიაკუთვნა დანიას. მას ნორვეგია ეცილებოდა.

1955 – უინსტონ ჩერჩილი გადადგა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან.

6 აპრილი

1652 – დაარსდა ქალაქი კეიპტაუნი (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა).

1814 – ტახტიდან გადადგა ნაპოლეონ ბონაპარტე.

1818 – პარიზში ბარონ შარლ დე დრეზმა წარმოადგინა ორბორბლიანი გადაადგილების საშუალება (თანამედროვე ველოსიპედის პროტოტიპი).

1896 – ათენში გაიხსნა პირველი თანამედროვე ოლიმპიური თამაშები.

7 აპრილი

1795 – საფრანგეთში შემოიღეს ზომა-წონის მეტრული სისტემა.

1943 – შვეიცარიელმა ქიმიკოსმა, ალბერტ ჰოფმანმა დაასინთეზა LSD (ნარკოტიკი).

როგორ გაუსწორდა მამაკაცი ცოლის უფროსს

44 წლის ზაზა კ-შვილის გვამი მეზობლებმა საკუთარ სახლთან, ავტოფარეხის შესასვლელთან აღმოაჩინეს. მას გულ-მკერდის არეში სიცოცხლისთვის შეუთავსებელი ორი ჭრილობა ჰქონდა მიყენებული. სისხლის სამართლის საქმე მკვლელობის მუხლით აღიძრა. შემთხვევის ადგილიდან რამდენიმე მეტრის მოშორებით, აღმოჩნდა ზაზა კ-შვილის პირადი ნივთები – საფულე და მობილური ტელეფონი. მოგვიანებით გაირკვა, რომ ცხედარი გაძარცვული იყო და დამნაშავეს გარდაცვლილისთვის ოქროს ჯაჭვი, ჯვარი და ქორწინების ბეჭედიც მოეხსნა. წინასწარი გამოძიებით, გარდაცვლილის პირადი ნივთები დამნაშავემ გვამის გაძარცვის შემდეგ გადაყარა შემთხვევის ადგილის სიახლოვეს. ოპერატიულ-სამძებრო სამსახურმა ჩადენილი მკვლელობა ცხელ კვალზე გახსნა. დამნაშავე, რომელმაც დანაშაული აღიარა, ციხიდან ახალი გათავისუფლებული, ყაჩაღობის ბრალდებისთვის ნასამართლევი, 36 წლის კოტე ი-ძე აღმოჩნდა. მან დანაშაულის მოტივაცია რამდენჯერმე შეცვალა.

ვინ იყო დამნაშავე, რა აკავშირებდა გარდაცვლილს მკვლელთან და საბოლოოდ რა გახდა დანაშაულის მოტივი

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება შემთხვევის ადგილის დათვალიერებით დაიწყო, სადაც დამნაშავეს კვალი თითქმის არ ჰქონდა დატოვებული. დაიკითხნენ გარდაცვლილის ოჯახის წევრები და მეზობლები. როგორც დადგინდა, ზაზა კ-შვილი კარგი რეპუტაციით სარგებლობდა და რა უნდა გამხდარიყო მისი მკვლელობის მიზეზი, ყველასთვის გაურკვეველი იყო. მამაკაცს სახლის სიახლოვეს ორი მარკეტი ჰქონდა გახსნილი და დროის დიდ ნაწილს იქ ატარებდა. მკვლელობის დღეს, მაღაზიის გამყიდველის ნანა ი-შვილის განცხადებით, ზაზა კ-შვილი მაღაზიიდან მასთან ერთად გავიდა. ეს ქალბატონი გახლდათ, ვინც მამაკაცი ბოლოს ნახა ცოცხალი. ამონაწერი ნანა ი-შვილის ჩვენებიდან: მაღაზია ერთად დავკეტეთ. ზაზამ შემომთავაზა, სახლში მე გაგიყვანო. კარგ ხასიათზე იყო, სახლთან რომ მიმიყვანა, ზუსტად იმ დროს დაურეკა ცოლმა.“ ზაზა კ-შვილი იმ ღამეს სახლში არ მისულა – ოჯახი დიდხანს ელოდა მამაკაცს, მოგვიანებით, ზაზა კ-შვილის მეუღლემ დაკითხვისას განაცხადა: „იმ ღამეს, ბოლოს რომ ველაპარაკე ტელეფონით, მითხრა: გამყიდველს მივიყვან და მოვდივარო. ნახევარი საათი რომ არ გამოჩნდა, კიდევ დავურეკე, არ მიპასუხა. ვიფიქრე, თვითონ გადმორეკავდა, მაგრამ არ დარეკა. კიდევ ბევრჯერ ვცადე მასთან დაკავშირება, მაგრამ ტელეფონს არ პასუხობდა. არ ვიცოდი, სად მომეძებნა – მთელი ღამე აფორიაქებული ვიყავი. დილით მეზობლის ქალის კივილი რომ გავიგე, მივხვდი, ჩვენს თავს უბედურება ხდებოდა“.

მკვლელობიდან რამდენიმე საათში გამოძიებისთვის ცნობილი გახდა, რომ ზაზა კ-შვილის მეზობელი ქალბატონი, მკვლელობის ღამეს შემთხვევით მკვლელს გადაეყარა. ამონაწერი ლიდა ს-იას ჩვენებიდან: „ზაზას ბავშვობიდან ვიცნობ, ჩემს ხელში გაიზარდა, პატიოსანი, მშრომელი ბიჭი იყო. მისგან ხმამაღალი სიტყვა არავის გაგვიგონია სამეზობლოში. მე საცხობში ვმუშაობ და სახლში ყოველთვის გვიან ვბრუნდები. იმ ღამესაც, ალბათ, პირველი საათი იქნებოდა, ჩემს კორპუსთან რომ მივედი. ციოდა, გარე განათება გამორთული იყო და ძალიან ბნელოდა. სადარბაზოსთან მოკლე გზით მისვლა გადავწყვიტე, რომელიც ავტოფარეხებზე გადის. ეზოში კაციშვილის ჭაჭანება არ იყო – უცებ ერთ-ერთი ავტოფარეხიდან მამაკაცი გადმოხტა. ბნელოდა, მაგრამ ისე ახლოს იყო ჩემთან, მისი სახეც კარგად გავარჩიე და ჩაცმულობაც. ის, რაც ყველაზე მეტად მომხვდა თვალში, მისი სიმაღლე იყო. ასეთი სიმაღლის მამაკაცი არასდროს მინახავს. ღამე იყო და ძალიან შემეშინდა, თვითონაც უცნაურად შემომხედა. ვიფიქრე, ავტოფარეხის უკან ფიზიოლოგიური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად იყო შესული. აზრადაც არ მომსვლია, რომ შეიძლებოდა მკვლელი ყოფილიყო. მხოლოდ დილით, როცა მეზობელმა ზაზას ცხედარი აღმოაჩინა, მივხვდი, რომ ჩადენილ დანაშაულთან მას ჰქონდა კავშირი.” ლიდა ს-იას ჩვენების მიხედვით შეიქმნა მკვლელის ფოტორობოტი – ის 40 წლამდე მამაკაცი იყო, გამხდარი და არასტანდარტულად მაღალი.

ვერსია, რომ მკვლელი მძარცველი იყო, რომელიც ზაზა კ-შვილს არ იცნობდა, თავიდანვე გაჩნდა, თუმცა ძიებამ ოპერატიული სამსახური სხვა კვალზე დააყენა. დაიკითხა ზაზა კ-შვილის თანამშრომელთა და ახლობელთა დიდი წრე. გამოძიებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მაღაზიის ერთ-ერთი გამყიდველის, ანა მ-ძის ჩვენება, მან სამართალდამცველებს ის ინფორმაცია მიაწოდა, რომელმაც გამოძიება სწორ კვალზე დააყენა. ამონაწერი ანა მ-ძის ჩვენებიდან: „ხუთი წელია, რაც ზაზასთან ვმუშაობ. ძალიან დადებითი ადამიანი იყო, ყველაფერში გვერდით გვედგა ვინც კი მის ორ მაღაზიაში ვიყავით დასაქმებული. საეჭვო ზაზას საქმიანობასა და წრეში არასდროს არაფერი შემიმჩნევია, თუ არ ჩავთვლით ერთ გარემოებას – მკვლელობამდე ერთი კვირით ადრე მაღაზიაში შემოვიდა ახალგაზრდა მამაკაცი და ზაზა იკითხა. ჩემი ყურადღება იმით მიიქცია, რომ ძალიან მაღალი მამაკაცი იყო. მე ვუთხარი, ზაზა მაღაზიიდან გასულია და მალე დაბრუნდება-მეთქი. ის კვირა მე ვმუშაობდი. ის კაცი მეორე დღესაც მოვიდა და ისევ იკითხა ზაზა. ძალიან ნერვიული და აგრესიული სახე ჰქონდა, ისეთ ცუდ შთაბეჭდილებას ტოვებდა, ზაზას ტელეფონი არ მივეცი. ამ კაცმა მაღაზიაში ერთი კვირა იარა, მაგრამ ზუსტად ისეთ დროს მოდიოდა, როცა ზაზა მაღაზიაში არ იყო. ეჭვი გამიჩნდა, რომ ამას შეგნებულად აკეთებდა. რამდენჯერმე, გვიან ღამით

მკვლელმა ცხედარი ავტოფარეხის შკან გადაიტანა და გაძარცვა

მაღაზიის სიახლოვესაც შევნიშნე – ამის შესახებ ზაზას ვუთხარი კიდეც, მაგრამ ჩემი ნათქვამისთვის ყურადღება არ მიუქცევია. იმ დღეს, ჩემი „სმენა“ რომ სრულდებოდა, მაღაზიის დაკეტვამდე, გარეთ გამოვედი. მაღაზიასთან ჩემი შემცვლელი ნანა ი-შვილი დავინახე – ჩვენსკენ მოდიოდა და ანერვიულებული ჩანდა, უცებ შეჩერდა, მამაკაცს, რომელიც უკნიდან წამოენია რაღაც მიაწოდა და გამოელაპარაკა. ის მამაკაცი კი სწორედ ის იყო, მთელი კვირა რომ დადიოდა ჩვენთან. ცოტა ხნის შემდეგ, როცა მაღაზიაში შევბრუნდი, ნანას ვკითხე კიდეც: ვინ იყო ის კაცი, შენ რომ ელაპარაკებოდი-მეთქი. საუბარი სხვა თემაზე გადამიტანა და პასუხი არ გამცა. მეორე დღეს ჩვენი საერთო ნაცნობისგან შევიტყვე, რომ ნანას ქმარი ერთი თვის გათავისუფლებული იყო ციხიდან. ნანა ამ თემაზე არავისთან ლაპარაკობდა, მე ეჭვი გამიჩნდა, რომ ის მამაკაცი ნანას ქმარი იყო, მაგრამ რატომ ეძებდა ზაზას და რატომ რჩებოდა მისი ვინაობა გასაიდუმლოებული, ამაზე პასუხი არ მქონდა.”

განსაკუთრებით მაღალი მამაკაცის ორჯერ გამოჩენა, ბევრ კითხვის ნიშანს აჩენდა. ცხადი იყო, რომ გარდაცვლილის მეზობლისა და გამყიდველის მიერ აღნერილ საეჭვო გარეგნობის მამაკაცს მკვლელობასთან კავშირი ჰქონდა. სამართალდამცველებმა ნანა ი-შვილის მეუღლის გადამოწმება დაიწყეს – როგორც დადგინდა, ის წარსულში ორჯერ იყო ნასამართლევი. ორივე სასჯელი მას მძიმე დანაშაულისთვის ჰქონდა მოხდილი. ნანა ი-შვილი ქმრის შესახებ არავისთან საუბრობდა. გამოძიებამ კიდევ ერთხელ დაკითხა ქალბატონი, რომელიც ზაზა კ-შვილის მაღაზიის გამყიდველი იყო და რომელმაც მამაკაცი

ბოლოს ნახა. მისი მეორედ დაკითხვის შემდეგ გამოძიებისთვის კიდევ უფრო მეტი რამ გახდა ცნობილი. ნანა ი-შვილმა ის ღამეც გაიხსენა, „როცა სახლში მივედი. ჩემი ქმარი სახლში არ იყო და ალბათ, ორ საათში დაბრუნდა. მასთან კარგი ურთიერთობა არ მქონდა, არც წასვლას ვეკითხებოდი და არც მოსვლას. არ მეძინა და როცა ქურთუკი გაიხადა, პერანგზე სისხლის ლაქები შევნიშნე. გულმა არ მომითმინა და ვკითხე, რატომ ჰქონდა ტანსაცმელი დასვრილი. ჩხუბი მომივიდა ქუჩაში უცნობ კაცთანო, – მითხრა. ეჭვი არ ამიღია, მეორე დღეს, როცა ზაზას მკვლელობა გავიგე, მაშინ კი დავეჭვდი ცოტა. კოტეს ვკითხე, ზაზა ხომ არ გინახავს-მეთქი. არაო, მკაცრად, მაგრამ დაბნეული სახით მითხრა. ვიცოდი, რომ კოტე და ზაზა ერთ სკოლაში სწავლობდნენ. ბავშვობიდან შორიდან იცნობდნენ ერთმანეთს, მაგრამ წლები იყო ერთმანეთი არ ენახათ და საერთოც არაფერი ჰქონდათ. ხანდახან ცუდად კი იხსენებდა ზაზას, რაც არ მსიამოვნებდა. ის ისეთი ყურადღებიანი იყო ჩემი და ჩემი შვილების მიმართ, მის გალანძღვას ქმარსაც ვერ ვაპატიებდი. ზაზას მკვლელობიდან მეორე დღეს, კოტეს საფულეში 500 ლარი ვუპოვე – გამიკვირდა, ამდენი ფული მას საიდან უნდა ჰქონოდა, მაგრამ როცა ვკითხე მითხრა: ტოტალიზატორში მოვიგეო. დავიჯერე ეს ვერსია, რადგან ტოტალიზატორში ხშირად თამაშობდა. თუმცა, მისი მოგებული ფული არასდროს მინახავს.”

როგორც მოგვიანებით, კოტე ი-ძის მიერ ჩადენილი დანაშაულის აღიარების შემდეგ გაირკვა, ფული, რომელიც მას მეუღლემ აღმოუჩინა, გარდაცვლილის ოქროს ნივთების გაყიდვით ჰქონდა აღებული. ნივთები მას ნაცნობი ოქრომჭედლისთვის ჩაებარებინა. დაკავებული კოტე ი-ძე ჩადენილ დანაშაულს თავიდან უარყოფდა, თუმცა გამოძიებას მის წინააღმდეგ იმდენი სამხილი ჰქონდა, იძულებული გახდა, დანაშაული ეღიარებინა. პირველი ვერსია, რომელიც მან მკვლელობის მოტივად დაასახელა ეჭვიანობა იყო – ჩემს ცოლს აქეთ-იქით რომ დაატარებდა, ეს ვერ ვაპატიეო. მოგვიანებით მან ჩვენება შეცვალა და მკვლელობის მოტივად, სამსახურში ზაზა კ-შვილის მიერ მისი ცოლის შეურაცხყოფა დაასახელა, რაც ნანა ი-შვილს არ დაუდასტურებია. დაკავებულის შემდეგი ვერსია, ახალგაზრდულ წლებში არსებულ დაპირისპირებას უკავშირდებოდა – ერთხელ ბიჭებთან შეურაცხყოფა მომაყენა და ბური წლების შემდეგ ვიძიეო, – განაცხადა მკვლელობაში ეჭვმიტანილმა კოტე ი-ძემ, რაც მან მკვლელობის მთავარ მიზეზად დაასახელა სასამართლო პროცესზეც.

როგორც გამოძიებით დადგინდა, კოტე ი-ძე ერთი კვირა დარაჯობდა ზაზა კ-შვილს, სახლთან და სამსახურთან ჩასაფრებული შესაფერის დროს ეძებდა. მკვლელობის ღამეს, როდესაც ზაზა კ-შვილმა მანქანა ავტოფარეხში გააჩერა, ჩუმად თავს დაესხა და დანა ორჯერ დაარტყა. ამის შემდეგ ცხედარი ავტოფარეხის უკან გადაიტანა და გაძარცვა. როგორც მან განაცხადა, ცხედრისთვის ქურთუკის გახდაც უნდოდა, მაგრამ ხელი მოულოდნელად გამოჩენილმა ქალმა შეუშალა. შემთხვევის ადგილიდან გაქცეულმა დამნაშავემ საფულიდან 200 ლარი ამოიღო, საფულე და მობილური ტელეფონი რამდენიმე კორპუსის მოშორებით დაგდო, ოქროს სამკაულები კი მკვლელობიდან მეორე დღესვე გაყიდა. დანაშაულის იარაღი – დანა, სამართალდამცველებმა დამნაშავის მითითებით, მეზობლის ბაღში ჩაფლული იპოვეს. როგორც დაკავებულმა განაცხადა, დანის მოშორება უნდოდა, მაგრამ ვერ მოახერხა. სასამართლომ კოტე ი-ძე დამნაშავედ ცნო სისხლის სამართლის კოდექსის განზრახ მკვლელობის მუხლით და მას 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ეკა ბარაბაძე

რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს

რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი მევლუდ მელაძე

კითხვა: მყავს ავტომობილი „მერსედესი 240„, მართვის მექანიკური კოლოფით. დავაყენე მეხუთე თაობის გაზის აპარატურა, რის შემდეგაც მანქანას ეგრეთ წოდებულ „ხალასტოიზე" აქვს „პერებოი" როგორც ბენზინზე, ისე გაზზე მუშაობისას. ზოგჯერ „ჩეკი"ციმციმებს და ძრავას თითქოს გუდავს. მანქანის ხელახალი დაქოქვის შემდეგ, მდგომარეობა სწორდება. რამდენჯერმე შევამოწმებინე კომპიუტერზე და რაც მითხრეს, ყველაფერი გამოვცვალე, მათ შორის ჰაერის მზომი, ეგრეთ წოდებული „ვოზდუხომერი", ჩიბუხები. სანთლებიც ახალი დავაყენე – „ბერუს" ფირმის ორიგინალი სანთლები. ძრავას კომპრესია იდეალური აქვს. იქნებ მითხრათ, რა იქნება ამ გაუმართაობის მიზეზი და მირჩიოთ როგორ მოვიქცე?

პასუხი: თქვენს ადგილას, უპირველესად, ისევ იმ სერვისცენტრში წავიყვანდი ავტომობილს, სადაც გაზის სისტემა დაგიმონტაჟეს. ვინაიდან ასე, დისტანციურად გაკეთებული ლოგიკური დასკვნით თქვენს მანქანას სტანდარტული პრობლემა აქვს, რომელიც ხშირად ჩნდება მეოთხე თაობის გაზის აპარატურის დამონტაჟებისას. მონტაჟისას ძირითადი დატვირთვა მოდის პროგრამულად ავტომობილის პროცესორსა და გაზის პროცესორს შორის შეთანხმებაზე. ეს სწორედ ის ნიუანსია, რომლის სრულყოფილად გაკეთებაც საქართველოში ხელოსნებს უჭირთ. შესაბამისად, პროცესორების უთანხმოება ან სხვადასხვა სენსორებიდან აკრეფილი ინფორმაციის არასწორი გზით მიწოდება, იწვევს ძირითადი პროცესორის, ეგრეთ წოდებულ „დაბნევას". აქედან გამომდინარე, ემართება ავტომობილს „პერებოი". არის შემთხვევები, როცა „პერებოი" გამოწვეულია სანთლების მწყობრიდან გამოსვლით, ან ძრავაში „კლაპნების" დაწვით, რაც, ასევე, გამომდინარეობს არასწორი პროგრამირებიდან. მაგრამ რადგან სანთლები გამოცვალეთ, და „კომპრესია" ახსენეთ, ეს გამორიცხულია.

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
> **მიხაილ შუმახერი**

კითხვა: მყავს „მერსედესი ც 200„ 1997-წლიანი მართვის ავტომატური კოლოფით. მინდა ავტომობილში მეოთხე თაობის გაზის აპარატურა ჩავაყენო, მაგრამ არ მირჩევენ, ძრავს დააზიანებსო. მაინტერესებს, რეკომენდირებულია თუ არა გაზის აპარატურის ჩაყენება?

პასუხი: როგორც უკვე ზემოთ ვახსენე, მეოთხე თაობის გაზის სისტემის დაყენებისას, ძრავას დაზიანება მხოლოდ არასწორი ფიზიკური და პროგრამული ინსტალაციის დროს ხდება. ამიტომ, ყოველთვის ჯობია, სისტემა კვალიფიციურ ხელოსნებს დააყენებინოთ. ამ მიმართულებით კი სულ ორი რჩევა შემიძლია, მოგცეთ: მიმართეთ ან „თეგეტა მოტორსს", რადგან სპეციალისტები ჩამოყვანილი ჰყავთ და სპეციალური ტრენინგი გაიარეს, თუ როგორ უნდა ჩაამონტაჟონ იდეალურად გაზის სისტემა, ან, ავტომობილი წაიყვანეთ ერევანში, სადაც ამ საქმეში უკვე კარგად არიან გაწაფულები. პროცესს სულ ერთი დღე დასჭირდება: დილით მიდიხართ, იქ ამონტაჟებენ სისტემას, ორი საათის განმავლობაში თქვენთან ერთად მოძრაობენ, პროგრამულად ასწორებენ და მოდიხართ უკან. რაც შეეხება ფასს, ჯამურად ერევანში წასვლა უფრო ნაკლები თუ არა, უფრო ძვირი ნამდვილად არ დაჯდება.

კითხვა: ახალი ნაყიდი მყავს ავტომობილი და, ვისაც ვკითხე, ყველა სხვადასხვა ინფორმაციას მაძლევს იმის შესახებ, თუ რა ინტენსივობით უნდა გამოვცვალო ძრავაში ზეთი. მაინტერესებს, რამდენ ხანშია რეკომენდებული ძრავაში ზეთის შეცვლა?

პასუხი: მწარმოებლები რეკომენდაციას იძლევიან, რომ ზეთი ყოველ გავლილ 10 000 კილომეტრზე შეიცვალოს, მაგრამ რეალურად ეს ძალიან ბევრია. 5-6 ათასზე გამოცვლა ნორმალურია, მით უმეტეს, ჩვენი საკმაოდ მტვრიანი გზების პირობებში; თან, აუცილებლად მაღალტექნოლოგიურად დამუშავებული, ანუ, სინთეტიკური ან ნახევრად სინთეტიკური ზეთი უნდა მოიხმაროთ. თუ მანქანა უკვე ძველია, ორასი ათასი ან მეტი აქვს გავლილი, შესაბამისად 5-6 ათასზე ნორმალური კი არა, აუცილებელიც კია ზეთის შეცვლა. ამ დროს უკვე იწყებს ზეთის ჭამას, ოღონდ, არა ისე, რომ ათას კილომეტრზე ერთი ლიტრი ზეთი მოიხმაროს. ცოტ-ცოტას იწყებს კლებას.

კითხვა: მყავს ავტომობილი „ჰონდა სივიკი". რამდენ გავლილ კილომეტრზე უნდა შევცვალო ძრავას ღვედი?

პასუხი: რეკომენდაციების მიხედვით, ძრავას ღვედი ყოველ გავლილ 40 000 კილომეტრზე უნდა შეიცვალოს, მაგრამ, „სივიკის" შემთხვევაში შეგიძლიათ, მაინცდამაინც არ გაითვალისწინოთ რეკომენდაცია, რადგან, გაწყვეტის შემთხვევაშიც კი არაფერს სერიოზულად არ დაზიანებს. თუ გაწყდა რომელიმე ხელსაწყო აინთება, ხმას გავიგებთ, ავტომობილი გაჩერდება და ამით მივხვდებით, რომ პრობლემაა. მაგრამ, თუ გინდათ, რომ ეს არ დაგემართოთ და ავტომობილი ავარიულ რეჟიმში არ ამუშაოთ, უმჯობესია, კბილებიან ღვედთან ერთად, გამოიცვალოს ყველა დანარჩენი ღვედი, მიუხედავად იმისა, ეტყობა თუ არა დაზიანება. ეს არის ღვედები, რომლებსაც მოქმედებაში მოჰყავს საჭის გამაძლიერებელი, წყლის ბრუნვა და აკუმულატორის დამუხტვა.

კითხვა: მყავს ავტომობილი „ნივა", რომელსაც ჩაქრობისა და გასაღების გამოძრობის შემდეგაც კი ძრავას ძიგძიგის ხმა აქვს – თითქოს მუშაობას განაგრძობს. ეს პრობლემა სულ ცოტა ხნის წინ დაეწყო. რა შეიძლება იყოს მიზეზი?

პასუხი: ძიგძიგის გაგრძელება არის ეგრეთ წოდებული ძრავას „დეტონაცია". ამ დროს საწვავის სისტემაში არსებული ბენზინი განაგრძობს არასრულ ფეთქებას. რატომ ხდება ეს? ამას აქვს სულ ორი გამომწვევი მიზეზი: კარბურატორში არ ხდება სარქველების ბოლომდე დახურვა და ბენზინის წვეთები ჩაედინება ძრავაში (ეს, უმეტესად, ძველებური ტიპის კარბურატორებს ემართებათ, რომლებსაც არ აქვთ ეგრეთ წოდებული „ხალასტოი ხოდის" ელექტრო „ჟიკლიორი") და ბენზინის ოქტანობა არ შეესაბამება იმ ოქტანობას, რასაც ეს ავტომობილი მოითხოვს, ანუ, თქვენ ცოტა მაღალი ოქტანობის საწვავი გჭირდებათ. დეტონაცია ხდება მაშინ, როდესაც ძრავა ძალიან ცხელია და გარეთაც სიცხეა. ამ შემთხვევაში გასაღების გამოძრობის დროსაც კი იმიტომ გრძელდება ფეთქება, რომ სისტემა არის ცხელი და, დაბალოქტანიანი საწვავი დიზელის მსგავსად, უნაპერწკლოდ განაგრძობს ფეთქებას. დაბალი ოქტანობა, გავარვარებული ძრავა და ავტომობილის ჩაქრობის შემდეგ ძრავაში ჩადინებული საწვავი – ამ სამი თემის კომბინაცია იწვევს დეტონაციას. თუ ავტომობილმა დეტონაცია დაიწყო, გაჩერებული ავტომობილი ჩააგდეთ მეორე სიჩქარეზე, ფეხი გედგათ მუხრუჭზე, მოდებას კი ფეხი აუშვით, რათა მოხდეს ძრავას იძულებითი გაჩერება, არ გაგრძელდეს დეტონაცია და არ დაზიანდეს ძრავა.

> **ჟურნალი „თბილისელები" გირჩევთ:**
> ** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*
> ** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*
> ** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*
> ** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*
> *გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

მოამზადა
სალომე გველესიანმა


სატე-ლეფონო ხმა
ჯოჯო - ხეთის სანვაები
ალდ შეიძ-ლება იყოს
აფრიკის ქვეყანა
აქაც აფრიკის ქვეყანა
ქალაქი საფრან-გეთში
დირი-ჟორი ....დიმი-ტრიადი
ქვეყანა კარიბის ზღვაში
ძველ-ებური საკრავი
მაას არ გვ-აძლევს
სიცხლს იძლევა
სიმ-ეგბიანი საკრავი
აბუზა
ინდური „სიყვა-რულის წიგნი"
წისქ-ვილის ქვა
მეკი-ოლინე, ვანესა...
ორგა-ნიზმის ძალთა მოდ-უნება
მესამე ნოტი
პირველი ნყვილი
ჩალხ-ანას კოლეგა
იგივე შაშაბი
ალზ-რდის ლვანლი
კომპო-ზიტორი (.....) ბაბაჯ-ანიანი
გარეგ-ნობაზე მზრუნ-ველი
ნაზი, სათუთი
ოინაური
სალუკ-ვაძემ იცის კარგად
პენიც-ილინის აღმო-ჩენი
(.....) დათუ-ნვილი
სამ-ხედრო სამოსი
ქალაქი თურ-ქეთში
გრი-გოლია სპარულის შედეგი
რაჟა-შია
საბერ-ძნეთის ისტ. რეგიონი
ხორც-იანი სადილი
მნერალ პოს ერთ-ერთი სახელი
ბალახის საფარი ქალაქში
აშშ-ს ქალაქი (.....) ველი
ინგლ-ისური საზომი
ჩონ-გურის ნანილი
ზევსის ძროხა
მიხოს ცოლი
(.....) კენელი
საფეხ-ბურთო ამპალუა
აზიის ქვეყანა
აფრიკ. ბომის ნარმო-მადგენ.
უზბე-კეთის ქალაქი
მარა-დონას თანაგუ-ნდელი
რუს-ეთის ქალაქი
აზიის ქვეყანა
ინდო-ელი მნერალ. სალმან...
დიდი კომპო-ზიტორი ჯუზეპე
ყოფილი კოლგუ-რის მინი-სტრი
ცხოვ-ელის ცხვირ-პირი
ქალის რუსული სახელი
ფეხბუ-რთის იტალ. არბიტრი
(.....) კარუზო
თურ-ქეთის ქალაქი
უგონო მდგომ-არეობა
ეჟვი
ფოტოგ-რაფიის მამამ-თავარი
აზიის ქვეყანა
სუფთა მოგება კიუ-დოში
ფეხსა-ცმელი
მნერალი ....ჩია-ნელი
კავალ-ერისტი მეფის რუსეთში
მიხეილ გორგა-ჩოვის მეუღლე
პაბარა ივანე
ხელის ნაწილი
სანქტ-პეტერ-ბურგის მდინარე
დედა-ზარი
შეად-გინა ალ.ელერ-დაშვილმა
მჟა-მელი
აზიის მდინარე
გეოგე-ტრიული სხეული
მდინარე თერგის ხეობა
ჭაობის მცენარე
ლეონ-არდო და (.....)
ქალაქ კულჯას მეორე სახელი
ჩვენი ზღვის-პირა ქალაქი
რუსე-თის ტელე-ვიზია
ქალაქი ალასნ-ოღლარის მხარეში
იაპო-ნური არაყი
(.....) დეკა-რტი
ძვ.ასურ-ეთის დედა-ქალაქი
ქალაქი ჩილეში
თავაშ-ვებული ლრეობა

							4																										
						6	3	7		11															1		3	6	5				
					2	2	3	3	4	5	17	15	13	10	7	8	8	7	7	9	9	9	8	5	2	7	3	2	2				
				1	1	1	1	1	1	6	2	2	2	3	2	2	2	2	2	2	2	3	2	2	2	11	1	1	1	1	1	1	1
			1																														
			4																														
			7																														
			8																														
		1	6																														
		3	5																														
3	5	2	2																														
		3	13																														
			17																														
		14	3																														
		14	3																														
		14	2																														
		13	2																														
		15	2																														
	4	6	2																														
		3	4																														
		3	3																														
		2	3																														
		3	2																														
		2	2																														
		6	5																														
		5	5																														
		7	7																														
			17																														
	6	9	7																														

სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

ადვილი ამოცანა

9		6		1	5		3	4
	7		8	4		1	9	2
4	2	1		3	7	5		
	3	9		7	1		2	
6			3		9	8	4	7
7	5	4	6				1	3
	4		1	6		2		9
1	6	3		9	2	4		
	9		5	8		3	6	1

რთული ამოცანა

	2					1	4	8
7	9	8						6
		1			2	5	7	
			2	3	5	8		
2			4				6	7
	8				6	3		5
4			5				8	
5		2			8	6		
	1		6					3

ისწავლოთ ხატვა ზღვიურ ავტომობილი

1. მონახაზეთზე მიხატული ნხეებით დაიწყეთ მანქანის ხატვა



2. მანქანას მიახატეთ ქვედა მხარე და ბოჰბღებში ჩახატეთ ჰატარა ნხეები



3. მიახატეთ სახურავი და ფარები



4. მანქანას მიახატეთ წინა ფანჯრები



5. შუა ნაწილში ჩახატეთ მანქანის ჯარ-ფანჯარა

6. მიახატეთ საჭე, სავარძლები, სახელურები და წინა მხარე

7. გააფერადეთ

თბილისელების №36
ტელ.: 272 9191
ბავშვ სულიერების საგანმანათლებლო სამსახური

იპოვეთ ათი განსხვავება



რომელი ხეა დათოვლილი



იპოვე რაკეტის დედამიწასთან მისასვლელი გზა



ძაღლები

(იგავ-არაკი)

ერთ ბატონს ორი ძაღლი ჰყავდა. ერთი სახლის საყარაულოდ დაგეშა, მეორე – სანადიროდ. როცა მონადირე ძაღლი რამეს მოინადირებდა, ყარაული ძაღლიც მის თანაბრად შეექცეოდა ულუფას. მონადირე ძაღლი ბრაზობდა და იღრინებოდა: მე მომაქვს, შენ ჭამ, სადაური სამართალიაო?

– მე რას მერჩი, – მიუგო დარაჯმა, – მიდი და ჩვენი ბატონი ლანძღე, მან მხოლოდ ჭამა მასწავლა და გარჯა არაო.

დამნაშავენი არიან აღმზრდელები, ბავშვებს რომ უსაქმურობას აჩვევენო.

რიცხვრებუსი

,,3, 10,, ,,,1 ,100



ვეტერინარის რჩევები

კითხვა: რა პრობლემა შეიძლება შეუქმნას ძაღლს ჯღიბამ?

პასუხი: ჯღიბა არის სისხლის მწოველი პარაზიტი, რომელიც ძაღლის კანში იბუდებს და კანის ზედაპირიდან იკვებება სისხლით. პარაზიტის დიდი რაოდენობით დასევით ძაღლი დასუსტდება და, შეიძლება, სიკვდილის პირასაც კი მივიდეს, რადგან, ჯღიბას ტოქსინი შეჰყავს ორგანიზმში და ცხოველი იწამლება. არსებობს პარაზიტების საწინააღმდეგო წვეთები, რომელიც ძაღლს თვეში ერთხელ უნდა დააწვეთოთ. ასევე არის სპეციალური ყელსაბამები. იმ შემთხვევაში, თუ წვეთებისა და ყელსაბამის საშუალებით ვერ შეძლებთ პარაზიტებთან გამკლავებას, უნდა გამოიყენოთ სპეციალური დასაბანი საშუალებები. ერთი ჯღიბაც რომ შენიშნოთ ცხოველის კანზე, მაშინვე ანტიპარაზიტული საშუალებებით უნდა მოაშოროთ ის, რომ არ გამრავლდეს.

კითხვა: მაინტერესებს, არსებობს თუ არა ძაღლებში ლეიკემია და რა არის მისი პირველადი ნიშნები?

პასუხი: ძაღლებში ლეიკოზი შეიძლება არსებობდეს, მაგრამ, ამას გამოკვლევები სჭირდება. საერთოდ, ეს დაავადება ძაღლებში ძალიან იშვიათობას წარმოადგენს. პირადად მე ასეთი შემთხვევა პრაქტიკაში არ მქონია, აქედან გამომდინარე, ეს დაავადება ალბათ, ძაღლებში თითქმის არ გვხვდება.

კითხვა: ჩემი ძაღლი ძალიან ხშირად იფხანს ყურს. მაინტერესებს, ყურის პრობლემები აქვს თუ, უბრალოდ, ჩვევაა?

პასუხი: თუ ძაღლი ერთსა და იმავე ყურს ხშირად იფხანს, შეიძლება ეს ყურის პრობლემასთან იყოს დაკავშირებული. ყოველ შემთხვევაში, თავის დაზღვევის მიზნით, ასეთ დროს ცხოველი ვეტერინარმა უნდა გასინჯოს.

კითხვა: მაინტერესებს, დასაშვებია თუ არა ძაღლისთვის ანტიბიოტიკების მიცემა?

პასუხი: ანტიბიოტიკის მიცემა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ექიმის დანიშნულების გარეშე. გარდა ამისა, მანვე უნდა განსაზღვროს წამლის დოზები და მიცემის ხანგრძლივობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, გართულება გამოიწვიოს. ამიტომ, მოერიდეთ ძაღლისთვის თვითნებურად მედიკამენტების მიცემას.

კითხვა: როგორ შევუნარჩუნოთ ცხოველს იმუნიტეტი?

პასუხი: მთავარია ცხოველს იმუნიტეტი არ მოუშალოთ: არ აჭამოთ არასასურველი საკვები, არ დაასუსტოთ და ასე შემდეგ. გახსოვდეთ, კარგი მოვლა-შენახვის პირობებში ცხოველის იმუნიტეტი არ სუსტდება.

კითხვა: ყველაზე მეტად რომელი საკვები იწვევს ძაღლებში ალერგიას?

პასუხი: ასე ზედაპირულად ძნელი სათქმელია. ყოველ შემთხვევაში, ალერგიას ის საკვები იწვევს, რომელიც კონკრეტულად ამა თუ იმ ცხოველის ორგანიზმს არ უხდება. არის საკვების სხვადასხვა კატეგორია, ამიტომ, ფინანსურად რომელსაც შეწვდება პატრონი, ძაღლიც იმ საკვებით იკვებება. აქედან გამომდინარე, თუ ძაღლს ხარისხიან საკვებს აძლევთ, პრობლემებიც ნაკლები გექნებათ.

რუბრიკას უძღვება ლექსო ამირანაშვილი

> ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.
>
> **ჯეიმს დუგლასი**

კითხვა: როგორ გამოიხატება ძაღლებში ლეიშმანიოზი და როგორ უნდა მივხვდეთ ამ დაავადების საწყის ფორმას?

პასუხი: ლეიშმანიოზის საწყისი ფორმა გამოიხატება შემდეგი ნიშნებით: ძაღლი იწყებს წონაში კლებას, ეზრდება ბრჭყალები, თვალების გარშემო ეწყება ბეწვის ცვენა და, ასევე, შეამჩნევთ უხასიათობას.

მოამზადა
მარიკა ხიდურელმა

ფლორის სამყაროში

რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე

> ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.
>
> **გოეთე**

კითხვა: როგორ გარემოში ხარობს პუანსეტია?

პასუხი: პუანსეტიას უყვარს ნათელი, თბილი 18-20 გრადუსი ტემპერატურის მქონე ოთახი მთელი წლის განმავლობაში. ის ლამაზად გამოიყურება ფანჯრის რაფაზე სამხრეთისა და დასავლეთის მიმართულებით. ყვავილობს დეკემბერ-თებერვალში. აპრილში მას დასვენების პერიოდი აქვს და ამიტომ არ მორწყათ. სასურველია, ამ დროს 13-15 გრადუსზე ამყოფოთ. ხშირი მორწყვა თბილი წყლით და კომპლექსური ნაკელით განაყოიერება საჭიროა 10-15 დღეში ერთხელ. მისი გამრავლება შეიძლება წვერებზე გადაჭრილი კალმებით, მაისიდან აგვისტოს ჩათვლით. გადაჭრილი კალამი რამდენიმე წუთით უნდა ჩადოთ ცივ წყალში, შემდეგ კი ჩარგოთ ტორფითა და სილით გაზავებულ ნიადაგში.

კითხვა: მსურს, ბინაში გავახარო ლიმონის ხე, ისე, რომ თან მსხმოიარეც იყოს. იქნებ, ამიხსნათ, როგორ მოვუარო ამ შემთხვევაში მცენარეს და როგორ გავამრავლო?

პასუხი: კარგად მოვლილი ლიმონი 20-40 ცალ ნაყოფს იძლევა. ოთახის პირობებში უმთავრესად კარგად იზრდება და მსხმოიარობს ის ნერგები, რომლებიც მიღებულია კალმებისა და ტოტების დაფესვიანებით. მათი გამრავლება უმჯობესია თებერვალ-მარტში. ლიმონის დასაკალმებლად უნდა აიჭრას 4-6 მილიმეტრი სისქისა 10-12 სანტიმეტრი სიგრძის ტოტები. კალამი უნდა ჩაირგას ღრმად, მისი სიგრძის ნახევრამდე. ზემოდან დაახურეთ მინის ქილა და სითბოში დადგით. ერთ თვეში დაფესვიანდება და შემდეგ გადარგეთ მაღალ ქოთანში.

ლიმონის ნერგისთვის ნიადაგი უნდა მომზადდეს სპეციალურად: ჰუმუსი, გადამწვარი ნაკელი და სილა თანაბარი რაოდენობით.

სასურველია, მცენარე გვიან შემოდგომამდე დადგათ აივანზე. ლიმონის დაკოკრება-დაყვავილებისთვის საკმარისია ოთახის ტემპერატურა 10-15 გრადუსი, ხოლო ნაყოფის მომწიფებისთვის – 20-25 გრადუსი.

ზაფხულში მორწყვა სჭირდება ყოველდღიურად ან 2-3 დღეში ერთხელ. შემოდგომით, ნაყოფი რომ მომწიფდეს, აუცილებელია, მორწყვა შეამციროთ. ნაყოფის შემცირებისა და კოკრის დაცვენის უმთავრესი მიზეზია: მაღალი ტემპერატურა, ჰაერის დაბალი შეფარდებითი ტენიანობა, ტემპერატურის დიდი მერყეობა, ცივი წყლით მორწყვა, ნიადაგის ზედმეტი სიმშრალე ან ჭარბი ტენი, მავნებლების მოქმედება და სხვადასხვა დაავადებანი.

იმისათვის, რომ ლიმონის ფოთლები სუფთა იყოს, გირჩევთ, თბილი წყლით ჩამობანოთ.

მავნებლების საწინააღმდეგოდ მცენარის ფოთლები ხანდახან საპნიან ხსნარში დასველებული ბამბით გაწმინდეთ. კვირაში ერთხელ სასურველია გოგირდის შეფრქვევაც.

კითხვა: რა სინათლესა და ტემპერატურაზე ვამყოფო კალადიუმი?

პასუხი: მისთვის იდეალურია კაშკაშა, გაბნეული ან არეკლილი შუქი. მზისგულზე ფოთლები მალე დაუჭკნება. ზრდის პერიოდში სჭირდება დაახლოებით 20-23 გრადუსი სითბო. მისთვის საუკეთესო ადგილი ნათელი სააბაზანოა.

მოამზადა
თეონა გოზალიშვილმა

მსახიობი ნინო მუმლაძე მაყურებელმა რამდენიმე წლის წინ გაიცნო სერიალში „ჩვენი ოფისი", ამჯერად კი ის „ჩემი ცოლის დაქალების" ახალი პერსონაჟია, რომელმაც მაყურებელი, ცოტა არ იყოს, დაძაბა და საფიქრალიც გაუჩინა. რაც შეეხება ჩვენი რესპონდენტის შემოქმედებით ცხოვრებას, იყო თეატრალური სარდაფის მსახიობი, ასევე მუშაობდა გრიბოედოვის, მოზარდ მაყურებელთა და თავისუფალ თეატრებში; შეხება ჰქონდა ტელევიზიათან წამყვანის ამპლუაშიც. ასე რომ, მისი კარიერა საკმაოდ მრავალფეროვანია.

ვინ დაძაბა ნინო მუმლაძემ და რა ნიშნით აიყვანეს ის სერიალში „ჩემი ცოლის დაქალები"

ნინო მუმლაძე: ძალიან გამიხარდა, ამ სერიალში რომ დამიძახეს, რადგან, გარდა იმისა, რომ „ფორმულა კრეატივთან" წლების განმავლობაში ვთანამშრომლობდი და მეგობრული ურთიერთობები მაქვს დღემდე, მართლა ძალიან მომწონდა სერიალი „ჩემი ცოლის დაქალები" როგორც მაყურებელს. როცა შემოთავაზება მივიღე, სიამოვნებით დავთანხმდი. გარდა იმისა, რომ ძალიან კარგი რეჟისორები არიან გიორგი ლიფონავა და რატი რამიშვილი და ძალიან მომწონს მათთან მუშაობა, მიმაჩნია, რომ „ჩემი ცოლის დაქალები" დღესდღეობით მართლა საუკეთესო სერიალია.

– შენს გმირზე რას გვეტყვი, რომელმაც მაყურებელი გამოჩენის დღიდან დაძაბა?

– პრინციპში, ნათია იმიტომაც შემოიყვანეს სერიალში, რომ მაყურებელი დაეძაბათ. როცა სერიალი უკვე რამდენიმე სეზონია ეთერში, მასში რაღაც უნდა შეცვალო, რაც მაყურებელს ხან დაძაბავს, ხან გააცინებს, ხან აატირებს – სერიალის მისიაც ეს არის. მესამე სეზონში კატოს ახალი ოჯახი აქვს, თინას ახალი თაყვანისმცემელი, ნინას ოჯახში კი იმდენად სტაბილურად იყო ყველაფერი, რომ არაფერი იცვლებოდა. ამიტომ მოიფიქრეს ასეთი ცვლილება, რითაც მათ ოჯახურ სიმყუდროვეს რაღაცით არევდნენ.

– შენს გმირთან თუ გაქვს რაიმე საერთო?

– ერთადერთი მსგავსება ჩემსა და ნათიას შორის, ალბათ, ის არის, რა ნიშნითაც ამიყვანეს – ფართო, დადებითი ღიმილი. კი საყვედურობენ დათოს, რომ დეკოლტეთი „დაიკერა", თუმცა, ჩემი გმირი არა მხოლოდ დიდ დეკოლტეს ატარებს, არამედ, თავისი ღიმილითაც დადებით მუხტს ასხივებს. მართალია, სცენარიდან გამომდინარე, არა მგონია, ნათია დადებით შთაბეჭდილებას ტოვებ-

ვიცოდით, რომ მაყურებელი იტყოდა – ხომ შეიძლებოდა, სერიალში მაინც ყოფილიყო ერთი იდეალური მამაკაცი და რატომ გვინგრევთ ამ კერპსო. ამ სეზონში დათოს არ გაუმართლა მაყურებლის სიყვარულის ამბავში

დეს, თუმცა, მაინც დადებითი ტიპი უნდა იყოს. თავს არ ვიქებ, მაგრამ, ცხოვრებაშიც იმას მეუბნებიან, რომ სასიამოვნოა ჩემთან ურთიერთობა და დადებით ენერგიას ვასხივებ – ეს საერთო მახასიათებელიც ნამდვილად გვაქვს მე და ჩემს პერსონაჟს.

– ანუ, „ჰეპი სმაილი."

– კი, ასეა. ამ შემთხვევაში „ჰეპი სმაილი" ზუსტი დახასიათებაა, მეტი არაფერი.

– საგრძნობლად დაკლებული ხარ წონაში.

– წონაში დავიკელი და, ვცდილობ, ეს ფორმა შევინარჩუნო.

– შენს პერსონაჟებთან ერთი საერთო ნამდვილად გაქვს. სერიალ „ჩვენი ოფისიდან" მაყურებელს ახსოვხარ სახელით – ნუნუკა, „ჩემი ცოლის დაქალებში" – ნათია, რეალურ ცხოვრებაში კი ნინო ხარ. მოკლედ, ყველა სახელი „ნ" ასოთი იწყება.

– ამასთან დაკავშირებით ერთი კურიოზული მომენტი იყო: „ფორმულა კრეატივში" ყველა მსახიობს თავისი „სპონჟი" აქვს, რომელიც მაკიაჟისთვის გამოიყენება. იმისთვის რომ ერთმანეთში არ აირიოს, პარკებს სადაც ეს „სპონჟებია" მოთავსებული, ყველას ან ნამდვილი სახელის ინიციალი აწერია, ან პერსონაჟის სახელის წინა ასო. რადგან „ფორმულა კრეატივში" დღემდე იგივე გრიმიორები მუშაობენ, ეს ტრადიციები შენარჩუნებულია. ჩემს სახელს რაც შეეხება, რადგან პერსონაჟიც ნუნუკა ვიყავი („ჩვენი ოფისი") და ჩემი ნამდვილი სახელიც „ნ" ასოთი იწყებოდა, პარკს დააწერეს – „ყ-ნ". რომ ვიკითხე, ეს „ყ-ნ" რას ნიშნავს-მეთქი, მიპასუხეს: „ყველა პონტში" – „ნ." რა თქმა უნდა, ეს იუმორით გააკეთეს, ყველას ერთი ასო ეწერა, მე კი – „ყ-ნ."

ყოველთვის ყველაფერს ნულიდან ვიწყებდი

– მაყურებელის საყვარელი ნუნუკა, ახალ სერიალში განსხვავებულმა პერსონაჟმა შეცვალა. როგორ ფიქრობ, როგორია მათი რეაქცია ნათიაზე?

– მაყურებელს ძველ სერიალში ძალიან ვუყვარდი, მაგრამ, აქ, მგონი, აღარ მოვწონვარ, რადგან, მათი საყვარელი პერსონაჟის ცხოვრებაში დიდი არეულობა შემოვიტანე. კრიტიკისთვის მზად ვიყავით, ვიცოდით, რომ მაყურებელი იტყოდა – ხომ შეიძლებოდა, სერიალში მაინც ყოფილიყო ერთი იდეალური მამაკაცი და რატომ გვინგრევთ ამ კერპსო. მგონი, ამ სეზონში დათოს არ გაუმართლა მაყურებლის სიყვარულის ამბავში.

– რა ხდება შენს პირად ცხოვრებაში?

– ჩემს პირად ცხოვრებაში ამჟამად არაფერი არ ხდება.

– მაშინ, ის მითხარი, როგორი უნდა იყოს მამაკაცი, რომელიც შენს ყურადღებას მიიპყრობს?

– ასე ვერ ვიტყვი, მგონი, ძალიან სასაცილოა იდეალის შექმნა, რადგან, ამქვეყნად იდეალური მამაკაცები არ არსებობენ. გარდა ამისა, რამდენიც არ უნდა ილაპარაკო, შეიძლება, უცებ ისეთი ვიღაც შეგიყვარდეს, რასაც ვერასდროს წარმოიდგენ. მეც დამმართნია ასეთი რამ. ისეთი ადამიანი მომწონებია, რომ შემდეგ საკუთარი თავის მიკვირდა ხოლმე. ერთი შეხედვით, თითქოს საერთო არაფერი არ გვქონდა, მაგრამ, რაღაც დონეზე სიმპათია გამოიწვია ჩემში. ცხოვრებაში ასეთი რაღაცეები ხდება ხოლმე, ამიტომ, კონკრეტულად არასდროს ვამბობ, როგორი ადამიანები მომწონს. გრძნობა შენდაუნებურად, უკითხავად მოდის. ალბათ, რაღაც ისეთი მუხტია, ფლუიდები და ისეთი რაღაცეებია, რასაც წინასწარ ვერ განსაზღვრავ. ამიტომ, იდეალებს არ ვიქმნი, თუმცა უშნო, ბოროტი და ეჭვიანი მამაკაცები არავის მოსწონს.

– მაგრამ, ზოგს რაღაც დონეზე მოსწონს, როცა მასზე ეჭვიანობენ; უფრო მეტიც, ხშირად იმაზეც ბრაზდებიან, მისი საყვარელი ადამიანი რატომ არ ეჭვიანობს მასზე.

– მგონი, ზოგჯერ ერთმანეთში ერევათ ყველაფერი, ეგ ეჭვიანობა არ არის. უბრალოდ ხანდახან ქალს ყურადღება რომ აკლდება, ჰგონია, თუ საყვარელ ადამიანს აეჭვიანებს, ამით მის ყურადღებას მიიპყრობს. ჩემი აზრით, ეს სისულელეა. თუ შენმა რჩეულმა ყურადღება მოგაკლო, კი არ უნდა აეჭვიანო, არამედ, უნდა აგრძნობინო, რომ რაღაც დონეზე მოგაკლდა მისგან ყურადღება; ან რაღაც უნდა შეცვალო საკუთარ თავში. რომ გარბიხარ და აეჭვიანებ, ეს ძალიან არასწორი მიდგომაა.

– აქტიურ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნები თუ ცხოვრების დინებას მიჰყვები?

– თუ მაქვს საშუალება ყოველთვის ვცდილობ ჩემს ცხოვრებაში რაღაც უკეთესობისკენ შევცვალო. რაც გამიკეთებია და რისთვისაც ცხოვრებაში მიმიღწევია, ყველაფერს დამოუკიდებლად ვახერხებ. არასდროს მყოლია ისეთი ვინმე, ვინც რაღაცაში ხელს წამაშველებდა, არც არასდროს ავუყვანივარ არავის რომელიმე როლზე ვიღაცის ხათრით. მართლა ჩემით ჩავაბარე, ვისწავლე სხვისი დახმარების გარეშე და ყოველთვის ჩემით ვაღწევდი ყველაფერს. ტელევიზიაშიც „სივი" გავგზავნე და ისე მივედი, საერთოდ არავის არ ვიცნობდი იქ. ასე რომ, ყოველთვის ყველაფერს ნულიდან ვიწყებდი და არავის წაშველება არ მიგრძნია. ჩემი აზრით, როცა დამოუკიდებლად აღწევ რამეს, უფრო ძლიერად გრძნობ თავს. შეიძლება, სხვა გზებით უფრო მეტისთვის მიმეღწია, მაგრამ, არ მინდა, ვიღაცასთან ვიყო ვალში. მადლობა ღმერთს, რომ იღბალი არასდროს მმოვებს. შეიძლება, რამდენიმე თვე გამიჭირდეს და თანახმა გავხდე, ნაკლებად რეიტინგული რამე გავაკეთო, ოღონდ კი უმუშევარი არ ვიყო. როცა ამ ფიქრამდე მივდივარ, უცებ ისეთი რაღაც ჩნდება, რითაც რაღაც კარგის კეთების შანსი მეძლევა – ამ კუთხით რაღაცნაირად მიმართლებს. ძალიან დიდი მაქვს, რომ იღბალი ცხოვრების ბოლომდე გამყვება.

მინდა, ძალიან დიდი მადლობა ვუთხრა ყველა იმ ადამიანს ვინც მგულშემატკივრობს და ქუჩაში ღიმილიანი სახით მიყურებს – ეს ძალიან დიდი მუხტი და სტიმულია ჩემთვის. მიხარია, როცა უცნობი ადამიანებისგან თბილ დამოკიდებულებას ვგრძნობ. იმათ კი, რომლებიც დათოს ოჯახის ამბავზე ნერვიულობენ, მინდა ვუთხრა, რომ არ ინერვიულონ, რადგან, ეს სერიალი ჩვენი ცხოვრების ასახვაა. რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, ჩვენს ცხოვრებაში ყოველთვის ყველაფერი კარგი არ ხდება და ცხოვრებაც ხომ ეს არის. ჩემი პერსონაჟი ბოროტი ნამდვილად არ არის, უბრალოდ, ცხოვრებაში მასაც არ გაუმართლა. ალბათ, მან იცის, რომ დანაშაულს სჩადის, ნამუსიც აწუხებს, მაგრამ, რა ქნას, გრძნობებს აჰყვა. რა თქმა უნდა, ნათია სამაგალითო პერსონაჟი არ არის და ვერაფრით გავამართლებ, რადგან, ყოველთვის კრიტიკულად ვუდგები ასეთ ადამიანებს, მაგრამ, არავინ ვიცით, ვის რა გვიწერია ცხოვრებაში. ამიტომაც, არასოდეს არ თქვა – არასოდეს! მე თვითონ არ ვიცი, რით დამთავრდება ეს ყველაფერი და როგორ განვითარდება მოვლენები. ასე რომ, ერთად დაველოდოთ, რა მოხდება.

მარიკა ხიდურელი

მე – დაქირავებული მკვლელი

უშიშროების პოლკოვნიკის ჩანაწერების მიხედვით

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „თბილისელები“ №28(550)-13(639)

ჰავანაში რომ დავეშვით, მე და ჩემი ჯგუფის წევრები იქაურობას მოგვაშორეს. ნახევარი საათიც არ იყო გასული, რომ სპეციალური თვითმფრინავით მოსკოვში მივფრინავდით. ამერიკული თვითმფრინავის მგზავრებს კი კუბის მთავრობის წარმომადგენლები ეწვივნენ, ისინი სასტუმროში წაიყვანეს, ასადილეს, დაასვენეს და საღამოს უკან გაამგზავრეს...

საპასუხო აქციის წარმატებით დასრულება კვლავ პოდმოსკოვიეში, „კაგებეს“ კონსპირაციულ აგარაკზე აღვნიშნეთ, თუმცა მას შჩუკინი არ ესწრებოდა და მე და იური ტიხონოვი ერთმანეთს ქართულად ველაპარაკებოდით. ის მშვენიერი მომღერალი და გიტარისტი აღმოჩნდა და გვიან საღამომდე გვატკბობდა ქართული სიმღერებით. რომ ავიშალეთ, მან მანქანამდე მიმაცილა და მითხრა:

– მე და ჩემი ოჯახი შენთან აუნაზღაურებელ ვალში ვართ და ეს ვალი ჩემს შთამომავლობასაც გადაეცემა. კიდევ ერთხელ გიხდი დიდ მადლობას და ყოველივე კარგს გისურვებ ცხოვრებაში.

– არანაირი ვალი არ გაქვთ, მე მხოლოდ ჩემს მოვალეობას ვასრულებდი, – მივუგე ლეგენდარულ მზვერავს და აგარაკიდან წამოვედი.

როგორც ჩვენმა „ცეერუელმა“ წყარომ შეგვატყობინა, „კაგებეს“ მიერ განხორციელებულმა საპასუხო აქციამ ისე გააცოფა ამერიკელი მაღალჩინოსნები, რომ პირიდან დორბლებს ყრიდნენ და დამნაშავეების დასჯას მოითხოვდნენ. მაგრამ, დამნაშავეები თავადვე იყვნენ – სწორედ მათ გასცეს მერის მოტაცების უცნაური ბრძანება და, რადგან საკუთარი თავების დასჯას არ აპირებდნენ, ვნებები მალევე დაიოკეს და აჟიოტაჟიც ამით ჩაცხრა.

ჩემი მონათხრობიდან ნათლად ჩანს, რომ აკრძალულ თამაშებს სათავე სწორედ ამერიკელებმა დაუდეს და, როდესაც ადეკვატური პასუხი მიიღეს, ამ ბინძური ტექნოლოგიების დახვეწას შეუდგნენ. მე იმის მტკიცებას არ შევუდგები, რომ „კაგებეში“ ფრთიანი ანგელოზები მუშაობდნენ და მხოლოდ სიკეთეს აკეთებდნენ, მაგრამ, აკრძალული ხერხების გამოყენებას ყოველთვის ვერიდებოდით და ამას უკიდურეს შემთხვევაში მივმართავდით – მხოლოდ მაშინ, როცა მტრისთვის ადეკვატური პასუხი იყო გასაცემი.

გაგანია ცივი ომის დროს, როდესაც ამერიკა-საბჭოთა კავშირის დაპირისპირება პიკს აღწევდა, ჩვენმა დაზვერვამ დადასტურებული ცნობა მიიღო იმის შესახებ, რომ ამერიკელები მსხვილ ეკონომიკურ დივერსიას გეგმავდნენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და ამისთვის სპეციალური გეგმაც ჰქონდათ შემუშავებული. ამ გეგმის მიხედვით, ამერიკელებს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ორმოცდაათი მილიარდი ყალბი მანეთი უნდა შემოეტანათ პირველ ეტაპზე და თუ წარმატებით განახორციელებდნენ ამ ჩანაფიქრს, მაშინ თანხის რაოდენობას მნიშვნელოვნად გაზრდიდნენ. ჩვენი წყარო გვატყობინებდა, რომ ამერიკელებს საამისოდ თითქმის ყველაფერი მზად ჰქონდათ. ქალაქ ოკლაჰომაში, მიწის ქვეშ, სპეციალური ბუნკერი ჰქონდათ მოწყობილი, რომელიც თანამედროვე ტიპოგრაფიული დანადგარებით იყო აღჭურვილი და იქ თითქმის სრულყოფილებამდე მიყვანილი საბჭოთა მანეთები იბეჭდებოდა. ეს ვერაგული გეგმა ძალიან საშიში იყო ჩვენი ქვეყნისთვის და, როდესაც ამის შესახებ ანდროპოვს აცნობეს, მან ადეკვატური ზომების მიღების ბრძანება გასცა. ჩვენი დაზვერვის ცნობით, ამერიკული სპეცოპერაცია, კოდური სახელწოდებით – „თუმნიანი“, სამ თვეში უნდა დაწყებულიყო. ანდროპოვმა ბრძანა, რომ ამერიკელებისთვის დაგვესწრო. ამიტომ, საბჭოთა დაზვერვამ ადეკვატურ ზომებს მიმართა და სულ რაღაც ორ თვეში, უკვე მზად იყო ამერიკული ყალბი დოლარების უმაღლეს დონეზე დახვეწილი საბეჭდი მოწყობილობა და, ამერიკელებისგან განსხვავებით, ამ დივერსიული ფულის ამერიკაში გავრცელების მარტივი და ეფექტური მეთოდები შევიმუშავეთ. კონკრეტულად კი, დათქმულ დღეს, ანუ ამერიკული დივერსიული ოპერაციის დაწყებამდე ორი კვირით ადრე, ამერიკის ყველა შტატში, სხვადასხვა ხალხმრავალ ადგილებში, ორმოცდაათი მილიარდი დოლარი იქნა დაბნეული, რომელსაც ადამიანები ჭიანჭველებივით დაესივნენ და დაიტაცეს... პარალელურად კი, ოკლაჰომის საიდუმლო ბუნკერი აფეთქდა და საბჭოთა ფულის საბეჭდი მთელი მოწყობილობა ნაცრად იქცა. სწორედ ამ აფეთქებას ვხელმძღვანელობდი მე და ამ აქციით ამერიკელებმა ხელი აიღეს თავიანთ ვერაგულ ეკონომიკურ დივერსიაზე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ყალბი ორმოცდაათი მილიარდი დოლარის ამოღებას კი თითქმის ერთი წელი მოანდომეს და მილიარდი დოლარის ზარალი განიცადეს.

სხვათა შორის, არც თვითმფრინავის გატაცების და არც ჩვენ მიერ განხორციელებული დოლარების დაბნევის ფაქტებზე ამერიკელებს საბჭოთა კავშირი არ უხსენებიათ და მაქსიმალურად შეუწყვეს ხელი ამ ყველაფრის სასწრაფოდ მიჩქმალვას. ამ ამბებიდან არც ისე დიდი დრო იყო გასული, როცა შჩუკინის კაბინეტში ვიმყოფებოდი და საუბრის დროს ვიქტორ იაკოვლევიჩმა მითხრა:

– ამერიკელები ნელ-ნელა გონს მოდიან და სწორი დასკვნები გამოაქვთ თავიანთი შეცდომებიდან.

მე ვერ მივხვდი, რაზე მელაპარაკებოდა შჩუკინი და ვკითხე:

– რას გულისხმობთ?

– მაიამი-ნიუ-იორკის რეისის გატაცებისა და ფულის ამბებს, – მომიგო ვიქტორ იაკოვლევიჩმა, – ხომ ხედავ, მათ ერთი სიტყვაც არ დაუსველებიათ იმის შესახებ, რომ ეს ჩვენ გავაკეთეთ, არადა, ეს ხომ მართლა ჩვენ გავაკეთეთ და ამერიკელებმა ამის შესახებ ზუსტად იციან.

– ეს იმიტომ, ვიქტორ იაკოვლევიჩ, რომ საკუთარი სისუსტეები დაფარონ. მათ რომ ეს აღიარონ, ამით საკუთარ უსუსურობაზე უნდა მოაწერონ ხელი, ამას კი ისინი არ იზამენ. ამიტომ, ჩვენზე სიტყვას არ ასველებენ და ყველაფერს ჩქმალავენ.

– სწორედაც რომ ასეა და ამიტომაც ვთქვი, რომ ამერიკელებს სწორი დასკვნები გამოაქვთ თავიანთი შეცდომებიდან-მეთქი, – მითხრა შჩუკინმა, – ახლა კი საქმეზე გადავიდეთ.

– გისმენთ, ამხანაგო გენერალო, – მივუგე შჩუკინს და სმენად ვიქეცი.

ვიქტორ იაკოვლევიჩმა ოთახში გაიარ-გამოიარა და მითხრა:

– აი, ამ სუბიექტს განაჩენი აქვს გამოტანილი და უნდა აღასრულო... – შჩუკინმა ორმოცდაათიოდე წლის მამაკაცის რამდენიმე სურათი მაჩვენა.

– ვინ არის და რატომ გამოუტანეს განაჩენი? – ვკითხე მე.

– ამას ერთდროულად ორი განაჩენი აქვს გამოტანილი.

– ორი? ასეთი რამ პირველად მესმის.

ვიქტორ იაკოვლევიჩს ჩაეცინა და მითხრა:

– ეს „თხუნელაა“, იგივე ანატოლი გელმანი. კანონიერი ქურდი, საბჭოთა კრიმინალური სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ფიგურა. მას ქურდებმაც სიკვდილი მიუსაჯეს და სახელმწიფომაც.

– ისეთი რა ჩაიდინა?

– მილიციელებს ის ჯერ კიდევ ოცი წლის

წინ შეეკრა, მილიცია თავის სასარგებლოდ ამუშავებდა და მის ყველა დანაშაულზე თვალს ხუჭავდა, მათ შორის მკვლელობებზეც კი.

– მკვლელობებს პატიობდნენ?

– ჰო. თხუნელას ორი კანონიერი ქურდი – მისი უშუალო კონკურენტები ჰყავს გასაღებული. ისინი მილიციასთან არ თანამშრომლობდნენ და თხუნელასაც ხელს უშლიდნენ კარიერულ აღმასვლაში. ერთი სიტყვით, თხუნელა უაღრესად ინფორმირებული ქურდი იყო. ამ ინფორმაციებს მილიციასაც უზიარებდა და მრავალი წლის განმავლობაში დიდების მწვერვალიდან არ ჩამოდიოდა. ახლახან კი გაირკვა, რომ თხუნელა ჯაშუშიც ყოფილა და, თურმე, „ცეერუზე“ მუშაობდა.

შჩუკინის სიტყვებზე გულიანად გამეცინა და ვუთხარი:

– რა ინფორმაციას უნდა აწვდიდეს კანონიერი ქურდი მტრებს? ნუთუ იმას, რამდენ ბალანდას აჭმევენ ციხეებში პატიმრებს?

– ტყუილად გეცინება, კოკი. ჯაშუშ ანატოლი გელმანს კარგად ორგანიზებული სადაზვერვო-დივერსიული ქსელი ჰქონდა ჩამოყალიბებული პატიმრებში და ისინი უდიდეს მავნებლობას სჩადიოდნენ ქვეყნის წინაშე.

– რა მავნებლობას?

– მათი ძირითადი საქმიანობა იყო იმ ადგილების აღმოჩენა და ინფორმაციის მოპოვება, სადაც საბჭოთა მთავრობას ურანის საბადოები აქვს. ასეთ ადგილებში ურანს, ძირითადად, სიკვდილმისჯილი და „დიდსროკიანი“ პატიმრები მოიპოვებდნენ. თხუნელას ხალხი კი არა მხოლოდ ამ ადგილების კოორდინატებს მიუთითებდა მტერს, არამედ, იქ სპეციალურ მიკრორადიოგადამცემებს ამონტაჟებდნენ, რაც მტერს საშუალებას მისცემდა, რომ ამ წერტილებში უზუსტესი სარაკეტო დარტყმები განეხორციელებინათ.

– უყურე შენ, მართლაც თხუნელა არ ყოფილა?!

სპეცსამსახურების ენაზე, „თხუნელა“ ჩანერგილ ჯაშუშს ნიშნავს და შჩუკინმა მითხრა:

– თხუნელა და, თანაც როგორი! მას თვით შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნები მფარველობდნენ.

– როგორ გაიშიფრა?

– ერთ-ერთმა ქურდმა გაყიდა, რომელსაც თხუნელა „ავერბოვკებდა“, ის ქურდი კი ჩვენზე მუშაობდა. თხუნელამ თავისი მგლური ყნოსვით ჩვენს აგენტზე მიიტანა ეჭვი და მისი მოკვლა სცადა, თუმცა, აგენტი გადარჩა, თხუნელამ კი თავისი ამერიკელი მფარველების წყალობით, ერთი ნაბიჯით გაგვასწრო.

– ქურდებმა რისთვისღა მიუსაჯეს სიკვდილი?

– ჩვენი აგენტი ქურდის მკვლელობის მცდელობისთვის – ქურდებმა ხომ არ იციან, რომ ის ჩვენთან თანამშრომლობს?!

– ახლა ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. თხუნელა სად უნდა ვეძებო?

– ის უკვე ნაპოვნია – პენსილვანიაში ცხოვრობს სხვისი სახელითა და შეცვლილი გარეგნობით. ის ისეთი დაცული ჰგონიათ, რომ დაცვაც კი არ ჰყავს. შენ, უბრალოდ, თავზე დაადგები მას, განაჩენს ნაუკითხავ, როგორც არაერთხელ გიქნია და იმ მოღალატე თავს ქათამივით წაადებინებ.

თხუნელას ლიკვიდაციისთვის დიდი ჯაფა არ დამჭირვებია. მას პირქვედაკიდებულს წავუკითხე სასიკვდილო განაჩენი. შემდეგ, ალესილი ხანჯლით თავი მოვკვეთე, ხანჯალი მუცელში ჩავარჭვე და იქაურობას გავეცალე...

თხუნელა და ძმანი მისნი „კაგებეს“ ინტერესის სფეროში იშვიათად ხვდებოდნენ და მათთან მუშაობის პროგრამატივა შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკუთვნოდა. თუმცა, კანონიერი ქურდები ჩვენი ინტერესების გასატარებლადაც გვიმუშავებია და, უნდა გამოვტყდე, რომ ისინი საკმაოდ კარგად ირგებდნენ ამ როლს. ერთხელ, ჯერ კიდევ ჩემი კაგებეშნიკური კარიერის გარიჟრაჟზე, ანდრეი ლუკიჩ მუხინმა დამიბარა და მითხრა:

– როგორ ხარ, კოკი, როგორ ეჩვევი ჩვენთან მუშაობას?

– კარგად, გმადლობთ, ამხანაგო გენერალო. ყოველთვის მზად ვარ სამსახურისთვის!

მაშინ ჯერ კიდევ უცოლო ვიყავი და მუხინმა მითხრა:

– გავიგე, დაქორწინებას აპირებ...

– დიახ, ამხანაგო გენერალო, საცოლე მყავს და სამ თვეში დავქორწინდებით.

– ძალიან კარგი. ამ დავალებას, ალბათ, სამიოდე თვე დასჭირდება და, მორჩები თუ არა საქმეს, შეგიძლია, ოჯახსაც მოეკიდო. მოკლედ, ერთი ძალიან სერიოზული ოპერაცია გვაქვს დაგეგმილი, რომელსაც ჯიბგირის კვალიფიკაცია სჭირდება – ამის გარეშე მისი განხორციელება არ იქნება. მოდი, ბოლოდან დავიწყებ, რომ ყველაფერი უფრო ადვილად გაიგო, კარგი?

– კარგი, ამხანაგო გენერალო, – ვუთხარი მუხინს და სმენად ვიქეცი.

– სამ თვეში ისლანდიის ქალაქ რეიკიავიკში, ეგრეთ წოდებული „დიდი შვიდეულის“ ქვეყნების პირველი პირების შეხვედრა გაიმართება, რომელსაც დაესწრებიან: ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი, კანადის პრემიერ-მინისტრი, იაპონიის პრემიერ-მინისტრი, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი, იტალიის პრემიერ-მინისტრი და საფრანგეთის პრეზიდენტი. ამ შეხვედრაზე დიდი ანტისაბჭოური შეთანხმება უნდა მოხდეს, რომლის ინიციატორიც ამერიკის შეერთებული შტატებია. ჩვენ ზუსტად უნდა ვიცოდეთ, რაზე იქნება საუბარი იმ სუპერდაცულ შენობაში, სადაც ეს ხალხი ერთმანეთს შეხვდება. იქ შეღწევა და მოსასმენი მოწყობილობის დამონტაჟება კატეგორიულად გამორიცხულია. ამიტომ, ჩვენ ერთობ ორიგინალური ხერხი მოვიფიქრეთ: ამ მოწყობილობას იქ თავად ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი შეიტანს პიჯაკის ჯიბით, პიჯაკში კი ამ სპეციალურ მოწყობილობას მას ჩვენი კაცი ჩაუდებს. გასაგებია?

– პრინციპში, გასაგებია, მაგრამ, რამდენიმე კითხვა მაქვს.

– გისმენ, მკითხე.

– რა ვითარებაში უნდა მოხვდეს მიკრომოსასმენი მოწყობილობა ამერიკის პრეზიდენტის ჯიბეში, მას რომ ძალიან ფხიზლად იცავენ? ხოლო ასეთი მოქმედების ჩატარებას, სულ მცირე, მასთან მიახლოება ხომ სჭირდება?

– პრეზიდენტი სიტყვით გამოვა რეიკიავიკის უნივერსიტეტში და, დარბაზს რომ დატოვებს, მას ტაშით გააცილებენ. ის ადამიანებს ხელს ჩამოართმევს და ამ დროს უნდა ჩაუდონ ჯიბეში მიკრომოწყობილობა. გასაგებია?

ერდო ჯგუფი

-ლექტორი ბებიის დანატოვარ 5 ოთახიან ბინას ვყიდი ვაჯეში, ვართ ორი ძმა, და თან არ გვაქვს ნორმალური სამუშაო და თან ...

-რუსეთიდან ჩამოვედი და მსურს ვიყიდო 5 ოთახიანი ბინა ვაჯეში, მყავს ცოლ-შვილი და თან მაქვს ჯარგი სამსახური
და თან ...

მაჯლერი:

-ჯი თქვენ გენაცვალეთ და თან ...
გადაგვიხადეთ 6%.
3 გამყიდველის და
3 მყიდველის მხრიდან.

მარიჯა 599 24 28 31

– ეს გასაგებია, მაგრამ, პრეზიდენტს რომ პიჯაკი არ ეცვას ან გამოიცვალოს?

– პიჯაკი აუცილებლად ეცმევა, რადგან ზუსტად ვიცით, რომ იმ დღეს რეიკიავიკში ჰაერის ტემპერატურა პლუს ჩვიდმეტი გრადუსი იქნება. პიჯაკს კი არ გამოიცვლის, რადგან უნივერსიტეტიდან პირდაპირ „დიდი შვიდეულის“ შეხვედრაზე მიემართება.

– ამას ვინ შეასრულებს?

– სუპერჯიბგირი, კანონიერი ქურდი, მეტსახელად „ნეპმანი“.

– და, ბოლო კითხვა – მე რა როლი მეკისრება ამ ყველაფერში?

– სამი უმთავრესი როლი: პირველი – გადმოიბირო და თანამშრომლობაზე დაითანხმო; მეორე – თვალყური ადევნო დავალების შესრულებას და ხელი შეუწყო მას და, მესამე – ოპერაციის ჩავარდნის შემთხვევაში, თუკი ნეპმანს პრეზიდენტის დაცვა ჩაავლებს, მისი ლიკვიდაცია, რომ „კაგებე“ არ გაიშიფროს.

– ურთულესი დავალებებია განსაკუთრებით კი პრეზიდენტის ჯიბეში მოსასმენი აპარატის ჩადება.

ჩემს სიტყვებზე მუხინს გაეცინა და მითხრა:

– მაგაზე რთული ნეპმანის გადმობირებაა.

– რატომ? – გამიკვირდა მე.

– იმიტომ, ჩემო კოკი, რომ 65 წლის ნეპმანი ძველი ფორმაციის, იდეური ქურდია; მას არც ცოლ-შვილი ჰყავს, არც პირადი ქონება გააჩნია და, საეჭვოა, რომ „ძაღლებთან“ თანამშრომლობაზე დათანხმდეს.

– ჩვენ ხომ „ძაღლები“ არ ვართ?

– მისთვის ყველა პაგონიანი „ძაღლია.“

– რომ შევაშინოთ?

– ვინ, ნეპმანი? მას თავისი სამოცდახუთი წლიდან ოცდათხუთმეტი წელი პატიმრობაში აქვს გატარებული. თორმეტჯერაა ნასამართლევი; ორ, ეგრეთ წოდებულ, „ძუკნების“ ომში აქვს მონაწილეობა მიღებული, ორჯერვე ისე მძიმედ დაიჭრა, რომ სიკვდილს ძლივს გადაურჩა და ასეთი კაცის შეშინებას აპირებ?

– ახლა სად არის?

– სოლიკამსკის „ბელი ლებედში“. ორთვენახევარში პატიმრობა უმთავრდება. იქ უნდა ჩაჯდე და დაუახლოვდე. შემდეგ მას გარეთ შეხვდები და მის გადმობირებას შეეცდები. გახსოვდეს, ნეპმანის გადმობირება ციხეში არ დააპირო, თორემ, თუ გაგშიფრა, იქვე მოგკლავენ და ვერავინ გიშველის. გასაგებია?

– გასაგებია, ამხანაგო გენერალო.

– კარგი. სამი დღის განმავლობაში ჩვენი სპეციალური ინსტრუქტორები საციხედ მოგამზადებენ, შემდეგ კი ურალისკენ გაემართები ეტაპით. „ბელი ლებედში“ კი მარტო საკუთარი თავის იმედი უნდა გქონდეს.

ზოგადად, საციხედ მომზადება და კონკრეტულად „ბელი ლებედისთვის“ მომზადება რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისთვის. სოლიკამსკის განსაკუთრებული რეჟიმის ციხეში – „ბელი ლებედში“ განსაკუთრებული პატიმრები ისხდნენ, როგორც გარეწრები და კაციჭამიები, ასევე, კანონიერი ქურდები. „ბელი ლებედის“ კანონიერ ქურდთა თითქმის ასი პროცენტი ნეპმანელი ქურდები იყვნენ. ამიტომ, მათი ცდუნება და მოტყუება თითქმის შეუძლებელი იყო და ისინი ისევე მკაცრად სჯიდნენ მატყუარებსა და შეგზავნილებს, როგორი სიმკაცრითაც თავად იცავდნენ ქურდულ კანონებს.

მუხინის გეგმის მიხედვით, მე ახალგაზრდა, უცნობი ქურდი ვიყავი. მქონდა საკმაოდ კარგი კვალიფიკაცია და ქურდული ტიტულის მოსაპოვებლად ვიბრძოდი. მისჯილი მქონდა 8 წელი და ჩავვარდი ბინის ქურდობაზე. ერთი სიტყვით, ყველაფერი ისე მქონდა შესისხლხორცებული, რომ ძილშიც კი არ შემეშლებოდა და, სანამ „ბელი ლებედის“ ქურდულ საკანში გამამწესებდნენ, „ქურდული დაკითხვის“ გენერალური რეპეტიცია გავიარე და სპეცდავალების შესასრულებლად გავემართე.

– „ბელი ლებედის“ საქათმე შენს განკარგულებაშია, – სიტყვა შემომაგება ერთ-ერთმა დიდთავა პატიმარმა, რომელიც ციხის მომსახურებაში მუშაობდა და, იმ მომენტში, როცა მე ციხის მეორე სართულზე ავყავდი ბადრაგს, ის ქვემოთ ეშვებოდა და თეთრეული მიჰქონდა გასარეცხად.

დიდთავას ჯერ მუშტი ვთხლიშე და ჰაერში ავწიე, შემდეგ წიხლიც მივაშველე და სამრეცხაოში „მოკლე გზით“ ჩავუშვი... ეს „მოკლე გზა“ მას ტვინის მძიმე შერყევად და ლავინის ძვლისა და ორივე ხელის მოტეხილობად დაუჯდა...

„ბელი ლებედის“ ოცადგილიან ქურდულ საკანში ცხრამეტი ნეპმანელი ქურდი იჯდა, რომელთა შორის ნეპმანს „მეფის“ სტატუსი ჰქონდა. დიდთავას „მოკლეზე ჩაშვებიდან“ სულ რაღაც ნახევარი საათის მერე შემიყვანეს ქურდულ საკანში. ის ნახევარი საათი ციხის უფროსის შეგონებას დასჭირდა, რომელმაც გამაფრთხილა, რომ, თუკი მუშტიკრივზე ხელს არ ავიღებდი, კარცერში ამომალპობდა...

– ეს შენ ხომ არ ხარ ის მძიმე მუშტი, ძუკნისთავა კიბიდან რომ აფრინა? – მკითხა ნეპმანელმა ქურდმა, მეტსახელად „ცალთვალამ“, რომელსაც მარცხენა თვალი ამოთხრილი ჰქონდა.

– დიახ, მე ვარ, – მივუგე ცალთვალას. მან ტუჩები მობრიცა, მის უკან მყოფ კოლეგებს მიუბრუნდა და თქვა:

– ეს ყმაწვილი, ძმებო, ზრდილობიანიც ყოფილა. ხომ გაიგონეთ, რა თქვა – დიახო... – შემდეგ ისევ მე მომიბრუნდა და მითხრა – შეგეძლო, ჩვენთან შემოსახლებაზე უარი გეთქვა და ჩვეულებრივ საკანში მოგათავსებდნენ, აქ თავის გატანა არც ისე იოლია.

– უარი მეთქვა? რატომ? მით უმეტეს, რომ აქ შემოსახლება მე თვითონ მოვითხოვე, – მშვიდად მივუგე ცალთვალას, რომელიც ჩემმა სიტყვებმა გულწრფელად გააოცა. მან პაუზა გააკეთა, ამათვალიერ-ჩამათვალიერა და თქვა:

– მომესმა თუ მართლა თავად მოითხოვე აქ შემოსახლება?

– არ მოგესმათ, მე თვითონ მოვითხოვე.

– გასაგებია. ქურდი ხარ? – მკითხა ცალთვალამ.

– იმედი მაქვს, რომ ამ წოდებას აქ, თქვენგან მივიღებ. მით უმეტეს, რომ რვა წელი მაქვს მისჯილი და საკმაო დრო გექნებათ ჩემს გასაცნობად.

– ხედავ შენ, რა სდომია? – ჩაეცინა ცალთვალას და მკითხა – რაზე გაგსროკეს?

– მოსკოვში ერთი მაყუთიანის ბინაში შევედი და ფული და სამკაულები დავითრიე. უკვე გამოვდიოდი, როცა ერთ-ერთი ოთახიდან მოხუცი ქალის კვნესა და ტირილი შემომესმა. გულმა არ მომითმინა, მეც მოხუცი ბებია მყავს და საძინებელში შევედი, სადაც ის ბებო იწვა. რომ დამინახა, ატირდა: სული მეხუთება, შვილო, სასწრაფოს გამოუძახეო. სულთამხუთავი ხომ არ ვიყავი, ავდექი და გამოვუძახე, შემდეგ ათესვა დავაპირე, მაგრამ ბებომ არ გამიშვა და მთხოვა, რომ არ დამეტოვებინა.

– მერე, დარჩი? – სიტყვა შემაწყვეტინა ცალთვალამ.

– დავრჩი. აბა, ბებოს ცოდვას ხომ არ დავიდებდი. მოკლედ, სასწრაფომ ბებო საავადმყოფოში წაიყვანა, მე კი მილიციამ – კაპეზეში. თურმე, იმ ოჯახის დიასახლისი მეზობელთან ყოფილა გასული და მილიციაც მან დამაყენა თავზე.

– ჰმ, როგორც შექსპირი იტყოდა, ტრაგიკომედიაა, – თქვა ცალთვალამ და კიდევ რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ, ის ნეპმანმა გააჩერა, რომელიც ყურადღებით მაკვირდებოდა და მითხრა:

– რა გქვია?

– ლიონია.

– მეტსახელი?

– არ მაქვს.

– დღეიდან „ალტრუისტი“ იქნები. მართალია, ცოტა გრძელი სახელია, მაგრამ, შენ შეგეფერება. იცი, რას ნიშნავს?

– არა.

– სხვებზე მზრუნველს. მოდი, დაიკავე თავისუფალი ადგილი. დღეიდან ჩვენს საკანში იცხოვრებ, – მითხრა ნეპმანმა და თავისუფალ ადგილზე მიმითითა.

როგორც წინასწარ შემუშავებული გეგმით იყო გათვალისწინებული, „ბელი ლებედში“ ყოფნის ორთვენახევრის განმავლობაში ნეპმანს ძალიან დავუახლოვდი და მაქსიმალურად შევისწავლე მისი ხასიათი. გათავისუფლების წინ კი მან მითხრა:

– ნახვამდის, ალტრუისტო. იმედია, სვაბოდაზე შევხვდებით ერთმანეთს.

– ნახვამდის, – ნაღვლიანად მივუგე ნეპმანს და გადავეხვიე.

ნეპმანი წავიდა. ერთ კვირაში კი „ეტაპით“ ვითომდა ციმბირის ზონაში გამიშვეს, სინამდვილეში კი მოსკოვში ჩამიყვანეს და ნეპმანს მივადექი ბინაში, სადაც ის ძველი მოსკოვის ხუთსართულიან სახლში ცხოვრობდა.

– გამარჯობა, ალტრუისტო. ხომ ვთქვი, ერთმანეთს შევხვდებით-მეთქი, მაგრამ ნამდვილად არ მეგონა, თუ ეს ასე მალე მოხდებოდა. როგორ გაჩნდი აქ?

– ეტაპიდან მოვხიე. ციმბირში დასაღუპავში მიშვებდნენ, გავრისკე და პაბეგი ავწიე.

ნეპმანმა ყურადღებით შემათვალიერა, გაეცინა და მითხრა:

– ყმაწვილო, შენ მე არიფი ხომ არ გგონივარ? ჯერ კიდევ „ბელი ლებედში“ შემეპარა შენში ეჭვი, მაგრამ, არ შევიმჩნიე. პირდაპირ მითხარი, ვინ ხარ და ჩემგან რა გინდა?

– შენთვის, ძვირფასო ნეპმანო, ალტრუისტი ვარ – შენ არ შემარქვი ეს მეტსახელი? შენგან კი მინდა, რომ, შენი უმაღლესი კვალიფიკაციის გამოყენებით, ჩვენს დიდ სამშობლოს სარგებელი მოუტანო.

– აბა, უფრო კონკრეტულად მითხარი.

ნეპმანს, რეიკიავიკში ჩასატარებელი ოპერაციის დეტალები დაწვრილებით გავაცანი და ვკითხე:

– რას იტყვი, როგორია?

– ესე იგი, კომიტეტჩიკი ხარ და არა „ძაღლი“?

– შენთვის ყველა პაგონიანი ძაღლი არ არის? – მუხინის სიტყვებით მივუგე ნეპმანს, მან კი მითხრა:

– ხუთი წელია, ჯიბეზე არ მიჩალიჩია, იმიტომ, რომ სროკზე ვიყავი და, ვშიშობ, ჩემი თითები ჯიბგირობას გადაეჩვია.

– მოდი, გამოვცადოთ.

– როგორ?

– მაგაზე ადვილი რა არის? წამოდი, „გუმში“ წავიდეთ და ვნახავთ, რა შეუძლიათ შენს თითებს.

– რომ დავიწვა და ამაგდონ?

– მე რისთვის ვარ აქ?

– კარგი, წავედით.

მოსკოვის სახელმწიფო უნივერმაღი, რომელიც „გუმის“ სახელითაა ცნობილი, ჯიბგირების საყვარელი ადგილი იყო და, ამ კატეგორიის ხალხთან ერთად, იქ უამრავი მილიციელიც იყრიდა თავს. ისინი გადაცმულები დადიოდნენ ამ უზარმაზარი შენობის ფართო დერეფნებში და ჯიბგირების მოხელთებას ცდილობდნენ. მე და ნეპმანი დღის 2 საათზე შევედით „გუმში“ – იმ დროს, როდესაც იქაურობა ფულით გატენილი ხალხით იყო სავსე.

– მიდი, როგორც შევთანხმდით, ისე იჩალიჩე, – ვუთხარი ნეპმანს.

ჩვენი შეთანხმებისამებრ, ნეპმანს წინასწარ უნდა ეცნობებინა, თუ რომელ ადამიანს გაქურდავდა. შემდეგ, უნდა ეჯიბგირა და ნადავლი ჩემთან მოეტანა. მე კი მოპარული საფულე ან ნივთი დაზარალებულისთვის უნდა დამებრუნებინა.

– აი, იმ მწვანეშლაპიანს გავაშიმხონებ, – მითხრა ნეპმანმა, შემდეგ საშუალო სიმაღლის მამაკაცს აედევნა, მოზრდილი საფულე ამოაცალა პიჯაკის ჯიბიდან და მომიტანა.

საფულე მამაკაცს დავუბრუნე და ვუთხარი:

– მოქალაქევ, საფულე დაგივარდათ. გამომართვით და მომავალში ყურადღებით იყავით.

სულ რაღაც თხუთმეტი წუთის განმავლობაში, ნეპმანმა ხუთი მოქალაქე ისე გაქურდა, რომ არც ერთ მათგანს არაფერი უგრძნია. ექსპერიმენტი რომ დასრულდა, ვუთხარი:

– ფენომენალური, ასპროცენტიანი შედეგია. რომ იტყვიან, ხუთი ათიანი გაარტყი.

– გეთანხმები. ჯერ კიდევ მიმუშავებს თითები, – მითხრა ნეპმანმა, – შეუკვეთე რეიკიავიკის ბილეთები...



რეიკიავიკის ოპერაცია დიდი წარმატებით ჩატარდა. მე და ნეპმანი ისლანდიის დედაქალაქის უნივერსიტეტში პროფესორისა და სტუდენტის სტატუსით შევედით, ხოლო, როდესაც ამერიკის პრეზიდენტმა გამოსვლა დაასრულა და დარბაზიდან გასვლის წინ ხალხს ხელს ართმევდა, იქვე მდგომმა ნეპმანმა მას მაგრად ჩამოართვა ხელი და პიჯაკის შიდა ჯიბეში ისე სწრაფად ჩაუცურა მოსასმენი მოწყობილობა, რომ მეც კი ვერ შევასწარი თვალი... იმავე ღამეს სპეციალური აპარატურით აღჭურვილმა საბჭოთა თანამგზავრმა სუფთად ჩაიწერა დიდი შვიდეულის შეხვედრაზე შემდგარი შვიდსაათიანი საუბრები და საბჭოთა დაზვერვამ უმნიშვნელოვანესი სადაზვერვო-საიდუმლო ინფორმაცია მოიპოვა. ამ წარმატების შემდეგ, ნეპმანს თვეში სამი ათასი მანეთით პენსია დაუნიშნეს, რაც იმ დროს უზარმაზარი თანხა იყო.

ნეეპმანი, მიუხედავად იმისა, რომ „კაგებესთან“ ითანამშრომლა, ბოლომდე პატიოსან ქურდად დარჩა. მას არც არავინ გაუყიდია და არც ნეპმანური წესი დაურღვევია. ის სიცოცხლის ბოლომდე „პრიმას“ ეწეოდა და, მართალია, აღარ ჯიბგირობდა, მაგრამ, არც მდიდრულად და მსუყედ ცხოვრობდა. სამი ათასი მანეთიდან კი მხოლოდ 90 მანეთს იტოვებდა – დანარჩენს ქურდულ სალაროსა და საპყრობილეებში გზავნიდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



ადვილი ამოცანა

9	4	8	5	3	1	7	6	2
1	3	7	6	2	9	5	8	4
6	2	5	8	4	7	3	1	9
8	5	4	2	1	3	6	9	7
7	6	2	9	5	8	4	3	1
3	9	1	7	6	4	2	5	8
4	8	6	1	7	5	9	2	3
2	1	3	4	9	6	8	7	5
5	7	9	3	8	2	1	4	6

რთული ამოცანა

4	1	9	7	8	6	3	5	2
8	3	2	5	9	4	1	6	7
7	6	5	2	3	1	9	8	4
5	2	6	3	4	9	7	1	8
1	8	3	6	7	2	4	9	5
9	4	7	8	1	5	2	3	6
2	7	8	9	6	3	5	4	1
3	5	4	1	2	8	6	7	9
6	9	1	4	5	7	8	2	3

„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: 1. ურეთი და ნამგლით. 2. მანჰეტენი. ქალაქი ნიუ-იორკში. 3. საუნა. 4. მარშალი. 5. კალაშნიკოვის ავტომატი. 6. მაგნიტური. 7. სისასტიკეს. 8. დნეპრის მარცხენა შენაკადის სახელი – „დნესტრი“ – „მარჯვენას“ ნიშნავს. 9. დელფინი. დელფოს – ძმა. 10. ლენინი და კერენსკი.

ყველა კაცი ერთნაირია

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „თბილისელები“ №12-13(639)

ის, რაც მართლა გვინდა

... დედები არცთუ იშვიათად ცდილობენ საკუთარი, არაორგანიზებული სურვილების ქალიშვილებში განხორციელებას. როცა პატარა ვიყავი, დედაჩემს ბალეტზე დავყავდი. იმიტომ კი არა, რომ მე მინდოდა, ბალერინა გავმხდარიყავი – არა! დედაჩემს აუცილებლად რაღაცაზე უნდა ვეტარებინე. მისი სამსახურის გვერდით კი საბალეტო სკოლა იყო... ანუ, ისეთივე ენთუზიაზმით მატარებდა სამუსიკო სკოლაში, საბალეტო სკოლის ნაცვლად, იმ მეზობელ შენობაში მუსიკალური სკოლა რომ ყოფილიყო. რამდენიმე წელი მორჩილად ვიტანდი მკაცრი მასწავლებლის, გამყინავი ხმით გაცემულ ბრძანებებს, ტკივილებს მუხლებსა და ფეხის თითებში, გაბუჟებული კუნთებისგან მიყენებულ უსიამოვნო განცდას... მერე გავაპროტესტე... ჩემში მეამბოხემ გაიღვიძა და დედაჩემს გამოვუცხადე, ამიერიდან გავაკეთებ იმას, რაც მართლა მინდა-მეთქი... – ქეთინ გაიღიმა და სიგარეტის ნამწვი ოსტატურად გადააგდო ოდნავ შეღებული ფანჯრიდან.

– მერე, აკეთებ იმას, რაც მართლა გინდა? – თვალებმოჭუტული ჩაეკითხა ლელა, – ანუ, მაგ დღის შემდეგ სულ იმას აკეთებ, რაც მართლა გინდა?!

– კარგი, რა, დამცინი? უბრალოდ, დედაჩემი მიხვდა, ჩემგან, ბალერინას ვინ ჩივის, უბრალო მოცეკვავეც არ გამოვიდოდა, ტყუილუბრალოდ გადაყრილი ფული დაენანა, სულ ეს იყო... – ქეთინ მხრები აიჩეჩა, – აკეთო ის, რაც მართლა გინდა, დიდი ფუფუნებაა. მიუწვდომელი ფუფუნება ჩემთვის და პრინციპში, ყველა ქალისთვის. მით უმეტეს, გათხოვილი ქალისთვის.

– ეს ბოლო ფრაზა, ალბათ, მრავალმხრივ უნდა გავიგოთ, – თავი გადააქნია ლელამ.

– ზუსტად ისე უნდა გავიგოთ, როგორც ვთქვი. ყველანაირი ქვეტექსტის გარეშე. აბა, მითხარი, ბოლოს როდის გააკეთე ის, რაც მართლა გინდოდა.

– ინტიმურ წვრილმანებს ნუ ჩავუღრმავდებით, – გამაფრთხილებლად დაუქნია თითი ნატომ, – დამინდეთ...

– შენ სულ ინტიმი ნუ გელანდება. საერთოდ, სხვა თემაზე ვლაპარაკობთ.

– ვითომ? ვილაპარაკებთ, ვილაპარაკებთ და ბოლოს მაინც ინტიმამდე მივალთ. ეს ხომ ის არის, რაც მართლა გვინდა, – ხელები გაშალა ნატომ.

– ვა, ეს დღეს აღარ ხუმრობს, – გაუკვირდა ლელას, – ნატო, გაზაფხულის გავლენაა, თუ...

– „თუ“ – გამორიცხე... საერთოდაც, ვიხუმრე... სახლში აღარ მივდივართ?

– რა გეჩქარება? ვიყოთ კიდევ ცოტა ხანს. ამაზე კარგად ვერსად დავისვენებ. თან, ფიტნესის გაკვეთილზეც ვარ ნასასვლელი და ჯერ ადრეა.

ლელამ ისე შეხედა, თითქოს ეუბნებოდა, ფიტნესიღა გაკლდა სრული ბედნიერებისთვისო. ქეთი მიუხვდა.

– რაც ბავშვი გავაჩინე, საშინლად აღარ მომწონს საკუთარი სხეულის ფორმები. ფიტნეს-კლუბში მივედი და იოგას გაკვეთილებზეც ჩავეწერე. ძალიან მაგარია. აუზიც არის სრული რელაქსაციისთვის.

– რა არის მაგარი, იოგა თუ იოგას მასწავლებელი? – გაეხუმრა ნატო და თვალი ჩაუკრა.

– სულ ტყუილად იცინი. სხვათა შორის, არც შენ გაწყენდა. ძალიან უწყობს ხელს თვითშეფასების ამაღლებას.

– ჰოო? შენ აგიმაღლა უკვე? ანუ, იმის თქმა მინდოდა, ეს ის არის, რისი გაკეთებაც შენ მართლა გინდა? – ოსტატურად ჩაურთო ლელამ და ამოიოხრა, – ეჰ, მესმის შენი. რამდენი ხანია, მინდა, ერთი კვირით სადმე გავემგზავრო მარტო. ჩავწვე ჰამაკში და არაფერზე ვიფიქრო. არ გამოდის, რა... სანამ პატარები ვართ, იმას ვაკეთებთ, რაც მშობლებს უნდათ... მერე, რაც უნდათ ქმრებს, ჩვენს უფროსებს, შვილებს, ნათესავებს... საკუთარი სურვილების რეალიზებისთვის დრო აღარ რჩება. კარგად რომ დაფიქრდე, ძალიან სევდიანად ჟღერს ეს ყველაფერი...

– ერთი ნაცნობი მყავს, – თქვა ნატომ, – ხუთშაბათობით ერთი საყვარელი მოსდის, შაბათობით – მეორე, ორშაბათობით – მესამე. თან, სამივეს თავის ჭკუაზე ათამაშებს.

– კვირაობით კი იმას აკეთებს, რისი გაკეთებაც მართლა უნდა? – ჰკითხა ლელამ და სამივეს სიცილი აუტყდა.

* * *

– იყო გულახდილი – ეს კარგია, მაგრამ სრული სისულელეა, ყველაფერი დაუფარავად მოყვე, – გიგიმ ფეხი ფეხზე გადაიდო და ზუკას თვალებმოჭუტული მიაჩერდა, – მაგალითად, მე სულ ასე ვიქცევი.

– როგორ? – ეჭვით ჰკითხა ზუკამ, რომელიც დიდად ვერ დაარწმუნა გიგის თეორიამ.

– როგორ და, არასოდეს ვახმოვანებ ინფორმაციას, რომლის დაფარვაც საჭიროა.

– მარტივ ენაზე მაგას ტყუილი ჰქვია. ისედაც ვიცი, ნინის რომ ატყუებ. სხვა გოგოებს რომ ხვდები, ეგ რა არის? – ზუკამ უკმაყოფილოდ გადააქნია თავი, – ერთხელაც იქნება, ნინი ყველაფერს გაიგებს. ჩემთვის ამორალურია, როცა რამდენიმე რომანს ერთდროულად „ახუჭუჭებ“. ამიტომაც ვიკავებ თავს სერიოზული ურთიერთობებისგან.

– არა ხარ მართალი. რა გამოდის? – არასოდეს აკეთებ იმას, რაც მართლა გინდა. ანუ, ვითომ ყველასთან მართალი ხარ და საბოლოოდ გამოდის, რომ ეგ შენი სიმართლე არავის სჭირდება. თავად შენც კი არაფერში გარგია. იცი, რა არის მთავარი პრობლემა შენთვის? – როგორც კი კონკრეტულ გოგოზე იწყებ ფიქრს, ქვეცნობიერში მონოგამიაზე აწერ ხელს. ეს არაბუნებრივია.

– ისე მსჯელობ, მგონი, მრავალცოლიანობის მომხრე ხარ, – დასცინა ზუკამ „ღრმა“ ფილოსოფიაში „გადავარდნილ“ თანამშრომელს.

– რას გეტყვი, იცი? მთავარია, სანამ ერთ ცოლს მოიყვან, მანამდე არ „დაგაზიანოს“ სტერეოტიპებმა. არ აგცდება იმის კეთება, რაც სხვებს უნდათ და ახლა მაინც უნდა გააკეთო ის, რაც მართლა გინდა.

– და, რა გინდა. ნინის სიყვარულს ეფიცებოდე და კიდევ რამდენიმე შტერ გოგოს აბამდე პარალელურად?

– შენ რომ ერთიც ვერ შეგიბამს, ამაში მე არ ვარ დამნაშავე. წადი, შეხვდი იმ შენს დულცინეას, სანამ იმანაც გადაიფიქრა, თორემ დეპრესია გაგირთულდა. ოღონდ, ფრთხილად იყავი, ძალიან არ გაგისერიოზულდეს ურთიერთობა. ერთი და იგივე ძუძუს ჩემმა მტერმა უყურა...

ოთახში შემოსულმა ვახომ გარკვევით გაიგონა გიგის ნათქვამი ბოლო ფრაზა.

– ცუდი არ იქნებოდა, პრივატული საუბრებისთვის დრო შესვენებაზე გამოგენახათ. მით უმეტეს, ინტიმურ თემებზე. თქვენი ხმა მთელ ოფისში ისმის. შეიბრალეთ ის გოგო.

– ვინ, თიკო? – გაიოცა გიგიმ, – მაგისთვის რა მნიშვნელობა აქვს, ჩვენ რაზე ვილაპარაკებთ.

– როგორც ჩანს, აქვს. გიგი, იმ დღესაც გითხარი და რატომ მაიძულებ გაგიმეორო, ეს ერთი გოგოა ამ ოფისში და შეეცადეთ, ჭკუიდან არ გადაიყვანოთ.

გიგიმ მხრები აიჩეჩა.

– საერთოდ ვერ ვხვდები, რა პრობლემაა. დედოფალივით ვანებივრებთ.

– კი, როგორ არა. ყველაფერზე გეტყობათ. ამიტომაც ტირის ხოლმე ასე ხშირად.

– ოო, ქალების ამბავი არ იცი? თვითონ არ იცის, რა უნდა.

– ჰო, პრინციპში ეგ ასეა, – ვახომ შუბლზე მოისვა ხელი, – ზოგჯერ ქეთიც ისე იქცევა, შოკში მაგდებს. არადა, თავიდან ისე კარგად იყო ყველაფერი, დარწმუნებული ვიყავი, რომ ვიცნობდი. ახლა კი, დღე არ გავა, რამე სიურპრიზი არ მომიწყოს. ზოგჯერ, საერთოდ არ მესმის მისი.

– ქალების ვის ესმის? – გამოცდილი კაცივით ამოიოხრა გიგიმ. ზუკამ ირონიულად ჩაიღიმა და მრავალმნიშვნელოვნად ჩაილაპარაკა:

– რა გაცინებს, ჩემს ნაცნობებს შორის არიან მამაკაცები, რომლებიც ერთდროულად რამდენიმე ქალს ხვდებიან...

– მერე რა, ესე იგი, აკეთებენ იმას, რისი გაკეთებაც მართლა უნდათ.

მშვიდად განმარტა გიგიმ, ზუკას ორაზროვ-

ანი ფრაზა.

– ჰო, თითქოს ასეა, ერთი შეხედვით. მაგრამ, რეალურად, მხოლოდ პრობლემებს იქმნიან, ანუ ეძებენ პრობლემებს. ჩვენს დროში ადვილია მოიქცე ისე, თითქოს ყველაფერი ფეხებზე გვკიდია – რაც ადრე მარტო თავგამოდებული ბერბიჭებისთვის იყო ხელმისაწვდომი. ადრენალინის დიდ დოზას ნამდვილად იღებ დანაღმულ მინდორზე სიარულით, თუმცა აფეთქება რომ სასიამოვნო იყოს, ძალიან მეეჭვება.

– მე ჯერ ცოლი არ მყავს. ამიტომ სულაც არ ვფიქრობ, რომ დანაღმულ მინდორზე დავდივარ.

ზუკამ მოხერხებულად მოიკალათა ფანჯრის რაფაზე და ცელქი ბიჭივით ააქანავა ფეხები.

– შენ რა გაცინებს? – წარბი შეიკრა გიგიმ, – ჩემმა პასუხმა არ დაგაკმაყოფილა?

– როგორ არა. ძალიან მაგარი იყო. ყველაფერი ცხადია, მაგრამ ვახო, მგონი, არ გეთანხმება.

გიგიმ ვახოს შეხედა.

– პრინციპში, შენ მეტი გამოცდილება გაქვს ამ საქმეში.

– რომელ საქმეში? არ გისმენდით, – ფიქრიდან გამოერკვა ვახო.

– თუმცა შენ „გაშალე“ და არ გვისმენდი? ქალების პონტში, რა, – არასოდეს იციან, რა უნდათ.

– ყველას რომ გათხოვება უნდა, მაგაში დარწმუნებული ვარ, – თვალები აუციმციმდა ზუკას.

– მაგაზე ქალები გიპასუხებდნენ, რა არის ამაში ცუდიო.

– ცუდი ის არის, რომ ცოლების როლში საკუთარ არსებობას გვაყვედრიან. სურვილებს და პრიორიტეტებს ურევენ. ჩვენს გადაკეთებას ცდილობენ, ყველაფერს აკეთებენ, რომ დაგვიმტკიცონ – ქორწინება შეცდომაა, – ვახომ სავარძელი თავისკენ მიიჩოჩა და ჩამოჯდა, – აი, მე ძალიან მიყვარს ჩემი ცოლი, მაგრამ ეს ის ქეთი არ არის. ოჯახმა შეცვალა. სულ გაღიზიანებულია, სულ ცდილობს, ჩხუბის და კამათის საბაბი იპოვოს და ჭიქაში ქარიშხალი ატეხოს. რატომ? არ ვიცი.

– იქნებ, კომუნიკაციის დეფიციტია? შეიძლება, რაღაცის თქმა უნდა და ვერ გეუბნება. სადღაც წავიკითხე, როცა ცოლ-ქმარს შორის გაურკვეველი საკითხები რჩება, ეს მათ ურთიერთობაზე უარყოფითად აისახება.

– შენც სულ ფსიქოლოგიური ტესტებით არ აგებდე ურთიერთობას, – დასცინა გიგის ზუკამ, – თუმცა, ერთ რამეში გეთანხმები. საუბარი აუცილებელია. შენს საქმეში კი ვერევი, მაგრამ რომ დაელაპარაკო? ვიცი, კაცებს გვიყვარს უსიამოვნო და რთული საუბრებისთვის თავის არიდება; მით უმეტეს, საშინელებაა ქალთან ურთიერთობის გარკვევა. მაგრამ, ამის გარეშეც რომ არ გამოდის?!

– ბიჭო, რა არ მესმის, იცი? აი, უცხოეთში ხომ ახერხებენ ქალები და კაცები ამ მარტივ ურთიერთობებს. პირველივე პაემანზე „აიასნებენ“ სიტუაციას. აუხსნიან ქალს, რომ მასთან ერთად ცხოვრების განზრახვა არა აქვთ, არც სამომავლო გეგმებზე ლაპარაკის სურვილი და გვარდება საქმე.

ზუკამ თავი გადააქნია.

– მეეჭვება, მთლად ასე მარტივად იყოს საქმე. ეგ კინოებში ალაითებენ, რა... პროსტო, იმათ ქალებს ოჯახები დიდად არ ევასებათ. კაცების მოვლაზე თავს არ იწუხებენ.

– აუ, ჰოდა, ჩვენებიც ნუ შეიწუხებენ, რა! არ მინდა, ბატონო, როგორმე მივხედავ საკუთარ თავს, ხელები აიქნია გიგიმ.

– მიხედავ, როგორ არა. დედაშენი არ გივლიდეს ერთი? სამსახურში კი თიკო გიდუღებს ყავას. მაგასაც ვერ ახერხებ.

– ვერ ვახერხებ კი არა, არ ვახერხებ. მიდუღებს საკუთარი ინიციატივით და უარს ხომ არ ვეტყვი? ეწყინება. მგონი, მოვწონვარ კიდეც.

– აბა, ეგ საიდანღა მოიტანე? – სიცილი აუტყდა ზუკას, – ყავას მეც მიდუღებს და ვახოსაც, ორივე მოვწონვართ?

– რატომაც არა? შეიძლება, ჯერ ჩამოყალიბებული არ არის საკუთარ არჩევანში, – უკან არ დაიხია გიგიმ.

– მოვრჩით, საქმეს მივხედოთ, – თქვა უცებ ვახომ, – თიკოს კი მოეშვით, შინაურია და არ შეიძლება.

– ეჰ, ბოლოს ყველა ეგეთი შინაური ხდება ხოლმე, – ბრძნულად დასძინა გიგიმ. მერე ზუკას შეხედა. უნდოდა, ეკითხა, რას შვრება შენი რომანი იმ ქალთანო, მაგრამ ბოლო წუთს გადაიფიქრა.

თიკოს არც უცდია შეღებული კარი მიეხურა. იჯდა და უსმენდა ბიჭების ლაპარაკს. მერე ამოიოხრა და ტელეფონის ყურმილს მოჰკიდა ხელი. ნომერიც აკრიფა, თუმცა, სანამ საუბარს დაიწყებდა, გათიშა და გულხელდაკრეფილი მიაჩერდა კომპიუტერში სოციალური ქსელის გვერდზე გახსნილ ფანჯარას... სად წახვედი? მომისმინე, არ გინდა, შევხვდეთ? მაინტერესებს, მართლა ისეთი ხარ, როგორიც ფოტოებზე თუ ფოტოშოპი არ დაგენანა?.. ამ ფრაზას ორი „სმაილი“ მოჰყვებოდა.

„იდიოტი. წარმოდგენა არ აქვს, ქალს როგორ უნდა ელაპარაკოს. მეც დავფეთდები და შევხვდები მაგ უზრდელს, მეტი საქმე არა მაქვს. ყველა კაცი ერთნაირი რატომ არის?! საშინელებაა, ერთს ვერ იპოვი ნორმალურს. უფრო სწორად, ნორმალური ვინც არის, ყველა დაკავებულია, სამწუხაროდ.“

ფიქრები შემოსასვლელი კარის ხმამ გააწყვეტინა. ოფისში ლაშა შემოვიდა შეშლილი სახით. ხელში ორი ბოთლი შამპანური ეჭირა. იღლიაში კი შოკოლადის ვეება ყუთი ჰქონდა გაჩრილი.

– ბიჭი მყავს! სამი კილო და ოთხასი გრამი, ორმოცდათორმეტი სანტიმეტრი. უკვე ვნახე და სურათებიც გადავუღე, – მიაყოლა სხაპასხუპით.

– ვაიმე, რა მაგარია! – აკივლდა თიკო, – შეშლილივით წამოხტა და ლაშას კისერზე ჩამოეკიდა.

– ნელა, ნელა, ბოთლები დამიცვივდება! ისედაც ძლივს მიჭირავს... ეს ყუთიც გამომართვი, რა...

ხმაურზე დიზაინერების ოთახიდან ერთდროულად გამოცვივდნენ ვახო, გიგი და ზუკა.

– ვა, რა ხდება? – იკითხა გიგიმ.

– ბიჭი შეეძინა, – ლაშას დაასწრო თიკომ, – რას გაშეშებულხართ, მოდით, მოულოცეთ...

– მაგარია! მართლა გაჩნდა თუ იმდღევანდელივით, „ლოჟნაია ტრივოგაა“... სამი საათი რომ ვიყურყუტეთ სამშობიაროს მოსაცდელში.

– რა „ლოჟნაია“, ბიჭო... დაიბადა. ორი საათის წინ, აი, ფოტოებიც მაქვს, – ლაშამ, როგორც იქნა, გაითავისუფლა ხელები, ჯიბიდან მობილური ამოიღო და ამაყად გაშალა, – ნახეთ, როგორ მგავს.

ზუკამ ცხვირი აიბზუა.

– ნუ აფრენ! ჯერ რას უნდა მიხვდე, ვის ჰგავს. ცხვირი და თვალები არ ეტყობა წესიერად.

– ძალიან კარგად ეტყობა. მაგარი ლამაზი ტიპია. ხელში რომ დამაჭერინეს, ისე ჭკვიანურად მიყურებდა, გავგიჟდი, – ეწყინა ლაშას და ზუკას მობილური გამოგლიჯა, – მომეცი აქ, ნეტავი, შენ რა გესმის.

– ეჰ, ჯერ არც შენ გესმის წესიერად. ღამეებს რომ გაგათენებინებს ჭყივილით, მერე მიხვდები. თან, რომ ვერც იგებ, რა უნდა? მაგრად მეშინია პატარა ბავშვების. ერთი წლიდან კიდევ ვიტანთ, მაგრამ მერე ლაპარაკს ხომ იწყებენ და დაუსრულებლად მეკითხებიან რაღაცეებს, ვგიჟდები. მახსოვს, რა მძიმედ გადავიტანე ის პერიოდი, ჩემმა დამ რომ იმშობიარა და თავის ღლაპთან ერთად, მთელი ორი თვით ჩაგვისახლდა. ლამის შევიშალე. ფანჯრიდან გადახტომა მინდოდა. ვერც ვერაფერს ვამბობდი. ორსულობის შემდგომი დეპრესია, თუ რაღაც ამდაგვარი უბედურება სჭირდა ჩემს დას და ჩემები ფეხაკრეფით დადიოდნენ სახლში. ჭკუიდან გადამიყვანეს, – თქვა გიგიმ და ლაშას თანაგრძნობით მოუთათუნა მხარზე ხელი, – ასე რომ, ჩემო ძმაო, მოემზადე სირთულეებისთვის. ახლა იწყება, რაც იწყება.

– ნუ აშინებ ამ კაცს. შენი სულელური მოსაზრებები შენთვის შეინახე. მამა გახდა და ბედნიერია... – გაბრაზდა თიკო და ლაშას მიუბრუნდა, – ამას არ მოუსმინო. ძალიან გამიხარდა.

ლაშამ საცოდავი თვალებით შეხედა ვახოს. ვახო მიუხვდა.

– გიგის მართლა არ მოუსმინო. მეც უზომოდ ბედნიერი ვიყავი, ჩემი შვილი რომ დაიბადა. მაშინ ვუთხარი საკუთარ თავს, ეს არის ის, რაც მთელი სიცოცხლე მინდოდა-მეთქი. უძილობას კი ნელ-ნელა შეეჩვევი. თანაც, ყველა ბავშვი ერთნაირი არ არის. ზოგი საერთოდ არ ტირის, რა იცი, იქნებ გაგიმართლოს და შენი აღმოჩნდეს მათ რიცხვში.

– დაამშვიდა, თავისი ჭკუით, – გაიცინა გიგიმ, – მაგრამ ეს ისეთი ამბავია, მაინც უნდა აღვნიშნოთ. თიკო, გაცუნცულდი და ჭიქები მოიტანე... თამადა მე ვარ, იცოდეთ!

გაგრძელება შემდეგ ნომერში

წახვალთ რისკზე?

ადამიანებს ურჩევნიათ, ზედმეტი პრობლემა არ შეიქმნან და რისკს სტაბილურ ერთფეროვნებას ამჯობინებენ. თქვენ წახვალთ რისკზე?

1. როგორი სამუშაო გირჩევნიათ?

ა) თუნდაც მოსაწყენი, მაგრამ სტაბილური. რეგულარული ანაზღაურებით;

ბ) მაღალანაზღაურებადი – აუცილებლად საპასუხისმგებლო;

გ) ჩემთვის მთავარია, სამუშაო საინტერესო იყოს.

2. როცა სახლში გვიან ბრუნდებით...

ა) ვარჩევ უსაფრთხო, თუნდაც გრძელ გზას;

ბ) ვცდილობ, თანამგზავრი მოვძებნო;

გ) ჩვეულებრივ ვბრუნდები გვიანაც.

3. რა აზრის ხართ ექსტრემალურ სპორტზე?

ა) სპეციალური მომზადება სჭირდება, რთულია და სახიფათო;

ბ) გიჟების გასართობია;

გ) დიდი სიამოვნებაა, ადრენალინით.

4. სანამ კარს გააღებდეთ, ყოველთვის იხედებით სათვალთვალოში და კითხულობთ, ვინ არის?

ა) აუცილებლად, რა თქმა უნდა;

ბ) არა. რა საჭიროა?!

გ) ზოგჯერ, მაშინ, როცა არავის ველოდები.

5. მეგობარმა რამდენჯერმე ისესხა ფული და არ დაგიბრუნათ. მერე ისევ გთხოვათ:

ა) ისევ ვასესხებ, თუ მართლაც სჭირდება;

ბ) მივცემ ფულს, მაგრამ საბოლოოდ გავაფრთხილებ;

გ) არ მივცემ და მიზეზსაც ვეტყვი.

6. საჭესთან მჯდომი, ხშირად აჭარბებთ დასაშვებ სიჩქარეს?

ა) არასოდეს. ამას სიკეთე არ მოაქვს;

ბ) ძალიან იშვიათად, როცა მეჩქარება;

გ) კი. სულ ასე ვარ.

7. ქალაქგარეთ, მეგობართან ჩახვედით, გზა არ იცით:

ა) ერთი საათი გავჩერდები. არ დავიღამებ და წამოვალ;

ბ) რა პრობლემაა. იქამდე დავრჩები, სანამ მინდა;

გ) ღამითაც იქ დავრჩები.

8. მოგწონთ ექსტრემალური ატრაქციონები?

ა) რა თქმა უნდა, ძალიან;

ბ) არც ისე. ზოგჯერ სასიამოვნოა;

გ) არა. რა მოსაწონია.

9. გქონიათ შემთხვევითი ინტიმური კავშირი?

ა) დიახ. ავყოლილვარ ვნებას;

ბ) ერთხელ, როგორღაც მოხდა;

გ) არასოდეს.

10. სად უკეთესია პარტნიორის გაცნობა?

ა) სამსახურში ან სადმე სტუმრად;

ბ) ინტერნეტით, კლუბში, ქუჩაში, მაღაზიაში... ამას ვერ დაგეგმავ;

გ) რომელიმე კულტურულ ღონისძიებაზე.

ტესტის გასაღები

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ა	1	1	5	3	1	5	1	1	5	1
ბ	3	3	3	1	5	3	3	5	3	5
გ	5	5	1	5	3	1	5	3	1	3

დათვალეთ ქულები:

10-23 ქულა: ყველაფერს აკეთებთ, რომ უსიამოვნებებს გაექცეთ. მეტისმეტად ფრთხილი ხართ. ირჩევთ უკვე გაკვალულ გზას და ამით საკუთარ თავს დიდ სიამოვნებას აკლებთ.

24-37 ქულა: რისკის არ გეშინიათ, მაგრამ სპეციალურად არ ეძებთ მას. აზარტის განცდა თქვენთვის უცხო არ არის, მაგრამ დროზე გაჩერებაც იცით. ოქროს შუალედი ნაპოვნი გაქვთ.

38-50 ქულა: არანაირი სიფრთხილის გრძნობა. ზოგჯერ მეტისმეტად ქარაფშუტულად და უპასუხისმგებლოდ იქცევით. ზოგჯერ მაინც დაფიქრდით, რის ფასად დაგიჯდებათ ასეთი რისკი.

როდის არის მათხოვების დრო

ადამიანები ქორწინდებიან და მერე ნანობენ – რატომ ვიჩქარეთო. მაინც, როდის არის დრო?

* ძველ რუსეთში, შეუსრულდებოდა თუ არა გოგონას 12 წელი, მისთვის საქმროს ძებნას იწყებდნენ. ვაჟი 15 წლის მაინც უნდა ყოფილიყო. პეტრე პირველი შეეცადა, ასაკობრივი ზღვარი აეწია: გოგონასი – 15-მდე, ვაჟისა – 17-მდე, მაგრამ, მოსახლეობის მძაფრ წინააღმდეგობას წააწყდა.

* შუა საუკუნეებში ევროპაში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 36 წელს არ აღემატებოდა. ამიტომ, ქალს შვილი აუცილებლად 16 წლამდე უნდა გაეჩინა, რათა მისი გაზრდაც მოესწრო და, თუ ქალიშვილი შეეძინებოდა, პირველ ორსულობაზეც დახმარებოდა.

* მეცხრამეტე საუკუნეში, მთელ ევროპაში, წარჩინებული ოჯახების ქალიშვილები 17-დან 23 წლამდე თხოვდებოდნენ, მდაბიონი – 18-დან 20 წლამდე.

* დღეს ევროპაში 35-40 წლის ქალის გათხოვებაა მიჩნეული ნორმად. პროგრესია ეს თუ რეგრესი, თავად გადაწყვიტეთ.

რაც არ მავჟირდებოდა

ქალთა საერთაშორისო დღე 1914 წლიდან აღინიშნება. გაზაფხულის ერთ ჭირვეულ დღეს, ფეხსაცმელებისა და შალის მანუფაქტურის მუშა ქალებმა გადაწყვიტეს, ნიუ-იორკში საყოველთაო მანიფესტაცია მოეწყოთ – მათ არ სურდათ 16-საათიანი სამუშაო დღე და ამას საჯაროდ აპროტესტებდნენ. ამ პერიოდისთვის მამაკაცებს უკვე ჰქონდათ სერიოზული მონაპოვარი – 10-საათიანი სამუშაო დღე.

დემონსტრაცია პოლიციამ დაშალა, მაგრამ, ამას დიდი ხმაური მოჰყვა. გაზეთებმა ეს ამბავი აიტაცეს და საგაზეთო სტატიებში „ქალთა დღე“ უწოდეს. ხომ ხვდებით, რომ სადღესასწაულო ამაში არაფერი იყო, არადა, დღეს 8 მარტს ყვავილებსაც კი ვიღებთ საჩუქრად. რა სისულელეა – რა გვეზეიმება?!

გვერდი მოამზადა
ელენე წულუკიძემ

მხსნელი ბანდიტი

ბეილი მეჰი

შელი მშვიდად იჯდა და მოღუშული უსმენდა მეგობარს. ნენსი აღშფოთებული ცდილობდა მის რაღაცაში დარწმუნებას:

– მომისმინე, საყვარელო. ხომ იცი, როგორ მიყვარხარ. აღარ შემიძლია, ვუყურო, როგორ იწმენდს შენზე ფეხებს ეს ნაძირალა. ეგ ყოველთვის გღალატობდა. რისთვის გჭირდება? ასეთი ლამაზი ხარ, მდიდარი... მოიშორე!

შელიმ გაიღიმა:

– ძალიან აზვიადებ, ნენსი. ჯეიკი, შეიძლება, იდეალური არ არის, მაგრამ, არ მიღალატებს, ვუყვარვარ. თანაც, გეყოფა ჩემზე ზრუნვა, აღარ მჭირდება მფარველები. დიდი ხანია, გავიზარდე.

ნენსი მიხვდა, რომ გადაამლაშა. შელის უცნაური ხასიათი ჰქონდა. საკუთარ თავში მას მერე ჩაიკეტა, რაც თხუთმეტი წლის ასაკში, მშობლები უბედური შემთხვევის შედეგად დაეღუპა – იახტით სეირნობისას ზღვაში ჩაცვივდნენ და დაიხრჩვნენ. შელი მათ „რკინის ხელით“ ეჭირათ, გადაწყვეტილებებს მის ნაცვლად იღებდნენ და იმდენი მოახერხეს, თვითშეფასების უნარი საერთოდ დაუქვეითეს. ჰოდა, რაღა უნდოდა მისთვის თავის შეყვარებას?! ნენსი უყურებდა მეგობარს, რომელიც საყვარლად ბუსხავდა ტუჩებს და ფიქრობდა: „ეს სანამ ფაქტებით არ გაიგებს მწარე სიმართლეს, მანამდე ვერ დაიჯერებს, როგორი ნაძირალა ქმარი ჰყავს“. მერე უცებ ადგა.

– მე წავალ. გასაგები მიზეზების გამო, არ მინდა ჯეიკთან შეხვედრა.

– კარგი, როგორც გინდა. თუმცა, მეეჭვება, მოასწრო, უკვე დაბრუნდა – კარის ხმა გავიგონე.

ნენსი მეგობრის ქმარს ძვირფასად მოწყობილ ჰოლში შეეჩეხა. კაცმა მსუნაგი მზერით გააცილა ის და რაღაც სულელური ხუმრობა მიაძახა. ნენსის ძალიან უნდოდა, მაგრად გამოელანძღა, მაგრამ, გაჩუმება ამჯობინა.

– როგორ ხარ, ჩემო ტკბილლოყებავ? – ჯეიკმა ცოლს ლოყაზე აკოცა, – ხომ არ მოიწყინე? ორი დღე კიდევ და, აქედან შორს წავალთ – კუნძულზე დავისვენებთ. მთავარია, ფული კარგად დავაბინაოთ.

– შენ ფიქრობ, გაქვს უფლება, სრულიად განკარგო ჩემი ფული?

– საყვარელო, ამაზე ხომ უკვე ვილაპარაკეთ. შენ მხოლოდ ხელი უნდა მოაწერო საბუთებს და ყველა საზრუნავისგან შორს იქნები. რამდენიმე თვეში კი ჩვენი კაპიტალი გასამმაგდება.

უცებ ტელეფონმა დარეკა. ჯეიკმა ცოლს დაასწრო და ყურმილი აიღო. მოუსმინა, რაც უთხრეს და შელის მიუბრუნდა:

– საყვარელო, მე ახლა ყურმილს კაბინეტში ავიღებ და, როცა დაგიძახებ, ეს ყურმილი დაკიდე.

შელიმ თავი დაუქნია. თუმცა, როცა ქმარი გავიდა, ყოყმანი დაეტყო. ტელეფონის აპარატთან მივიდა და, სანამ გასათიშს თითს დააჭერდა, ყურმილი ყურთან მიიტანა. ქმრის ხმა გარკვევით ესმოდა. ის უკმაყოფილოდ ყღერდა. ჯეიკი ვიღაც ქალს ელაპარაკებოდა:

– რა სულელი ხარ. ნელა-ნელა ამ უტვინო ბარბის ემსგავსები. ჩემი ცოლისგან ცარიელი ხომ არ წამოვალ? სულ ცოტაღა დარჩა. წარმოიდგინე, რა კარგად ვიცხოვრებთ ბარბის მემკვიდრეობით. მეც ყელში ამომივიდა ეს ლამაზი თოჯინა. მეორედ სახლში აღარ დამირეკო, მე თვითონ ვნახავ!

შელიმ ძლივს მოასწრო ყურმილის დაკიდება, ოთახში ჯეიკი შემოვიდა ღიმილით.

– მე ახლა ცოტა ხნით წავალ, ბარემ, ბილეთებს შევუკვეთავ. დილით საბუთებს მოიტანენ, ხელს მოაწერ და... ბედნიერებაა, ხომ მართალია, როცა მზეზე თბები და არაფერზე ფიქრობ?!

შელის დიდი აღფრთოვანება არ გამოუხატავს, რაღაცაზე ფიქრობდა... დილით, სანამ ქალი დილის გაზეთებს ათვალიერებდა, ჯეიკმა ყავა დალია და სახლიდან გავიდა. ქალის ყურადღება ერთი სტატიის სათაურმა მიიპყრო – მათ რაიონში ვიღაც მანიაკს მდიდრული ვილის დიასახლისი მოეკლა, მერე გაეძარცვა და პოლიცია ეძებდა. შელიმ ჩაიცვა და ქვემოთ ჩავიდა. ამ დროს ჯეიკმაც შემოაღო კარი. მშვენიერ გუნებაზე იყო, რაღაცას ხმადაბლა ღიღინებდა.

– საბუთები მოვიტანე, ხელი მოაწერე.

– არა! – ეუცრად მკაცრად თქვა შელიმ.

– რაო? ეს რას ნიშნავს?

– ხელს არ მოვაწერ. წუხელ შენი სატელეფონო საუბარი მოვისმინე – მე ხომ უტვინო ბარბი ვარ.

კაცი ჯერ გაფითრდა, მერე გაწითლდა.

– ოჰ, შე ძუკნა, როგორ გაბედე! – იყვირა და ხელი მთელი ძალით შემოარტყა. შელი დაეცა. შეეცადა გაქცევას, მაგრამ, ჯეიკი ფეხში სწვდა და თავისკენ დაითრია. შელი უკვე გონებას კარგავდა, რომ მოულოდნელად ვიღაცის ჩახრინწული ხმა გაისმა.

– მაგ ქალს ხელი გაუშვი. ახლა მე გამოვედი სცენაზე და თუ ჩემს ყველა მოთხოვნას არ შეასრულებ, შუბლს გაგიხვრეტ!

შელიმ შეხედა. ჯეიკს კეფაზე რევოლვერის ლულა ჰქონდა მობჯენილი. კაცი, რომელსაც ეს რევოლვერი ეჭირა ხელში, ავად აბრიალებდა თვალებს – აშკარა იყო, დანაქადს შეასრულებდა. ჯეიკი გაშეშდა, ბანდიტმა ახლა ქალს უყვირა:

– აბა, ადექი, სწრაფად! შენ გეუბნები! სეიფი გააღე და ფული და ძვირფასეულობა მოიტანე. მარდად, მარდად, თორემ, შენს ქმარს შუბლს გავუხვრეტ!

შელი ნელა წამოდგა.

– მარდად-მეთქი, ნუ ზოზინობ!

– სეიფი საძინებელშია, მეორე სართულზე.

– წადი და მეც გამოგყვები. სისულელე არ გააკეთო, თორემ, ამ კრეტინს ტვინს გავასხმევინებ. ასე ნელაც ნუ იმოძრავებ, შეიძლება, გავბრაზდე...

– შელი, ღვთის გულისთვის, გაინძერი... – ამოიხავლა ჯეიკმა.

– სეიფში ძვირფასეულობაა და ცოტა ფული. ყველაფერს მივცემ.

სეიფის კარი მაშინვე არ დაემორჩილა... არ გაიღო... ამან ბანდიტი გაამწარა და ააყვირა. ჯეიკს შეეშინდა:

– შელი, გემუდარები, ნუ რისკავ...

ამასობაში სეიფის კარიც გაიღო. ქალი ნახევრად ამოეფარა სქელი რკინის კარს და ხელი სეიფში შეყო. მერე სწრაფად გამოსწია და ორივე მამაკაცმა მოულოდნელობისგან დაიღრიალა.

– იცოდე შენს ქმარს მოვკლავ... სამამდე ვითვლი! – დაიღრიალა ბანდიტმა. მაგრამ, ქალს გაქვავებულ სახეზე ერთი ნაკვთიც არ შერხევია.

– შელი, შელი... შენ ამას არ იზამ, შენ არ მისცემ უფლებას, რომ მომკლას!

შელიმ რევოლვერს მეორე ხელიც შეაშველა, გაასწორა და ლულა ბანდიტის სახეს დაუმიზნა. თითი სასხლეტზე ედო. ორივე იარაღი თითქმის ერთდროულად გავარდა. ჯეიკიც და ბანდიტიც თითქმის ერთდროულად ჩაიკეცნენ იატაკზე.

... პოლიციამ მაშინვე მისცა გამოუვალი მდგომარეობით, თავდაცვის მიზნით ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაცია. ამან ერთი საათი წაიღო. შელი მოყვა, რომ ქმარმა მისი დაცვა გადაწყვიტა, როცა ნახა, რომ ბანდიტმა დაარტყა და ამიტომ მიიღო ტყვია კეფაში. მან მოახერხა, იატაკზე დაგდებული იარაღი აეღო და თავდაცვის მიზნით გაესროლა... პოლიციამ მიუსამძიმრა უნუგეშო ქვრივს.

როცა პოლიციელები წავიდნენ, შელიმ გაიღიმა და ყელმოღერებული მივიდა სარკესთან. როგორ ცდებოდა ის, ვინც მასში მხოლოდ უტვინო თოჯინას ხედავდა. ჯეიკი სულელი იყო, როცა ფიქრობდა, რომ დაუსჯელად შეძლებდა მის დაჩაგვრას. შელიმ ხომ დიდი ხანია, თავის დაცვა ისწავლა – ჯერ კიდევ თხუთმეტი წლის ასაკში, როცა ზღვის ფსკერზე გაისტუმრა მკაცრი და პრინციპული მშობლები, რომლებსაც ჯიუტად არ უნდოდათ ქალიშვილის აზრის გათვალისწინება.

თარგმნა
ნინო წულუკიძემ

მკვდარი ვერსია

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №7-13(639)

ნიკა გვიან ღამით დაბრუნდა სახლში. „ინტელგრუპჯორჯიადან” რომ გამოვიდა, ჯერ ზურაბთან ერთად მივიდა ნინუებთან – ალექსანდრე ნინუას ოჯახში და, მისი შვილისგან გამოძიებისთვის საჭირო ინფორმაცია გაიგო, დარჩენილი დრო კი დოდოს მოცემულ ორ საქაღალდეში ჩაწყობილი ფაილების შესწავლას მოანდომა. ანდრო სირაძე და ალექსანდრე ნინუა – „ინტელგრუპჯორჯიის“ ორი აქციონერი... ვინ იყვნენ ისინი სინამდვილეში? მათგან რომელია მსხვერპლი და რომელი – სისხლის სამართლის დამნაშავე? ან, იქნებ, ორივე მსხვერპლია?.. დაწვრილებით უნდა გამოერკვია ორივეს წარსული და საქმიანობა, ამ ორი პიროვნების რეალური სახე, მით უმეტეს, რომ ორივე მოკლული იყო. სხვანაირად ვერც გამოძიება დაადგებოდა სწორ გზას და ვერც თავისი კლიენტის – ნანა სირაძის დავალების შესრულებას მოაბამდა თავს. დოდომ კომპანიის მიერ სირაძესთან და ნინუასთან დადებული ხელშეკრულებები თეფშზე დადებული ტორტის ნაჭრებივით მიართვა, თან, სტუმართმოყვარე დიასახლისივით გაუმასპინძლდა, ბოლოს კი პაემანიც დაუნიშნა – შაბათ საღამოს სადმე დამპატიჟეო. დოდო რომ არ ყოფილიყო, იმ ხელშეკრულებების მოპოვება, შესაძლოა, ვერც კი მოეხერხებინა. არა, პრინციპში, მაინც შეძლებდა მათ ხელში ჩაგდებას, მაგრამ, გაცილებით უფრო გაუჭირდებოდა ამის გაკეთება.

დოდო... ეს ქალი, თავისი ხასიათისა და ამბიციების მიუხედავად, ნიკას ყოველთვის აღელვებდა, ჯერ კიდევ სტუდენტობიდან. მართალია, მაშინ ვერ გაუძლო მის ამპარტავნებასა და ფერისცვალებებს და ამოიგდო გულიდან, მაგრამ, ახლა, ამდენი წლის შემდეგ, უკვე დაკაცებულმა, სულ სხვა თვალით შეხედა საკუთარ თავში დარწმუნებულ, ლამაზ და თამამ ქალს, რომელიც, აშკარად ჩანდა, რომ კარგად იყენებდა თავის სექსუალურ გარეგნობას და მიზნის მისაღწევად არაფერზე იხევდა უკან. ძნელი მისახვედრი არც ის იყო, რომ დოდომ პირდაპირ შესთავაზა ურთიერთობა. ამიტომ, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ამ ურთიერთობაზე უარის თქმა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა. ნიკა დარწმუნებული იყო, რომ, თუ დოდოს ხელს არ ჰკრავდა, ის ძალიან დიდ დახმარებას გაუწევდა გამოძიებაში, როგორც „ინტელგრუპჯორჯიას“ იურიდიული სამსახურის უფროსი. „შაბათს სადმე დამპატიჟეო“, – გაახსენდა ნიკას, – მაგრამ, შაბათი ზეგაა, მანამდე დიდი დროა, მანამდე, შეიძლება, ბევრი რამ მოხდეს... ხომ არ ჯობია, ზეგ კი არა, ხვალ საღამოს დავპატიჟო? ან, იქნებ, ახლავე დავურეკო და ვუთხრა, ნახევარ საათში შემხვდი-მეთქი? – ამ ფიქრებმა ნიკა ააწრიალა. დაავიწყდა დაღლილობაც, გამოძიებაც, ნანა სირაძეც და მხოლოდ დოდოსთან შეხვედრაზე ფიქრობდა. „საქმეს ასე სჭირდება“, – ირწმუნებდა თავს და თან ტელეფონში დოდოს ნომერს ეძებდა, რომელიც „ინტელგრუპჯორჯიადან“ გამოსვლისას ოფისმენეჯერს გამოართვა. ნომერი რომ იპოვა, ის იყო, ზარის გასაშვებად თითი უნდა დაეჭირა, რომ ხმამაღალი სიცილი აუტყდა – მიხვდა, დოდოსთან შეხვედრის აუცილებლობას იმიტომ უმტკიცებდა საკუთარ თავს, რომ, სინამდვილეში, მართლა მოუნდა მისი კიდევ ერთხელ ნახვა. თავს გამოუტყდა (რაც გულში გაუკვირდა კიდეც), რომ რაღაც ამოუცნობ ლტოლვას გრძნობდა მის მიმართ. გამოუტყდა და უკვე ყოველგვარი მღელვარების გარეშე დააჭირა თითი ტელეფონის ღილაკს. დოდომ პირველი ზარისთანავე უპასუხა, თითქოს თავისი მობილური ხელში ეჭირა და ნიკას ზარს ელოდა.

– ვიცოდი, რომ დღესვე დამირეკავდი, – ჩვეული სითამამით თქვა დოდომ და ხმამაღლა გაიცინა, – უფრო სწორად, დარწმუნებული ვიყავი.

– საიდან იცოდი? – უფრო იმიტომ ჰკითხა ნიკამ, რომ დრო მოეგო შემდეგი ფრაზის მოსაფიქრებლად.

– ყველა ასე იქცევა – ჩემს მომხიბვლელობას ვერ უძლებენ და, შენ რატომ უნდა ყოფილიყავი გამონაკლისი?

– მე ყველა არა ვარ, მე ნიკა გურული ვარ, რომელიც შენ დიდი ხნის წინ გიცნობდა და, ის საქმეც რომ არაფრად ჩავაგდო, რომელმაც შენთან შემთხვევით შემახვედრა, სხვა თუ არაფერი, ახალგაზრდობა გამახსენდა და, მინდა, კიდევ ერთხელ, ერთად გავიხსენოთ ის წლები.

– მას შემდეგ არც ისე ბევრი წელი გავიდა, ჩემო კარგო, ანუ, იმის თქმა მინდა, რომ ჯერ ისევ ძალიან ახალგაზრდად ვგრძნობ თავს და, პრინციპში, ვარ კიდეც, – ბოლო სიტყვები დოდომ ხაზგასმით წარმოთქვა.

– არ გედავები, შენ ისევ იმ სტუდენტ გოგონას ჰგავხარ, პირველად რომ გავიცანი და, ალბათ, ორმოცდაათი წლის შემდეგაც ასეთივე იქნები, – უთხრა ნიკამ.

– ახლაც იმას მეუბნები, რასაც ფიქრობ, ზრდილობიანი მამაკაცის ეტიკეტს იცავ თუ, „მაბამ“, რომ შენი საქმისთვის გამომიყენო?

– არავითარი „მაბამ“ და „თუ“... როგორც დილით, შეხვედრისას გითხარი, კარგად გახსოვს, რომ ყოველთვის გულწრფელი და პირდაპირი ვიყავი, მაგრამ, მაინც ვიტყვი, რომ ასეთი გულწრფელი არასდროს ვყოფილვარ.

– ძალიან სასიამოვნოა ასეთი სიტყვების მოსმენა, მაგრამ, ეჭვი მეპარება, რომ მხოლოდ ამის სათქმელად დამირეკე.

– ჰო, ამის სათქმელად არ დამირეკავს. უფრო სწორად, იმიტომ დაგირეკე, რომ ამ საღამოსვე შეგხვედროდი და პირადად მეთქვა ეს სიტყვები და კიდევ სხვა რაღაცეებიც.

– ახლა საღამო კი არა, ღამის პირველის ნახევარია, მე უკვე ვწევარ და, არ არსებობს არანაირი ძალა და მიზეზი, რომელიც ახლა ჩაცმას და გარეთ გასვლას მაიძულებს, – უარის მიუხედავად, დოდოს ხმაში კმაყოფილება იგრძნობოდა.

– შაბათი ძალიან შორს არის, – „მიწოლა“ სცადა ნიკამ.

– არც ისე შორს, სულ რაღაც ერთი დღის შემდეგ, – ისევ გაეცინა დოდოს.

– კარგი, არც ჩემი იყოს, არც შენი, ხვალ საღამოს შევხვდეთ.

პატარა პაუზის შემდეგ, ისეთი ხმით, თითქოს დიდი მსხვერპლი გაიღოო, დოდომ მსუბუქი ამოოხვრით უპასუხა:

– ეს ჩემი დამთმობი ხასიათი დამღუპავს. იყოს ხვალ. რომელ საათზე გამომივლი?

„დამთმობ ხასიათზე” ნიკას კინაღამ ხმამაღლა გაეცინა, რადგან, კარგად ახსოვდა ამ ჭირვეული გოგოს „დათმობები“, მაგრამ, არ შეიმჩნია და სერიოზულად უპასუხა:

– ექვსზე დაგირეკავ და საათს ზუსტად გეტყვი. სავარაუდოდ, რვიდან ცხრა საათამდე მოვალ შენს სახლთან და არ მალოდინო, მზად იყავი.

– მე ყოველთვის მზად ვარ და დაგვიანება არ მიყვარს, – დოდო აშკარად გახარებული იყო, ისარი მიზანში რომ მოარტყა, – სად მპატიჟებ?

– ჯერ არ ვიცი. შენც იფიქრე, იქნებ უკეთესი ვარიანტი გქონდეს.

– ფიქრი არ მჭირდება, უამრავი კარგი ადგილი ვიცი. რომ შევხვდებით, მაშინ გადავწყვიტოთ.

– კარგი. მაშ, ხვალ საღამომდე.

– დროებით, ჩემო კარგო, – დოდომ ყურმილი გათიშა და საწოლში კმაყოფილმა გაიზმორა.

***

მეორე დღე ნიკამ დილიდან საქმეებზე სირბილს მოანდომა, 8 საათიდან არ ჩაუმუხლავს: ჯერ სამსახურში მივიდა, მერე რამდენიმე საჭირო კაცი ინახულა, ისევ ოფისში დაბრუნდა, კიდევ ერთხელ გადახედა სირაძისა და ნინუას ხელშეკრულებებს, რაღაც მონაცემები ამოიწერა და „ინტელგრუპ-ჯორჯიაში“ გაიქცა, მაგრამ, მმართველმა ერთი ნაბიჯით გაასწრო და მისთვის მობილურზე აღარ დაურეკავს – დღეს მაინც არ ეცალა მის სანახავად. მერე ნანა სირაძეს მიაკითხა, ანგარიში ჩააბარა და რამდენიმე კითხვა დაუსვა, მაგრამ, გრძნობდა, რომ გულს ვერაფერს უდებდა. ყოველწუთს საათს დაჰყურებდა – უნდოდა, ძირითადი და აუცილებელი საქმეები 6 საათამდე მოესწრო, რომ მერე თავი მოეწესრიგებინა და დოდოსთვის გაევლო.

ნიკა რომ ამ გაწამაწიაში იყო, დოდოს სხვა „საზრუნავები“ ჰქონდა. მან დილითვე დაურეკა აღმასრულებელ დირექტორს, მერაბ ინწკირველს და ერთი დღით გათავისუფლება ისე სთხოვა, მიზეზი არც კი დაუსახელებია. ინწკირველს დიდად არ ესიამოვნა ეს ამბავი, რადგან, დღის განმავლობაში, შეიძლება, რამდენჯერმე დასჭირვებოდა იურიდიული სამსახურის უფროსი და, რაღაც მომენტში, უარის თქმაც კი დააპირა, თუმცა, თავისდაუნებურად, დაეთანხმა და ჰკითხა კიდეც, ხომ მშვიდობაა, რადგან, სხვა დროს, მართალია, ძალიან იშვიათად, მაგრამ, როცა დოდოს რაიმე პირადი პრობლემა გამოსჩენია, ისე აცდენდა ხოლმე სამსახურს, არავის აყენებდა საქმის კურსში, არათუ გათავისუფლება ეთხოვა. ახლა კი თავად დირექტორს დაეთხოვა, თან, ისეთი ტონით, რომ აღმასრულებელი დირექტორი კმაყოფილიც კი დარჩა – ასეთი რამეები დოდოს ნამდვილად ეხერხებოდა.



ყ უ რ მ ი ლ ი რომ გათიშა, ინწკირველი თავს გამოუტყდა, რომ ეს ქალი ნამდვილად აინტერესებდა, მიუხედავად იმისა, რომ სულაც არ იყო მისი წარმოდგენით იდეალური ქალის ნიმუში. ამ დაინტერესების მიზეზი (რომელსაც არავის უმხელდა) იყო არა მარტო დოდოს გარეგნობა, არამედ ისიც, რომ ამ ქალს, მიუხედავად თავისი საკმაოდ ახალგაზრდა ასაკისა, აშკარად უკვე ბევრი რამ ჰქონდა ცხოვრებაში ნანახი და ამ გამოცდილებას მშვენივრად იყენებდა სათავისოდ, ისე, რომ არც ის აინტერესებდა, ვინ რას იტყოდა მის შესახებ და არც ის, ვინ დაზარალდებოდა მისი ამა თუ იმ საქციელით; ამ ყველაფერთან ერთად კი თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალი ოყო, ერთი სიტყვით, აღმასრულებელ დირექტორს, რომელსაც ბავშვობიდან კლასიკური გაგებით ქართველი ქალები ეხვივნენ გარს (დედა, ბებიები, დეიდა, მამიდა), დოდოში სწორედ მისი უცერემონიობა და არაორდინარულობა მოსწონდა და გულში „ვეზდეხოდი“ დაარქვა, რომელიც ყველას და ყველაფერს თვალდაუხუჭავად გადაუვლიდა, ვინც ან რაც გზაზე გადაეღობებოდა.

ერთი სიტყვით, ინწკირველმა დოდო ერთი დღით გაათავისუფლა და ძალიან კმაყოფილიც დარჩა თავისი საქციელით, მაგრამ, რატომღაც ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო – ამისთანა რა საქმე გამოუჩნდა, რომ ჩემთან დარეკვა იკადრაო და ერთი სული ჰქონდა, როდის გათენდებოდა ორშაბათი, რომ „სხვათა შორის“ კითხვებით გაერკვია ამ დათხოვნის მიზეზი.

დოდო საკმაოდ კარგი ფსიქოლოგი გახლდათ (ეს მისი ნიჭი იყო) და მშვენივრად იცოდა მისადმი შეფის ფარული ინტერესის შესახებ. ისიც კარგად იგრძნო, რა თავსატეხი გაუჩინა ამ ზარით ინწკირველს, მაგრამ, ასეთი „პრობლემები“ დოდოს, როგორც წესი, „ეკიდა“, უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, სიამოვნებდა კიდეც – ის ხომ ინტრიგების დიდოსტატი იყო.

ერთი სიტყვით, ინწკირველთან საუბრის შემდეგ დოდომ გამარჯვებულის ღიმილით გათიშა მობილური და საქმეს შეუდგა: ჯერ შხაპი მიიღო, შემდეგ სალონში დარეკა თავის სტილისტთან და 3 საათზე ჩაეწერა. ეს საქმე რომ მოაგვარა, კარადას მიადგა და ტანსაცმელი გადაათვალიერა, მაგრამ, ვერ გადაწყვიტა, რა სტილი შეერჩია. ამიტომ, ყველაფერს თავი დაანება და სამზარეულოში გავიდა ყავის დასალევად, თან კონიაკიც დაისხა – ცოტაოდენი ალკოჰოლი და ყავა მისი ტვინის უჯრედებს უკეთ ამუშავებდა. ყავის მოხარშვისა და დალევის ცერემონიალს დაახლოებით ნახევარი საათი მოანდომა. ამ დროის განმავლობაში ისიც კი იფიქრა, ახალი ტანსაცმელი ხომ არ ვიყიდო, მაგრამ, მაშინვე უარყო ეს აზრი: „გოიმი ხომ არ ვარ. თანაც, ნიკა გურულისთვის

ᲫᲛᲐᲝ, ᲐᲛᲝ!

მე გაგზარდე, რადგან, ხუთი წლით ვიყავი შენზე უფროსი! შენ იყავი ჩემი ძმაც და მეგობარიც, თვით შვილიც კი – ყველაფერი, რასაც სიცოცხლე ერქვა!

ჩემო მწვანეთვალება ანგელოზო, ჩემო ამო, სულ გეჩქარებოდათ შენ და ბესოს, რადგან, „ბაიკერები“ იყავით – ქარზე უსწრაფესად მიაქროლებდით მოტოციკლებს და 19 მარტის ღამეს ისე გადაფრინდით სიკვდილის სამეფოში, რომ ვერც კი გაიგეთ, თუ როგორ გაგვიშავეთ ეს გაზაფხული, როგორ დაგვაბერეთ ოჯახის წევრები და მეგობრები, რადგან, თქვენს გარდაცვალებასთან ერთად, ყველაფერი ღამაზი დამთავრდა, ძმაო ამო და ძმაო ბესო!

არადა, სამი თვეც არ იქნება, რაც ერთმანეთი გაიცანით, გახარებული მოხვედი და მითხარი: ავთო, მესამე ძმაც გვყოლიაო, თურმე!

როცა გავიკითხეთ, არავინ აღმოგვაჩნდა საერთო, მხოლოდ სიკვდილი უნდა განგეცადათ, თურმე, ერთად! ამიტომაც აღარ მოშორებიხართ ერთმანეთს. არადა, მართლაც, ყველაფერი ემთხვეოდა: გვარებიც, ზოდიაქოებიც, ბაბუების სახელებიც, მოტოციკლით გატაცებაც, გიჟური რბოლის სიყვარულიც! ბესოს ულამაზესი შეყვარებული ჰყავდა – მარი, შენ კი, ჩემო ამო, ხუმრობდი ხოლმე – მოტოციკლიაო ჩემი შეყვარებული და სწორედ მაგან გიღალატათ, ჩემო მოურჩენელო ტკივილებო – ამო და ბესო, ბესო და ამო!

თბილისელმა ბაიკერებმა კაცური ცრემლი და ზღვა სიყვარული გაგატანეს საგზლად იმ გრძელ გზაზე! მადლობელი ვარ, ჩემო ძმებო, თანაგრძნობისთვის, მაგრამ, ერთსა გთხოვთ მხოლოდ: ნურასოდეს დაივიწყებთ ჩემს ამოს და ბესოს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ სიცოცხლეს უფრო მეტად შეიყვარებთ, ბესოს გამწარებულ მშობლებს – გურამსა და მანანას, მის სამ ულამაზეს დაიკოს, ჩემს



გაუბედურებულ დედ-მამას – ვარვარასა და ალექსანდრეს და მე – თქვენს მონამორჩილს კი დაგვპირდებით, რომ გაუფრთხილდებით საკუთარ ჯანმრთელობას, შექმნით ულამაზეს ოჯახებს და, როცა ღმერთი შვილებით დაგასაჩუქრებთ, ამოს და ბესოს სახელებს დაარქმევთ რომელიმე მათგანს, ან, უბრალოდ, მოუყვებით ბავშვებს, რომ იყვნენ ნაღდი თბილისელი, ბაიკერი ბიჭები – ღიმილიანები, სიცოცხლის მოტრფიალენი, ყველას შემცოდებელნი, რომლებმაც თავიანთი სიკვდილით ჭკუა გვასწავლეს, ნაადრევად დაგვაბერეს, ჩვენი უდარდელობა თან გაიყოლეს და აუხდენელ მონატრებად გვექცნენ!

უფალს ებარებოდეთ, სასუფევლის ნეტარება დაგიმკვიდროთ ღმერთმა, ჩვენო მოურჩენელო ტკივილებო: ამო და ბესო, ბესო და ამო!

ᲨᲔᲜᲘ ᲫᲛᲐ – ᲐᲕᲗᲝ

ნამეტანი პატივი იქნება, მის გამო ასე შევიწუხო თავი, მით უფრო, რომ, რაც ჩემს გარდერობში კიდია, მისთვის ყველაფერი ახალია“. სამზარეულოდან რომ გავიდა, უკვე იცოდა, რა უნდა ჩაეცვა – რაღაც შუალედური კლასიკურსა და საქმიანი ქალის სამოსს შორის, თან, ნაკლებად გამომწვევი, ოღონდ, დახვეწილი.

დოდომ რამდენიმე ვარიანტი შეარჩია, თითოეულს შესაფერისი ჩანთა და ფეხსაცმელი მიუწყო გვერდით და საწოლზე გაფენილ ტანსაცმელს კრიტიკული თვალით გადახედა. ბოლოს ერთ-ერთზე შეაჩერა არჩევანი და დანარჩენი ისევ კარადაში შეკიდა.

სალონში წასვლამდე დრო კიდევ ჰქონდა. სავარძელში ჩაეშვა, ფეხები მეორე სავარძელზე შემოაწყო და სიგარეტს მოუკიდა. ისევ ნიკაზე ფიქრობდა, მისი სახე ედგა თვალწინ. მერე გუნებაში ნიკას „განხილვას“, უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, მისი პლუსებისა და მინუსების დაფიქსირებას შეუდგა.

– მისი პორტრეტი უნდა შევადგინო და მერე გადავწყვიტო, მიღირს თუ არა მასთან ურთიერთობის წამოწყება, – თქვა ხმამაღლა და უცებ საკუთარ თავზე გაბრაზდა – რატომ ვფიქრობ ამდენს ამ ბიჭზე? თან, აშკარად აფორიაქებული ვარ, რაც სხვა დროს არ მჩვევია. ეს უკვე აღარ მომწონს. ნეტავ, თვითონაც თუ ფიქრობს ჩემზე ამდენს? რადგან გუშინვე დამირეკა და ქათინაურებით ამავსო, ესე იგი, ფიქრობს. ეს კარგია... – დოდო ხმამაღლა ესაუბრებოდა საკუთარ თავს კითხვა-პასუხის რეჟიმში და, მიხვდა, რომ ამით თავს იმხნევებდა – ნამდვილად არ უნდოდა, ნიკა მიმხვდარიყო, რომ მთელი დღე მასზე ფიქრობდა და ასე ღელავდა. დოდომ ახალ სიგარეტს მოუკიდა და ნიკას პორტრეტის შედგენა განაგრძო, ოღონდ, ახლა უკვე ფიქრებში:

„საკმაოდ სიმპათიური მამაკაცი დამდგარა, თანაც – საქმიანი. ეტყობა, რომ ჭკვიანია. როგორც ჩანს, ნამდვილი პროფესიონალია. ასე რომ არ იყოს, ის ქალი არ დაიქირავებდა. ეს ყველაფერი ძალიან კარგია, არ მიყვარს უჭკუო და დილეტანტი კაცები. ცოლ-შვილი არ ჰყოლია – ესეც კარგია, არ მომიწევს ზედმეტი უსიამოვნებების გადატანა, მაგრამ, საინტერესოა, ჰყავს თუ არა მეგობარი ქალი... თუმცა, რომ ჰყავდეს, გუშინვე არ დამირეკავდა და ქათინაურების კორიანტელს არ დამაყრიდა თავზე. მაგრამ, ხომ შეიძლება, ესეც ერთგვარი ფანდი იყოს?! – ის კერძო დეტექტივია, თავის საქმეში მე აშკარად ვჭირდები და, იქნებ, იმიტომაც თამაშობს ჩემით აღტაცებული მამაკაცის როლს? ეს საკითხი გამოსარკვევია და ამას მხოლოდ მაშინ დავადგენ, როცა შევხვდები... რაც შეეხება მის მატერიალურ მდგომარეობას, ლოგიკის მიხედვით, თავზე არ გადასდის, მაგრამ, გაჭირვებულიც არ უნდა იყოს – ისეთ მანქანაზე ზის, განვადებითაც რომ გამოეყვანა, მაინც საკმაოდ დიდი თანხა უნდა გადაეხადა. ასეთი მანქანის პატრონს კი, წესით, ბინაც კარგი უნდა ჰქონდეს და არც აგარაკია გამორიცხული... გემოვნებაზე, ჯერჯერობით, მისი ჩაცმულობით შეიძლება, ვიმსჯელო. რა ეცვა გუშინ?.. ჰო, ბოტასები, ჯინსი, მოკლე ქურთუკი, მაგრამ, ყველაფერი უმაღლესი ხარისხის – ანუ, ბრენდებში ერკვევა; კიდევ – სათვალე, საათი და მობილური ტელეფონი – სამივე აქსესუარი მოდური და დახვეწილი; ვარცხნილობა – თავისი სტილის შესაფერისი, სოლიდური. სიმაღლე – საშუალოზე მაღალი, სისქე – ნორმალური, თვალები – თბილი, კეთილი და გულწრფელი (თავისი პროფესიის მიუხედავად) და, რაც მთავარია, ხელები – მაღალ დონეზე მოვლილი (დოდო განსაკუთრებით აკვირდებოდა ხოლმე მამაკაცს ხელებზე – მოსწონდა გრძელთითები, ფრჩხილებმოვლილი კაცები და ხშირად მომხდარა, რომ მოკლე თითების ან მოუვლელი ფრჩხილების გამო, სხვა მხრივ ყველანაირად დადებით, ანუ, მისთვის მისაღები მონაცემების მქონე კაცთან ურთიერთობა არ გაუგრძელებია)... ეს ყველაფერი ძალიან კარგია, ანუ, გამოდის, რომ პლუსები გაცილებით მეტი გვაქვს, ვიდრე მინუსები, მაგრამ,



სრულყოფილი პორტრეტის შესადგენად სამი პუნქტი მაკლია: 1. რეალურად რა მიზნით უნდა ჩემთან შეხვედრა; 2. როგორი ჩაცმული მოვა პაემანზე და 3. როგორ მოიქცევა, ანუ, როგორ „წაიყვანს“ ამ შეხვედრას. ეს ყველაფერი კი ამ საღამოს მეცოდინება“... – დოდომ ნიკას „განხილვა“ ამით დაასრულა და საათს დახედა, სამის ნახევარი იყო. ჯინსი და ქურთუკი ჩაიცვა, მაგიდიდან, მანქანის გასაღები აიღო და სალონში წავიდა.

სადა ვარცხნილობა გაიკეთა – თმა გააასწორებინა, შუაზე გაიყო და უკან კუდივით შეიკრა – იცოდა, რომ ძალიან უხდებოდა. სახლში რომ დაბრუნდა, მაკიაჟს თვითონ მიხედა. ისედაც არ უყვარდა ჭყეტელა მაკიაჟი და ახლა განსაკუთრებით შეეცადა, სადა და დახვეწილი ყოფილიყო – არ უნდოდა, ნიკა მიმხვდარიყო, რომ მთელი დღე მასზე ფიქრობდა და მისთვის გაიპრანჭა ასე საგულდაგულოდ.

ექვსის ნახევარზე დოდო ყველანაირად მზად იყო, მხოლოდ ტანსაცმლის გადაცმა რჩებოდა. დაღლილ-დაქანცული სავარძელში ჩაეშვა და თვალები დახუჭა – უნდოდა, ცოტა დამშვიდებულიყო, თან, დაესვენა. თვითონაც ვერ გაიგო, როგორ ჩათვლიმა. ზუსტად 6 საათზე მობილურის ზარმა გააღვიძა.

– გისმენთ, – ნამძინარევი ხმით ჩასძახა ყურმილში, ვითომ არ იცოდა, ვინ ურეკავდა.

– ნიკა ვარ. ხომ არ გაგაღვიძე?

– ჰო, მეძინა, მაგრამ, არა უშავს. წუხელ გვიანობამდე ვმუშაობდი და დღეს მთელი დღეა, ვწევარ და მძინავს. თავი ვერ ავწიე, სამსახურშიც კი არ წავსულვარ.

ნიკას, რაღაცნაირად, გული დასწყდა, როცა წარმოიდგინა, რომ დოდოც მასავით არ ღელავდა პაემნის წინ და, ცოტა არ იყოს, ნაწყენი ხმით ჰკითხა:

– ის მაინც თუ გახსოვს, დღეს რომ უნდა შევხვდეთ?

– დღეს პარასკევია? – „გაიკვირვა“ დოდომ, – შევხვდეთ, რა პრობლემაა, ერთ საათში მზად ვიქნები. რომელზე გამომივლი? – ვითომ სხვათა შორის ჰკითხა, სინამდვილეში კი გამარჯვებას ზეიმობდა: მისი ქალური პატივმოყვარეობა დაკმაყოფილებული იყო – მიხვდა, რომ ნიკა მთელი დღე ამ პაემანზე ფიქრობდა.

– 8 საათზე შენს სადარბაზოსთან ვიქნები.

– მისამართი რომ არ მითქვამს? – გაეცინა დოდოს.

– მე დეტექტივი ვარ, ჩემო კარგო. შენ არც ტელეფონის ნომერი გითქვამს, მაგრამ, მოვახერხე გაგება.

– კარგი, რვაზე მზად ვიქნები. სად მივდივართ?

– რომ შევხვდებით, მაშინ გადავწყვიტოთ. მოსულა?

– მოსულა, – ისევ გაეცინა დოდოს.

– შენ რა ყველაფერზე იცინი, რამე ისე არ არის? – ოდნავ დაეძაბა ხმა ნიკას.

– არა, ყველაფერი რიგზეა, უბრალოდ, ასეთი მხიარული ვარ. რატომ დაიძაბე, არ



გიყვარს მხიარული ქალები?

– პირიქით, ძალიან მიყვარს. მუდოებს და ზედმეტად სერიოზულებს ვერ ვიტან.

– მეც არ მიყვარს ბუტუსურა კაცები, სულ „იზმენებში“ რომ არიან.

– ძალიან კარგი. როგორც ჩანს, გავუგებთ ერთმანეთს. აბა, დროებით!

დოდოს ესიამოვნა, ნიკა რომ დაიძაბა. მაშინვე იგრძნო, როგორ აიღო ხელში სადავეები. კმაყოფილმა გაუღიმა საკუთარ თავს – დარწმუნებული იყო, რომ ამ წუთიდან თვითონ მართავდა სიტუაციას.

ნიკა ზუსტად 8 საათზე მიადგა დოდოს სადარბაზოს და მაშინვე დაურეკა – მოვედიო. ათი წუთის შემდეგ დოდოც ჩამოვიდა, გვერდით მიუჯდა და შინაურულად გადაკოცნა.

– რა გადაწყვიტე, სად მივდივართ? – ჰკითხა ნიკამ.

– რადგან შენ მეპატიჟები, წესით, შენვე უნდა მოგეფიქრებინა რამე ორიგინალური, – პირველივე ფრაზიდან წაკბინა დოდომ.

„დაიწყე შენებური?! კარგი, მივიღებ გამოწვევას, ვნახოთ, ვინ გაიმარჯვებს!“ – გაიფიქრა ნიკამ, დოდოს კი უთხრა:

– ორიგინალური? კი ბატონო, იყოს ორიგინალური, ოღონდ პრეტენზიები არ იყოს! – ნიკამ მანქანა მკვეთრად მოაბრუნა და გეზი სოლოლაკისკენ აიღო, შემდეგ არც კი შეუხედავს დოდოსთვის, ისე უთხრა: რეზინი მოიხსენი, გაშლილი თმა უფრო მომწონს.

– სად მივდივართ? – გაუკვირდა ქალს ნიკას ტონიც და საქციელიც, თუმცა, თმა მაინც გაიშალა.

– ბოტანიკურ ბაღში.

– სად?! ბოტანიკურ ბაღში რა გვინდა?

– გაზაფხულის თბილი საღამოა, მინდორი ყვავილებით არის მოფენილი, ხეებიც აყვავებულია, იქ მხოლოდ წყლის ჩხრიალი და ჩიტების ჭიკჭიკი ისმის, ხალხიც არ შეგვაწუხებს – ამაზე ორიგინალური რა გინდა?

– შენ რომანტიკულიც ყოფილხარ, – კმაყოფილებით აღნიშნა დოდომ, – მაგრამ, აკი რესტორანიო?!

– ჯერ ველური ბუნებით ტკბობა, შემდეგ კი – ყველაზე მაგარი და ყველაზე მყუდრო რესტორანი გველოდება.

– სად?

– ქალაქის ერთ-ერთ ძველ უბანში.

– იცოდე, ლაწირაკი გოგო-ბიჭების ჭყივილის მოსმენის თავი არ მაქვს.

– არა, ჩემო კარგო, იქ მხოლოდ რესპექტაბელური ქალბატონები და ბატონები დადიან, ანუ, „დონე“ ქართველები და ფულიანი უცხოელები.

– კარგი, გენდობი, – პასუხმა აშკარად დააკმაყოფილა დოდოს პატივმოყვარეობა.

... ბოტანიკურ ბაღში გასეირნება მართლაც საოცრად „ორიგინალური ჟანრი“ გამოდგა. დოდო იქ ბავშვობის მერე აღარ ყოფილა და არც კი ახსოვდა, როგორი იყო იქაურობა. კარგა ხანს ისეირნეს ვიწრო ბილიკებზე ფეხით, ჩანჩქერამდეც ავიდნენ, გზადაგზა კი ნიკა ულამაზეს მინდვრის ყვავილებს კრეფდა. დოდოს თაიგული მოეწონა და ნიკამ „აქტივში“ კიდევ ერთი ქულა ჩაიწერა. გულაჩუყებულმა ქალმა მადლობის ნიშნად ნიკასთვის ლოყაზე კოცნა მოინდომა, მაგრამ, სრულიად შემთხვევით (ან, იქნებ, ამ „შემთხვევითობას“ ნიკამაც შეუწყო ხელი), ტუჩის კუთხეში აკოცა. შეხება, რომელმაც ორივე შეაკრთო, სულ ორიოდ წამს გაგრძელდა, მაგრამ, ნიკამ, თავისდაუნებურად, კოცნითვე უპასუხა – სწორედ იმ ორ წამში მოასწრო ამის გაკეთება და მერე ისე გაწითლდა, როგორც ქურდობაზე წასწრებული გამოუცდელი მოზარდი. დაბნეულობამ რომ გაუარა, პატარა გადაჭრილი კუნძი ნახეს და დოდო ბედნიერი სახით ჩამოჯდა დასასვენებლად.

– კიდევ კარგი, დაბალქუსლიანი ფეხსაცმელი ჩავიცვი, – ღიმილით ახედა ნიკას.

– შენი სარესტორნე ზმანები ცოტა დაგესვარა, – ღიმილითვე უპასუხა ნიკამ.

– ისეთი სიამოვნება მივიღე, ტანსაცმელს არ დავეძებ, რესტორნის ტუალეტში მოვიწესრიგებ, – უდარდელად უთხრა დოდომ და საათს დახედა, – ხომ არ დავიძრათ? უკვე დაბინდდა.

რესტორნამდე ისე მივიდნენ, თითქმის არაფერი უთქვამთ ერთმანეთისთვის. ბოტანიკურ ბაღში რომ სეირნობდნენ, იქაც მხოლოდ უბრალო ფრაზები გაცვალეს. ორივე თითქმის დუმდა, მაგრამ, საოცარი დოდოსთვის ის იყო, რომ ამ დუმილში არანაირი უხერხულობა არ იგრძნობოდა – ისინი პირველყოფილმა ბუნებამ რაღაცნაირად ისე დააახლოვა, ისე გააერთიანა, რომ სიტყვები, ფრაზები, დიალოგები აბსოლუტურად ზედმეტი იყო. დოდო საკუთარ თავს გამოუტყდა, რომ, უამრავი თაყვანისმცემლის მიუხედავად, ასეთი ლამაზი, სუფთა და რომანტიკული საღამო მისთვის არავის მოუწყვია. ამ აღმოჩენამ, ცოტა არ იყოს, გული აუჩუყა და სრულიად ახალი შეგრძნება განაცდევინა. აქამდე მას ყველა მამაკაცთან ჩუმი ბრძოლით უწევდა თავისი უპირატესობის დამტკიცებაც და, გარკვეულწილად, მათი ფარული თუ აშკარა აგრესიისგან თავის დაცვაც ისე, რომ საკუთარი ღირსება არ შეელახა. ამ ორთაბრძოლებმა თვითონაც შინაგანი აგრესია და უნდობლობა ჩამოუყალიბა კაცების მიმართ. ნიკამ კი სულ სხვა სამყაროში შეიყვანა – იქ, სადაც მანამდე არასდროს ყოფილა, თან, ყოველგვარი ზედმეტი სიტყვების გარეშე – ფაქიზად, სადად, ბუნებრივად. სწორედ ამ უშუალობამ და ბუნებრიობამ გამოიწვია ის, რომ დოდომ იგრძნო, როგორ გალღვა მის სხეულში რაღაც მძიმე და როგორ თანდათან ივსებოდა ის ნიკასადმი ნდობით.

რესტორანი მართლაც ისეთი აღმოჩნდა, როგორც ნიკამ დაახასიათა: მყუდრო, დახვეწილი და „დონე“ ხალხით სავსე.

ნიკა და დოდო რომ შევიდნენ, რამდენიმე წამით ყველა გაჩუმდა და მოწონებით გააყოლეს თვალი ლამაზ წყვილს.

ძლივს მოძებნეს თავისუფალი მაგიდა. ოფიციანტმა ორივეს მენიუ დაუდო, მაგრამ, დოდოს არც კი გადაუშლია, ისე მიმართა ძალიან ახალგაზრდა ბიჭს, რომელიც მას აღფრთოვანებით შესცქეროდა:

– თქვენს გემოვნებას ვენდობი. მოგვიტანეთ, ყველაზე გემრიელი რაც გაქვთ. ნიკა, სასმელი შენ შეუკვეთე.

ნიკამ სასმელი შეუკვეთა და დოდო კიდევ ერთხელ შეათვალიერა მამაკაცის თვალით. „ათიანი პლუსით“, – გულში შეაფასა კმაყოფილმა და ქალს გაუღიმა.

– ახლა იმ ნიკას ჰგავხარ, სტუდენტობისას რომ ვიცნობდი და ჩემთვის თავის მოწონებას რომ ცდილობდა ბავშვური გულუბრყვილობით.

– ანუ?! – ვერ მიხვდა ნიკა.

– ანუ, ისევ ისეთი კარგი ბიჭი დარჩენილხარ – სუფთა და გულწრფელი. ვნანობ, რომ მაშინ ვერ შეგიცანი. ჩემი ბრალია, თავი რომ დამანებე.

– ორივეს ბრალია. უფრო სწორად, არც ერთის ბრალი არ არის, უბრალოდ, ძალიან პატარები ვიყავით, – თქვა ნიკამ და ოფიციანტის მოტანილი ფუჟერი აიღო, – შენ გაგიმარჯოს... – გაუღიმა ქალს და მსუბუქად მიუჭახუნა.

– ჩვენ გაგვიმარჯოს, – ჩუმად თქვა დოდომ და, მის თვალზე მომდგარი ცრემლი ნიკას რომ არ დაენახა, სასმისი ბოლომდე გამოცალა. მას მთელი საღამო აღარ გახსენებია ის სამი პუნქტი, რომელიც ნიკას სრულყოფილი პორტრეტის შესადგენად უნდა დაეფიქსირებინა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

2013 წელი ბუბა კიკაბიძისთვის საიუბილეოა – ის 75 წლის ხდება. თუ როგორ აქვს დაგეგმილი ცნობილ მომღერალსა და მსახიობს ამ წლის გატარება და რა გზა განვლო, როგორ მოვიდა დღევანდლამდე, თვითონ უამბობს „თბილისელების" მკითხველებს.

როგორ შეიცვალა ბუბა კიკაბიძისა და დედამისის დამოკიდებულება ფილმ „არ დაიდარდოს" შემდეგ

ბუბა კიკაბიძე: 75 წლის ვხდები. ამ თარიღთან დაკავშირებით კონცერტები მაქვს დაგეგმილი უკრაინაში, აზერბაიჯანში, სომხეთში, ყაზახეთში, შუა აზის ქვეყნებში, ბალტიისპირეთში... რატომღაც, ვიფიქრე, რომ საქართველოში ამ კონცერტებს გავაკეთებ ბათუმში. მთავარია, ჯანი იყოს... ალბათ, შემოდგომისთვის ერთ დიდ კონცერტს თბილისში ჩავატარებ... საინტერესო პროგრამა მოვიფიქრე – ავტობიოგრაფიული საღამოები იქნება: როგორ მოვიდა ქუჩის ბიჭი და გახდა სახალხო არტისტი.

– ბავშვობიდან დავიწყოთ.

– ბავშვები ვიზრდებოდით ქუჩაში. მამები იყვნენ ჯარში, დედები დილიდან-საღამომდე მუშაობდნენ, რომ ლუკმა პურის ფული ეშოვათ. ჩვენ ქუჩაში ვიყავით, მაგრამ, ქუჩა მაშინ სხვანაირი იყო. ქუჩაში ვისწავლე მე „გამარჯობის" თქმა, უფროს-უმცროსობა. ბირჟაზე ყველას ჩვენ-ჩვენი ადგილი გვქონდა. ბესიკის ქუჩის ბოლოს, ოპტიკის მაღაზიასთან იყო ჩვენი ადგილი. ყველა თაობამ თავისი ადგილი იცოდა. რას ვაკეთებდით ქუჩაში: რომ გამოვდიოდით, უნდა გაგვევლო ლენინის მოედნიდან ზემელამდე, მერე უკან და, სულ ყველას უნდა მივსალმებოდით. კისერი გველლებოდა. ახლა რომ გაიარო, ნაცნობს ვერ ნახავ... ამ სიარულს თავისი აზრი ჰქონდა – ყველა უბნის ამბებს ვიგებდით. გრიობოედოვის თეატრი სადაცაა, მანდ ჯიგრის ღვეზელები ცხვებოდა. აყროლებულზე აყროლებული სუნი ჰქონდა. ღირდა 4 კაპიკი. ფულს მოვაგროვებდით და მივდიოდით ამ ღვეზელების საყიდლად, მაგრამ, იმის ჭამა არ შეიძლებოდა, ამიტომ, გადმოვბერტყავდით შიგთავსს და მარტო ცომს მივირთმევდით.

ავტობიოგრაფიული საღამოები იქნება: როგორ მოვიდა ქუჩის ბიჭი და გახდა სახალხო არტისტი

ზამთარში მაშინ თოვლი იცოდა ხოლმე. ჩვენ გვქონდა ძველი, მისადგმელი ხის კიბე. ეს კიბე მთაწმინდის პანთეონთან აგვქონდა, ტრასაზე დავდებით, დავსხდებოდით 8-10 ბიჭი და სრიალ-სრიალით ჩამოვდიოდით ოფიცერთა სახლამდე. სხვა უბნიდან მოდიოდნენ ბიჭები, რომ ჩვენთან ერთად ამ კიბით „ეკატავათ".

მოგვიანებით დაიწყო წერილებმა მოსვლა... მივხვდით, რომ ძალიან ბევრის მამები უკან აღარ დაბრუნდებიან. მეგობარი მყავდა – იური გოლდმანი – ჟურნალისტი. დამირეკა: წერილს წერთ თოვლის ბაბუაზე და შენც მომიყევი შენს ბავშვურ განცდაზე მასთან დაკავშირებითო. დავჯექი, დავფიქრდი და უცბად ძალიან ცუდ ხასიათზე დავდექი. მივხვდი, რომ, რა თოვლის ბაბუა... თოვლის ბაბუა არის მამა, ოჯახის კაცი, ვინც უნდა მოვიდეს ღამით და ბავშვმა ნახოს ფეხსაცმელში ჩადებული მისი დანატოვარი საჩუქარი. ეს დავწერე: მე სულ ვეძებდი, მაგრამ ჩემს ფეხსაცმელში არასდროს არაფერი არ იდო, იმიტომ, რომ მამა არ იყო-მეთქი. მართლა ასე იყო....

– დედაზეც მიამბეთ.

– დედაჩემის მხრიდან ყველა მღეროდა. მამაჩემიც მღეროდა, თურმე. ჯანისთანაც მღეროდა, მერე – კაპელაშიც, 40 წელზე მეტხანს გალობდა სიონის ტაძარში, წმიდა ნინოს ორდენიც ჰქონდა მიღებული. სულ მეუბნებოდა: შენ პირს ნუ აღებ შვილო, ხრინწიანი ხმა გაქვსო. თვითონ ხმიანები იყვნენ: ძია ჯანო – ტენორი, დედა – მეცოსოპრანო. ერთადერთი ადამიანი, ვისიც მე მრცხვენოდა, კონცერტზე რომ მოსულიყო, იყო დედაჩემი – ვიძაბებოდი. ერთხელ მითხრა: შვილო, რადგან შენს კონცერტებზე მოდიან და ბილეთებს ყიდულობენ, ალბათ, მე რაღაც არ მესმისო. იმ ძველ პლეადას მიაჩნდა, რომ, ან გქონდა ხმა, ან – არა. სულ უნდოდა, რომ ერთი სიმღერა ჩაგვეწერა. მეც სულ ვერ ვაბამდი თავს. ხომ იცით, სანამ დედა ცოცხალია, სულ გგონია, რომ გვერდში გეყოლება. ვერ მიპატიებია ჩემი თავისთვის...

– ძია ჯანოზე რას იტყვით?

– ძია ჯანო იყო ერთადერთი კაცი, ვინც ჩემ გარშემო ტრიალებდა, ვისთანაც შემეძლო მივსულიყავი და რაღაცა მეთქვა. ჯანო, ეტყობა, მაშინვე მიხვდა იმას, რასაც დედა ვერ მიხვდა და მითხრა – წამოდი ბიჭო, ფილარმონიაში მიგიყვანო. მე რომ არ მემღერა, ვერ წარმომიდგენია, რას გავაკეთებდი ცხოვრებაში. ნიჭიერი რომ ვარ, მჯერა – თუ მოვინდომებდი, ვთქვათ გავხდებოდი კარგი დურგალი, მაგრამ, მოუწესრიგებელი კაცი ვარ, ურეჟიმო, დასვენება მე არ ვიცი, ძილი მე არ ვიცი, ასე, ათაღლარა ბიჭი ვიყავი. პირველად მესამე კლასში ჩამტოვეს... მაშინ რომ გინესის წიგნი ყოფილიყო ამით შევიდოდი: შემდეგ – მეექვსეში, მერვეში. დედაჩემი გიჟს ჰგავდა. დამრიგებელმა უთხრა: მანანა, ნუ ნერვიულობ, ეს ბიჭი მსახიობი იქნებაო. რომ წამოვიზარდე, მერე მივხვდი, რატომ ამბობდნენ ამას – ფილმის სცენარს მოვიგონებდი და მოვყვებოდი, თავის შესავლით, მუსიკით, ფინალით. ნახევარ საათში ბიჭებმა ხომ იცოდნენ, რომ მე მათ გარეშე კინოში არ დავდიოდი, არადა, ცუდ ამინდში, კინოს ფული რომ არ გვქონდა და სხვენს შევაფარებდით თავს, – ბუბა, რამე ხომ არ ნახე ახალი კინო, მოგვიყევიო, – ვითომ ისინიც „ჭამდნენ". მე ვიწყებდი მოყოლას. ისე მისმენდნენ, თითქოს სჯეროდათ, რომ მე მართლა ვნახე. ამან მომავალში თავისი ნაყოფი გამოიღო. 1979 წელს ოპერაცია გამიკეთეს – თავში სიმსივნე მქონდა. ვერ ვხმარობდი ხელს, ვიწექი. წოლის დროს რამდენიმე ნოველა მოვიგონე. მოგვიანებით ამის მიხედვით სცენარი გავაკეთე, შემდეგ ეს სცენარი მოსკოვმა წაიღო და გადავიღეთ ფილმი – „იცოცხლე, გენაცვალე", რომელმაც საერთაშორისო ფესტივალზე გაბროვოში (1981 წელს) გრანპრი მიიღო. შემდეგ მეორე სცენარი – „მამაკაცები და სხვები", ახლაც ახალი სცენარი მაქვს, „დიაგნოზი: ქართველი", მე მგონი, ეს ყველას სჯობია... მომავალი გვიჩვენებს.

– დედას როგორი რეაქცია ჰქონდა, როდესაც ფილმში გნახათ პირველად?

– „არ დაიდარდო" ნახა პირველად და ძალიან მოეწონა. ამის შემდეგ რაღაცნაირი დამოკიდებულება გაუჩნდა ჩემდამი – კარგ ექიმს როგორ ელაპარაკებიან, გინახავს? – დაახლოებით ამდაგვარი. დედას ჩემი როლებიდან განსაკუთრებით ბენჟამენი უყვარდა. ეს ფილმი მსოფლიოს მასშტაბით 100 საუკეთესო ფილმში შევიდა. ფელინის ყველაზე დიდ რეჟისორად მიიჩნევდა გია დანელია. მან ფესტივალიდან დამირეკა და მითხრა: ბუბა, იცი, დღეს ფელინიმ „არ დაიდარდო" ორჯერ ზედიზედ ნახაო.

– კინოში როგორ მოხვდით?

– ცხოვრებაში არ მიფიქრია, რომ ოდესმე კინოში დავიმკვიდრებდი ადგილს. სიმღერა მინდოდა, კინოზე კი ოცნებასაც ვერ ვბედავდი.

ვიცოდი, რომ გია არის ვერიკო ანჯაფარიძის დისშვილი. მას მე ნანახი არ ვყავდი. თურმე, დღე-დღეზე გადაღება უნდა დაიწყონ, ყველა გმირი შერჩეული ჰყავთ, მთავარის გარდა. ვერიკოს ურჩევია – ბუბა ნახეო. სცენარში ბენჟამენი იყო წითური, სქელი, ლოთი, ოფლიანი.... ამ დროს, შეველი მე – საწინააღმდეგო გარეგნობით. გამომატანა სცენარი – წაიკითხეო. გავიდა ოთხი-ხუთი დღე და არავინ რეკავს, მაგრამ, სცენარი არის გასაგიჟებელი... ერთ საღამოსაც, გიამ დეიდასთან დამპატიჟა, მეორე დღეს – ბიძასთან, მერე კიდევ... ასე მატარა ხუთი დღე და, მივხვდი, რომ ეს ერთგვარი სინჯები იყო. ამის შემდეგ ნიშნობის სცენა გადავიღეთ სასინჯად.

ერთადერთი ადამიანი, ვისაც მე მრცხვენოდა, კონცერტზე რომ მოსულიყო, იყო დედაჩემი – ვიძაბებოდი. ერთხელ მითხრა: შვილო, რადგან შენს კონცერტებზე მოდიან და ბილეთებს ყიდულობენ, ალბათ, მე რაღაც არ მესმისო

სერგო ზაქარიაძე რომ დავინახე, ლამის ჩავიკეცე. მერე თურქეთში წავედი გასტროლებზე და იქ შემატყობინეს, რომ როლზე დამამტკიცეს.

– პარტნიორებზეც მიამბეთ.

– მინდა, გამოვყო ევგენი ლეონოვი, რომელსაც ალკოჰოლიკის სახე ჰქონდა, არადა, საერთოდ არ სვამდა. სადაც შევიდოდით, დაუსხამდნენ, ეს იუარებდა – არ ვსვამო, იმათ კი არ სჯეროდათ; ასევე, ფრუნზიკა მკრტჩიანი, რომელსაც უცნაურად ტრაგიკული ცხოვრება ჰქონდა: ერთი მეუღლე დაეღუპა, მეორე საგიჟეთში გარდაიცვალა, უფროსი გოგო მოუკვდა, მერე – ბიჭი... მართალია, მასთან თამაში არ მომიწია, მაგრამ, არ შემიძლია, არ გავიხსენო სესილია თაყაიშვილი. ძალიან ვუყვარდი. თუ რამე წოდება მიმიღია, პირველი მოსალოცი დეპეშა მისგან მომდიოდა. ცოტა ენამყრალი ქალი იყო, „სვეტსკი" გინება უყვარდა. საავადმყოფოში მოვინახულე, მოწევა ჰქონდა აკრძალული. ბუბაო, – მითხრა, – ეს ჩათლახები არ მაწევინებენ, არადა, ხომ ვიცი, რაც მომივაო. ძალიან თბილად მახსენდება დეიდა ვერიკო, სოფიკო...

– სოფიკო როგორი იყო?

– ჯიგარი, ხულიგანი, ყველას დამხმარე, ყველას გვერდზე მდგომი, უნიჭიერესი, ძმა იყო რა, ჩემი, და კი არა...

ეკა სალაღაია

28 მარტს კინოთეატრ „რუსთაველში" შედგა პრემიერა ახალი ქართული ფილმის – „კომა"

„კომას" სცენარის ავტორები თავად რეჟისორი და ლაშა ბუღაძე არიან. ფილმში გიორგი მასხულია, ჯანო იზორია, მიხეილ ახვლედიანი, ზურა ბეგალიშვილი და სხვები მონაწილეობენ.

„კომა" რეალურ ამბებზეა აგებული და ახალგაზრდა კაცის – ტიტე გოგიას ისტორიას მოგვითხრობს. საავტომობილო ავარიის გამო ტიტე ციხეში ხვდება და იქ სრულიად ახალ რეალობას აღმოაჩენს. პარალელურად ისტორია საავადმყოფოში ვითარდება, სადაც ავარიაში მოყოლილები წვანან, რომელთაგან ერთ-ერთი მათგანი კომაშია. პროექტზე მუშაობა 2008 წელს დაიწყო და მის განხორციელებას თითქმის ოთხი წელი დასჭირდა. „კომა" 2011 წლის ზაფხულში გადაიღეს და პოსტპროდუქცია დაიწყეს, რომელიც, პროდიუსერის თქმით, ხანგრძლივი და მტკივნეული პროცესი აღმოჩნდა. „ციხის ცნობილი კადრების გავრცელების პერიოდში ფილმი, დიდი ალბათობით, პოლიტიკური სპეკულაციების მორევში მოყვებოდა, ამიტომ, მისი გამოშვებისგან თავი შევიკავეთ და პრემიერა გადავდეთ," – განაცხადეს ფილმის შემქმნელებმა. მართალია, ფილმი მხატვრულია, მაგრამ, დოკუმენტური სიცხადით აღწერს იმას, რაც ქართულ ციხეებში ხდებოდა. თითქმის ყველა გმირს პროტოტიპი ჰყავს, ისტორიები კი მსგავსი ფორმით რეალობაშიც განვითარდა. ფილმისთვის სახელწოდების შერჩევის მოტივი სიტყვის ეტიმოლოგიაა – „კომა" ბერძნულად „ღრმა ძილს" ნიშნავს. ლაშა ბუღაძის განცხადებით არჩილ ქავთარაძე თავად იყო თვითმხილველი ბევრი იმ ისტორიისა, რაც ციხეში ხდება, როდესაც პატიმრობაში იმყოფებოდა. საათნახევრიანი ფილმის პრემიერას იმდენი ადამიანი ესწრებოდა, რომ ჩვენება „ამირანის" ორ დარბაზში ერთდროულად მიმდინარეობდა. ღრმა ძილში მყოფი საზოგადოების გამოფხიზლებას ხაზი გაუსვეს ხელისუფლების წარმომადგენლებმა, მათ შორის სოზარ სუბარმა და ირაკლი ალასანიამ. ყველა მაყურებელმა პრემიერა ემოციებით დატვირთულმა დატოვა.

ქეთა თოთიბაძის „სოლიტერი" – „პრემია მუზ-ტევე 2013"-ზე

27 მარტს რუსული შოუ-ბიზნესის წარმომადგენლები „პრემია მუზ-ტევე 2013-ისთვის" მოწყობილ გალა საღამოზე შეიკრიბნენ, მოდის მოყვარული რუსი მომღერლები და შოუ-ბიზნესის სხვა წარმომადგენლები განსაკუთრებით გამოპრანჭულები იყვნენ, ვინაიდან, თავად ღონისძიების მოთხოვნაში იყო მკაცრი დრეს-კოდი: კლასიკური კოსტიუმები – მამაკაცებისთვის და საღამოს კაბები – ქალბატონებისთვის. თუმცა, ამ კლასიკური ჩარჩოების ფარგლებშიც კი, „ა-სტუდიოს" სოლისტმა მაინც მოახერხა საღამოზე დამსწრეთა და პრესის ალაპარაკება განსაკუთრებით ღრმა დეკოლტეს წყალობით, რაზეც შეზღუდვები ნამდვილად არ ყოფილა დაწესებული. ქეთამ ყველა გააოცა თავისი თამამი სამოსით. როგორც რუსულ მედიაში წერენ, ქეთას შავმა კაბამ ისეთი ეფექტი მოახდინა, მამაკაცები თვალს ვერ სწყვეტდნენ. თუმცა, საბოლოოდ, მომღერალმა მაინც მოიხურა ბეწვის ორიგინალური ჟაკეტი დიდი ღილებით. ქეთამ ჯგუფ „ა-სტუდიოსთან" ერთად ჯგუფის რეპერტუარიდან რამდენიმე სიმღერა შეასრულა, გამოსვლის დასასრულს კი „სულიკო" იმღერა და მხურვალე აპლოდისმენტები დაიმსახურა.

აღსანიშნავია, რომ „ა-სტუდიოს" სოლისტი „პრემია მუზ-ტევეს" გალა საღამოზე რიგითი სტუმარი არ ყოფილა. ჯგუფი „საუკეთესო პოპ-ჯგუფის" ნომინაციაში პირველ ნომრადაა წარდგენილი. აიღებს თუ არა „ა-სტუდიო" ჯილდოს, 7 ივნისს, „პრემია მუზ-ტევე 2013-ის" დაჯილდოებაზე გაირკვევა. ქეთა ერთადერთი ქართველი მომღერალი არ ყოფილა გალა საღამოზე – მოწვეულ სტუმართა შორის ირაკლი ფირცხალავაც იყო. ინტერნეტში ქეთასა და ირაკლის ერთობლივი ფოტოებიც გავრცელდა.

ყოველ „მისონში" ახალგაზრდა პოეტების და ჯგუფ „თრანის" ერთობლივი ცეროვმი გაიმართა

28 მარტს კლუბ „მისონში" ახალგაზრდა პოეტებმა ძალიან საინტერესო და სასიამოვნო პოეზიის საღამო მოაწყვეს, რომელსაც „მარტის გაცილება" უწოდეს. საღამოს მუსიკალურად აფორმებდა ჯგუფი „ფრანი". გურამ ადამაშვილმა და ბაჩო რამიშვილმა წაიკითხეს როგორც ძველი, ისე ახალი ლექსები. საღამოს ესწრებოდნენ საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები, მწერლები, მსახიობები, ასევე, პრესისა და მედიის წარმომადგენლები. მიწვეულ სტუმრებს უამრავი ლამაზი ლექსისა და სიმღერის მოსმენის საშუალება ჰქონდათ. საღამომ არაჩვეულებრივად ჩაიარა.

გურამ ადამაშვილი: „მე და ბაჩო დიდი ხნის მეგობრები ვართ. დაახლოებით ორი თვეა, რაც ერთობლივად ვატარებთ საღამოებს, და, ეს, ჩემი აზრით, უფრო საინტერესოა. რაც შეეხება დღევანდელ საღამოს, ჩვენ დავარქვით „მარტის გაცილება". დავურეკეთ ჯგუფ „ფრანს", რომელიც ძალიან მეგობრულად დაგვიდგა გვერდში და ასეთი ლამაზი საღამო გამოვიდა. ეს არის ლექსისა და სიმღერის სინთეზი, ფაქტობრივად, ექსპერიმენტი".

ბაჩო რამიშვილი: „ჩვენ ხშირად ვაკეთებთ ხოლმე პოეზიის საღამოებს. რაც შეეხება დღევანდელ საღამოს, ჯგუფი ფრანი ავირჩიეთ იმიტომ, რომ მაინც პოეზიაა, ერთობლიობა, მეგობრობა. დღევანდელი საღამოს ჩატარების განსაკუთრებული მიზეზი არ გვქონია, უბრალოდ, გადავწყვიტეთ, ლამაზად გაგვეცილებინა მარტი. როდესაც წერ ახალ ლექსს, საზოგადოებამ თუ არ შეაფასა, მე ვერ შევაფასებ. როგორც ხედავთ უამრავი ადამიანია მოსული, რაც ძალიან მახარებს".

„ვაკის პარკის" კონცერტი „ნაით ოფისში"

ერთ-ერთი პოპულარული ქართული ჯგუფი – „ვაკის პარკი", შვიდწლიანი შესვენების შემდეგ კონცერტს მართავს. „ვაკის პარკი" უკვე დიდი ხანია მსმენელისთვის დაშლილია და მათგან ახალ სიმღერებს უკვე აღარავინ ელოდა, ზაზა ხუციშვილიც სხვა საქმიანობით წარდგა მაყურებლის წინაშე, მაგრამ, ჯგუფის თაყვანისმცემლების გასახარად, ისინი „ნაით ოფისში" კონცერტს 5 აპრილს გამართავენ. როგორც „ნაით ოფისის" წარმომადგენლებთან საუბარში გავარკვიეთ, ძველ ჰიტებთან ერთად, ჯგუფი შვიდ ახალ სიმღერას შეასრულებს, რომლებიც, იმედია, მალე გაჰიტდება.

მოამზადა სალომე გველესიანმა



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი

როგორ უნდა მოაწყოთ საძინებელი მშვიდი ძილისთვის და რა შემოაქვს ბინაში შესაბამისი ზოდიაქოს ნიშნის მცენარეებს

„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.

კურტ ვონეგუტი

თუ გსურთ, ოჯახში სიმშვიდე, ჰარმონია, კეთილგანწყობა და სიყვარული შეინარჩუნოთ, აუცილებლად უნდა ისწავლოთ ოთახების სწორად მოწყობა. ამაში კი, ქვემოთ მოყვანილი ასტროლოგიური რჩევები დაგეხმარებათ.

პირველ ყოვლისა, თქვენი და თქვენი რჩეულის საძინებელში უნდა იყოს წესრიგი და სიმშვიდე. ამიტომ, რაც უფრო დაშორებული იქნება თქვენი საძინებელი სახლის ან ბინის შემოსასვლელიდან, მით უკეთესია. თქვენი სიმყუდროვე არ უნდა დაარღვიოს სტუმრების, ბავშვების ან უცხო ადამიანების ხმებმა. რა სასიყვარულო ღამე გექნებათ, თუ საძინებელში სამზარეულოდან საჭმლის არომატი შემოდის?! საძინებლის არჩევისას, ეცადეთ, ოთახს არ ჰქონდეს საერთო კედელი არა მარტო სამზარეულოსთან, არამედ, აბაზანასთან: არ მიადგათ თქვენი საწოლი სველ კედელს. ის, თუ სად უნდა იყოს სასთუმალი, არ არის საჭირო, დაეყრდნოთ უნივერსალურ რეკომენდაციას. ეს, შესაძლოა, თქვენთვის დამღუპველიც კი აღმოჩნდეს. შეასრულეთ უბრალო ასტროლოგიური რჩევა: საძინებლის კარი არ უნდა იყოს საწოლის პირდაპირ, რადგან, ფეხები კარის მიმართულებით – ეს მიცვალებულის პოზაა. ასევე, ყურადღება მიაქციეთ იმას, თუ როგორია თქვენი სანოლი. აუცილებლად უნდა აღმოფხვრათ ეგრეთ წოდებული „დამაშორებელი ნიშნები:" წყვილს აუცილებლად უნდა ედგას ერთი დიდი სანოლი, უნდა ეგოს ერთი ქვეშაგები და ეხუროს ერთი საბანი. არ ვარგა ცოლ-ქმრის დაწოლა გაშლილ დივანზე. უკეთესია, თუ შეიძენთ საწოლს, რომელიც ოთხ ფეხზე დგას. საძინებელში, აგრეთვე, საწოლის ქვეშ არ უნდა შეინახოთ ზედმეტი, უსარგებლო ნივთები. სასიცოცხლო ენერგიის ნორმალური ცირკულაციისთვის იქ სისუფთავე და სიცარიელე უნდა იყოს. საძინებელ ოთახში აუცილებლად უნდა იდგეს მაგიდა, რომელზეც იდგმება სარკე. სარკე მაგიური ნივთია, რომელსაც შეუძლია, როგორც შეანელოს, ასევე, გააძლიეროს ნეგატიური ენერგია. ამიტომ, ის ისე დადგით, რომ თქვენი საწოლის გამოსახულება სარკის ცენტრში არ მოხვდეს. ასევე, დასვენების დროს, არ უნდა ხედავდეთ სარკეში თქვენს ორეულს.

ბევრი ადამიანი საძინებელში ამჯობინებს მუშაობას, რაც არ არის სწორი. ოთახში, რომელშიც შედიხართ დასასვენებლად და გსურთ, გაატაროთ დაუვიწყარი ღამე, ნახოთ ფერადი სიზმრები და რჩეულს ეალერსოთ, არ შეიძლება მუშაობა, კითხვა, წერა ან ტრენაჟორზე ვარჯიში. წიგნების თარო და საწერი მაგიდა დადგით საძინებლის გარეთ. ჯობია, ღამით საყვარელ ადამიანთან, ან, თუნდაც მარტომ, მშვიდი და ჰარმონიული გარემო შექმნათ და ლამაზი სიზმრები ნახოთ.

თუ ბინაში ოთახის მცენარეები გაქვთ, ეს წარმატების მოპოვებაში დაგეხმარებათ. ამიტომ, გირჩევთ, შეიძინოთ თქვენთვის ასტროლოგიურად საჭირო ქოთნის ყვავილები, რომლებიც სახლისა და ზოგადად, საცხოვრებლის ატმოსფეროს გასუფთავებას უწყობს ხელს – ეს გამოიხატება არა მარტო დღის განმავლობაში ნახშირორჟანგის შთანთქმაში, არამედ, უარყოფითი ენერგიის დადებითად გარდაქმნაში.

ყვავილები ყველა ბინაში ვერ ხარობს. ისინი აგრესიული ადამიანების სახლში ვერ უძლებენ ემოციურ დატვირთვას და ილუპებიან. სადაც ბევრია ყვავილი, იმ სახლის მცხოვრებთ ძლიერი იმუნიტეტი აქვთ და ნაკლებადაც ანუხებთ ავადმყოფობები. ყვავილს შეუძლია, პატრონს ხასიათი შეუწყოს.

ცნობილია, რომ მცენარეები, ადამიანის მსგავსად, ზოდიაქოს სხვადასხვა ნიშანსა და პლანეტის გავლენას ექვემდებარებიან. თუ სახლში თქვენი ზოდიაქოს ნიშნის შესაბამისი მცენარე ხარობს, ეს თქვენს წარმატებებზეც აგებს პასუხს. ის შეუმჩნევლად, სიძნელეების გარეშე, გააძლიერებს თქვენში დამატებით ენერგიას და ჩამოგაშორებთ უარყოფით ენერგიას. სხვა ზოდიაქოს ნიშნის მცენარეები კი იმ თვისებებს შეგძენთ და მოგანიჭებთ, რომლებიც არ გაქვთ.

ვერძის ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულებისთვის კარგია იელი, ბეგონია და გერანი. ვერძებს ეს მცენარეები წარმატებებს მოუტანს პირად საქმეებში, გაუუმჯობესებს გუნება-განწყობას, მოუხსნის სტრესს და ასევე, განუვითარებს საკუთარი თავის რწმენას.

კუროს ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულებისთვის მიზანშეწონილია ია და ყოჩივარდა. ეს მცენარეები მათ მატერიალური სახსრების გაუმჯობესებასა და მოზიდვაში ეხმარება. ასევე, ამ ადამიანებში ავითარებს შემოქმედებით უნარს და მათ საცხოვრებელს უარყოფითი ენერგიებისგან წმენდს.

ტყუპების ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულებს „უხდებათ" სურო და გვიმრა. ეს მცენარეები მათ ურთიერთობების დასტაბილურებაში ეხმარება, სიამოვნებას ანიჭებს და უფრო ტაქტიანს ხდის.

კირჩხიბის ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულისთვის კარგია ალოე და აგავა. ეს მცენარეები მათში თვითრწმენას ავითარებს, ეხმარება ახლობლებთან საერთო ენის გამონახვაში, სახლში კი სიმშვიდე შემოაქვს. ასევე, ალოე და აგავა კირჩხიბებს ინტუიციის განვითარებაში ეხმარება.

ლომის ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულისთვის მიზანშეწონილია კალა, ვარდი და უკადრისა. ისინი ამ ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულს უვითარებს დამოუკიდებლობის გრძნობას, უმყარებს თვითრწმენას, ეხმარება შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენაში. სახლში კი თბილ და მყუდრო ატმოსფეროს უქმნის.

თუ ***ქალწულის*** ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებული სახლში მონსტერას გაახარებს, ეს მცენარე მას ჯანმრთელობის შენარჩუნებაში, ინტელექტუალურ საქმიანობასა და საღ აზროვნებაში დაეხმარება.

სასწორის ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულისთვის კარგია ქრიზანთემა. ეს მცენარე სასწორებს ათავისუფლებს უსარგებლო ეჭვებისგან, ანიჭებს სიმშვიდისა და სიმყუდროვის შეგრძნებას, ჰმატებს სიმტკიცესა და საკუთარი თავის რწმენას. ასევე, წმენდს ატმოსფეროს ნეგატიური ენერგიისგან.

მორიელის ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულთათვის კარგია კაქტუსი. ის მათ ასწავლის ემოციების კონტროლს, ამშვიდებს, იცავს შეცდომებისგან; ეხმარება, რომ საჭირო სიტუაციებში თავი ხელში აიყვანონ; აუმჯობესებს მეხსიერებას და შემოსავლების მოზიდვაში უწყობს ხელს.

მშვილდოსნის ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულისთვის საუკეთესო ვარიანტია ლიმონი. ეს მცენარე აძლიერებს ახლის შეცნობის უნარს, ავითარებს ცნობისმოყვარეობას, ეხმარება დამოუკიდებლად მოქმედებაში.

თხის რქის ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულებისთვის კარგია ფიკუსი. ეს მცენარე მათ წარმატებების მოპოვებაში ეხმარება, უქმნის მყუდრო გარემოს ბინაში, თავიდან ააცილებს ჩხუბს და აძლევს ძალას კრიტიკულ სიტუაციებში.

მერწყულის ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულებისთვის სასარგებლოა რძიანა და მარანთა. ეს მცენარეები მათ სძენს ორიგინალურ თვითგამოხატვის უნარს, უბიძგებს სიახლეებისკენ და ეხმარება კარიერულ წინსვლაში. ეს მცენარეები ზრუნავს ბინაში ოჯახური სიმყუდროვის შექმნასა და შენარჩუნებას.

თევზების ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულთათვის კარგია ორქიდეა. ეს მცენარე მათ ეხმარება პრობლემების მოგვარებაში, აძლევს სტიმულს და ათავისუფლებს დეპრესიისგან. ასევე, ორქიდეა ინტუიციას უვითარებს თევზებს და მათ ოჯახურ სიმყუდროვეზეც აგებს პასუხს.

ასე რომ, შეიძინეთ თქვენი ზოდიაქოს შესაბამისი ქოთნის მცენარეები, დადგით სახლში და მიიღეთ მათგან დადებითი და საჭირო ენერგია – ეს თქვენი მომავლისთვის სიმშვიდისა და წარმატების მომტანი აღმოჩნდება.

შეკითხვა ასტროლოგს

კითხვა: დავიბადე 1980 წლის 13 მარტს. მაინტერესებს, რომელია ჩემი ასტროლოგიური ქვები?

პასუხი: თქვენი ასტროლოგიური ქვებია: აკვამარინი, ზურმუხტი, ოპალი და მარგალიტი. აკვამარინი შეგმატებთ თავდაჯერებულობას და რეალობაში დაგაბრუნებთ; ასევე, დაგეხმარებათ ადამიანთა უკეთ ამოცნობაში და ახალი ნაცნობების შეძენაში. ზურმუხტი იზრუნებს თქვენი ენერგეტიკული ბალანსის შენარჩუნებაზე. დაგიცავთ შესაძლო დაავადებებისგან. ოპალი აგარიდებთ ავ თვალს და დაგიცავთ არასწორი ნაბიჯებისგან. მარგალიტი კი იზრუნებს თქვენი პირადი ცხოვრების უკეთ მოწყობაზე.

კითხვა: დავიბადე 1993 წლის 25 მარტს, ღამის საათებში. მაინტერესებს, რომელი პროფესიაა ჩემთვის წარმატების მომტანი მომავალში?

პასუხი: პროფესიებიდან თქვენთვის მისაღები და წარმატებების მომტანია: საბანკო, ეკონომიკური, კომერციული, სავაჭრო, საფინანსო საქმიანობა, მედიცინის ფართო სპექტრი, ჟურნალისტიკა, რადიო, ტელევიზია, სარეკლამო, საგამომცემლო საქმე, პედაგოგიური მოღვაწეობა, მთარგმნელობითი საქმე, ლინგვისტიკა, პოლიტიკის ფართო სპექტრი, მშენებლობა, საინჟინრო საქმე, სამართალდამცავი ორგანოები, უშიშროების სფერო.

ვერძი

კარგია უძრავ ქონებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება. ადვილად იპოვით საერთო ენას ნებისმიერი წრის ადამიანთან, ამიტომ, გამოიყენეთ ეს დრო პირადი და საქმიანი პრობლემების მოსაგვარებლად. ეცადეთ, არ აეჭვიანოთ საყვარელი ადამიანი, რათა არ დაძაბოთ ურთიერთობა.

კურო

სასიკეთოდ წარიმართება კარიერასთან დაკავშირებული საკითხები, თუმცა, დიდ ფინანსურ მოგებას ჯერ ნუ ელით. ნუ იმოქმედებთ იმპულსურად პირად ურთიერთობებში. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას და მეტი ყურადღება დაუთმეთ ოჯახს. არ არის გამორიცხული, არსებული სასიყვარულო ურთიერთობა დასრულდეს და ახალს ჩაეყაროს საფუძველი.

ტყუპები

გაიზრდება ხარჯები, რაც თქვენს მატერიალურ მდგომარეობას საგრძნობლად შეემჩნევა. სწრაფად მოაგვარებთ უძრავ ქონებასთან, კრედიტებთან და ფულად ოპერაციებთან დაკავშირებულ საქმეებს. კარგია უცხოელებთან საქმიანი და პარტნიორული კონტაქტი. სიყვარულო სიამოვნებასა და სიმშვიდეს მოგანიჭებთ.

კირჩხიბი

მოთოკეთ აგრესია და გააზრებულად იმოქმედეთ, რათა არ დაუშვათ სერიოზული შეცდომები. ენერგია დაქვეითებულია, ამიტომ, დროდადრო მოგეძალებათ პესიმიზმი. კარგია დასვენება. ფინანსურ დახმარებას გაგიწევენ ოჯახის წევრები. ნუ დაგეგმავთ სერიოზულ ცვლილებებს, რათა მცდარი ნაბიჯით არ დაიზიანოთ საქმიანი, საოჯახო და სასიყვარულო ურთიერთობები.

ლომი

პროფესიონალური ზრდა დაგეხმარებათ მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაში. გამოიყენეთ არსებული კავშირები მიზნის მისაღწევად. უყურადღებოდ ნუ დატოვებთ ახალ საქმიან შემოთავაზებებს. სამომავლო გეგმების დასახვისას უსმინეთ ინტუიციას. გაიზრდება გადაადგილებების რაოდენობა. ახალი სასიყვარულო კავშირი კი ჯობია, საიდუმლოდ შეინახოთ.

ქალწული

ახალი კავშირები და მიღებული ინფორმაცია ახალ იდეებს გაგიჩენთ. არ არის მოსალოდნელი შემოსავლების ზრდა, თუმცა, შესაძლებელია ფინანსური მდგომარეობის დარეგულირება. ეცადეთ, ეს კვირა საქმიანად გაატაროთ. საყვარელ ადამიანთან კი პრობლემებია მოსალოდნელი, რაც თქვენს გუნება-განწყობაზე უარყოფითად აისახება. დრო გამონახეთ დასვენებისთვის და მოერიდეთ სადავო საკითხების განხილვას.

სასწორი

მნიშვნელოვანი საკითხები უპრობლემოდ გადაწყდება, თუ არ იზარმაცებთ და არ იქნებით პესიმისტი – ასე გაიუმჯობესებთ მატერიალურ მდგომარეობასაც. არ გირჩევთ მოგზაურობას. ნუ ენდობით უცხო ადამიანებს და ეცადეთ, სასიყვარულო სფეროში უსიამოვნებებს აარიდოთ თავი.

მორიელი

გაიზრდება თქვენი ამტანობა, ენერგიულობა და მომხიბვლელობა. ამავდროულად გაიზრდება ფარული მტრების რაოდენობაც. ნუ შეგეშინდებათ ცვლილებების და იყავით მეტად პედანტი. კარგია მოგზაურობა და ხშირი გადაადგილებები, ასევე, ახალი კავშირები. კარგი დროა ახალი სასიყვარულო ურთიერთობის დასაწყებად და პარტნიორული კავშირების დასამყარებლად.

მშვილდოსანი

გააკონტროლეთ საკუთარი სურვილები, რათა ადვილად მიუახლოვდეთ დასახულ მიზანს. კარგი დროა სერიოზული პროექტების მოსამზადებლად და დასაწყებად. იყავით მაქსიმალურად აქტიური, რათა ადვილად გამოიყენოთ ყველა შესაძლებლობა და ამით გაიუმჯობესოთ მდგომარეობა. დრო დასვენებისთვისაც გამონახეთ, რათა ენერგია აღიდგინოთ.

თხის რქა

ენერგეტიკის კლება განმარტოებისა და დასვენების სურვილს გაგიჩენთ. შესაძლოა, გარკვეული პრობლემები შეგიქმნან ნათესავებმა, რაც უკმაყოფილებას გამოიწვევს ურთიერთობაში. პირად ურთიერთობაში კი ცვლილება არ არის მოსალოდნელი. ამ პერიოდში მოერიდეთ მოგზაურობას და მეტად გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

მერწყული

ახალი შემოთავაზებები კარგ პერსპექტივებს გპირდებათ, ამიტომ, გონივრულად მიუდექით ყველა შესაძლებლობას. კარგია ადგილსამყოფლის გამოცვლა. კარგ დახმარებას გაგიწევენ მშობლები როგორც მატერიალურად, ასევე სულიერად. საქმეების სიმრავლის გამო გართობისთვის დრო არ დაგრჩებათ. არსებობს დიდი შანსი, ახალი სასიყვარულო ურთიერთობა დაიწყოთ.

თევზები

გაიზრდება შეხვედრების რაოდენობა. ადვილად შეძლებთ, მოაგვაროთ როგორც საკუთარი, ასევე ახლობლების პრობლემები. სასიყვარულო ურთიერთობა გააძლიერებს თქვენს გრძნობებს და კიდევ უფრო მეტად რომანტიკულს გაგხდით. ეცადეთ, არ გადაიღალოთ, რათა ეს უარყოფითად არ აისახოს თქვენს ჯანმრთელობაზე.

კვირის დღეების ასტროპროგნოზი

ახალმთვარეობა – 10 აპრილი, 9 სთ: 36 წთ.

ორშაბათი

დაიცავით სამართლიანობა და საქმეს მიუდექით შემოქმედებითად. მშვიდად გაიზიარეთ ირგვლივ მომხდარი მოვლენები. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, იისფერი, ყვითელი ან წითელი სამოსი; ქვებიდან კი – ფირუზი, ბრილიანტი, ლაზურიტი, იაგუნდი ან საფირონი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. არ ვარგა მშენებლობა. კარგია ვარჯიში, უცხოელებთან კონტაქტი, უცხოეთში კაპიტალდაბანდება, ინტელექტუალური საქმიანობა, იურიდიული საქმიანობა, პარტნიორული თანამშრომლობა, სამეცნიერო კვლევა. დაეყრდენით ინტუიციას. სუსტდება ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი.

პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, სასწორებისთვის;

ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის.

სამშაბათი

აკონტროლეთ ხასიათში ეგოიზმი და აზრები. კარგია ახალი ნაცნობობა, საოჯახო საქმიანობა, საოფისე საგნების შეძენა. ატარეთ ყავისფერი, ყვითელი, კრემისფერი, ნაცრისფერი, ლურჯი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ონიქსი, აქატი, ქრიზოპრაზი, ოპალი ან მარჯანი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. არ ვარგა ფინანსური ოპერაციები, ხელმძღვანელებთან ურთიერთობა, ვაჭრობა, სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარება, სასიყვარულო კავშირები. კარგია სამეცნიერო კვლევა, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. სუსტდება ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები.

პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, მორიელებისთვის;

ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, მერწყულებისთვის.

ოთხშაბათი
გეომაგნიტური დღეა

ნუ აჰყვებით პროვოკაციას და ნუ აჩქარდებით. არ ვარგა თმის შეჭრა. ატარეთ ნაცრისფერი, ყვითელი, კრემისფერი, ყავისფერი, მწვანე ან ლურჯი სამოსი; ქვებიდან კი ონიქსი, მალაქიტი, ყვითელი იასპი, ოპალი ან ალექსანდრიტი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს, რადგან მათი ახდენა საეჭვოა. მოერიდეთ სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარებას, ფინანსურ ოპერაციებს, ხელმძღვანელებთან ურთიერთობას, სასიყვარულო კავშირებს. სუსტდება ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები.

პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის.

ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის.

ხუთშაბათი
გეომაგნიტური დღეა

რთული იქნება პარტნიორებთან საერთო ენის გამონახვა. კარგია უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, მცენარეების დარგვა, ექიმებთან კონსულტაცია, მანქანის შეძენა. ატარეთ ყვითელი, ვერცხლისფერი, ნაცრისფერი, ლურჯი, ცისფერი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ონიქსი, საფირონი, აკვამარინი, ძოწი ან ცირკონი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია სამეცნიერო კვლევა, უძრავი ქონებით ვაჭრობა, ხეების დარგვა, სახლის მშენებლობა, დიეტის დაწყება, გართობა. სუსტდება სისხლძარღვები, ფეხის კუნთები, თვალები.

პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, მერწყულებისთვის;

ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, მორიელებისთვის.

პარასკევი

ადვილად შეძლებთ სამართლიანობის მიღწევას. იყავით ოპტიმისტი. კარგია დიეტის დაწყება, ტექნიკის შეძენა. ატარეთ ყვითელი, ვერცხლისფერი, ნაცრისფერი, ლურჯი, ცისფერი, ვარდისფერი ან წითელი სამოსი; ქვებიდან კი – აკვამარინი, საფირონი, ციტრონი, ძოწი ან ცირკონი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. კარგია საზოგადოებრივი საქმიანობა, სულიერი და ინტელექტუალური განვითარება, სახლის მშენებლობა, ადგილსამყოფლის შეცვლა, სამეცნიერო კვლევა, სამლებრო სამუშაოების ჩატარება, გართობა. სუსტდება ჯირკვლები, სისხლძარღვები, ფეხის კუნთები, თვალები.

პოზიტიური დღეა: სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის;

ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის.

შაბათი

მოერიდეთ უაზრო საუბრებს, ნუ გათქვამთ საიდუმლოს. ატარეთ ნაცრისფერი, ყვითელი, ცისფერი, ვარდისფერი, წითელი, მწვანე, იისფერი, ფირუზისფერი, ლურჯი ან ვერცხლისფერი სამოსი; ქვებიდან კი – აკვამარინი, საფირონი, ძოწი, ცირკონი, მარგალიტი ან ამეთვისტო. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. კარგია საზოგადოებრივი საქმიანობა, სარემონტო სამუშაოები, სახლის მშენებლობა, მინერალებით ვაჭრობა, დიეტის დაწყება. სუსტდება ნერვული სისტემა, თვალები, ტერფები, ლიმფური სისტემა.

პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის;

ნეგატიური დღეა: თხის რქებისთვის, თევზებისთვის.

კვირა
გეომაგნიტური დღეა

აიღეთ პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე. კარგია შემოქმედებითი მუშაობა, ხელოვნებასთან კონტაქტი, ქველმოქმედება. ატარეთ მწვანე, ვერცხლისფერი, იისფერი, ლურჯი ან ფირუზისფერი სამოსი; ქვებიდან კი მარგალიტი, გიშერი, ამეთვისტო, ალექსანდრიტი ან მარჯანი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია მოგზაურობა, სასიყვარულო კავშირები. სუსტდება ნერვული სისტემა, ტერფები, ენდოკრინული და ლიმფური სისტემები.

პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბეისთვის;

ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.

გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.

ალბათ, არამიანცის საავადმყოფოს ეზოში ვინც შესულა და იქვე მდებარე ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესიასთან გაუვლია, დაუნახავს უამრავი ხალხი. ისინი არქიმანდრიტ სოგრატს ელოდებიან, რომ მისგან ლოცვა-კურთხევა აიღონ, საკუთარი გასაჭირი შესჩივლონ და მის მიერ ჩატარებულ წირვა-ლოცვებს, პარაკლისებს დაესწრონ. არქიმანდრიტი სოგრატი (ერისკაცობაში – სეხნო ჭულუხაძე) 19 თებერვალს 80 წლის გახდა. ამ მადლიან ადამიანთან ერთწუთიანი ურთიერთობაც საკმარისია იმისთვის, რომ დიდი სიმშვიდე მოიპოვო და სულიერად განიწმინდო. მისი სიტყვებით, „უფალმა ქაოსიდან შექმნა სამყარო და, ნუთუ მისთვის ადამიანის განკურნება შეუძლებელი იქნება? მთავარია, ვირწმუნოთ და სასოწარკვეთილებაში არ ჩავვარდეთ“. ამ რწმენით მასთან უამრავი ადამიანი მიდის, მასთან მოსულან დავრდომილნი, ბრმები, უშვილოები, რომლებიც უფლის რწმენითა და მამა სოგრატის ლოცვის წყალობით განკურნებულან და რამდენიმე დღის შემდეგ, მამა სოგრატის სენაკი თავისი ფეხით, თვალხილულებს დაუტოვებიათ.

რა სასწაულებრივი ძალით გამოირჩევა არქიმანდრიტ სოგრატის ლოცვა, რომლის დახმარებითაც ეშმაკეულ ადამიანებს ბოროტი ძალა ტოვებს და მომაკვდავები იკურნებიან

ბავშვობა

არქიმანდრიტი სოგრატი დაიბადა ლიახვის ხეობაში. მისი დედა, ქალბატონი სალომე, მრავალშვილიანი დედა იყო, მეუღლე ომში დაეღუპა და ბავშვებს თავად ზრდიდა. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს სარწმუნოება იკრძალებოდა და ეკლესიები იხურებოდა, ქალბატონი სალომე მაინც ახერხებდა ტაძარში წასვლას, გალობას და ამას სხვებსაც მოუწოდებდა. შობასა და აღდგომას სწორედ აქ ტარდებოდა დიდი დღესასწაულები. რადგან მღვდელი არ იყო, რამდენიმე მოხუცი მამაკაცი და, მათთან ერთად სალომეც, ზეპირად კითხულობდნენ სახარებიდან ადგილებს. შემდეგ ეკლესიიდან ხატებს გამოასვენებდნენ და გალობით მიაბრძანებდნენ წმიდა გიორგისა და ღვთისმშობლის ეკლესიებში, რომლებიც სოფლიდან საკმაოდ შორს, ტყეში იყო აშენებული. ქალბატონი სალომე ამ მსვლელობის დროს აუცილებლად ფეხშიშველი იყო. სწორედ ასეთ სიტუაციაში იზრდებოდა და ყალიბდებოდა მამა სოგრატი.



„მეორე დღეს მამა სოგრატმა რეანიმაციაში მეორედ წაუკითხა ლოცვები. ლოცვის დასრულების შემდეგ ავადმყოფმა იწყო საოცარი შემობრუნება ამქვეყნისკენ. მოხდა ღვთის სასწაული: სამი დღის შემდეგ ბიძაჩემი, ზაურ თავხელიძე, რეანიმაციიდან სახლში გაწერეს სრულიად ჯანმრთელი“

„ბავშვობიდან ისეთი იყო, რომ ყველას მხრიდან სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდა. რაც მთავარია, ის თავისი თვისებებით ახდენდა დიდ გავლენას ბავშვებზე და გარკვეულ დამოკიდებულებასაც უყალიბებდა ეკლესიისა და სარწმუნოების მიმართ. თუმცა, ამ საკითხებზე ხმამაღლა არასდროს ლაპარაკობდა. სკოლაში სეხნო სხვა ბავშვებისგან გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი ნიჭით, ზრდილობით, დახვეწილობით, მჭევრმეტყველებით... დღეს მამა სოგრატის ლოცვას ძალიან დიდი ძალა აქვს, მრავალი ურწმუნო და გონებადაბნელებული ადამიანი დააყენა ქრისტეს ნათელ, ჭეშმარიტ გზაზე, მრავალს გაუღვივა სიყვარული მოყვასისადმი“ – ასე იხსენებს მამა სოგრატს მარიამ კახნიაშვილი, მამა სოგრატის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

მამა სოგრატის ლოცვის დახმარებით განკურნებული და გადარჩენილი ადამიანები

„ერთი ჩვეულებრივი, საშუალო ბიზნესმენი ვარ. 2001 წლის შემოდგომაზე საქმიანი მივლინებით ვიყავი უცხოეთში, სადაც გავიცანი სამი პიროვნება, რომლებმაც გამიტაცეს ფულის გამოძალვის მიზნით: სასმელში შემირიეს რაღაც ხსნარი და, გონზე რომ მოვედი, აღმოვჩნდი რომელიღაც მაღალმთიან სოფელში. თერთმეტი დღე ტყვეობასა და წამებაში გავატარე. თბილისში, ჩემი დაკარგვის დღიდან, ოჯახის წევრები ყოველდღიურად ლოცულობდნენ ჩემთვის მამა სოგრატთან, ის კი თავისი დარიგებით რწმენას ანიჭებდა მათ და ჩემი დაბრუნების იმედს აძლევდა. ბოლოს, გამტაცებლებმა ვერაფერი რომ ვერ მიიღეს ჩემგან, თანაც, გაიგეს, რომ ინტერპოლი მეძებდა, თავიდან მომიშორეს – კატერით ბოსფორის სრუტეში გამიყვანეს და წყალში გადამაგდეს. შოკში ჩავვარდი. ღამე იყო, არაფერი ჩანდა. ვევედრებოდი ღმერთს: ღმერთო, ნუ მაწვალებ-მეთქი. ამ დროს გამომეცხადა მამა სოგრატი და მითხრა: აუცილებლად გადარჩები და უნდა იბრძოლო ამისთვისო. უცებ, შევნიშნე, რომ იქვე რაღაც ანათებდა. ჩემდა უნებურად, დავიწყე მისი მიმართულებით მოძრაობა. მიუხედავად იმისა, რომ ფეხსაცმელი და ტანსაცმელი მეცვა, რაღაც ზეციური ძალა მომეცა, აღარ ვიძირებოდი და, დაახლოებით ოთხსაათიანი ცურვის შემდეგ, გავედი ნაპირზე უძლური და გონებადაკარგული. ერთმა ოჯახმა მიპოვა და შეძლო პოლიციისა და სასწრაფოს გამოძახება. როგორც კი საქართველოში დავბრუნდი, მაშინვე მივაკითხე მამა სოგრატს და მადლობა გადავუხადე“.

ტარიელ ფოჩხიძე, ქალაქი თბილისი.

„უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი ბიძაჩემი რაიონიდან ჩამოვიყვანეთ და ქალაქის მეორე საავადმყოფოს რეანიმაციის განყოფილებაში მოვათავსეთ. მისი მდგომარეობის სიმძიმე იმით გამოიხატებოდა, რომ, გულის ინფარქტის გადატანის შემდეგ, ის ექიმის დანიშნულების გარეშე იღებდა ძლიერმოქმედ წამლებს, რამაც გამოიწვია სისხლის გათხელება და ჩაქცევები მთელ ორგანიზმში, მათ შორის – ტვინშიც. ბიძაჩემი გათიშული იყო. ექიმებმა გადარჩენის იმედი დაკარგეს. ასეთ მძიმე მდგომარეობაში მყოფთან მამა სოგრატი წავიყვანეთ. პირველი ლოცვის დროს თითქმის მკვდარმა კაცმა პირი გააღო და წარმოთქვა: „უფალო, შეგვიწყალენ“. ეს სიტყვები არ უთქვამს, ალბათ, მაშინაც კი, როცა კარგად იყო – თავისი პარტიული და უღვთო ცხოვრების გამო. მეორე დღეს მამა სოგრატმა რეანიმაციაში მეორედ წაუკითხა ლოცვები. ლოცვის დასრულების მერე ავადმყოფმა იწყო საოცარი შემობრუნება ამქვეყნისკენ. მოხდა ღვთის სასწაული: სამი დღის შემდეგ ბიძაჩემი, ზაურ თავხელიძე, რეანიმაციიდან სახლში გაწერეს სრულიად ჯანმრთელი. იმ დროს რეანიმაციაში სულ შვიდი ავადმყოფი იწვა, მათ შორის ორი (ბიძაჩემი და კიდევ ერთი კაცი) – უკანასკნელ მდგომარეობაში. სამი დღის შემდეგ ყველა გაწერილი იყო რეანიმაციიდან – ისინიც სრულიად ჯანმრთელები“.

ლერი თავხელიძე (მამა სოგრატის მორჩილი, 2000 წელი).

„მამა სოგრატთან სრულიად განადგურებული მივედი. ათი წლის განმავლობაში ვიტანჯებოდი ავადმყოფობით. ამას ისიც დაერთო, რომ 1987 წელს საცხოვრებელი ბინიდან გამასახლეს. საბოლოოდ, მერვე საავადმყოფოში მიმიყვანეს უმძიმესი დიაგნოზით. იქიდან რომ გამომწერეს, ჰაიმორიტი და ნევრასთენია ისევ ძველებურად მტანჯავდა. 1989 წელს ხელმეორედ მოვხვდი საავადმყოფოში, დიაგნოზით: ტვინის შერყევის ნარჩენი მოვლენები. 1994 წელს ნევროლოგიის ინსტიტუტის ეპილეფსიურ განყოფილებაში დამაწვინეს. გამოკვლევებმა ეპილეფსია არ დაადასტურა. სისხლში კალციუმის შემცველობა მქონდა დავარდნილი, მაგრამ, ექიმები ამის მიზეზს ვერ ადგენდნენ. შესაბამისად, ვერ მინიშნავდნენ სწორ მკურნალობასაც. ერთი ღვთისნიერი ექიმი, ბატონი კობა მათიაშვილი მეხმარებოდა, უსასყიდლოდ მმკურნალობდა, მაგრამ, ჩემი სიმპტომებით ყოველთვის გაოცებული რჩებოდა, რადგან, ისინი არ ემთხვეოდა მედიცინაში დაფიქსირებულ არც ერთ დაავადებას. 1994 წელს დედა გარდამეცვალა. ღმერთი დავგმე და გადავწყვიტე, რომ ჩემთვის არავინ და არაფერი აღარ არსებობდა. უცნაური სულიერი ტანჯვა დამეწყო, რაღაც საშიში, ბნელი ძალის გავლენას ვგრძნობდი ყოველ ნაბიჯზე. ღამით რომ ვწვებოდი, ვგრძნობდი, როგორ შემოცურდებოდა ჩემ გვერდით, ლოგინში რაღაც უცხო, უსხეულო ძალა და მთელი ღამე არ მტოვებდა. ჩემი დაბნელებული გონება კიდევ უფრო მეტი საშინელებისკენ მიმაქანებდა – ერთხელ თეფში დავატრიალე, დედაჩემის სულს ველაპარაკე და ამის შემდეგ უხილავი ძალა უფრო კონტაქტური გახდა ჩემ მიმართ: აშკარად მეხებოდა, აიღებდა ჩემს ხელს და ჩემივე ხელის მეშვეობით მელაპარაკებოდა ისეთი სიბოროტი და სიყვარულით, როგორც დედაჩემმა იცოდა. შემდეგ ეს

„მაიკო ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ბოგონა ჩანდა. მაგრამ, როგორც კი მამა სოგრატმა ლოცვა დაიწყო, მაიკო მაშინვე შეიცვალა და შემზარავი კივილით ცდილობდა თავის დაღწევას, თან ჯვარსა და შფალს შარეოფდა. მესამე დღეს, ლოცვის შემდეგ, გონზე ეოვიდა“

ქმარმა სახლიდან გამოტყუებული ცოლი სადარბაზოშივე დაჭრა და შემდეგ მანქანაში წამებით მოკლა

20 მარტს თბილისში საზარელი მკვლელობის შესახებ გახდა ცნობილი. იმ დღეს საინფორმაციო სააგენტოებმა შემდეგი ინფორმაცია გაავრცელეს: ორხევის ხიდთან, ქმარმა, საკუთარ ავტომობილში, ცივი იარაღის გამოყენებით წამებით მოკლა ცოლი ეჭვიანობის ნიადაგზე, შემდეგ კი ამავე ავტომობილით წავიდა პოლიციაში და ცხედრით თავად ჩაჰბარდა სამართალდამცველებს. როგორც მეორე დღეს გაირკვა, მოკლული და მისი დედამთილი ერთსა და იმავე საბავშვო ბაღში მუშაობდნენ, რასაც სკანდალი და მშობლების მიერ დედამთილის სამსახურიდან გაშვების მოთხოვნა მოჰყვა. წყვილის ოთხი ბავშვი დაობლდა.

ჩვენ ვესაუბრეთ ვერაზე მდებარე ბაღის თანამშრომლებს, ასევე, გარდაცვლილის მეზობლებს. გარდაცვლილი ვარკეთილის ტერიტორიაზე ცხოვრობს (ზუსტ ადგილმდებარეობას და მის სახელს, რა თმა უნდა, არ ვასახელებთ). მოკლული ახალგაზრდა ქალი და მისი ძმა დედამ ობლობაში, უმამოდ გაზარდა, როგორც მეზობლები ყვებიან, დიდი წვალებით.

მეზობელი: საშინელი ტრაგედია მოხდა. დედამისმა დიდი გაჭირვებითა და სიყვარულით გაზარდა ორივე და-ძმა და ეს გოგო თავიდანვე ამ არაკაცის ხელში აღმოჩნდა. ერთი პერიოდი ის ნარკოტიკების მომხმარებელი იყო და ამით ტანჯავდა ოჯახს. მერე, როგორც ყველა ნარკომანმა, რომელსაც ნარკოტიკის ყიდვის საშუალება აღარ ჰქონდა, სმა დაიწყო. სულ სკანდალები ჰქონდათ სახლში. როგორც ამბობენ, ცოლს ხელითაც ეხებოდა – სცემდა ხოლმე და არც ოთხი მცირეწლოვანი შვილის თვალწინ ერიდებოდა სკანდალებს.

– გაშორება არ უცდია?

– როგორ არა! გაშორება უკვე დიდი ხანია უნდოდა, მაგრამ, ეს ბიჭი არ ანებებდა თავს, სადაც არ უნდა წასულიყო, აკითხავდა და აშინებდა. ამ გოგოს ისეთი ძმა ჰყავს, არა მგონია, ვინმეს რამე შეარჩინოს, ალბათ, მისი შიშით ჩაჰბარდა პოლიციას. ბოლო დროს საწყალი გოგო თავისი დაქალის სახლში იმალებოდა. ქმარმა მის ადგილსამყოფელს მიაგნო და მოტყუებით გამოიყვანა გარეთ.

ოჯახის ახლობელი: უთხრა – ჩამოდი, ამ ერთხელ დამელაპარაკე და გავშორდეთ, განქორწინებაზეც ხელს მოგიწერ და აღარ შეგაწუხებო. ეს გოგოც მოტყუვდა და ჩავიდა. როგორც ამბობენ, სადარბაზოშივე დაუჭრია და მანქანაში ძალით ჩაუტენია. შემდეგ კი ორხევის ხიდთან საშინელი წამებით მოუკლავს – დაჯიჯგნილი ჰქონდა სხეული. მერე კი, ასე მანქანაში გვამით მივიდა პოლიციის შენობაში და ჩაჰბარდა.

როგორც უკვე გითხარით, გარდაცვლილი და მისი დედამთილი ერთად მუშაობდნენ საბავშვო ბაღში: მოკლული აღმზრდელი იყო, დედამთილი კი – მზარეული. ბაღის ბავშვების მშობლები კატეგორიულად მოითხოვდნენ მკვლელის დედის სამსახურიდან გაშვებას, თუმცა, ჯერჯერობით უცნობია, დაკმაყოფილებულია თუ არა მათი მოთხოვნა. ვერაზე მცხოვრებთა ნაწილი ამბობს, რომ საბავშვო ბაღის მზარეული ძალიან კარგი ქალია და, იმის გამო, რომ შვილმა ასეთი საშინელება ჩაიდინა, მან სამსახური არ უნდა დაკარგოს, მით უმეტეს, რომ, ოთხ ბავშვს, რომელთა დედა მკვდარია, მამა კი ციხეში ზის, გაზრდა და გამოკვება სჭირდება. თუმცა, ზოგიერთის ამ ქალისგან ყველაზე მეტად ის გაუკვირდა, რომ, რძალი შვილმა მოუკლა, შვილი პოლიციას ჩაჰბარდა, ის კი მეორე დღეს ჩვეულებრივად მივიდა სამსახურში. როგორც ჩანს, იმედი ჰქონდა, რომ მომხდარის შესახებ არ გახმაურდებოდა.

ტელევიზიით გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, მშობლები მზარეულის სამსახურიდან გაშვებას იმის გამო ითხოვდნენ, რომ მკვლელობაზე დედამ წააქეზა შვილი, რაც სრულ სიცრუედ მიაჩნიათ იმათ, ვინც მკვლელის დედას იცნობდა. თუმცა, არსებობს კიდევ ერთი ვერსია, რომ დედამთილმა რძლის მობილურში სხვა მამაკაცისადმი მიწერილი მესიჯები იპოვა და ამის შესახებ შვილს უამბო, მაგრამ, ამ ინფორმაციის გადამოწმება ვერ შევძელით.

– დასაშვებად მიგაჩნიათ, რომ მართლაც მესიჯები გახდა ეჭვიანობის, შემდეგ კი – მკვლელობის მიზეზი?

მეზობელი: არ ვიცი და ვერც ვერაფერს გეტყვით, მაგრამ, რა მიზეზიც არ უნდა ყოფილიყო, როგორ უნდა მოკლა შენი ოთხი შვილის დედა თუ არანორმალური არ ხარ?!

ასეა თუ ისე, ყველა მოსაუბრე აღიარებს, რომ მკვლელობა ეჭვიანობის ნიადაგზე მოხდა, მაგრამ, კონკრეტულად რა ფაქტი გახდა ამის მიზეზი, ვერ დავაზუსტეთ. მეზობლები ტირილით მხოლოდ იმას ყვებიან, რომ ახალგაზრდა ქალის სხეული დასახიჩრებულია, რომ ის სისასტიკით არის მოკლული და უკვე აღარაფერი ეშველება.

ქეთი ასათიანი

ძალა მთლიანად მოთავსდა ჩემში და ვგრძნობდი უდიდეს ენერგიას. ჩამომიყალიბდა ექსტრასენსული უნარი. ორგანიზმი სეანსების ჩატარებას მთხოვდა. მივხვდი, რომ შეუძლებელი იყო, ეს ძალა დედაჩემი ყოფილიყო. მაშინ, თვით უხილავმა ძალამ მითხრა, რომ ეს ღმერთის ძალა იყო და მის სამსახურში უნდა ჩავმდგარიყავი. მივედი ჯვართან, დავიჩოქე და ღმერთს ვთხოვე შველა. დარწმუნებული არ ვიყავი, რომ ღმერთის ძალის ღირსი გავხდი. ჯვართან მისვლამ საშინელი რეაქცია გამოიწვია, სიცოცხლე წამებად მექცა. ღმერთს ვუხმობდი საშველად. უხილავმა ძალამ საბოლოოდ აღიარა, რომ სატანა იყო და მითხრა: „დიახ, სატანა ვარ, სად არის შენი ღმერთი?“ – და დამხარხარებდა ზემოდან. სწორედ ამ დროს ტელეფონის ზარის ხმა გაისმა. საშინელი წინააღმდეგობის მიუხედავად, ყურმილის აღება შევძელი. ჩემმა მეგობარმა ჩემი ტირილი გაიგონა, სასწრაფოდ ჩემთან მოვიდა და წამიყვანა ეკლესიაში. ტაძარს, რომ მივუახლოვდი, საშინელი აგრესია დამემართა. მღვდელმა ლოცვა წაიკითხა, მაგრამ, არ მტოვებდა უხილავი ძალა, რომელიც მარწმუნებდა, რომ გიჟად ჩამთვლიდნენ და მაინც ვერავინ მიშველიდა. ეკლესიაში მეორედ რომ მივედი, მღვდელი მაცხოვრის ხატთან იდგა. ხატს შველა ვთხოვე, მუხლებზე დავეცი და ყვირილი აღმომხდა. მღვდელმა მირჩია, რომ ფსიქიატრისთვის მიმემართა. გაოცებული დავრჩი – არ მეგონა, მღვდელი ასე თუ მიპასუხებდა. რა თქმა უნდა, ექიმიც არ დაიჯერებდა, ჩემს თავს რა ხდებოდა. ხსნა არსაიდან იყო. ბოლო იმედი მამა სოგრატი აღმოჩნდა. მივედი, ყველაფერი მოვუყევი და ვკითხე: ფსიქიკურად ვარ შეშლილი თუ მართლა შესაძლებელია, ასეთი ძალა არსებობდეს-მეთქი. ახლავე გავარკვევო, – მითხრა და ლოცვა დაიწყო. მოხდა სასწაული: თითქოს რაღაც მეკვეთა, ძირს დავეხეთქე და უკუნეთში ჩავიძირე და, როგორც ჩემი მეგობარი მეუბნებოდა, არაბუნებრივად, არაადამიანურად, ცხოველის ხმით ვღრიალებდი. ლოცვაზე სიარული განვაგრძე, მაგრამ, ყოველი ლოცვის დროს ერთი და იგივე მეორდებოდა. თავიდან გაოგნებული ვიყავი, ყველაფერს ეჭვის თვალით ვუყურებდი. მამა სოგრატმა დიდი ყურადღება გამოიჩინა – გაჭირვების დროს არ მიმატოვა და გამუდმებით ლოცულობდა ჩემზე. ხმა და, მასთან ერთად, უხილავი ძალა, ნელ-ნელა მტოვებდა. მისი ლოცვა-კურთხევით ღმერთის სასწაულებრივი შემწეობა ვიგრძენი. ახლა წირვა-ლოცვაზე დავდივარ და ღმერთს ვთხოვ პატიებას, ჩემი ურწმუნობის გამო ეშმაკის ჭურჭლად რომ ვიქეცი. ახლა ეს ჭურჭელი წვეთ-წვეთობით სუფთავდება, ხელახლა ვიბადები თითქოს, არც ექიმი მჭირდება და არც წამალი“.

„მაიკო ერთი შეხედვით ჩვეულებრივი გოგონა ჩანდა, მაგრამ, როგორც კი მამა სოგრატმა ლოცვა დაიწყო, მაიკო მაშინვე შეიცვალა და შემზარავი კივილით ცდილობდა თავის დაღწევას, თან ჯვარსა და უფალს უარყოფდა. მესამე დღეს, ლოცვის შემდეგ, გონზე მოვიდა. ეკლესიაში არ დავდიოდი, – გვითხრა მაიკომ, – ღმერთი არ მწამდა. მერე გულის მხარეს დამეწყო ტკივილები, რამაც მოგვიანებით ზურგი და წელის არეც მოიცვა“. ლოცვის ძალამ თავისი ქნა – ბოროტება დაძლია. საერთოდ, მამა სოგრატი ასეთ დროს უზარმაზარ ენერგიას ხარჯავს. ძნელია ბოროტებასთან ჭიდილი, ჯვარიც კი ვნახეთ, რომელიც ერთ-ერთი ლოცვის დროს გაიღუნა“.

მაკა დანელია

P. S. *პირადად მე, რამდენიმე წლის წინ, როდესაც მამა სოგრატთან ინტერვიუს ჩასაწერად მივედი, იგი თბილად შემხვდა და ლოცვებიც წამიკითხა, რომლის დროსაც საოცარი სიმშვიდე ვიგრძენი. იქვე ვნახე არაერთი ადამიანი, რომლებიც, მამა სოგრატის მადლიანი, ძლიერი ლოცვის წყალობით დღესაც მშვიდად განაგრძობენ ცხოვრებას და მისი მადლიერები არიან. „თბილისელები“ ულოცავს მამა სოგრატს დაბადების დღეს – 80 წლის იუბილეს, უსურვებს დღეგრძელობას, ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს!*

ნათია უტიაშვილი

მრავნული აზრები

როლანი: არაფერია ისე მიმზიდველი, როგორც ნებისყოფა, რომელიც ამარცხებს ურჩ სხეულს.

ჟორესი: ჭეშმარიტი მეცნიერებისა და ხელოვნების ნაყოფი მოგება კი არ არის, არამედ მსხვერპლი.

ემერსონი: ცხოვრებასთან მეტისმეტი სიახლოვე ხელოვნებისთვის მომაკვდინებელია.

ნაპოლეონი: ხალხი უნდა აიძულო, შეძრწუნდეს, რათა ჩაუნერგო შეუპოვრობა.

ჰეგელი: ხელოვნება არსებობს არა რომელიმე ჩაკეტილი წრისთვის, განათლებული ადამიანების ერთი ჯგუფისთვის, არამედ მთელი ერისთვის.

კრომველი: სამწუხაროდ, სისტემებს მეტ მნიშვნელობას აძლევენ, ვიდრე ადამიანებს.

პავლოვი: სიცოცხლის ყოველ ფეთქვას რომ განიცდი, სიხარული ამაგრებს სხეულს.

პლინიუ უფროსი: ადამიანები რომ ადამიანურად ვცხოვრობთ და ჩვენზე რაღაც მოგონებას ვტოვებთ, ამას ქაღალდს უნდა ვუმადლოდეთ.

სუვოროვი: მტრის უკუგდება – მარცხია; მოკვეთა, ალყაში მოქცევა, შემუსვრა, გაფანტვა – წარმატებაა.

ჩერნიშევსკი: აღზრდის წრეს კრავს ოთხი საწყისი: ქველმოქმედება, ზრდილობა, კეთილი ქცევა და ცოდნა.

ილია მეორე: საქართველომ იტვირთა ტვირთი მოწამისა და ამით იხსნა სხვა ერები.

ნოდარ დუმბაძე: სამშობლო უფრო მეტად გაჭირვება და ტკივილია, ვიდრე დალხინება და დღესასწაული.

კონსტანტინე: ნამდვილი გმირები ხანდახან ტანმორჩილნი არიან და უჩინარნი.

მაიაკოვსკი: მე მომაგონდა, რომ ქართველი ვარ.

ჰელვეციუსი: შეზღუდულ ადამიანთა სურვილი ისაა, რომ მათზე მაღლა არავინ იყოს.

ლაფონტენი: კარიერას ის აკეთებს, ვინც სხვებისთვის ავსულია.

ვოლტერი: ყველაფერი უკეთესობისკენ მიდის („ოპტიმიზმი თვით სახრჩობელასთან").

ლაბრიუიერი: თავხედობა განწყობის ნაყოფი როდია, შინაგანი თვისებაა, თანდაყოლილი მანკია.

პოპი: გონებას ძალას ანიჭებს ვარჯიში და არა სიმშვიდე.

ფილდინგი: ცუდ წიგნებსაც ისევე შეუძლიათ ადამიანის გაფუჭება, როგორც ცუდ ამხანაგებს.

ნიცშე: აჰ, რამდენი დიდი იდეა ვიცით, საბერველზე მეტ ზეგავლენას რომ არ იმსახურებს: ადამიანს ბერავენ და კიდევ უფრო აცარიელებენ.

გეთჰოვენი: ჩაუნერგეთ ბავშვებს სათნოება. მხოლოდ ის მოუტანს მათ ბედნიერებას.

ფიხტე: ბედნიერება არის გასრულებული მოვალეობა.

ლაიბნიცი: დარდი – სულის მოუსვენრობაა, როცა ის ფიქრობს დაკარგულ სიამეზე, რითაც შეიძლებოდა მეტხანს დამტკბარიყო, ან როცა იტანჯება ამჟამად თავს დატეხილ ბოროტებაზე.

როულენდი: მამაკაცს ბედნიერებისთვის ქალის სჭირდება, ხოლო ნამდვილი ბედნიერებისთვის ნამდვილი ქალი.

ჟენე: თუ ქალი სიმდიდრესა და სიყვარულს შორის არჩევანს აკეთებს, ცდილობს, ორივე აირჩიოს.

თუ გაგოიცნოთ

1. **დაასახელეთ**, რით შეცვალეს 1919 წელს ავსტრიის გერბზე გამოსახული შავი არწივის ბრჭყალებში მახვილი და სკიპტრა.

2. ბრუკლინი, კუინსი, ბრონქსი, სტეიტენ-აილანდი და ... **დაასახელეთ მეხუთე, ამ დიდი ქალაქის შემადგენელი ყველაზე ცნობილი რაიონი.**

3. მის სამშობლოდ სამართლიანად ითვლება ფინეთი. ფინელები მას სამკურნალო თვისებებს მიაწერენ და, ალბათ, სწორედ ამიტომაა, რომ ქვეყნის 5 მილიონ მოსახლეზე ის მილიონზე მეტი მოდის. **რა?**

4. ასე ფრანკთა სახელმწიფოში ცხენოსანთა ჯარის მეთაურს ერქვა, ზოგ ქვეყანაში ახლაც ასე უწოდებენ უმაღლესი რანგის სამხედრო ხელმძღვანელს. **დაასახელეთ სიტყვა.**

5. საბჭოთა კონსტრუქტორის სწორედ ეს გამოგონებაა გამოსახული რამდენიმე აფრიკული ქვეყნის გერბზე. **რომელი?**

6. **რა თვისება** უნდა ჰქონოდა ბერძნულ მითებში აღწერილ კლდეებს, თუ მათ შორის გამავალი ხომალდები ან იმსხვრეოდნენ, ან ნაწილებად იშლებოდნენ?

7. ჰელვეციუსს მიაჩნდა, რომ „მას" სამი მამა ჰყავს: პანიკა, სისუსტე და შიში. **რას ჰყავს სამი მამა?**

8. მეცნიერებმა, უკრაინის რუკის შესწავლისას, გაამახვილეს ყურადღება მდინარის სახელზე – „მარჯვენა", რომელიც სინამდვილეში „მარცხენაა". სწორედ ამით დაადგინეს, რომ აქაური მოსახლეობის წინაპრები სამხრეთიდან მოვიდნენ. **როგორ?**

9. **დაასახელეთ** ცხოველი, რომლის სახელი ბერძნულად „ძმას" ნიშნავს. ამ ჭკვიან და აზრიან ცხოველებს ადამიანთან კეთილი დამოკიდებულების გამო, ნამდვილად მივიჩნევთ „ჩვენს უმცროს ძმებად".

10. ეს ორი ადამიანი სხვადასხვა დროს ერთსა და იმავე ქვეყანას ხელმძღვანელობდა. თითოეულმა მათგანმა გასცა ბრძანება მეორის დაპატიმრებაზე. დევნისას იმალებოდნენ ერთსა და იმავე ქვეყანაში... სხვათა შორის, ერთსა და იმავე ქალაქში დაიბადნენ და მათი მშობლები ერთმანეთის კარგი ნაცნობები იყვნენ. **დაასახელეთ ორივე.**

პასუხები იხილეთ 69-ე გვერდზე

მხოლოდ ფაქტები

* ბელგიურმა ფირმა „ბეკერტმა" დაიწყო შალისა და სინთეტიკურ ქსოვილში უჟანგავი ფოლადის ძაფების დამატება, რაც გამორიცხავს სტატიკური ძაბვის წარმოშობას ქსოვილში, ანუ, თავიდან აგვაცილებს ტანსაცმლის მიკრობას სხეულზე.

* ფეხბურთის ფანებს იუგოსლავიაში „ნოვიაჩს" ეძახიან, პოლონეთში – „კაიბიებს", ჩილეში – „აფისკოპადოსებს", ბრაზილიაში – „ინჩოსებს", იტალიაში – „ტიფოზებს".

* ჯორჯ ჰარისონს ცოლი ერიკ კლეპტონმა წაართვა.

* გერმანული სტატისტიკით, 10 კომპიუტერიდან მხოლოდ ერთი გამოიყენება საქმისთვის. ჩვენთან, ალბათ, სულ სხვა მონაცემები იქნება.

* ციფრი „4" იაპონური იეროგლიფია და ეს სიტყვა „სიკვდილის" მნიშვნელობითაც იხმარება.

* მთვარის უმაღლესი წერტილი, რომლის სიმაღლე 7 830 მეტრია, პლატო დეკარტზეა. მისი დაპყრობა მხოლოდ 1972 წლის 27 აპრილს შეძლეს ამერიკელმა ჯონ იანგმა და ჩარლზ დიუკმა.

* ბერძნულად „რეზერვი" – „შენახულს" ნიშნავს.

* „ფორმულა 1-ის" წესდებით, საპრიზო ადგილებზე გასულ პილოტებს 500-დოლარიანი ჯარიმა ელოდათ, თუ უარს იტყოდნენ დაჯილდოების ცერემონიაში მონაწილეობაზე.

* რუსული აბანოს ერთ-ერთი ძირითადი ატრიბუტი – ცოცხი – არყის ხის ტოტებისგან მზადდება. მისი სიგრძე, სურვილის მიხედვით, შეიძლება იყოს 60 ან 45 სანტიმეტრი.

* კაუაი, ოაუხუ, მოლოკაი, მაუი, ლანაი, კაჰოოლავე და ჰავაი – ეს კუნძულები შეადგენენ ამერიკის ერთ-ერთ შტატს, რომელსაც ერთ-ერთი კუნძულის სახელი – ჰავაი ჰქვია.

* ნიკოლაი გოგოლს, შემოქმედებითი ტალანტის გარდა, რითაც ჩვენ ვიცნობთ, ახლობლების მიმართ თანაგრძნობის გამოხატვის განსაკუთრებული უნარი ახასიათებდა. მან უარი თქვა მემკვიდრეობაზე და, რადგან სახლიც აღარ გააჩნდა, მეგობრებთან ცხოვრობდა. სწორედ ერთ-ერთ მათგანთან გარდაიცვალა კიდეც.

* დომინიკის რესპუბლიკის დიქტატორი ტრუხილო განდიდების მანიით იყო შეპყრობილი. საკუთარ თავს ის გრძელი ტიტულით წარადგენდა, იმოსებოდა მდიდრული მუნდირით, რომელიც უამრავი ორდენით იყო შემკული – ქრისტეფორე კოლუმბის, გენერალისიმუსის და, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, თავისივე, ანუ ტრუხილოს ორდენით.

შამათი ორ სვლაში



წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:
1. ლd7-d5!
შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა

– მოუყევით სასამართლოს, როგორ ჩაიდინეთ ძარცვა!

– რა ძარცვა, პატივცემულო მოსამართლე, თვითონ მთხოვეს!

– როგორ.

– საღამოს, სახლში რომ უნდა შევსულიყავი, ორი კაცი გადამიდგა წინ და მეუბნებიან: „აბა, სასწრაფოდ, ქუდი და პალტო!“.. მეც, ერთს პალტო გავხადე, მეორეს – ქუდი....

***

– მამა, დედა რატომ შეირთე?

– ხედავ, ქალო, ბავშვსაც კი უკვირს...

***

კომპანიის პრეზიდენტმა მდივანს სიტყვის დაწერა სთხოვა კორპორაციულ შეკრებაზე წარმოსათქმელად. მეორე დღეს გამოიძახა მდივანი და მკაცრად ეკითხება:

– კი მაგრამ, ამდენი რა დამიწერე... ერთი საათი ვკითხულობდი და დამსწრეებს ისე მოჰბეზრდათ მოსმენა, სათითაოდ გაიპარნენ...

– ბოდიში... სიტყვა 15-წუთიანი იყო, მაგრამ, ოთხ ეგზემპლარად ამოვბეჭდე და გაფრთხილება დამავიწყდა...

***

ფეხბურთელი შინ დაბრუნდა.

– სად იყავი?

– ფეხბურთს ვთამაშობდი...

– კი მაგრამ, მაისური რომ მშრალია და არც სუნი აქვს?!

– საქართველოს ნაკრებში ვთამაშობდი...

***

მარო ფეხმოტეხილი მიხოს საწოლთან ზის.

– გახსოვს, მარო, ჯარში რომ წამიყვანეს, შენ ჩემ გვერდით იყავი...

– მახსომს, მახსომს...

– როცა ინსტიტუტში ვაბარებდი, და ჩავიჭერი, მაშინაც ჩემთან იყავი...

– აბა?!

– როცა სამუშაოდან გამომიშვეს და მერე კარგა ხანს ვერანაირ სამსახურში ვერ მოვეწყვე, მაშინაც ჩემ გვერდით იყავი...

– ხო, ჩემო მიხო, ხო...

– ახლაც, ავარიაში რო მოვყევი და ფეხი მოვიტეხე, ჩემთან ხარ....

– ვარ, აბა რა... შენთან ვარ...

– მგონი, შენა ხარ თარსი, შე შობელძაღლო, ყველა უბედურება შენგანა მჭირს!..

***

– ეჰ, რა ბრმა და ყრუ ვიყავი შენ რომ გამოგყევი...

– ხედავ, რა ავადმყოფობებისგან განგკურნე?!

***

ცოლი ეკითხება ქმარს:

– რას ნიშნავს მრავალფეროვნება?

– მაგალითად, როცაა ეკა, ლიკა, თამო, თიკო...

– გასაგებია, ესე იგი, როცაა ზურა, გიო, დათო...

– აპაპაპა!.. შენ ბოზობა მრავალფეროვნებაში ნუ გერევა...

***

ქალიშვილის ფიქრები დედაზე:

5 წლის: „დედამ ყველაფერი იცის“.

13 წლის: „დედამ ყველაფერი არ იცის“.

18 წლის: „ღმერთო, საერთოდ, რა იცის დედამ?“

30 წლის: „ეჰ, ნეტა დედისთვის დამეჯერებინა“...

***

– ჩვენს ხელფასზე შეიძლება ცხოვრება... ბოლო 28 დღეს ჭირს, თორემ...

***

თუ არ გინდა, ქმარი სხვას გაუყო, შეეშვი მის ხერხვას.

***

მშენებლობაზე კომისია უნდა მოვიდეს. „პრარაბი“ არიგებს მუშებს:

– რაც უნდა მოხდეს, ყველანაირად უნდა ვეცადოთ, ისეთი სახე მივიღოთ, თითქოს ეს ასე უნდა იყოს.

მოვიდა კომისია, ათვალიერებს... უცბად, ჩამოინგრა კედელი. ერთმა მუშამ დახედა საათს და გამოაცხადა:

– თერთმეტი საათი და ხუთი წუთი – ზუსტად გრაფიკის მიხედვით!

***

– როგორ მოვახდინოთ ქვეყანაში რევოლუცია?

– გამოვრთოთ ინტერნეტი და ქუჩები ხალხით გაივსება.

***

მამა-შვილი გაჩერებაზე დგას. ჩაიარა მაგარმა ახალგაზრდა ქალმა.



– მდაა... – თქვა მამამ.

– მდაა... – გაიმეორა შვილმა.

მამა უცბად გამოფხიზლდა და ეუბნება შვილს:

– აი, ასეთ ქალთან რომ გაიარო, სულ ათიანებზე უნდა ისწავლო...

***

ქმარს უყვარდა თევზაობა, ცოლს – კითხვა. დადიოდნენ ტბაზე. ქმარი ნავით შედიოდა წყალში და თევზაობდა; ცოლი ნაპირზე იჯდა და კითხულობდა... ერთხელაც, გამოვიდა ნაპირზე დაღლილი ქმარი და გადაწყვიტა, წაეთვლიმა. ცოლმა კი, პირიქით, გადაწყვიტა, ნავით გაეცურა. ჩაჯდა ნავში და მოუსვა ნიჩბები, თუმცა, მალევე დაიღალა, შუა ტბაში ჩაუშვა ღუზა და წიგნის კითხვა დაიწყო. ამ დროს ნავს ინსპექტორის კატერი მიადგა.

– მოქალაქე ქალბატონო, თქვენ დაჯარიმებული ხართ, აქ აკრძალულია თევზის ჭერა.

– როგორ გეკადრებათ, ნუთუ ვერ ხედავთ, რომ თევზს კი არ ვიჭერ, ვკითხულობ...

– თუმცა, ქალბატონო, თქვენ ამისთვის ყველა საჭირო ინსტრუმენტი გაქვთ.

– მაშინ, მე სარჩელს შევიტან, რომ თქვენ გამაუპატიურეთ.

– როგორ, მე თქვენთვის ხელი არ მიხლია...

– კი, მაგრამ, ამისთვის ხომ ყველა საჭირო ინსტრუმენტი გაქვთ.

***

ქალი მიდის სექსოლოგთან:

– ექიმო, ქმარი ვერ მაკმაყოფილებს.

– იცით, მე გასწავლით წამალს, მაგრამ ქმარმა არ უნდა გაიგოს – საყვარელი გაიჩინეთ.

– საყვარელი მყავს, მაგრამ, მაინც ვერ ვკმაყოფილდები.

– რამდენიმე გაიჩინეთ...

– ათი მყავს, მაგრამ, ჩემთვის მაინც ცოტაა...

– კარგი, მაშინ, ჰორმონულ მკურნალობას დაგინიშნავთ და ორი კვირის შემდეგ კონტროლზე გამოიარეთ...

ცოლი მივიდა სახლში და ქმარს ამაყად დაუდო რეცეპტი:

– აი, ხედავ? არანაირი ბოზი არ ვარ, ავადმყოფი ვარ მე, ავადმყოფი!..

კრივისხელთათმანებიანი მრისხანე არწივი და სექსი უკრაინელ გოგონებთან

მინდა რას ჰქვია?!

უკრაინის დიდებულ ქალაქ კიევში ვართ. საბაჟოზე სპეციალურ ბლანკებს გვავსებინებენ. ბლანკის ერთ გვერდზე რუსულად, მეორეზე ინგლისურად წერია შესავსები მონაცემები: გვარი, სახელი, სქესი და ასე შემდეგ.

სქესი ინგლისურად „სექს“ – იწერება. ერთ-ერთი მოჭიდავე ამ „სექსთან“ გაიჭედა. არ იცის, რა უნდა ჩაწეროს.

– ზურა, აქ „სექს“ რომ წერია, რას ნიშნავს, რა უნდა ჩავწერო? – მეკითხება და კალამს თითებში უხერხულად ატრიალებს. მოულოდნელად, თავში ათასი „მიკრომაკვარანცხი“ ერთბაშად დამიტრიალდა.

– ეგ არ იცი ამხელა მოჭიდავე კაცმა?

– რა ვიცი... სექსიო და...

– კაცო, – შენ ხომ იცი, კიევში რა ეშხიანი გოგოები არიან, დალოცვილები...

– ვიცი, აპა შტერი კი არ ვარ! – იწყინა.

– მერე, ვერაფერს მიხვდი, შე შტერო?

– რას უნდა მივხვდე?

– რას და აქ კითხვაა – „გინდათ თუ არა სექსი უკრაინელ გოგოებთანო“, – გაიგე?

– მაგას რა გაგება უნდა, შე კაცო! – გამოუცოცხლდა თვალები. ბევრი აღარ უფიქრია და იმ გრაფაში – კითხვის გასწვრივ, არ იკითხავთ, რუსულად რა ჩაწერა? – „ოჩენ ხაჩუ!“

„ბოქსიორი“ არწივი

ერთმა ჩვენმა მოკრივემ (გვარს და სახელს მომავალში ვიტყვი) ერთი „პაეზდკის“ დროს

ტატუს გამკეთებელი გაიცნო და მხარზე – იდაყვის ზემოთ, არწივი (მებრძოლი არწივი) „ამოანაკოლკებინა“. შევხედე არწივს და ნამდვილად არ მომეწონა, რადგან არწივი ძლიერებისა და შეუპოვრობის სიმბოლოა. ის არწივი კი, ნიბლია ჩიტივით კეთილად გამოიყურებოდა.

– რაა, ბიჭო, ეს?! ამით გინდა „წაახდინო“ მეტოქე?! დავიწუნე და დავიწუნე.

– აუ, რაღა ვქნა ახლა! – აშკარად შეწუხდა ჩვენი „ბოქსიორი“, რა ვუყო ახლა ამას? – სიმწრით გადაყლაპა ნერწყვი.

– ხომ გახსოვს, ვინც გაგიკეთა? – ვეკითხები.

– რავა არა, – ორასი მანეთი მივეცი, სულ თუმნიანები.

– ჰოდა, მიდი და უთხარი, ცოტა „ჟესტოკი“ არწივი გააკეთოს.

– კაცო, შენ ეს პირველკლასელის ნახატი ხომ არ გგონია, წაშალო საშლელით და გაასწორო?

– მე რა მენაღვლება, იყოს...

ჩვენი მოკრივე დაფიქრდა, – ასე მართლა არ ივარგებსო და ოთხი საათი ეჯდა გადასაკეთებლად იმ ტატუს გამკეთებელს.

ეტყობა, ის კაცი მაგარი პროფესიონალი იყო და „გადააკეთა“.

– აი, გადააკეთა! – „მომახარა“ ჩვენმა მოკრივემ და მკლავი გაიშიშვლა.

მკლავიდან კრივისხელთათმანებიანი არწივი მიყურებდა გაოცებული თვალებით...

საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის მთავარი ექიმის ზურაბ კახაბრიშვილის ნაამბობის მიხედვით მოამზადა

მურმან მერკვილიშვილმა

ჩინელი ბიჭის „მოგზაურობა“ ქართულ გასვენებაში

გამარჯობა, დედა! როგორ ხარ? ძალიან მენატრებით ყველა. მე არა მიშავს.

საქართველოში კიდევ თუ რამე გამიკვირდებოდა, არ მეგონა, მაგრამ, თურმე, ქართველების ფანტაზია უსაზღვროა.

ეს ამბავი ცოტა სამწუხაროდ დაიწყო – კობას რძალს ბებია გარდაეცვალა სოფელში და, რა თქმა უნდა, კობამ მეც წამიყვანა. როცა ადამიანი კვდება საქართველოში, ამ ამბავს ქელეხი ჰქვია.

დილას ადრე გამაღვიძა კობამ და ვიღაცის მანქანაში ჩამსვა, თან გამაფრთხილა: ჭკვიანად მოექეცით, ჩემი ძმაკაცია. მთელი გზა რაღაცეებს მეკითხებოდნენ და, რომ დაინახეს, ქართული ვიცოდი, გაგიჟდნენ. ყველა მიცინოდა და ზურგზე ხელს მიტყაპუნებდა. სულ „ჯიგარო“ მიძახეს, ჩვენც შენი ძმები ვართო. მერე თქვეს, გაცნობის უნდა დავლიოთო. ამოიღეს ბოთლით ღვინო და რიგ-რიგობით ვსვამდით. დედა, მე არ მინდოდა დალევა, მაგრამ, ადრეც ხომ მოგიყევი, ქართველებისთვის დალევაზე უარის თქმას რა შეიძლება მოჰყვეს. სხვათა შორის, მძღოლმა ყველაზე მეტი დალია და გზაზე მანქანების მიმართ გინებასაც უმატა.

როგორც იქნა, ჩავაღწიეთ სოფლამდე და ჩემს მთვრალ თანამგზავრებთან ერთად, მიცვალებულის ოთახში შევედით, რომ გარშემო შემოგვევლო – აქ ასეთი წესია. გარშემო დადგმულ სკამებზე ქალები ისხდნენ და ყველას ინტერესით ათვალიერებდნენ. ჩემს დანახვაზე ჩურჩულმა იმატა და ყველა მე მიყურებდა. სხვათა შორის, დიდი მწუხარება არავის ეტყობოდა. შემოსასვლელში ვიღაც კაცი რაღაცას ყვებოდა და დანარჩენები დროგამოშვებით იცინოდნენ. მიცვალებულის გარშემო შემოვლის დროს, ბიჭები ერთმანეთს ფეხს წამოსდებდნენ ხოლ-



მე და უხმოდ ბჟირდებოდნენ სიცილისგან. გარეთ გამოვედით და კობაც მოვარდა მთვრალი, დამავლო ხელი და სადღაც წამათრია. მეუბნებოდა, ახლა სამეფო ადგილას მიმყავხარო. რაღაც ფიცრებით შემოღობილ ადგილას შემიყვანა. სადაც უზარმაზარ ქვაბებში იხარშებოდა სხვადასხვა საჭმელი, იქვე ახლოს კი ოთხიხუთი კაცი იჯდა და ღვინოს სვამდა. მეც იმათთან დამსვა კობამ და დაიწყო დალევა.

მერე ვიღაცამ შემოგვძახა: მიგვაქ უბედური ქსენია და წამოხვალთ სასაფლაოზეო? ვიღაცამ უპასუხა: სასაფლაოზე როცა მომიწევს წასვლა, მაშინაც მეყოფაო. თითქმის არავინ წავიდა და დაახლოებით ათმა კაცმა წაიღო მიცვალებული დასამარხად.

მალე ქალები მოვიდნენ და დაიწყეს საჭმელების გატანა თეფშებით. თავიდან ვერაფერი გავიგე, მაგრამ, მერე ამიხსნეს ყველაფერი: საქართველოში მიცვალებულის დასაფლავების შემდეგ დიდი ქეიფი იმართება, მართალია, სასაფლაოზე ათიოდე კაცი გაჰყვა დასამარხად, სამაგიეროდ, ქეიფზე ორასამდე კაცი მოგროვდა და ატყდა ჭამა-სმა. რაც უფრო მოხუცია მიცვალებული, მით უფრო თავისუფლად იქცევა ხალხი სუფრასთან. ვიღაცეებმა სიმღერაც შემოსძახეს, მაგრამ, სხვებმა სიცილით გააჩუმეს, არ შეიძლებაო. თითქმის ყველა კაცი ძალიან დათვრა და მიცვალებულს იხსენებდნენ: რა კარგი ქალი იყო. მერე ვიღაც მთვრალმა თქვა, კარგი ქალი კი არა, სულ იწყევლებოდა, კუდიანი იყო. წინ ვინც ეჯდა, ამის მთქმელს ღვინიანი გრაფინი დააფშვნა თავზე და ატყდა ჩხუბი. ვინ ვის ურტყამდა, ვერ გაიგებდი. მე შემეშინდა და დავიმალე. მერე კობამ მიპოვა და რაღაც მანქანაში შემტენა. თვითონაც თავი ჰქონდა გატეხილი და თვალი – ჩალურჯებული. იგინებოდა: მაგათ, ყველას დედას ვუტირებო. როგორ ჩამოვაღწიე თბილისში, აღარ მახსოვს. მე მეორედ ქელეხში წამსვლელი აღარ ვარ. ჯერჯერობით ეს არის სულ, დედა. მერე კიდევ მოგწერ. ძალიან მენატრებით ყველა. გკოცნით.

თქვენი ტოგი ვონგი

რატომ არ ჩქარობს სიყვარულის დაკანონებას ეკო ფანგანი და ვისთან ერთად გაატარა მან დაუვიწყარი დრო შრი-ლანკაზე

ISSN 1987-569X